Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

21

იბეჭდება
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА — ЭНГЕЛЬСА — ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1948

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1951

ვ. ი. ლენინი

ტომი

21

1914 აგვისტო — *1915* დეკემბერი

წინასიტყვაობა

ოცდამეერთე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის იმ ნაწარმოებთ, რომლებიც დაწერილია 1914 წლის აგვისტოდან 1915 წლის დეკემბრამდე. ამ ნაწარმოებებში ლენინმა აღმართა იმპერიალისტური ომისა და საერთაშორისო სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, დაასაბუთა ბოლშევიკური პარტიის თეორია და ტაქტიკა ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებზე.

ნაწარმოებთა ერთი წყება — «რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპის ომში», «ევროპის ომი და საერთაშორისო სოციალიზმი», «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია», «იმპერიალისტურ ომში თავისი მთავრობის დამარცხების შესახებ», «სოციალიზმი და ომი» და სხვა — მიძღვნილია უმთავრესად ომის შეფასებისადმი და პროლეტარული პარტიის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ამოცანების განსაზღვრისადმი.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ნაწარმოებნი, რომლებიც ამხილებენ საერთაშორისო სოციალ-შოვინიზმს და ცენტრიზმს, ააშკარავებენ II ინტერნაციონალის კრახის მიზეზებს. ასეთ ნაწარმოებებს ეკუთვნის: «II ინტერნაციონალის კრახი», «სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ», «სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები», «რევოლუციური მარქსისტები 1915 წლის 5—8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» და სხვები.

მთელი რიგი ნაწარმოებნი უმთავრესად მიმართულია რუსული სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ: «რუსი ზიუდეკუმები», «სხვისი დროშით», «საქმეთა მდგომარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში», «რუსეთის დამარცხება და რევოლუციური კრიზისი», «რევოლუციის ორი ხაზის შესახებ» და სხვები.

სტატიაში «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ», რომელიც დაწერილია 1915 წლის აგვისტოში, ლენინმა მოგვცა ფორმულირება იმ გენიალური დასკვნისა, რომ შესაძლებელია სოციალიზმმა თავდაპირველად გაიმარჯვოს რამდენიმე ქვეყანაში ან ერთ, ცალკე აღებულ, ქვეყანაშიც კი.

ამ ტომში შედის ლენინის ნაშრომი «კარლ მარქსი», რომელიც იძლევა მარქსის მოძღვრების სხარტ და ამასთან ერთად ამომწურავ დახასიათებას.

21-ე ტომში შეტანილია ოთხი ნაწარმოები, რომლებიც პირველად ქვეყნდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულში. ნაწარმოებებში: «ინტერნაციონალურ სოციალისტურ კომისიას (I. S. K.)» და «წერილი «**Vorwärts**»-ს და **Wiener «Arbeiter-Zeitung»**»-ს, — ლენინი ააშკარავებს პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტურ არსს და II ინტერნაციონალის ბელადების მიერ მუშათა კლასის ინტერესების გამცემლობას. ნაშრომები «როგორი «ერთიანობა» გამოაცხადა ლარინმა შვეიცის ყრილობაზე?» და «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წერილი — «ნაშე სლოვოს» რედაქციას» მიმართულია რუსული ლიკვიდატორობისა და სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპის ომში[1]

რუსეთის სოციალ-დემოკრატია ევროპის ომის შესახებ

ჩვენ გვაუწყებენ სრულიად უტყუარი წყაროებიდან, რომ ამ ცოტა ხნის წინათ შედგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა თათბირი ევროპის ომის საკითხზე. ამ თათბირს მთლად ოფიციალური ხასიათი არა ჰქონია, რადგან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო შეკრებილიყო მეფის მთავრობის მხრივ მასობრივი დაპატიმრებისა და გაუგონარი დევნის გამო. მაგრამ ჩვენ სავსებით ზუსტად ვიცით, რომ თათბირი, რომელზედაც აქ ლაპარაკია, მართლაც გამოხატავდა რსდმ პარტიის ფრიად გავლენიანი წრეების შეხედულებებს.

თათბირმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია, რომლის სრული ტექსტი ჩვენ მოგვყავს, როგორც დოკუმენტი:

სოციალ-დემოკრატების ჯგუფის რეზოლუცია

1) ევროპისა და მსოფლიო ომს მკაფიოდ განსაზღვრული ბურჟუაზიული, იმპერიალისტური, დინასტიური ომის ხასიათი აქვს. ბრძოლა ბაზრებისათვის და სხვისი ქვეყნების ძარ-

ცვა, მისწრაფება — აღკვეთონ პროლეტარიატისა და დემოკრატიის რევოლუციური მოძრაობა ქვეყნების შიგნით, მისწრაფება — გააბრიყვონ, გათიშონ და ამოჟლიტონ ყველა ქვეყნის პროლეტარები და ამისათვის აამხედრონ ერთი ერის დაქირავებული მონები მეორე ერის დაქირავებული მონების წინააღმდეგ ბურჟუაზიის სასარგებლოდ — ასეთია ომის ერთადერთი რეალური შინაარსი და მნიშვნელობა.

2) გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადთა მოქმედება, II ინტერნაციონალის (1889 — 1914) ამ ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პარტიისა, რომელმაც ხმა მისცა სამხედრო ბიუჯეტს და რომელიც იმეორებს პრუსიელი იუნკრებისა და ბურჟუაზიის ბურჟუაზიულ-შოვინისტურ ფრაზებს, სოციალიზმის პირდაპირი ღალატია. არავითარ შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ ამ პარტიის აბსოლუტურ სისუსტეს და ერის ბურჟუაზიული უმრავლესობის ნებისადმი მისი დროებით დამორჩილების აუცილებლობას დავუშვებთ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადთა მოქმედება არ შეიძლება გამართლებულ იქნას. სინამდვილეში ეს პარტია ამჟამად ნაციონალურ-ლიბერალურ პოლიტიკას ახორციელებს.

3) ასეთივე დაგმობის ღირსია ბელგიისა და საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიების ბელადთა მოქმედება, რომლებმაც უღალატეს სოციალიზმს და რომლებიც ბურჟუაზიულ სამინისტროებში შევიდნენ [2].

4) II ინტერნაციონალის (1889 — 1914) ბელადთა უმრავლესობის ღალატი სოციალიზმისადმი ნიშნავს ამ ინტერნაციონალის იდეურ-პოლიტიკურ კრახს. ამ კრახის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ II ინტერნაციონალში ფაქტიურად ბატონობს წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმი, რომლის ბურჟუაზიულობასა და საშიშროებას დიდი ხანია აღნიშნავდნენ ყველა ქვეყნის რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები. ოპორტუნისტები დიდი ხანია ამზადებდნენ II ინტერნაციონალის კრახს იმით, რომ: უარყოფდნენ სოციალისტურ რევოლუციას და ცვლიდნენ მას ბურჟუაზიული რეფორმიზმით; უარყოფდნენ კლასობრივ ბრძოლას და

მის აუცილებელ გადაქცევას, გარკვეულ მომენტებში, სამოქალაქო ომად, და ქადაგებდნენ კლასების თანამშრომლობას; ქადაგებდნენ ბურჟუაზიულ შოვინიზმს პატრიოტიზმისა და სამშობლოს დაცვის საბაბით და უგულებელყოფდნენ ან უარყოფდნენ სოციალიზმის ძირითად ჭეშმარიტებას, რაც გადმოცემულია ჯერ კიდევ «კომუნისტურ მანიფესტში», რომ მუშებს სამშობლო არა აქვთ; სჯერდებოდნენ მილიტარიზმთან ბრძოლაში სენტიმენტალურ-მეშჩანურ თვალსაზრისს, ნაცვლად იმის აღიარებისა, რომ აუცილებელია ყველა ქვეყნის პროლეტარების რევოლუციური ომი ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ; ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული ლეგალობის აუცილებელი გამოყენების საჭიროებას აქცევდნენ ამ ლეგალობის გაფეტიშებად და ივიწყებდნენ, რომ სავალდებულოა ორგანიზაციისა და აგიტაციის არალეგალური ფორმები კრიზისების ეპოქებში. ოპორტუნიზმის ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანო, გერმანული «სოციალისტური ყოველთვიური»,[3] რომელიც დიდი ხანია ნაციონალურ-ლიბერალურ პოზიციაზე დგას, სავსებით მართებულად ზეიმობს ახლა თავის გამარჯვებას ევროპულ სოციალიზმზე. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიების ეგრეთწოდებულმა «ცენტრმა» სინამდვილეში ლაჩრულად წამოიჩოქა ოპორტუნისტების წინაშე. მომავალი ინტერნაციონალის ამოცანა უნდა იყოს იმ ბურჟუაზიული მიმდინარეობისაგან საბოლოოდ და გადაჭრით განთავისუფლება, რომელიც სოციალიზმში არსებობს.

5) იმ ბურჟუაზიული და შოვინისტური სოფიზმებიდან, რომლებითაც განსაკუთრებით აბრიყვებენ მასებს კონტინენტის ორი მთავარი მოქიშპე ერის — გერმანელი და ფრანგი ერების — ბურჟუაზიული **პარტიები** და მთავრობანი, და რომლებსაც იმეორებენ როგორც აშკარა, ისე ფარული სოციალისტური ოპორტუნისტები, ბურჟუაზიას რომ მონურად უკან მისჩანჩალებენ, — საგანგებოდ უნდა აღინიშნოს და დაგმობილ იქნას შემდეგი:

როდესაც გერმანელი ბურჟუები მიუთითებენ სამშობლოს დაცვაზე, ცარიზმთან ბრძოლაზე, კულტურული და ეროვნული განვითარების თავისუფლების დაცვაზე, ისინი სტყუიან, რადგან პრუსიელი იუნკრობა ვილჰელმის მეთაურობით და გერმანიის მსხვილი ბურჟუაზია ყოველთვის ახორციელებდნენ მეფის მონარქიის დაცვის პოლიტიკას და არ დააყოვნებენ, როგორადაც უნდა გათავდეს ომი, მიმართონ ღონისძიებანი მის მხარდასაჭერად; ისინი სტყუიან, რადგან სინამდვილეში ავსტრიის ბურჟუაზიამ დაიწყო მძარცველური ლაშქრობა სერბიის წინააღმდეგ, გერმანიის ბურჟუაზია ჩაგრავს დანიელებს, პოლონელებს და ფრანგებს ელზას-ლორენში და აწარმოებს შეტევითს ომს ბელგიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ უფრო მდიდარი და უფრო თავისუფალი ქვეყნების გასაძარცვავად, აწყობს შეტევას იმ მომენტში, რომელიც მას ეჩვენებოდა უფრო მარჯვედ სამხედრო ტექნიკაში თავის უკანასკნელ გაუმჯობესებათა გამოსაყენებლად, და რუსეთის მიერ ეგრეთწოდებული დიდი სამხედრო პროგრამის განხორციელების წინა ხანებში.

როდესაც ფრანგი ბურჟუები სწორედ ასევე მიუთითებენ სამშობლოს დაცვაზე და სხვა, ისინიც აგრეთვე სტყუიან, რადგან ისინი სინამდვილეში იცავენ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც უფრო ჩამორჩენილი არიან კაპიტალისტური ტექნიკის მხრივ და უფრო ნელა ვითარდებიან, ქირაობენ თავიანთი მილიარდებით რუსეთის ცარიზმის შავრაზმულ ბანდებს შეტევითი ომისათვის, ე. ი. ავსტრიელთა და გერმანელთა მიწების მისატაცებლად.

ერების ორივე მეომარი ჯგუფი ოდნავადაც არ ჩამოუვარდება ერთმანეთს ომის სისასტიკესა და ბარბაროსობაში.

6) რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა, განსაკუთრებით და პირველ რიგში, ულმობელი და უცილობელი ბრძოლა ველიკორუსულ და ცარისტულ-მონარქისტულ შოვინიზმთან და რუსი ლიბერალების, კადეტების, ნაროდნიკების ნაწილის და სხვა ბურჟუაზიული პარტიების მიერ ამ შოვინიზმის სოფისტურ დაცვასთან. რუსეთის მუშათა კლასისა და

ყველა ხალხის მშრომელი მასების თვალსაზრისით ნაკლები ბოროტება იქნებოდა დამარცხება მეფის მონარქიისა და მისი ჯარებისა, რომლებიც ჩაგრავენ პოლონეთს, უკრაინას და რუსეთის მთელ რიგ ხალხებს, და აღვივებენ ეროვნულ მტრობას ველიკორუსების მიერ სხვა ეროვნებათა ჩაგვრის გასაძლიერებლად და მეფის მონარქიის რეაქციული და ბარბაროსული მთავრობის განსამტკიცებლად.

7) სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები ამჟამად უნდა იყოს:

ჯერ ერთი, ყოველმხრივი, ჯარზეც და საომარი მოქმედების ასპარეზზეც გავრცელებული, პროპაგანდა სოციალისტური რევოლუციისა და იმის აუცილებლობისა, რომ იარაღი მიმართულ იქნას არა თავისი მოძმეების, ყველა ქვეყნის დაქირავებული მონების წინააღმდეგ, არამედ ყველა ქვეყნის რეაქციული და ბურჟუაზიული მთავრობებისა და პარტიების წინააღმდეგ. უთუო აუცილებლობა — მოეწყოს ასეთი პროპაგანდისათვის ყველა ენაზე არალეგალური უჯრედები და ჯგუფები ყველა ერის ჯარში. ულმობელი ბრძოლა უკლებლივ ყველა ქვეყნის მეშჩანებისა და ბურჟუების შოვინიზმისა და «პატრიოტიზმის» წინააღმდეგ. თანამედროვე ინტერნაციონალის იმ წინამძღოლთა წინააღმდეგ, ვინც სოციალიზმს უღალატა, აუცილებელია მივმართოთ მუშათა მასების რევოლუციურ შეგნებულობას, რომლებსაც აწევთ ომის მთელი სიმძიმე, და რომლებიც უმეტეს შემთხვევებში მტრულად არიან განწყობილნი ოპორტუნიზმისა და შოვინიზმისადმი;

მეორე, პროპაგანდა გერმანიის, პოლონეთის, რუსეთის და სხვათა რესპუბლიკისა, როგორც ერთ-ერთი უახლოესი ლოზუნგისა, და ამავე დროს ევროპის ყველა ცალკეული სახელმწიფოს გადაქცევისა ევროპის რესპუბლიკურ შეერთებულ შტატებად [4];

მესამე, ბრძოლა განსაკუთრებით მეფის მონარქიასთან და ველიკორუსულ, პანსლავისტურ, შოვინიზმთან და ქადაგება რევოლუციისა რუსეთში, აგრეთვე რუსეთის მიერ ჩაგრულ

ხალხთა განთავისუფლებისა და თვითგამორკვევისა, ამასთან უახლოეს ლოზუნგებად დემოკრატიული რესპუბლიკის, მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და 8-საათიანი სამუშაო დღის წამოყენება.

რსდმპ წევრ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფი

დაწერილია არა უგვიანეს
1914 წ. 24 აგვისტოსი
(6 სექტემბრისა)

შესავალი «რუსეთის სოციალ-დემოკრატია ევროპის ომის შესახებ» ქვეყნდება პირველად

თეზისები (რეზოლუცია) პირველად დაიბეჭდა მთლიანად 1929 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-2 — 3 გამოცემებში, ტომი XVIII

იბეჭდება: შესავალი — ხელნაწერის მიხედვით; თეზისები (რეზოლუცია) — ნ. კ. კრუპსკაიას მიერ გადაწერილი ასლის მიხედვით

ევროპის ომი და საერთაშორისო სოციალიზმი

სოციალისტისათვის ყველაზე მეტად სამძიმოა არა ომის საშინელებანი — ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერთ «**santa guerra di tutti gli oppressi per la conquista delle l o r o patrie!**» *, — არამედ თანამედროვე სოციალიზმის წინამძღოლთა ღალატის საშინელებანი, თანამედროვე ინტერნაციონალის კრახის საშინელებანი.

განა ეს ღალატი არ არის, სოციალ-დემოკრატიაში, როდესაც გერმანელ სოციალისტებში ვხედავთ ფრონტის საოცარ შეცვლას (გერმანიის მიერ ომის გამოცხადების შემდეგ)? ყალბ ფრაზას განმათავისუფლებელ ომზე ცარიზმის წინააღმდეგ? გერმანიის იმპერიალიზმის დავიწყებას? სერბიის ძარცვის დავიწყებას? ინგლისის წინააღმდეგ ომის ბურჟუაზიულ ინტერესებს? **etc.** ** **etc.** პატრიოტები, შოვინისტები, ხმას აძლევენ ბიუჯეტს!!

განა ასეთსავე ღალატს არ სჩადიან ფრანგი და ბელგიელი სოციალისტები? ისინი ჩინებულად ამხილებენ გერმანიის იმპერიალიზმს, მაგრამ, სამწუხაროდ, გასაოცრად ბრმანი არიან ინგლისის, საფრანგეთის და მეტადრე რუსეთის ბარბაროსული იმპერიალიზმის მიმართ! ისინი ვერ ხედავენ აღმაშფოთებელ ფაქტს, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია მრავალი

---

* — «ყველა ჩაგრულთა წმინდა ომს მ ა თ მიერ სამშობლოს მოსაპოვებლად!». რ ე დ.

** — **et cetera** — და ასე შემდეგ. რ ე დ.

ათეული წლის განმავლობაში ქირაობდა მილიარდებით რუსეთის ცარიზმის შავრაზმულ ბანდებს, — რომ ეს ცარიზმი ახშობს რუსეთის სხვატომელთა უმრავლესობას, ძარცვავს პოლონეთს, ჩაგრავს ველიკორუს მუშებსა და გლეხებს და ა. შ.?

ასეთ დროს სოციალისტი სულით ისვენებს, როდესაც კითხულობს, თუ როგორ მამაცურად და პირდაპირ მიახალა პირში მწარე სიმართლე «**A v a n t i!**»-მ[5] ზ ი უ დ ე კ უ მ ს[6], სიმართლე გერმანელ სოციალისტებს, რომ ისინი არიან **იმპერიალისტები**, ე. ი. შოვინისტები. კიდევ უფრო ისვენებ სულით, როდესაც კითხულობ **Zibordi**-ს სტატიას («**Avanti!**», 2 სექტემბერი), რომელიც ამხილებს არა მარტო გერმანულსა და ავსტრიულ შოვინიზმს (ეს ხომ ხელსაყრელია **იტალიის** ბურჟუაზიის თვალსაზრისით), არამედ **ფრანგულსაც**, და რომელიც ომს — **ყ ვ ე ლ ა** ქვეყნის ბურჟუაზიის ომად აღიარებს!!

«**A v a n t i!**»-ს პოზიცია და **Z i b o r d i**-ს სტატია — |რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ჯგუფის რეზოლუციასთან ერთად (რაც მიღებულია სკანდინავიის ერთ-ერთ ქვეყანაში ამას წინათ შემდგარ თათბირზე) *| — გვიჩვენებს, თუ რა არის მართებული და უმართებულო ჩვეულებრივ ფრაზაში ინტერნაციონალის კრახის შესახებ. ამ ფრაზას იმეორებენ ბურჟუები და ოპორტუნისტები («**riformisti di destra**» **) ნიშნის მოგებით, სოციალისტები («**Volksrecht**»[7] **Zürich**-ში, «**Bremer Bürger-Zeitung**»[8]) — გულის ტკივილით. ეს ფრაზა საკმაოდ დიდ სიმართლეს შეიცავს!! **თანამედროვე** ინტერნაციონალის **ბელადებისა** და პარტიათა უმრავლესობის **კრახი ფაქტია.** (შეადარეთ «**Vorwärts**»[9], **wiener** «**Arbeiter-Zeitung**»[10], «**Hamburger Echo**»[11] **ver-**

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 1 — 6. რ ე დ.

** — «**მემარჯვენე რეფორმისტები**». **რ ე დ.**

sus * «L'Humanité» [12], და ბელგიელი და ფრანგი სოციალისტების მოწოდებანი **versus** გერმანული **Vorstand**-ის ** [13] «პასუხისა». **მ ა ს ე ბ ს ჯერ კიდევ** არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი!!!

მაგრამ 1 000-ჯერ მართალია **Z i b o r d i**, როდესაც ამბობს, რომ არა «**dottrina è sbagliata**», არა სოციალიზმის «**rimedio**» არის «**errato**», არამედ «**semplicemente non erano in dose bastante**», «**gli altri socialisti non sono «abbastanza socialisti»**» ***.

სოციალიზმს კი არ განუცდია კრახი თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ე ვ რ ო პ უ ლ ი ინტერნაციონალის სახით, არამედ კრახი განიცადა არასაკმაო სოციალიზმმა, ე. ი. ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ-მ ა და რ ე ფ ო რ მ ი ზ მ მ ა. სწორედ ამ «ტენდენციამ», რომელიც არის **ყველგან**, ყველა ქვეყანაში, და ესოდენ მკაფიოდ გამოხატულია ბისოლატისა და კომპანიის მიერ იტალიაში, განიცადა კრახი, სწორედ იგი **ასწავლიდა** წლების განმავლობაში — დაევიწყებინათ კლასობრივი ბრძოლა და ა. შ. და ა. შ. — რ ე ზ ო ლ უ ც ი ი დ ან [14].

Z i b o r d i მართალია, როდესაც ევროპელი სოციალისტების მთავარ დანაშაულს იმაში ხედავს, რომ ისინი «**cercano nobilitare con postumi motivi la loro incapacità a prevenire, la loro necessità di partecipare al macello**», რომ ისინი «**preferisce fingere di fare per amore ciò ch'è** (ევროპული სოციალიზმი) **costretto a fare per forza**», რომ სოციალისტებმა «**s o l i d a r i z z a r o n o ciascuno con la propria nazione, col Governo b o r g h e s e della propria nazione... in una misura da formare una delusione per noi**» (და ყველა **ა რ ა** ოპორტუნისტ სოციალისტს) «**e un compia-**

---

* — **მიმართ. რ ე დ.**

** — გამგეობის. რ ე დ.

*** — «თეორია» კი არ არის «შემცდარი», სოციალიზმის «წამალი» კი არ არის «უვარგისი», არამედ «იგი არ ყოფილა საკმაო დოზით», «და ზოგი სოციალისტი არ არის «საკმაოდ სოციალისტი»». რ ე დ.

cimento per tutti i non socialisti d'Italia» * (და არა მარტო იტალიისა, არამედ ყველა ქვეყნისა: იხ., მაგალითად, რუსული ლიბერალიზმი).

დიახ, ევროპელი სოციალისტების სრული **incapacità**, უუნარობის, უძლურების დროსაც კი, ღალატი და საძაგლობაა მათი ბელადების მოქმედება: მუშები ხოცვა-ჟლეტაში ჩაებნენ, ბელადები კი? ხმას აძლევენ ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ, შედიან ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო შ ი!!! სრული უძლურების დროსაც კი ხმა უნდა მიეცათ **წინააღმდეგ**, სამინისტროში კი **არ** უნდა **შესულიყვნენ**, შოვინისტური სისაძაგლე კი არ უნდა ელაპარაკნათ, თავის «ერთან» სოლიდარულნი კი ა რ უნდა ყოფილიყვნენ, «თავისი» ბურჟუაზია კი ა რ უნდა დაეცვათ, არამედ ემხილებინათ მისი სისაძაგლე.

ვინაიდან ყ ვ ე ლ გ ა ნ ბურჟუაზია და იმპერიალისტები არიან, ყველგან ხოცვა-ჟლეტის საზიზღარი მომზადებაა: თუ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ საზიზღარი და ბარბაროსულია რუსული ცარიზმი (ყველაზე უფრო რეაქციულია), სამაგიეროდ გერმანული იმპერიალიზმიც მონარქისტულია — ფეოდალურ-დინასტიური მიზნები, ტლანქი, ნაკლებ თავისუფალი ბურჟუაზია, ვიდრე საფრანგეთისა. რუსი სოციალ-დემოკრატები მართალნი იყვნენ, როდესაც ამბობდნენ, რომ მ ა თ თ ვ ი ს ნაკლები ბოროტებაა ცარიზმის დამარცხება, რომ ყველაზე მეტად მ ა თ ი უშუალო მტერია **ველიკორუსული** შოვინიზმი,

* — რომ ისინი «ცდილობენ კეთილსახიერი საბუთებით უკანა რიცხვით გაამართლონ როგორც თავისი უუნარობა ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილებისა, ისე მათთვი'. შექმნილი აუცილებლობა ამ ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობისა», რომ ისინი «ამჯობინებენ შექმნან მოჩვენებითობა, რომ სავსებით ნებაყოფლობით აკეთებენ იმას» (ევროპული სოციალიზმი), «რაც იძულებული არიან ძალაუნებურად გააკეთონ», რომ სოციალისტებმა «ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ა გ ა მ ო უ ც ხ ა დ ე ს თვითეულმა თავის საკუთარ ერს, თავისი საკუთარი ერის ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ მთავრობას... იმდენად, რომ ამას შეუძლია გული გაგვიტეხოს ჩვენ» (და გული გაუტეხოს ყველა ა რ ა ოპორტუნისტ სოციალისტს) «და სიამოვნება მოჰგვაროს იტალიის ყველა არა სოციალისტს». რ ე დ.

მაგრამ თვითეული ქვეყნის სოციალისტებს (არა ოპორტუნისტებს) თავის მთავარ მტრად უნდა მიაჩნდეთ «თავისი» («მშობლიური») შოვინიზმი.

მაგრამ მართალია თუ არა, რომ უკვე ასე აბსოლუტურია «incapacità»? ასეა კი? fucilare? * Heldentod ** და საძაგელი სიკვდილი?? in vantaggio di un'altra patria?? *** არა ყოველთვის!! **თანხმობა** შესაძლებელი იყო, სავალდებულო იყო. არალეგალური პროპაგანდა და სამოქალაქო ომი უფრო კეთილსინდისიერი, უფრო სავალდებულო იქნებოდა სოციალისტებისათვის (ამას ქადაგებენ რუსი სოციალისტები).

მაგალითად, თავს ინუგეშებენ ილუზიით: ომი შეწყდება, საქმე მოგვარდებაო... არა!! თანამედროვე (1889 — 1914) ინტერნაციონალის კრახი რომ სოციალიზმის კრახი არ იყოს, მასებმა რომ ზურგი არ შეგვაქციონ, ანარქიზმისა და სინდიკალიზმის ბატონობა რომ არ გამოვიდეს (ისევე სამარცხვინოდ, [როგორც] საფრანგეთში), ჭეშმარიტებას თვალი უნდა გავუსწოროთ. ვინც უნდა გაიმარჯვოს, ევროპას ემუქრება შოვინიზმის **გაძლიერება**, «რევანში» etc. მილიტარიზმი, გერმანული თუ ველიკორუსული, იწვევს კონტრშოვინიზმს etc. etc.

ჩვენი მოვალეობაა გავაკეთოთ დასკვნა იმ ოპორტუნიზმის, რეფორმიზმის სრული კრახის შესახებ, რომელსაც ასე ზეიმით აცხადებდნენ იტალიაში (და რომელიც ასე მტკიცედ მოჰკვეთეს იტალიელმა ამხანაგებმა) და ****

---

* — დახვრეტა? რედ.

** — გმირული სიკვდილი. რედ.

*** — სხვისი სამშობლოს გულისათვის?? რედ.

**** აქ ხელნაწერი წყდება. შემდეგი ორი ფრაზა არშიებზეა მიწერილი. რედ.

NB * **ჩაემატოს:** «**Neue Zeit**»-ის[15] ათვალწუნებული, უგულებელმყოფელი დამოკიდებულება იტალიელი სოციალისტებისა და «**Avanti!**»-სადმი: მცირეოდენი დათმობანი ოპორტუნიზმისადმი!!! «დგას შუაში — არც იქით იხრება, არც აქეთ».

ეგრეთწოდებული «ცენტრი» = ოპორტუნისტების ლაქიები.

დაწერილია 1914 წ.
აგვისტოს დამლევს — სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
1 აგვისტოს გაზეთ «პრავდაში» № 174

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* — **Nota bene** — დაიხსომეთ. **რ ე დ.**

ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია

დაწერილია 1914 წ. 28 სექტემბრამდე
(11 ოქტომბრამდე)

დაიბეჭდა 1914 წ. 1 ნოემბერს
გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 33

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
ხელნაწერთან

ევროპის ომი, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ამზადებდნენ ყველა ქვეყნის მთავრობანი და ბურჟუაზიული პარტიები, დაიწყო. შეიარაღების ზრდას, ბაზრებისათვის ბრძოლის უკიდურესად გამწვავებას მოწინავე ქვეყნების კაპიტალიზმის განვითარების უახლესი, იმპერიალისტური, სტადიის ეპოქაში, ყველაზე ჩამორჩენილი, აღმოსავლეთ ევროპის მონარქიების დინასტიურ ინტერესებს აუცილებლად უნდა გამოეწვიათ და კიდევაც გამოიწვიეს ეს ომი. სხვა ერების მიწების დაპყრობა და ამ ერების დამორჩილება, მეტოქე ერის გაჩანაგება, მის სიმდიდრეთა გაძარცვა, მშრომელი მასების ყურადღების ჩამოშორება რუსეთის, გერმანიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების შინაური პოლიტიკური კრიზისებისაგან, მუშების გათიშვა და ნაციონალისტური გაბრიყვება და მათი ავანგარდის განადგურება პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის დასუსტების მიზნით — ასეთია თანამედროვე ომის ერთადერთი ნამდვილი შინაარსი, მნიშვნელობა და აზრი.

სოციალ-დემოკრატიას უწინარეს ყოვლისა ეკისრება მოვალეობა — გამოააშკარავოს ომის ეს ჭეშმარიტი მნიშვნელობა და ულმობლად ამხილოს სიცრუე, სოფიზმები და «პატრიოტული» ფრაზები, რასაც ომის დასაცავად ავრცელებენ გაბატონებული კლასები, მემამულეები და ბურჟუაზია.

მეომარი ერების ერთი ჯგუფის სათავეში დგას გერმანიის ბურჟუაზია. იგი აბრიყვებს მუშათა კლასსა და მშრომელ მასებს, როცა ირწმუნება, რომ ომს აწარმოებს სამშობლოს, თა-

ვისუფლებისა და კულტურის დასაცავად, ცარიზმის მიერ დაჩაგრულ ხალხთა გასათავისუფლებლად, რეაქციული ცარიზმის დასანგრევად. ნამდვილად კი სწორედ ეს ბურჟუაზია, რომელიც მლიქვნელობს პრუსიელი იუნკრების და მათი მეთაურის ვილჰელმ II-ის წინაშე, ყოველთვის იყო ცარიზმის უერთგულესი მოკავშირე და რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის მტერი. ნამდვილად ეს ბურჟუაზია იუნკრებთან ერთად მიმართავს მთელ თავის ღონისძიებებს, როგორადაც უნდა დამთავრდეს ომი, მეფის მონარქიის მხარდასაჭერად, რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ.

ნამდვილად გერმანიის ბურჟუაზიამ დაიწყო მძარცველური ლაშქრობა სერბიის წინააღმდეგ, სურს დაიმორჩილოს იგი და ჩაახშოს სამხრეთ სლავთა ეროვნული რევოლუცია, და ამასთან ერთად თავისი სამხედრო ძალების მთავარ მასას იგი გზავნის უფრო თავისუფალი ქვეყნების, ბელგიისა და საფრანგეთის წინააღმდეგ, რათა გაძარცვოს უფრო მდიდარი კონკურენტი. გერმანიის ბურჟუაზია "ავრცელებს ზღაპრებს, თითქოს იგი თავდაცვითს ომს აწარმოებდეს, ნამდვილად კი მან შეარჩია, მისი თვალსაზრისით, ყველაზე მარჯვე მომენტი ომისათვის; იგი იყენებს სამხედრო ტექნიკაში მიღწეულ თავის უკანასკნელ გაუმჯობესებებს, რათა დაასწროს რუსეთისა და საფრანგეთის მიერ უკვე დასახულ და წინასწარ გადაწყვეტილ ახალ შეიარაღებას.

მეომარი ერების მეორე ჯგუფის სათავეში დგას ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზია, რომელიც აბრიყვებს მუშათა კლასს და მშრომელ მასებს, როდესაც ირწმუნება, რომ ომს აწარმოებს სამშობლოსა, თავისუფლებისა და კულტურისათვის გერმანიის მილიტარიზმისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ. ნამდვილად კი ეს ბურჟუაზია თავისი მილიარდებით უკვე დიდი ხანია ქირაობდა და გერმანიაზე თავდასხმისათვის ამზადებდა რუსეთის ცარიზმის, ევროპის ყველაზე რეაქციული და ბარბაროსული მონარქიის ჯარებს.

ნამდვილად ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიის ბრძოლის მიზანია დაიპყროს გერმანიის კოლონიები და გაა-

ჩანაგოს მეტოქე ერი, რომელიც უფრო სწრაფი ეკონომიური განვითარებით გამოირჩევა. და ამ კეთილშობილური მიზნისათვის «მოწინავე», «დემოკრატიული» ერები ეხმარებიან ველურ ცარიზმს — კიდევ უფრო ჩაახშოს პოლონეთი, უკრაინა და ა. შ., კიდევ უფრო დათრგუნოს რევოლუცია რუსეთში.

მეომარი ქვეყნების ორივე ჯგუფი ოდნავადაც არ ჩამოუვარდება ერთმანეთს ძარცვა-გლეჯაში, მხეცობაში, ომის უსაზღვრო სისასტიკეში, მაგრამ რათა გააბრიყვონ პროლეტარიატი და ჩამოაშორონ მისი ყურადღება ერთადერთ ნამდვილად განმათავისუფლებელ ომს, სახელდობრ — სამოქალაქო ომს როგორც «თავისი» ქვეყნის, ისე «სხვისი» ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ამ მაღალი მიზნისათვის თვითეული ქვეყნის ბურჟუაზია ყალბი ფრაზებით პატრიოტიზმის შესახებ ცდილობს განადიდოს «თავისი» ნაციონალური ომის მნიშვნელობა და დაგვარწმუნოს, რომ იგი ისწრაფვის დაამარცხოს მოწინააღმდეგე არა გაძარცვისა და მიწების დაპყრობის გულისათვის, არამედ იმისათვის, რომ «გაათავისუფლოს» ყველა სხვა ხალხი, გარდა თავისი საკუთარი ხალხისა.

მაგრამ რაც უფრო გულმოდგინედ ცდილობენ ყველა ქვეყნის მთავრობები და ბურჟუაზია გათიშონ მუშები და ისინი ერთმანეთს მიუსიონ, რაც უფრო სასტიკად იყენებენ ამ მაღალი მიზნისათვის სამხედრო წესებისა და სამხედრო ცენზურის სისტემას (რომელიც ახლაც კი, ომის დროს, გაცილებით უფრო დევნის «შინაურ» მტერს, ვიდრე გარეშე მტერს), — მით უფრო დიდია ახლა შეგნებული პროლეტარიატის მოვალეობა — დაიცვას თავისი კლასობრივი დარაზმულობა, თავისი ინტერნაციონალიზმი, თავისი სოციალისტური შეხედულებანი ყველა ქვეყნის «პატრიოტული» ბურჟუაზიული ხროვის შოვინიზმის თარეშის წინააღმდეგ. ამ ამოცანაზე უარისთქმა შეგნებული მუშების მხრივ იქნებოდა ხელისაღება მთელ თავის განმათავისუფლებელ და დემოკრატიულ მისწრაფებებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალისტურ მისწრაფებებზე.

ულრმესი გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ უმთავრესი ევროპული ქვეყნების სოციალისტურმა პარტიებმა ეს თავისი ამოცანა ვერ შეასრულეს, ხოლო ამ პარტიების — განსაკუთრებით გერმანიის პარტიის — ბელადთა მოქმედება უდრის სოციალიზმის საქმის პირდაპირ ღალატს. უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მომენტში ახლანდელი, მეორე (1889 — 1914) სოციალისტური ინტერნაციონალის ბელადთა უმრავლესობა ცდილობს სოციალიზმი შეცვალოს ნაციონალიზმით. მათი მოქმედების წყალობით, ამ ქვეყნების მუშათა პარტიებმა კი არ დაუპირისპირეს თავი მთავრობათა დანაშაულებრივ მოქმედებას, არამედ მოუწოდეს მუშათა კლასს დადგეს იმავე პოზიციაზე, რა პოზიციაზეც დგანან იმპერიალისტური მთავრობანი. ინტერნაციონალის ბელადებმა სოციალიზმის მიმართ ჩაიდინეს ღალატი სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემით, «თავიანთი» ქვეყნების ბურჟუაზიის შოვინისტური («პატრიოტული») ლოზუნგების განმეორებით, ომის გამართლებითა და დაცვით, მეომარი ქვეყნების ბურჟუაზიულ სამინისტროებში შესვლით და ა. შ. და სხვ.. თანამედროვე ევროპის ფრიად გავლენიანი სოციალისტური ბელადები და ფრიად გავლენიანი სოციალისტური პრესის ორგანოები დგანან სრულიადაც არა სოციალისტურ თვალსაზრისზე, არამედ შოვინისტურ-ბურჟუაზიულ და ლიბერალურ თვალსაზრისზე. პასუხისმგებლობა სოციალიზმის ამ შერცხვენისათვის ეკისრებათ უწინარეს ყოვლისა გერმანელ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც II ინტერნაციონალის ყველაზე ძლიერსა და გავლენიან პარტიას წარმოადგენდნენ. მაგრამ არ შეიძლება გამართლებულ იქნან ფრანგი სოციალისტებიც, რომლებიც მინისტრთა პოსტებს იღებენ სწორედ იმ ბურჟუაზიის მთავრობაში, რომელიც ღალატობდა თავის სამშობლოს და უერთდებოდა ბისმარკს კომუნის დასათრგუნავად.

გერმანელი და ავსტრიელი სოციალ-დემოკრატები ცდილობენ ომის მხარდაჭერის პოლიტიკა იმით გაამართლონ, რომ ისინი ამით თითქოს იბრძვიან რუსეთის ცარიზმის წინააღ-

მდეგ. ჩვენ, რუსი სოციალ-დემოკრატები, ვაცხადებთ, რომ ასეთი გამართლება ჩვეულებრივ სოფიზმად მიგვაჩნია. რევოლუციურმა მოძრაობამ ცარიზმის წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე კვლავ ფართო ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობის სათავეში მუდამ იდგა რუსეთის მუშათა კლასი. უკანასკნელი წლების პოლიტიკური გაფიცვები, რომლებშიც მილიონები მონაწილეობდნენ, მიმდინარეობდა ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნის ლოზუნგით. სწორედ ომის წინახანებში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ პუანკარეს, როდესაც ის ეწვია ნიკოლოზ II-ს, თვითონ შეეძლო დაენახა პეტერბურგის ქუჩებში რუსი მუშების ხელით აღმართული ბარიკადები. არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა რუსეთის პროლეტარიატი, რათა გაეთავისუფლებინა მთელი კაცობრიობა მეფის სამარცხვინო მონარქიისაგან. მაგრამ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ თუ რაიმეს შეუძლია გადასდოს გარკვეულ პირობებში ცარიზმის დაღუპვა, თუ რაიმეს შეუძლია დაეხმაროს ცარიზმს მთელი რუსეთის დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს არის სწორედ ახლანდელი ომი, რომელიც ცარიზმის რეაქციულ მიზნებს ახმარს ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის ბურჟუაზიის ფულის ქისას. და თუ რაიმეს შეუძლია გააძნელოს რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, ეს არის სწორედ გერმანიისა და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ბელადთა მოქმედება, რომელსაც ჩვენ მუდმივ მაგალითად გვისახავს რუსეთის შოვინისტური პრესა.

კიდევაც რომ დავუშვათ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ძალთა ნაკლებობა ისე დიდი იყო, რომ ამას შეეძლო აეძულებინა იგი ხელი აეღო ყოველგვარ რევოლუციურ მოქმედებაზე, — ამ შემთხვევაშიც არ შეიძლებოდა შოვინისტურ ბანაკთან შეერთება, არ შეიძლებოდა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელთა გამო იტალიელი სოციალისტები სამართლიანად აცხადებდნენ, გერმანელი სოციალ-დემოკრატების ბელადები ბღალავენ პროლეტარული ინტერნაციონალის ფიროშასო.

ჩვენმა პარტიამ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, უკვე გაიღო და კიდევ გაიღებს დიდ მსხვერპლს ომთან დაკავშირებით. მთელი ჩვენი ლეგალური მუშური პრესა მოსპობილია. კავშირების უმეტესობა დახურულია, ბევრი ჩვენი ამხანაგი დაპატიმრებული და გადასახლებულია. მაგრამ ჩვენმა წარმომადგენლობამ პარლამენტში — რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა ფრაქციამ სახელმწიფო სათათბიროში — თავის უთუო სოციალისტურ მოვალეობად მიიჩნია ხმა არ მიეცა სამხედრო კრედიტებისათვის და სათათბიროს სხდომათა დარბაზიც კი დაეტოვებინა, რათა კიდევ უფრო ენერგიულად გამოეხატა თავისი პროტესტი, მოვალეობად მიიჩნია დაეგმო ევროპის მთავრობათა პოლიტიკა, როგორც იმპერიალისტური. და, მიუხედავად გაათკეცებული დევნისა მეფის მთავრობის მხრივ, რუსეთის სოციალ-დემოკრატი მუშები უკვე სცემენ პირველ არალეგალურ მოწოდებებს ომის წინააღმდეგ და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას დემოკრატიისა და ინტერნაციონალის წინაშე.

თუ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები გერმანელი სოციალ-დემოკრატების უმცირესობისა და ნეიტრალური ქვეყნების საუკეთესო სოციალ-დემოკრატების სახით მწვავე სირცხვილის გრძნობას განიცდიან II ინტერნაციონალის ამ კრახის გამო; თუ სოციალისტების ხმები სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობის შოვინიზმის წინააღმდეგ გაისმის ინგლისშიც და საფრანგეთშიც; თუ ოპორტუნისტები, მაგალითად, გერმანული «სოციალისტური ყოველთვიურის» (**«Sozialistische Monatshefte»**) სახით, რომლებიც დიდი ხანია დგანან ნაციონალ-ლიბერალურ პოზიციაზე, სავსებით კანონიერად ზეიმობენ თავიანთ გამარჯვებას ევროპის სოციალიზმზე, — პროლეტარიატს უცუდეს სამსახურს უწევენ ოპორტუნიზმსა და რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას შორის მერყევი ადამიანები (მსგავსად «ცენტრისა» გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში), რომლებიც ცდილობენ დიპლომატიური ფრაზებით მიჩქმალონ ან დაფარონ II ინტერნაციონალის კრახი.

პირიქით, აშკარად უნდა ვაღიაროთ ეს კრახი და გავიგოთ მისი მიზეზები, რათა შესაძლებელი იყოს ყველა ქვეყნის მუშათა ახალი, უფრო მტკიცე სოციალისტური დარაზმულობის შექმნა.

ოპორტუნისტებმა ჩაშალეს შესრულება შტუტგარტის [16], კოპენჰაგენის [17] და ბაზელის [18] კონგრესების გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ავალდებულებენ ყველა ქვეყნის სოციალისტებს იბრძოლონ შოვინიზმის წინააღმდეგ ყველა და ყოველგვარ პირობებში, ავალდებულებენ სოციალისტებს ბურჟუაზიისა და მთავრობების მიერ დაწყებულ ყოველ ომს უპასუხონ სამოქალაქო ომისა და სოციალური რევოლუციის გაძლიერებული ქადაგებით. II ინტერნაციონალის კრახი არის კრახი ოპორტუნიზმისა, რომელიც იზრდებოდა განვლილი (ეგრეთწოდებული «მშვიდობიანი») ისტორიული ეპოქის თავისებურებათა ნიადაგზე და რომელმაც უკანასკნელ წლებში ფაქტიური ბატონობა მოიპოვა ინტერნაციონალში. ოპორტუნისტები დიდი ხანია ამზადებდნენ ამ კრახს იმით, რომ: უარყოფდნენ სოციალისტურ რევოლუციას და ცვლიდნენ მას ბურჟუაზიული რეფორმიზმით; — უარყოფდნენ კლასობრივ ბრძოლას და მის აუცილებლად გადაქცევას გარკვეულ მომენტებში სამოქალაქო ომად, და ქადაგებდნენ კლასების თანამშრომლობას; — ქადაგებდნენ ბურჟუაზიულ შოვინიზმს პატრიოტიზმისა და სამშობლოს დაცვის სახელწოდებით და უგულებელყოფდნენ ან უარყოფდნენ სოციალიზმის ძირითად ჭეშმარიტებას, რომელიც გადმოცემულია ჯერ კიდევ «კომუნისტურ მანიფესტში», რომ მუშებს სამშობლო არა აქვთ; — სჯერდებოდნენ მილიტარიზმთან ბრძოლაში სენტიმენტალურ-მეშჩანურ თვალსაზრისს ნაცვლად იმის აღიარებისა, რომ აუცილებელია ყველა ქვეყნის პროლეტარების რევოლუციური ომი ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ; — ბურჟუაზიული პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული ლეგალობის აუცილებელი გამოყენების საჭიროებას აქცევდნენ ამ ლეგალობის ფეტიშად და ივიწყებდნენ, რომ სავალდებულოა ორგანიზაციისა და აგიტაციის არალეგალური ფორმები

კრიზისების ეპოქებში. ოპორტუნიზმის ბუნებრივმა «დამატებამ», ასევე ბურჟუაზიულმა მიმდინარეობამ და პროლეტარული, ე. ი. მარქსისტული თვალსაზრისისადმი მტრულმა, — ანარქო-სინდიკალისტურმა მიმდინარეობამ თავი ისახელა შოვინიზმის ლოზუნგების არანაკლებ სამარცხვინოდ თვითკმაყოფილი განმეორებით თანამედროვე კრიზისის დროს.

ამჟამად ისე არ შეიძლება სოციალიზმის ამოცანების შესრულება, არ შეიძლება მუშების ნამდვილად ინტერნაციონალური დარაზმვის განხორციელება, თუ გადაჭრით არ გავწყვიტეთ კავშირი ოპორტუნიზმთან და არ განვუმარტეთ მასებს მისი ფიასკოს გარდუვალობა.

ყოველი ქვეყნის სოციალ-დემოკრატიის ამოცანა უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა ბრძოლა თავისი ქვეყნის შოვინიზმთან. რუსეთში ამ შოვინიზმმა მთლიანად მოიცვა ბურჟუაზიული ლიბერალიზმი («კადეტები») და ნაწილობრივ ნაროდნიკები თვით სოციალისტ-რევოლუციონერებამდე და «მემარჯვენე» სოციალ-დემოკრატებამდე (განსაკუთრებით აუცილებელია დაგმობილ იქნას შოვინისტური გამოსვლები, მაგალითად, ე. სმირნოვის, პ. მასლოვისა და გ. პლეხანოვისა, რასაც ჩაებლაუჭა და ფართოდ იყენებს ბურჟუაზიულ-«პატრიოტული» პრესა).

ახლანდელი მდგომარეობის დროს არ შეიძლება განისაზღვროს საერთაშორისო პროლეტარიატის თვალსაზრისით, თუ მეომარი ერების ორი ჯგუფიდან რომელი ჯგუფის დამარცხება იქნებოდა ყველაზე ნაკლები ბოროტება სოციალიზმისათვის. მაგრამ ჩვენთვის, რუსი სოციალ-დემოკრატებისათვის, არ შეიძლება საეჭვო იყოს, რომ რუსეთის მუშათა კლასისა და ყველა ხალხის მშრომელი მასების თვალსაზრისით ყველაზე ნაკლები ბოროტება იქნებოდა დამარცხება მეფის მონარქიისა, ყველაზე რეაქციული და ბარბაროსული მთავრობისა, რომელიც ჩაგრავს ევროპისა და აზიის ერების ყველაზე მეტ რაოდენობას და მოსახლეობის ყველაზე მეტ მასას.

ევროპის სოციალ-დემოკრატების უახლესი პოლიტიკური ლოზუნგი უნდა იყოს ევროპის რესპუბლიკური შეერთე-

ბული შტატების შექმნა, ამასთან ბურჟუაზიისაგან განსხვავებით, რომელიც მზად არის ყველაფერი «შეგვპირდეს», ოღონდ ჩაითრიოს პროლეტარიატი შოვინიზმის საერთო ნიაღვარში, სოციალ-დემოკრატები განმარტავენ ამ ლოზუნგის მთელ სიყალბესა და უაზრობას, თუ რევოლუციური გზით არ იქნა დამხობილი გერმანიის, ავსტრიისა და რუსეთის მონარქიები.

რუსეთში სოციალ-დემოკრატების ამოცანები ამ ქვეყნის ყველაზე მეტად ჩამორჩენილობის გამო, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია თავისი ბურჟუაზიული რევოლუცია, წინანდებურად უნდა იყოს თანამიმდევრული დემოკრატიული გარდაქმნის სამი ძირითადი პირობა: დემოკრატიული რესპუბლიკა (ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პირობებში), მემამულეთა მიწების კონფისკაცია და 8 საათის სამუშაო დღე. მაგრამ ყველა მოწინავე ქვეყანაში ომი დღის წესრიგში აყენებს სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგს, რომელიც მით უფრო აუცილებელი ხდება, რაც უფრო მეტად აწვება ომის სიმძიმე პროლეტარიატს, რაც უფრო აქტიური უნდა გახდეს მისი როლი ევროპის აღდგენისას, მსხვილი კაპიტალიზმის გიგანტურ ტექნიკურ წარმატებათა ვითარებაში თანამედროვე «პატრიოტული» ბარბაროსობის საშინელებათა შემდეგ. ბურჟუაზიის მიერ ომის დროის კანონების გამოყენება პროლეტარიატის სრული ჩაჩუმებისათვის ამ უკანასკნელის წინაშე უთუო ამოცანად აყენებს აგიტაციისა და ორგანიზაციის არალეგალური ფორმების შექმნას. დაე ოპორტუნისტები «მოუფრთხილდნენ» ლეგალურ ორგანიზაციებს თავის შეხედულებათა ღალატის ფასად, — რევოლუციური სოციალ-დემოკრატები გამოიყენებენ მუშათა კლასის ორგანიზაციულ ჩვევებს და კავშირურთიერთობას იმისათვის, რომ შექმნან კრიზისის ეპოქის შესაფერი არალეგალური ფორმები სოციალიზმისათვის ბრძოლისა და მუშების არა თავისი ქვეყნის შოვინისტურ ბურჟუაზიასთან, არამედ ყველა ქვეყნის მუშებთან შეკავშირებისა. პროლეტარული ინტერნაციონალი არ დაღუპულა და არც

დაიღუპება. მუშათა მასები ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად შექმნიან ახალ ინტერნაციონალს. ოპორტუნიზმის ახლანდელი ზეიმი ხანმოკლეა. რაც უფრო მეტი იქნება ომის მსხვერპლი, მით უფრო ცხადი გახდება მუშათა მასებისათვის ოპორტუნისტების ღალატი მუშათა საქმისადმი და იმის აუცილებლობა, რომ მიმართონ იარაღი თვითეული ქვეყნის მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

თანამედროვე იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა არის ერთადერთი სწორი პროლეტარული ლოზუნგი. რაც გვიჩვენა კომუნის გამოცდილებამ, დასახულია ბაზელის რეზოლუციით (1912 წ.) და გამომდინარეობს დიდად განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის იმპერიალისტური ომის ყველა პირობიდან. რაც უნდა დიდად გვეჩვენებოდეს ასეთი გადაქცევის სიძნელენი ამა თუ იმ წუთს, სოციალისტები არასოდეს არ იტყვიან უარს სისტემატურ, შეუპოვარ, განუხრელ მოსამზადებელ მუშაობაზე ამ მიმართულებით, რაკი ომი ფაქტი გახდა.

მხოლოდ ამ გზით შეძლებს პროლეტარიატი თავი დააღწიოს შოვინისტური ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულებას და, ამა თუ იმ ფორმით, მეტად თუ ნაკლებად ჩქარა, გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები ხალხთა ნამდვილი თავისუფლების გზაზე და სოციალიზმის გზაზე.

გაუმარჯოს მუშათა საერთაშორისო ძმობას ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის შოვინიზმისა და პატრიოტიზმის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალს, ოპორტუნიზმისაგან განთავისუფლებულს!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული
მუშათა პარტიის ცენტრალური
კომიტეტი

სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები

ახლანდელ კრიზისში ყველაზე უფრო სამძიმოა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, შოვინიზმის გამარჯვება ევროპული სოციალიზმის ოფიციალურ წარმომადგენელთა უმრავლესობაზე. ტყუილად კი არ არის, რომ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული გაზეთები ხან დასცინიან, ხან მოწყალედ აქებენ მათ. და არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა იმისათვის, ვისაც სურს სოციალისტად დარჩეს, ვიდრე სოციალისტური კრიზისის მიზეზების გამორკვევა და ინტერნაციონალის ამოცანების ანალიზი.

არიან ადამიანები, რომლებსაც ეშინიათ აღიარონ ის ჭეშმარიტება, რომ II ინტერნაციონალის კრიზისი, უფრო სწორად: კრახი, ეს არის ოპორტუნიზმის კრახი.

მიგვითითებენ, მაგალითად, ფრანგი სოციალისტების ერთსულოვნებაზე, სოციალიზმში არსებული ძველი ფრაქციების ვითომდა სრულ გადაჯგუფებაზე ომისადმი დამოკიდებულების საკითხში. მაგრამ ეს მითითებანი არასწორია.

კლასების თანამშრომლობის დაცვა, სოციალისტური რევოლუციის იდეაზე და ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე უარისთქმა, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმთან შეგუება, ეროვნების თუ სამშობლოს ისტორიულად გარდამავალი საზღვრების დავიწყება, ბურჟუაზიული ლეგალობის გადაქცევა ფეტიშად, კლასობრივ თვალსაზრისსა და კლასობრივ ბრძოლაზე ხელისაღება იმის შიშით, ვაი თუ «მოსახლეობის ფართო მასები» (წაიკითხეთ: წვრილი ბურჟუაზია) ჩამოგვშორდნენო,—

ასეთია, უეჭველად, ოპორტუნიზმის იდეური საფუძვლები. სწორედ ამ ნიადაგზე გაიზარდა II ინტერნაციონალის ბელადთა უმრავლესობის ახლანდელი შოვინისტური, პატრიოტული სულისკვეთება. ოპორტუნისტების ფაქტიურ სიჭარბეს მათ შორის დიდი ხანია აღნიშნავდნენ სულ სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა მეთვალყურენი. ომმა მხოლოდ განსაკუთრებით სწრაფად და მწვავედ გამოააშკარავა ამ სიჭარბის ოდენობა. კრიზისის არაჩვეულებრივმა სიმწვავემ რომ მთელი რიგი გადაჯგუფებანი გამოიწვია ძველ ფრაქციებში, — ეს გასაკვირი არ არის. მაგრამ საერთოდ და მთლიანად ეს გადაჯგუფებანი მხოლოდ პიროვნებებს შეეხო. მიმართულებანი სოციალიზმის შიგნით წინანდელი დარჩა.

ფრანგ სოციალისტებს შორის არ არის სრული ერთსულოვნება. თვითონ ვალიანი, რომელიც შოვინისტურ ხაზს ატარებს გედთან, პლეხანოვთან, ერვესთან და სხვებთან ერთად, იძულებულია აღიაროს, რომ მას მოსდის მთელი რიგი წერილები ფრანგი სოციალისტებისაგან, რომლებიც პროტესტს აცხადებენ და აღნიშნავენ, რომ ომი არის იმპერიალისტური ომი, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიას არა ნაკლები დანაშაული მიუძღვის მასში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთ ხმებს ახშობს არა მარტო გამარჯვებული ოპორტუნიზმი, არამედ სამხედრო ცენზურაც. ინგლისელებში ჰაინდმანის ჯგუფი (ინგლისელი სოციალ-დემოკრატები — «ბრიტანეთის სოციალისტური პარტია») [19] სავსებით დაქანდა შოვინიზმისაკენ, ისევე როგორც ტრედუნიონების ნახევრადლიბერალური ბელადების უმრავლესობა. შოვინიზმს წინააღმდეგობას უწევენ მაკდონალდი და კეირ-ჰარდი ოპორტუნისტული «დამოუკიდებელი მუშათა პარტიიდან» [20]. ეს მართლაც გამონაკლისია წესიდან. მაგრამ ზოგიერთი რევოლუციური სოციალ-დემოკრატი, რომელიც დიდი ხანია ებრძოდა ჰაინდმანს, ახლა გავიდა «ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის» რიგებიდან. გერმანელებთან სურათი ნათელია: ოპორტუნისტებმა გაიმარჯვეს, ისინი ზეიმობენ, «თავის კალაპოტში» არიან. «ცენტრი» კაუცკის მეთაურობით დაექანა ოპორტუნიზმისაკენ და იცავს მას განსა-

კუთრებით თვალთმაქცური, უხამსი და თვითკმაყოფილი სოფიზმებით. რევოლუციური სოციალ-დემოკრატების წრიდან გაისმის პროტესტები — მერინგისა, პანეკუკისა, კ. ლიბკნეხტისა, მთელი რიგი უსახელო ხმებისა გერმანიაში და გერმანულ შვეიცარიაში. იტალიაშიც აშკარაა დაჯგუფებანი: უკიდურესი ოპორტუნისტები, ბისოლატი და კომპანია, «სამშობლოს» იცავენ, გედ — ვალიან —.პლეხანოვ — ერვეს მხარეზე არიან. რევოლუციური სოციალ-დემოკრატები («სოციალისტური პარტია») «Avanti!» *-ის მეთაურობით ებრძვიან შოვინიზმს და ამხილებენ ომისაკენ მოწოდების ბურჟუაზიულ-ანგარებითს ხასიათს; მათ მხარს უჭერს მოწინავე მუშების უდიდესი უმრავლესობა [21]. რუსეთში ლიკვიდატორთა ბანაკის უკიდურესმა ოპორტუნისტებმა უკვე აღიმაღლეს ხმა შოვინიზმის დასაცავად რეფერატებში და პრესაში. პ. მასლოვი და ე. სმირნოვი იცავენ ცარიზმს სამშობლოს დაცვის საბაბით (გერმანია, წარმოიდგინეთ, გვემუქრება «მახვილით» თავს მოგვახვიოს «ჩვენ» სავაჭრო ხელშეკრულებანი, მაშინ როდესაც ცარიზმი, ალბათ, ა რ ა მახვილით, მათრახითა და სახრჩობელათი ახშობდა და ახშობს რუსეთის მოსახლეობის 9/10-ის ეკონომიურ, პოლიტიკურ და ნაციონალურ ცხოვრებას!) და ამართლებენ სოციალისტების შესვლას ბურჟუაზიულ-რეაქციულ სამინისტროებში და ხმის მიცემას დღეს სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ, ხვალ — ახალი შეიარაღების სასარგებლოდ!! ნაციონალიზმისაკენ დაექანა პლეხანოვი, რომელიც თავის რუსულ შოვინიზმს ფარავს ფრანგოფილობით, აგრეთვე ალექსინსკი. მარტოვს, თუ ვიმსჯელებთ პარიზის «გოლოსის» [22] მიხედვით, ყველაზე უფრო რიგიანად უჭირავს თავი ამ კომპანიიდან, — უკუაგდებს როგორც გერმანულ, ისე ფრანგულ შოვინიზმს, ილაშქრებს «Vorwärts» **-ის წინააღმდეგაც, ბ-ნ ჰაინდმანის წინააღმდეგაც, მასლოვის წინააღმდეგაც, მაგრამ ეშინია გამოუცხადოს გაბედული ბრძოლა

* — «წინ!». რ ე დ.

** — «წინ». რ ე დ.

მთელ საერთაშორისო ოპორტუნიზმს და მის «უგავლენიანეს» დამცველს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის «ცენტრს». ცდებს, რომ წარმოგვიდგინონ ვოლონტერობა, როგორც სოციალისტური ამოცანების განხორციელება (იხ. პარიზის რუსი ვოლონტერების ჯგუფის, სოციალ-დემოკრატებისა და სოციალ-რევოლუციონერების, აგრეთვე პოლონელი სოციალ-დემოკრატების, ლედერის და სხვათა დეკლარაცია), მხოლოდ პლეხანოვი იცავს. ჩვენი პარტიის პარიზის სექციის უმრავლესობამ დაგმო ეს ცდები. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციას მკითხველნი ხედავენ ამ ნომრის მოწინავე სტატიიდან *. იმის ისტორიისათვის, თუ როგორ მოხდა ჩვენი პარტიის შეხედულებათა ფორმულირება, ჩვენ — გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად — უნდა დავადგინოთ შემდეგი ფაქტები: ჩვენი პარტიის წევრთა ჯგუფმა გადალახა ომით შეწყვეტილი ორგანიზაციული კავშირურთიერთობის აღდგენის უდიდესი სიძნელენი და შეიმუშავა ჯერ «თეზისები» და 6 — 8 სექტემბერს ახალი სტილით გაავრცელა ამხანაგებში. შემდეგ მან შვეიცარიელი სოციალ-დემოკრატების მეშვეობით გადასცა ისინი ლუგანოში შემდგარ იტალია-შვეიცარიის კონფერენციის ორ წევრს (27 სექტემბერს). მხოლოდ ოქტომბრის ნახევარში მოხერხდა კავშირის აღდგენა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის თვალსაზრისის ფორმულირება. ამ ნომრის მოწინავე სტატია წარმოადგენს «თეზისების» საბოლოო რედაქციას.

ასეთია, მოკლედ, საქმის მდგომარეობა ევროპისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში. მეორე ინტერნაციონალის კრახი ფაქტია. ფრანგ და გერმანელ სოციალისტებს შორის პრესაში გამართულმა პოლემიკამ ეს საბოლოოდ დაამტკიცა. ეს აღიარეს არა მარტო მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა (მერინგმა და «**Bremer Bürger-Zeitung**»-მა **), არამედ ზომიერმა შვეიცარიულმა ორგანოებმაც («**Volksrecht**» ***).

* იხ. ეს ტომი, გვ. 13 — 24. რ ე დ.

** «ბრემენის სამოქალაქო გაზეთი». რ ე დ.

*** «ხალხის უფლება». რ ე დ.

კაუცკის ცდები, რომ მიჩქმალოს ეს კრახი, ლაჩრული თავისდაძვრენაა. და ეს კრახი არის სწორედ კრახი ოპორტუნიზმისა, რომელიც ბურჟუაზიის ტყვეობაში აღმოჩნდა.

ბურჟუაზიის პოზიცია ცხადია. არა ნაკლებ ცხადია ისიც, რომ ოპორტუნისტები პირდაპირ ბრმად იმეორებენ მის საბუთებს. ისღა დაგვრჩენია, რომ მოწინავეში ნათქვამს დავუმატოთ უბრალო მითითება «Neue Zeit» *-ის მჭირდავ სიტყვებზე, თითქოს ინტერნაციონალიზმი სწორედ ის არის, რომ ერთი ქვეყნის მუშებმა ტყვია დაუშინონ მეორე ქვეყნის მუშებს სამშობლოს დაცვის გულისათვის!

სამშობლოს საკითხი — ვუპასუხებთ ჩვენ ოპორტუნისტებს — არ შეიძლება დაისვას, თუ უგულებელვყავით ამა თუ იმ ომის კონკრეტულ-ისტორიული ხასიათი. ეს ომი არის იმპერიალისტური, ე. ი. ყველაზე განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქის, კაპიტალიზმის დ ა ს ა ს რ უ ლ ი ს ეპოქის ომი. მუშათა კლასი ჯერ უნდა «მოეწყოს ერის ფარგლებში» — ამბობს «კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი» და ამასთან მიგვითითებს ჩვენ მიერ ეროვნებისა და სამშობლოს, როგორც ბურჟუაზიული წყობილების აუცილებელი ფორმების, და, მაშასადამე, ბურჟუაზიული სამშობლოს, აღიარების ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ს ა დ ა პ ი რ ო ბ ე ბ ს. ოპორტუნისტები ამახინჯებენ ამ ჭეშმარიტებას, როცა ის, რაც მართალია კაპიტალიზმის წარმოშობის ეპოქის მიმართ, გადააქვთ კაპიტალიზმის დასასრულის ეპოქაზე. ამ ეპოქაზე კი, პროლეტარიატის ამოცანაზე არა ფეოდალიზმის, არამედ კაპიტალიზმის დანგრევისათვის ბრძოლაში, ნათლად და გარკვევით ამბობს კომუნისტური მანიფესტი: «მუშებს სამშობლო არა აქვთ». გასაგებია, თუ რატომ ეშინიათ ოპორტუნისტებს აღიარონ სოციალიზმის ეს ჭეშმარიტება, თუ რატომ ეშინიათ მეტწილ შემთხვევებში იმისიც კი, რომ აშკარად ანგარიში გაუწიონ მას. სოციალისტური მოძრაობა ვერ გაიმარჯვებს სამშობლოს ძველ ჩარჩოებში. იგი ქმნის ადამიანთა თანაცხოვრების ახალ, უმაღლეს

* «ახალი დროება». რ ე დ.

ფორმებს, როდესაც ყოველი ეროვნების მშრომელი მასების კანონიერი მოთხოვნილებანი და პროგრესული მისწრაფებანი პირველად იქნება დაკმაყოფილებული ინტერნაციონალურ ერთიანობაში იმ პირობით, რომ მოისპობა ახლანდელი ნაციონალური ზღუდეები. თანამედროვე ბურჟუაზიის ცდებს — გაყოს და გააცალკეოს მუშები «სამშობლოს დაცვაზე» თვალთმაქცურ მითითებათა საშუალებით, შეგნებული მუშები უპასუხებენ ახალი და ახალი, განმეორებითი და განმეორებითი ცდებით — დაამყარონ სხვადასხვა ერის მუშათა ერთიანობა ყველა ერის ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისათვის ბრძოლაში.

ბურჟუაზია აბრიყვებს მასებს, როცა იმპერიალისტურ ძარცვაგლეჯას «ნაციონალური ომის» ძველი იდეოლოგიით ფარავს. პროლეტარიატი ამხილებს ამ სიყალბეს, აყენებს რა იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგს. სწორედ ეს ლოზუნგია დასახული შტუტგარტისა და ბაზელის რეზოლუციებით, რომლებიც ითვალისწინებდნენ სწორედ არა ომს საერთოდ, არამედ სახელდობრ ახლანდელ ომს, და რომლებიც ლაპარაკობდნენ არა «სამშობლოს დაცვაზე», არამედ «კაპიტალიზმის კრახის დაჩქარებაზე», ომით შექმნილი კრიზისის გამოყენებაზე ამ მიზნით, კომუნის მაგალითზე. კომუნა იყო ხალხთა ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად.

ასეთი გადაქცევა, რა თქმა უნდა, იოლი არ არის და არ შეიძლება განხორციელდეს ცალკეული პარტიების «სურვილის მიხედვით». მაგრამ სწორედ ასეთი გადაქცევაა ჩაქსოვილი საერთოდ კაპიტალიზმის, განსაკუთრებით კი კაპიტალიზმის დასასრულის ეპოქის ობიექტურ პირობებში. და ამ მიმართულებით, მხოლოდ ამ მიმართულებით უნდა აწარმოონ თავიანთი მუშაობა სოციალისტებმა. ხმა კი არ უნდა მივცეთ სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ, კი არ უნდა წავაქეზოთ «ჩვენი» ქვეყნის (და მოკავშირე ქვეყნების) შოვინიზმი, არამედ პირველ რიგში ვებრძოლოთ «ჩვენი» ბურჟუაზიის შოვინიზმს, არ დავჯერდეთ ბრძოლის ლეგალურ ფორმებს, როდე-

საც დაიწყო კრიზისი და ბურჟუაზიამ თვითონ წაგვართვა მის მიერ შექმნილი ლეგალობა, — აი მუშაობის ის ხ ა ზ ი, რომელსაც მ ი ვ ყ ა ვ ა რ თ სამოქალაქო ომისაკენ და რომელიც მიგვიყვანს ასეთ ომამდე სრულიადევროპული ხანძრის ამა თუ იმ მომენტში.

ომი როდია შემთხვევითი რამ, როდია «ცოდვა», როგორც ფიქრობენ ქრისტიანი ხუცები (რომლებიც ოპორტუნისტებზე უარესად კი არ ქადაგებენ პატრიოტიზმს, ჰუმანობასა და მშვიდობიანობას), არამედ გარდუვალი საფეხური კაპიტალიზმისა, ისევე კანონიერი ფორმაა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ცხოვრებისა, როგორც მშვიდობიანობა. ჩვენი დროის ომი არის სახალხო ომი. ამ ჭეშმარიტებიდან ის კი არ გამოდის, რომ უნდა გავყვეთ შოვინიზმის «სახალხო» მდინარებას, არამედ ის, რომ ომიანობის დროსაც, ომშიც, ომის დროის შესაფერისად, კვლავ არსებობს და მომავალშიც გამოვლინდება კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომელნიც ღრღნიან ხალხებს. სამხედრო სამსახურზე უარისთქმა, გაფიცვა ომის წინააღმდეგ და სხვა მსგავსი მოქმედება არის აშკარა სისულელე, უბადრუკი და ლაჩრული ოცნება უიარაღოდ ბრძოლაზე შეიარაღებულ ბურჟუაზიასთან, ნატვრა კაპიტალიზმის მოსპობისა გააფთრებული სამოქალაქო ომის ან მთელი რიგი ომების გაუჩაღებლად. ჯარშიც სოციალისტის მოვალეობაა კლასობრივი ბრძოლის პროპაგანდა: მუშაობა, მიმართული იქითკენ, რომ ხალხთა ომი სამოქალაქო ომად გადაიქცეს, არის ერთადერთი სოციალისტური მუშაობა ყველა ერის ბურჟუაზიის იმპერიალისტური შეიარაღებული შეტაკების ეპოქაში. ძირს ხუცესურ-სენტიმენტალური და სულელური ოცნება «მშვიდობაზე რადაც უნდა დაჯდეს»! აღვმართოთ სამოქალაქო ომის დროშა! იმპერიალიზმმა სასწორზე დადო ევროპული კულტურის ბედი: ამ ომს, თუ არ მოხდა მთელი რიგი წარმატებითი რევოლუციები, მალე მოჰყვება სხვა ომები — ზღაპარი «უკანასკნელ ომზე» არის ფუჭი, მავნე ზღაპარი, ფილისტერული «მითოლოგია» («გოლოსის» მართებული თქმით). სამოქალაქო ომის პროლეტარული დროშა თუ დღეს არა, ხვალ, — თუ

ახლანდელი ომის დროს არა, მის შემდეგ, — თუ ამ ომში არა, შემდგომ უახლოეს ომში, შემოიკრებს თავის გარშემო არა მარტო ასეულ ათასობით შეგნებულ მუშას, არამედ ახლა შოვინიზმის მიერ გაბრიყვებული ნახევრადპროლეტარებისა და წვრილი ბურჟუების მილიონიან მასებსაც, რომლებსაც ომის საშინელებანი არა მარტო დააშინებენ და დააბეჩავებენ, არამედ აგრეთვე გაათვითცნობიერებენ, ასწავლიან, გამოაფხიზლებენ, დარაზმავენ, გამოაწრთობენ და მოამზადებენ ომისათვის «თავისი» ქვეყნისა და «სხვა» ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

II ინტერნაციონალი, ოპორტუნიზმის მიერ დაძლეული, მოკვდა. ძირს ოპორტუნიზმი და გაუმარჯოს III ინტერნაციონალს, განთავისუფლებულს არა მარტო «გადამრბენებისაგან» (როგორც სურს «გოლოსს»), არამედ ოპორტუნიზმისაგანაც.

II ინტერნაციონალმა შეასრულა თავისი წილი სასარგებლო მოსამზადებელი მუშაობისა პროლეტარული მასების წინასწარ დასარაზმავად XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედისა და XX საუკუნის დამდეგის უაღრესად სასტიკი კაპიტალისტური მონობისა და უაღრესად სწრაფი კაპიტალისტური პროგრესის ხანგრძლივ «მშვიდობიან» ეპოქაში. III ინტერნაციონალს ამოცანად ეკისრება დარაზმოს პროლეტარიატის ძალები რევოლუციური შეტევისათვის კაპიტალისტურ მთავრობებზე, სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პოლიტიკური ძალაუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის!

«სოციალ-დემოკრატი» № 33,
1914 წ. 1 ნოემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
ხელნაწერთან

წერილი «VORWÄRTS»-ს და WIENER «ARBEITER-ZEITUNG»-ს

ძვირფასო ამხანაგებო!

ომისა და სოციალიზმის შესახებ ჩემ მიერ ციურიხში წაკითხული რეფერატის გამო ამ დღეებში «Vorwärts»-მა მოათავსა მოკლე შენიშვნა, რომელიც სრულიად ყალბ წარმოდგენას იძლევა მასზე. შენიშვნა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მე დავჯერდი ცარიზმის წინააღმდეგ პოლემიკას. სინამდვილეში კი, რაკი დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი ქვეყნის სოციალისტების მოვალეობაა აწარმოონ ულმობელი ბრძოლა საკუთარი (და არა მარტო მტრის) ქვეყნის შოვინიზმისა და პატრიოტიზმის წინააღმდეგ, მკაცრად ვესხმოდი თავს ცარიზმს და ამასთან დაკავშირებით ვლაპარაკობდი უკრაინის თავისუფლებაზე. მაგრამ ჩემი მსჯელობის აზრი სრულიად მახინჯდება, თუ ერთი სიტყვითაც არ იქნა მოხსენიებული, რომ მე ვლაპარაკობდი II ინტერნაციონალის კრახზე, ოპორტუნიზმზე და გერმანიისა და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის პოზიციის წინააღმდეგ. ჩემი ორსაათიანი რეფერატის ცხრა მეათედი ამ კრიტიკისადმი იყო მიძღვნილი.

დიდად დამავალებთ, თუ შეძლებთ დაბეჭდოთ ზემოაღნიშნული დამატებანი «Vorwärts»-ში (ან...) [23].

ს.-დ. სალამით...

დაწერილია 1914 წ.
29 ოქტომბერსა და 8 ნოემბერს
(11 და 21 ნოემბერს) შუა
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის კრებულში XIV

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

კარლ მარქსი [24]

(მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარქსიზმის გადმოცემითურთ)

დაწერილია 1914 წ. იელის-ნოემბერში

პირველად დაიბეჭდა 1915 წელს
გრანატის ენციკლოპედიურ ლექსიკონში,
გამოცემა მე-7, ტომი 28
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით,
რომელიც შედარებულია
1918 წელს გამოცემულ
ბროშურის ტექსტთან

წინასიტყვაობა

სტატია კარლ მარქსის შესახებ, რომელიც ახლა ცალკე ანაბეჭდად გამოდის, ჩემ მიერ დაწერილია (რამდენადაც მახსოვს) 1913 წელს გრანატის ლექსიკონისათვის. სტატიას დართული ჰქონდა საკმაოდ ვრცელი მითითება ლიტერატურისა მარქსის შესახებ, უმთავრესად უცხო ლიტერატურისა. ეს ამ გამოცემაში გამოტოვებულია. შემდეგ, ლექსიკონის რედაქციამ, თავის მხრივ, ცენზურული მოსაზრებებით ამოაგდო ბოლო ნაწილი სტატიისა მარქსის შესახებ, რომელიც მიძღვნილი იყო მისი რევოლუციური ტაქტიკის გადმოცემისადმი. სამწუხაროდ, მოკლებული ვარ შესაძლებლობას აღვადგინო აქ ეს ბოლო ნაწილი, რადგან შავად ნაწერი დარჩა სადღაც ჩემს ქაღალდებში კრაკოვსა თუ შვეიცარიაში. მახსოვს მხოლოდ, რომ სტატიის ამ ბოლო ნაწილში მე მომყავდა, სხვათა შორის, ის ადგილი მარქსის 1856 წ. 16. IV წერილისა ენგელსისადმი, სადაც მარქსი წერდა: «მთელი საქმე გერმანიაში დამოკიდებული იქნება შესაძლებლობაზე — განმტკიცდეს პროლეტარული რევოლუცია გლეხთა ომის თავისებური მეორე გამოცემით. მაშინ საქმე ჩინებულად წავა». აი რა ვერ გაიგეს 1905 წლიდან ჩვენმა მენშევიკებმა, რომლებიც ახლა იქამდე დაეშვნენ, რომ სავსებით უღალატეს სოციალიზმს და ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

მოსკოვი, 14. V. 1918.

დაბეჭდილია 1918 წელს ბროშურაში:
ნ. ლენინი. «კარლ მარქსი». გამომც.
«პრიბოი». მოსკოვი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კარლ მარქსი დაიბადა 1818 წლის 5 მაისს ახალი სტილით ქალაქ ტრირში (რეინისპირა პრუსია). მამამისი იყო ადვოკატი, ებრაელი, რომელმაც 1824 წელს პროტესტანტობა მიიღო. ოჯახი იყო შეძლებული, კულტურული, მაგრამ არა რევოლუციური. ტრირის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მარქსი შევიდა ჯერ ბონის, შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტში და სწავლობდა იურიდიულ მეცნიერებებს, მაგრამ ყველაზე მეტად — ისტორიასა და ფილოსოფიას. კურსი დაამთავრა 1841 წელს და წარადგინა საუნივერსიტეტო დისერტაცია ეპიკურეს ფილოსოფიის შესახებ. თავისი შეხედულებებით მარქსი მაშინ ჯერ კიდევ ჰეგელიანელი — იდეალისტი იყო. ბერლინში ის ემხრობოდა «მემარცხენე ჰეგელიანელთა» წრეს (ბრუნო ბაუერი და სხვ.), რომელნიც ისწრაფვოდნენ ჰეგელის ფილოსოფიიდან ათეისტური და რევოლუციური დასკვნები გაეკეთებინათ.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მარქსი გადასახლდა ბონს და ვარაუდობდა პროფესორი გამხდარიყო. მაგრამ მთავრობის რეაქციულმა პოლიტიკამ, რომელმაც 1832 წელს კათედრა ჩამოართვა ლუდვიგ ფეიერბახს და 1836 წელს კვლავ უარი უთხრა მას უნივერსიტეტში დაშვებაზე, ხოლო 1841 წელს ბონში ლექციების კითხვის უფლება წაართვა ახალგაზრდა პროფესორს ბრუნო ბაუერს, — მარქსს ხელი ააღებინა მეცნიერულ კარიერაზე. ამ დროს გერმანიაში მემარცხენე ჰეგელიანობის შეხედულებათა განვითარება ძალიან სწრაფად

პირველი გვერდი
ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
«მარქსი კარლ»
1914 წ. ივლისი—ნოემბერი

მიდიოდა წინ. ლუდვიგ ფეიერბახი განსაკუთრებით 1836 წლიდან იწყებს თეოლოგიის გაკრიტიკებას და პირს იბრუნებს მატერიალიზმისაკენ, რომელიც სავსებით იმარჯვებს მის ნაწერებში 1841 წელს («ქრისტიანობის არსება»); 1843 წელს გამოვიდა მისივე «მომავლის ფილოსოფიის ძირითადი დებულებანი». «უნდა განგეცადა ამ წიგნების განმათავისუფლებელი მოქმედება» — წერდა ენგელსი შემდეგ ფეიერბახის ამ თხზულებათა შესახებ. «ჩვენ» (ე. ი. მემარცხენე ჰეგელიანელები, მათ შორის მარქსი) «ერთბაშად ფეიერბახელები გავხდით». იმ დროს რეინის რადიკალურმა ბურჟუებმა, რომლებსაც ზოგი რამ საერთო ჰქონდათ მემარცხენე ჰეგელიანელებთან, კელნში დააარსეს ოპოზიციური გაზეთი: «რეინის გაზეთი» (გამოსვლა იწყო 1842 წ. 1 იანვრიდან). მარქსი და ბრუნო ბაუერი მიწვეულ იქნენ მთავარ თანამშრომლებად, ხოლო 1842 წლის ოქტომბერში მარქსი მთავარი რედაქტორი გახდა და ბონიდან კელნს გადასახლდა. გაზეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება მარქსის რედაქტორობის დროს უფრო და უფრო გარკვეული ხდებოდა, და მთავრობამ ჯერ დაუმორჩილა გაზეთი ორმაგ და სამმაგ ცენზურას, შემდეგ კი გადაწყვიტა სულაც დაეხურა იგი 1843 წ. 1 იანვარს. მარქსი იძულებული იყო ამ დროისათვის მიეტოვებინა რედაქტორობა, მაგრამ მისმა წასვლამ მაინც ვერ იხსნა გაზეთი, და იგი დახურულ იქნა 1843 წლის მარტში. მარქსის ყველაზე დიდი სტატიებიდან, რომლებიც მოთავსებული იყო «რეინის გაზეთში», ენგელსი აღნიშნავს, გარდა ქვემოთ დასახელებულისა (ი ხ. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა), კიდევ სტატიას მოზელის ველის მეღვინე-გლეხთა მდგომარეობის შესახებ. საგაზეთო მუშაობამ დაანახვა მარქსს, რომ ის საკმაოდ არ იცნობს პოლიტიკურ ეკონომიას, და მან გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი მის შესწავლას.

1843 წელს მარქსმა ცოლად შეირთო კრეიცნახში ჯენი ფონ ვესტფალენი, ბავშვობის მეგობარი ქალი, რომელზედაც ის დანიშნული იყო ჯერ კიდევ სტუდენტობისას. მისი ცოლი პრუსიულ რეაქციულ აზნაურულ ოჯახს ეკუთვნოდა. ცოლის

უფროსი ძმა პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრად იყო ერთ-ერთ ყველაზე რეაქციულ ეპოქაში, 1850 — 1858 წლებში. 1843 წლის შემოდგომაზე მარქსი პარიზს ჩავიდა, რათა არნოლდ რუგესთან ერთად (1802 — 1880; მემარცხენე ჰეგელიანელი, 1825 — 1830 წწ. — საპყრობილეში, 1848 წლის შემდეგ ემიგრანტი; 1866 — 1870 წწ. შემდეგ ბისმარკელი) გამოეცა საზღვარგარეთ რადიკალური ჟურნალი. გამოვიდა ამ ჟურნალის «გერმანულ-ფრანგული ყოველწლიურის» მხოლოდ პირველი წიგნი. ჟურნალის გამოცემა შეწყდა მისი გერმანიაში ფარულად გავრცელების სიძნელეებთან დაკავშირებით და რუგესთან უთანხმოებათა გამო. ამ ჟურნალში მოთავსებულ თავის სტატიებში მარქსი უკვე გამოდის როგორც რევოლუციონერი, რომელიც აცხადებს «ყოველივე არსებულის ულმობელ კრიტიკას», და კერძოდ «იარაღის კრიტიკას»[25], და რომელიც მიმართავს მ ა ს ე ბ ს ა და პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს.

1844 წლის სექტემბერში პარიზს რამდენიმე დღით ჩავიდა ფრიდრიხ ენგელსი, რომელიც მას შემდეგ მარქსის უახლოესი მეგობარი გახდა. მათ ორთავემ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს პარიზის რევოლუციური ჯგუფების მჩქეფარე ცხოვრებაში (განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პრუდონის მოძღვრებას, რომელთანაც მარქსმა გადაჭრით გაასწორა ანგარიში თავის «ფილოსოფიის სიღატაკეში», 1847 წ.) და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის სხვადასხვა მოძღვრებასთან მკაცრი ბრძოლის გზით შეიმუშავეს რევოლუციური პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი სოციალიზმის ანუ კომუნიზმის (მარქსიზმის) თეორია და ტაქტიკა. იხ. მარქსის ამ ეპოქის, 1844 — 1848 წწ., თხზულებანი ქვემოთ: ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა. 1845 წელს მარქსი, პრუსიის მთავრობის მოთხოვნით, როგორც საშიში რევოლუციონერი, გადასახლებულ იქნა პარიზიდან. იგი ბრიუსელს გადავიდა. 1847 წლის გაზაფხულზე მარქსი და ენგელსი მიემხრნენ ფარულ პროპაგანდისტულ საზოგადოებას: «კომუნისტების კავშირს», მათ თვალსაჩინო მონაწილეობა მიიღეს ამ კავშირის II ყრილობაში (1847 წლის ნოემბერი, ლონდონი) და, მისი დავალებით, შეადგინეს

სახელგანთქმული «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», რომელიც გამოვიდა 1848 წლის თებერვალში. ამ ნაწარმოებში გენიალური სიცხადით და სიმკვეთრით გადმოცემულია ახალი მსოფლმხედველობა, თანამიმდევრული მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების სფეროსაც მოიცავს, დიალექტიკა, როგორც უაღრესად ყოველმხრივი და ღრმა მოძღვრება განვითარებაზე, თეორია კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის, როგორც ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლისა.

როდესაც იფეთქა 1848 წლის თებერვლის რევოლუციამ, მარქსი გააძევეს ბელგიიდან. იგი კვლავ ჩავიდა პარიზში, ხოლო იქიდან, მარტის რევოლუციის შემდეგ, გერმანიაში, სახელდობრ კელნში. იქ 1848 წლის 1 ივნისიდან 1849 წლის 19 მაისამდე გამოდიოდა «რეინის ახალი გაზეთი»; მისი მთავარი რედაქტორი იყო მარქსი. ახალი თეორია ბრწყინვალედ დაადასტურა 1848 — 1849 წლების რევოლუციური ამბების მსვლელობამ, ისევე როგორც მას შემდგომ ადასტურებდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთელი პროლეტარული და დემოკრატიული მოძრაობა. გამარჯვებულმა კონტრრევოლუციამ ჯერ სამართალში მისცა მარქსი (გამართლებულ იქნა 1849 წლის 9 თებერვალს), შემდეგ კი გააძევა გერმანიიდან (1849 წლის 16 მაისს). მარქსი გაემგზავრა ჯერ პარიზს, გაძევებულ იქნა იქიდანაც 1849 წლის 13 ივნისის დემონსტრაციის შემდეგ და წავიდა ლონდონს, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა.

ემიგრანტული ცხოვრების პირობები, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერიდან (გამოც. 1913 წ.), მეტისმეტად მძიმე იყო. გაჭირვება პირდაპირ ახრჩობდა მარქსს და მის ოჯახს; ენგელსის მუდმივი თავდადებული ფინანსური დახმარება რომ არ ყოფილიყო, მარქსი არათუ ვერ შესძლებდა «კაპიტალის» დამთავრებას, არამედ აუცილებლად დაიღუპებოდა სიღატაკის გამო. გარდა ამისა, ბურჟუაზიული, საერთოდ არაპროლეტარული სოცია-

ლიზმის გაბატონებული მოძღვრებანი და მიმდინარეობანი აიძულებდნენ მარქსს მუდმივად ეწარმოებინა ულმობელი ბრძოლა, ზოგჯერ — მოეგერიებინა ყოვლად გააფთრებული და სასტიკი პირადი გამოლაშქრებანი («Herr Vogt» *). მარქსი გაურბოდა ემიგრანტულ წრეებს და მთელ რიგ ისტორიულ ნაშრომებში (იხ. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა) ამუშავებდა თავის მატერიალისტურ თეორიას, ამასთან ძალღონეს უმთავრესად პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას ანდომებდა. ეს მეცნიერება მარქსმა რევოლუციური გახადა თავის თხზულებებში «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» (1859) და «კაპიტალი» (ტ. I. 1867).

50-იანი წლების დამლევისა და 60-იანი წლების დემოკრატიული მოძრაობის გაცხოველების ეპოქამ კვლავ მოუწოდა მარქსს პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. 1864 წელს (28 სექტემბერს) ლონდონში დაარსდა სახელგანთქმული I ინტერნაციონალი, «მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა». მარქსი იყო ამ საზოგადოების სული და გული, ავტორი მისი პირველი «მიმართვისა», დიდძალი რეზოლუციებისა, განცხადებებისა და მანიფესტებისა. მარქსი აერთიანებდა სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მოძრაობას, ცდილობდა ერთობლივი მოღვაწეობის კალაპოტში მოექცია არაპროლეტარული, წინამარქსისტული სოციალიზმის სხვადასხვა ფორმა (მაძინი, პრუდონი, ბაკუნინი, ინგლისის ლიბერალური ტრედ-უნიონიზმი, ლასალელთა მერყეობა მარჯვნივ გერმანიაში და სხვ.), ებრძოდა ყველა ამ სექტისა და სკოლის თეორიებს და ამრიგად სჭედდა სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასის პროლეტარული ბრძოლის ერთიან ტაქტიკას. მას შემდეგ, რაც დაეცა პარიზის კომუნა (1871), რომელიც ესოდენ ღრმად, სხარტად, ბრწყინვალედ და ქ მ ე დ ი თ ა დ, რევოლუციურად შეაფასა მარქსმა («სამოქალაქო ომი საფრანგეთში», 1871), და ბაკუნისტების მიერ ინტერნაციონალის გათიშვის შემდეგ, მისი არსებობა ევროპაში შეუძლებელი გახდა. მარქსმა ინტერნაციონალის ჰაგის კონ-

* — «ბატონი ფოგტი». რ ე დ.

გრესის (1872) შემდეგ მიაღწია იმას, რომ ინტერნაციონალის გენერალური საბჭო გადატანილ იქნა ნიუ-იორკში. I ინტერნაციონალმა დაამთავრა თავისი ისტორიული როლი და ადგილი დაუთმო მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მუშათა მოძრაობის განუზომლად უფრო დიდი ზრდის ეპოქას, სახელდობრ, მისი ზრდის სფეროს გ ა ფ ა რ თ ო ე ბ ი ს, ცალკეულ ნაციონალურ სახელმწიფოთა ბაზაზე მ ა ს ო ბ რ ი ვ ი სოციალისტური პარტიების შექმნის ეპოქას.

გაძლიერებულმა მუშაობამ ინტერნაციონალში და კიდევ უფრო გაძლიერებულმა თეორიულმა მეცადინეობამ საბოლოოდ შეარყია მარქსის ჯანმრთელობა. ის ვანაგრძობდა პოლიტიკური ეკონომიის გადამუშავებას და «კ ა პ ი ტ ა ლ ი ს» დამთავრებას, რისთვისაც აგროვებდა უამრავ ახალ მასალას და სწავლობდა მთელ რიგ ენებს (მაგ., რუსულს), მაგრამ ავადმყოფობამ მას საშუალება არ მისცა დაემთავრებინა «კ ა პ ი ტ ა ლ ი».

1881 წლის 2 დეკემბერს გარდაიცვალა მისი ცოლი. 1883 წლის 14 მარტს მარქსმა სამუდამოდ მიიძინა მშვიდად თავის სავარძელში. ის დაკრძალულია თავის ცოლთან ერთად, ლონდონში, ჰაიგეიტის სასაფლაოზე. მარქსის შვილებიდან რამდენიმე ბავშვობის ასაკში გარდაიცვალა ლონდონში, როდესაც მის ოჯახს ძალიან უჭირდა. სამი ქალიშვილი გათხოვილი იყო ინგლისისა და საფრანგეთის სოციალისტებზე: ელეონორა ეველინგი, ლაურა ლაფარგი და ჯენი ლონგე. ამ უკანასკნელის შვილი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წევრია.

მარქსის მოძღვრება

მ ა რ ქ ს ი ზ მ ი მარქსის შეხედულებათა და მოძღვრების სისტემაა. მარქსი იყო განმგრძობი და გენიალური დამამთავრებელი XIX საუკუნის სამი მთავარი იდეური მიმდინარეობისა, რომლებიც კაცობრიობის სამ ყველაზე მოწინავე ქვეყანას ეკუთვნოდა: კლასიკური გერმანული ფილოსოფიისა, კლასიკური ინგლისური პოლიტიკური ეკონომიისა და ფრანგული სოციალიზმისა საერთოდ ფრანგულ რევოლუციურ

მოძღვრებებთან დაკავშირებით. მარქსის მოწინააღმდეგეთა მიერაც კი აღიარებული შესანიშნავი თანმიმდევრულობა და მთლიანობა მისი შეხედულებებისა, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ თანამედროვე მატერიალიზმს და თანამედროვე მეცნიერულ სოციალიზმს, როგორც მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყნის მუშათა მოძრაობის თეორიასა და პროგრამას, გვაიძულებენ წავუმძღვაროთ მარქსიზმის მთავარი შინაარსის, სახელდობრ: მარქსის ეკონომიური მოძღვრების გადმოცემას, საერთოდ მისი მსოფლმხედველობის მოკლე მიმოხილვა.

ფილოსოფიური მატერიალიზმი

დაწყებული 1844 — 1845 წლებით, როდესაც ჩამოყალიბდა მარქსის შეხედულებანი, ის იყო მატერიალისტი, კერძოდ ლ. ფეიერბახის მომხრე; ფეიერბახის სუსტ მხარეებად მარქსს შემდეგშიც მისი მატერიალიზმის მხოლოდ და მხოლოდ არასაკმაო თანმიმდევრობა და არასაკმაო ყოველმხრივობა მიაჩნდა. მარქსი ფეიერბახის მსოფლიო-ისტორიულ, «ეპოქის შემქმნელ» მნიშვნელობას სწორედ იმაში ხედავდა, რომ მან გადაჭრით გაწყვიტა კავშირი ჰეგელის იდეალიზმთან და აღიარა მატერიალიზმი, რომელიც ჯერ კიდევ «XVIII საუკუნეში, მეტადრე საფრანგეთში, წარმოადგენდა ბრძოლას არა მარტო არსებულ პოლიტიკურ დაწესებულებათა წინააღმდეგ, ამასთან ერთად რელიგიისა და თეოლოგიის წინააღმდეგ, არამედ... ყოველგვარი მეტაფიზიკის წინააღმდეგაც» (მეტაფიზიკა გაგებულია, როგორც «მთვრალი სპეკულაცია» «ფხიზელი ფილოსოფიისაგან» განსხვავებით) («წმინდა ოჯახი», «ლიტერატურულ მემკვიდრეობაში»). «ჰეგელისათვის — წერდა მარქსი — აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი აქცევს, არის სინამდვილის დემიურგი (შემოქმედი, შემქმნელი)... ჩემთვის კი, პირიქით, იდეალური სხვა არა არის რა, თუ არა მატერიალური, ოღონდ ადამიანის თავში გადატანილი და იქ გარდაქმნილი» («კაპიტალი», I, მე-2 გამოცემის წინასიტყვაობა). ფრ. ენგელსი, სავსებით ეთანხმებოდა რა მარქსის ამ მატე-

რიალისტურ ფილოსოფიას, გადმოსცემდა რა მას, წერდა «ანტი-დიურინგში» (ი ხ.): — მარქსი ამ ნაწარმოებს ხელნაწერში გაეცნო — ...«სამყაროს ერთიანობა მდგომარეობს არა მის მყოფობაში, არამედ მის მატერიალობაში, რომელიც მტკიცდება... ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების ხანგრძლივი და ძნელი განვითარებით... მოძრაობა მატერიის მყოფობის ფორმაა. არასოდეს და არსად არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს მატერია უმოძრაობოდ, მოძრაობა უმატერიოდ... რომ დავსვათ საკითხი,... რა არის აზროვნება და შემეცნება, საიდან ჩნდებიან ისინი, დავინახავთ, რომ ისინი ადამიანის ტვინის პროდუქტებს წარმოადგენენ და რომ თვით ადამიანი ბუნების პროდუქტია, რომელიც განვითარდა განსაზღვრულ ბუნებითს გარემოში და მასთან ერთად. ამის გამო თავისთავად იგულისხმება, რომ ადამიანის ტვინის პროდუქტები, რომლებიც საბოლოოდ აგრეთვე ბუნების პროდუქტებს წარმოადგენენ, კი არ ეწინააღმდეგებიან ბუნების დანარჩენ კავშირ-ურთიერთობას, არამედ შეესაბამებიან მას». «ჰეგელი იდეალისტი იყო, ე. ი. მისთვის ჩვენი თავის აზრები წარმოადგენდნენ არა ნამდვილი საგნებისა და პროცესების მეტად თუ ნაკლებად აბსტრაქტულ ასახვას (**Abbilder**, ასახულობას; ზოგჯერ ენგელსი «ანაბეჭდზე» ლაპარაკობს), არამედ, პირიქით, საგნები და მათი განვითარება წარმოადგენდნენ ჰეგელისათვის სადღაც სამყაროს წარმოშობამდე არსებული რაღაც იდეის ასახვას». თავის თხზულებაში «ლუდვიგ ფეიერბახი», რომელშიც ფრ. ენგელსი გადმოგვცემს თავის და მარქსის შეხედულებებს ფეიერბახის ფილოსოფიაზე და რომელიც ენგელსმა დასაბეჭდად გაგზავნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც წინასწარ გადაიკითხა თავისი და მარქსის ძველი, 1844 — 1845 წლების, ხელნაწერი ჰეგელზე, ფეიერბახზე და ისტორიის მატერიალისტური გაგების საკითხზე, ენგელსი წერს: «ყოველი, განსაკუთრებით კი უახლესი ფილოსოფიის უდიდეს ძირითად საკითხს წარმოადგენს აზროვნებისა და მყოფობის, სულისა და ბუნების მიმართების საკითხი; ...რა რას უსწრებს წინ: სული ბუნებას თუ ბუნება სულს... ფილოსოფოსები ორ

დიდ ბანაკად გაიყვნენ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ უპასუხებდნენ ისინი ამ კითხვას... იმათ, ვინც ამტკიცებდა, სული ბუნებაზე ადრე არსებობდაო, და, მაშასადამე, ასე თუ ისე აღიარებდა სამყაროს შექმნას,... იდეალისტური ბანაკი შეადგინეს. ისინი კი, რომლებსაც ძირითად საწყისად ბუნება მიაჩნდათ, მატერიალიზმის სხვადასხვა სკოლას მიემხრნენ». ყოველი სხვანაირი ხმარება (ფილოსოფიური) იდეალიზმისა და მატერიალიზმის ცნებებისა მხოლოდ არევდარევას იწვევს. მარქსი გადაჭრით უარყოფდა არა მარტო იდეალიზმს, რომელიც ყოველთვის ასე თუ ისე დაკავშირებულია რელიგიასთან, არამედ განსაკუთრებით ჩვენს დროში გავრცელებულ ჰიუმისა და კანტის თვალსაზრისსაც, სხვადასხვა სახის აგნოსტიციზმს, კრიტიციზმს, პოზიტივიზმს; ამგვარ ფილოსოფიას იგი თვლიდა «რეაქციულ» დათმობად იდეალიზმისადმი და უკეთეს შემთხვევაში — «მატერიალიზმის მორცხვად შემოშვებად უკანა კარებში, მაშინ როცა მატერიალიზმი საზოგადოების თვალწინ იდევნებოდა». იხ. ამ საკითხზე, გარდა ენგელსისა და მარქსის დასახელებული თხზულებებისა, მარქსის 1868 წლის 12 დეკემბრის წერილი ენგელსისადმი, სადაც მარქსი, აღნიშნავს რა ცნობილი ბუნებისმეტყველის ტ. ჰექსლის ჩვეულებრივზე «უფრო მატერიალისტურ» გამოსვლას და მის მხრივ იმის აღიარებას, რომ, რამდენადაც «ჩვენ ნამდვილად ვაკვირდებით და ვაზროვნებთ, არასოდეს არ შეგვიძლია მატერიალიზმის ნიადაგს ავცდეთო», უსაყვედურებს მას, «საძრომი» დაიტოვა აგნოსტიციზმისაკენ, ჰიუმიზმისაკენო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მარქსის შეხედულება თავისუფლების მიმართებაზე აუცილებლობისადმი: «აუცილებლობა ბრმაა, ვიდრე იგი შეცნობილი არ არის. თავისუფლება არის აუცილებლობის შეცნობა» (ენგელსი «ანტი-დიურინგში») = აღიარება ბუნების ობიექტური კანონზომიერებისა და აუცილებლობის დიალექტიკური გადაქცევისა თავისუფლებად (შეუცნობი, მაგრამ შეცნობადი «საგნის თავისთავად» — «საგნად ჩვენთვის», «საგანთა არსის» — «მოვლენებად» გადაქცევის თანაბრად). «ძველი», მათ შორის ფეიერბა-

ხის (და მით უმეტეს ბიუხნერ-ფოგტ-მოლეშოტის «ვულ-გარული») მატერიალიზმის ძირითად ნაკლად მარქსსა და ენგელსს მიაჩნდათ (1) ის, რომ ეს მატერიალიზმი «უპირატესად მექანიკური» იყო და არ ითვალისწინებდა ქიმიისა და ბიოლოგიის (ხოლო ჩვენს დროში უნდა დაგვემატებინა კიდევ: მატერიის ელექტროული თეორიის) უახლეს განვითარებას; (2) ის, რომ ძველი მატერიალიზმი იყო არაისტორიული, არადიალექტიკური (მეტაფიზიკური ანტიდიალექტიკის აზრით), თანამიმდევრულად და ყოველმხრივ არ ატარებდა განვითარების თვალსაზრისს; (3) ის, რომ მათ «ადამიანის არსი» ესმოდათ აბსტრაქტულად და არა როგორც (კონკრეტულ-ისტორიულად განსაზღვრული) «მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობა», და ამიტომაც მხოლოდ «განმარტავდნენ» სამყაროს, მაშინ როდესაც საქმე მისი «შეცვლაა», ე. ი. არ ესმოდათ «რევოლუციური პრაქტიკული მოღვაწეობის» მნიშვნელობა.

დიალექტიკა

მარქსსა და ენგელსს კლასიკური გერმანული ფილოსოფიის უდიდეს შენაძენად მიაჩნდათ ჰეგელის დიალექტიკა, როგორც განვითარების უაღრესად ყოველმხრივი, შინაარსით მდიდარი და ღრმა მოძღვრება. განვითარების, ევოლუციის პრინციპის ყოველ სხვაგვარ ფორმულირებას ისინი თვლიდნენ ცალმხრივ, შინაარსით ღარიბ, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების (არაიშვიათად ნახტომებით, კატასტროფებით, რევოლუციებით) ნამდვილი მსვლელობის დამამახინჯებელ და დამასახიჩრებელ ფორმულირებად. «მარქსი და მე თითქმის ერთადერთი ადამიანები ვიყავით, რომლებმაც ამოცანად დავისახეთ გვეხსნა» (იდეალიზმისა და მათ შორის ჰეგელიანელობის მხრივ განადგურებისაგან) «შეგნებული დიალექტიკა და გადაგვეტანა იგი ბუნების მატერიალისტურ გაგებაში». «ბუნება დიალექტიკის დადასტურებაა, და სწორედ უახლესი ბუნებისმეტყველება გვიჩვენებს, რომ ეს არაჩვეულებრივად მდიდარი დადასტურებაა» (დაწერილია მანამდე, სანამ აღმო-

აჩენდნენ რადიუმს, ელექტრონებს, ელემენტების გადაქცევას და სხვ.!), «რომელიც ყოველდღე დიდძალ მასალას აგროვებს და ამტკიცებს, რომ ბუნებაში საბოლოოდ საქმე მიმდინარეობს დიალექტიკურად და არა მეტაფიზიკურად».

«დიდი ძირითადი აზრი, — წერს ენგელსი, — რომ სამყარო შედგება არა მზამზარეული, დამთავრებული საგნებისაგან, არამედ წარმოადგენს პროცესების ერთობლიობას, სადაც საგნები, რომლებიც უცვლელნი გვეჩვენებიან, ისევე როგორც ჩვენს თავში მათი აზროვნებითი ასახულობანი, ცნებები, განუწყვეტელ ცვალებადობაში იმყოფებიან, ხან წარმოიშობიან, ხან ისპობიან, — ეს დიდი ძირითადი აზრი ჰეგელის დროიდან იმდენად შევიდა საერთო ცნობიერებაში, რომ იგი მისი ზოგადი სახით არა გვგონია ვინმემ უარყოს. მაგრამ ერთია მისი აღიარება სიტყვიერად, ხოლო სხვაა მისი გამოყენება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და კვლევის ყოველ მოცემულ დარგში». «დიალექტიკური ფილოსოფიისათვის არაფერი არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, უთუო, წმიდათაწმიდა. ყველაფერზე და ყველაფერში ხედავს იგი გარდუვალი დაცემის ნიშანს, და ვერაფერი დაუდგება მას წინ, გარდა წარმოშობისა და მოსპობის განუწყვეტელი პროცესისა, დაბლიდან მაღლისაკენ უსასრულო მსვლელობისა. თვით დიალექტიკური ფილოსოფია ამ პროცესის მხოლოდ უბრალო ანარეკლია მოაზროვნე ტვინში». ამრიგად, დიალექტიკა, მარქსის მიხედვით, არის «მეცნიერება როგორც გარესამყაროს, ისე ადამიანის აზროვნების მოძრაობის ზოგადი კანონების შესახებ».

მარქსმა შეითვისა და განავითარა ჰეგელის ფილოსოფიის ეს, რევოლუციური, მხარე. დიალექტიკურ მატერიალიზმს «არ ესაჭიროება არავითარი ისეთი ფილოსოფია, რომელიც სხვა მეცნიერებებზე მაღლა იდგეს». წინანდელი ფილოსოფიისაგან რჩება «მოძღვრება აზროვნებასა და მის კანონებზე — ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკა». დიალექტიკა კი, მარქსის გაგებით, აგრეთვე ჰეგელის თანახმად, შეიცავს იმას, რასაც ახლა უწოდებენ შემეცნების თეორიას, გნოსეო-

ლოგიას, რომელმაც თავისი საგანი უნდა განიხილოს აგრეთვე ისტორიულად, შეისწავლოს და განაზოგადოს შემეცნების წარმოშობა და განვითარება, — არცოდნიდან ცოდნაზე გადასვლა.

ჩვენს დროში განვითარების, ევოლუციის იდეა თითქმის მთლიანად შევიდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, თუმცა სხვა გზებით, არა ჰეგელის ფილოსოფიის მეშვეობით. მაგრამ ეს იდეა იმ ფორმულირებით, რომელიც, ჰეგელზე დაყრდნობით, მოგვცეს მარქსმა და ენგელსმა, ბევრად უფრო ყოველმხრივი და შინაარსით ბევრად უფრო მდიდარია, ვიდრე ევოლუციის გაცვეთილი იდეა. განვითარება, რომელიც თითქოს იმეორებს უკვე განვლილ საფეხურებს, მაგრამ იმეორებს სხვანაირად, უფრო მაღალ ბაზაზე («უარყოფის უარყოფა»), განვითარება, ასე ვთქვათ, სპირალისებურად და არა პირდაპირი ხაზით; — განვითარება ნახტომისებრი, კატასტროფული, რევოლუციური; — «თანდათანობის შეწყვეტანი»; რაოდენობის გადაქცევა თვისებრიობად; — განვითარების შინაგანი იმპულსები, რასაც იძლევა წინააღმდეგობა, შეტაკება სხვადასხვა ძალებისა და ტენდენციებისა, რომლებიც მოქმედებენ მოცემულ სხეულზე ან მოცემული მოვლენის ფარგლებში ან მოცემული საზოგადოების შიგნით; — თვითეული მოვლენის ყ ვ ე ლ ა მხარის ურთიერთდამოკიდებულება და უმჭიდროესი, განუყრელი კავშირი (ამასთან ისტორია ააშკარავებს სულ ახალ-ახალ მხარეებს), კავშირურთიერთობა, რომელიც იძლევა მოძრაობის ერთიან, კანონზომიერ მსოფლიო პროცესს, — ასეთია ზოგიერთი ნიშანი დიალექტიკისა, როგორც განვითარების უფრო შინაარსიანი (ვიდრე ჩვეულებრივი) მოძღვრებისა (იხ. მარქსის 1868 წლის 8 იანვრის წერილი ენგელსისადმი, სადაც იგი დასცინის შტეინის «გაშეშებულ ტრიქოტომიებს», რომელთა არევა მატერიალისტურ დიალექტიკაში უაზრობაა).

ისტორიის მატერიალისტური გაგება

ძველი მატერიალიზმის არათანმიმდევრულობის, დაუმთავრებლობისა და ცალმხრივობის შეგნებამ მარქსი და-

არწმუნა, რომ აუცილებელია, «შევუთანხმოთ მეცნიერება საზოგადოების შესახებ მატერიალისტურ საფუძველს და გარდავქმნათ იგი ამ საფუძვლის შესაბამისად». თუ მატერიალიზმი საერთოდ ცნობიერებას ყოფიერებით ხსნის და არა პირიქით, კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ გამოყენებისას მატერიალიზმი მოითხოვდა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ცნობიერების ახსნას ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ყოფიერებით. «ტექნოლოგია — ამბობს მარქსი («კაპიტალი», I) — ააშკარავებს ადამიანის აქტიურ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, მისი ცხოვრების წარმოების უშუალო პროცესს და ამასთან ერთად მისი ცხოვრების საზოგადოებრივი პირობებისა და მათგან გამომდინარე სულიერ წარმოდგენათა პროცესსაც». ადამიანთა საზოგადოებასა და მის ისტორიაზე გავრცელებული მატერიალიზმის ძირითად დებულებათა მთლიანი ფორმულირება მარქსმა მოგვცა თხზულების «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» წინასიტყვაობაში შემდეგი სიტყვებით:

«თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები შედიან განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ, ურთიერთობაში — წარმოებითს ურთიერთობაში, რომელიც მათი მატერიალური საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება.

ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზეც აღიმართება იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი და რომელსაც შეესაბამება საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები. მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საზოგადოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ პროცესებს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას. საზოგადოების მატერიალური საწარმოო ძალები თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე წინააღმდეგობაში ვარდებიან არსებულ წარმოებით ურთიერთობასთან,

ანუ — რაც ამის მხოლოდ იურიდიულ გამოსახულებას წარმოადგენს — საკუთრების ურთიერთობასთან, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. საწარმოო ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობა მათს ბორკილად იქცეა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიური საფუძვლის შეცვლასთან ერთად მეტი თუ ნაკლები სისწრაფით გადატრიალება ხდება მთელ უზარმაზარ ზედნაშენშიც. ამგვარ გადატრიალებათა განხილვისას აუცილებელია ყოველთვის განვასხვაოთ წარმოების ეკონომიურ პირობებში მომხდარი მატერიალური, ბუნებისმეტყველური მეცნიერების სიზუსტით დადგენილი გადატრიალება, იურიდიული, პოლიტიკური, რელიგიური, მხატვრული ან ფილოსოფიური, მოკლედ: იდეოლოგიური ფორმებისაგან, რომლებითაც ადამიანები ამ კონფლიქტს შეიცნობენ და ებრძვიან მას.

როგორც არ შეიძლება ცალკეული ადამიანის შესახებ ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს თვით იგი თავის თავზე, სწორედ ასევე არ შეიძლება ამგვარი გადატრიალების ეპოქაზე ვიმსჯელოთ მისი ცნობიერების მიხედვით. პირიქით, ეს ცნობიერება უნდა ავხსნათ მატერიალური ცხოვრების წინააღმდეგობებით, საზოგადოებრივ საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის არსებული კონფლიქტით»... «საზოგადოდ, შესაძლებელია წარმოების აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და თანამედროვე, ბურჟუაზიულ, წესებს ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები ეწოდოს» (იხ. მარქსის მოკლე ფორმულირება 1866 წლის 7 ივლისის წერილში ენგელსისადმი: «ჩვენი თეორია შრომის ორგანიზაციის განსაზღვრისა წარმოების საშუალებებით»).

ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენამ ანუ, უფრო სწორად, მატერიალიზმის თანამიმდევრულმა განგრძობამ, გავრცელებამ საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროზე, მოსპო წინანდელი ისტორიული თეორიების ორი მთავარი ნაკლი. ჯერ ერთი, ეს თეორიები უკეთეს შემთხვევაში განი-

ხილავდნენ ადამიანთა ისტორიული მოღვაწეობის მხოლოდ იდეურ მოტივებს და არ იკვლევდნენ იმას, თუ რა იწვევს ამ მოტივებს, ვერ ხედავდნენ ობიექტურ კანონზომიერებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის განვითარებაში, ვერ ამჩნევდნენ ამ ურთიერთობათა ფესვებს მატერიალური წარმოების განვითარების დონეში; მეორეც, წინანდელი თეორიები არ მოიცავდნენ სწორედ მოსახლეობის მ ა ს ე ბ ი ს მოქმედებას, მაშინ როდესაც ისტორიულმა მატერიალიზმმა პირველად მოგვცა შესაძლებლობა ბუნებისმეტყველურ-ისტორიული სიზუსტით გამოვიკვლიოთ მასების ცხოვრების საზოგადოებრივი პირობები და ამ პირობების ცვლილებანი. მარქსამდელი «სოციოლოგია» და ისტორიოგრაფია უ კ ე თ ე ს შემთხვევაში იძლეოდნენ დაუმუშავებელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეკრებილი ფაქტების გროვას და ისტორიული პროცესის ცალკეული მხარეების სურათს. მარქსიზმმა გვიჩვენა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების წარმოშობის, განვითარებისა და დაცემის პროცესის ყოვლისმომცველი, ყოველმხრივი შესწავლის გზა, რადგან იგი განიხილავს ყველა წინააღმდეგობრივი ტენდენციის ე რ თ ო ბ ლ ი ო ბ ა ს, გამოჰყავს ისინი საზოგადოების სხვადასხვა კ ლ ა ს ი ს ცხოვრებისა და წარმოების ზუსტად განსაზღვრული პირობებიდან, უკუაგდებს სუბიექტივიზმსა და თვითნებობას ცალკეული «გაბატონებული» იდეების არჩევასა თუ განმარტებაში, ააშკარავებს უკლებლივ ყველა იდეისა და ყველა სხვადასხვა ტენდენციის ფ ე ს ვ ე ბ ს მატერიალური საწარმოო ძალების მდგომარეობაში. ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას, მაგრამ რა განსაზღვრავს ადამიანებისა და სახელდობრ ადამიანთა მასების მოტივებს, რა იწვევს ერთმანეთის საწინააღმდეგო იდეათა და მისწრაფებათა შეჯახებებს, როგორია ადამიანთა საზოგადოებების მთელი მასის ყველა ამ შეჯახების ერთობლიობა, როგორია მატერიალური ცხოვრების წარმოების ობიექტური პირობები, რომლებიც ქმნიან ადამიანთა მთელი ისტორიული მოღვაწეობის ბაზას, როგორია ამ პირობების განვითარების კანონი,—ყოველივე ამას ყურადღება მიაქცია მარქსმა

და გვიჩვენა ისტორიის, როგორც ერთიანი, მთელ თავის უდიდეს მრავალმხრიობასა და წინააღმდეგობრიობაში კანონზომიერი, პროცესის მეცნიერული შესწავლის გზა.

კლასობრივი ბრძოლა

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტები, რომ ამა თუ იმ საზოგადოების წევრთა ერთი ნაწილის მისწრაფებანი ეწინააღმდეგებიან მეორე ნაწილის მისწრაფებებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება წინააღმდეგობებითაა აღსავსე, რომ ისტორია გვიჩვენებს ბრძოლას ხალხთა და საზოგადოებათა შორის, აგრეთვე მათ შიგნით, გარდა ამისა კიდევ რევოლუციისა და რეაქციის, მშვიდობისა და ომების, შეჩერებისა და სწრაფი პროგრესის თუ დაცემულობის პერიოდების ცვლას. მარქსიზმმა მოგვცა სახელმძღვანელო ძაფი, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ კანონზომიერება ამ მოჩვენებითს ლაბირინტსა და ქაოსში; ესაა: კლასობრივი ბრძოლის თეორია. მხოლოდ ამა თუ იმ საზოგადოების ან საზოგადოებათა ჯგუფის ყველა წევრის მისწრაფებათა ერთობლიობის შესწავლას შეუძლია მიგვიყვანოს ამ მისწრაფებათა შედეგის მეცნიერულ განსაზღვრამდე. ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო მისწრაფებათა წყაროს კი წარმოადგენს იმ კ ლ ა ს ე ბ ი ს მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების სხვადასხვაობა, რომლებადაც ნაწილდება ყოველი საზოგადოება. «დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია, — წერს მარქსი «კომუნისტურ მანიფესტში» (გარდა პირველყოფილი თემის ისტორიისა, — დასძენს შემდეგ ენგელსი), — კლასთა ბრძოლის ისტორია იყო. თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ოსტატი და ქარგალი, მოკლედ — მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ ანტაგონიზმში იყვნენ ერთმანეთთან, ეწეოდნენ შეუწყვეტელ — ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას, — ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდებოდა მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა საერთო დაღუპვით... თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც დაღუპული ფეოდალური საზოგადოების წიაღიდან გამოვიდა, როდი მოუსპია კლასობრივი

წინააღმდეგობანი. მან ძველის ალაგას მხოლოდ ახალი კლასები, ჩაგვრის ახალი პირობები და ბრძოლის ახალი ფორმები დააყენა. მაგრამ ჩვენი ეპოქა, ბურჟუაზიის ეპოქა, იმით განსხვავდება, რომ მან გაამარტივა კლასობრივი წინააღმდეგობანი: საზოგადოება სულ უფრო და უფრო იყოფა ორ დიდ მტრულ ბანაკად, ორ დიდ, ერთიმეორისადმი უშუალოდ დაპირისპირებულ კლასად — ბურჟუაზიად და პროლეტარიატად». საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროიდან ევროპის ისტორია მთელ რიგ ქვეყნებში განსაკუთრებული სიცხადით ააშკარავებდა მოვლენათა ამ ნამდვილ სარჩულს, კლასების ბრძოლას. და უკვე რესტავრაციის ეპოქამ საფრანგეთში წამოაყენა მთელი რიგი ისტორიკოსები (ტიერი, გიზო, მინიე, ტიერ), რომელთაც, განაზოგადებდნენ რა იმას, რაც ხდებოდა, არ შეეძლოთ არ ეღიარებინათ, რომ კლასების ბრძოლა წარმოადგენს გასაღებს საფრანგეთის მთელი ისტორიის გასაგებად. ხოლო უახლესმა ეპოქამ, ბურჟუაზიის სრული გამარჯვების, წარმომადგენლობითი დაწესებულებების, ფართო (თუ საყოველთაო არა) საარჩევნო უფლების, იაფი, მასებში გავრცელებული, ყოველდღიური პრესის და მისთანათა ეპოქამ, მუშათა ძლიერი და სულ უფრო და უფრო ფართო კავშირების და მეწარმეთა კავშირების ეპოქამ და სხვა, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა (თუმცა ზოგჯერ მეტად ცალმხრივი, «მშვიდობიანი», «კონსტიტუციური» ფორმით) კლასების ბრძოლა, როგორც მოვლენათა მამოძრავებელი ძალისა. მარქსის «კომუნისტური მანიფესტის» შემდეგი ადგილი გვიჩვენებს, თუ თანამედროვე საზოგადოების თვითეული კლასის მდგომარეობის ობიექტური ანალიზის რა მოთხოვნებს უყენებდა მარქსი, თვითეული კლასის განვითარების პირობების ანალიზთან დაკავშირებით, საზოგადოებრივ მეცნიერებას: «ყველა იმ კლასთა შორის, რომელნიც დღეს ბურჟუაზიის პირისპირ დგანან, მხოლოდ პროლეტარიატია ნამდვილად რევოლუციური კლასი. ყველა სხვა კლასი უძლურდება და ისპობა მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად; პროლეტარიატი კი ამ მრეწველობის საკუთარი პროდუქტია.

საშუალო წოდებები: წვრილი მრეწველი, წვრილი ვაჭარი, ხელოსანი, გლეხი — ყველა ესენი ებრძვიან ბურჟუაზიას, რათა დაღუპვისაგან იხსნან თავიანთი არსებობა როგორც საშუალო წოდებებისა. მაშასადამე, ისინი რევოლუციური კი არა, კონსერვატიული არიან. კიდევ მეტიც, — ისინი რეაქციული არიან: ისინი ცდილობენ ისტორიის ჩარხი უკან მიატრიალონ. თუ ისინი რევოლუციური არიან, — ეს იმდენად, რამდენადაც მათ მოელით პროლეტარიატის რიგებში გადასვლა, რამდენადაც ისინი იცავენ თავიანთ არა ახლანდელ ინტერესებს, არამედ სამერმისო ინტერესებს: რამდენადაც ისინი ტოვებენ თავიანთ საკუთარ თვალსაზრისს, რათა პროლეტარიატის თვალსაზრისზე დადგნენ». მთელ რიგ ისტორიულ თხზულებებში (იხ. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა) მარქსმა მოგვცა ბრწყინვალე და ღრმა ნიმუშები მატერიალისტური ისტორიოგრაფიისა, თ ვ ი თ ე უ ლ ი ცალკეული კლასის და ზოგჯერ კლასის შიგნით სხვადასხვა ჯგუფისა და ფენის მდგომარეობის ანალიზისა, და ცხადად დაგვანახა, თუ რატომ და როგორ «არის ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლა». ჩვენ მიერ მოყვანილი ნაწყვეტი ნათელყოფს, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა და ერთი კლასიდან მეორისაკენ, წარსულიდან მომავლისაკენ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი საფეხურების რა რთულ ქსელს უკეთებს ანალიზს მარქსი ისტორიული განვითარების მთელი ტოლქმედის მხედველობაში მისაღებად.

მარქსის თეორიის ყველაზე ღრმა, ყოველმხრივსა და დეტალურ დადასტურებას და გამოყენებას წარმოადგენს მისი ეკონომიური მოძღვრება.

მარქსის ეკონომიური მოძღვრება

«ჩემი თხზულების საბოლოო მიზანს, — ამბობს მარქსი «კაპიტალის» წინასიტყვაობაში, — შეადგენს თანამედროვე საზოგადოების», ე. ი. კაპიტალისტური, ბურჟუაზიული საზოგადოების, «განვითარების ეკონომიური კანონის აღმოჩენა». მოცემული, ისტორიულად განსაზღვრული, საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა წარმოშობის, განვითარებისა

და დაცემის გამოკვლევა — ასეთია მარქსის ეკონომიური მოძღვრების შინაარსი. კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებულია საქონელთა წარმოება, და ამიტომაც მარქსის ანალიზი საქონლის ანალიზით იწყება.

ღირებულება

საქონელი, ჯერ ერთი, არის ნივთი, რომელიც ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს; მეორეც, იგი არის ნივთი, რომელიც სხვა ნივთზე იცვლება. ნივთის სასარგებლობა ხდის მას სახმარ ღირებულებად. საცვლელი ღირებულება (ან უბრალოდ ღირებულება) უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს შეფარდებას, პროპორციას, რომელიც მყარდება ერთი სახის სახმარ ღირებულებათა განსაზღვრული რიცხვის გაცვლისას მეორე სახის სახმარ ღირებულებათა განსაზღვრულ რიცხვზე. ყოველდღიური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მილიონობით და მილიარდობით ასეთი გაცვლა მუდამ ერთიმეორეს უთანასწორებს ყველა და ყოველგვარ, სულ სხვადასხვანაირ და ერთიმეორესთან შეუდარებელ, სახმარ ღირებულებებს. მაშრა არის საერთო ამ სხვადასხვაგვარ ნივთებს შორის, რომელთაც მუდამ ერთიმეორეს უთანასწორებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ სისტემაში? მათ შორის საერთოა ის, რომ ისინი შრომის პროდუქტები არიან. პროდუქტების გაცვლისას ადამიანები ერთიმეორეს უთანასწორებენ შრომის სრულიად სხვადასხვა სახეს. საქონელთა წარმოება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაა, როცა ცალკეული მწარმოებლები სხვადასხვანაირ პროდუქტებს ქმნიან (შრომის საზოგადოებრივი დანაწილება), და ყველა ეს პროდუქტი ერთიმეორეს უთანასწორდება გაცვლისას. მაშასადამე, ის საერთო, რაც ყოველ საქონელშია, არის არა წარმოების განსაზღვრული დარგის კონკრეტული შრომა, არა ერთი სახის შრომა, არამედ ადამიანის აბსტრაქტული შრომა, ადამიანის შრომა საერთოდ. ამა თუ იმ საზოგადოების მთელი სამუშაო ძალა, წარმოდგენილი ყველა საქონლის ღირებულებათა ჯამით, არის ადამიანის ერთი და იგივე სამუშაო ძალა:

ამას ამტკიცებს გაცვლის მილიარდობით ფაქტი. და, მაშასადამე, ყოველი ცალკე საქონელი მხოლოდ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი-ვ ა დ-ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი სამუშაო დროის განსაზღვრულ ნაწილს წარმოადგენს. ღირებულების სიდიდე განისაზღვრება საზოგადოებრივად-აუცილებელი შრომის რაოდენობით ან სამუშაო დროით, რაც საზოგადოებრივად-აუცილებელია ამა თუ იმ საქონლის, ამა თუ იმ სახმარი ღირებულების საწარმოებლად. «როცა ადამიანები გაცვლისას თავიანთ სხვადასხვა პროდუქტს ერთმანეთს უთანასწორებენ, ამით ისინი ერთმანეთს უთანასწორებენ თავიანთი შრომის სხვადასხვა სახეს. მათ ეს შეგნებული არა აქვთ, მაგრამ ისინი ამას სჩადიან». ღირებულება არის ურთიერთობა ორ პირს შორის — როგორც თქვა ერთმა ძველმა ეკონომისტმა; ოღონდ მას უნდა დაემატებინა: ურთიერთობა, დაფარული ნივთიერი გარსით. მხოლოდ საზოგადოების ერთი განსაზღვრული ისტორიული ფორმაციის საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობათა სისტემის თვალსაზრისით, ისიც ისეთ ურთიერთობათა, რომელნიც გაცვლის მასობრივი, მილიარდჯერ განმეორებული მოვლენით მყღავნდება, შეიძლება გავიგოთ, თუ რა არის ღირებულება. «როგორც ღირებულება, საქონელი გაკრისტალებული სამუშაო დროის განსაზღვრულ რაოდენობას წარმოადგენს». საქონელში განსახიერებული შრომის ორმაგი ხასიათის დეტალური ანალიზის შემდეგ მარქსი გადადის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ფ ო რ მ ი ს ა და ფ უ ლ ი ს ანალიზზე. აქ მარქსის მთავარი ამოცანაა ღირებულების ფულადი ფორმის წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს შესწავლა, გაცვლის განვითარების ი ს ტ ო რ ი უ ლ ი პ რ ო ც ე ს ი ს შესწავლა, დაწყებული მისი ცალკეული, შემთხვევითი აქტებით («ღირებულების მარტივი, ცალკეული ან შემთხვევითი ფორმა»: ერთი საქონლის განსაზღვრული რაოდენობა იცვლება მეორე საქონლის განსაზღვრულ რაოდენობაზე) ღირებულების საყოველთაო ფორმამდე, როცა მთელი რიგი სხვადასხვა საქონელი იცვლება ერთსა და იმავე განსაზღვრულ საქონელზე, და ღირებულების ფულად ფორმამდე, როცა ეს განსაზღვრული საქო-

ნელი, საყოველთაო ეკვივალენტი, ოქროა. ფული, როგორც გაცვლისა და სასაქონლო წარმოების განვითარების უმაღლესი პროდუქტი, ფარავს, ჩქმალავს კერძო მუშაობის საზოგადოებრივ ხასიათს, საზოგადოებრივ კავშირურთიერთობას ბაზრით გაერთიანებულ ცალკე მწარმოებლებს შორის. მარქსი უაღრესად დეტალურ ანალიზს უკეთებს ფულის სხვადასხვა ფუნქციას, ამასთან აქაც (როგორც საერთოდ «კაპიტალის» პირველ თავებში) განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გადმოცემის აბსტრაქტული და ხანდახან ვითომდა წმინდა დედუქციური ფორმა ნამდვილად ემყარება გიგანტურ ფაქტობრივ მასალას გაცვლისა და სასაქონლო წარმოების განვითარების ისტორიიდან. «ფული გულისხმობს საქონლის გაცვლა-გამოცვლის განსაზღვრულ დონეს. ფულის სხვადასხვა ფორმა — საქონლის უბრალო ეკვივალენტი ან მიმოქცევის საშუალება ან გადახდის საშუალება, განძი და მსოფლიო ფული — იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის გამოყენებული ესა თუ ის ფუნქცია, რომელი მათგანი სჭარბობს შედარებით, მიუთითებს წარმოების საზოგადოებრივი პროცესის სულ სხვადასხვა საფეხურზე» («კაპიტალი», I).

ზედმეტი ღირებულება

სასაქონლო წარმოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ფული კაპიტალად იქცევა. საქონლის მიმოქცევის ფორმულა იყო: ს (საქონელი) — ფ (ფული) — ს (საქონელი), ე. ი. ერთი საქონლის გაყიდვა მეორის საყიდლად. კაპიტალის საერთო ფორმულას, პირიქით, წარმოადგენს: ფ—ს—ფ, ე. ი. ყიდვა გასაყიდად (მოგებით). მარქსი ზედმეტ ღირებულებას უწოდებს ბრუნვაში გაშვებული ფულის პირვანდელი ღირებულების ამ ზრდას. კაპიტალისტურ ბრუნვაში ფულის «ზრდის» ეს ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია. სწორედ ეს «ზრდა» აქცევს ფულს კ ა პ ი ტ ა ლ ა დ, როგორც წარმოების განსაკუთრებულ, ისტორიულად განსაზღვრულ, საზოგადოებრივ ურთიერთობას. ზედმეტი ღირებულება შეუძლებელია წარმოიშვას საქონლის მიმოქცევიდან, რადგან

ამ უკანასკნელმა იცის მხოლოდ ეკვივალენტების გაცვლა, შეუძლებელია წარმოიშვას ფასის ნამატიდანაც, რადგან გამყიდველთა და მყიდველთა ურთიერთ წაგება და მოგება ერთმანეთს გააწონასწორებდა, ლაპარაკი კი სწორედ მასობრივ, საშუალო, საზოგადოებრივ და არა ინდივიდუალურ მოვლენაზეა. ზედმეტი ღირებულების მისაღებად «ფულის პატრონმა ბაზარზე უნდა იშოვოს ისეთი საქონელი, რომლის სახმარ ღირებულებასაც ექნებოდა ორიგინალური თვისება — ყოფილიყო ღირებულების წყარო», ისეთი საქონელი, რომლის მოხმარების პროცესი იმავე დროს ღირებულების შექმნის პროცესიც იქნებოდა. ასეთი საქონელიც არსებობს. ეს არის ადამიანის სამუშაო ძალა. მისი მოხმარება არის შრომა, შრომა კი ქმნის ღირებულებას. ფულის მფლობელი სამუშაო ძალას ყიდულობს მისი ღირებულების მიხედვით, რომელიც, ყოველი სხვა საქონლის ღირებულების მსგავსად, განისაზღვრება იმ საზოგადოებრივად-აუცილებელი სამუშაო დროით, რაც საჭიროა მის საწარმოებლად (ე. ი. განისაზღვრება მუშისა და მისი ოჯახის შენახვის ღირებულებით). ფულის მფლობელს, რომელმაც სამუშაო ძალა იყიდა, უფლება აქვს მოიხმაროს იგი, ე. ი. აიძულოს იგი იმუშაოს მთელი დღე, ვთქვათ, 12 საათი. მუშა 6 საათის განმავლობაში («აუცილებელი» სამუშაო დრო) ქმნის პროდუქტს, რომელიც მის შესანახ ხარჯებს ანაზღაურებს, ხოლო შემდგომი 6 საათის განმავლობაში («ზედმეტი» სამუშაო დრო) ქმნის კაპიტალისტის მიერ გადაუხდელ «ზედმეტ» პროდუქტს ან ზედმეტ ღირებულებას. მაშასადამე, წარმოების პროცესის თვალსაზრისით, კაპიტალში აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ორი ნაწილი: მუდმივი კაპიტალი, რომელიც იხარჯება წარმოების საშუალებებზე (მანქანებზე, შრომის იარაღებზე, ნედლ მასალაზე და სხვ.) — მისი ღირებულება (ერთბაშად ან ნაწილ-ნაწილ) უცვლელად გადადის მზა პროდუქტზე — და ცვალებადი კაპიტალი, რომელიც იხარჯება სამუშაო ძალაზე. ამ კაპიტალის ღირებულება უცვლელი კი არ რჩება, არამედ იზრდება შრომის პროცესში და ქმნის ზედმეტ ღირებულებას. ამიტომ კაპიტალის მიერ

სამუშაო ძალის ექსპლოატაციის დონის გამოსახატავად ზედმეტი ღირებულება უნდა შევადაროთ არა მთელს კაპიტალს, არამედ მხოლოდ ცვალებად კაპიტალს. ზედმეტი ღირებულების ნორმა, როგორც მარქსი უწოდებს ამ შეფარდებას, ჩვენს მაგალითში იქნება $\frac{6}{6}$, ე. ი. 100%.

კაპიტალის წარმოშობის ისტორიულ წანამძღვარს წარმოადგენს, ჯერ ერთი, განსაზღვრული ფულადი თანხის დაგროვება ცალკეულ პირთა ხელში საერთოდ სასაქონლო წარმოების განვითარების შედარებით მაღალი დონისას და, მეორეც, საჭიროა არსებობდეს ორნაირი აზრით «თავისუფალი» მუშა, თავისუფალი ყოველგვარი შევიწროებისა და შეზღუდვისაგან სამუშაო ძალის გაყიდვაში და თავისუფალი მიწისაგან და საერთოდ წარმოების საშუალებებისაგან, ბატონისაგან თავისუფალი მუშა, მუშა-«პროლეტარი», რომელსაც მხოლოდ სამუშაო ძალის გაყიდვით შეუძლია იარსებოს.

ზედმეტი ღირებულების გადიდება შეიძლება ორი ძირითადი ხერხით: სამუშაო დღის გადიდებით («აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება») და აუცილებელი სამუშაო დღის შემცირებით («შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება»). მარქსი ანალიზს უკეთებს პირველ ხერხს და გადაგვიშლის იმის გრანდიოზულ სურათს, თუ როგორ იბრძოდა მუშათა კლასი სამუშაო დღის შემცირებისათვის და როგორ ერეოდა საქმეში სახელმწიფო ხელისუფლება სამუშაო დღის გასადიდებლად (XIV — XVII საუკუნეები) და მის შესამცირებლად (XIX საუკუნის საფაბრიკო კანონმდებლობა). მას შემდეგ, რაც «კაპიტალი» გამოქვეყნდა, მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყნის მუშათა მოძრაობის ისტორიამ მოგვცა მრავალი ათასი ახალი ფაქტი ამ სურათის საილუსტრაციოდ.

მარქსი ანალიზს უკეთებს შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოებას და იკვლევს კაპიტალიზმის მიერ შრომის ნაყოფიერების გადიდების სამ ძირითად ისტორიულ სტადიას: 1) მარტივ კოოპერაციას; 2) შრომის დანაწილებასა და მანუფაქტურას; 3) მანქანებსა და მსხვილ მრეწველობას.

თუ რაოდენ ღრმად გამოააშკარავა აქ მარქსმა კაპიტალიზმის განვითარების ძირითადი, ტიპობრივი ნიშნები, ჩანს, სხვათა შორის, იქიდან, რომ რუსეთის ეგრეთწოდებული «შინამრეწველობის» გამოკვლევანი იძლევიან უმდიდრეს მასალას სამი დასახელებული სტადიიდან პირველი ორი სტადიის საილუსტრაციოდ. ხოლო მსხვილი მანქანური ინდუსტრიის გამარევოლუციურებელი მოქმედება, მარქსის მიერ 1867 წელს აწერილი, გამოაშკარავდა მას შემდეგ განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე მთელ რიგ «ახალ» ქვეყნებში (რუსეთი, იაპონია და სხვ.).

შემდეგ. უაღრესად მნიშვნელოვანი და ახალია მარქსის ნაწერებში **კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დ ა გ რ ო ვ ე ბ ი ს**, ე. ი. ზედმეტი ღირებულების ნაწილის კაპიტალად გადაქცევის, ანალიზი, მისი მოხმარება არა კაპიტალისტის პირადი საჭიროების ან ჟინის დასაკმაყოფილებლად, არამედ ახალი წარმოებისათვის. მარქსმა დაგვანახა შეცდომა მთელი წინანდელი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიისა (დაწყებული ადამ სმიტიდან), რომელსაც ეგონა, რომ მთელი ზედმეტი ღირებულება, რომელიც კაპიტალად იქცევა, ცვალებად კაპიტალს ხმარდებაო. ნამდვილად კი იგი იყოფა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ა დ პლუს ცვალებადი კაპიტალი. კაპიტალიზმის განვითარებისა და მისი სოციალიზმად გადაქცევის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუდმივი კაპიტალის წილის უფრო სწრაფ ზრდას (კაპიტალის საერთო ჯამში) ცვალებადი კაპიტალის წილთან შედარებით.

კაპიტალის დაგროვება, რომელიც აჩქარებს მუშების განდევნას მანქანის მიერ და ქმნის ერთ პოლუსზე სიმდიდრეს, ხოლო მეორე პოლუსზე სიღატაკეს, წარმოშობს აგრეთვე ეგრეთწოდებულ «მუშათა სარეზერვო არმიას», მუშების «შეფარდებითს სიჭარბეს» ანუ «კაპიტალისტურ ჭარბმოსახლეობას», რაც მეტისმეტად სხვადასხვანაირ ფორმას იღებს და კაპიტალს შესაძლებლობას აძლევს ძალიან სწრაფად გააფართოოს წარმოება. ეს შესაძლებლობა, კრედიტთან და წარმოების საშუალებათა სახით კაპიტალის დაგროვებასთან

დაკავშირებით, სხვათა შორის, გასაღებს იძლევა ჭარბი წარმოების კ რ ი ზ ი ს ე ბ ი ს გასაგებად; ეს კრიზისები პერიოდულად ხდებოდა კაპიტალისტურ ქვეყნებში თავდაპირველად საშუალოდ 10 წელიწადში ერთხელ, ხოლო შემდეგ უფრო ხანგრძლივი და ნაკლებ გარკვეული დროის მანძილზე. კაპიტალიზმის ბაზისზე კაპიტალის დაგროვებისაგან უნდა განვასხვავოთ ეგრეთწოდებული პირვანდელი დაგროვება: მუშაკის ძალდატანებითი მოწყვეტა წარმოების საშუალებათაგან, გლეხების აყრა მიწიდან, სათემო მიწების დატაცება, კოლონიებისა და სახელმწიფო ვალების, მფარველობითი ბაჟების და სხვ. სისტემა. «პირვანდელი დაგროვება» ერთ პოლუსზე ქმნის «თავისუფალ» პროლეტარს, ხოლო მეორეზე — ფულის პატრონს, კაპიტალისტს.

«კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი დ ა გ რ ო ვ ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი უ ლ ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ს» მარქსი შემდეგი შესანიშნავი სიტყვებით ახასიათებს: «უშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაცია ხდება ყველაზე დაუნდობელი ვანდალიზმით და ფრიად საზიზღარ, ფრიად ბინძურ, ფრიად წვრილმან და ფრიად ცოფმორეულ ვნებათა ზემოქმედებით. მესაკუთრის» (გლეხისა და ხელოსნის) «პირადი შრომით მონაპოვარი კერძო საკუთრება, რომელიც დამყარებულია თვითეული დამოუკიდებელი მუშაკის, ასე ვთქვათ, შეზრდაზე თავის შრომის იარაღებთან და საშუალებებთან, განიდევნება კაპიტალისტური კერძო საკუთრებით, რომელიც დაფუძნებულია სხვისი, მაგრამ ფორმალურად თავისუფალი, სამუშაო ძალის ექსპლოატაციაზე... ახლა ექსპროპრიაცია მოელის უკვე არა მუშას, რომელიც დამოუკიდებლად აწარმოებს მეურნეობას, არამედ კაპიტალისტს, რომელიც ეწევა მრავალი მუშის ექსპლოატაციას. ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონების მოქმედებით, კაპიტალთა ცენტრალიზაციის გზით. ერთი კაპიტალისტი მრავალ კაპიტალისტს ანადგურებს. ამ ცენტრალიზაციასთან ანუ მრავალი კაპიტალისტის ექსპროპრიაციასთან ერთად, რასაც ახდენს კაპიტალისტთა მცირე რიცხვი, სულ უფრო და უფრო ფარ-

თო, დიდი მასშტაბით ვითარდება შრომის პროცესის კოოპერატიული ფორმა, ვითარდება მეცნიერების შეგნებული ტექნიკური გამოყენება, მიწის გეგმაზომიერი ექსპლოატაცია, შრომის საშუალებათა გადაქცევა შრომის ისეთ საშუალებებად, რომელთა გამოყენებაც მხოლოდ კოლექტიურად შეიძლება, წარმოების ყველა საშუალებათა ეკონომიზაცია კომბინირებული საზოგადოებრივი შრომის წარმოების საშუალებებად მათი გამოყენებით, ყველა ხალხთა ჩაბმა მსოფლიო ბაზრის ქსელში და ამასთან ერთად კაპიტალისტური რეჟიმის ინტერნაციონალური ხასიათი. კაპიტალის მაგნატების რიცხვის მუდმივ შემცირებასთან ერთად, რომელნიც ითვისებენ და თავის მონოპოლიად აქცევენ ამ გარდაქმნის პროცესის მთელ სარგებლობას, მასობრივად იზრდება სიღატაკე, ჩაგვრა, მონობა, გადაგვარება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე იზრდება აღშფოთება მუშათა კლასისა, რომელსაც წვრთნის, აერთიანებს და რაზმავს თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმი. კაპიტალის მონოპოლია ხდება წარმოების იმ წესის ბორკილად, რომელიც მის დროს და მისი ზეგავლენით შეიქმნა. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადება აღწევს იმ წერტილს, როდესაც ისინი ველარ თავსდებიან კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ახდენენ ‘ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციას» («კაპიტალი», ტ. I).

შემდეგ, უაღრესად მნიშვნელოვანი და ახალია მთლიანად აღებული საზოგადოებრივი კაპიტალის რეპროდუქციის ანალიზი, რასაც მარქსი იძლევა «კაპიტალის» II ტომში. აქაც მარქსი იღებს არა ინდივიდუალურ, არამედ მასობრივ მოვლენას, საზოგადოების ეკონომიის არა დანაწევრებულ ნაწილაკს, არამედ ერთობლივ მთელ ამ ეკონომიას. ასწორებს რა კლასიკოსების ზემოაღნიშნულ შეცდომას, მარქსი მთელ საზოგადოებრივ წარმოებას ჰყოფს ორ დიდ განყოფილებად: I) წარმოების საშუალებათა წარმოებად და II) მოხმარების საგნების წარმოებად და მის მიერ აღებული რიცხობრივი

მაგალითებით დეტალურად განიხილავს მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის მიმოქცევას მთლიანად, როგორც წინანდელ ფარგლებში რეპროდუქციის, ისე დაგროვების დროს. «კაპიტალის» III ტომში **მოგების საშუალო ნორმის** წარმოქმნის საკითხი გადაჭრილია ღირებულების კანონის საფუძველზე. ეკონომიური მეცნიერების უდიდეს წინსვლას, მარქსის სახით, წარმოადგენს ის, რომ ანალიზი წარმოებს მასობრივი ეკონომიური მოვლენების, საზოგადოებრივი მეურნეობის მთელი ერთობლიობის თვალსაზრისით და არა ცალკეული შემთხვევებისა ან კონკურენციის გარეგნული ზედაპირის თვალსაზრისით, რასაც ხშირად სჯერდება ხოლმე ვულგარული პოლიტიკური ეკონომია ან თანამედროვე «ზღვრული სარგებლიანობის თეორია». მარქსი ჯერ ანალიზს უკეთებს ზედმეტი ღირებულების წარმოშობას და უკვე შემდეგ გადადის მის დანაწილებაზე მოგებად, პროცენტად და მიწის რენტად. მოგება არის ზედმეტი ღირებულების შეფარდება საწარმოში დაბანდებულ მთელ კაპიტალთან. «მაღალი ორგანული შემადგენლობის» კაპიტალი (ე. ი. კაპიტალი, რომელშიც მუდმივი კაპიტალი სჭარბობს ცვალებადს საშუალო საზოგადოებრივზე მეტი ოდენობით) იძლევა მოგების საშუალოზე ნაკლებ ნორმას. «დაბალი ორგანული შემადგენლობის» კაპიტალი — საშუალოზე მეტს. კონკურენცია კაპიტალებს შორის, მათი თავისუფალი გადასვლა ერთი დარგიდან მეორეში მოგების ნორმას ორსავე შემთხვევაში საშუალოზე დაიყვანს. მოცემული საზოგადოების მთელი საქონლის ღირებულებათა ჯამი უდრის საქონლის ფასების ჯამს, მაგრამ ცალკეულ საწარმოებში და წარმოების ცალკეულ დარგებში საქონელი, კონკურენციის გავლენით, იყიდება არა მისი ღირებულების მიხედვით, არამედ **წარმოების ფასში** (ანუ საწარმოო ფასში), რომელიც უდრის დახარჯულ კაპიტალს პლუს საშუალო მოგება.

ამრიგად, ღირებულებისაგან ფასის დაშორებისა და მოგების თანასწორობის საყოველთაოდ ცნობილი და უდავო ფაქტი სავსებით ახსნილია მარქსის მიერ ღირებულების კანონ-

ნის საფუძველზე, რადგან ყველა საქონლის ღირებულებათა ჯამი უდრის ფასების ჯამს. მაგრამ (საზოგადოებრივ) ღირებულებათა გათანასწორება (ინდივიდუალურ) ფასებთან ხდება არა მარტივი, არა უშუალო, არამედ მეტად რთული გზით: სავსებით ბუნებრივია, რომ დაქსაქსულ საქონელმწარმოებელთა საზოგადოებაში, რომელნიც მხოლოდ ბაზრით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, კანონზომიერება სხვანაირად ვერ გამოვლინდება, თუ არა საშუალო, საზოგადოებრივი, მასობრივი კანონზომიერებით, როცა ხდება ამა თუ იმ მიმართულებით ინდივიდუალურ გადახრათა ურთიერთშეთანასწორება.

შრომის ნაყოფიერების გადიდება ნიშნავს მუდმივი კაპიტალის უფრო სწრაფ ზრდას ცვალებად კაპიტალთან შედარებით. ხოლო რადგან ზედმეტი ღირებულება არის მარტოოდენ ცვალებადი კაპიტალის ფუნქცია, გასაგებია, რომ მოგების ნორმას (ზედმეტი ღირებულების თანაფარდობას მთელ კაპიტალთან და არა მხოლოდ მის ცვალებად ნაწილთან) დაცემის ტენდენცია აქვს. მარქსი დაწვრილებითს ანალიზს უკეთებს ამ ტენდენციას და მთელ რიგ გარემოებებს, რომელნიც მას ჩქმალავენ ან მის წინააღმდეგ მოქმედებენ. ჩვენ არ შევჩერდებით III ტომის იმ მეტად საინტერესო განყოფილებათა გადმოცემაზე, რომლებიც მიძღვნილია სავაჭრო, სავაჭრო და ფულადი კაპიტალისადმი, და გადავალთ უმთავრესზე: **მიწის რენტის** თეორიაზე. მიწათმოქმედების პროდუქტთა წარმოების ფასი მიწის ფართობის შეზღუდულობის გამო, რომელიც კაპიტალისტურ ქვეყნებში მთლად დაკავებულია ცალკეულ მეპატრონეთა მიერ, განისაზღვრება არა საშუალო, არამედ უფრო ცუდ ნიადაგზე გაწეული საწარმოო ხარჯებით და ბაზარზე პროდუქტის მიტანის არა საშუალო, არამედ უფრო ცუდი პირობებით. განსხვავება ამ ფასსა და უკეთეს ნიადაგზე (ან უკეთეს პირობებში) წარმოების ფასს შორის იძლევა სხვაობითს ანუ დიფერენციულ რენტას. მარქსმა დეტალური ანალიზი გაუკეთა დიფერენციულ რენტას, დაგვანახა მისი წარმოშობა მიწის ცალკეული ნაკვეთების ნაყოფიერების განსხვავებისა და მიწაში კაპიტალის და-

ბანდების ოდენობის განსხვავებისას და საერთოდ გამოააშკარავა (იხ. აგრეთვე «ზედმეტი ღირებულების თეორიები», სადაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია როდბერტუსის კრიტიკა) რიკარდოს შეცდომა, თითქოს დიფერენციულ რენტას ვღებულობთ მხოლოდ უკეთესი მიწებიდან უარეს მიწებზე თანმიმდევრულად გადასვლისას. პირიქით, ხდება პირუკუ გადასვლებიც. ხდება მიწების ერთი თანრიგის გადაქცევა სხვა თანრიგებად (აგრიკულტურული ტექნიკის პროგრესის, ქალაქების ზრდის და სხვათა გამო), და დრმა შეცდომას, ბუნებისათვის კაპიტალიზმის ნაკლოვანებათა, შეზღუდულობათა და წინააღმდეგობათა თავზე მოხვევას წარმოადგენს ყბადაღებული «ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი». შემდეგ. მოგების თანასწორობა მრეწველობისა და საერთოდ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გულისხმობს კონკურენციის სრულ თავისუფლებას, კაპიტალის ერთი დარგიდან მეორეში გადასვლის თავისუფლებას. ამავე დროს კი მიწის კერძო საკუთრება ქმნის მონოპოლიას და ხელს უშლის ამ თავისუფალ გადასვლას. ამ მონოპოლიის გამო პროდუქტები სოფლის მეურნეობისა, რომელიც განირჩევა კაპიტალის უფრო დაბალი შემადგენლობით და, მაშასადამე, მოგების ინდივიდუალურად უფრო მაღალი ნორმით, არ შედის მოგების ნორმის გათანასწორების სავსებით თავისუფალ პროცესში: მიწის მესაკუთრეს, როგორც მონოპოლისტს, შესაძლებლობა ეძლევა საშუალოზე მაღალი ფასი შეინარჩუნოს, ეს მონოპოლიური ფასი კი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ რენტას წარმოშობს. დიფერენციული რენტის მოსპობა კაპიტალიზმის არსებობის დროს შეუძლებელია, აბსოლუტური რენტის მოსპობა კი შ ე ი ძ ლ ე ბ ა — მაგალითად, მიწის ნაციონალიზაციისას, მისი სახელმწიფოს საკუთრებად გადასვლისას. ასეთი გადასვლა იქნებოდა კერძო მესაკუთრეთა მონოპოლიისათვის ძირის გამოთხრა, იქნებოდა კონკურენციის თავისუფლების უფრო თანამიმდევრულად, უფრო სრულად განხორციელება მიწათმოქმედებაში. ამიტომაც რადიკალური ბურჟუები, — აღნიშნავს მარქსი, — ისტო-

რიაში არაერთგზის გამოსულან მიწის ნაციონალიზაციის ამ პროგრესული ბურჟუაზიული მოთხოვნით, მაგრამ ეს მოთხოვნა აფრთხობს ბურჟუაზიის უმრავლესობას, რადგან მეტისმეტად ახლო «ეხება» კიდევ მეორე, ჩვენი დროისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანსა და «მგრძნობიარე» მონოპოლიას: წარმოების საშუალებათა მონოპოლიას საერთოდ. (შესანიშნავად პოპულარულად, სხარტად და ნათლად გადმოგვცა თვითონ მარქსმა თავისი თეორია კაპიტალის საშუალო მოგებისა და მიწის აბსოლუტური რენტისა 1862 წლის 2 აგვისტოს წერილში ენგელსისადმი. იხ. «მიწერმოწერა», ტ. III, გვ. 77—81. შეადარეთ აგრეთვე 1862 წლის 9 აგვისტოს წერილი, იქვე, გვ. 86—87 [26].) — მიწის რენტის ისტორიისათვის საგულისხმოა აღვნიშნოთ აგრეთვე მარქსის მიერ მოცემული ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს შრომამიგებითი რენტის (როდესაც გლეხი თავისი შრომით მემამულის მიწაზე ქმნის ზედმეტ პროდუქტს) გადაქცევას რენტად პროდუქტების სახით ან ნატურით (გლეხი თავის მიწაზე ქმნის ზედმეტ პროდუქტს და აძლევს მას მემამულეს «არაეკონომიური იძულების» გამო), შემდეგ ფულად რენტად (იგივე რენტა ნატურით, გადაქცეული ფულად, ძველი რუსეთის «ღალად», სასაქონლო წარმოების განვითარების გამო) და, ბოლოს, კაპიტალისტურ რენტად, როცა გლეხის მაგივრად მიწათმოქმედებაში ჩნდება მეწარმე, რომელიც მიწას დაქირავებულ შრომით ამუშავებს. «მიწის კაპიტალისტური რენტის გენეზისის» ამ ანალიზთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს მარქსის მთელი რიგი ღრმა (და რუსეთსავით ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი) აზრები **მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის ევოლუციის** შესახებ. «ნატურალური რენტის ფულად რენტად გადაქცევას არათუ გარდუვალად თან სდევს, არამედ წინ უსწრებს კიდეც იმ ღატაკ დღიურ მუშათა კლასის წარმოშობა, რომელნიც ფულზე ქირავდებიან. ამ კლასის წარმოშობის პერიოდში, როდესაც იგი ჯერ კიდევ მხოლოდ სპორადულად ჩნდება, უფრო შეძლებულ, ღალავალდებულ გლეხებში ბუნებრივად ვითარ-

დება ჩვეულება თავის ხარჯზე აწარმოონ დაქირავებული სოფლელი მუშების ექსპლოატაცია — სავსებით იმგვარადვე, როგორც ფეოდალიზმის დროს შეძლებულ ყმა-გლეხებს თვითონაც ჰყავდათ ყმები. ამრიგად, ამ გლეხებს თანდათან შესაძლებლობა ეძლევათ დააგროვონ ერთგვარი ქონება და თვითონაც გადაიქცნენ მომავალ კაპიტალისტებად. მაშასადამე, მიწის ძველ მფლობელთა შორის, რომელნიც დამოუკიდებელ მეურნეობას ეწევიან, ჩნდება იმ კაპიტალისტ-მოიჯარეთა კერა, რომელთა განვითარებაც შეპირობებულია კაპიტალისტური წარმოების საერთო განვითარებით სოფლის **მეურნეობის გარეთ»** («კაპიტალი», III², 332)... «სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილის ექსპროპრიაცია და სოფლიდან განდევნა არა მარტო «ათავისუფლებს» სამრეწველო კაპიტალისათვის მუშებს, მათს საარსებო საშუალებებს, მათს შრომის იარაღებს, არამედ ქმნის შინაურ ბაზარსაც» («კაპიტალი», I², 778). სოფლის მოსახლეობის გაღატაკება და გაჩანაგება, თავის მხრივ, ასრულებს როლს კაპიტალისათვის მუშათა სარეზერვო არმიის შექმნის საქმეში. ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში «სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი ამიტომ მუდამ ქალაქის ან სამანუფაქტურო (ე. ი. არასამიწათმოქმედო) მოსახლეობად გადაქცევის გარდამავალ მდგომარეობაში იმყოფება. შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობის ეს წყარო არასოდეს არ შრება... სოფლის მუშას აძლევენ უდაბლეს ხელფასს, და იგი ერთი ფეხით მუდამ პაუპერიზმის ჭაობშია ჩაფლული» («კაპიტალი», I², 668). გლეხის კერძო საკუთრება იმ მიწაზე, რომელსაც იგი ამუშავებს, წარმოადგენს წვრილი წარმოების საფუძველს და მისი აყვავების, მის მიერ კლასიკური ფორმის მიღების პირობას. მაგრამ ეს წვრილი წარმოება შეეფერება წარმოებისა და საზოგადოების მხოლოდ ვიწრო პრიმიტიულ ჩარჩოებს. კაპიტალიზმის დროს «გლეხთა ექსპლოატაცია მხოლოდ ფორმით განირჩევა სამრეწველო პროლეტარიატის ექსპლოატაციისაგან. ექსპლოატატორი იგივე კაპიტალია. ცალკეული კაპიტალისტები ექსპლოატაციას უწევენ ცალკეულ გლეხებს ჰიპოტეკებისა და მევახშეობის საშუალებით; კაპიტა-

ლისტთა კლასი ექსპლოატაციას უწევს გლეხთა კლასს სახელმწიფო გადასახადების საშუალებით» («კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში»). «გლეხის პარცელა (მიწის მცირე ნაკვეთი) მხოლოდ საბაბს წარმოადგენს, რომელიც კაპიტალისტს საშუალებას აძლევს მიიღოს მიწიდან მოგება, პროცენტი და რენტა, ხოლო თვით მიწის მფლობელის საქმეა, როგორც სურს, ისე აინაზღაუროს თავისი ხელფასი» («18 ბრიუმერი»). ჩვეულებრივ გლეხი კაპიტალისტურ საზოგადოებას, ე. ი. კაპიტალისტთა კლასს, აძლევს ხელფასის ნაწილსაც კი და ეშვება «ირლანდიელი მოიჯარის დონემდე — კერძო მესაკუთრის სახით» («კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში»). რა არის «იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ იმ ქვეყნებში, სადაც წვრილი გლეხური მიწათმფლობელობა სჭარბობს, პურის ფასი უფრო დაბალია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც წარმოების კაპიტალისტური წესია გაბატონებული»? («კაპიტალი», III², 340). ის, რომ გლეხი საზოგადოებას (ე. ი. კაპიტალისტთა კლასს) მუქთად აძლევს ზედმეტი პროდუქტის ნაწილს. «მაშასადამე, ასეთი დაბალი ფასი (პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა) არის მწარმოებელთა სიღარიბის შედეგი და არავითარ შემთხვევაში არ არის მათი შრომის ნაყოფიერების შედეგი» («კაპიტალი», III², 340). კაპიტალიზმის დროს წვრილი მიწათსაკუთრება, წვრილი წარმოების ნორმალური ფორმა, ქვეითდება, ისპობა, იღუპება. «წვრილი მიწათსაკუთრება, არსებითად, გამორიცხავს: შრომის საზოგადოებრივი საწარმოო ძალების განვითარებას, შრომის საზოგადოებრივ ფორმებს, კაპიტალთა საზოგადოებრივ კონცენტრაციას, მესაქონლეობას დიდი მასშტაბით, მეცნიერების უფრო და უფრო მეტად გამოყენებას. მევახშეობა და ვადასახადების სისტემა ყველგან აუცილებლად იწვევს წვრილი მიწათსაკუთრების გაპარტახებას. კაპიტალის მოხმარა მიწის საყიდლად სპობს შესაძლებლობას ეს კაპიტალი გამოყენებულ იქნას მიწის კულტურისათვის. წარმოების საშუალებათა დაუსრულებელი დაქუცმაცება და თვით მწარმოებელთა გათიშვა». (კოოპერაციები, ე. ი. წვრილი გლეხების ამხანაგობანი,

რომელნიც უაღრესად პროგრესულ ბურჟუაზიულ როლს ასრულებენ, მხოლოდ ასუსტებენ ამ ტენდენციას, მაგრამ როდი სპობენ მას; არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ ეს კოოპერაციები ბევრს აძლევენ შეძლებულ გლეხებს და ძლიერ ცოტას, თითქმის არაფერს, ღარიბთა მასას, შემდეგ კი ამხანაგობანი თვით ხდებიან დაქირავებული შრომის ექსპლოატატორებად.) «ადამიანის ძალის გიგანტური განიავება. წარმოების პირობების სულ უფრო და უფრო გაუარესება და წარმოების საშუალებათა გაძვირება—აი პარცელური (წვრილი) საკუთრების კანონი». კაპიტალიზმი მიწათმოქმედებაშიც, ისევე როგორც მრეწველობაში, წარმოების პროცესს გარდაქმნის მხოლოდ «მწარმოებელთა მარტიროლოგიის» მეოხებით. «სოფლის მუშების გაფანტვა დიდ სივრცეზე სტეხს მათი წინააღმდეგობის გაწევის უნარს, მაშინ როდესაც ქალაქის მუშების კონცენტრაცია აძლიერებს ამ უნარს. თანამედროვე, კაპიტალისტურ, მიწათმოქმედებაშიც, ისევე როგორც თანამედროვე მრეწველობაში, შრომის საწარმოო ძალის გადიდება და შრომის ინტენსივობის გაძლიერება თვით სამუშაო ძალის განადგურებისა და გამოფიტვის ხარჯზე ხდება. გარდა ამისა, კაპიტალისტური მიწათმოქმედების ყოველი პროგრესი არის პროგრესი არა მარტო მუშის ძარცვის ხელოვნებისა, არამედ ნიადაგის ძარცვის ხელოვნებისაც... მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოება ავითარებს ტექნიკას და წარმოების საზოგადოებრივი პროცესის კომბინაციას მხოლოდ იმ გზით, რომ იმავე დროს იგი ძირს უთხრის ყოველი სიმდიდრის წყაროს: მიწას და მუშას» («კაპიტალი», I, მე-13 თავის დასასრული).

სოციალიზმი

ზემონათქვამიდან ჩანს, რომ კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევის გარდუვალობა მარქსს გამოჰყავს სავსებით და მარტოოდენ თანამედროვე საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონიდან. შრომის განსაზოგადება, რომელიც სულ უფრო და უფრო სწრაფად მიდის წინ ათასნაირი ფორმით და რომელიც იმ

ნახევარი საუკუნის მანძილზე, რამაც მარქსის სიკვდილიდან განვლო, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ აშკარავდება კაპიტალისტთა მსხვილი წარმოების, კარტელების, სინდიკატებისა და ტრესტების ზრდით, აგრეთვე ფინანსური კაპიტალის ოდენობისა და ძლიერების გიგანტური ზრდით, — აი სოციალიზმის გარდუვალი დამყარების მთავარი მატერიალური საფუძველი. ამ გარდაქმნის ინტელექტუალურ და მორალურ მამოძრავებელს, ფიზიკურ შემსრულებელს წარმოადგენს პროლეტარიატი, რომელსაც თვით კაპიტალიზმი ზრდის. მისი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რაც სხვადასხვანაირი და შინაარსით სულ უფრო და უფრო მდიდარი ფორმებით მეღავნდება, გარდუვალად იქცევა პოლიტიკურ ბრძოლად, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისაკენ («პროლეტარიატის დიქტატურა»). წარმოების განსაზოგადებას არ შეუძლია არ გამოიწვიოს წარმოების საშუალებათა გადასვლა საზოგადოების საკუთრებად, «ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია». შრომის ნაყოფიერების უდიდესი ზრდა, სამუშაო დღის შემცირება, წვრილი, პრიმიტიული, დაქუცმაცებული წარმოების ნაშთების, ნანგრევების შეცვლა კოლექტიური გაუმჯობესებული შრომით — აი ასეთი გადასვლის პირდაპირი შედეგები. კაპიტალიზმი საბოლოოდ წყვეტს მიწათმოქმედების კავშირს მრეწველობასთან, მაგრამ ამავე დროს იგი თავისი უმაღლესი განვითარებით ამზადებს ამ კავშირის ახალ ელემენტებს, იმის ელემენტებს, რომ მრეწველობა შეუერთდეს მიწათმოქმედებას მეცნიერების შეგნებულად გამოყენების და კოლექტიური შრომის კომბინაციის, კაცობრიობის ახალი განსახლების ნიადაგზე (ისე, რომ მოისპოს როგორც სოფლური მიყრუებულობა, მსოფლიოსაგან მოწყვეტილობა და გაველურებულობა, ისე უზარმაზარი მასების არაბუნებრივი თავმოყრა დიდ ქალაქებში). თანამედროვე კაპიტალიზმის უმაღლესი ფორმები ამზადებენ ოჯახის ახალ ფორმას, ქალის მდგომარეობის და მოზარდ თაობათა აღზრდის ახალ პირობებს: ქალისა და ბავშვის შრომა,

პატრიარქალური ოჯახის დაშლა კაპიტალიზმის მიერ გარდუვალად იღებს თანამედროვე საზოგადოებაში ყოველად საშინელ, შემაძრწუნებელ და საზიზღარ ფორმებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, «მსხვილი მრეწველობა, რომელიც გადამწყვეტ როლს აკუთვნებს ქალებს, ორივე სქესის მოზარდებსა და ბავშვებს, ოჯახის კერის ფარგლებს გარეთ, წარმოების საზოგადოებრივად ორგანიზებულ პროცესში, ქმნის ეკონომიურ საფუძველს ოჯახის და სქესთა ურთიერთობის უფრო მაღალი ფორმისათვის. რასაკვირველია, თანაბარი შეუსაბამობა იქნება ოჯახის აბსოლუტურ ფორმად მივიჩნიოთ მისი ქრისტიანულ-გერმანული ფორმა, ისევე როგორც ძველი რომაული ან ძველი ბერძნული, ანდა აღმოსავლური ფორმა, რომელნიც, სხვათა შორის, ერთიმეორესთან დაკავშირებით განვითარების ერთიან ისტორიულ მწკრივს ქმნიან. ცხადია, რომ კომბინირებულ მუშათა პერსონალში ორივე სქესისა და სხვადასხვა ასაკის ადამიანთა გაერთიანება, რომელიც დაღუპვისა და მონობის მოშხამულ წყაროს წარმოადგენს, სანამ იგი სტიქიურად შექმნილ, უხეშ, კაპიტალისტურ ფორმაშია, როდესაც მუშა წარმოების პროცესისათვის არსებობს და არა წარმოების პროცესი მუშისათვის, — სათანადო პირობებში, პირიქით, აუცილებლად ჰუმანური განვითარების წყაროდ უნდა გადაიქცეს» («კაპიტალი», I, მე-13 თავის დასასრული). საფაბრიკო სისტემა გვიჩვენებს «მომავლის ეპოქის აღზრდის ჩანასახს, როცა ყველა ბავშვისათვის განსაზღვრული ასაკის ზევით საწარმოო შრომა შეერთებული იქნება სწავლასა და გიმნასტიკასთან არა მარტო როგორც ერთ-ერთი საშუალება საზოგადოებრივი წარმოების გასადიდებლად, არამედ აგრეთვე როგორც ერთადერთი საშუალება ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა შესაქმნელად» (იქვე). ეროვნებისა და სახელმწიფოს საკითხებსაც მარქსის სოციალიზმი იმავე ისტორიულ ნიადაგზე სვამს, არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ახსნას წარსული, არამედ იმ აზრითაც, რომ უშიშრად განჭვრიტოს მომავალი მისი განხორციელებისაკენ მიმართული გაბედული პრაქ-

ტიკული მოღვაწეობისათვის. ერები საზოგადოებრივი განვითარების ბურჟუაზიული ეპოქის აუცილებელი პროდუქტი და აუცილებელი ფორმაა. და მუშათა კლასს არ შეეძლო განმტკიცებულიყო, დავაჟკაცებულიყო, დარაზმულიყო, თუ არ «მოეწყობოდა ერის ფარგლებში», თუ «ნაციონალური» არ იქნებოდა («თუმცა სრულიადაც არა იმ გაგებით, როგორც ეს ბურჟუაზიას ესმის»). მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება სულ უფრო და უფრო ამსხვრევს ეროვნულ ზღუდეებს, სპობს ეროვნულ განკერძოებულობას, ეროვნული ანტაგონიზმების ადგილას აყენებს კლასობრივ ანტაგონიზმებს. ამიტომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის, რომ «მუშებს სამშობლო არა აქვთ» და რომ ყოველ შემთხვევაში ცივილიზებული ქვეყნების მუშათა «ძალების შეერთება» «პროლეტარიატის განთავისუფლების ერთ-ერთი უპირველესი პირობაა» («კომუნისტური მანიფესტი»). სახელმწიფო, ეს ორგანიზებული ძალადობა, გარდუვალად წარმოიშვა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როდესაც საზოგადოება გაითიშა შეურიგებელ კლასებად, როდესაც მას არ შეეძლო არსებობა «უხელისუფლებოდ», რომელიც ვითომ საზოგადოებაზე მაღლა დგას და რამდენიმედ განცალკევებულია მისგან. კლასობრივ წინააღმდეგობათა შიგნით წარმოშობილი სახელმწიფო იქცევა იმ «უძლიერესი, ეკონომიურად გაბატონებული კლასის სახელმწიფოდ, რომელიც მისი შემწეობით პოლიტიკურადაც გაბატონებულ კლასად იქცევა და ამრიგად ახალ საშუალებებს იძენს ჩაგრული კლასის დამორჩილებისა და ექსპლოატაციისათვის. ასე, ანტიკური სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, მონათმფლობელთა სახელმწიფო იყო, მონების დასამორჩილებლად შექმნილი, ფეოდალური სახელმწიფო იყო თავადაზნაურობის ორგანო ყმა-გლეხების დასამორჩილებლად, ხოლო თანამედროვე წარმომადგენლობითი სახელმწიფო არის კაპიტალისტების მიერ დაქირავებული მუშების ექსპლოატაციის იარაღი» (ენგელსი, «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა», სადაც იგი თავისსა და მარქსის შეხედუ-

ლებებს გადმოგვცემს). ბურჟუაზიული სახელმწიფოს თვით ყველაზე თავისუფალი და პროგრესული ფორმა, დემოკრატიული რესპუბლიკა, სრულიადაც არ სპობს ამ ფაქტს, არამედ მხოლოდ ცვლის მის ფორმას (მთავრობის კავშირი ბირჟასთან, მოხელეებისა და პრესის პირდაპირი და არაპირდაპირი მოსყიდვა და სხვ.). სოციალიზმს, მივყავართ რა კლასების მოსპობისაკენ, ამით სახელმწიფოს მოსპობისაკენაც მივყავართ. «პირველი აქტი, — წერს ენგელსი «ანტი-დიურინგში», — რომლითაც სახელმწიფო გამოდის მართლაც როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელი — წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაცია მთელი საზოგადოების სასარგებლოდ, — იმავე დროს იქნება მისი უკანასკნელი დამოუკიდებელი აქტი, როგორც სახელმწიფოსი. სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევა საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალ და ახალ დარგებში ზედმეტი გახდება და თავისთავად შეწყდება. ადამიანთა მართვა შეიცვლება საგანთა მართვით და საწარმოო პროცესის მოწესრიგებით. სახელმწიფო კი არ «გაუქმდება», იგი ნელნელა მოკვდება». «საზოგადოება, რომელიც წარმოებას მოაწყობს მწარმოებელთა თავისუფალი და თანასწორი ასოციაციების საფუძველზე, სახელმწიფო მანქანას დადგამს იქ, სადაც მაშინ მისი ადგილი იქნება: სიძველეთა მუზეუმში, თითისტარისა და ბრინჯაოს ნაჯახის გვერდით» (ენგელსი, «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა»).

ბოლოს, იმ საკითხზე, თუ როგორია მარქსის სოციალიზმის დამოკიდებულება წვრილი გლეხობისადმი, რომელიც დარჩება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის ეპოქაში, უნდა აღინიშნოს ენგელსის განცხადება, სადაც ის მარქსის აზრებს გამოხატავს: «როდესაც ჩვენ სახელმწიფო ხელისუფლებას დავეუფლებით, აზრადაც კი არ მოგვივა ძალდატანებით მოვახდინოთ წვრილ გლეხთა ექსპროპრიაცია (სულ ერთია, ანაზღაურებით თუ აუნაზღაურებლად), როგორც ჩვენ იძულებული ვიქნებით ეს გავაკეთოთ მსხვილი მიწათმფლობელების მიმართ. ჩვენი ამოცანა წვრილი გლეხების მიმართ უწინარეს ყოვლისა ის იქნება, რომ მათი კერძო წარმოება და კერძო

საკუთრება გადავიყვანოთ საამხანაგო საკუთრებად, მაგრამ არა ძალდატანებით, არამედ მაგალითის ჩვენებითა და საზოგადოებრივი დახმარების გაწევით ამ მიზნისათვის. და მაშინ ჩვენ, რა თქმა უნდა, საკმაო საშუალება გვექნება, რათა დავუმტკიცოთ გლეხს ასეთი გადასვლის ყველა უპირატესობა, რასაც მას ახლაც უნდა განვუმარტავდეთ» (ენგელსი: «აგრარული საკითხისათვის დასავლეთში», გამოც. ალექსეევასი, გვ. 17, რუსულ თარგმანში შეცდომებია. ორიგინალი «Neue Zeit»-ში *).

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკა

მარქსი, რომელმაც ჯერ კიდევ 1844 — 1845 წლებში გამოააშკარავა ძველი მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მას უნარი არ შესწევდა გაეგო რევოლუციური პრაქტიკული მოღვაწეობის პირობები და დაეფასებინა მისი მნიშვნელობა, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, თეორიულ მუშაობასთან ერთად, მუდმივად აქცევდა ყურადღებას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკის საკითხებს. ამ მხრივ დიდძალ მასალას იძლევა მარქსის ყველა თხზულება და განსაკუთრებით 1913 წელს გამოცემული მისი ოთხტომიანი მიწერმოწერა ენგელსთან. ეს მასალა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ შეკრებილი, ერთად თავმოყრილი, შესწავლილი და დამუშავებული. ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ მეტად ზოგადი და მოკლე შენიშვნებით უნდა დავკმაყოფილდეთ, ამასთან ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მატერიალიზმის **ამ** მხარის გარეშე მარქსი სამართლიანად თვლიდა მას ნახევრულ, ცალმხრივ, მკვდარ მატერიალიზმად. პროლეტარიატის ტაქტიკის ძირითად ამოცანას მარქსი განსაზღვრავდა თავისი მატერიალისტურ-დიალექტიკური მსოფლმხედველობის ყველა დებულების ზუსტი შესაბამისობით. მოწინავე კლასის სწორი ტაქტიკის დასაყრდენს შეიძ-

* — «ახალი დროება». რ ე დ.

ლება წარმოადგენდეს მხოლოდ ობიექტური გათვალისწინება მოცემული საზოგადოების უკლებლივ ყველა კლასის ურთიერთდამოკიდებულებათა მთელი ერთობლიობისა და, მაშასადამე, გათვალისწინება ამ საზოგადოების განვითარების ობიექტური საფეხურისა და გათვალისწინება მისი და სხვა საზოგადოებათა ურთიერთდამოკიდებულებისა. ამასთან ყველა კლასი და ყველა ქვეყანა განიხილება არა სტატიკური, არამედ დინამიკური სახით, ე. ი. არა უძრავ მდგომარეობაში, არამედ მოძრაობაში (რომლის კანონებიც გამომდინარეობენ თვითეული კლასის არსებობის ეკონომიური პირობებიდან). მოძრაობა თავის მხრივ განიხილება არა მარტო წარსულის თვალსაზრისით, არამედ მომავლის თვალსაზრისითაც და ამასთან არა «ევოლუციონისტების» გაცვეთილი გაგებით, რომლებიც მხოლოდ ნელ ცვლილებებს ხედავენ, არამედ დიალექტიკურად: «დიდ ისტორიულ განვითარებაში 20 წელი ერთ დღეს უდრის, — სწერდა მარქსი ენგელსს, — თუმცა შემდეგ შეიძლება ისეთი დღეები დადგეს, რომლებშიც ოც-ოცი წელი იქნება განხორციელებული» («მიწერმოწერა», ტ. III, გვ. 127) [27]. განვითარების ყოველ საფეხურზე, ყოველ მომენტში პროლეტარიატის ტაქტიკამ უნდა გაითვალისწინოს კაცობრიობის ისტორიის ეს ობიექტურად აუცილებელი დიალექტიკა: ერთი მხრივ, გამოიყენოს მოწინავე კლასის შეგნების, ძალისა და ბრძოლის უნარის განვითარებისათვის პოლიტიკური მოდუნებისა ან კუს ნაბიჯით მავალი, ეგრეთწოდებული «მშვიდობიანი», განვითარების ეპოქები, ხოლო მეორე მხრივ, მთელი მუშაობა ამ გამოყენებისათვის აწარმოოს ამ კლასის მოძრაობის «საბოლოო მიზნის» მიმართულებით და იქეთკენ, რომ გამოიმუშაოს მასში უნარი დიდი ამოცანების პრაქტიკულად გადაჭრისა იმ დიდ დღეებში, «რომლებშიც ოც-ოცი წელია განხორციელებული». განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საკითხზე მარქსის ორი მსჯელობა, ერთი «ფილოსოფიის სილატაკიდან» პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლისა და ეკონომიური ორგანიზაციების გამო, მეორე «კომუნისტური მანიფეს-

ტიდან» პროლეტარიატის პოლიტიკური ამოცანების გამო. პირველი ამბობს: «მსხვილი მრეწველობა ერთ ადგილას უყრის თავს უამრავ, ერთმანეთისათვის უცნობ, ადამიანს. კონკურენცია სთიშავს მათს ინტერესებს. მაგრამ ხელფასის დაცვა, ეს საერთო ინტერესი მათი პატრონის მიმართ, აერთიანებს მათ წინააღმდეგობის გაწევის, კოალიციის ერთი საერთო იდეით... კოალიციები, თავდაპირველად იზოლირებულნი, ყალიბდებიან ჯგუფებად, და მუშების მიერ თავისი კავშირების დაცვა მუდმივ გაერთიანებული კაპიტალის წინააღმდეგ უფრო აუცილებელი ხდება მათთვის, ვიდრე ხელფასის დაცვა... ამ ბრძოლაში — ნამდვილ სამოქალაქო ომში — ერთიანდება და ვითარდება ყველა ელემენტი მომავალი ბრძოლისათვის. ამ პუნქტს რომ მიაღწევს, კოალიცია პოლიტიკურ ხასიათს იღებს». აქ ჩვენს წინაშეა ეკონომიური ბრძოლისა და პროფესიული მოძრაობის პროგრამა და ტაქტიკა რამდენიმე ათეული წლისათვის, მთელი იმ ხანგრძლივი ეპოქისათვის, როდესაც მზადდება პროლეტარიატის ძალები «მომავალი ბრძოლისათვის». ამას უნდა შევადაროთ მარქსისა და ენგელსის მრავალი მითითება ინგლისის მუშათა მოძრაობის მაგალითზე, თუ როგორ იწვევს სამრეწველო «აყვავება» ცდებს — «მოისყიდონ მუშები» (I, 136, «მიწერმოწერა ენგელსთან») [28], ჩამოაშორონ ისინი ბრძოლას; თუ საზოგადოდ როგორ «ხრწნის მორალურად მუშებს» ეს აყვავება (II, 218); თუ როგორ «ბურჟუავდება» ინგლისის პროლეტარიატი — «ყველა ერიდან ყველაზე ბურჟუაზიულ» (ინგლისელ) «ერს, როგორც ჩანს, სურს ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანოს, რომ ბურჟუაზიის გვერდით იყოლიოს ბურჟუაზიული არისტოკრატია და ბურჟუაზიული პროლეტარიატი» (II, 290) [29]; თუ როგორ უქრება მას «რევოლუციური ენერგია» (III, 124); თუ როგორ ცოტად თუ ბევრად დიდი ხნის ლოდინია საჭირო, რომ «ინგლისელი მუშები განთავისუფლდნენ მოჩვენებითი ბურჟუაზიული გახრწნისაგან» (III, 127); თუ როგორ აკლია ინგლისის მუშათა მოძრაობას «ჩარტისტების მგზნებარება» (1866; III, 305) [30]; თუ როგორ იქმნე-

ბიან ინგლისელი მუშების ბელადები საშუალო ტიპის მიხედვით, რომელიც «რადიკალურ ბურჟუასა და მუშას შორის დგას» (ჰოლიოკის შესახებ, IV, 209); თუ როგორ «ვერაფერს გააწყობ ბრიტანელ მუშებთან» ინგლისის მონოპოლიის გამო და სანამ ეს მონოპოლია არ გამსკდარა (IV, 433)[31]. ეკონომიური ბრძოლის ტაქტიკა მუშათა მოძრაობის საერთო მსვლელობასთან (დ ა შ ე დ ე გ თ ა ნ) დაკავშირებით აქ განიხილება შესანიშნავად ფართო, ყოველმხრივი, დიალექტიკური, ჭეშმარიტად რევოლუციური თვალსაზრისით.

«კომუნისტურმა მანიფესტმა» პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკის შესახებ წამოაყენა მარქსიზმის ძირითადი დებულება: «კომუნისტები იბრძვიან მუშათა კლასის უახლოესი მიზნებისა და ინტერესების გულისათვის, მაგრამ ამავე დროს მოძრაობის მომავალსაც იცავენ». ამის გულისათვის მარქსი 1848 წელს მხარს უჭერდა პოლონეთში «აგრარული რევოლუციის» პარტიას, «სწორედ იმ პარტიას, რომელმაც კრაკოვის 1846 წლის აჯანყება გამოიწვია». გერმანიაში მარქსი 1848 — 1849 წლებში მხარს უჭერდა უკიდურეს რევოლუციურ დემოკრატიას, და შემდეგ მას არასოდეს არ უარუყვია ის, რაც მაშინ ტაქტიკის შესახებ თქვა. გერმანიის ბურჟუაზიას მარქსი განიხილავდა როგორც ისეთ ელემენტს, რომელიც «იმთავითვე იხრებოდა ხალხის ღალატისაკენ» (მხოლოდ გლეხობასთან კავშირს შეეძლო უზრუნველეყო ბურჟუაზიისათვის მისი ამოცანების მთლიანად განხორციელება) «და ძველი საზოგადოების გვირგვინოსან წარმომადგენლებთან კომპრომისისაკენ». აი მარქსის მიერ მოცემული დასკვნითი ანალიზი გერმანიის ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში; ანალიზი, რომელიც სხვათა შორის წარმოადგენს ნიმუშს მატერიალიზმისას, რომელიც საზოგადოებას განიხილავს მოძრაობაში და ამასთან მოძრაობის არა მარტო იმ მხრიდან, რომელიც მიმართულია უ კ ა ნ:... «საკუთარი თავის რწმენას, ხალხის რწმენას მოკლებული; ზედაფენების წინაშე მობუზღუნე, ქვედაფენების წინაშე მთრთოლვარე;...

ძსოფლიო ქარიშხლით დაშინებული; ყველგან უენერგიო, ყველგან პლაგიატორი;... უინიციატივო;... შეჩვენებული მოხუცი, რომელსაც მისჯილი აქვს, რომ თავისი ბებრული ინტერესების გულისათვის უხელმძღვანელოს ახალგაზრდა და ჯანსაღი ხალხის ახალგაზრდულ პირველ გატაცებას»... («ახალი რეინის გაზეთი», 1848 წელი, იხ. «ლიტერატურული მემკვიდრეობა», ტ. III, გვ. 212)[32]. დაახლოებით 20 წლის შემდეგ წერილში ენგელსისადმი (III, 224) მარქსი 1848 წლის რევოლუციის წარუმატებლობის მიზეზად იმას აცხადებდა, რომ ბურჟუაზიამ მონობასთან ზავი ამჯობინა თავისუფლებისათვის ბრძოლის მარტოოდენ პერსპექტივასაც კი. როდესაც 1848 — 1849 წლების რევოლუციების ეპოქა დამთავრდა, მარქსმა გაილაშქრა რევოლუციობანას ყოველგვარი თამაშის წინააღმდეგ (შაპერ — ვილიხი და ბრძოლა მათთან); ის მოითხოვდა გამოეჩინათ მუშაობის უნარი ახალ ეპოქაში, რომელიც ვითომდა-«მშვიდობიანად» ამზადებდა ახალ რევოლუციებს. თუ რანაირად მოითხოვდა მარქსი ამ მუშაობის წარმოებას, ჩანს შემდეგი შეფასებიდან, რასაც იგი აძლევს გერმანიის მდგომარეობას უაღრესად შავბნელი რეაქციის დროს, 1856 წელს: «მთელი საქმე გერმანიაში დამოკიდებული იქნება პროლეტარული რევოლუციისათვის გლეხთა ომის რომელიმე მეორე გამოცემით მხარის დაჭერის შესაძლებლობაზე» («მიწერმოწერა ენგელსთან», II. 108)[33]. სანამ გერმანიაში დემოკრატიული (ბურჟუაზიული) რევოლუცია არ იყო დამთავრებული, მარქსი სოციალისტური პროლეტარიატის ტაქტიკაში მთელ ყურადღებას გლეხობის დემოკრატიული ენერგიის განვითარებისაკენ წარმართავდა. ლასალს ის თვლიდა ისეთ ადამიანად, რომელიც «ობიექტურად ღალატობს მუშათა მოძრაობას პრუსიის სასარგებლოდ» (III, 210) სხვათა შორის სწორედ იმიტომ, რომ ლასალი იჩენდა კეთილგანწყობილებას მემამულეებისა და პრუსიული ნაციონალიზმისადმი. «საძაგლობაა», — წერდა ენგელსი 1865 წელს, უზიარებდა რა მარქსს თავის აზრს პრესაში მათი მომავალი საერთო გამოსვლის გამო, —

«სამიწათმოქმედო ქვეყანაში მხოლოდ ბურჟუებს დაესხა თავს სამრეწველო მუშების სახელით და დაივიწყო სოფლის მუშების პატრიარქალური, «ცემა-ტყეპაზე დამყარებული ექსპლოატაცია» ფეოდალური თავადაზნაურობის მიერ» (III, 217)[34]. 1864 — 1870 წლების პერიოდში, როდესაც დასასრულს უახლოვდებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამთავრების ეპოქა გერმანიაში, ამ რევოლუციის ზ ე ვ ი დ ა ნ დამთავრების ამა თუ იმ წესისათვის პრუსიისა და ავსტრიის ექსპლოატატორული კლასების ბრძოლის ეპოქა, მარქსი არათუ ჰკიცხავდა ლასალს, რომელიც ბისმარკს ელაქუცებოდა, არამედ უსწორებდა ლიბკნეხტსაც, რომელიც «ავსტროფილობას» იჩენდა და პარტიკულარიზმს იცავდა; მარქსი მოითხოვდა რევოლუციურ ტაქტიკას, რომელიც თანაბარი ულმობლობით შეებრძოლებოდა ბისმარკსაც და ავსტროფილებსაც, ტაქტიკას, რომელიც კი არ შეეგუებოდა «გამარჯვებულს» — პრუსიელ იუნკერს, არამედ დაუყოვნებლივ განაახლებდა რევოლუციურ ბრძოლას მის წინააღმდეგ პრუსიის სამხედრო გამარჯვებებით შექმნილ ნ ი ა დ ა გ ზ ე დ ა ც («მიწერმოწერა ენგელსთან», III, 134, 136, 147, 179, 204, 210, 215, 418, 437, 440 — 441)[35]. ინტერნაციონალის 1870 წლის 9 სექტემბრის ცნობილ მიმართვაში მარქსი აფრთხილებდა საფრანგეთის პროლეტარიატს ნაადრევი აჯანყების წინააღმდეგ, მაგრამ, როცა აჯანყება მაინც დაიწყო (1871 წ.), მარქსი აღტაცებით მიესალმა მასების რევოლუციურ ინიციატივას, რომლებსაც «იერიში მიჰქონდათ ზეცის წინააღმდეგ» (მარქსის წერილი კუგელმანისადმი). რევოლუციური გამოსვლის დამარცხება ამ სიტუაციაში, ისევე როგორც მრავალ სხვა სიტუაციაში, მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით, ნაკლები ბოროტება იყო პროლეტარული ბრძოლის საერთო მსვლელობისა და შ ე დ ე გ ი ს ა თ ვ ი ს, ვიდრე დაკავებულ პოზიციაზე უარისთქმა, უბრძოლველად დანებება: ასეთი დანებება გამოიწვევდა პროლეტარიატის დემორალიზაციას, შეკვეცდა მისი ბრძოლის უნარს. სავსებით აფასებ-

და რა ბრძოლის ლეგალურ საშუალებათა გამოყენებას პოლიტიკური უძრაობისა და ბურჟუაზიული ლეგალობის ბატონობის ეპოქებში, მარქსი 1877 — 1878 წლებში, მას შემდეგ, რაც გამოიცა განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ, მკაცრად გმობდა მოსტის «რევოლუციურ ფრაზას», მაგრამ არა ნაკლები, თუ უფრო მეტი სიმკაცრით არა, თავს ესხმოდა ოპორტუნიზმს, რაც მაშინ დროებით დაეუფლა ოფიციალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც ერთბაშად ვერ გამოიჩინა სიმედგრე, სიმტკიცე, რევოლუციურობა, მზადყოფნა — განსაკუთრებული კანონის პასუხად გადასულიყო არალეგალურ ბრძოლაზე («მარქსის წერილები ენგელსისადმი», IV, 397, 404, 418, 422, 424 [36]. იხ. აგრეთვე წერილები ზორგესადმი).

ლიტერატურა

მარქსის თხზულებებისა და წერილების სრული კრებული დღემდე ჯერ კიდევ არ არის გამოცემული. რუსულ ენაზე გადმოთარგმნილია მარქსის ნაწარმოებთა უფრო მეტი ნაწილი, ვიდრე რომელიმე სხვა ენაზე. ამ ნაწარმოებთა ქვემომოყვანილი სია შედგენილია ქრონოლოგიური წესით. 1841 წელს ეკუთვნის მარქსის დისერტაცია ეპიკურეს ფილოსოფიის შესახებ (შესულია სიკვდილის შემდგომ გამოცემაში «ლიტერატურული მემკვიდრეობა», მასზე ქვემოთ). ამ დისერტაციაში მარქსი ჯერ კიდევ სავსებით დგას იდეალისტურ-ჰეგელიანურ თვალსაზრისზე. 1842 წელს ეკუთვნის მარქსის სტატიები «რეინის გაზეთში» (კელნი), განსაკუთრებით კრიტიკა იმ კამათისა, რომელიც გაიმართა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ რეინის მეექვსე ლანდტაგში, შემდეგ — ხე-ტყის ქურდობის შესახებ კანონის გამო, მერმე: თეოლოგიისაგან პოლიტიკის განთავისუფლების დაცვა და სხვა (შევიდა ნაწილობრივ «ლიტერატურულ მემკვიდრეობაში»). აქ ისახება მარქსის გადასვლა იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმისაკენ. 1844 წელს პარიზში მარქსისა და არნოლდ რუგეს რედაქციით გამოდის «გერმანულ-ფრანგული წელიწდეული», სადაც საბოლოოდ ხდება ზემოაღნიშნული გადასვლა. განსაკუთრებით შესა-

ნიშნავია მარქსის სტატიები: «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესავალი» (გარდა «ლიტერატურული მემკვიდრეობისა» არის ცალკე გამოცემა ბროშურად) და «ებრაელთა საკითხისათვის» (აგრეთვე; ბროშურად, გამომცემლობა «ზნანიე», «იაფფასიანი ბიბლიოთეკა» № 210). 1845 წელს მარქსი და ენგელსი ერთად სცემენ (მაინის ფრანკფურტში) ბროშურას: «წმიდა ოჯახი. ბრუნო ბაუერისა და მისი კომპ. წინააღმდეგ» (გარდა «ლიტერატურული მემკვიდრეობისა» არის რუსულად ორი ცალკე გამოცემა ბროშურად, გამომცემლობა «ნოვი გოლოს», სპბ. 1906, და «ვესტნიკ ზნანია», სპბ. 1907 წ.). 1845 წ. გაზაფხულს ეკუთვნის მარქსის თეზისები ფეიერბახის შესახებ (დაბეჭდილია ფრ. ენგელსის ბროშურის «ლუდვიგ ფეიერბახის» დამატებაში; არის რუსული თარგმანი). 1845 — 1847 წლებში მარქსი წერდა მთელ რიგ სტატიებს (რომლებიც მეტწილად არ არის შეგროვებული, გამოცემული და რუსულ ენაზე გადმოთარგმნილი) გაზეთებში: «Vorwärts» *, — იცემოდა პარიზში, «Brüsseler Deutsche Zeitung» ** (1847), «Das Westphälische Dampfboot» (Bielefeld, 1845 — 1848) ***, «Der Gesellschaftsspiegel» (1846, Elberfeld) ****. 1847 წელს ბრიუსელსა და პარიზში გამოიცა მარქსის ძირითადი თხზულება პრუდონის წინააღმდეგ: «ფილოსოფიის სიღატაკე. პასუხი ბ-ნ პრუდონის «სიღატაკის ფილოსოფიაზე»» (რუსულად არის სამი გამოცემა «ნოვი მირისა», ერთი — გ. ლვოვიჩისა, ერთი — ალექსეევასი, ერთი — «პროსვეშჩენიესი», ყველა 1905 — 1906 წლებში). 1848 წელს ბრიუსელში გამოიცა «სიტყვა ვაჭრობის თავისუფლების შესახებ» (არის რუსული თარგმანი) და შემდეგ ლონდონში, ფრ. ენგელსთან თანამშრომლობით, სახელგანთქმული «მანიფესტი კომუნის-

* — «წინ». რ ე დ.

** — «ბრიუსელის გერმანული გაზეთი». რ ე დ.

*** — «ვესტფალის გემი» (ბილეფელდი, 1845 — 1848). რ ე დ.

**** — «საზოგადოების სარკე» (1846, ელბერფელდი). რ ე დ.

ტური პარტიისა», გადათარგმნილი ევროპის თითქმის ყველა ენაზე და ნაწილობრივ მსოფლიოს სხვა ქვეყნების ენებზე (რუსული თარგმანის დაახლოებით 8 გამოცემაა 1905 — 1906 წლებში, «მოლოტისა», «კოლოკოლისა», ალექსეევასი და სხვ., მეტწილად კონფისკაციაქმნილი, სხვადასხვა სახელწოდებით: «კომ. მანიფ.», «კომუნიზმის შესახებ», «საზოგადოებრივი კლასები და კომუნიზმი», «კაპიტალიზმი და კომუნიზმი», «ისტორიის ფილოსოფია»; მარქსის ამ, აგრეთვე სხვა ნაწარმოებთა სრული და ყველაზე ზუსტი თარგმანი იხ. მეტწილად «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის საზღვარგარეთულ გამოცემებში). 1848 წ. 1 ივნისიდან 1849 წ. 19 მაისამდე კელნში გამოდიოდა «რეინის ახალი გაზეთი», რომლის მთავარი რედაქტორი ფაქტიურად იყო მარქსი. მარქსის მრავალრიცხოვანი სტატიები, დაბეჭდილი ამ გაზეთში, რომელიც დღევანდლამდე რჩება რევოლუციური პროლეტარიატის საუკეთესო, უბადლო ორგანოდ, არ არის შეგროვებული და მთლიანად გამოცემული. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტატიები შევიდა «ლიტერატურულ მემკვიდრეობაში». ცალკე ბროშურად მრავალგზის გამოიცა მარქსის სტატიები ამ გაზეთიდან «დაქირავებული შრომა და კაპიტალი» (რუსულად 4 გამოცემა, კოზმანისა, «მოლოტისა», მიაგკოვისა და ლვოვიჩისა, 1905 — 1906 წწ.). იმავე გაზეთიდან: «ლიბერალები ხელისუფლების სათავეში» (გამომცემლობა «ზნანიე», «იაფფასიანი ბიბლიოთეკა» № 272. სპბ. 1906). 1849 წ. მარქსმა გამოსცა კელნში «ორი პოლიტიკური პროცესი» (ორი დასაცავი სიტყვა მარქსისა, რომელსაც ბრალდებოდა პრესის გამოყენების დარგში დანაშაული და მთავრობის მიმართ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისადმი მოწოდება, და რომელიც გამართლებულ იქნა მსაჯულთა სასამართლოს მიერ. რუსული თარგმანი — 5 გამოცემა 1905 — 1906 წწ., ალექსეევასი, «მოლოტისა», მიაგკოვისა, «ზნანიესი», «ნოვი მირისა»). 1850 წ. მარქსმა გამოსცა ჰამბურგში 6 ნომერი ჟურნალისა: «რეინის ახალი გაზეთი». აქედან უმნიშვნელოვანესი სტა-

ტიები შევიდა «ლიტერატურულ მემკვიდრეობაში». განსაკუთრებით შესანიშნავია მარქსის სტატიები, გამოცემული ცალკე ბროშურად ენგელსის მიერ 1895 წელს: «კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე» (რუსული თარგმანი, გამოცემა მ. მალიხისა, «ბიბლიოთეკა» № 59 — 60; აგრეთვე კრებულში: «ისტორიული ნაშრომების კრებული», თარგმანი ბაზაროვისა და სტეპანოვისა, გამოცემა სკირმუნტისა, სპბ. 1906 წ., იგივე: «აზრები და შეხედულებანი XX საუკუნის ცხოვრების შესახებ», სპბ. 1912 წ.). 1852 წელს ნიუ-იორკში გამოვიდა მარქსის ბროშურა: «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» (რუსული თარგმანი ზემოთ ახლა დასახელებულ კრებულებში). იმავე წელს ლონდონში: «მხილებანი კომუნისტების კელნის პროცესის გამო» (რუსული თარგმანი: «კომუნარების კელნის პროცესი», «პოპულარულ-სამეცნიერო ბიბლიოთეკა», № 43, სპბ. 1906, 28 ოქტ.). 1851 წლის აგვისტოდან 1862 წლამდე * მარქსი მუდმივი თანამშრომელი იყო ნიუ-იორკის გაზეთ «ტრიბუნისა» (**«The New York Tribune»**), სადაც ბევრი მისი სტატიათაგანი გამოქვეყნდა ხელმოუწერლად, როგორც სარედაქციო. განსაკუთრებით შესანიშნავია სტატიები: «რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში», გამოცემული, მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ, გერმანულად გადათარგმნილი (რუსული თარგმანი ორ კრებულად, თარგმანი ბაზაროვისა და სტეპანოვისა, შემდეგ ცალკე ბროშურად ხუთი გამოცემა 1905 — 1906 წლებში — ალექსეევასი, «ობშჩესტვენნაია პოლზისა», «ნოვი მირისა», «ვსეობშჩაია ბიბლიოტეკისა» და «მოლოტისა»). მარქსის ზოგიერთი სტატია,

---

* ენგელსი სტატიაში მარქსის შესახებ **«Handwörterbuch der Staatswissenschaften», Bd. 6, S.** 603 (**«სახელმწიფო მეცნიერებათა ლექსიკონი»**, ტომი 6, გვ. 603. რ ე დ.) და ბერნშტეინი სტატიაში მარქსის შესახებ **«ბრიტანეთის ენციკლოპედიის» 1911 წ. მე-11** გამოცემაში შეცდომით აღნიშნავენ **1853 — 1860 წწ. იხილეთ** მარქსისა და ენგელსის მიწერმოწერა, **გამოცემული 1913 წელს.**

«ტრიბუნაში» მოთავსებული, გამოიცა ლონდონში ცალკე ბროშურებად, მაგ., პალმერსტონის შესახებ 1856 წელს, «XVIII საუკუნის დიპლომატიური ისტორიის მხილებანი» (ლიბერალური პარტიის ინგლისელი მინისტრების მუდმივ ანგარებიან დამოკიდებულებაზე რუსეთისაგან) და სხვ. მარქსის სიკვდილის შემდეგ მისმა ქალიშვილმა ელეონორა ეველინგმა გამოსცა მისი მთელი რიგი სტატიები «ტრიბუნიდან» აღმოსავლეთის საკითხზე სათაურით: «The Eastern Question». London. 1897. («აღმოსავლეთის საკითხი»). ნაწილი გადმოთარგმნილია რუსულად: «ომი და რევოლუცია». ნაკვ. I. მარქსი და ენგელსი: «გამოუცემელი სტატიები (1852, 1853, 1854 წწ.)». ხარკოვი, 1919 (ბიბლიოთეკა «ნაშა მისლ»). 1854 წ. დამლევიდან და 1855 წ. განმავლობაში მარქსი თანამშრომლობდა გაზეთ «Neue Oder-Zeitung» *-ში, ხოლო 1861 — 1862 წწ. — ვენის გაზეთ «Presse» **-ში. ეს სტატიები შეგროვებული არ არის და მხოლოდ ნაწილობრივ გამოქვეყნდა «Neue Zeit»-ში, ისევე როგორც მარქსის ბევრი წერილი. ესევე ითქმის მარქსის სტატიებზე გაზეთ «Das Volk» ***-დან (ლონდონი, 1859 წ.) იტალიის 1859 წ. ომის დიპლომატიური ისტორიის შესახებ. 1859 წელს ბერლინში გამოვიდა მარქსის თხზულება: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის» (რუსული თარგმანი, მ. 1896 წ., მანუილოვის რედაქციით, და სპბ. 1907 წ., თარგმანი რუმიანცევისა). 1860 წელს ლონდონში გამოვიდა მარქსის ბროშურა «Herr Vogt» («ბ-ნი ფოგტი»).

1864 წელს ლონდონში გამოვიდა მარქსის მიერ დაწერილი «მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის მიმართვა» (არის რუსული თარგმანი). მარქსი ავტორი იყო ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს მრავალრიცხოვანი მანიფესტებისა, მიმართვებისა და რეზოლუციებისა. მთელი ეს მასალა ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის საკმაოდ დამუშავე-

* — «ოდერის ახალი გაზეთი». რ ე დ.

** — «პრესა». რ ე დ.

*** — «ხალხი». რ ე დ.

ბული და არც კი არის შეგროვებული. ამ სამუშაოს პირველ ნაბიჯს წარმოადგენს გ. იეკის წიგნი: «ინტერნაციონალი» (რუსული თარგმანი, სპბ. 1906, გამომცემლობა «ზნანიე»), სადაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია მარქსის ზოგიერთი წერილი და მის მიერ შედგენილ დადგენილებათა პროექტები. ინტერნაციონალის იმ დოკუმენტების რიცხვს, რომლებიც დაწერილია მარქსის მიერ, ეკუთვნის გენერალური საბჭოს მანიფესტი პარიზის კომუნის გამო, რაც 1871 წელს გამოვიდა ლონდონში ცალკე ბროშურად სათაურით: «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» (რუსული თარგმანი ლენინის რედაქციით, გამოცემა «მოლოტისა» და სხვა გამოცემანი). 1862 — 1874 წლების ეპოქას ეკუთვნის მარქსის მიწერმოწერა ინტერნაციონალის წევრთან კუგელმანთან (ორი გამოცემა რუსულად, ერთი — თარგმანი ა. გოიხბარგისა, მეორე — ლენინის რედაქციით). 1867 წელს ჰამბურგში გამოქვეყნდა მარქსის მთავარი თხზულება: «კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა». ტ. I. მეორე და მესამე ტომი გამოცემულია მარქსის სიკვდილის შემდეგ ენგელსის მიერ 1885 და 1894 წლებში. რუსული თარგმანი: ტომი I — ხუთი გამოცემა (ორი გამოცემა — დანიელსონის თარგმანი, 1872 და 1898 წლებში, ორი გამოცემა — ე. ა. გურვიჩისა და ლ. მ. ზაკის თარგმანი სტრუვეს რედაქციით, პირველი გამოცემა — 1899, მე-2 — 1905, ერთი გამოცემა — ბაზაროვისა და სტეპანოვის რედაქციით). ტ. II და III გამოვიდა დანიელსონის თარგმანით (ნაკლებ დამაკმაყოფილებელი) და თარგმანი ბაზაროვისა და სტეპანოვის რედაქციით (უკეთესი). 1876 წელს მარქსმა მონაწილეობა მიიღო ენგელსის წიგნის «ანტი-დიურინგის» შედგენაში (**«Herrn Eugen Dührings Umwälzung der Wissenschaft»**), ხელნაწერში გადასინჯა მთელი თხზულება და მთლიანად დაწერა პოლიტიკური ეკონომიის ისტორიისადმი მიძღვნილი თავი.

გარდა ამისა, მარქსის სიკვდილის შემდეგ გამოიცა შემდეგი მისი ნაწარმოებნი: «გოთას პროგრამის კრიტიკა» (სპბ. 1906 წ., გერმანულად «**Neue Zeit**»-ში, 1890/91, № 18).

«ხელფასი, ფასი და მოგება» (მოხსენება, წაკითხული 1865 წ. 26 ივნისს. «Neue Zeit», XVI, 1897/98, რუსული თარგმანი გამომცემლობა «მოლოტისა», 1906 წ., და ლვოვიჩისა, 1905 წ.). «კ. მარქსის, ფრ. ენგელსისა და ფ. ლასალის ლიტერატურული მემკვიდრეობა», 3 ტომი. შტუტგარტი. 1902. (რუსული თარგმანი აქსელროდის და სხვათა რედაქციით. 2 ტ. სპბ. 1908. I ტომი კიდევ ე. გურვიჩის რედაქციით, მ. 1907. ცალკე გამოცემულია ლასალის წერილები მარქსისადმი, შედის «ლიტერატურულ მემკვიდრეობაში»). «კ. მარქსის, ფ. ენგელსის და სხვათა წერილები ზორგესადმი» (ორი გამოცემა რუსულად, ერთი — აქსელროდის რედაქციით, მეორე — ლენინის წინასიტყვაობით, დაუგეს გამოცემა). «ზედმეტი ღირებულების თეორიები», 3 ტ. 4 ნაწილად, შტუტგარტი, 1905 — 1910, «კაპიტალის» მეოთხე ტომის ხელნაწერი, გამოცემული კაუცკის მიერ (რუსულად თარგმნილია მხოლოდ პირველი ტომი სამ გამოცემად: სპბ. 1906, პლეხანოვის რედაქციით; კიევი, 1906, ჟელეზნოვის რედაქციით; კიევი, 1907, ტუჩაპსკის რედაქციით). 1913 წელს შტუტგარტში გამოვიდა «კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიწერმოწერის» 4 დიდი ტომი, რომელიც შეიცავს 1844 წ. სექტემბრიდან 1883 წლის 10 იანვრამდე გასული პერიოდის 1386 წერილს და იძლევა უამრავ მეტისმეტად ძვირფას მასალას კ. მარქსის ბიოგრაფიისა და შეხედულებათა შესასწავლად. 1917 წელს გამოვიდა მარქსისა და ენგელსის ნაწერების 2 ტომი: 1852 — 1862 წლების სტატიები (გერმანულად). დასასრულ, მარქსის ნაწარმოებთა ამ სიის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ აქ არ შესულა კიდევ რამდენიმე უფრო პატარა სტატია და ცალკეული წერილი, მოთავსებული მეტწილად «Neue Zeit»-ში, «Vorwärts»-ში და სხვა პერიოდულ სოციალ-დემოკრატიულ გამოცემებში გერმანულ ენაზე; უეჭველია აგრეთვე, რომ სრული არ არის რუსულ ენაზე მარქსის ნაწარმოებთა ყველა თარგმანის სიაც, განსაკუთრებით 1905 — 1906 წლებში გამოცემული ბროშურებისა.

ლიტერატურა მარქსისა და მარქსიზმის შესახებ არაჩვეულებრივად დიდია. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ყველაზე არსებითს, ამასთან ავტორებს დავყოფთ სამ მთავარ ჯგუფად: მარქსისტებად, რომლებიც არსებითად მარქსის თვალსაზრისზე დგანან; ბურჟუაზიულ მწერლებად, რომლებიც მარქსიზმისადმი არსებითად მტრულად არიან განწყობილნი, და რევიზიონისტებად, რომლებიც ვითომ ცნობენ მარქსიზმის ამა თუ იმ საფუძველს, ნამდვილად კი ცვლიან მას ბურჟუაზიული შეხედულებებით. რევიზიონიზმის თავისებურ რუსულ ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ ნაროდნიკული დამოკიდებულება მარქსისადმი. ვ. ზომბარტს თავის «**Ein Beitrag zur Bibliographie des Marxismus**»-ში (**Archiv für Sozialwissenschaft und Sozialpolitik, XX, 2. Heft, 1905, S. S.** 413 — 430) * მოჰყავს 300 სახელწოდება საკმაოდ არასრულ სიაში. მის შესავსებად იხ. «**Neue Zeit**», 1883 — 1907 წწ. და შემდგომი წლების მაჩვენებლები. შემდეგ იხ. **Josef Stammhammer: «Bibliographie des Sozialismus und Kommunismus». Bd. I — III. Jena** (1893 — 1905) **. შემდეგ მარქსიზმის დაწვრილებითი ბიბლიოგრაფიისათვის შეიძლება კიდევ აღვნიშნოთ: «**Bibliographie der Sozialwissenschaften**». **Berlin. Jahrgang** 1, 1905 **u. ff.** ***. იხ. აგრეთვე ნ. ა. რ უ ბ ა კ ი ნ ი, «წიგნებს შორის» (ტ. II, მე-2 გამოც.). ჩვენ აქ მხოლოდ ყველაზე არსებითი მოგვყავს. მარქსის ბიოგრაფიის საკითხზე უნდა აღვნიშნოთ უწინარეს ყოვლისა ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი ს სტატიები «**Volkskalender**» ****-ში,

---

* — «მარქსიზმის ბიბლიოგრაფიისათვის» (სოციალური მეცნიერებისა და სოციალური პოლიტიკის არქივი, XX ტომი, მე-2 ნაკვეთი, 1905, გვ. 413 — 430). რ ე დ.

** — იოსებ შტამჰამერი. «სოციალიზმისა და კომუნიზმის ბიბლიოგრაფია», ტ. I — III. იენა (1893 — 1909). რ ე დ.

*** — «სოციალურ მეცნიერებათა ბიბლიოგრაფია». ბერლინი. გამოცემის წელი 1, 1905 და შემდეგი. რ ე დ.

**** — «სახალხო კალენდარი». რ ე დ.

რომელიც გამოსცა ბრაკემ ბრაუნშვეიგში 1878 წელს, და «Handwörterbuch der Staatswissenschaften»-ში. Bd. 6, S. 600—603. W. Liebknecht: «Karl Marx zum Gedächtniss». Nürnb. 1896. Lafargue: «K. Marx. Persönliche Erinnerungen». ვ. ლიბკნეხტი: «კარლ მარქსი». მე-2 გამოცემა. სპბ. 1906 წ. პ. ლაფარგი: «ჩემი მოგონებანი კ. მარქსის შესახებ». ოდესა. 1905. (იხ. ორიგ. «Neue Zeit»-ში IX, I). «კ. მარქსის ხსოვნას». სპბ. 1908, გვ. 410, ი. ნევზოროვის, ნ. როჟკოვის, ვ. ბაზაროვის, ი. სტეკლოვის, ა. ფინ-ენოტაევსკის, პ. რუმიანცევის, კ. რენერის, გ. როლანდ-ჰოლსტის, ვ. ილინის, რ. ლუქსემბურგის, გ. ზინოვიევის, ი. კამენევის, პ. ორლოვსკის და მ. ტაგანსკის სტატიათა კრებული. ფრ. მერინგი: «კარლ მარქსი». მარქსის ვრცელი ბიოგრაფია ინგლისურ ენაზე, შედგენილი ამერიკელი სოციალისტის სპარგოს მიერ (Spargo: «K. Marx, his life and work». London, 1911 *), არ არის დამაკმაყოფილებელი. მარქსის მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვა იხ. K. Kautsky: «Die historische Leistung von K. Marx. Zum 25. Todestag des Meisters». Berlin. 1908. რუსული თარგმანი: «კ. მარქსი და მისი ისტორიული მნიშვნელობა». სპბ., 1918. შეად. აგრეთვე პოპულარული ბროშურა Klara Zetkin: «K. M. und sein Lebenswerk» (1913) **. მოგონებანი მარქსზე: ანენკოვისა «ვესტნიკ ევროპი»-ში, 1880, № 4 (და «მოგონებანი», ტ. III. «შესანიშნავი ათწლედი». სპბ. 1882) და კარლ შურცისა «რუსსკოე ბოგატსტვოში». 1906, № 12; მ. კოვალევსკისა «ვესტნიკ ევროპი»-ში, 1909, VI და შემდეგ.

მარქსიზმის ფილოსოფიისა და ისტორიული მატერიალიზმის საკითხი უკეთესადაა გადმოცემული გ. ვ. პლეხანოვის წიგნში: «20 წლის მანძილზე». სპბ. 1909, მე-3 გამოც.; «თავდაცვიდან თავდასხმაზე». სპბ. 1910; «მარქსიზმის ძირითადი საკითხები».

* — სპარგო. «კ. მარქსი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა». ლონდონი, 1911. რედ.

** — კლარა ცეტკინი. «კარლ მარქსი და მისი ცხოვრების საქმე» (1913). რედ.

სპბ. 1908; «ჩვენი კრიტიკოსების კრიტიკა». სპბ. 1906; «ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის». სპბ. 1908, და სხვათა თხზულებანი. ა ნ ტ ო ნ ი ო ლ ა ბ რ ი ო ლ ა: «ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულების საკითხისათვის». სპბ. 1898. მ ი ს ი ვ ე: «ისტორიული მატერიალიზმი და ფილოსოფია». სპბ. 1906. ფ რ. მ ე რ ი ნ გ ი: «ისტორიული მატერიალიზმის შესახებ». სპბ. 1906 (2 გამოცემა: «პროსვეშჩენიესი» და «მოლოტისა»). მ ი ს ი ვ ე: «ლეგენდა ლესინგის შესახებ». სპბ. 1908 («ზნანიე»). იხ. აგრეთვე (არამარქსისტი) შ. ა ნ დ ლ ე რ ი: «კომუნისტური მანიფესტი. ისტორია, შესავალი, კომენტარი». სპბ. 1906. იხ. აგრეთვე «ისტორიული მატერიალიზმი». სპბ. 1908, ენგელსის, კაუცკის, ლაფარგის და მრავალ სხვათა სტატიების კრებული. ლ. ა ქ ს ე ლ რ ო დ ი: «ფილოსოფიური ნარკვევები. პასუხი ისტორიული მატერიალიზმის ფილოსოფიურ კრიტიკოსებს». სპბ. 1906. მარქსიზმისაგან დიცგენის მარცხგანცდილი გადახვევების სპეციალური დაცვა E. U n t e r m a n n-ის თხზულებაში «Die logischen Mängel des engeren Marxismus». München. 1910 * (753 გვ. — ვრცელი, მაგრამ არასერიოზული შრომა). H u g o R i e k e s: «Die philosophische Wurzel des Marxismus», «Zeitschrift für die gesamte Staatswissenschaft»-ში, 62. Jahrgang, 1906, 3. Heft, S. 407 — 432 **, საინტერესო ნაშრომი მარქსის შეხედულებათა მოწინააღმდეგისა, რომელიც გვიჩვენებს ამ შეხედულებათა ფილოსოფიურ მთლიანობას მატერიალიზმის თვალსაზრისით. B e n n o E r d m a n n: «Die philosophischen Voraussetzungen der materialistischen Geschichtsauffassung» «Jahrbuch für Gesetzgebung, Verwaltung und Volkswirt-

---

* — ე. უ ნ ტ ე რ მ ა ნ ი. «ორთოდოქსალური მარქსიზმის ლოგიკური ნაკლოვანებანი». მიუნხენი. 1910. რ ე დ.

** — ჰ უ გ ო რ ი კ ე ს ი. «მარქსიზმის ფილოსოფიური ფესვები» «სახელმწიფო მეცნიერებათა ჟურნალში», გამოცემის 62 წელი. 1906, მე-3 წიგნი, გვ. 407 — 432. რ ე დ.

schaft»-ში (Schmollers Jahrbuch). 1907, 3. **Heft, S. 1 — 56** * მარქსის ფილოსოფიური მატერიალიზმის ზოგიერთი ძირითადი დებულების მეტად სასარგებლო ფორმულირება და ჯამი საწინააღმდეგო მოსაზრებებისა კანტიანელობისა და საერთოდ აგნოსტიციზმის გავრცელებული თვალსაზრისით. **R. Stammler: «Wirtschaft und Recht nach der materialistischen Geschichtsauffassung».** 2 გამოც. **Lpz.** 1906 ** (კანტიანელი). ვოლტმანი: «ისტორიული მატერიალიზმი», რუს. თარგმანი, 1901 წ. (აგრეთვე კანტიანელი). ფორლენდერი: «კანტი და მარქსი». სპბ. 1909 (აგრეთვე). შდრ. აგრეთვე პოლემიკა, ერთი მხრივ, ა. ბოგდანოვსა, ვ. ბაზაროვსა და სხვებსა («მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები», სპბ. 1908. ა. ბოგდანოვი: «დიდი ფეტიშიზმის დაცემა». მ. 1909 და სხვა თხზ.) და, მეორე მხრივ, ვ. ილინს შორის («მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი». მოსკოვი. 1909). ისტორიული მატერიალიზმისა და ეთიკის საკითხზე: კ. კაუცკი: «ეთიკა და ისტორიის მატერიალისტური გაგება». სპბ. 1906 და კაუცკის სხვა მრავალი ნაწარმოები. შემდეგ **Boudin: «Das theoretische System von K. Marx» Stuttg.** 1909 (ლ. ბ. ბუდინი: «კ. მარქსის თეორიული სისტემა უახლესი კრიტიკის თვალსაზრისით», თარგმანი ინგლისურიდან ვ. ზასულიჩის რედაქციით. სპბ. 1908). **Hermann Gorter: «Der historische Materialismus»,** 1909 ***. მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა თხზულებებიდან აღვნიშნავთ ტუგან-ბარანოვსკის: «მარქსიზმის თეორიული საფუძვლები». სპბ. 1907. ს. პროკოპოვიჩი: «მარქსის კრიტიკისათვის». სპბ. 1901. **Hammacher: «Das**

---

* — ბენო ერდმანი. «ისტორიის მატერიალისტური გაგების ფილოსოფიური წანამძღვრები» «კანონმდებლობის, მმართველობისა და სახალხო მეურნეობის ყოველწლიურში» (შმოლერის ყოველწლიური). 1907, მე-3 წიგნი, გვ. 1 — 56. რედ.

** — რ. შტამლერი. «მეურნეობა და სამართალი ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისით». მე-2 გამოც. ლაიფციგი. 1906. რედ.

*** — ჰერმან გორტერი. «ისტორიული მატერიალიზმი», 1909. რედ.

philosophisch-ökonomische System des Marxismus» (Lpz. 1910 *, გვ. 730 — ციტატების კრებული). ვ. ზ ო მ ბ ა რ ტ ი: «სოციალიზმი და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნეში». სპბ. **M a x A d l e r** (კანტიანელი): **«Kausalität und Teleologie»** (Wien. 1909: **«Marx-Studien»**) და **«Marx als Denker»** **.

ყურადღების ღირსია წიგნი იდეალისტ-ჰეგელიანელის **G i o v. G e n t i l e**-სი: **«La philosophia di Marx»** (Pisa. 1899) *** — ავტორი აღნიშნავს მარქსის მატერიალისტური დიალექტიკის ზოგიერთ მნიშვნელოვან მხარეს, რომლებიც, ჩვეულებრივ ყურადღებიდან გამოეპარებათ ხოლმე კანტიანელებს, პოზიტივისტებს და სხვ., — და **L é v y**-სა: **«Feuerbach»** **** — მარქსის ერთ-ერთ უმთავრეს ფილოსოფიურ წინამორბედზე. მარქსის მთელ რიგ თხზულებათაგან ციტატების სასარგებლო კრებულს შეიცავს ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ი ს: «მარქსისტის სამახსოვრო წიგნაკი» სპბ. («დელო») 1908. მარქსის ეკონომიური მოძღვრების საკითხზე: კ. კ ა უ ც კ ი: «მარქსის ეკონომიური მოძღვრება» (მრავალი რუსული გამოცემა), მ ი ს ი ვ ე: «აგრარული საკითხი», «ერფურტის პროგრამა» და მრავალრიცხოვანი ბროშურები. შდრ. კიდევ ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ი: «მარქსის ეკონომიური მოძღვრება». «კაპიტალის» მე-3 ტომი (რუსული თარგმანი 1905); გ ა ბ რ ი ე ლ დ ე ვ ი ლ ი: «კაპიტალი» («კაპიტალის» I ტომის გადმოცემა, რუსული თარგმანი 1907). აგრარულ საკითხზე მარქსისტებს შორის ეგრეთწოდებული რევიზიონიზმის წარმომადგენელია ე. დ ა ვ ი დ ი: «სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა» (რუს. თარგმ. სპბ. 1902). რევიზიონიზმის კრი-

---

* — ჰ ა მ ა ხ ე რ ი. «მარქსიზმის ფილოსოფიურ-ეკონომიური სისტემა» (ლაიფციგი. 1910). რ ე დ.

** — მ ა ქ ს ა დ ლ ე რ ი. «მიზეზობრიობა და ტელეოლოგია» (ვენა. 1909. «გამოკვლევანი მარქსის შესახებ») და «მარქსი როგორც მოაზროვნე». რ ე დ.

*** — ჯ ო ვ ა ნ ი ჯ ე ნ ტ ი ლ ე. «მარქსის ფილოსოფია» (პიზა. 1899). **რ ე დ.**

**** — ლ ე ვ ი. «ფეიერბახი». **რ ე დ.**

ტიკა იხ. ვ. ი ლ ი ნ ი: «აგრარული საკითხი», ნაწ. I. სპბ. 1908. იხ. აგრეთვე ვ. ი ლ ი ნ ი: «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». მე-2 გამოც. სპბ. 1908, და მ ი ს ი ვ ე: «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები». სპბ. 1899. ვ. ი ლ ი ნ ი. «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ», ნაკვ. I. 1917. მარქსის შეხედულებათა მიყენება, ზოგიერთი გადახვევით, უახლესი მონაცემებისადმი საფრანგეთის აგრარული ურთიერთობის შესახებ იხ. **C o m p è r e-M o r e l: «La question agraire et le socialisme en France». Paris.** 1912 * (455 გვ.). მარქსის ეკონომიურ შეხედულებათა შემდგომი განვითარება სამეურნეო ცხოვრების უახლესი მოვლენების მიმართ იხ. ჰ ი ლ ფ ე რ დ ი ნ გ ი ს თხზულებაში «ფინანსური კაპიტალი». სპბ. 1911. (ღირებულების თეორიაზე ავტორის შეხედულებათა არსებითი შეცდომების გასწორება იხ. კაუცკისთან «**Neue Zeit**»-ში: «**Gold, Papier und Ware**» — «ოქრო, ქაღალდის ფული და საქონელი» — 30, I; 1912, S. 837, 886). ვ. ი ლ ი ნ ი: «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი». 1917 წ. არსებით პუნქტებში უხვევს მარქსიზმს პ. მ ა ს ლ ო ვ ი: «აგრარული საკითხი» (2 ტომი) და «სახალხო მეურნეობის განვითარების თეორია» (სპბ. 1910 წ.). ზოგიერთი ამ გადახვევის კრიტიკა იხ. კაუცკისთან «**Neue Zeit**»-ში, XXIX, 1, 1911, სტატია: «მალთუზიანიზმი და სოციალიზმი».

მარქსის ეკონომიური მოძღვრების კრიტიკა ბურჟუაზიულ პროფესორებს შორის ფართოდ გავრცელებული «ზღვრული სარგებლიანობის» თეორიის თვალსაზრისით: **B ö h m-B a w e r k: «Zum Abschluss des Marxschen Systems» (Brl. 1896 «Staatswiss. Arbeiten», Festgabe für K. Knies).** არის რუსული თარგმანი: სპბ. 1897, «მარქსის თეორია და მისი კრიტიკა», და **მ ი ს ი ვ ე «Kapital und Kapitalzins»**, 2 გამოც. **Insbr.** 1900 — 1902, 2 ტ. («კაპიტალი და მოგება». სპბ. 1909). შემდეგ იხ.:

---

* — **კ ო მ პ ე რ-მ ო რ ე ლ ი. «აგრარული საკითხი და სოციალიზმი საფრანგეთში». პარიზი. 1912. რ ე დ.**

Riekes: «Wert und Tauschwert» (1899) *; v. Bortkiewicz: «Wertrechnung u. Preisrechnung im Marxschen System» (Archiv f. Sozialw., 1906 — 1907) **; Leo v. Buch: «Über die Elemente d. polit. Ökonomie. I. Th. Die Intensität d. Arbeit, Wert u. Preis» *** (გამოცემულია აგრეთვე რუსულად). ბემ-ბავერკის კრიტიკის განხილვა მარქსისტული თვალსაზრისით: Hilferding: «Böhm-Bawerks Marx-Kritik» («Marx-Studien», Bd. I. Wien, 1904) **** და უფრო პატარა სტატიები «Neue Zeit»-ში.

მარქსიზმის განმარტებისა და განვითარების ორი მთავარი მიმართულების — «რევიზიონისტული» და რადიკალური («ორთოდოქსალური») მიმართულების საკითხზე, იხ. ედ. ბერნშტეინი: «სოციალიზმის წანამძღვრები და სოციალ-დემოკრატიის ამოცანები» (გერმ. ორიგ. Stuttg.1899; რუსული თარგმანი «ისტორიული მატერიალიზმი», სპბ. 1901. «სოციალური პრობლემები», მ. 1901), შდრ. აგრეთვე მისივე: «სოციალიზმის ისტორიისა და თეორიის ნარკვევები». სპბ. 1902. მისთვის გაცემული პასუხი: კ. კაუცკი: «ბერნშტეინი და სოც.-დემ. პროგრამა» (გერმ. ორიგ. Stuttg. 1899. რუს. თარგმ. 4 გამოცემა, 1905 — 1906 წლები). ფრანგული მარქსისტული ლიტერატურიდან: Jules Guesde: «Quatre ans de lutte des classes», «En garde!», «Questions d'hier et d'aujourd'hui» (Paris, 1911) *****; P. Lafargue: «Le déter-

* — რიკესი. «ღირებულება და საცვლელი ღირებულება» (1899). რედ.

** — ბორტკევიჩი. «ღირებულებისა და ფასების განსაზღვრა მარქსის სისტემაში» (სოციალურ მეცნიერებათა არქივი, 1906 — 1907). რედ.

*** — ლ. ბუხი. «პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი ელემენტები. I ნაწილი. შრომის ინტენსივობა, ღირებულება და ფასი». რედ.

**** — ჰილფერდინგი. «ბემ-ბავერკი როგორც მარქსის კრიტიკოსი» («გამოკვლევები მარქსის შესახებ», ტომი I, ვენა, 1904). რედ.

***** — ჟიულ გედი. «კლასობრივი ბრძოლის ოთხი წელი», «სადარაჯოზე!», «გუშინდელი და დღევანდელი დღის საკითხები» (პარიზი, 1911). რედ.

minisme économique de K. Marx» (Paris, 1909) *. Ant. Pannekoek: «Zwei Tendenzen in der Arbeiter-Bewegung» **.

კაპიტალის დაგროვების მარქსისტული თეორიის საკითხზე ახალი ნაშრომი: Rosa Luxemburg: «Die Akkumulation des Kapitals» (Brl. 1913) *** და გარჩევა მარქსის თეორიის არასწორი განმარტებისა მის მიერ: Otto Bauer: «Die Akkumulation des Kapitals» («Neue Zeit» 31 ტ., 1913, I, S.S. 831 u. 862)****. Eckstein «Vorwärts»-ში, 1913 და Pannekoek «Bremer Bürger-Zeitung»-ში, 1913.

ძველი რუსული ლიტერატურიდან მარქსის შესახებ: ბ. ჩიჩერინი: «გერმანელი სოციალისტები» ბეზობრაზოვის «სახელმწიფო ცოდნათა კრებულში», სპბ. 1888, და «პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია», ნაწ. 5. მ. 1902, გვ. 156. ზიბერის პასუხი: «გერმანელი ეკონომისტები ბ-ნ ჩიჩერინის სათვალეებით» «თხზულებათა კრებულში» ტ. II, სპბ. 1900. ლ. სლონიმსკი: «კ. მარქსის ეკონომიური მოძღვრება». სპბ. 1898. ნ. ზიბერი: «დავიდ რიკარდო და კ. მარქსი მათ საზოგადოებრივ-ეკონომიურ გამოკვლევებში». სპბ. 1885 და «თხზულებათა კრებული», 2 ტომი, სპბ. 1900. ი. კაუფმანის (ი. კ — ნის) რეცენზია «კაპიტალზე» «ვესტნიკ ევროპი»-ში 1872, № 5 — შესანიშნავია იმით, რომ მარქსმა «კაპიტალის» მე-2 გამოცემის ბოლოსიტყვაობაში მოიყვანა ი. კ — ნის მსჯელობა და ცნო იგი თავის მატერიალისტურ-დიალექტიკური მეთოდის სწორ გადმოცემად.

რუსი ნაროდნიკები მარქსიზმის შესახებ: ნ. კ. მიხაილოვსკი «რუსსკოე ბოგატსტვოში», 1894, № 10; 1895,

* — პ. ლაფარგი. «კ. მარქსის ეკონომიური დეტერმინიზმი» (პარიზი, 1909). რედ.

** — ა. პანეკუკი. «ორი ტენდენცია მუშათა მოძრაობაში». რედ.

*** — როზა ლუქსემბურგი. «კაპიტალის დაგროვება» (ბერლინი, 1913). რედ.

**** — ოტო ბაუერი. «კაპიტალის დაგროვება» («ახალი დროება», 31 ტ., 1913, I, გვ. 831 და 862). რედ.

№№ 1 და 2, გადაბეჭდილია თხზულებათა კრებულში. — პ. სტრუვეს «კრიტიკული შენიშვნების» გამო (სპბ. 1894), რაც განხილულია მარქსისტული თვალსაზრისით კ. ტ უ ლ ი ნ ი ს (ვ. ილინი) მიერ «მასალებში ჩვენი სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის» (სპბ. 1895, მოსპო ცენზურამ), გადაბეჭდილია ვ. ი ლ ი ნ ი ს ნაშრომში: «12 წლის მანძილზე». სპბ. 1908. შემდეგ, ნაროდნიკული ლიტერატურიდან: ვ. ვ.: «ჩვენი მიმართულებანი». სპბ. 1892. მ ი ს ი ვ ე: «70-იანი წლებიდან 900-იანი წლებისაკენ». სპბ. 1907. ნ ი კ ო ლ ა ი — ო ნ: «ჩვენი რეფორმისშემდგომი საზოგადოებრივი მეურნეობის ნარკვევები». სპბ. 1898. ვ. ჩ ე რ ნ ო ვ ი: «მარქსიზმი და აგრარული საკითხი». სპბ. 1906. მ ი ს ი ვ ე: «ფილოსოფიური და სოციოლოგიური ეტიუდები». სპბ. 1907.

გარდა ნაროდნიკებისა აღვნიშნავთ კიდევ: ნ. კ ა რ ე ე ვ ი: «ძველი და ახალი ეტიუდები ისტორიული მატერიალიზმის შესახებ». სპბ. 1896. მე-2 გამოცემა, 1913 წ. სათაურით: «ეკონომიური მატერიალიზმის კრიტიკა». მ ა ს ა რ ი კ ი: «მარქსიზმის ფილოსოფიური და სოციოლოგიური საფუძვლები». მ. 1900. კ რ ო ჩ ე: «ისტორიული მატერიალიზმი და მარქსისტული ეკონომია». სპბ. 1902.

მარქსის შეხედულებათა სწორად შეფასებისათვის უსათუოდ საჭიროა გავეცნოთ მისი უახლოესი თანამოაზრისა და თანამშრომლის ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი ს ნაწარმოებებს. არ შეიძლება გაიგო მარქსიზმი და არ შეიძლება მთლიანად გადმოსცე იგი, თუ ანგარიში არ გაუწიე ენგელსის ყ ვ ე ლ ა თხზულებას.

მარქსის კრიტიკა ანარქიზმის თვალსაზრისით იხ.: ვ. ჩ ე რ ქ ე ზ ო ვ ი: «მარქსიზმის დოქტრინები». სპბ., 2 ნაწილი. ვ. ტ ე კ ე რ ი: «წიგნის ნაცვლად». მ. 1907. სინდიკალისტი ს ო რ ე ლ ი: «თანამედროვე ეკონომიის სოციალური ნარკვევები». მ. 1908.

ერთი გერმანული ხმა ომის შესახებ

...«ერთი ღამის განმავლობაში მსოფლიოს სურათი შეიცვალა... ყველა ცდილობს მეზობელს დააკისროს ბრალი. ყველა აცხადებს, თავს ვიცავ, მხოლოდ აუცილებელი თავდაცვის გამო ვმოქმედებო. თურმე, ყველანი იცავენ მხოლოდ თავის ყოვლად წმიდათა-წმიდა სიკეთეს, თავის კერას, თავის სამშობლოს... ეროვნული ქედმაღლობა და ეროვნული ჯიბრი ზეიმობს... დიდი ინტერნაციონალური მუშათა კლასიც კი... ემორჩილება ეროვნულ ბრძანებას და ჟლეტს ერთმანეთს ბრძოლის ველებზე... ჩვენი ცივილიზაცია გაკოტრდა... ევროპული სახელის მქონე მწერლებს აღარ რცხვენიათ გაფფრებულ ბრმა შოვინისტებად მოგვევლინონ... ჩვენ მეტისმეტად გვჯეროდა, რომ იმპერიალისტური სიგიჟე შეიძლება ალაგმულ იქნას ეკონომიური გაჩანაგების შიშით... ჩვენ ვხედავთ გაშიშვლებულ იმპერიალისტურ ბრძოლას ჰეგემონიისათვის დედამიწაზე. არსად კვალიც კი არ დარჩენილა იმისა, რომ საქმე დიად იდეებს ეხებოდეს, იქნებ ამ მხრივ შეიძლებოდეს ლაპარაკი მხოლოდ რუსი მინოტავრის... მეფისა და მისი დიდი მთავრების დამხობაზე, რომლებმაც ჯალათებს ჩაუგდეს ხელში თავისი ქვეყნის უკეთილშობილესი ადამიანები... მაგრამ განა არ ვხედავთ ჩვენ, თუ როგორ ხდება კეთილშობილი საფრანგეთი, თავისუფლების იდეალების მატარებელი, მეფეჯალათის მოკავშირედ? თუ როგორ... არღვევს პატიოსანი გერმანია თავის სიტყვას და ახშობს უბედურ ნეიტრალურ ბელგიას?... რით გათავდება ეს? თუ სიღატაკე მეტისმეტად დიდი იქნება, თუ სასოწარკვეთილება გამეფდება, თუ ძმა ძმას იცნობს მტრის სამხედრო მუნდირში, — შესაძლოა, მოხდეს კიდევ რაღაც ფრიად მოულოდნელი, შესაძლოა, იარაღი მიმართონ იმათ წინააღმდეგ, ვინც ომს აჩაღებს, შესაძლოა, ხალხები, რომლებსაც თავს მოახვიეს სიძულვილი, დაივიწყებენ მას და უეცრად გაერთიანდებიან. ჩვენ წინასწარმეტყველებას არ დავიწყებთ, მაგრამ თუ ევროპული ომი ერთი ნაბიჯით მოგვიახლოვებს ევროპის სოციალურ რესპუბლიკას, ეს ომი მაინც არ იქნებოდა ესოდენ უაზრო, როგორც ახლა გვეჩვენება».

ვისია ეს ხმა? იქნებ, გერმანელი სოციალ-დემოკრატისა?

რას ვამბობ! ისინი ახლა, კაუცკის მეთაურობით, «უბადრუკი კონტრრევოლუციური მოლაყბენი» [37] გახდნენ, როგორც უწოდებდა მარქსი იმ გერმანელ სოციალ-დემოკრატებს, რომლებსაც სოციალისტების წინააღმდეგ კანონის გამოცემისთანავე «ახლის შესაფერისად» ეჭირათ თავი, იმის მსგავსად, როგორც უჭირავთ თავი დღეს ჰააზეს, კაუცკის, ზიუდეკუმს და მათ კომპანიას.

არა, ჩვენი ციტატი ამოღებულია მეშჩანური ქრისტიანი დემოკრატების ჟურნალიდან, რომელსაც სცემს კეთილი ხუცესების კომპანია ციურიხში (**«Neue Wege, Blätter für religiöse Arbeit»**, 1914, **September** *). აი როგორ მოგვეჭრა თავი: ღვთის მორწმუნე ფილისტერებიც კი ამბობენ, ცუდი არ იქნება, რომ იარაღი «ომის გამჩაღებელთა» წინააღმდეგ მიმართონო, ხოლო «ავტორიტეტიანი» სოციალ-დემოკრატები, როგორც კაუცკი, «მეცნიერულად» იცავენ უსაზიზღრეს შოვინიზმს ან, როგორც პლეხანოვი, მავნე «უტოპიად» აცხადებენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის ქადაგებას!!

დიახ, თუ ამგვარ «სოციალ-დემოკრატებს» სურთ უმრავლესობაში იყვნენ და შეადგენდნენ ოფიციალურ «ინტერნაციონალს» (=კავშირს ეროვნული შოვინიზმის ინტერნაციონალური გამართლებისათვის), ხომ არ აჯობებს უარი ვთქვათ მათ მიერ გასვრილ და დამცირებულ «სოციალ-დემოკრატების» სახელწოდებაზე და დავუბრუნდეთ ძველ მარქსისტულ სახელწოდებას — კომუნისტების სახელწოდებას? კაუცკი იმუქრებოდა, ამას ვიზამო, როდესაც ბერნშტეინელ-ოპორტუნისტები თითქოს უახლოვდებოდნენ გერმანული პარტიის ოფიციალურად დაპყრობას. ის, რაც მის ენაზე ფუჭი მუქარა იყო, სხვებისათვის, შესაძლოა, ს ა ქ მ ე დ იქცეს.

«სოციალ-დემოკრატი» № 34,
1914 წ. 5 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

---

* — «ახალი გზები, ფურცლები რელიგიური პროპაგანდისათვის», 1914, სექტემბერი. რ ე დ.

მკვდარი შოვინიზმი და ცოცხალი სოციალიზმი

(როგორ აღვადგინოთ ინტერნაციონალი?)

რუსეთის სოციალ-დემოკრატიისათვის, რამდენადმე უფრო მეტადაც კი, ვიდრე მთელი მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიისათვის, უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ნიმუში იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატია. ამიტომ გასაგებია, რომ არ შეიძლება შეგნებულად, ე. ი. კრიტიკულად, მოვეპყროთ ახლა გამეფებულ სოციალ-პატრიოტიზმს ანუ «სოციალისტურ» შოვინიზმს, თუ ძალიან ზუსტად არ გამოვარკვიეთ ჩვენი დამოკიდებულება გერმანიის სოციალ-დემოკრატიისადმი. რა იყო იგი? რა არის ახლა? რა იქნება შემდეგ?

პირველ კითხვაზე შეუძლია პასუხი მოგვცეს 1909 წელს გამოცემულმა და მრავალ ევროპულ ენაზე გადათარგმნილმა კ. კაუცკის ბროშურამ «გზა ძალაუფლებისაკენ», რომელიც წარმოადგენს ჩვენი ეპოქის ამოცანებზე შეხედულებათა უაღრესად მთლიან, გერმანელი სოციალ-დემოკრატებისათვის უაღრესად ხელსაყრელ (მათზე დამყარებული იმედების აზრით) გადმოცემას, რომელიც ეკუთვნის II ინტერნაციონალის ყველაზე ავტორიტეტიან მწერალს. უფრო დაწვრილებით გაგახსენებთ ამ ბროშურას; ეს მით უფრო სასარგებლო იქნება, რაც უფრო ხშირად სამარცხვინოდ უკუაგდებენ ახლა «დავიწყებულ სიტყვებს».

სოციალ-დემოკრატია არის «რევოლუციური პარტია» (ბროშურის პირველი ფრაზა) არა მარტო იმ აზრით, რა აზრითაც რევოლუციურია ორთქლის მანქანა, არამედ «კიდევ სხვა აზ-

რით». იგი ისწრაფვის პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ. სასაცილოდ იგდებს რა «რევოლუციაში დაეჭვებულთ», კაუცკი წერს: «რა თქმა უნდა, ყოველი მნიშვნელოვანი მოძრაობისა და აჯანყებისას ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ დამარცხების შესაძლებლობას. ბრძოლის წინ მხოლოდ სულელს შეუძლია სავსებით დარწმუნებული იყოს გამარჯვებაში». «ჩვენი საქმის პირდაპირი ღალატი» იქნებოდა მხედველობაში არ მიგვეღო გამარჯვების შესაძლებლობა. რევოლუცია ომთან დაკავშირებით შესაძლებელია ომის დროსაც და მის შემდეგაც. თუ სახელდობრ როდის მიგვიყვანს კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება რევოლუციამდე, ამის განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ «მე შემიძლია სავსებით გარკვევით ვამტკიცო, რომ რევოლუცია, რომელიც ომს მოაქვს, იფეთქებს ან ომის დროს, ან უშუალოდ მის შემდეგ»: არაფერია იმაზე უხამსი რამ, ვიდრე «სოციალიზმში მშვიდობიანი შეზრდის» თეორია. «არაფერია იმაზე უფრო მცდარი აზრი, თითქოს ეკონომიური აუცილებლობის შემეცნება ნიშნავდეს ნებისყოფის დასუსტებას». «ნებისყოფა, როგორც ბრძოლის სურვილი, განისაზღვრება: 1) ბრძოლის ფასით; 2) ძალის გრძნობით და 3) ნამდვილი ძალით». როდესაც ცდილობდნენ ენგელსის ცნობილი წინასიტყვაობა «კლასობრივი ბრძოლისათვის საფრანგეთში» განემარტათ (სხვათა შორის «Vorwärts»-ში *) ოპორტუნიზმის აზრით, ენგელსი აღშფოთებას გამოთქვამდა და «სამარცხვინოდ» თვლიდა იმის დაშვებას, რომ ის «კანონიერების მშვიდობიანი თაყვანისმცემელია რადაც უნდა დაჯდეს». «ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შევდივართ სახელმწიფო ძალაუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში»; ეს ბრძოლა შეიძლება ათეული წლობით გაჭიანურდეს, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ «ალბათ, იგი ახლო მომავალში გამოიწვევს პროლეტარიატის მნიშვნელოვან გა-

* — «წინ». რ ე დ.

ძლიერებას, თუ მის დიქტატურას არა დასავლეთ ევროპაში». რევოლუციური ელემენტები იზრდებიან: 1895 წელს გერმანიის 10 მილიონი ამომრჩევლიდან 6 მილიონი იყო პროლეტარი და 3½ მილიონი — კერძო საკუთრებით დაინტერესებული. 1907 წელს უკანასკნელთა რიცხვი გაიზარდა 0,03 მილიონით, ხოლო პირველთა რიცხვი — 1,6 მილიონით! და «წინსვლის ტემპი ერთბაშად ძალიან სწრაფი ხდება, როდესაც რევოლუციური მღელვარების დრო დგება». კლასობრივი წინააღმდეგობანი კი არ რბილდება, არამედ მწვავდება, იზრდება სიძვირე, მძვინვარებს იმპერიალისტური მეტოქეობა, მილიტარიზმი. ახლოვდება «რევოლუციების ახალი ერა». გადასახადების გიჟური ზრდა «უკვე დიდი ხანია ომს გამოიწვევდა, როგორც რევოლუციის ერთადერთ ალტერნატივას... სწორედ ეს ალტერნატივა რევოლუციისა კიდევ უფრო ახლოს რომ არ მისდევდეს ომს, ვიდრე შეიარაღებულ მშვიდობიანობას». «მსოფლიო ომი საშიშრად გვიახლოვდება; ომი კი რევოლუციასაც ნიშნავს». ჯერ კიდევ 1891 წელს ენგელსს შეიძლებოდა იმის შიში ჰქონოდა, ვაი თუ გერმანიაში რევოლუცია ნაადრევად მოხდესო, მაგრამ მას შემდეგ «მდგომარეობა ძლიერ შეიცვალა». პროლეტარიატს «უკვე არ შეუძლია ილაპარაკოს ნ ა ა დ რ ე ვ რევოლუციაზე» (ხაზგასმა კაუცკისაა). წვრილი ბურჟუაზია ფრიად არასაიმედოა და სულ უფრო და უფრო მტრულად არის განწყობილი პროლეტარიატისადმი, მაგრამ კრიზისის ეპოქაში მას «შეუძლია მასობრივად გადმოვიდეს ჩვენ მხარეზე». მთელი საქმე ის არის, რომ სოციალ-დემოკრატია «დარჩეს ურყევი, თანამიმდევარი, შეურიგებელი». უეჭველია, რომ ჩვენ რევოლუციურ პერიოდში შევედით.

აი როგორ წერდა კაუცკი შორეულ, ძალიან შორეულ წარსულში, მთელი ხუთი წლის წინათ. აი რა იყო ან, უფრო სწორად, რა იმედს იძლეოდა, რომ იქნებოდა, გერმანიის სოციალ-დემოკრატია. აი რანაირ სოციალ-დემოკრატიას შეიძლება და კიდევაც უნდა სცე პატივი.

შეხედეთ, რას წერს ახლა ეს კაუცკი. აი უმნიშვნელოვანესი განცხადებანი მისი სტატიიდან «სოციალ-დემოკრატია ომის დროს» («Neue Zeit» * № 1, 1914 წ. 2/X): «ჩვენი პარტია გაცილებით უფრო იშვიათად განიხილავდა იმ საკითხს, თუ როგორ მოვქცეულიყავით ომის დროს, ვიდრე საკითხს, როგორ შეგვეშალა ხელი ომისათვის»... «მთავრობა არასოდეს არ არის ხოლმე ისე ძლიერი, პარტიები არასოდეს არ არიან ისე სუსტნი, როგორც ომის დაწყებისას». «ომიანობის დრო ყველაზე ნაკლებად გამოდგება გულდამშვიდებული განხილვისათვის». «ახლა პრაქტიკული საკითხია: საკუთარი ქვეყნის გამარჯვება თუ დამარცხება». შეთანხმება მეომარი ქვეყნების პარტიებს შორის ომის წინააღმდეგ მოქმედების შესახებ? «პრაქტიკულად რაიმე ამის მსგავსი ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა შემოწმებული. ჩვენ ყოველთვის ვდაობდით, რომ ეს შესაძლებელია»... უთანხმოება ფრანგ და გერმანელ სოციალისტებს შორის «არ არის პრინციპული» (ერთნიც და მეორენიც სამშობლოს იცავენ)... «ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატებს თანასწორი უფლება ან თანასწორი მოვალეობა აქვთ მონაწილეობდნენ სამშობლოს დაცვაში: არც ერთმა ერმა არ უნდა უსაყვედუროს ეს მეორეს»... «ინტერნაციონალი გაკოტრდა?» «პარტიამ უარი თქვა თავისი პარტიული პრინციპების პირდაპირ დაცვაზე ომის დროს?» (მერინგის სიტყვები იმავე ნომრიდან). შემცდარი აზრია... არავითარი საფუძველი არ არის ასეთი პესიმიზმისათვის... უთანხმოება არ არის პრინციპული... პრინციპების ერთიანობა რჩება... ომიანობის დროის კანონებისადმი ურჩობა გამოიწვევდა «პირდაპირ ჩვენი პრესის აკრძალვას». ამ კანონებისადმი მორჩილება «ისევე ნაკლებად ნიშნავს პარტიული პრინციპების დაცვაზე უარის თქმას, როგორც ჩვენი პარტიული პრესის ამგვარივე მუშაობა სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული საგანგებო კანონის დამოკლეს მახვილქვეშ».

ჩვენ განზრახ სიტყვასიტყვით მოვიყვანეთ ციტატები, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ მსგავსი რამ შეიძლებოდა

* — «ახალი დროება». რ ე დ.

დაწერილი ყოფილიყო. ადვილი როდია იპოვნო ლიტერატურაში (გარდა, იქნებ, აშკარა რენეგატების «ლიტერატურისა») ასეთი თვითკმაყოფილი უხამსობა, ასეთი სამარცხვინო... თავისარიდება ჭეშმარიტებისაგან, ასეთი უხეირო თავისდაძვრენა იმისათვის, რომ მიჩქმალო ყოვლად აშკარა განდგომა სოციალიზმისაგანაც საერთოდ და ზუსტ საერთაშორისო გადაწყვეტილებათაგანაც, რომლებიც მიღებულია ერთხმად (მაგალითად, შტუტგარტში და განსაკუთრებით ბაზელში) სახელდობრ ახლანდელი ხასიათის სწორედ ევროპის ომის გამო! მკითხველისადმი უპატივცემლობა იქნებოდა, ჩვენ რომ «სერიოზულად» გაგვეწია ანგარიში კაუცკის საბუთებისათვის და ვცდილიყავით მოგვეხდინა მათი «ანალიზი»: ვინაიდან თუ ევროპის ომი ბევრ რამეში არა ჰგავს ებრაელთა უბრალო და «მცირე» დარბევას, სამაგიეროდ «სოციალისტური» საბუთები ამ ომში მონაწილეობის დასაცავად ს ა ვ ს ე ბ ი თ ჰგავს «დემოკრატიულ» საბუთებს ებრაელთა დარბევაში მონაწილეობის დასაცავად. დარბევის დასაცავად წამოყენებულ საბუთებს კი არ განიხილავენ: მათზე მხოლოდ მიუთითებენ, რათა მათი ავტორები სამარცხვინო ბოძზე გააკრან ყველა შეგნებული მუშის წინაშე.

მაგრამ როგორ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა მომხდარიყო, იკითხავს მკითხველი, რომ II ინტერნაციონალის უდიდესი ავტორიტეტი, რომ მწერალი, რომელიც იცავდა სტატიის დასაწყისში მოყვანილ შეხედულებებს, დაეშვა ასეთ «რენეგატულზე უარეს» მდგომარეობამდე? ეს გაუგებარია, ვუპასუხებთ ჩვენ, მხოლოდ იმისათვის, ვინც — იქნებ შეუგნებლად — დგას იმ თვალსაზრისზე, რომ არსებითად არაფერი განსაკუთრებული რამ არ მომხდარა, რომ ძნელი არ არის «მოვრიგდეთ და დავივიწყოთო» და ა. შ., ე. ი. სწორედ რენეგატულ თვალსაზრისზე. მაგრამ ვინც სერიოზულად და გულწრფელად აღიარებდა სოციალისტურ მრწამსს და იზიარებდა სტატიის დასაწყისში გადმოცემულ შეხედულებებს, იმას არ გაუკვირდება, რომ «მოკვდა «**Vorwärts**»-ი» (ლ. მარტოვის გამოთქმა პარიზის «გოლოსში») და «მოკვდა» კაუცკი. ცალკეულ პირთა კრახი

საკვირველი რამ არ არის დიდ მსოფლიო გარდატეხათა ეპოქებში. კაუცკი, მიუხედავად თავისი დიდი დამსახურებისა, არასოდეს არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვინც დიდი კრიზისების დროს მაშინვე დაიკავებდა მებრძოლ მარქსისტულ პოზიციას (გავიხსენოთ მისი მერყეობა მილიერანიზმის[38] საკითხის გამო).

ჩვენ კი სწორედ ასეთ ეპოქას განვიცდით. «პირველად თქვენ დაგვიშინეთ ტყვია, ბ. ბ. ბურჟუებო!» — წერდა 1891 წელს ენგელსი, როდესაც იცავდა (და სავსებით სამართლიანად) ჩვენ მიერ, რევოლუციონერების მიერ, ბურჟუაზიული ლეგალობის გამოყენებას ეგრეთწოდებული მშვიდობიანი კონსტიტუციური განვითარების ეპოქაში. ენგელსის აზრი ცხადზე უცხადესი იყო: ჩვენ, შეგნებული მუშები, მეორენი დავუშენთ ტყვიას, ჩვენთვის ახლა უფრო ხელსაყრელია გამოვიყენოთ საარჩევნო ბიულეტენიდან «ტყვიის დაშენაზე» (ე. ი. სამოქალაქო ომზე) გადასასვლელად თვით ბურჟუაზიის მიერ იმ ლეგალური ბაზის დარღვევის მომენტი, რომელიც მის მიერ არის შექმნილი. და კაუცკი 1909 წელს გამოთქვამდა ყველა რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატის უდავო აზრს, როდესაც ამბობდა, რომ ახლა რევოლუცია ევროპაში არ შეიძლება ნ ა ა დ რ ე ვ ი იყოს და რომ ომი რევოლუციას ნიშნავსო.

მაგრამ ათეული წლების «მშვიდობიან» ეპოქას უკვალოდ არ ჩაუვლია: მან გარდუვალად შექმნა ოპორტუნიზმი ყველა ქვეყანაში და უზრუნველყო მისთვის ბატონობა პარლამენტურ, პროფკავშირულ, ჟურნალისტთა და სხვათა «ბელადებს» შორის. არ არის ევროპაში არც ერთი ქვეყანა, სადაც არ წარმოებდეს, ამა თუ იმ ფორმით, ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელსაც მთელი ბურჟუაზია უჭერდა მხარს მილიონნაირი გზებით რევოლუციური პროლეტარიატის გასახრწნელად და დასაუძლურებლად. იგივე კაუცკი 15 წლის წინათ, ბერნშტეინიადის[39] დასაწყისში, წერდა, ოპორტუნიზმი განწყობილებიდან მიმართულებად რომ გადაიქცეს, გათიშვა დღის წესრიგში დადგებოდაო. ჩვენში კი, რუსეთში, მუშათა კლასის სოციალ-დემოკრატიული პარტიის

შემქმნელი ძველი «ისკრა» წერდა მე-2 ნომერში, 1901 წლის დამდეგს, სტატიაში «XX საუკუნის მიჯნაზე», რომ XX საუკუნის რევოლუციურ კლასს ჰყავს (XVIII საუკუნის რევოლუციური კლასის, ბურჟუაზიის მსგავსად) თავისი ჟ ი რ ო ნ დ ა და თავისი მ თ ა [40].

ევროპის ომი ნიშნავს უდიდეს ისტორიულ კრიზისს, ახალი ეპოქის დასაწყისს. როგორც ყოველმა კრიზისმა, ომმა გაამწვავა ღრმად ჩამარხული წინააღმდეგობანი, სააშკარაოზე გამოიტანა ისინი, დაფხრიწა ყოველგვარი თვალთმაქცური საფარველი, უკუაგდო ყოველგვარი პირობითობა, გააცამტვერა დამპალი ან უკვე ძირმომპალი ავტორიტეტები. (ამაში, სხვათა შორის, მდგომარეობს ყოველი კრიზისის კეთილისმყოფელი და პროგრესული მოქმედება, რომელიც გაუგებარია მხოლოდ «მშვიდობიანი ევოლუციის» გონებაჩლუნგი თაყვანისმცემლებისათვის.) II ინტერნაციონალმა, რომელმაც მოასწრო 25 — 45 წლის განმავლობაში (იმის მიხედვით, უნდა ვიანგარიშოთ 1870, თუ 1889 წლიდან) შეესრულებინა უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლო მუშაობა სოციალიზმის ფართოდ გავრცელებისა და მისი ძალების მოსამზადებელი, თავდაპირველი, უმარტივესი ორგანიზაციის დარგში, თავისი ისტორიული როლი შეასრულა, და იგი მოკვდა, დაძლეული არა იმდენად ფონ კლიუკების, რამდენადაც ოპორტუნიზმის მიერ. დაე ახლა მკვდრებმა დამარხონ მკვდრები. დაე მოფუსფუსე ქარაფშუტებმა (თუ არა შოვინისტებისა და ოპორტუნისტების ინტრიგანმა ლაქიებმა) «იშრომონ» ახლა იმისათვის, რომ შეახვედრონ ვანდერველდე და სამბა კაუცკის და ჰააზეს, თითქოს ჩვენს წინ იყოს ივან ივანიჩი, რომელმაც ივან ნიკიფორიჩს «ბატი» უწოდა და რომელსაც ესაჭიროებოდა მოწინააღმდეგისაკენ «წაბიძგება». ინტერნაციონალი ის კი არ არის, რომ ერთ მაგიდას უსხდნენ და თვალთმაქცურ და მიკიბულმოკიბულ რეზოლუციას წერდნენ ადამიანები, რომლებსაც ჭეშმარიტ ინტერნაციონალიზმად მიაჩნიათ, როდესაც გერმანელი სოციალისტები ამართლებენ გერმანიის ბურჟუაზიის მოწოდებას — ტყვია დაუშინონ ფრანგ მუშებს, ხოლო

ფრანგი სოციალისტები — საფრანგეთის ბურჟუაზიის მოწოდებას — ტყვია დაუშინონ გერმანელ მუშებს «სამშობლოს დაცვის გულისათვის»!!! ინტერნაციონალი ის არის, რომ ერთმანეთს უახლოვდებოდნენ (ჯერ იდეურად, შემდეგ კი, თავის დროზე, ორგანიზაციულადაც) ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი ჩვენს მძიმე დღეებში ნამდვილად დაიცვან სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, ე. ი. შეკრიბონ თავიანთი ძალები და «მეორეებმა დაუშინონ ტყვია» თვითეულმა თ ა ვ ი ს ი «სამშობლოს» მთავრობასა და მბრძანებელ კლასებს. ეს ადვილი საქმე როდია; იგი საკმაო მომზადებას, დიდ მსხვერპლს მოითხოვს, დამარცხებებს ვერ აიცდენ თავიდან. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ადვილი საქმე არ არის, იგი უნდა გავაკეთოთ მხოლოდ იმათთან ერთად, ვისაც ს უ რ ს მისი გაკეთება, ვისაც არ ეშინია შოვინისტებთან და სოციალ-შოვინიზმის დამცველებთან კავშირის სრული გაწყვეტისა.

სოციალისტური, და არა შოვინისტური, ინტერნაციონალის გულწრფელი, და არა თვალთმაქცური, აღდგენისათვის ყველაზე მეტს აკეთებენ ისეთი ადამიანები, როგორიც არის პანეკუკი, რომელმაც სტატიაში «ინტერნაციონალის კრახი» დაწერა: «თუ ბელადები შეიყრებიან და შეეცდებიან შეაკოწიწონ უთანხმოებანი, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებაო».

აშკარად ვთქვათ ის, რაც არის: ომი სულ ერთია გ ვ ა ი ძ უ ლ ე ბ ს თუ ხვალ არა, ზეგ გავაკეთოთ ეს. არის სამი მიმდინარეობა საერთაშორისო სოციალიზმში: 1) შოვინისტები, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ ოპორტუნიზმის პოლიტიკას; 2) ოპორტუნიზმის თანმიმდევრული მტრები, რომლებიც ყველა ქვეყანაში უკვე იჩენენ თავს (ოპორტუნისტებმა ისინი მეტწილად სასტიკად დაამარცხეს, მაგრამ «დამარცხებული არმიები კარგად სწავლობენ») და რომლებსაც უნარი შესწევთ აწარმოონ რევოლუციური მუშაობა სამოქალაქო ომის მიმართულებით; 3) თავგზააბნეული და მერყევი ადამიანები, რომლებიც ახლა კუდში მისჩანჩალებენ ოპორტუნისტებს და რომლებსაც პროლეტარიატისათვის ყველაზე მეტი ვნება მოაქვთ თვალთმაქცური ცდებით — თითქმის მეც-

ნიერულად და მარქსისტულად (ნუ ხუმრობთ!) გაამართლონ ოპორტუნიზმი. იმათი ნაწილი, ვინც ამ მესამე მიმდინარეობაში იღუპება, შეიძლება გადავარჩინოთ და სოციალიზმს დავუბრუნოთ, მაგრამ მხოლოდ ისეთი პოლიტიკით, რომ უაღრესად გადაჭრით გავემიჯნოთ და გავეთიშოთ პირველ მიმდინარეობას, ყველას, ვისაც შეუძლია გაამართლოს ხოლმე კრედიტებისათვის ხმის მიცემა, «სამშობლოს დაცვა», «ომიანობის დროის კანონებისადმი დამორჩილება», ლეგალობით დაკმაყოფილება, სამოქალაქო ომის უარყოფა. მხოლოდ ისინი ქმნიან ნამდვილად სოციალისტურ ინტერნაციონალს, ვინც ამ ტაქტიკას ახორციელებს. ჩვენ, ჩვენი მხრივ, მას შემდეგ, რაც გავაბით ურთიერთობა ცენტრალური კომიტეტის რუსულ კოლეგიასთან და პიტერის მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელ ელემენტებთან, მას შემდეგ, რაც ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი აზრები და დავრწმუნდით, რომ ძირითად საკითხებში არის სოლიდარობა, — შეგვიძლია, როგორც ცენტრალური ორგანოს რედაქციას, განვაცხადოთ ჩვენი პარტიის სახელით, რომ მხოლოდ ასეთი მიმართულებით წარმოებული მუშაობა არის პარტიული და სოციალ-დემოკრატიული მუშაობა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გათიშვა ისეთ აზრად ეჩვენებათ, რომელიც ბევრს ძალიან აშინებს თავისი «არაჩვეულებრიობით». მაგრამ ობიექტური მდგომარეობა იმას მოწმობს, რომ ან მოხდება ეს არაჩვეულებრივი რამ (ხომ განაცხადეს ადლერმა და კაუცკიმ 1914 წლის ივლისში, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს [41] უკანასკნელ სხდომაზე, არ გვწამს სასწაულები და ამიტომ არ გვწამს ევროპის ომიო!), — ანდა ჩვენ მოწმენი ვიქნებით იმის ტანჯვა-წამებით ლპობისა, რაც ოდესღაც გერმანიის სოციალ-დემოკრატია იყო. იმათ, ვინც მეტისმეტად შეეჩვია «იწამოს» გერმანიის (ყ ო ფ ი ლ ი) სოციალ-დემოკრატია, დასასრულ ჩვენ კიდევ მოვაგონებთ მხოლოდ, თუ როგორ უდგებიან ასეთი გათიშვის აზრს ადამიანები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ჩვენი მოწინააღმდეგენი იყვნენ მთელ რიგ საკითხებში; — როგორ წერდა ლ. მარტოვი «გოლოსში»: «მოკვდა «**Vorwärts**»-ი»; «სოციალ-

დემოკრატია, რომელიც უარს აცხადებს კლასობრივ ბრძოლაზე, უკეთესს იზამდა, თუ აშკარად აღიარებდა იმას, რაც არის, — დროებით დაშლიდა თავის ორგანიზაციას, დახურავდა თავის ორგანოებსო»; — როგორ ამბობდა პლეხანოვი, «გოლოსის» ანგარიშის მიხედვით, რეფერატზე: «მე დიდი მოწინააღმდეგე ვარ გათიშვისა, მაგრამ თუ ორგანიზაციის მთლიანობის გულისათვის სთმობენ პრინციპებს, მაშინ სჯობია გათიშვა, ვიდრე ყალბი ერთიანობაო». პლეხანოვმა ეს გერმანელ რადიკალებზე თქვა: ის ბეწვს ხედავს გერმანელთა თვალში, ხოლო დირეს ვერ ამჩნევს თავის საკუთარ თვალში. ეს მისი ინდივიდუალური თავისებურებაა, რომელსაც ჩვენ ყველანი ერთობ შევეჩვიეთ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე, როდესაც პლეხანოვი რადიკალიზმს იჩენს თეორიაში და ოპორტუნიზმს პრაქტიკაში. მაგრამ თუ ასეთ ინდივიდუალურ... უცნაურობათა მქონე ადამიანებიც კი ლაპარაკობენ გერმანელთა გათიშვაზე, ეს დროების ნიშანია.

«სოციალ-დემოკრატი» № 35,
1914 წ. 12 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ველიკოსრუსების ეროვნული სიამაყის შესახებ

რა ბევრს ლაპარაკობენ, ბჭობენ, ყვირიან ახლა ეროვნების შესახებ, სამშობლოს შესახებ! ინგლისის ლიბერალური და რადიკალური მინისტრები, საფრანგეთის უამრავი «მოწინავე» პუბლიცისტები (რომლებიც რეაქციის პუბლიცისტებთან სავსებით თანახმანი აღმოჩნდნენ), რუსეთის აურაცხელი კაზიონური, კადეტური და პროგრესული მჯღაბნელები (ზოგიერთი ნაროდნიკული და «მარქსისტულიც» კი) — ყველანი ათასნაირ ჰანგზე ქებას ასხამენ «სამშობლოს» თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ეროვნული თვითმყოფობის პრინციპის სიდიადეს. ვერ გაარჩევ, თუ სად თავდება აქ ჯალათ ნიკოლოზ რომანოვის ან ზანგთა და ინდოეთის მოსახლეთა მწამებლების მოსყიდული მეხოტბე, სად იწყება ჩვეულებრივი ფილისტერი, რომელიც სიყეყეჩის თუ უნიათობის გამო «მდინარებას» მისდევს. ამის გარჩევა არცაა მნიშვნელოვანი. ჩვენს წინაშეა მეტად ფართო და მეტად ღრმა იდეური მიმდინარეობა, რომლის ფესვები ძალიან მტკიცედაა დაკავშირებული დიდმპყრობელი ერების ბატონი მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებთან. ამ კლასებისათვის ხელსაყრელი იდეების საპროპაგანდოდ ათეული და ასეული მილიონები იხარჯება წელიწადში: ეს როდია პატარა წისქვილი, რომელიც წყალს იღებს ყოველი მხრიდან, დაწყებული მოშხამული შოვინისტით მენშიკოვით და გათავებული ოპორტუნიზმის ან უხასიათობის გამო შოვინისტებით, პლეხანოვითა და მასლოვით,

რუბანოვიჩითა და სმირნოვით, კროპოტკინითა და ბურცევით.

ვცადოთ ჩვენც, ველიკორუსმა სოციალ-დემოკრატებმა, განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება ამ იდეური მიმდინარეობისადმი. ჩვენთვის, უკიდურესი აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის საკმაოდ დიდი ნაწილის დიდმპყრობელი ერის წარმომადგენლებისათვის, შეუფერებელი იქნებოდა დაგვევიწყნა ეროვნული საკითხის უდიდესი მნიშვნელობა, — განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ «ხალხთა საპყრობილეს»; — ისეთ დროს, როდესაც სწორედ შორეულ აღმოსავლეთ ევროპაში და აზიაში კაპიტალიზმი სიცოცხლისა და შეგნებისათვის აღვიძებს მთელ რიგ «ახალ», დიდ და პატარა ერებს; — ისეთ მომენტში, როდესაც მეფის მონარქიამ თოფქვეშ დააყენა მილიონობით ველიკორუსები და «უცხოტომელები», რათა გადაწყვიტოს მთელი რიგი ეროვნული საკითხები გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს და გუჩკოვების, კრესტოვნიკოვების, დოლგორუკოვების, კუტლერების, როდიჩევების ინტერესთა შესაბამისად.

უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებული პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მ ი ს ი მშრომელი მასები (ე. ი. მ ი ს ი მოსახლეობის 9/10) ავამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე. ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრიდან, რომ ა მ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერი-რაზნოჩინელები, რომ ველიკორუსმა მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ამავე დროს ველიკორუსმა გლეხმა დაიწყო დე-

მოკრატად გადაქცევა, დაიწყო ხუცესისა და მემამულის დამ-ხობა.

ჩვენ გვახსოვს, თუ რა თქვა ნახევარი საუკუნის წინათ ველიკორუსმა დემოკრატმა ჩერნიშევსკიმ, რომელიც თავის სიცოცხლეს სწირავდა რევოლუციის საქმეს: «საცოდავი ერი, მონების ერი, თავიდან ბოლომდე ყველა მონაა» [42]. აშკარა და ფარულ მონა-ველიკორუსებს (მონებს მეფის მონარქიის მი-მართ) არ უყვართ ამ სიტყვების გახსენება. ჩვენი აზრით კი, ეს იყო სიტყვები სამშობლოს ნამდვილი სიყვარულისა, ისეთი სიყვარულისა, რომელიც კაეშანს შეუპყრია, რომ ველიკორუ-სი მოსახლეობის მასებში რევოლუციურობა არ არის. მაშინ ეს რევოლუციურობა არ იყო. ახლა იგი ცოტაა, მაგრამ უკვე არის. ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, რადგან ველიკორუსმა ერმა ა გ რ ე თ ვ ე შექმნა რევოლუციუ-რი კლასი, მ ა ნ ა ც დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს მისცეს კაცობრიობას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები, და არა მარტო დიდი რბევა-აწიო-კება, სახრჩობელათა რიგები, საწამებელი ადგილები, დიდი შიმშილობანი და დიდი მლიქვნელობა ხუცესების, მეფეების, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინაშე.

ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, და სწორედ ამიტომ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ გვძულს ჩ ვ ე ნ ი მონური წარსული (როდესაც მემამულე-თავადაზნაურებს გლეხები საომრად მიჰყავდათ, რათა ჩაეხშოთ უნგრეთის, პო-ლონეთის, სპარსეთის, ჩინეთის თავისუფლება) და ჩვენი მო-ნური აწმყო, როდესაც იმავე მემამულეებს, კაპიტალისტების დახმარებით, ჩვენ მივყავართ საომრად, რათა ჩაახშონ პოლო-ნეთი და უკრაინა, რათა დათრგუნონ დემოკრატიული მოძრა-ობა სპარსეთსა და ჩინეთში, რათა გააძლიერონ ჩვენი ველი-კორუსული ეროვნული ღირსების შემარცხვენელი რომანოვე-ბის, ბობრინსკების, პურიშკევიჩების ხროვა. არავინ არის დამ-ნაშავე იმაში, თუ ის მონად დაიბადა; მაგრამ მონა, რომლის-თვისაც არა თუ უცხოა მისწრაფება თავისი თავისუფლებისა-კენ, არამედ კიდეც ამართლებს და აფერადებს თავის მონობას

(მაგალითად, პოლონეთის, უკრაინის და სხვათა ჩახშობას უწოდებს ველიკორუსთა «სამშობლოს დაცვას»), ასეთი მონა არის გულისწყრომის, ათვალწუნებისა და ზიზღის კანონიერი გრძნობის გამომწვევი ტუტუცი და ხეპრე.

«არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს სჩაგრავს» [43], ასე ამბობდნენ XIX საუკუნის თანმიმდევრული დემოკრატიის უდიდესი წარმომადგენლები, მარქსი და ენგელსი, რომლებიც რევოლუციური პროლეტარიატის მასწავლებელნი გახდნენ. და ჩვენ, ველიკორუსი მუშები, აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, ჩვენ გვსურს რადაც უნდა დაგვიჯდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი, თავისთავადი, თვითმყოფი, რესპუბლიკური, ამაყი ველიკორუსეთი, რომელიც თავის ურთიერთობას მეზობლებთან ააგებს თანასწორობის ადამიანურ პრინციპზე და არა პრივილეგიების ბატონყმურ, დიდი ერის დამამცირებელ, პრინციპზე. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვსურს ასეთი ველიკორუსეთი, ჩვენ ვამბობთ: არ შეიძლება XX საუკუნეში, ევროპაში (თუნდაც შორეულ აღმოსავლეთ ევროპაში), «დაიცვა სამშობლო» სხვანაირად, თუ არ იბრძოლე მთელი რევოლუციური საშუალებებით საკუთარი სამშობლოს მონარქიის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ე. ი. ჩვენი სამშობლოს უცუდესი მტრების წინააღმდეგ; — არ შეიძლება ველიკორუსებმა «დაიცვან სამშობლო» სხვანაირად, თუ არ ისურვეს ცარიზმის დამარცხება ყოველ ომში, როგორც ნაკლები ბოროტება ველიკორუსეთის მოსახლეობის 9/10-თვის, რადგან ცარიზმი არათუ ჩაგრავს მოსახლეობის ამ 9/10-ს ეკონომიურად და პოლიტიკურად, არამედ ამასთან ერთად ხრწნის, სპობს, პატივსა ხდის, რყვნის მას, რომ აჩვევს სხვა ხალხთა ჩაგვრას, რომ აჩვევს თავისი სირცხვილის დაფარვას თვალთმაქცური, ვითომდა პატრიოტული ფრაზებით.

ჩვენ შეიძლება გვითხრან, ცარიზმის გარდა და მის ფრთებქვეშ წარმოიშვა და უკვე განმტკიცდა სხვა ისტორიული ძალა, ველიკორუსული კაპიტალიზმი, რომელიც პროგრესულ სამუშაოს ასრულებს, უზარმაზარ ოლქებს რომ ეკონომიუ-

რად აცენტრალიზებს და აკავშირებსო. მაგრამ ასეთი მოსაზრება კი არ ამართლებს, არამედ კიდევ უფრო ძლიერ ამტყუნებს ჩვენს სოციალისტ-შოვინისტებს, რომლებისათვის უნდა გვეწოდებინა მეფური პურიშკევიჩისებური სოციალისტები (როგორც მარქსმა ლასალელებს უწოდა მეფურ-პრუსიული სოციალისტები). დავუშვათ კიდევაც, რომ ისტორიამ საკითხი გადაწყვიტა ველიკორუსული დიდმპყრობელური კაპიტალიზმის სასარგებლოდ ასი და ერთი პატარა ერის წინააღმდეგ. ეს შეუძლებელი არ არის, რადგან კაპიტალის მთელი ისტორია არის ძალადობისა და ძარცვის, სისხლისა და სიბინძურის ისტორია. და ჩვენ სრულიადაც არა ვართ მაინცდამაინც პატარა ერების მოძრენი; ჩვენ უეჭველად, დ ა ნ ა რ ჩ ე ნ თ ა ნ ა ს წ ო რ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი, ვემხრობით ცენტრალიზაციას და წინააღმდეგი ვართ ფედერაციულ ურთიერთობათა ფილისტერული იდეალისა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ჯერ ერთი, ჩვენი საქმე როდია, დემოკრატების საქმე როდია (აღარაფერი რომ არა ვთქვათ სოციალისტებზე) დავეხმაროთ რომანოვ-ბობრინსკი-პურიშკევიჩს ჩაახშონ უკრაინა და ა. შ. ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად, გააკეთა პროგრესული ისტორიული საქმე, მაგრამ რას ემგვანებოდა ის «მარქსისტი», რომელიც ამ საბუთით განიზრახავდა გაემართლებინა სოციალისტური დახმარება ბისმარკისადმი! და ამასთან ბისმარკი ხელს უწყობდა ეკონომიურ განვითარებას, — აერთიანებდა დაქსაქსულ გერმანელებს, რომლებსაც სხვა ხალხები ჩაგრავდნენ. ველიკორუსეთის ეკონომიური აყვავება და სწრაფი განვითარება კი მოითხოვს ქვეყნის განთავისუფლებას სხვა ხალხების მიმართ ველიკორუსების ძალადობისაგან — ეს განსხვავება ავიწყდებათ ჭეშმარიტად-რუსი თითქმის-ბისმარკების ჩვენებურ თაყვანისმცემლებს.

მეორეც, თუ ისტორია საკითხს გადაწყვეტს ველიკორუსული დიდმპყრობელური კაპიტალიზმის სასარგებლოდ, აქედან გამომდინარეობს, რომ მით უფრო დიდი იქნება ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი როლი ველიკორუსი პროლეტარიატისა, როგორც კაპიტალიზმით წარმოშობილი კომუნისტური რევოლუ-

ციის მთავარი მამოძრავებლისა. ხოლო პროლეტარიატის რევოლუციისათვის საჭიროა მუშების ხანგრძლივი აღზრდა უ ს რ უ ლ ე ს ი ეროვნული თანასწორობისა და ძმობის სულისკვეთებით. მაშასადამე, სწორედ ველიკორუსი პროლეტარიატის ინტერესთა თვალსაზრისით, საჭიროა მასების ხანგრძლივი აღზრდა იმ აზრით, რომ მათ უაღრესად გადაჭრით, თანმიმდევრულად, გაბედულად, რევოლუციურად დაიცვან ველიკორუსების მიერ დაჩაგრული ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევის უფლება. ველიკორუსების (არა მონურად გაგებული) ეროვნული სიამაყის ინტერესი თანაემთხვევა ველიკორუსი (და ყველა სხვა) პროლეტარების ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ინტერესს. ჩვენს ნიმუშად დარჩება მარქსი, რომელიც, ათეული წლობით ინგლისში ცხოვრების გამო, ნახევრად ინგლისელი გახდა და მოითხოვდა ირლანდიის თავისუფლებასა და ნაციონალურ დამოუკიდებლობას ინგლისელი მუშების სოციალისტური მოძრაობის ინტერესებისათვის.

ჩვენი შინაური სოციალისტი შოვინისტები კი, პლეხანოვი და სხვები და სხვები, იმ უკანასკნელ და სავარაუდო შემთხვევაში, რომელიც ჩვენ განვიხილეთ, აღმოჩნდებიან არა მარტო თავისი სამშობლოს, თავისუფალი და დემოკრატიული ველიკორუსეთის მოღალატენი, არამედ რუსეთის ყველა ხალხთა პროლეტარული ძმობის, ე. ი. სოციალიზმის საქმის მოღალატენიც.

«სოციალ-დემოკრატი» № 35,
1914 წ. 12 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

შემდეგ რა?

(მუშათა პარტიების ამოცანებზე ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის მიმართ)

უდიდესმა კრიზისმა, რომელიც გამოიწვია მსოფლიო ომმა ევროპულ სოციალიზმში, წარმოშვა ჯერ (როგორც ეს დიდი კრიზისების დროს ხდება ხოლმე) უაღრესი დაბნეულობა, შემდეგ დასახა მთელი რიგი ახალი დაჯგუფებანი სოციალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობის, ელფერის და შეხედულების წარმომადგენელთა შორის, დასასრულ, განსაკუთრებული სიმწვავითა და დაჟინებით დასვა საკითხი, თუ სახელდობრ რა ცვლილებანი გამომდინარეობენ სოციალისტური პოლიტიკის საფუძვლებში კრიზისიდან და რა ცვლილებებს მოითხოვს ეს კრიზისი. ეს სამი «სტადია» განიცადეს 1914 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ რუსეთის სოციალისტებმაც. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ დასაწყისში საკმაოდ დიდი დაბნეულობა იყო და რომ მას აძლიერებდა ცარიზმის მხრივ დევნა, «ევროპელთა» საქციელი, ომით გამოწვეული არევდარევა. სექტემბრისა და ოქტომბრის თვეები იყო ის პერიოდი, როდესაც პარიზსა და შვეიცარიაში, სადაც იყო ყველაზე მეტი ემიგრანტი, რუსეთთან უფრო მეტი კავშირურთიერთობა არსებობდა და უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ, ყველაზე უფრო ფართოდ და სრულად ხდებოდა დისკუსიებში, რეფერატებზე და გაზეთებში ახალი გამიჯვნა ომის მიერ წამოჭრილ საკითხებში. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ არ დარჩენილა შეხედულებათა არც ერთი ელფერი რუსეთის სოციალიზმის (და თითქმის-სოციალიზმის) არც ერთ მიმდინარეობაში (და

ფრაქციაში), რომელიც არ ყოფილიყო გამოხატული და შეფასებული. ყველა გრძნობს, რომ დადგა დრო ზუსტი, დადებითი დასკვნებისა, რომლებსაც შეეძლებათ გახდნენ სისტემატური პრაქტიკული მოღვაწეობის, პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის საფუძვლად: მდგომარეობა ნათელი გახდა, ყველამ გამოთქვა თავისი აზრი; მაშ გავერკვეთ, ბოლოს და ბოლოს, ვ ი ნ ვ ი ს თ ა ნ ა ა ა დ ა ვ ი ნ ს ა ი თ მ ი დ ი ს?

23 ნოემბერს ახალი სტილით, მეორე დღეს მას შემდეგ, რაც პიტერში გამოქვეყნდა მთავრობის ცნობა რსდმ ფრაქციის დაპატიმრების შესახებ, შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, სტოკჰოლმში, მოხდა შემთხვევა, რომელმაც საბოლოოდ და მტკიცედ დასვა დღის წესრიგში სწორედ ეს ორი, ჩვენ მიერ ხაზგასმული; საკითხი [44]. მკითხველი ქვემოთ იპოვნის ამ შემთხვევის აღწერას, სახელდობრ: სრულ თარგმანს, ოფიციალური შვედური სოციალ-დემოკრატიული ანგარიშიდან, როგორც ბელენინის (ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელის) და ლარინის (ორგანიზაციული კომიტეტის წარმომადგენელის) [45] სიტყვებისას, ისე ბრანტინგის მიერ აღძრული საკითხის გამო გამართული კამათისას.

პირველად ომის დაწყების შემდეგ, ნეიტრალური ქვეყნის სოციალისტების კონგრესზე შეხვდნენ ერთმანეთს ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი და ლიკვიდატორული საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი. რით განსხვავდებოდა მათი გამოსვლები? ბელენინმა სავსებით გარკვეული პოზიცია დაიკავა თანამედროვე სოციალისტური მოძრაობის მტკივნეულ, მძიმე, მაგრამ სამაგიეროდ დიდ საკითხებში, დაიმოწმა პარტიის ცენტრალური ორგანო «სოციალ-დემოკრატი» [46] და უაღრესად გადაჭრით გამოუცხადა ომი ოპორტუნიზმს, ღ ა ლ ა ტ ი უწოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადების (და «მრავალ სხვათა») საქციელს. ლარინს არავითარი პოზიცია არ დაუკავებია, საქმის დედაარსს მან სავსებით აუარა გვერდი დუმილით, თავი დაიძვრინა რა შაბლონური, ფუჭი და დამპალი ფრაზებით, რომლებსაც ტაშს უკრავენ ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები

და სოციალ-შოვინისტები. სამაგიეროდ ბელენინმა სრული დუმილით აუარა გვერდი ჩვენს დამოკიდებულებას სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიებისადმი ან რუსეთში არსებული ჯგუფებისადმი: ჩვენი პოზიცია ასეთია, ხოლო სხვებზე გავჩუმდეთ, დავიცადოთ, თუ რ ა გზას დაადგებიან ისინიო. პირიქით, ლარინმა გაშალა «ერთიანობის» დროშა, ცრემლი დაღვარა «რუსეთში მომხდარი გათიშვის მწარე ნაყოფის» გამო, საუცხოო, მეტად მკვეთრი, ბრწყინვალე ფერებით დახატა «გამაერთიანებელი» მუშაობა ორგანიზაციული კომიტეტისა, რომელმაც გააერთიანა პლეხანოვიც, კავკასიელებიც, ბუნდელებიც, პოლონელებიც და ასე შემდეგ. თუ რა შეიძლებოდა აქ მხედველობაში ჰქონოდა ლარინს, ამაზე ცალკე ვიტყვით (იხ. ქვემოთ შენიშვნა: «როგორი ერთიანობა გამოაცხადა ლარინმა?» *). ახლა კი ჩვენ გვაინტერესებს პრინციპული საკითხი ერთიანობისა.

ჩვენს წინაშეა ორი ლოზუნგი. ერთი: ომი ოპორტუნისტებისა და სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ, ისინი მოღალატენი არიან. მეორე: ერთიანობა რუსეთში, კერძოდ, პლეხანოვთან (რომელიც, ფრჩხილებში შევნიშნავთ, სავსებით ისე იქცევა ჩვენში, როგორც ზიუდეკუმი ** გერმანელებში, ჰაინდმანი ინგლისელებში და ა. შ.). განა ცხადი არ არის, რომ ლარინი, რომელსაც ეშინია საგნებს თავისი სახელი უწოდოს, არსებითად გამოვიდა ოპორტუნისტებისა და სოციალ-შოვინისტების სასარგებლოდ?

მაგრამ განვიხილოთ საერთოდ «ერთიანობის» ლოზუნგის მნიშვნელობა თანამედროვე ამბების თვალსაზრისით. პროლეტარიატის ერთიანობა მისი უდიდესი იარაღია სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში. ამ უდავო ჭეშმარიტებიდან ასევე უდავოდ გამომდინარეობს, რომ, როდესაც პროლეტარულ პარტიას მნიშვნელოვანი რაოდენობით ეკედლე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 126 — 128. რ ე დ.

** პლეხანოვის ბროშურა «ომის შესახებ» (პარიზი, 1914), რომელიც ეს-ეს არის მივიღეთ, განსაკუთრებით ნათლად ადასტურებს ჩვენ მიერ ტექსტში ნათქვამს. ამ ბროშურას ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

ბიან წვრილბურჟუაზიული ელემენტები, რომლებსაც შეუძ-
ლიათ ხელი შეუშალონ სოციალისტური რევოლუციის-
სათვის ბრძოლას, ასეთ ელემენტებთან ერთიანობა მავნებე-
ლი და დამღუპველია პროლეტარიატის საქმისათვის. სწორედ
ახლანდელმა ამბებმა გვიჩვენეს, რომ, ერთი მხრივ, მომწიფ-
და იმპერიალისტური (ე. ი. კაპიტალიზმის უმაღლესი, უკა-
ნასკნელი სტადიის შესაფერისი) ომის ობიექტური პირობები,
ხოლო მეორე მხრივ, ეგრეთწოდებული მშვიდობიანი
ეპოქის ათეულმა წლებმა დააგროვეს ევროპის ყველა
ქვეყანაში დიდძალი წვრილბურჟუაზიული, ოპორ-
ტუნისტული ნაგავი სოციალისტური პარტიების შიგნით.
უკვე დაახლოებით თხუთმეტი წელია, რაც ცნობილი «ბერნ-
შტეინიადის» დროიდან გერმანიაში, — ხოლო ბევრ ქვეყანაში
უფრო ადრეც, — დღის წესრიგში დადგა საკითხი ამ ოპორ-
ტუნისტული, უცხო, ელემენტისა პროლეტარულ პარტიებ-
ში, და არა გვგონია აღმოჩნდეს თუნდაც ერთი თვალსაჩინო
მარქსისტი, რომელსაც მრავალჯერ და სხვადასხვა საბაბის გა-
მო არ აღეარებინოს, რომ ოპორტუნისტები მართლაც სოცია-
ლისტური რევოლუციისადმი მტრულ, არაპროლეტარულ
ელემენტს წარმოადგენენ. უკანასკნელი წლების მანძილზე ამ
სოციალური ელემენტის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა ეჭვს
გარეშეა: ლეგალური მუშათა კავშირების მოხელენი, პარლამენ-
ტარები და სხვა ინტელიგენტები, რომლებიც მოხერხებულად
და მშვიდად მოეწყვნენ მასობრივი ლეგალური მოძრაობის
დროს, ყველაზე მაღალხელფასიანი მუშების, წვრილი მოსამსა-
ხურეების ზოგიერთი ფენა და სხვ. და სხვ. ომმა ნათლად დაგვა-
ნახვა, რომ კრიზისის მომენტში (იმპერიალიზმის ეპოქა კი აუ-
ცილებლად იქნება ყოველგვარი კრიზისების ეპოქა) ოპორტუ-
ნისტების მნიშვნელოვანი მასა, რომელსაც ზურგს უმაგრებს
და ნაწილობრივ პირდაპირ წარმართავს ბურჟუაზია (ეს გან-
საკუთრებით საგულისხმოა!), გადარბის მის მხარეზე, ღალა-
ტობს სოციალიზმს, ვნებს მუშათა საქმეს, ღუპავს მას. ყოვე-
ლი კრიზისის დროს ბურჟუაზია ყოველთვის დაეხმარება
ოპორტუნისტებს, ჩაახშობს — არაფერს არ დაერიდება, ყოვ-

ლად უკანონო, სასტიკი სამხედრო ზომებით ჩაახშობს — პროლეტარიატის რევოლუციურ ნაწილს. ოპორტუნისტები არიან პროლეტარული რევოლუციის ბურჟუაზიული მტრები, რომლებიც მშვიდობიან დროს, მუშათა პარტიების შიგნით მოკალათებულნი, ფარულად ეწევიან თავის ბურჟუაზიულ მუშაობას, ხოლო კრიზისის ეპოქებში ერთბაშად აღმოჩნდებიან ხოლმე მთელი გაერთიანებული ბურჟუაზიის აშკარა მოკავშირეებად, არის ეს ბურჟუაზია კონსერვატიული თუ ყველაზე რადიკალური და დემოკრატიული, თავისუფალმოაზროვნე თუ რელიგიური და კლერიკალური. ვისაც ეს ჭეშმარიტება ვერ გაუგია ჩვენ მიერ განცდილი მოვლენების შემდეგ, -ს საშინლად ატყუებს თავის თავსაც და მუშებსაც. პიროვნებათა გადარბენ-გადმორბენა ამასთან გარდუვალია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მათი მნიშვნელობა განისაზღვრება წვრილბურჟუაზიულ ოპორტუნისტთა ფენისა და მიმდინარეობის არსებობით. სოციალ-შოვინისტებს ჰაინდმანს, ვანდერველდეს, გედს, პლეხანოვს, კაუცკის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდათ, მათ უნიათო და უხამს სიტყვებს ბურჟუაზიული პატრიოტიზმის დასაცავად ბანს რომ არ აძლევდნენ ოპორტუნისტების მთელი საზოგადოებრივი ფენები და ბურჟუაზიული გაზეთებისა და ბურჟუაზიული პოლიტიკოსების მთელი ხროვა.

II ინტერნაციონალის ეპოქის სოციალისტური პარტიების ტიპი იყო პარტია, რომელიც თავის წრეში ითმენდა ოპორტუნიზმს, რაც უფრო და უფრო გროვდებოდა «მშვიდობიანი» პერიოდის ათეული წლების მანძილზე, მაგრამ ფარულად მოქმედებდა. ეგუებოდა რევოლუციურ მუშებსაც და მათგან სესხულობდა მათს მარქსისტულ ტერმინოლოგიას, ამასთან თავს არიდებდა ყოველგვარ ნათელ პრინციპულ გამიჯვნას. ამ ტიპმა თავისი დრო მოჭამა. თუ ომი 1915 წელს დამთავრდება, განა აღმოჩნდებიან ჭკუათმყოფელ სოციალისტებს შორის მოსურნენი 1916 წელს დაიწყონ კვლავ მუშათა პარტიების აღდგენა ოპორტუნისტებთან ერთად, რაკი გამოცდილებით იციან, რომ ყოველგვარი შემდეგი კრი-

ზისის დროს ისინი უ კ ლ ე ბ ლ ი ვ (პლუს კიდევ უხასიათო და თავგზააბნეული ადამიანები) მიემხრობიან ბურჟუაზიას, რომელიც უეჭველად იპოვნის საბაბს აკრძალოს ლაპარაკი კლასობრივ სიძულვილსა და კლასობრივ ბრძოლაზე.

პარტია იტალიაში გამონაკლისს წარმოადგენდა II ინტერნაციონალის ეპოქისათვის: ოპორტუნისტები ბისოლატის მეთაურობით განდევნილ იქნენ პარტიიდან. შედეგები კრიზისის დროს ს ა უ ც ხ ო ო აღმოჩნდა: სხვადასხვა მიმართულების ადამიანები კი არ ატყუებდნენ მუშებს, კი არ უბნელებდნენ მათ თვალს «ერთიანობის» შესახებ ფერადფერადი მჭევრმეტყველებით, არამედ თვითეული თავისი გზით მიდიოდა. ოპორტუნისტები (და მუშათა პარტიიდან გადარბენილნი, როგორიცაა მუსოლინი) ვარჯიშობდნენ სოციალ-შოვინიზმში, აქებადიდებდნენ (პლეხანოვის მსგავსად) «გმირულ ბელგიას» და ამით ჩქმალავდნენ პოლიტიკას არა გმირული, არამედ ბურჟუაზიული იტალიისას, რომელსაც სურს გაძარცვოს უკრაინა და გალიცია... უკაცრავად, ალბანეთი, ტუნისი და ა. შ. და სხვ. სოციალისტები კი მ ა თ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ აწარმოებდნენ ომს ომთან, ამზადებდნენ ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ომს. ჩვენ სრულიადაც არ ვაიდიალებთ იტალიის სოციალისტურ პარტიას, სრულიადაც არ ვთავდებობთ, რომ იგი სავსებით მტკიცე აღმოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ იტალია ომში ჩაერევა. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ამ პარტიის მომავალზე, ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ აწმყოზე. ჩვენ აღვნიშნავთ უდავო ფ ა ქ ტ ს, რომ მეტი წილი ევროპული ქვეყნების მუშები მ ო ტ ყ უ ე ბ უ ლ ნ ი აღმოჩნდნენ ოპორტუნისტებისა და რევოლუციონერების ფ ი ქ ც ი უ რ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ი თ, და რომ იტალია არის ბედნიერი გამონაკლისი, — ქვეყანა, სადაც ამჟამად ასეთ მოტყუებას ადგილი არა აქვს. ის, რაც II ინტერნაციონალისათვის ბედნიერი გამონაკლისი იყო, უნდა გახდეს და კიდევაც გ ა ხ დ ე ბ ა წესად III ინტერნაციონალისათვის. პროლეტარიატი, — ვიდრე კაპიტალიზმი არსებობს, — ყოველთვის იქნება წვრილი ბურჟუაზიის მეზობლად. უგუნურებაა უარი თქვა ზოგჯერ დროებით კავშირზე მასთან, მაგრამ მასთან ე რ-

თ ი ა ნ ო ბ ი ს, ოპორტუნისტებთან ერთიანობის დაცვა ა ხ-ლ ა შეუძლიათ მხოლოდ პროლეტარიატის მტრებს ან განვლილი ეპოქის გასულელებულ რუტინიორებს.

სოციალისტური რევოლუციისათვის პროლეტარული ბრძოლის ერთიანობა მოითხოვს ახლა, 1914 წლის შემდეგ, მუშათა პარტიების უსათუოდ გამოყოფას ოპორტუნისტების პარტიებისაგან. თუ რა გვესმის ჩვენ ოპორტუნისტებად, ეს ნათლად არის ნათქვამი ცენტრალური კომიტეტის მანიფესტში (№ 33 «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» *).

რაღას ვხედავთ რუსეთში? სასარგებლოა თუ საზიანო ჩვენი ქვეყნის მუშათა მოძრაობისათვის ერთიანობა ისეთ ადამიანებსა, რომლებიც ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად თანმიმდევრულად, ებრძვიან შოვინიზმს როგორც პურიშკევიჩულს, ისე კადეტურს, და ისეთ ადამიანებს შორის, რომლებიც ბანს აძლევენ ამ შოვინიზმს, მასლოვის, პლეხანოვის, სმირნოვის მსგავსად? ისეთ ადამიანებსა, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ომს, და ისეთ ადამიანებს შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ წინააღმდეგობას არ უწევენ მას, «დოკუმენტის» (№ 34) [47] გავლენიანი ავტორების მსგავსად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ისეთ ადამიანებს გაუჭნელდებათ, რომლებსაც სურთ თვალები დახუჭონ.

ჩვენ, შეიძლება, შემოგვედავონ, «გოლოსში» მარტოვი ეკამათებოდა პლეხანოვს და, ორგანიზაციული კომიტეტის მთელ რიგ სხვა მეგობრებთან და მომხრეებთან ერთად, სოციალ-შოვინიზმს ეომებოდაო. ჩვენ ამას არ უარვყოფთ და ცენტრალური ორგანოს № 33-ში პირდაპირ მივესალმეთ მარტოვს. ჩვენ დიდად მოხარულნი ვიქნებოდით, მარტოვი რომ არ «შეებრუნებინათ» (იხ. შენიშვნა «მარტოვის შებრუნება»), ჩვენ ძალიან მოსურნენი ვიქნებოდით, რომ გადაჭრით ანტიშოვინისტური ხაზი გახდეს ორგანიზაციული კომიტეტის ხაზად. მაგრამ საქმე ჩვენი ა ნ ვ ი ნ მ ე ს სურვილი როდია. როგორია ობიექტური ფაქტები? ჯერ ერთი, ორგანიზაციული კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი, ლარინი, რა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 13 — 24. რ ე დ.

ტომლაც სდუმს «გოლოსის» შესახებ, მაგრამ ასახელებს სოციალ-შოვინისტ პლეხანოვს, ასახელებს აქსელროდს, რომელმაც ერთი სტატია დაწერა («Berner Tagwacht»-ში [48]), რათა არც ერთი გარკვეული სიტყვა არ ეთქვა. ლარინი კი, გარდა თავისი ოფიციალური მდგომარეობისა, არა მარტო გეოგრაფიულადაა დაახლოებული რუსეთში მყოფი ლიკვიდატორების გავლენიან ბირთვთან. მეორე, ავიღოთ ევროპული პრესა. საფრანგეთსა და გერმანიაში გაზეთები სდუმან «გოლოსზე», მაგრამ ლაპარაკობენ რუბანოვიჩზე, პლეხანოვსა და ჩხეიძეზე. («Hamburger Echo» * — გერმანიის შოვინისტური «სოციალ-დემოკრატიული» პრესის ერთ-ერთი ყველაზე შოვინისტური ორგანო — 12 დეკემბრის №-ში ჩხეიძეს უწოდებს მასლოვისა და პლეხანოვის მომხრეს, რასაც გაკვრით აღნიშნავდა რუსეთის ზოგიერთი გაზეთიც. გასაგებია, ზიუდეკუმების ყველა შეგნებული მეგობარი სავსებით აფასებს იმას, რომ პლეხანოვი იდეურად მხარს უჭერს ზიუდეკუმებს). რუსეთში მილიონ ცალობით ბურჟუაზიულმა გაზეთებმა მოჰფინეს «ხალხს» მასლოვ-პლეხანოვ-სმირნოვის ამბავი და კრინტიც არ დაუძრავთ «გოლოსის» მიმდინარეობაზე. მესამე, 1912 — 1914 წლების ლეგალური მუშათა პრესის გამოცდილებამ სავსებით დაამტკიცა ის ფაქტი, რომ ლიკვიდატორული მიმდინარეობის გარკვეული საზოგადოებრივი ძალისა და გავლენის წყარო მუშათა კლასში კი არ არის, არამედ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენციის იმ ფენაში, რომელმაც გამოჰყო ლეგალისტ-მწერალთა ძირითადი ბირთვი. ამ ფენის, როგორც ფენის, ნაციონალ-შოვინისტურ სულისკვეთებას მოწმობს რუსეთის მთელი პრესა პიტერელი მუშის წერილების («სოციალ-დემოკრატი», №№ 33, 35) და «დოკუმენტის» (№ 34) თანახმად. ძალიან შესაძლებელია დიდი პირადი გადაჯგუფებანი ამ ფენის შიგნით, მაგრამ სრულიად დაუჯერებელია, რომ, როგორც ფენა, იგი არ იყოს «პატრიოტული» და ოპორტუნისტული.

---

* — «ჰამბურგის გამოძახილი». რ ე დ.

ასეთია ობიექტური ფაქტები. თუ მათ ანგარიშს გავუწევთ და გავიხსენებთ, რომ ყველა ბურჟუაზიული პარტიისათვის, რომლებსაც სურთ გავლენა მოახდინონ მუშებზე, მეტად ხელსაყრელია ჰყავდეთ მოჩვენებითი მარცხენა ფრთა (განსაკუთრებით თუ ის არაა ოფიციალური), ჩვენ მუშათა საქმისათვის მავნე ილუზიად უნდა ვცნოთ ორგანიზაციულ კომიტეტთან ერთიანობის აზრი.

პოლიტიკა ორგანიზაციული კომიტეტისა, რომელიც შორეულ შვეიცარიაში გამოდის 23/XI განცხადებებით პლეხანოვთან ერთიანობის შესახებ და ყველა სოციალ-შოვინისტის გულისათვის სასიამოვნო სიტყვებით, ხოლო პარიზსა და შვეიცარიაში არც 13/IX-დან («გოლოსის» გამოსვლის დღე) 23/XI-მდე, არც 23/XI-დან დღევანდლამდე (23/XII) სრულიად არაფრით არ იჩენს თავს, ძალიან ჰგავს უცუდეს პოლიტიკანობას. ხოლო ციურიხში გამოსაცემად შეპირებული «ოტკლიკის»[49] პარტიულად ოფიციალური ხასიათის იმედი ქარწყლდება «**Berner Tagwacht**»-ში (12/XII) გაკეთებული პირდაპირი განცხადებით, რომ ასეთი ხასიათი ამ გაზეთს არ ექნებაო... (სხვათა შორის: «გოლოსის» № 52-ში მისი რედაქცია აცხადებს, რომ უცუდესი «ნაციონალიზმი» იქნებოდა ახლა ლიკვიდატორებთან გათიშვის განგრძობაო; ამ ფრაზას, რომელიც გრამატიკულ აზრს მოკლებულია, მხოლოდ ის პოლიტიკური აზრი აქვს, რომ «გოლოსის» რედაქცია ამჯობინებს სოციალ-შოვინისტებთან ერთიანობას, ვიდრე ისეთ ადამიანებთან დაახლოებას, რომლებიც სოციალ-შოვინიზმს შეურიგებლად ეკიდებიან. ცუდი არჩევანი მოახდინა «გოლოსის» რედაქციამ).

ჩვენ დაგვრჩენია, სურათის სისრულისათვის, ვთქვათ ორიოდე სიტყვა სოციალისტ-რევოლუციონერების პარიზის «მისლზე»[50], რომელიც აგრეთვე ქებას ასხამს «ერთიანობას», ჩქმალავს (შეადარეთ «სოციალ-დემოკრატი» № 34) თავისი პარტიული ბელადის რუბანოვიჩის სოციალ-შოვინიზმს, იცავს ბელგიელ და ფრანგ ოპორტუნისტებსა და მინისტერიალისტებს, სდუმს რუს ტრუდოვიკებს შორის ერთ-

ერთი ყველაზე მემარცხენის, კერენსკის, სიტყვის პატრიოტულ მოტივებზე და ბეჭდავს წარმოუდგენლად გაცვეთილ წვრილ-ბურჟუაზიულ უხამსობას ნაროდნიკულ და ოპორტუნისტულ ყაიდაზე მარქსიზმის გადასინჯვის შესახებ. სოციალისტ-რევოლუციონერებზე რსდმპ 1913 წ. ზაფხულის თათბირის რეზოლუციაში [51] ნათქვამი სავსებით და ზედმიწევნით დასტურდება «მისლის» ამ ქცევით.

ზოგიერთი რუსი სოციალისტი, ეტყობა, ფიქრობს, რომ ინტერნაციონალიზმი მდგომარეობს მზადყოფნაში — სიხარულით მივიღოთ ის რეზოლუცია ყველა ქვეყნის სოციალ-ნაციონალიზმის ინტერნაციონალური გამართლების შესახებ, რომლის შედგენას აპირებენ პლეხანოვი და ზიუდეკუმი, კაუცკი და ერვე, გედი და ჰაინდმანი, ვანდერველდე და ბისოლატი და ა. შ. ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ ვიფიქროთ, რომ ინტერნაციონალიზმი მდგომარეობს მხოლოდ არაორაზროვან ინტერნაციონალისტურ პოლიტიკაში საკუთარი პარტიის შიგნით. ოპორტუნისტებთან და სოციალ-შოვინისტებთან ერთად შეუძლებელია აწარმოო პროლეტარიატის ნამდვილად ინტერნაციონალური პოლიტიკა, შეუძლებელია იქადაგო ომისადმი წინააღმდეგობის გაწევა და შეაგროვო ძალები ამისათვის. ამ მწარე, მაგრამ სოციალისტისათვის აუცილებელ ჭეშმარიტებაზე გაჩუმება ან მისგან თავის არიდება მავნებელი და დამღუპველია მუშათა მოძრაობისათვის.

«სოციალ-დემოკრატი» № 36,
1915 წ. 9 იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

რუბორი «ერთიანობა» გამოაცხადა ლარინმა შვეციის ყრილობაზე?[52]

ლარინის სიტყვაში, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ (№ 36), მას შეეძლო მხედველობაში ჰქონოდა მხოლოდ «სამი ივლისის» ყბადაღებული ბლოკი[53], ე. ი. კავშირი, დადებული ბრიუსელში 1914 წ. 3. VII ორგანიზაციულ კომიტეტსა, ტროცკისა, როზა ლუქსემბურგსა, ალექსინსკისა, პლეხანოვსა, ბუნდელებსა, კავკასიელებსა, ლიტველებსა, «ლევიცასა»[54], პოლონურ ოპოზიციასა და სხვებს შორის. რატომ დასჯერდა ლარინი გადაკვრით ლაპარაკს? ეს... უცნაურია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ, თუ ცოცხალია ეს ორგანიზაციული კომიტეტი და ცოცხალია ეს კავშირი, მაშინ ამ ჭეშმარიტების დამალვა საზიანოა.

ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ლიტველი სოც.-დემოკრატების ცენტრალურ კომიტეტს მონაწილეობა ა რ მიუღიათ ამ კავშირში. ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა ერთიანობის 14 ზუსტი პირობა, რომლებიც ორგანიზაციულმა კომიტეტმა და «ბლოკმა» ა რ მიიღეს, ამასთან ისინი დაკმაყოფილდნენ დიპლომატიური, მიკიბულ-მოკიბული რეზოლუციით, რომელიც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ წინანდელი ლიკვიდატორული პოლიტიკის არავითარ გადამწყვეტ მობრუნებას არ გვპირდებოდა და არ მოასწავებდა. აი დ ე დ ა ა რ ს ი ჩვენი 14 §§-ისა: 1) 1908 წ. დეკემბრისა და 1910 წ. იანვრის რეზოლუციები ლიკვიდატორობის შესახებ დასტურდება გარკვევით, სახელდობრ, აღიარებულია, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობა შეუთავსებელია გამოსვლასთან არა-

ლეგალობის წინააღმდეგ, არალეგალური პრესისათვის მხარდაჭერის წინააღმდეგ, ლეგალური პარტიისათვის (ან ბრძოლა მისთვის), რევოლუციური მიტინგების წინააღმდეგ და ა. შ. (როგორც გამოდიოდნენ «ნაშა ზარია»[55] და «ნაშა რაბოჩაია გაზეტა»[56]); 2) იგივე — გამოსვლებზე რესპუბლიკის ლოზუნგის წინაალმდეგ და ა. შ.; 3) იგივე — ა რ ა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან — «ლევიცასთან» ბლოკის წინააღმდეგ; 4) ყოველ ადგილას უნდა იყოს ერთიანი, ეროვნებათა მიხედვით დაუყოფელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია; 5) უარყოფილია «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია»; 6) მუშებს მოვუწოდებთ «ერთიანობისაკენ ქვემოდან»; პარტიის წევრად შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც შედის არალეგალურ ორგანიზაციაში; ლეგალურ პრესაში უმრავლესობის აღსარიცხავად მიიღება მონაცემები მუშათა ჯგუფობრივ შენატანზე 1913 წლიდან; 7) მეტოქე გაზეთები ერთ ქალაქში დაუშვებელია; «ნ. რ. გ.» იხურება; არსდება სადისკუსიო ჟურნალი; 8) დასტურდება 1903 და 1907 წლების ყრილობათა რეზოლუციები სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ბურჟუაზიულობის შესახებ; სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაწილის შეთანხმება სოციალისტ-რევოლუციონერებთან დაუშვებელია; 9) საზღვარგარეთული ჯგუფები ექვემდებარებიან რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს; 10) პროფესიულ კავშირებში მუშაობის შესახებ დასტურდება ცენტრალური კომიტეტის ლონდონის რეზოლუცია (I. 1908); აუცილებელია არალეგალური უჯრედები; 11) დაუშვებელია გამოსვლები «სადაზღვევო საბჭოს»[57] და სხვა სადაზღვევო დაწესებულებათა წინააღმდეგ; «სტრახოვანიე რაბოჩიხ»[58], როგორც მეტოქე ორგანო, იხურება; 12) კავკასიელი სოციალ-დემოკრატები საგანგებოდ ადასტურებენ 5 და 4 პარაგრაფებს; 13) ჩხეიძის ფრაქცია უარს ამბობს «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიაზე» და ცნობს ზემოაღნიშნულ პირობებს; 14) «ცილისწამების» საქმეებზე (მალინოვსკი, იქსი და ა. შ.) ორგანიზაციული კომიტეტი და მისი მეგობრები ან უკან წაიღებენ ბრალდებებსა და ცილისწამებას,

ანდა გაგზავნიან წარმომადგენელს ჩვენი პარტიის მომავალ ყრილობაზე, რათა მის წინაშე დაიცვან ყველა თავისი ბრალდება.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ უამპირობებოდ, რანაირიც უნდა იყოს სიტყვიერი «დაპირება» — ერთხელ და ერთხელ კიდევ ხელს ავიღებთ ლიკვიდატორობაზეო (როგორც იყო 1910 წ. პლენუმზე), სრულიად არაფერი არ შეიძლება შეიცვალოს; «ერთიანობა» იქნებოდა ფიქცია და ლიკვიდატორთა «თანასწორუფლებიანობის» აღიარება.

სოციალიზმის გიგანტურმა კრიზისმა, რაც მსოფლიო ომმა წარმოშვა, გამოიწვია სოციალ-დემოკრატიის ყველა ჯგუფის ძალთა უაღრესი დაძაბვა და მისწრაფება — თავი მოეყარათ ყველასათვის, ვისაც კი შ ე ე ძ ლ ო ერთმანეთთან დაახლოება ომისადმი დამოკიდებულების ძირითად საკითხებში. «სამი ივლისის» ბლოკი, რომლითაც იკვეხნიდა (თუმცა შიშობდა მის პირდაპირ დასახელებას) ლარინი, ერთბაშად ფიქცია აღმოჩნდა.

ერთხელ და ერთხელ კიდევ ვიძლევით გაფრთხილებას ფიქციური «ერთიანობის» წინააღმდეგ, როცა სინამდვილეში შეურიგებელი უთანხმოებაა.

«სოციალ-დემოკრატი» № 37,
1915 წ. 1 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

რუსი ზიუდეკუმეები

სიტყვა «ზიუდეკუმმა» ზოგადი მნიშვნელობა მოიპოვა: ეს არის თვითკმაყოფილი, უსინდისო ოპორტუნისტისა და სოციალ-შოვინისტის ტიპი. ეს კარგი ნიშანია, რომ ყველანი ზიზღით ლაპარაკობენ ზიუდეკუმებზე. მაგრამ არის მხოლოდ ერთი საშუალება, რომ ამასთან თვითონ არ გადავარდე შოვინიზმში. ეს საშუალებაა ხელი შეუწყო, შეძლებისამებრ, რუსი ზიუდეკუმების მხილებას.

მათ სათავეში საბოლოოდ ჩადგა პლეხანოვი თავისი პატარა ბროშურით «ომის შესახებ». მისი მსჯელობა სულ ერთიანად დიალექტიკის სოფისტიკით შეცვლაა. სოფისტურად ბრალს დებს იგი გერმანულ ოპორტუნიზმს, რათა მიჩქმალოს ფრანგული და რუსული ოპორტუნიზმი. შედეგად გამოდის არა ბრძოლა საერთაშორისო ოპორტუნიზმთან, არამედ მისი მხარდაჭერა. სოფისტურად დასტირის იგი ბელგიის ბედს და ამავე დროს დუმს გალიციაზე. სოფისტურად არეულია ერთმანეთში იმპერიალიზმის ეპოქა (ე. ი. ეპოქა, როდესაც მარქსისტების საერთო აღიარებით უკვე მომწიფებულია კაპიტალიზმის დამსხვრევის ობიექტური პირობები და როდესაც არსებობენ სოციალისტური პროლეტარიატის მასები) და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაციონალური მოძრაობის ეპოქა; ეპოქა, როცა უკვე მომწიფებულია პროლეტარიატის ინტერნაციონალური რევოლუციით ბურჟუაზიულ სამშობლოთა დანგრევა, და ეპოქა, როცა ისინი ისახებოდნენ

და ყალიბდებოდნენ. სოფისტურად ბრალი ედება გერმანიის ბურჟუაზიას მშვიდობის დარღვევაში და დუმილით გვერდია ავლილი «სამთა შეთანხმების»[59] ბურჟუაზიის მიერ გერმანიის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ომის ხანგრძლივად და დაჟინებით მზადებისათვის. სოფისტურად ავლილია გვერდი ბაზელის რეზოლუციისათვის. სოფისტურად შეცვლილია სოციალ-დემოკრატიზმი ნაციონალ-ლიბერალიზმით; ცარიზმის გამარჯვების სურვილი დასაბუთებულია რუსეთის ეკონომიური განვითარების ინტერესებით, ამასთან მოხსენებულიც კი არ არის საკითხები არც რუსეთის ეროვნებებისა, არც ცარიზმის მიერ რუსეთის ეკონომიური განვითარების შეფერხებისა, არც გერმანიის საწარმოო ძალთა შედარებით ბევრად უფრო სწრაფი და წარმატებითი ზრდისა და ა. შ. პლეხანოვის ყველა სოფიზმის განხილვას მთელი რიგი სტატიები დასჭირდებოდა, და კიდევ საკითხავია, ღირს თუ არა ბევრი მისი სასაცილო უაზრობის განხილვა. შევჩერდეთ მხოლოდ ერთ ვითომდა საბუთზე. ენგელსი 1870 წელს სწერდა მარქსს, რომ ვ. ლიბკნეხტი შეცდომით იხდის ე რ თ ა დ ე რ თ სახელმძღვანელო პრინციპად ანტიბისმარკიზმსო[60]. პლეხანოვს გახარებია, ეს ციტატი რომ უპოვნია: ჩვენში სწორედ ასევეა ანტიცარიზმის მიმართო! მაგრამ სინჯეთ შეცვალოთ სოფისტიკა (ე. ი. შემთხვევების გარეგნული მსგავსების ხელზე დახვევა მოვლენათა დაუკავშირებლად) დიალექტიკით (ე. ი. მოვლენის მთელი კონკრეტული ვითარებისა და მისი განვითარების შესწავლით). გერმანიის გაერთიანება აუცილებელი იყო, და მარქსი როგორც 1848 წლის წინ, ისე მის შემდეგ ყოველთვის ცნობდა ამას. ენგელსი ჯერ კიდევ 1859 წელს გერმანელ ხალხს პირდაპირ მოუწოდებდა ომისაკენ გაერთიანების გულისათვის[61]. როდესაც რევოლუციური გაერთიანება ვერ მოხერხდა, ბისმარკმა ეს განახორციელა კონტრრევოლუციურად, იუნკრულად. ანტიბისმარკიზმი, როგორც ე რ თ ა დ ე რ თ ი პრინციპი, სისულელე გახდა, რადგან აუცილებელი გაერთიანების დამთავრება ფაქტად იქცა. რუსეთში კი? შესწევდა თუ არა ჩვენს მამაც პლეხა-

ნოვს ვაუკაცობა გამოეცხადებინა წინასწარ, რომ რუსეთის განვითარებისათვის აუცილებელია დაპყრობილ იქნეს გალიცია, ცარგრადი, სომხეთი, სპარსეთი და სხვ.? შესწევს თუ არა მას ვაუკაცობა ახლა თქვას ეს? იფიქრა თუ არა მან იმაზე, რომ გერმანია უნდა გადასულიყო გერმანელთა დაქუცმაცებიდან (რომლებსაც ჩაგრავდნენ საფრანგეთიც და რუსეთიც XIX საუკუნის პირველი ორი მესამედის განმავლობაში) მათი გაერთიანებისაკენ, ხოლო რუსეთში ველიკორუსებმა იმდენად კი Არ გააერთიანეს, რამდენად დათრგუნეს მთელი რიგი სხვა ერები? პლეხანოვი ამას არ უფიქრდება და პირდაპირ ჩქმალავს თავის შოვინიზმს, ამასთან ამახინჯებს ენგელსის 1870 წ. წერილიდან მოყვანილი ციტატის აზრს, ისევე როგორც ზიუდეკუმი ამახინჯებს 1891 წ. ენგელსის ციტატს, როდესაც ენგელსი წერდა, გერმანელებისათვის აუცილებელია სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოლონ მოკავშირე საფრანგეთისა და რუსეთის ჯარების წინააღმდეგო.

სხვა ენითა და სხვა ვითარებაში იცავს შოვინიზმს «ნაშა ზარია», № 7 — 8 — 9. ბ-ნი ჩერევანინი წინასწარმეტყველებს «გერმანიის დამარცხებას» და მოუწოდებს ამისაკენ, ამასთან ირწმუნება, რომ «ევროპა (!!) აჯანყდა» გერმანიის წინააღმდეგ. ბ-ნი ა. პოტრესოვი აცამტვერებს გერმანელ სოციალ-დემოკრატებს «ყოველ დანაშაულზე უარესი» «შეცდომისათვის» და ა. შ., ამასთან ირწმუნება, რომ გერმანიის მილიტარიზმს კისრად აწევს «სპეციალური, მეტისმეტი ცოდვები», რომ «რუსეთის გარკვეული წრეების პანსლავისტური ოცნებანი როდი წარმოადგენდნენ ევროპის მშვიდობიანობის მუქარას» და სხვ.

განა ეს არ ნიშნავს პურიშკევიჩებისა და სოციალ-შოვინისტებისათვის ბანის მიცემას, როდესაც ლეგალურ პრესაში გვიხატავენ გერმანიის მეტისმეტ დანაშაულს და მისი დამარცხების აუცილებლობას? რუსეთის მილიტარიზმს რომ ასკეცად მეტი ცოდვები აწევს, ამაზე ვერაფერს ვამბობთ მეფის ცენზურის მხრივ დევნის გამოო. ნუთუ ადამიანები, რომლებსაც არ სურთ შოვინისტები იყვნენ, ვალდებულნი

არ იყვნენ ასეთი მდგომარეობისას, ყოველ შემთხვევაში, არ ელაპარაკნათ გერმანიის დამარცხებაზე და მის მეტისმეტ ცოდვებზე?

«ნაშა ზარიამ» არა მარტო აიღო «ომისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის» ხაზი; არა, იგი პირდაპირ უშვებს წყალს ველიკორუსული, მეფურ-პურიშკევიჩული შოვინიზმის წისქვილს, როდესაც «სოციალ-დემოკრატიული» საბუთებით ქადაგებს გერმანიის დამარცხებას და ხელს აფარებს პანსლავისტებს. ამავე დროს კი სწორედ «ნაშა ზარიას» მწერლები, არა სხვა ვინმე, არამედ ისინი, ეწეოდნენ ლიკვიდატორობის მასობრივ პროპაგანდას მუშებს შორის 1912—1914 წლებში.

ავიღოთ, დასასრულ, აქსელროდი, რომელსაც, ისევე როგორც «ნაშა ზარიას» მწერლებს, ასე გულმოსულად და ასე უხეიროდ ხელს აფარებს, იცავს და ექომაგება მარტოვი.

აქსელროდის შეხედულებანი, მისი თანხმობით, გადმოცემულია «გოლოსის» 86 და 87 №№-ში. ეს არის სოციალ-შოვინისტური შეხედულებანი. ფრანგი და ბელგიელი სოციალისტების შესვლას ბურჟუაზიულ სამინისტროში აქსელროდი იცავს შემდეგი საბუთებით: 1) «ისტორიული აუცილებლობა, რომელსაც ახლა ესოდენ ხალისით, მაგრამ უადგილოდ იმოწმებენ ხოლმე, მარქსისათვის სრულიადაც არ ნიშნავდა პასიურ დამოკიდებულებას კონკრეტული ბოროტებისადმი — სოციალისტური გადატრიალების მოლოდინშიო». რა დომხალია ეს? რა შუაშია ეს? ყოველივე, რაც კი ხდება ისტორიაში, ხდება აუცილებლობით. ეს ანბანია. სოციალ-შოვინიზმის მოწინააღმდეგენი იმოწმებდნენ არა ისტორიულ აუცილებლობას, არამედ ომის ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ხასიათს. აქსელროდი თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს ვერ გაიგო ეს, ვერ გაიგო «კონკრეტული ბოროტების» ის შეფასება, რომელიც აქედან გამომდინარეობს. ეს ბოროტებაა ბურჟუაზიის ბატონობა ყველა ქვეყანაში, და დ რ ო უ ლ ი ა დაწყებულ იქნას რევოლუციური მოქმედება,

რომელიც მიგვიყვანს «სოციალურ გადატრიალებამდე». «პასიურნი» არიან სოციალ-შოვინისტები, ამას რომ უარ-ყოფენ. 2) არ შეიძლება «უგულებელყო საკითხი, თუ ვინ იყო ომის ნამდვილი წამომწყები» და ვინც «ამით ყველა ქვეყანა, რომელმაც სამხედრო თავდასხმა განიცადა, იძულებული გახადა დაიცვას თავისი დამოუკიდებლობაო». და იმავე გვერდზე აღიარებულია, რომ «ფრანგი იმპერიალისტები, რა თქმა უნდა, ისწრაფვოდნენ ორი-სამი წლის შემდეგ გამოეწვიათ ომი»! ამ ხნის განმავლობაში, წარმოიდგინეთ, გაძლიერდებოდა პროლეტარიატი და მშვიდობის შანსები!! მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ ხნის განმავლობაში გაძლიერდებოდა აქსელროდის გულისათვის სანუკვარი ოპორტუნიზმი და სოციალიზმისადმი მისი კიდევ უფრო საზიზღარი ღალატის შანსები. ჩვენ ვიცით, რომ სამი ავაზაკი (ინგლისის, რუსეთის, საფრანგეთის ბურჟუაზია და მთავრობანი) ა თ ე უ ლ ი წ ლ ო ბ ი თ იარაღდებოდა გერმანიის გასაძარცვავად. განა გასაკვირია, რომ ორი ავაზაკი უფრო ადრე დაესხა თავს, ვიდრე ს.ა მ ი მოასწრებდა მათ მიერ შეკვეთილი ახალი დანების მიღებას? განა ეს სოფიზმი არ არის, როდესაც ფრაზებით «წამომწყებთა» შესახებ ჩქმალავენ ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის თ ა ნ ა ბ ა რ «დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ო ბ ა ს», რომელიც უდავოდ, ერთხმად აღიარა ყველა სოციალისტმა ბაზელში? 3) «ბელგიელ სოციალისტებს თავისი ქვეყნის დაცვა რომ უსაყვედურო», ეს არის «არა მარქსიზმი, არამედ ცინიზმი». სწორედ ასე უწოდა მარქსმა პრუდონის დამოკიდებულებას პოლონეთის აჯანყებისადმიო (1863 წ.) [62]. ცარიზმის წინააღმდეგ პოლონეთის აჯანყების ისტორიულ პროგრესულობაზე მარქსი მუდამ ლაპარაკობდა 1848 წლიდან. ამის უარყოფა არავის არ გაუბედნია. კონკრეტული პირობები იმაში მდგომარეობდა, რომ ნაციონალური საკითხი აღმოსავლეთ ევროპაში გადაუწყვეტელი იყო, ე. ი. ცარიზმის წინააღმდეგ ომს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა, და არა იმპერიალისტური. ეს ანბანია.

ბელგიელთა «ქვეყანას» ამ კონკრეტულ ომში, თუ უარ-ყოფითად ან აბუჩად ან დაუდევრად მოეკიდე (როგორც ეკიდებიან აქსელროდები) სოციალისტურ გადატრიალებას, არ შეიძლება სხვაგვარად დაეხმარო, თუ არ დაეხ-მარე ცარიზმს — დაახრჩოს უკრაინა. ეს ფაქტია. რუსი სო-ციალისტის მხრივ ამისთვის გვერდის ავლა ცინიზმია. ბელ-გიაზე ყვირილი და გალიციაზე დუმილი ცინიზმია.

რაღა უნდა ექნათ ბელგიელ სოციალისტებს? თუ ისინი ვერ შეძლებდნენ მოეხდინათ სოციალური გადატრიალება ფრანგებთან ერთად და ა. შ., მაშინ უნდა დამორჩილებო-დნენ ერის უმრავლესობას ამჟამად და წასულიყვნენ საომ-რადო. მაგრამ, ემორჩილებოდნენ რა მონათმფლობელთა კლასის ნებას, საჭირო იყო კრედიტების სასარგებლოდ კი არ მიეცათ ხმა, არამედ მონათმფლობელთათვის დაეკის-რებინათ ამის პასუხისმგებლობა, კი არ უნდა გაეგზავნათ ვანდერველდე მინისტრად ექსპლოატატორებთან, არამედ უნდა გაეგზავნათ (ყველა ქვეყნის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებთან ერთად) «სოციალისტური გადატრიალებისა» და სამოქალაქო ომის არალეგალური რევოლუციური პროპა-განდის ორგანიზატორად; საჭირო იყო არმიაშიც ეწარმოე-ბინათ ეს მუშაობა (გამოცდილებამ ცხადყო, რომ შესაძლებე-ლია მუშა-ჯარისკაცთა «დაძმობილებაც» კი მეომარი არ-მიების სანგრებში!). ილაყბო დიალექტიკასა და მარქსიზმზე და ამავე დროს უნარი არ შეგწევდეს შეაერთო აუცილებე-ლი (თუ ეს დროებით აუცილებელია) დამორჩილება უმრავ-ლესობისადმი რევოლუციურ მუშაობასთან ყოველგვარ პი-რობებში — არის მუშების აბუჩად აგდება, სოციალიზმის დაცინვა. «ბელგიის მოქალაქენო! ჩვენს ქვეყანას დიდი უბე-დურება დაატყდა თავს, ეს უბედურება გამოიწვია ყველა ქვეყნისა და მათ შორის ბელგიის ბურჟუაზიამ. თქვენ არ გსურთ დაამხოთ ეს ბურჟუაზია, არ გჯერათ გერმანიის სოციალისტებისადმი მოწოდებისა? ჩვენ უმცირესობა ვართ, მე გემორჩილებით და მივდივარ ომში, მაგრამ ომშიც მე ვიქადაგებ, მოვამზადებ ყველა ქვეყნის პროლეტართა ომს,

რადგან უამისოდ არ არის ბელგიისა და სხვა ქვეყნების გლეხთა და მუშათა ხსნა!» ასეთი სიტყვისათვის ბელგიის თუ საფრანგეთის და სხვ. დეპუტატი საპყრობილეში იჯდომებოდა და არა მინისტრის სავარძელში, მაგრამ ის სოციალისტი იქნებოდა და არა მოღალატე, მასზე ახლა ილაპარაკებდნენ სანგრებში როგორც ფრანგი, ისე გერმანელი ჯარისკაცი მუშები, როგორც თ ა ვ ი ს ბელადზე, და არა როგორც მუშათა საქმის გამცემზე. 4) «ვიდრე არსებობს სამშობლო, ვიდრე პროლეტარიატის ცხოვრება და მოძრაობა ისე, როგორც დღევანდლამდე, მომწყვდეული იქნება ამ სამშობლოთა ჩარჩოებში, და პროლეტარიატი მათ გარეთ ვერ იგრძნობს განსაკუთრებულ, სხვა, ინტერნაციონალურ, ნიადაგს, მანამდე მუშათა კლასისათვის იარსებებს პატრიოტიზმისა და თავდაცვის საკითხიო». ბურჟუაზიული სამშობლო იარსებებს, ვიდრე მას არ დაანგრევს პროლეტარიატის ინტერნაციონალური რევოლუცია. ასეთი რევოლუციისათვის ნიადაგი უკვე არის, როგორც ამას აღიარებდა კაუცკიც კი 1909 წელს, როგორც ეს ერთხმად აღიარეს ბაზელში და როგორც ახლა ამას ამტკიცებს ფ ა ქ ტ ი ყველა ქვეყნის მუშების ღრმა თანაგრძნობისა იმ ადამიანებისადმი, რომლებიც ხმას არ აძლევენ კრედიტებს, რომლებსაც არ ეშინიათ საპყრობილისა და სხვა მსხვერპლისა, რაც, «ისტორიული აუცილებლობის» გამო, დაკავშირებულია ყოველ რევოლუციასთან. აქსელროდის ფრაზა არის მ ხ ო ლ ო დ თ ა ვ ი ს დ ა ძ ვ რ ე ნ ა რევოლუციური მოღვაწეობისაგან, არის მხოლოდ შოვინისტური ბურჟუაზიის საბუთების გამეორება. 5) სავსებით ასეთივე აზრი აქვს აქსელროდის სიტყვებს, რომ გერმანელთა მოქმედება ა რ იყო ღალატი, რომ მათი მოქმედების მიზეზია «ცოცხალი გრძნობა, შეგნება ორგანული კავშირისა მიწის იმ ნაჭერთან, სამშობლოსთან, სადაც ცხოვრობს და მუშაობს გერმანიის პროლეტარიატი». ნამდვილად კი გერმანელთა მოქმედება, ისევე როგორც გედისა და სხვათა მოქმედება უეჭველი ღალატია; მისი მიჩქმალვა და დაცვა უღირსი საქმეა. ნამდვილად კი სწორედ ბურჟუაზიული სამშობლო

ანგრევს, ასახიჩრებს, ამსხვრევს, ამახინჯებს გერმანელი მუ-შის «ცოცხალ კავშირს» გერმანულ მიწა-წყალთან, ქმნის რა მონის «კავშირს» მონათმფლობელთან. ნამდვილად კი მ ხ ო-ლ ო დ ბურჟუაზიული სამშობლოს დანგრევას შეუძლია მოუპოვოს ყველა ქვეყნის მუშებს «კავშირი მიწასთან», მშობლიური ენის თავისუფლება, ლუკმა პური და კულტურის სიკეთენი. აქსელროდი პირდაპირ ბურჟუაზიის აპოლოგეტია. 6) მუშებს რომ უქადაგო «სიფრთხილე — ბრალად დასდონ ოპორტუნიზმი» ისეთ «ნაცად მარქსისტებს, როგორც გედი არის», და ა. შ., იმას ნიშნავს, რომ მუშებს უქადაგო ბელა-დების წინაშე მლიქვნელობა. ისწავლეთ გედის მთელი ცხოვ-რების მაგალითზე, ვეტყვით ჩვენ მუშებს, გ ა რ დ ა მისი აშკარა ღალატისა სოციალიზმისადმი 1914 წელს. იქნებ, აღმოჩნდეს პირადი თუ სხვა გარემოებანი, რომელნიც შეარბილებენ მის დანაშაულს, მაგრამ ლაპარაკია სრულია-დაც არა პ ი რ თ ა დამნაშავეობაზე, არამედ მ ო ვ ლ ე-ნ ე ბ ი ს სოციალისტურ მნიშვნელობაზე. 7) სამინისტროში შესვლის «ფ ო რ მ ა ლ უ რ ი» დასაშვებლობის დამოწმება, რადგან არის რეზოლუციის მუხლი «განსაკუთრებით მნიშვ-ნელოვანი შემთხვევების» შესახებო, ნიშნავს ყოვლად უპა-ტიოსნო ადვოკატურ მიკიბმოკიბვას, ვინაიდან ამ მუხლის აზრი, ალბათ, არის პროლეტარიატის ინტერნაციონალური რევოლუციის ხ ე ლ ი ს შ ე წ ყ ო ბ ა, და არა მისთვის წ ი-ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს გაწევა. 8) აქსელროდის განცხადება: «რუსეთის დამარცხება, რომელიც ვერ შეარყევდა ქვეყნის ორგანულ განვითარებას, ხელს შეუწყობდა ძველი რეჟი-მის ლიკვიდირებასო», თავისთავად, ცალკე აღებული, სწორია, მაგრამ, გერმანელი შოვინისტების გამართლებას-თან დაკავშირებით აღებული, არ არის სხვა რაიმე, თუ არა ზიუდეკუმების გ უ ლ ი ს მ ო გ ე ბ ი ს ცდა. რუსეთის და-მარცხების სარგებლობა რომ ცნო და ამავე დროს აშკარად არ დასდო ბრალი ღალატში გერმანელ და ავსტრიელ სო-ციალ-დემოკრატებს, იმას ნიშნავს, რომ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე-შ ი დაეხმარო მათ გაიმართლონ თავი, დაიძვრინონ თავი,

მოატყუონ მუშები. აქსელროდის სტატია ორნაირი თავისდაკვრაა: ერთი — გერმანელი სოციალ-შოვინისტებისაკენ, მეორე — ფრანგი სოციალ-შოვინისტებისაკენ. ეს თავისდაკვრანი, ერთად აღებული, შეადგენს სანიმუშო «რუსეთულ-ბუნდერ» სოციალ-შოვინიზმს.

დაე, ახლა მკითხველმა განსაჯოს, თუ რამდენად თანმიმდევრულია «გოლოსის» რედაქცია, რომელიც აქსელროდის ამ ყოვლად აღმაშფოთებელ მსჯელობას ბეჭდავს და თან შენიშნავს, მხოლოდ მის «ზოგიერთ დებულებას» არ ვეთანხმებიო, და შემდეგ № 96-ის მოწინავეში ქადაგებს «კავშირის მკვეთრად გაწყვეტას აქტიური სოციალ-პატრიოტიზმის ელემენტებთან». ნუთუ «გოლოსის» რედაქცია ისე გულუბრყვილოა ან ისე უგულისყუროა, რომ იგი სიმართლეს ვერ ხედავს? ვერ ხედავს იმას, რომ აქსელროდის მსჯელობა მ თ ლ ა დ წარმოადგენს «აქტიური (ვინაიდან მწერლის აქტივობა მისი ნაწერია) სოციალ-პატრიოტიზმის ელემენტებს»? ხოლო «ნაშა ზარიას» მწერლები, ბბ. ჩერევანინი, პოტრესოვი და მათი კომპანია, განა ესენი აქტიური სოციალ-პატრიოტიზმის ელემენტები არ არიან?

«სოციალ-დემოკრატი» № 37
1915 წ. 1 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

«ნაშე სლოვოს» რედაქციას [63]

ბერნი, 9/II 1915 წ.

პატივცემულო ამხანაგებო!

თქვენს 6 თებერვლის წერილში გვთავაზობთ «ოფიციალურ სოციალ-პატრიოტიზმთან» ბრძოლის გეგმას სამთა შეთანხმების «მოკავშირე ქვეყნების» სოციალისტთა კონფერენციის გამო, რომლის მოწვევაც განზრახულია ლონდონში [64]. რა თქმა უნდა, როგორც ხედავთ ჩვენი ორგანო «სოციალ-დემოკრატიდან», ჩვენ ვდგავართ ამ ბრძოლის თვალსაზრისზე საერთოდ და ვეწევით მას. ამიტომ ჩვენ ძალიან გაგვახარა თქვენმა მომართვამ და სიამოვნებით ვიღებთ თქვენს წინადადებას ერთობლივი მოქმედების გეგმის განხილვის შესახებ.

კონფერენცია, რომელიც განზრახულია, როგორც ამბობენ, 15 თებერვლისათვის (ჩვენ მის შესახებ არც ერთი დოკუმენტი არ მიგვიღია), იქნებ გადაიდოს 25 თებერვლისათვის და უფრო გვიანდელი დროისათვის (თუ ვიმსჯელებთ ჰიუსმანსის წერილის მიხედვით, რომელშიც ის იუწყება, რომ აღმასრულებელი კომისიის სხდომა დანიშნულია 20 თებერვლისათვის და რომ განზრახულია აღმასრულებელი კომისიის წევრების (მდივნის) პირადი მოლაპარაკება საფრანგეთის, ინგლისისა და რუსეთის სოციალისტებთან). შესაძლებელია აგრეთვე, რომ განზრახულია არა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ოფიციალურ წევრთა კონფერენცია, არამედ ცალკეული «ცნობილი» სოციალისტების **კერძო** თათბირები.

ამიტომ «ოფიციალური სოციალ-პატრიოტიზმისათვის» «ნათელი, რევოლუციური და ინტერნაციონალური» თვალსაზრისის ის დაპირისპირება, რაზედაც თქვენ წერთ და რასაც ჩვენ სავსებით თანავუგრძნობთ, უნდა შემუშავდეს ყველა შესაძლო შემთხვევისათვის (პარტიების ოფიციალურ წარმომადგენელთა კონფერენციის შემთხვევისთვისაც, იმ შემთხვევისთვისაც, თუ შესდგება კერძო თათბირი, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი, 15 თებერვლისათვისაც და უფრო გვიანდელი დროისთვისაც).

ჩვენის მხრივ, თქვენი სურვილის თანახმად, ვადგენთ დეკლარაციის შემდეგ პროექტს, რომელიც შეიცავს ასეთ დაპირისპირებას (იმ ვარაუდით, რომ წაიკითხოთ და დაბეჭდოთ ეს დეკლარაცია):

«რუსეთის (ინგლისის და ა. შ.) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ქვემოთ ხელისმომწერი წარმომადგენლები ემყარებიან იმ შეხედულებას,

რომ ეს ომი არა მარტო გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხრივ, არამედ ინგლისისა და საფრანგეთის მხრივაც (რომლებიც ცარიზმთან შეკავშირებულნი მოქმედებენ) არის იმპერიალისტური ომი, ე. ი. კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი საფეხურის ეპოქის ომი, იმ ეპოქის ომი, როდესაც თავისი დრო მოჭამეს ნაციონალურ ფარგლებში არსებულმა ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა, ომი, მიმართული მხოლოდ და მხოლოდ კოლონიების დაპყრობისაკენ, მეტოქე ქვეყნების ძარცვა-გლეჯისაკენ და პროლეტარული მოძრაობის შესუსტებისაკენ ერთი ქვეყნის პროლეტარების ამხედრებით მეორე ქვეყნის პროლეტარების წინააღმდეგ.

ამიტომ ყველა მეომარი ქვეყნის სოციალისტების უთუო ძოვალეობაა ბაზელის რეზოლუციის დაუყოვნებლივ და გადაჭრით შესრულება, სახელდობრ:

1) ეროვნული ბლოკებისა და **Burgfrieden** * შეწყვეტა ყველა ქვეყანაში;

* — სამოქალაქო ზავის. რ ე დ.

2) ყველა მეომარი ქვეყნის მუშებისადმი მოწოდება ენერგიული კლასობრივი, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური, ბრძოლისაკენ საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც უმაგალითო მოგებას იღებს სამხედრო მიწოდებათა წყალობით და სარგებლობს სამხედრო ხელისუფალთა მხარდაჭერით მუშების გასაჩუმებლად და მათი ჩაგვრის გასაძლიერებლად;

3) სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ ყოველი ხმისმიცემის გადაჭრით დაგმობა;

4) ბელგიისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული სამინისტროებიდან გამოსვლა და სამინისტროებში შესვლისა და კრედიტებისათვის ხმის მიცემის აღიარება სოციალიზმის საქმის ისეთივე ღალატად, როგორიც არის გერმანელი და ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების მთელი მოქმედება;

5) დაუყოვნებლივ გავუწოდოთ ხელი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალისტურ, სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემაზე უარისმთქმელ ელემენტებს და შევქმნათ მათთან ერთად საერთაშორისო კომიტეტი ომის შეწყვეტისათვის აგიტაციის გასაწევად არა პაციფისტების, ქრისტიანებისა და წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ყაიდაზე, არამედ საკუთარი ქვეყნის მთავრობათა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ყოველი ქვეყნის პროლეტართა მასობრივი რევოლუციური მოქმედების ქადაგებასა და ორგანიზაციასთან განუწყვეტლივ დაკავშირებით;

6) მხარი დავუჭიროთ მეომარი ქვეყნების სოციალისტებს შორის ჯარში და სანგრებში დაახლოებისა და დაძმობილების ყოველ ცდას ინგლისის, გერმანიის და ა. შ. სამხედრო ხელისუფალთა მხრივ აკრძალვის მიუხედავად;

7) მოვუწოდოთ მეომარი ქვეყნების სოციალისტ ქალებს გააძლიერონ აგიტაცია ზემოაღნიშნული მიმართულებით;

8) მოვუწოდოთ, რომ მთელმა საერთაშორისო პროლეტარიატმა მხარი დაუჭიროს ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ,

მხარი დაუჭიროს რუსეთის იმ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს, რომლებმაც არათუ უარი თქვეს კრედიტებისათვის ხმის მიცემაზე, არამედ რომლებიც არ დარიდებიან დევნის საფრთხეს და ეწევიან თავის სოციალისტურ მუშაობას ინტერნაციონალური რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებით».

* * *

რაც შეეხება რუსეთის ზოგიერთ სოციალ-დემოკრატ ლიტერატორს, რომელიც იცავს ოფიციალურ სოციალ-პატრიოტიზმს (როგორც, მაგ., პლეხანოვი, ალექსინსკი, მასლოვი და სხვ.), ქვემოთ ხელისმომწერნი ყოველგვარ პასუხისმგებლობას თავიდან იხსნიან მათი გამოსვლებისათვის, გადაჭრით გამოთქვამენ პროტესტს მათ წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატი მუშები, ყველა მონაცემის მიხედვით, არ დგანან ამ თვალსაზრისზე.

თავისთავად გასაგებია, რომ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, ამხ. ლიტვინოვი (მისამართი *. ჩვენ მას ვუგზავნით თქვენს წერილს და თქვენდამი გაცემული ჩვენი პასუხის ასლს. გთხოვთ ყველა სასწრაფო საქმეზე მიმართოთ მას უშუალოდ) დამოუკიდებლად წყვეტს მოლაპარაკებისას ამა თუ იმ კერძო შესწორების შეტანის, ცალკეული ნაბიჯების გადადგმის და სხვა საკითხს, — ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ განვაცხადოთ ჩვენი **სრული** სოლიდარობა ამ ამხანაგთან **ყოველივე** არსებითში.

რაც შეეხება ორგანიზაციულ კომიტეტსა და ბუნდს, რომლებსაც ოფიციალური წარმომადგენლობა ჰყავთ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, ჩვენ საფუძველი გვაქვს შიში გვქონდეს, რომ ისინი მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ ე ნ «ოფიციალურ სოციალ-პატრიოტიზმს» (მისი ფრანკოფილური, გერმანოფილური ან ორივე ამ ტენდენციის შემარიგებელი ფორმით). ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოხარული ვიქნებით,

* მ. მ. ლიტვინოვის მისამართი ხელნაწერში არ არის ნაჩვენები. რ ე დ.

თუ თქვენ უარს არ იტყვით და გვაცნობებთ როგორც თქვენს პასუხს (თქვენი შესწორებანი, თქვენი კონტრპროექტი დეკ-ლარაციისა და ა. შ.), ისე იმ ორგანიზაციების (ორგანიზა-ციული კომიტეტი, ბუნდი და ა. შ.) პასუხს, რომლებსაც თქვენ მიმართეთ და მიმართავთ.

ამხანაგური სალამით ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი: *

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVII

---

* ხელნაწერში მისამართი არ არის ნაჩვენები. რ ე დ.

როგორ იცავენ პოლიცია და რეაქციონერები გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთიანობას

გოთას გერმანულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა, «გოთას სახალხო ფურცელმა» 9 იანვრის №-ში მოათავსა სტატია სათაურით: «სოციალ-დემოკრატიული პარლამენტური ფრაქციის პოლიტიკას პოლიცია იცავს».

«წინასწარი ცენზურის პრაქტიკის ორი პირველი დღე, — წერს გაზეთი, რომელიც მოქცეულია სამხედრო ხელისუფლების ამ სასიამოვნო მეურვეობის ქვეშ, — სრული სიცხადით გვიჩვენებს, რომ ცენტრალური ხელისუფალნი განსაკუთრებით ზრუნავენ, რათა პირში ბურთი ჩასჩარონ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პოლიტიკის არახელსაყრელ კრიტიკოსებს ჩვენი რიგების შიგნით. ცენზურის მისწრაფებათა მიზანია «პარტიული ზავის» შენარჩუნება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ანუ, სხვანაირად რომ ითქვას, გერმანიის «ერთიანი», «დარაზმული» და ძლიერი სოციალ-დემოკრატიის შენარჩუნება. სოციალ-დემოკრატია, რომელსაც მეურვეობას უწევს მთავრობა, — აი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი «დიდი» დროის, გერმანელი ეროვნების აღორძინების ეპოქის საშინაო პოლიტიკაში.

აი უკვე რამდენიმე კვირაა, რაც პოლიტიკოსებმა, რომლებიც ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში სხედან, გაშალეს ენერგიული აგიტაცია თავისი შეხედულებებისათვის. რამდენიმე მეტად მსხვილ პარტიულ ცენტრში ისინი ძლიერ ოპოზიციას წააწყდნენ. მათმა პროპაგანდამ მუშებში გამოიწვია განწყობილება არა სამხედრო კრედიტებისათვის

ხმის მიმცემთა სასარგებლოდ, არამედ სწორედ მათ წინააღმდეგ. და ამიტომ სამხედრო ხელისუფალნი შეეცადნენ დახმარებოდნენ მათ, რისთვისაც ხან ცენზურულ აკრძალვებს მიმართავენ, ხან კრებების თავისუფლებას აუქმებენ. ჩვენთან, გოთაში, სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ეხმარება სამხედრო ცენზურა, ჰამბურგში — კრებების ცნობილი აკრძალვა».

მოყავს რა ეს სიტყვები, ბერნის შვეიცარიული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გერმანიაში მთელი რიგი სოციალ-დემოკრატიული გაზეთები დაქვემდებარებულია წინასწარი ცენზურისადმი, და თავის მხრივ დასძენს: «ამრიგად, გერმანული პრესის ერთსულოვნებას მალე უკვე ვერაფერი შეუშლის ხელს. თუ სადმე შეეცდებიან დაარღვიონ იგი, — სამხედრო დიქტატურა სწრაფად და მტკიცედ მოუღებს ამას ბოლოს, პარტიული ზავის მომხრე «სოციალ-დემოკრატების» პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაბეზღებით».

მართლაც, ოპორტუნისტული სოციალ-დემოკრატიული გაზეთები პირდაპირ და არაპირდაპირ აბეზღებენ რადიკალურ გაზეთებს!

მაშასადამე, ფაქტები ამტკიცებენ, რომ ჩვენ სავსებით მართალი ვიყავით, როდესაც «სოციალ-დემოკრატის» № 36-ში ვწერდით: «ოპორტუნისტები არიან პროლეტარული რევოლუციის ბურჟუაზიული მტრები... კრიზისის ეპოქებში ისინი ერთბაშად აღმოჩნდებიან ხოლმე მთელი გაერთიანებული ბურჟუაზიის აშკარა მოკავშირეებად» *. ერთიანობა, როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლოზუნგი ჩვენს დროში, ნიშნავს ოპორტუნისტებთან ერთიანობას და მათდამი (ან ბურჟუაზიასთან მათი ბლოკისადმი) დამორჩილებას. ეს არის ლოზუნგი, რომელიც ნამდვილად ეხმარება პოლიციას და რეაქციონერებს და რომელიც დამღუპველია მუშათა მოძრაობისათვის.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 120. რ ე დ.

სხვათა შორის, აღვნიშნავთ, რომ გამოვიდა ბორჰარდტის საუცხოო ბროშურა (გერმანულ ენაზე): «1914 წლის 4 აგვისტომდე და მის შემდეგ» ქვესათაურით: «უარი თქვა თუ არა თავის თავზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ?». დიახ, უარი თქვა, უპასუხებს ავტორი და ცხადყოფს, რომ 4 ა გ ვ ი ს ტ ო მ დ ე გაკეთებული პარტიული განცხადებანი აშკარად ეწინააღმდეგება «ოთხი აგვისტოს» პოლიტიკას. ჩვენ არ მოვერიდებით არავითარ მსხვერპლს ომში ომის წინააღმდეგ, — ამბობდნენ გერმანიის (და სხვა ქვეყნების) სოციალ-დემოკრატები 1914 წლის 4 აგვისტომდე. ხოლო 1914 წლის 28 სექტემბერს ცენტრალური კომიტეტის წევრი ოტო ბრაუნი მიუთითებდა ლეგალურ გაზეთებში დაბანდებულ 20 მილიონ კაპიტალზე და 11 000 მოსამსახურეზე. ლეგალიზმით გახრწნილმა ათეულ ათასობით წინამძღოლმა, მოხელემ და პრივილეგიურმა მუშამ მოახდინა სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის მილიონიანი არმიის დეზორგანიზაცია.

გაკვეთილი აქედან ცხადზე უცხადესია: კავშირის გადაჭრით გაწყვეტა შოვინიზმთან და ოპორტუნიზმთან. ქარაფშუტა სოციალისტ-რევოლუციონერი მოლაყბენი კი (ი. გარდენინი[65] და მისი კომპ.) პარიზის ქარაფშუტულ «მისლში» უარყოფენ მარქსიზმს წვრილბურჟუაზიული იდეების სასარგებლოდ! დავიწყებულია პოლიტიკური ეკონომიის ანბანი და კაპიტალიზმის მსოფლიო განვითარება, რომელიც წარმოშობს მხოლოდ ერთ რევოლუციურ კლასს — პროლეტარიატს. დავიწყებულია ჩარტიზმი, 1848 წლის ივნისი, პარიზის კომუნა, 1905 წლის ოქტომბერი და დეკემბერი. მუშები თავისი მსოფლიო რევოლუციისაკენ მიდიან სწორედ მთელ რიგ დამარცხებათა და შეცდომათა, წარუმატებლობათა და სისუსტეთა გზით, მაგრამ მიდიან მისკენ. ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული გავლენა პროლეტარიატზე, როგორც 1914 წელს ინტერნაციონალის შერცხვენისა და კრახის ძირითადი და მთავარი, გადამწყვეტი მიზეზი. ხოლო ენალაქლაქა გარდენინებს და მის

კომპანიას სურთ უმკურნალონ სოციალიზმს მისი ერთადერთი საზოგადოებრივ-ისტორიული საფუძვლის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის უარყოფით და მარქსიზმის საბოლოოდ გათქვეფით ფილისტერულ, ინტელიგენტურ-ნაროდნიკულ წყალში. არა შეუპოვარი მუშაობა იმ მიმართულებით, რომ პროლეტარულმა რევოლუციურმა მოძრაობამ სავსებით გაწყვიტოს კავშირი ოპორტუნიზმთან, არამედ ამ მოძრაობის შეერთება როპშინებისა[66] და ჩერნოვების ტიპის ოპორტუნისტებთან, რომლებიც გუშინწინ იყვნენ ლიბერალები ბომბებით, გუშინ რენეგატობდნენ, როგორც ლიბერალები, დღეს იხიბლებიან მოთაფლული ბურჟუაზიული ფრაზებით «შრომითი» საწყისის შესახებ!! გარდენინები ზიუდეკუმებზე უკეთესნი არ არიან, სოციალისტ-რევოლუციონერები ლიკვიდატორებზე უკეთესნი არ არიან: ტყუილად კი არ არის, რომ ერთნიც და მეორენიც ასე სიამტკბილობით ჩაეკონენ ერთმანეთს ჟურნალ «სოვრემენნიკში»[67], რომელიც სპეციალურად ატარებს სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების შეერთების პროგრამას.

«სოციალ-დემოკრატი» № 39,
1915 წ. 3 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ლონდონის კონფერენციის შესახებ

მოგვყავს, შემოკლებით, რსდმპ წარმომადგენლის წერილი:

«ლონდონი, 1915 წლის 14 თებერვალი. გუშინ ღამით მივიღე ინტერნაციონალის ბრიტანული სექციის მდივნისაგან კონფერენციის მისამართი ჩემი წერილის პასუხად, სადაც მე ვიტყობინებოდი ჩემს მისამართს, თუმცა არ ვთხოვდი, რომ მივეწვიეთ. მე გადავწყვიტე წასვლა, რათა ვცდილიყავ წამეკითხა დეკლარაცია. იქ იყვნენ სოციალისტ-რევოლუციონერებიდან რუბანოვიჩი (სოციალ-შოვინისტებიდან), ჩერნოვი და ბობროვი «მისლისაგან»; ორგანიზაციული კომიტეტიდან — მაისკი, რომელიც დელეგატად გამოგზავნილი იყო მარტოვთან ერთად, — უკანასკნელი არ გამოცხადებულა, რადგან საშვები არ მიუღია. დელეგატები იყვნენ: ინგლისიდან — 11 (კეირ-ჰარდი — თავმჯდომარე, მაკდონალდი და სხვები), საფრანგეთიდან — 16 (სამბა, ვალიანი და სხვ.), ბელგიიდან — 3 (ვანდერველდე და სხვ.).

თავმჯდომარემ კონფერენციის გახსნისას გვაუწყა, რომ კონფერენციის მიზანია აზრთა ურთიერთგაზიარება და არა რეზოლუციების მიღება. ერთ-ერთი ფრანგი იძლევა შესწორებას — რატომ არ უნდა განვამტკიცოთ უმრავლესობის აზრი რეზოლუციითო? მიღებულ იქნა მდუმარედ.

დღის წესრიგშია: 1) ერების უფლებანი — ბელგია, პოლონეთი; 2) კოლონიები; 3) მშვიდობის გარანტიები. ირჩევენ სამანდატო კომისიას (რუბანოვიჩი და სხვ.). გადა-

წყდა, რომ თვითეული ქვეყნის თითო დელეგატმა გააკეთოს მოკლე ინფორმაცია ომისადმი დამოკიდებულების შესახებ. მე ვიღებ სიტყვას და პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, რომ არ მოუწვევიათ ჩვენი პარტიის ოფიციალური წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში (ამხ. მაქსიმოვიჩი[68] უკვე დიდი ხანია, წელზე მეტია, რაც არის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრი ჩვენი პარტიისაგან და მუდმივად ცხოვრობს ლონდონში). თავმჯდომარე სიტყვას მაწყვეტინებს და ამბობს, რომ მოწვეულია ყველა, «ვისი სახელიც ცნობილია». მე ხელმეორედ ვაცხადებ პროტესტს იმის გამო, რომ ნამდვილი წარმომადგენლებისათვის არაფერი უცნობებიათ. შემდეგ ვიმოწმებ ჩვენს მანიფესტს (იხ. «სოციალ-დემოკრატი» № 33: «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» *), რომელიც გამოხატავს ომისადმი საერთო დამოკიდებულებას და გ ა ე გ ზ ა ვ ნ ა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს. ვიდრე ზავის პირობებზე ვილაპარაკებდეთ, უნდა გამოვარკვიოთ, რა საშუალებებით უნდა მივაღწიოთ ზავს, ხოლო ამისათვის აუცილებელია დავადგინოთ, არსებობს თუ არა საერთო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ბაზა, ვთათბირობთ ჩვენ, როგორც შოვინისტები, პაციფისტები თუ სოციალ-დემოკრატები-მეთქი. ვკითხულობ ჩვენს დეკლარაციას, მაგრამ თავმჯდომარე არ მაძლევს მისი დამთავრების შესაძლებლობას და აცხადებს, თქვენი მდგომარეობა, როგორც დელეგატისა, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული (!!), ჩვენ «სხვადასხვა პარტიის გასაკრიტიკებლად კი არ შევკრებილვართო» (!!!). მე ვაცხადებ, ჩემს სიტყვას განვაგრძობ სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ-მეთქი». (დეკლარაციის ტექსტი, რომლის წაკითხვის საშუალება არ მოგვცეს, იბეჭდება შემდეგ ნომერში).

«მოკლე განცხადებებით საერთო პოზიციის შესახებ გამოვიდნენ ვალიანი, ვანდერველდე, მაკდონალდი, რუბა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 13—24. რ ე დ.

ნოვიჩი. შემდეგ, სამანდატო კომისიის მოხსენების გამო მაისკის წინადადება ეძლევა თვითონ გადაწყვიტოს, შეუძლია თუ არა მას ერთპიროვნულად იყოს ორგანიზაციული კომიტეტის წარმომადგენელი, მე კი «ნება მეძლევა» მონაწილეობა მივიღო. მე მადლობას მოვახსენებ კონფერენციას «თავაზიანობისათვის» და მსურს განვაგრძო დეკლარაცია იმის გამოსარკვევად, შემიძლია თუ არა დავრჩე. თავმჯდომარე სიტყვას მაწყვეტინებს და ნებას არ მაძლევს «პირობები» წავუყენო კონფერენციას. მაშინ მე ვთხოვ ნება დამრთონ ვაუწყო, თუ რა მოტივებით არ შემიძლია მონაწილეობა მივიღო კონფერენციაში. უარყვეს. მაშინ ნება მომეცით განვაცხადო, რომ რსდმპ არ მონაწილეობს კონფერენციაში, ხოლო მიზეზების შესახებ ვტოვებ წერილობითს დეკლარაციას თავმჯდომარესთან. ვკრებ ქაღალდებს და გავდივარ...

თავმჯდომარეს გადაეცა ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის (ბერზინის) განცხადება, რომ ის სავსებით უერთდება ჩვენს დეკლარაციას».

კონფერენციის დელეგატებს აეკრძალათ აცნობონ რაიმე პრესას, მაგრამ ამხ. მაქსიმოვიჩის წასვლას ეს, იგულისხმება, არ ეხება, და ორგანომ, რომელშიც მონაწილეობს კეირ-ჰარდი, «**Labour Leader**»-მა [65], აღნიშნა მაქსიმოვიჩის წასვლა და მისი თვალსაზრისი ზოგადად.

ლონდონის კონფერენციას და მის რეზოლუციებს ჩვენ, ადგილის უქონლობის გამო, იძულებული ვართ შემდეგ ნომერში დავუბრუნდეთ. ჯერჯერობით აღვნიშნავთ მისი რეზოლუციების სრულ უვარგისობას; ისინი მხოლოდ ფარავენ სოციალ-შოვინიზმს.

რუსეთის წარმომადგენლობის სურათი: ცენტრალური კომიტეტი და ლატვიელი სოციალ-დემოკრატები გადაჭრით და ცხადად წინააღმდეგნი არიან სოციალ-შოვინიზმისა. ლიკვიდატორთა ორგანიზაციული კომიტეტი არარაობას წარ-

მოადგენს ან ყველას ფეხებში ებლანდება. სოციალისტ-რევოლუციონერების «პარტია» (რუბანოვიჩი) სოციალ-შოვინიზმის მომხრეა, «მისლი» (ბობროვი და ჩერნოვი) ოპოზიციაშია, რომელსაც ჩვენ შევაფასებთ, როდესაც გავიგებთ, თუ როგორია მათი განცხადება.

«სოციალ-დემოკრატი» № 39,
1915 წ. 3 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სხვისი დროშვით [70]

დაწერილია არა უადრეს 1915 წ. თებერვლისა

პირველად დაიბეჭდა 1917 წელს წიგნის
გამომცემლობა «პრილივის» I «კრებულში».
მოსკოვი

ხელმოწერა: ნ. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო ვ ი

იბეჭდება
«კრებულის» ტექსტის
მიხედვით

«ნაშე დელოს» 1 №-ში (პეტროგრადი, 1915 წ. იანვარი)[71] დაიბეჭდა ბ-ნ ა. პოტრესოვის მეტისმეტად დამახასიათებელი პროგრამული სტატია: «ორი ეპოქის მიჯნაზე». ისევე, როგორც იმავე ავტორის წინანდელი სტატია, მოთავსებული ერთ-ერთ ჟურნალში ცოტა უფრო ადრე, ეს სტატიაც გადმოგვცემს რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების მთელი ბურჟუაზიული მიმდინარეობის, სახელდობრ — ლიკვიდატორული მიმდინარეობის — ძირითად იდეებს თანამედროვეობის დიდმნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხებზე. სწორედ რომ ითქვას, ჩვენს წინაშეა არა სტატიები, არამედ გარკვეული მიმართულების მანიფესტი, და ყველა, ვინც კი ყურადღებით წაიკითხავს ამ სტატიებს და ჩაუფიქრდება მათ შინაარსს, დაინახავს, რომ მხოლოდ შემთხვევითმა, ე. ი. წმინდა ლიტერატურული ინტერესებისათვის უცხო, მოსაზრებებმა შეუშალეს ხელი ავტორის (და მისი მეგობრების, ვინაიდან ავტორი მარტო არ არის) აზრებს გამოთქმული ყოფილიყვნენ უფრო შესაფერისი ფორმით — დეკლარაციისა ან «კრედოს» (მრწამსის აღსარების) ფორმით.

ა. პოტრესოვის მთავარი აზრი ის არის, რომ თანამედროვე დემოკრატია ორი ეპოქის მიჯნაზე იმყოფება, ამასთან ძველი ეპოქის ძირითადი განსხვავება ახალი ეპოქისაგან მდგომარეობს ნაციონალური შეზღუდულობიდან საერთაშორისო თვალსაზრისისაკენ გადასვლაში. თანამედროვე დემოკრატიად ა. პოტრესოვი გულისხმობს იმ დემოკრატიას, რომელიც დამახასიათებელია XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისისათვის, ძველი, ბურჟუაზიული

დემოკრატიისაგან განსხვავებით, რომელიც დამახასიათებელია XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის პირველი ორი მესამედისათვის.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ავტორის აზრი უეჭველად სწორია, რომ ჩვენს წინაშეა თანამედროვე დემოკრატიაში ახლა გაბატონებული ნაციონალურ-ლიბერალური მიმართულების მოწინააღმდეგე, რომ ავტორი ნაციონალ-ლიბერალი კი არ არის, არამედ «საერთაშორისო» თვალსაზრისზე დგას.

მართლაც, საერთაშორისო თვალსაზრისის დაცვა, ნაციონალური შეზღუდულობისა და ნაციონალური განკერძოების მიჩნევა ძველი, გარდასული ეპოქის ნიშნებად — განა ეს არ არის ნაციონალ-ლიბერალიზმის, — ამ გავრცელებული სენის, თანამედროვე დემოკრატიის ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი ოფიციალური წარმომადგენლების წყლულის გადაჭრით უკუგდება?

ერთი შეხედვით არათუ შეიძლება, არამედ თითქმის გარდუვალადაც ასე უნდა მოგვეჩვენოს. ამავე დროს კი ეს ძირითადი შეცდომაა. ავტორს თავისი ტვირთი სხვისი დროშით მიაქვს. მან — შეგნებულად თუ შეუგნებლად, ეს ამ შემთხვევაში სულერთია — პატარა სამხედრო ხერხს — ეშმაკობას მიმართა, «საერთაშორისობის» დროშა გამოჰფინა იმ მიზნით, რომ ამ დროშით უფრო უშიშრად გაატაროს ნაციონალ-ლიბერალიზმის კონტრაბანდული ტვირთი. ვინაიდან ა. პოტრესოვი სრულიად უეჭველი ნაციონალ-ლიბერალია. მისი სტატიის (და მისი პროგრამის, მისი პლატფორმის, მისი «კრედოს») მთელი დედააზრი სწორედ ის არის, რომ გამოიყენოს ეს პატარა, თუ გნებავთ, უმანკო სამხედრო ხერხი — გაატაროს ოპორტუნიზმი საერთაშორისობის დროშით. ამ დედააზრის განმარტებაზე საჭიროა დაწვრილებით შევჩერდეთ, ვინაიდან საკითხი დიდი, პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა. ხოლო სხვისი დროშის ხმარება ა. პოტრესოვის მიერ მით უფრო სახიფათოა, რომ იგი ინიღბება არა მარტო «საერთაშორისობის» პრინციპით, არამედ «მარქსისტული მე-

თოდოლოგიის» მომხრის სახელწოდებითაც. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ა. პოტრესოვს სურს იყოს მარქსიზმის ჭეშმარიტი მიმდევარი და გამომხატველი, სინამდვილეში კი ის მარქსიზმს ნაციონალ-ლიბერალიზმით ცვლის. ა. პოტრესოვს სურს «გაუსწოროს» კაუცკის, რომელსაც ბრალად სდებს «ადვოკატობას», ე. ი. ხან ერთი, ხან მეორე ფერის ერის, სხვადასხვა ფერის ერის ლიბერალიზმის დაცვას. ა. პოტრესოვს სურს ნაციონალ-ლიბერალიზმს (ვინაიდან ეს სრულიად უეჭველი და უდავოა, რომ კაუცკი ახლა სავსებით ნაციონალ-ლიბერალი გახდა) დაუპირისპიროს საერთაშორისობა და მარქსიზმი. სინამდვილეში კი ა. პოტრესოვი ჭ რ ე ლ ნაციონალ-ლიბერალიზმს უპირისპირებს ე რ თ ფ ე რ ი ა ნ ნაციონალ-ლიბერალიზმს. მარქსიზმი კი მტერია — ახლანდელი კონკრეტული ისტორიული სიტუაციისთვისაც, ყოველმხრივ მტერია — ყოველგვარი ნაციონალ-ლიბერალიზმისა.

ეს რომ მართლაც ასეა და რატომ არის ეს ასე — სწორედ ამაზე გვექნება ახლა ლაპარაკი.

I

დედააზრი ა. პოტრესოვის მარცხისა, რამაც გამოიწვია ის, რომ იგი ნაციონალ-ლიბერალური დროშით მცურავი აღმოჩნდა, შეიძლება ყველაზე უფრო ადვილად იქნეს გაგებული, თუ მკითხველი ჩაუკვირდება სტატიის შემდეგ ადგილს:

...«მათთვის (მარქსისა და მისი ამხანაგებისათვის) დამახასიათებელი მთელი ტემპერამენტით ისინი ეკვეთებოდნენ პრობლემას, რათა დაეძლიათ იგი, რაც უნდა რთული ყოფილიყო პრობლემა, ისინი დიაგნოზს უსვამდნენ კონფლიქტს, ცდილობდნენ განესაზღვრათ, თუ რ ო მ ე ლ ი მ ხ ა რ ი ს წ ა რ მ ა ტ ე ბ ა გადაუშლიდა მეტ გასაქანს მათი თვალსაზრისით სასურველ შესაძლებლობას, და ამრიგად ქმნიდნენ გარკვეულ ბაზას თავისი ტაქტიკის ასაგებად» (გვ. 73, ხაზგასმა ციტატებში ჩვენია).

«რომელი მხარის წარმატებაა უფრო სასურველი», — აი რა უნდა გაირკვეს, და ამასთან არა ნაციონალური, არამედ საერთაშორისო თვალსაზრისით; აი რა შეადგენს მარქსისტული მეთოდოლოგიის დედაარსს; აი რას არ იძლევა კაუცკი, რომელიც ამრიგად იქცევა «მსაჯულიდან» (მარქსისტიდან) «ადვოკატად» (ნაციონალ-ლიბერალად). ასეთია ა. პოტრესოვის აზრი. თვითონ ა. პოტრესოვი უაღრესად დარწმუნებულია, რომ ის სრულიადაც არ «ადვოკატობს», როცა იცავს ერთ-ერთი მხარის (სახელდობრ თავისი მხარის) წარმატების სასურველობას, არამედ ხელმძღვანელობს ჭეშმარიტად საერთაშორისო მოსაზრებებით მეორე მხარის «მეტისმეტი» ცოდვების შესახებ...

პოტრესოვიც, მასლოვიც, პლეხანოვიც და ა. შ. ხელმძღვანელობენ ჭეშმარიტად-საერთაშორისო მოსაზრებებით, როცა იმავე დასკვნებამდე მიდიან, რა დასკვნებამდეც მიდის პირველი მათგანი... ეს სასაცილო გულუბრყვილობაა... თუმცაღა, ნუ წავირბენთ წინ, არამედ ჯერ დავამთავროთ წმინდა თეორიული საკითხის განხილვა.

«რომელი მხარის წარმატებაა უფრო სასურველი»[72], განსაზღვრავდა მარქსი, მაგალითად, იტალიის 1859 წლის ომში. ა. პოტრესოვი ჩერდება სწორედ ამ საკითხზე, «რომელსაც ჩვენთვის, მისი ზოგიერთი თავისებურების გამო, სპეციალური ინტერესი აქვსო». ჩვენი მხრივ აგრეთვე თანახმა ვართ ავიღოთ ა. პოტრესოვის მიერ არჩეული მაგალითი.

ვითომდა იტალიის განთავისუფლების გულისათვის, ნამდვილად კი თავისი დინასტიური მიზნებისათვის, ნაპოლეონ III 1859 წელს ომი გამოუცხადა ავსტრიას.

«ნაპოლეონ III ზურგს უკან, — წერს ა. პოტრესოვი, — მოსჩანდა ფიგურა გორჩაკოვისა, რომელმაც ის-ის იყო დადო საიდუმლო შეთანხმება ფრანგების იმპერატორთან». გამოდის წინააღმდეგობათა კვანძი: ერთ მხარეზეა ურეაქციულესი ევროპული მონარქია, რომელიც ჩაგრავდა იტალიას, მეორეზე არიან განთავისუფლების გზაზე მყოფი და რევოლუციური იტალიის წარმომადგენლები, თვით გარი-

ბალდის ჩათვლით, ხელიხელჩაკიდებულნი არქირეაქციონერ ნაპოლეონ III-თან და ა. შ. «უფრო მარტივი არ იქნებოდა, — წერს ა. პოტრესოვი, — ცოდვას გასცლოდნენ და ეთქვათ: «ორივე ცუდია»? მაგრამ არც ენგელსს, არც მარქსს და არც ლასალს არ ხიბლავდა ასეთი გადაწყვეტის «სიმარტივე», და ისინი შეუდგნენ საკითხის გამოძიებას» (ა. პოტრესოვს სურს თქვას: საკითხის შესწავლასა და გამოკვლევას), «თუ შეტაკების რანაირ შედეგს შეუძლია ყველაზე მეტი შანსი მისცეს იმ საქმეს, რომელიც ყველა იმათთვის ძვირფასია».

მარქსი და ენგელსი ფიქრობდნენ, ლასალის წინააღმდეგ, რომ პრუსია ამ ომში უნდა ჩაერიოს. მათ მოსაზრებათა შორის, — თვითონ ა. პოტრესოვის აღიარებით, — იყო მოსაზრებანი «იმის შესახებაც, რომ გერმანიაში, მტრულ კოალიციასთან შეტაკების შედეგად, შესაძლებელია ეროვნული მოძრაობა, რომელიც გაჩაღდება გერმანიის მრავალრიცხოვან მბრძანებელთათვის გვერდის ავლით, და იმის შესახებაც, თუ რომელი სახელმწიფო წარმოადგენს ევროპულ კონცერტში ცენტრალურ ბოროტებას: რეაქციული დუნაისპირა მონარქია თუ ამ კონცერტის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები».

ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, — დაასკვნის ა. პოტრესოვი, — მარქსი იყო მართალი თუ ლასალი; საგულისხმოა ის, რომ ყველას საჭიროდ მიაჩნია განსაზღვროს საერთაშორისო თვალსაზრისით, თუ რომელი მხარის წარმატებაა უფრო ხელსაყრელიო.

ასეთია ა. პოტრესოვის მიერ აღებული მაგალითი; ასეთია ჩვენი ავტორის მსჯელობა. თუ მარქსს მაშინ შეეძლო «საერთაშორისო კონფლიქტების შეფასება» (ა. პოტრესოვის გამოთქმა), მიუხედავად ო რ ი ვ ე მეომარი მხარის მთავრობათა უკიდურესი რეაქციულობისა, ახლაც მარქსისტები ვალდებული არიან მოგვცენ ა მ გ ვ ა რ ი შეფასება, — დაასკვნის ა. პოტრესოვი.

ეს დასკვნა გულუბრყვილოდ ბავშვურია ან უხეშად სოფისტური, ვინაიდან იგი მდგომარეობს შემდეგში: რადგან

მარქსი 1859 წელს წყვეტდა იმ საკითხს, თუ რომელი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს წარმატებაა უფრო სასურველი, ამიტომ ჩვენც, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, უნდა გადავწყვიტოთ სწორედ ასეთივე საკითხიო.

ა. პოტრესოვმა ვ ე რ შ ე ა მ ჩ ნ ი ა, რომ მარქსისათვის 1859 წელს (და მთელ რიგ უფრო გვიანდელ შემთხვევებში) საკითხი, «რომელი მხარის წარმატებაა უფრო სასურველი», ულრის საკითხს, «რომელი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს წარმატებაა უფრო სასურველი». ა. პოტრესოვმა ვ ე რ შ ე ა მ ჩ ნ ი ა, რომ მარქსი ჩვენთვის ცნობილ საკითხს მაშინ წყვეტდა, როდესაც იყო — და არა თუ იყო, არამედ ევროპის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებში ისტორიული პროცესის პირველ ადგილზე იყო წამოწეული — უეჭველად პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მოძრაობა. ჩვენს დროში, მაგალითად, ევროპის «კონცერტის» ისეთი, უეჭველად ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი ფიგურების მიმართ, როგორიც არიან ინგლისი და გერმანია, სასაცილოც კი იქნებოდა გვეფიქრა პროგრესულ ბურჟუაზიაზე, პროგრესულ ბურჟუაზიულ მოძრაობაზე. ამ ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ერთეულების ძველი ბურჟუაზიული «დემოკრატია» რეაქციული გახდა. ბ-მა ა. პოტრესოვმა კი ეს «დაივიწყა» და თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე (არა ბურჟუაზიული) დემოკრატიის თვალსაზრისის საკითხი შეცვალა ძ ვ ე ლ ი (ბურჟუაზიული) ვითომდა დემოკრატიის თვალსაზრისით. ეს გადასვლა სხვა, ამასთან ძველი, დრომოჭმული კლასის თვალსაზრისზე წმინდა წყლის ოპორტუნიზმია. ასეთი გადასვლა რომ გამართლებულ იქნეს ძველი და ახალი ეპოქის ისტორიული პროცესის ობიექტური შინაარსის ანალიზით, ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

სწორედ ბურჟუაზია — მაგალითად, გერმანიაში, აგრეთვე ინგლისშიც — ცდილობს მოახდინოს ასეთი შეცვლა, როგორიც მოახდინა ა. პოტრესოვმა, იმპერიალისტური ეპოქის შეცვლა ბურჟუაზიულ-პროგრესული, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიულ-განმათავისუფლე-

ბელი მოძრაობის ეპოქით. ა. პოტრესოვი უკრიტიკოდ მისჩანჩალებს კუდში ბურჟუაზიას. და ეს მით უფრო მიუტევებელია, რომ თვითონ ა. პოტრესოვი მის მიერვე აღებულ მაგალითში იძულებული იყო ელიარებინა და აღენიშნა, თუ როგორი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ მარქსი, ენგელსი და ლასალი დიდი ხნის გარდასულ ეპოქაში *.

ჯერ ერთი, ეს იყო მოსაზრებანი ე რ ო ვ ნ უ ლ მოძრაობაზე (გერმანიისა და იტალიისა), იმაზე, რომ იგი განვითარებულიყო «შუასაუკუნეობრიობის წარმომადგენლებისათვის» გვერდის ავლით; მეორეც, მოსაზრებანი ევროპულ კონცერტში რეაქციული მონარქიების (ავსტრიის, ნაპოლეონის და ა. შ.) «ცენტრალურ ბოროტებაზე».

ეს მოსაზრებანი სრულიად ნათელია და უდავო. მარქსისტები არასოდეს არ უარყოფდნენ ფეოდალურ-აბსოლუტისტური ძალების წინააღმდეგ ბურჟუაზიულ-ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრესულობას. ა. პოტრესოვმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ა რ ა ფ ე რ ი ა მ ი ს მ ს გ ა ვ ს ი ცენტრალურ, ე. ი. ჩვენი ეპოქის უმთავრეს, უმნიშვნელოვანეს, კონფლიქტში მყოფ, სახელმწიფოებში არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაშინ იტალიაშიც და გერმანიაშიც იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ტიპის სახალხო მოძრაობა, რომელიც ა თ ე უ ლ ი

* სხვათა შორის, ა. პოტრესოვი უარს ამბობს გადაწყვიტოს, მარქსი იყო მართალი თუ ლასალი 1859 წლის ომის პირობების შეფასებაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მართალი იყო (მერინგის წინააღმდეგ) მარქსი, ხოლო ლასალი მაშინაც, ისევე როგორც თავის ლაქუცში ბისმარკთან, ოპორტუნისტი იყო. ლასალი შემგუებლობას იჩენდა პრუსიისა და ბისმარკის გამარჯვებისადმი, იმისადმი, რომ იტალიისა და გერმანიის დემოკრატიულ ეროვნულ მოძრაობას საკმაო ძალა არ გააჩნდა. ამრიგად, ლასალი ქანაობდა ნაციონალურ-ლიბერალური მუშათა პოლიტიკის მიმართულებით. მარქსი კი აქეზებდა, ავითარებდა თანმიმდევრულად დემოკრატიულ, ეროვნულ-ლიბერალური ლაჩრობისადმი მტრულ პოლიტიკას (პრუსიის ჩარევა ნაპოლეონის წინააღმდეგ 1859 წელს ხელს შეუწყობდა სახალხო მოძრაობას გერმანიაში). ლასალი უფრო იხედებოდა არა ქვევით, არამედ ზევით, შეჰყურებდა ბისმარკს. ბისმარკის «წარმატება» სრულიადაც ვერ ამართლებს ლასალის ოპორტუნიზმს.

წ ლ ო ბ ი თ გრძელდებოდა. მაშინ დასავლეთის ბურჟუაზია კი არ უჭერდა მხარს თავისი ფინანსებით დანარჩენ ცნობილ სახელმწიფოებრივ ერთეულებს, არამედ, პირიქით, ეს სახელმწიფოები ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ წარმოადგენდნენ «ცენტრალურ ბოროტებას». ა. პოტრესოვმა არ შეიძლება არ იცოდეს, — ამას თვითონვე აღიარებს იმავე სტატიაში, — რომ ჩვენს ეპოქაში არსებული სახელმწიფოებრივი ერთეულებიდან ა რ ც ე რ თ ი არ არის და არც შეიძლება იყოს «ცენტრალური ბოროტება».

ბურჟუაზია (მაგალითად, გერმანიისა, თუმცა სრულიადაც არა მარტო ის) ანგარებითი მიზნებით აღვივებს ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიას და ცდილობს გადაიტანოს იგი იმპერიალიზმის ეპოქაში, ე. ი. სრულიად სხვა ეპოქაში. ბურჟუაზიას კუღში მისჩანჩალებენ, როგორც ყოველთვის, ოპორტუნისტები, რომლებიც ს ტ ო ვ ე ბ ე ნ თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე დემოკრატიის თვალსაზრისს და გადადიან ძ ვ ე ლ ი (ბურჟუაზიული) დემოკრატიის თვალსაზრისზე. სწორედ ეს არის ა. პოტრესოვისა და მისი ლიკვიდატორი თანამოაზრეების ყველა სტატიის და მთელი პოზიციის, მთელი ხაზის ძირითადი ცოდვა. მარქსი და ენგელსი, ძ ვ ე ლ ი (ბურჟუაზიული) დემოკრატიის ეპოქაში რომ წყვეტდნენ საკითხს, რომელიც ბურჟუაზიის წარმატებაა უფრო სასურველია, ზრუნავდნენ იმისათვის, **რომ** ლიბერალურ-ზომიერი მოძრაობა დემოკრატიულ-მღელვარე მოძრაობად განვითარებულიყო. ა. პოტრესოვი თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე (არა ბურჟუაზიული) დემოკრატიის ეპოქაში ქადაგებს ბურჟუაზიულ ნაციონალ-ლიბერალიზმს, როდესაც არც ინგლისში, არც გერმანიაში და არც საფრანგეთში ლაპარაკიც კი არ შეიძლება ბურჟუაზიულ-პროგრესულ მოძრაობაზე, — არც ლიბერალურ-ზომიერ, არც დემოკრატიულ-მღელვარე მოძრაობაზე. მარქსი და ენგელსი თ ა ვ ი ს ი ეპოქიდან, ბურჟუაზიულ-ნაციონალური პროგრესული მოძრაობის ეპოქიდან, მიდიოდნენ **წ ი ნ**, **უფრო შორს სწევდნენ ა მ მოძრაობას და ზრუნავდნენ,**

რათა იგი შუასაუკუნეობრიობის წარმომადგენელთა «გვერდის ავლით» განვითარებულიყო.

ა. პოტრესოვი, ისევე, როგორც ყველა სოციალ-შოვინისტი, თ ა ვ ი ს ი, თანამედროვე დემოკრატიის ეპოქიდან უკუიწევს და გადარბის ძველი (ბურჟუაზიული) დემოკრატიის დიდი ხნის დრომოჭმულ, მკვდარ და ამიტომ შინაგანად ყალბ თვალსაზრისზე.

ამიტომ უდიდეს დომხალსა და უდიდეს რეაქციულ მოწოდებას წარმოადგენს ა. პოტრესოვის შემდეგი მოწოდება დემოკრატიისადმი.

.....«იარე არა უკან, არამედ წინ. არა ინდივიდუალიზმისაკენ, არამედ საერთაშორისო შეგნებისაკენ მთელი მისი მთლიანობითა და მთელი მისი ძლიერებით. წინ, ე. ი. ერთგვარი აზრით უკანაც: უკან ენგელსისაკენ, მარქსისაკენ, ლასალისაკენ, საერთაშორისო კონფლიქტების შეფასების მათი მეთოდისაკენ; მათ მიერ სახელმწიფოთა საერთაშორისო მოქმედებისაც დემოკრატიული გამოყენების საერთო წრეში მოქცევისაკენ».

ა. პოტრესოვი არა «ერთგვარი აზრით», არამედ ყველა აზრით მიათრევს თანამედროვე დემოკრატიას უ კ ა ნ, ძველი ბურჟუაზიული დემოკრატიის ლოზუნგებისა და იდეოლოგიისაკენ, ბურჟუაზიისაგან მასების დამოკიდებულებისაკენ... მარქსის მეთოდი უწინარეს ყოვლისა იმას მოითხოვს, რომ გაითვალისწინო, თუ რა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი შინაარსი აქვს ისტორიულ პროცესს მოცემულ კონკრეტულ მომენტში, მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში, რომ უწინარეს ყოვლისა გაიგო, რ ო მ ე ლ ი კლასის მოძრაობა წარმოადგენს შესაძლო პროგრესის მთავარ წარმმართველ ძალას ამ კონკრეტულ ვითარებაში. მაშინ, 1859 წელს, ისტორიული პროცესის ობიექტური შინაარსი კონტინენტურ ევროპაში იყო არა იმპერიალიზმი, არამედ ეროვნულ-ბურჟუაზიული განმათავისუფლებელი მოძრაობანი. მთავარ წარმმართველ ძალას წარმოადგენდა ბურჟუაზიის მოძრაობა ფეოდალურ-აბსოლუტისტური ძალების წინააღმდეგ. ხოლო ბრძენთა-

ბრძენ ა. პოტრესოვს 55 წლის შემდეგ, როდესაც რეაქციული ფეოდალების ადგილი დაიკავეს მიხრწნილი ბურჟუაზიის ფინანსური კაპიტალის მაგნატებმა, რომლებიც ამ ფეოდალებს დაემსგავსნენ, სურს საერთაშორისო კონფლიქტები შეაფასოს არა ახალი კლასის, არამედ ბურჟუაზიის თვალსაზრისით*.

ა. პოტრესოვი არ ჩაფიქრებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ის ამ სიტყვებით ამბობს. ვთქვათ, ორი ქვეყანა ეომება ერთმანეთს ბურჟუაზიული, ეროვნული და განმათავისუფლებელი მოძრაობის ეპოქაში. რომელ ქვეყანას უნდა უსურვო წარმატება თანამედროვე დემოკრატიის თვალსაზრისით? ცხადია, რომ იმ ქვეყანას, რომლის წარმატება უფრო ძლიერად შეუწყობს ხელს და უფრო სწრაფად განავითარებს ბურჟუაზიის განმათავისუფლებელ მოძრაობას, უფრო ძლიერად შეარყევს ფეოდალიზმს. შემდეგ, ვთქვათ, რომ ობიექტური ისტორიული ვითარების განმსაზღვრელი მომენტი შეიცვალა, და ეროვნული განთავისუფლების გზაზე მდგომი კაპიტალის ადგილი დაიკავა ინტერნაციონალურმა რეაქციულმა, ფინანსურმა, იმპერიალისტურმა კაპიტალმა. პირველი ქვეყანა ფლობს, ვთქვათ, აფრიკის $^3/_4$, ხოლო მეორე — $^1/_4$. მათი ომის ობიექტური შინაარსია აფრიკის ხელახალი გაყოფა. რომელ მხარეს უნდა უსურვო წარმატება? საკითხის წინანდებურად დაყენება უაზროა, ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს შეფასების წინანდელი კრიტერიუმები: არ არის ბურჟუაზიული განმათავისუფლებელი მოძრაობის არც მრავალი წლის განვითარება, არც ფეოდალიზმის კრახის მრავალი წლის პროცესი. თანამედროვე დემოკრატიის საქმე არ არის არც ის,

* «ნამდვილად კი, — წერს ა. პოტრესოვი, — სწორედ ამ ვითომ უძრაობის პერიოდში თვითეული ქვეყნის შიგნით მიმდინარეობდა დიდი მოლეკულარული პროცესები, ხდებოდა საერთაშორისო ვითარების თანდათან გარდაქმნაც, ვინაიდან მასში განმსაზღვრელ მომენტად უფრო და უფრო ნათლად ხდებოდა კოლონიების დაპყრობის, მებრძოლი იმპერიალიზმის პოლიტიკა».

რომ დაეხმაროს პირველს განიმტკიცოს თავისი «უფლება» აფრიკის 3/4-ის მიმართ, არც ის, რომ დაეხმაროს მეორეს (თუნდაც იგი ეკონომიურად პირველზე უფრო სწრაფად ვითარდებოდეს) თვითონ დაეუფლოს ამ 3/4-ს.

თანამედროვე დემოკრატია მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება საკუთარი თავის ერთგული, თუ არც ერთ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას არ შეუერთდება, თუ იტყვის, რომ «ორივე ცუდია», თუ თვითეულ ქვეყანაში ისურვებს იმპერიალისტური ბურჟუაზიის წარუმატებლობას. საკითხის ყოველი სხვანაირი გადაწყვეტა ნამდვილად იქნება ნაციონალურ-ლიბერალური გადაწყვეტა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტ·საერთაშორისობასთან.

დაე მკითხველს ნუ შეაცდენს ა. პოტრესოვის ღვლარჭნილი ტერმინოლოგია, რომლითაც ის ჰფარავს თავის გადასვლას ბურჟუაზიის თვალსაზრისზე. როდესაც ა. პოტრესოვი გაიძახის: «არა ინდივიდუალიზმისაკენ, არამედ საერთაშორისო შეგნებისაკენ მთელი მისი მთლიანობითა და მთელი მისი ძლიერებითაო», მას მხედველობაში აქვს დაუპირისპიროს კაუცკის თვალსაზრისს თავისი თვალსაზრისი. კაუცკის (და მის მსგავსთა) შეხედულებას ის უწოდებს «ინდივიდუალიზმს», ამასთან გულისხმობს, რომ კაუცკი უარს ამბობს გაითვალისწინოს, «რომელი მხარის წარმატებაა უფრო სასურველი», და ამართლებს თვითეული «ინდივიდუალური» ქვეყნის მუშათა ნაციონალ-ლიბერალიზმს. ხოლო აი ჩვენ, ა. პოტრესოვი, ჩერევანინი, მასლოვი, პლეხანოვი და სხვ., ჩვენ მივმართავთ «საერთაშორისო შეგნებას მთელი მისი მთლიანობითა და ძლიერებით», ვინაიდან ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთი გარკვეული ფერის ნაციონალ-ლიბერალიზმს სრულიადაც არა ინდივიდუალურ-სახელმწიფოებრივი (ანუ ინდივიდუალურ-ნაციონალური) თვალსაზრისით, არამედ ჭეშმარიტად საერთაშორისო თვალსაზრისითო... ეს მსჯელობა სასაცილო იქნებოდა, ესოდენ... სამარცხვინო რომ არ იყოს.

და ა. პოტრესოვი მისი კომპანიითურთ და კაუცკი კუდში. მისჩანჩალებენ ბურჟუაზიას, უღალატეს რა იმ კლასის თვალსაზრისს, რომლის წარმომადგენლებადაც ლამობენ თავი მოგვაჩვენონ.

II

ა. პოტრესოვმა თავის სტატიას უწოდა: «ორი ეპოქის მიჯნაზე». უდავოა, ჩვენ ორი ეპოქის მიჯნაზე ვცხოვრობთ, და უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები, ჩვენ თვალწინ რომ ხდება, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მაშინ, თუ ანალიზს გავუკეთებთ, უწინარეს ყოვლისა, ერთი ეპოქიდან მეორეზე გადასვლის ობიექტურ პირობებს. ლაპარაკია დიდ ისტორიულ ეპოქებზე; თვითეულ ეპოქაში არის ხოლმე და იქნება ცალკეული, ნაწილობრივი მოძრაობა ხან წინ, ხან უკან, არის ხოლმე და იქნება სხვადასხვა გადახვევა მოძრაობის საშუალო ტიპიდან და საშუალო ტემპიდან. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, რა სისწრაფითა და რა წარმატებით განვითარდება ამა თუ იმ ეპოქის ცალკეული ისტორიული მოძრაობა. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ და ვიცით, თუ რ ო მ ე ლ ი კ ლ ა ს ი დგას ამა თუ იმ ეპოქის ცენტრში და განსაზღვრავს მის მთავარ შინაარსს, მისი განვითარების მთავარ მიმართულებას, მოცემული ეპოქის ისტორიული ვითარების მთავარ თავისებურებებს და ა. შ. მხოლოდ ამ ბაზაზე, ე. ი. თუ გავითვალისწინეთ უწინარეს ყოვლისა სხვადასხვა «ეპოქის» (და არა ცალკეული ქვეყნების ისტორიის ცალკეული ეპიზოდების) განსხვავების ძირითადი ნიშნები, შეგვიძლია სწორად ავაგოთ ჩვენი ტაქტიკა; და მხოლოდ მოცემული ეპოქის ძირითადი ნიშნების ცოდნა შეიძლება გამოდგეს ამა თუ იმ ქვეყნის უფრო დეტალურ თავისებურებათა გათვალისწინების ბაზად.

აი სწორედ ამ სფეროშია ა. პოტრესოვისა და კაუცკის (მისი სტატია დაბეჭდილია «ნაშე დელოს» იმავე ნომერში) ძირითადი სოფიზმი ან ორივეს ძირითადი ისტორიული შე-

ცდომა, რომელსაც ერთიც და მეორეც მიჰყავს არა მარქსისტულ, არამედ ნაციონალ-ლიბერალურ დასკვნებამდე.

საქმე ის არის, რომ მაგალითი, რომელიც აიღო ა. პოტრესოვმა და მისთვის «სპეციალურ ინტერესს» წარმოადგენს, იტალიის 1859 წლის კამპანიის მაგალითი და კაუცკის მიერ აღებული მთელი რიგი ანალოგიური ისტორიული მაგალითები, — ეხება «სწორედ არა იმ ისტორიულ ეპოქებს», რომელთა «მიჯნაზე» ჩვენ ვცხოვრობთ. ვუწოდოთ იმ ეპოქას, რომელშიც ჩვენ შევდივართ (ან შევედით, მაგრამ რომელიც თავის დასაწყისს სტადიაშია), თანამედროვე (ან მესამე) ეპოქა. ვუწოდოთ იმ ეპოქას, საიდანაც ჩვენ ეს-ეს არის გამოვედით, გუშინდელი (ან მეორე) ეპოქა. მაშინ იმ ეპოქას, რომლიდანაც ა. პოტრესოვი და კაუცკი თავის მაგალითებს იღებენ, უნდა ვუწოდოთ გუშინწინდელი (ან პირველი) ეპოქა. როგორც ა. პოტრესოვის, ისე კაუცკის მსჯელობის აღმაშფოთებელი სოფიზმი, აუტანელი სიყალბე სწორედ ის არის, რომ ისინი თანამედროვე (მესამე) ეპოქის პირობებს გუშინწინდელი (პირველი) ეპოქის პირობებით ცვლიან.

განვმარტოთ.

ისტორიული ეპოქების ჩვეულებრივი დაყოფა, რაც მრავალჯერ ყოფილა აღნიშნული მარქსისტულ ლიტერატურაში, რაც არა ერთხელ გაუმეორებია კაუცკის და რასაც ა. პოტრესოვი იღებს თავის სტატიაში, ასეთია: 1) 1789 — 1871; 2) 1871 — 1914; 3)1914 — ? ცხადია ზღვარი აქ, ისევე როგორც საერთოდ ყოველი ზღვარი ბუნებასა და საზოგადოებაში, აბსოლუტური კი არ არის, არამედ პირობითი და მოძრავია, შეფარდებითია. და ჩვენ მხოლოდ დაახლოებით ვიღებთ განსაკუთრებით შესანიშნავ და მეტად თვალსაჩინო ისტორიულ მოვლენებს, როგორც დიდ ისტორიულ მოძრაობათა ნიშანსვეტებს. პირველი ეპოქა, საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან საფრანგეთ-პრუსიის ომამდე, არის ბურჟუაზიის აღმავლობის, მისი სრული გამარჯვების ეპოქა. ეს არის ბურჟუაზიის აღმავალი ხაზი, საერ-

თოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის, კერძოდ ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობის ეპოქა, დრომოჭმულ ფეოდალურ-აბსოლუტისტურ დაწესებულებათა სწრაფი მსხვრევის ეპოქა. მეორე ეპოქა არის ბურჟუაზიის სრული ბატონობისა და დაქვეითების, პროგრესული ბურჟუაზიიდან რეაქციულ და ურეაქციულეს ფინანსურ კაპიტალზე გადასვლის ეპოქა. ეს არის ახალი კლასის, თანამედროვე დემოკრატიის მიერ ძალთა მომზადებისა და ნელი შემოკრების ეპოქა. მესამე ეპოქა, რომელიც მხოლოდ ახლა იწყება, ბურჟუაზიას ისეთ «მდგომარეობაში» აყენებს, როგორშიც ფეოდალები იყვნენ პირველი ეპოქის განმავლობაში. ეს არის ეპოქა იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური, აგრეთვე იმპერიალიზმიდან გამომდინარე, შერყევებისა.

სწორედ კაუცკიმ, და არა სხვა ვინმემ, მთელ რიგ სტატიებში და თავის ბროშურაში «გზა ძალაუფლებისაკენ» (გამოვიდა 1909 წელს) სრული გარკვეულობით დაახასიათა დაწყებული მესამე ეპოქის ძირითადი ნიშნები, აღნიშნა ამ ეპოქის ძირითადი განსხვავება მეორე (გუშინდელი) ეპოქისაგან, აღიარა თანამედროვე დემოკრატიის უშუალო ამოცანების, აგრეთვე ბრძოლის პირობებისა და ფორმების შეცვლა, რაც გამომდინარეობს ობიექტური ისტორიული პირობების შეცვლიდან. ახლა კაუცკი სწვავს იმას, რასაც გუშინ ეთაყვანებოდა, ყოვლად დაუჯერებლად, ყოვლად უმსგავსოდ, ყოვლად უსირცხვილოდ იცვლის ფრონტს. დასახელებულ ბროშურაში ის პირდაპირ ლაპარაკობს ომის და ამასთან სწორედ ისეთი ომის მოახლოების ნიშნებზე, რომელიც 1914 წელს ფაქტი შეიქნა. საკმარისი იქნებოდა ამ ბროშურის მთელი რიგი ადგილების უბრალო შედარება კაუცკის ახლანდელ ნაწერებთან, რომ სრული სიცხადით დაგვენახა მისი ღალატი თავისი საკუთარი შეხედულებებისა და ფრიად საზეიმო განცხადებებისადმი. და კაუცკი ამ მხრივ როდია გამონაკლისი შემთხვევა (ამასთან სრულიადაც არა მარტო გერმანული), არამედ ის ტიპიური წარმომადგე-

ნელია თანამედროვე დემოკრატიის მთელი ზედა ფენისა, რომელიც კრიზისის მომენტში ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა.

ა. პოტრესოვისა და კაუცკის მიერ აღებული ყველა ისტორიული მაგალითი პირველ ეპოქას ეხება. არა მარტო 1855, 1859, 1864, 1866, 1870 წლების ომების, არამედ აგრეთვე 1877 წლის (რუსეთ-თურქეთის ომის) და 1896 — 1897 წლების (თურქეთის ომი საბერძნეთთან და სომეხთა მღელვარება) ომების დროის ისტორიული მოვლენების ძირითადი ობიექტური შინაარსი იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობა ან «ბორგვა» ბურჟუაზიული საზოგადოებისა, რომელიც ფეოდალიზმის სხვადასხვა სახეობისაგან თავისუფლდებოდა. თანამედროვე დემოკრატიის არავითარ, მართლაც დამოუკიდებელ და ბურჟუაზიის ასაკგადასულობისა და დაქვეითების ეპოქის შესაფერის, მოქმედებაზე მთელ რიგ მოწინავე ქვეყნებში მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მთავარი კლასი, რომელიც მაშინ, ამ ომების დროს და ამ ომებში მონაწილე, მიდიოდა აღმავალი ხაზით და რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო გამოსვლა უპირატესი ძალით ფეოდალურ-აბსოლუტისტურ დაწესებულებათა წინააღმდეგ, იყო ბურჟუაზია. სხვადასხვა ქვეყანაში ეს ბურჟუაზია, რომელიც წარმოდგენილი იყო შ ე ძ ლ ე ბ უ ლ საქონელმწარმოებელთა სხვადასხვა ფენით, მეტნაკლებად პროგრესული იყო, ხოლო ზოგჯერ (მაგალითად, იტალიის ბურჟუაზიის ნაწილი 1859 წელს) რევოლუციურიც კი, მაგრამ ეპოქის საერთო ნიშანს წარმოადგენდა სწორედ ბურჟუაზიის პროგრესულობა, ე ს ე ი გ ი ფეოდალიზმთან მისი ბრძოლის გადაუწყვეტლობა, დაუმთავრებლობა. სავსებით ბუნებრივია, რომ მაშინდელი დემოკრატიის ელემენტები, — და მარქსი, როგორც მათი წარმომადგენელი, — ხელმძღვანელობდნენ რა უდავო პრინციპით — მხარი დაეჭირათ პროგრესული ბურჟუაზიისათვის (ბრძოლის უნარის მქონე ბურჟუაზიისათვის) ფეოდალიზმის წინააღმდეგ, მაშინ წყვეტდნენ იმ საკითხს, «რომელი მხარის წარმატება», ე. ი. რო-

მელი ბურჟუაზიის წარმატება იყო უფრო სასურველი. სახალხო მოძრაობა მთავარ ქვეყნებში, რომლებსაც ომი შეეხო, მაშინ საერთო-დემოკრატიული, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო თავისი ეკონომიური და კლასობრივი შინაარსით. სავსებით ბუნებრივია, რომ მაშინ ვერც დაისმებოდა სხვაგვარი საკითხი, გარდა იმ საკითხისა, თუ რომელი ბურჟუაზიის წარმატება, რა კომბინაციისას, რომელი რეაქციული (ფეოდალურ-აბსოლუტისტური, ბურჟუაზიის აღმავლობის შემფერხებელი) ძალის დამარცხებისას შეიქმნებოდა მეტი «გასაქანი» თანამედროვე დემოკრატიისათვის.

და ამასთან მარქსი, როგორც ა. პოტრესოვიც კი იძულებულია ეს აღიაროს, ხელმძღვანელობდა, ბურჟუაზიული ნაციონალური და განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიადაგზე აღმოცენებული საერთაშორისო კონფლიქტების «შეფასებისას», იმ მოსაზრებებით, თუ რომელი მხარის წარმატებას უფრო შეეძლო დახმარებოდა ნაციონალური და საერთოდ სახალხო საერთო-დემოკრატიული მოძრაობის «განვითარებას» (ა. პოტრესოვის სტატიის 74-ე გვ.). ეს იმას ნიშნავს, რომ სამხედრო კონფლიქტების დროს, რომლებსაც ცალკეულ ეროვნებებში ხელისუფლებისაკენ ბურჟუაზიის მისწრაფება იწვევდა, მარქსი უწინარეს ყოვლისა ზრუნავდა, ისევე როგორც 1848 წელს, იმაზე, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობანი გაფართოებულიყო და გამწვავებულიყო უფრო ფართო და უფრო «პლებეური» მასების, საერთოდ წვრილი ბურჟუაზიის, კერძოდ გლეხობის, დასასრულ, უქონელი კლასების მონაწილეობის გზით. მარქსის სწორედ ეს მოსაზრება მოძრაობის სოციალური ბაზის გაფართოების, მოძრაობის განვითარების შესახებ ძირეულად განასხვავებდა მარქსის თანმიმდევრულად დემოკრატიულ ტაქტიკას ლასალის არათანმიმდევრული ტაქტიკისაგან, ისეთი ტაქტიკისაგან, რომელიც ნაციონალ-ლიბერალებთან კავშირისაკენ იხრებოდა.

საერთაშორისო კონფლიქტები მესამე ეპოქაშიც დარჩა თავისი ფ ო რ მ ი თ ისეთივე საერთაშორისო კონფლიქტებად, როგორც პირველ ეპოქაში, მაგრამ მათი სოციალური და კლასობრივი შ ი ნ ა ა რ ს ი ძირეულად შეიცვალა. ობიექტური ისტორიული ვითარება სხვანაირი გახდა.

ფეოდალიზმის წინააღმდეგ ზეაღმავალი, ნაციონალური განთავისუფლების გზით მიმავალი კაპიტალის ბრძოლა შესცვალა ურეაქციულესი, ვადაგარდასული და დრომოჭმული, დაბლა, დაქვეითებისაკენ მავალი ფინანსური კაპიტალის ბრძოლამ ახალი ძალების წინააღმდეგ. სახელმწიფოთა ბურჟუაზიულ-ნაციონალური ჩარჩოები, რომლებიც პირველ ეპოქაში წარმოადგენდა ფეოდალიზმისაგან განთავისუფლების პროცესში მყოფი კაცობრიობის საწარმოო ძალთა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს დასაყრდენს, ახლა, მესამე ეპოქაში, საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების დ ა ბ რ კ ო ლ ე ბ ა შეიქნა. ბურჟუაზია აღმავალი, მოწინავე კლასიდან დაღმავალი, დაქვეითების გზით მიმავალი, შინაგანად მკვდარი, რეაქციული გახდა. აღმავალი — ფართო ისტორიული მასშტაბით — შეიქნა სრულიად სხვა კლასი.

ა. პოტრესოვმა და კაუცკიმ დატოვეს ამ კლასის თვალსაზრისი, ისინი უკან წავიდნენ და იმეორებენ ბურჟუაზიულ სიცრუეს, დამყარებულს იმაზე, თითქოს ისტორიული პროცესის ობიექტურ შინაარსს ა ხ ლ ა ც წარმოადგენდეს ბურჟუაზიის პროგრესული მოძრაობა ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ნამდვილად კი ახლა ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე დემოკრატია უკან მისჩანჩალებდეს რ ე ა ქ ც ი უ ლ, იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, სულ ერთია, რა «ფერისაც» უნდა იყოს ეს ბურჟუაზია.

პირველ ეპოქაში, ობიექტურად, ისტორიული ამოცანა იყო: როგორ «გამოეყენებინა» პროგრესულ ბურჟუაზიას, თავის ბრძოლაში მომაკვდავი ფეოდალიზმის მ თ ა ვ ა რ წარმომადგენელთა წინააღმდეგ, საერთაშორისო კონფლიქტები საერთოდ მთელი მსოფლიო ბურჟუაზიული დემოკრატიის მაქსიმალური წარმატებისათვის. მაშინ, პირველ ეპო-

ქაში, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, ბუნებრივი და გარდუვალი იყო, რომ ფეოდალიზმის მიერ დამონებული ბურჟუაზია წარუმატებლობას უსურვებდა «თავის» ფეოდალურ მჩაგვრელს, ამასთან ამ მთავარი, ცენტრალური, საერთო-ევროპული წონის მქონე, ფეოდალური ციხე-სიმაგრეების რიცხვი სულ მცირე იყო. და მარქსი «აფასებდა»: რომელ ქვეყანაშია, მოცემული კონკრეტული ვითარების (სიტუაციის) დროს, ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატება უფრო არსებითი მნიშვნელობისა საერთო-ევროპული ფეოდალური ციხე-სიმაგრის შესარყევად.

ახლა, მესამე ეპოქაში, საერთო-ევროპული მნიშვნელობის ფეოდალური ციხე-სიმაგრე სულაც არ დარჩენილა. «გამოყენება», რა თქმა უნდა, ამოცანაა თანამედროვე დემოკრატიისა, მაგრამ სწორედ საერთაშორისო გამოყენება — ა. პოტრესოვისა და კაუცკის წინააღმდეგ — უნდა წარიმართოს არა ცალკეული ნაციონალური ფინანსური კაპიტალების, არამედ ინტერნაციონალური ფინანსური კაპიტალის წინააღმდეგ. და უნდა გამოიყენოს არა იმ კლასმა, რომელიც 50 — 100 წლის წინათ აღმავალი კლასი იყო. მაშინ საქმე ეხებოდა ყველაზე მოწინავე ბურჟუაზიული დემოკრატიის «საერთაშორისო მოქმედებას» (გამოთქმა ა. პოტრესოვისა); ახლა ისტორიულად მომწიფდა და საქმეთა ობიექტური მდგომარეობით დასმულია ამგვარი ამოცანა სულ სხვა კლასის წინაშე.

III

მეორე ეპოქას ანუ, ა. პოტრესოვის თქმით, «ორმოცდახუთწლიან ხანას» (1870 — 1914), ეს უკანასკნელი მეტად არასრულად ახასიათებს. ასეთივე უსრულობით გამოირჩევა ამ ეპოქის დახასიათება ტროცკის გერმანულ თხზულებაში, თუმცა ტროცკი პრაქტიკულ დასკვნებში არ ეთანხმება ა. პოტრესოვს (რაც პირველს უპირატესობას ანიჭებს მეორის წინაშე) — ამასთან ორივე დასახელებული მწერლისათვის თითქმის გაუგებარი რჩება მათი გარკვეული ურთიერთსიახლოვის მიზეზი.

ა. პოტრესოვი იმ ეპოქაზე, რომელსაც ჩვენ მეორე ანუ გუშინდელი ვუწოდეთ, წერს:

«მუშაობისა და ბრძოლის დეტალიზებული შეზღუდულობა და ყოვლისმომცველი თანდათანობა, ეპოქის ეს ნიშნები, ზოგიერთთა მიერ პრინციპად გამოცხადებული, სხვებისათვის იქცა მათი ყოფის ჩვეულებრივ ფაქტად და, როგორც ასეთი, შევიდა ელემენტად მათ ფსიქიკაში, ელფერად მათ იდეოლოგიაში» (71). «მისი (ამ ეპოქის) გეგმაზომიერად დინჯი და ფრთხილი წინსვლის უნარს თავის მეორე მხარედ ჰქონდა მკაფიოდ გამოხატული შეუგუებლობა თანდათანობის დარღვევის მომენტებთან და ყოველგვარ კატასტროფულ მოვლენებთან, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, უაღრესი კარჩაკეტილობა ნაციონალური მოქმედების წრეში — ნაციონალურ გარემოში» (72).... «არც რევოლუცია, არც ომები» (70).... «დემოკრატია მით უფრო წარმატებით ეროვნულდებოდა, რაც უფრო ჭიანურდებოდა მისი «პოზიციური ბრძოლის» პერიოდი, რაც უფრო დიდხანს არ შორდებოდა სცენას ევროპის ისტორიის ის ხანა, რომელმაც.... არ იცოდა საერთაშორისო კონფლიქტები ევროპის შუაგულში და, მაშასადამე, არც განიცდიდა ისეთ მღელვარებას, რაც გასცილდებოდა ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი ტერიტორიების ფარგლებს, და რომელსაც მწვავედ არ განუცდია საერთო-ევროპული თუ მსოფლიო მასშტაბის ინტერესები» (75 — 76).

ამ დახასიათების, ისევე როგორც ტროცკის მიერ იმავე ეპოქის სათანადო დახასიათების, ძირითადი ნაკლი ის არის, რომ არ სურთ დაინახონ და აღიარონ ღრმა შინაგანი წინააღმდეგობანი თანამედროვე დემოკრატიაში, რომელიც აღნიშნულ ნიადაგზე ვითარდება. ისე გამოდის, თითქოს მოცემული ეპოქის თანამედროვე დემოკრატია რჩებოდა ერთიან მთელად, რომელიც, საერთოდ რომ ითქვას, იჟღინთებოდა თანდათანობითობით, ეროვნულდებოდა, გადაეჩვია თანდათანობითობის დარღვევას და კატასტროფებს, წვრილმანდებოდა, ხავსდებოდა.

ნამდვილად კი ასე არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან აღნიშნულ ტენდენციებთან ერთად, უდავოა, მოქმედებდა სხვა, მოპირდაპირე ტენდენციები, მუშათა მასების «ყოფის» ინტერნაციონალიზება, ლტოლვა ქალაქებისაკენ და ცხოვრების პირობების ნიველირება (გათანაბრება) მთელი მსოფლიოს დიდ ქალაქებში, კაპიტალის ინტერნაციონალიზება, ქალაქისა და სოფლის, ადგილობრივი და სხვა ეროვნების მოსახლეობის შერევა დიდ ფაბრიკებში და ა. შ. — კლასობრივი წინააღმდეგობანი მწვავდებოდა, მეწარმეთა კავშირები უფრო და უფრო მძიმედ აწვებოდნენ მუშათა კავშირებს, ჩნდებოდა ბრძოლის უფრო მწვავე და მძიმე ფორმები, მაგალითად, მასობრივი გაფიცვების სახით, იზრდებოდა ცხოვრების სიძვირე, აუტანელი ხდებოდა ფინანსური კაპიტალის მხრივ ჩაგვრა და სხვ. და სხვ.

ნამდვილად კი ასე ა რ ყ ო ფ ი ლ ა, — ეს ჩვენ დანამდვილებით ვიცოდით. ევროპის დიდი კაპიტალისტური ქვეყნებიდან არც ერთს, პირდაპირ არც ერთს ამ ეპოქის განმავლობაში არ აცდენია ბრძოლა თანამედროვე დემოკრატიის შიგნით არსებულ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმდინარეობას შორის. ეს ბრძოლა თვითეულ დიდ ქვეყანაში ზოგჯერ იღებდა, ეპოქის საერთო «მშვიდობიანი», «მოდუნებული», მთვლემარე ხასიათის მიუხედავად, უაღრესად მძაფრ ფორმებს, გათიშვების ფორმასაც კი. ეს წინააღმდეგობრივი მიმდინარეობანი დაეტყო უკლებლივ ცხოვრების ყველა, მრავალნაირ სფეროს და თანამედროვე დემოკრატიის ყველა საკითხს: დამოკიდებულება ბურჟუაზიასთან, კავშირი ლიბერალებთან, ხმის მიცემა კრედიტების სასარგებლოდ, დამოკიდებულება კოლონიური პოლიტიკისადმი, რეფორმებისადმი, ეკონომიური ბრძოლის ხასიათისადმი, პროფესიული კავშირების ნეიტრალობისადმი და სხვ.

«ყოვლისგამჟღენთი თანდათანობითობა» სრულიადაც არ იყო მთელი თანამედროვე დემოკრატიის აბსოლუტურად გაბატონებული განწყობილება, როგორც ეს გამოუდით

პოტრესოვსა და ტროცკის. არა, ეს თანდათანობითობა ჩამოყალიბდა გარკვეულ მიმართულებად, რომელიც ამ პერიოდის ევროპაში არაიშვიათად ქმნიდა თანამედროვე დემოკრატიის ცალკეულ ფრაქციებს, ზოგჯერ ცალკეულ პარტიებსაც კი. ამ მიმართულებას ჰყავდა თავისი ბელადები, ჰქონდა თავისი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები, თავისი პოლიტიკა, თავისი განსაკუთრებული — და განსაკუთრებულად ორგანიზებული — ზემოქმედება მოსახლეობის მასებზე. ეს კიდევ ცოტაა. ეს მიმართულება სულ უფრო და უფრო ეყრდნობოდა — და, დასასრულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, საბოლოოდ «დაეყრდნო» — თანამედროვე დემოკრატიის შიგნით გარკვეული საზოგადოებრივი ფენის ინტერესებს.

«ყოვლისგამჟღენთმა თანდათანობითობამ», ბუნებრივია, მიიზიდა თანამედროვე დემოკრატიის რიგებში მთელი რიგი წვრილბურჟუაზიული თანამგზავრნი; შემდეგ, ცხოვრების — და, მაშასადამე, პოლიტიკური «ორიენტაციის» (მიმართულების, მისწრაფების) — წვრილბურჟუაზიული თავისებურებანი შეექმნა პარლამენტარების, ჟურნალისტების, პროფკავშირულ ორგანიზაციათა მოხელეების გარკვეულ ფენას; გამოიყოფოდა, მეტი თუ ნაკლები სიმკვეთრითა და გამიჯვნით, მუშათა კლასის თავისებური ბიუროკრატია და არისტოკრატია.

აიღეთ, მაგალითად, კოლონიების ფლობა, კოლონიურ სამფლობელოთა გაფართოება. უეჭველია, ეს იყო აღნიშნული ეპოქის და დიდ სახელმწიფოთა უმეტესობის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი. ხოლო რას ნიშნავდა ეს ეკონომიურად? გარკვეული ზემოგებისა და განსაკუთრებული პრივილეგიების ჯამს ბურჟუაზიისათვის, შემდეგ კი, უეჭველია, ამ «ქადის ნაჭრებიდან» ნამცეცების მიღების შესაძლებლობას წვრილი ბურჟუების ცოტაოდენი უმცირესობისთვის; შემდეგ — უკეთ უზრუნველყოფილი მოსამსახურეებისათვის, მუშათა მოძრაობის მოხელეებისათვის და სხვ. კოლონიებთან, პრივილეგიებთან დაკავშირებული ხეი-

რიდან «ნამცეცთა» ასეთი «გამოყენება» მუშათა კლასის უმნიშვნელო უმცირესობის მიერ რომ ხდებოდა, მაგალითად, ინგლისში — ეს უდავო ფაქტია, რომელიც ჯერ კიდევ მარქსმა და ენგელსმა აღიარეს და აღნიშნეს. მაგრამ ის, რაც თავის დროზე მარტოოდენ ინგლისური მოვლენა იყო, საერთო მოვლენა გახდა ევროპის ყველა დიდი კაპიტალისტური ქვეყნისათვის, როგორც კი ეს ქვეყნები გადავიდნენ კოლონიების ფლობაზე დიდი მასშტაბით, და საერთოდ იმის კვალობაზე, თუ როგორ ვითარდებოდა და იზრდებოდა კაპიტალიზმის იმპერიალისტური პერიოდი.

ერთი სიტყვით, მეორე (ანუ გუშინდელი) ეპოქის «ყოვლისგამჟღენთმა თანდათანობითობამ» შექმნა არა მარტო გარკვეული «შეუგუებლობა თანდათანობითობის დარღვევისადმი», როგორც ფიქრობს ა. პოტრესოვი, არა მარტო გარკვეული «პოსიბილისტური» მიდრეკილებანი, როგორც ჰგონია ტროცკის: მან შექმნა მთელი ოპორტუნისტული მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, რომელიც ემყარება განსაზღვრულ სოციალურ ფენას თანამედროვე დემოკრატიის შიგნით და დაკავშირებულია თავისი ნაციონალური «ფერის» ბურჟუაზიასთან საერთო ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური ინტერესების ათასნაირი ძაფებით, — მიმართულება, რომელიც პირდაპირ, აშკარად, სავსებით შეგნებულად და სისტემატურად მტრობს «თანდათანობითობის დარღვევის» ყოველგვარ იდეას.

ტროცკის (რომ აღარაფერი ვთქვათ ა. პოტრესოვზე) მთელი რიგი ტაქტიკური და ორგანიზაციული შეცდომების ფესვი სწორედ ის არის, რომ მას ეშინია, ან არ სურს, ან უნარი არ შესწევს აღიაროს ეს, ოპორტუნისტული მიმართულების სრული «სიმწიფის», ფაქტი, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ეს მიმართულება ფრიად მჭიდროდ, განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი დროის ნაციონალ-ლიბერალებთან (ანუ სოციალ-ნაციონალიზმთან). ამ «სიმწიფისა» და ამ განუყრელი კავშირის უარყოფას პრაქტიკულად მივყავართ, სულ ცოტა, სრული დაბნეულობისა და უმწეობისაკენ გამეფებული

სოციალ-ნაციონალისტური (ანუ ნაციონალ-ლიბერალური) ბოროტებისადმი დამოკიდებულებაში.

ოპორტუნიზმისა და სოციალ-ნაციონალიზმის კავშირს, საერთოდ რომ ითქვას, უარყოფენ ა. პოტრესოვიც, მარტოვიც, აქსელროდიც, ვლ. კოსოვსკიც (რომელიც იქამდე მივიდა, რომ იცავს გერმანიის დემოკრატების ნაციონალ-ლიბერალურ ხმის მიცემას კრედიტების სასარგებლოდ), ტროცკიც.

მათი მთავარი «საბუთი» ის არის, რომ ერთმანეთს მთლიანად არ ემთხვევა დემოკრატიის გუშინდელი დაყოფა «ოპორტუნიზმის მიხედვით» და მისი დღევანდელი დაყოფა «სოციალ-ნაციონალიზმის მიხედვით». ეს საბუთი, ჯერ ერთი, ფაქტიურად არ არის სწორი, როგორც ახლა ცხადვყოფთ, მეორეც, იგი მთლად ცალმხრივია, სრული არ არის, მარქსისტული თვალსაზრისით პრინციპულად უსაფუძვლოა. პირები და ჯგუფები შეიძლება გადადიოდნენ ერთი მხრიდან მეორე მხარისაკენ — ეს არათუ შესაძლებელია, ეს აუცილებელიც კია ყოველი დიდი საზოგადოებრივი «შენჯღრევისას»; გარკვეული მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს ხასიათი ამით სრულიადაც არ იცვლება; არ იცვლება განსაზღვრულ მიმდინარეობათა იდეური კავშირიც, არ იცვლება მათი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი მნიშვნელობა. თითქოს, ყველა ეს მოსაზრება იმდენად საყოველთაოდ ცნობილია და უდავო, რომ როგორღაც უხერხულიც კია მათი მეტისმეტად ხაზგასმა. ამავე დროს კი სწორედ ეს მოსაზრებანი დაივიწყეს ხსენებულმა მწერლებმა. ოპორტუნიზმის ძირითადი კლასობრივი მნიშვნელობა — ანუ, თუ გნებავთ, სოციალურ-ეკონომიური შინაარსი — ის არის, რომ თანამედროვე დემოკრატიის გარკვეული ელემენტები გადავიდნენ (სინამდვილეში, ე. ი. თუნდაც ეს მათ არც კი ჰქონდეთ შეგნებული) ბურჟუაზიის მხარეზე მთელ რიგ ცალკეულ საკითხებში. ოპორტუნიზმი ლიბერალური მუშათა პოლიტიკაა. ვისაც ამ გამოთქმათა «ფრაქციული» ფორმის ეშინია, იმას ვურჩევთ გაისარჯოს და გაეცნოს მარქსის, ენგელსისა და კაუცკის მიერ («ფრაქციუ-

ლობის» მოწინააღმდეგეებისათვის განსაკუთრებით მისაღები «ავტორიტეტი». ხომ ასეა?) თუნდაც ინგლისური ოპორტუნიზმის შესახებ გამოთქმულ აზრებს. სრულიად უეჭველია, რომ ასეთი შესწავლის შედეგი იქნება ოპორტუნიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ძირეული და არსებითი თანადამთხვევის აღიარება. ჩვენი დროის სოციალ-ნაციონალიზმის ძირითადი კლასობრივი მნიშვნელობა სავსებით იგივეა. ოპორტუნიზმის ძირითადი ი დ ე ა არის ბურჟუაზიისა და მისი ანტიპოდის კავშირი ან დაახლოება (ზოგჯერ შეთანხმება, ბლოკი და ა. შ.). სოციალ-ნაციონალიზმის ძირითადი იდეა სავსებით იგივეა. ოპორტუნიზმისა და სოციალ-ნაციონალიზმის იდეურ-პოლიტიკური ნათესაობა, კავშირი, იგივეობაც კი ყოველივე ეჭვს გარეშეა. ცხადია, ჩვენ საფუძვლად უნდა ავიღოთ არა პირები და არა ჯგუფები, არამედ სწორედ საზოგადოებრივ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა თ ა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი შინაარსის ანალიზი და მათი მთავარი, არსებითი პრინციპების იდეურ-პოლიტიკური გამოკვლევა.

რამდენადმე სხვა მხრიდან მივუდგეთ ამავე თემას და დავსვათ კითხვა: ს ა ი დ ა ნ გაჩნდა სოციალ-ნაციონალიზმი? როგორ იზრდებოდა და გაიზარდა იგი? რ ა მ მისცა მას მნიშვნელობა და ძალა? ვისაც თავის თავისთვის ამ კითხვებზე პასუხი არ გაუცია, მას სრულიად ვერ გაუგია სოციალ-ნაციონალიზმი და, ცხადია, სრულიად არ შესწევს უნარი «იდეურად გაემიჯნოს» მას, თუნდაც ის იფიცავდეს და გაიძახოდეს, მზად ვარ «იდეურად გავემიჯნო» სოციალ-ნაციონალიზმსო.

ამ კითხვის პასუხი კი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: სოციალ-ნაციონალიზმი გაიზარდა ოპორტუნიზმიდან, და სწორედ ამ უკანასკნელმა მისცა მას ძალა. როგორ შეიძლებოდა «ერთბაშად» შობილიყო სოციალ-ნაციონალიზმი? სავსებით ისევე, როგორც «ერთბაშად» იბადება ბავშვი, თუ ჩასახვის შემდეგ ცხრა თვემ განვლო. ოპორტუნიზმის მრავალრიცხოვან გამოვლინებათაგან თვითეული მთელი მეორე

(ანუ გუშინდელი) ეპოქის მანძილზე ყველა ევროპულ ქვეყანაში იყო ღელე, და ეს ღელეები ყველა ერთად ახლა «ერთბაშად» შეერთდა დიდ, თუმცა მეტად წყალმარჩხ — (ხოლო ფრჩხილებში დავძენთ: მღვრიე და ბინძურ) — სოციალ-ნაციონალისტურ მდინარედ. ჩასახვიდან ცხრა თვის შემდეგ ნაყოფი უნდა გამოეყოს დედას; ოპორტუნიზმის ჩასახვის მრავალი ათეული წლის შემდეგ მისი მომწიფებული ნაყოფი, სოციალ-ნაციონალიზმი, უნდა გამოეყოს — მეტად თუ ნაკლებად მოკლე (ათეულ წლებთან შედარებით) ვადაში თანამედროვე დემოკრატიას. რაც უნდა იყვირონ სხვადასხვა კეთილმა ადამიანებმა, რაც უნდა იბრაზონ, რაც უნდა იშმაგონ მათ ამის თაობაზე აზრებისა და სიტყვების გამო, ეს გარდუვალია, რადგან ეს გამომდინარეობს თანამედროვე დემოკრატიის მთელი სოციალური განვითარებიდან და მესამე ეპოქის ობიექტური ვითარებიდან.

მაგრამ თუ სრული შესაბამისობა არ არის «ოპორტუნიზმის მიხედვით» დაყოფასა და «სოციალ-ნაციონალიზმის მიხედვით» დაყოფას შორის, განა ეს ამტკიცებს, რომ ამ მოვლენებს შორის არსებითი კავშირი არ არის? ჯერ ერთი, არ ამტკიცებს, როგორც XVIII საუკუნის დამლევის ბურჟუაზიიდან ცალკეულ პირთა გადასვლა ხან ფეოდალების მხარეზე, ხან ხალხის მხარეზე არ ამტკიცებს, რომ «არ არის კავშირი» ბურჟუაზიის ზრდასა და საფრანგეთის 1789 წლის დიდ რევოლუციას შორის. მეორეც, საერთოდ და მთლიანად — ხოლო ლაპარაკია სწორედ საერთოსა და მთლიანზე — ასეთი შესაბამისობა ა რ ი ს. აიღეთ არა ერთი, არამედ მთელი რიგი ქვეყნები, მაგალითად, ათი ევროპული ქვეყანა: გერმანია, ი ნ გ ლ ი ს ი, ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი, ბ ე ლ გ ი ა, რუსეთი, იტალია, შვეცია, შვეიცარია, ჰოლანდია და ბულგარეთი. ერთგვარ გამონაკლისად მოგვეჩვენება მხოლოდ სამი ხაზგასმული ქვეყანა: დანარჩენებში ოპორტუნიზმის მტკიცე მოწინააღმდეგეთა მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა მ წარმოშვა სწორედ სოციალ-ნაციონალიზმისადმი მტრული მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ნ ი. შეადარეთ ცნობილი «ყოველ-

თვიური» და მისი მოწინააღმდეგენი გერმანიაში, «ნაშე დელო» და მისი მოწინააღმდეგენი რუსეთში, ბისოლატის პარტია და მისი მოწინააღმდეგენი იტალიაში; გრეილიხისა და გრიმის მომხრენი შვეიცარიაში, ბრანტინგისა და ჰეგლუნდისა შვეციაში, ტრულსტრისა და პანეკუკისა ჰორტერთან ერთად ჰოლანდიაში; ბოლოს, «ობშჩედელცები» და «ტესნიაკები» ბულგარეთში [73]. ძველი და ახალი დაყოფის საერთო შესაბამისობა ფაქტია, ხოლო სრული შესაბამისობა ბუნების უმარტივეს მოვლენებშიც კი არ არის ხოლმე, ისე როგორც მთლად არ შეესაბამება ვოლგა კამის შერთვის შემდეგ ვოლგას მის შერთვამდე, ან როგორც არ არის სრული მსგავსება ბავშვსა და მშობლებს შორის. ინგლისი მოჩვენებითი გამონაკლისია; ნამდვილად კი იქ ომამდე იყო ორი მთავარი მიმდინარეობა, ორი ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი გაზეთის ირგვლივ, — რაც მიმდინარეობის მასობრივი ხასიათის ფრიად უტყუარი ობიექტური ნიშანია: სახელდობრ, ოპორტუნისტების გაზეთის «ყოველდღიური მოქალაქის» [74] და ოპორტუნიზმის მოწინააღმდეგეთა გაზეთის «ყოველდღიური მოამბის» [75] ირგვლივ. ორივე გაზეთი წალეკა ნაციონალიზმის ტალღამ; მაგრამ ოპოზიცია გამოიჩინა პირველის მომხრეთა 1/10-ზე ნაკლებმა და მეორის მომხრეთა დაახლოებით 3/7. შედარების ჩვეულებრივი წესი, როდესაც ერთმანეთს უპირისპირებენ მხოლოდ «ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას» და «დამოუკიდებელ მუშათა პარტიას», სწორი არ არის, ვინაიდან ივიწყებენ ამ უკანასკნელის ფ ა ქ ტ ი უ რ ბლოკს ფაბიელებთანაც [76] და «მუშათა პარტიასთანაც» [77]. მაშასადამე, გამონაკლისად რჩება მხოლოდ ორი ქვეყანა ათიდან; მაგრამ აქაც არ არის სრული გამონაკლისი, ვინაიდან მიმართულებებს ადგილები კი არ გადაუნაცვლებიათ ერთმანეთში, არამედ მხოლოდ ტალღამ წალეკა (იმდენად გასაგები მიზეზებით, რომ მათზე შეჩერებაც არ ღირს) ოპორტუნიზმის თითქმის ყველა მოწინააღმდეგე. ეს, უდავოა, ტალღის ძალას ამტკიცებს; მაგრამ ეს სრულიადაც არ აქარწყლებს ძველი და ახალი დაყოფის საერთო-ევროპულ შესაბამისობას.

ჩვენ გვეუბნებიან: «ოპორტუნიზმის მიხედვით» დაყოფა მოძველდა; აზრი აქვს მხოლოდ დაყოფას საერთაშორისოპის მომხრეებად და ნაციონალური შეზღუდულობის მომხრეებადო. ეს სრულიად შემცდარი აზრია. ცნება «საერთაშორისობის მომხრე» მოკლებულია ყოველგვარ შინაარსსა და ყოველგვარ აზრს, თუ იგი კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ არ განავითარეთ, და ასეთი კონკრეტული განვითარების ყოველი ნაბიჯი ოპორტუნიზმისადმი მტრობის ნიშნების ჩამოთვლა იქნება. პრაქტიკულად ეს კიდევ უფრო სწორი იქნება. საერთაშორისობის მომხრე, რომელიც არ არის ოპორტუნიზმის ყველაზე თანმიმდევარი და მტკიცე მოწინააღმდეგე, მირაჟია და მეტი არაფერი. იქნებ, ასეთი ტიპის ცალკეულმა პირებმა გულწრფელად მიიჩნიონ თავი «მესაერთაშორისეებად», მაგრამ ადამიანებზე მსჯელობენ არა იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობენ ისინი თავის თავზე, არამედ მათი პოლიტიკური მოქმედების მიხედვით: ასეთ «მესაერთაშორისეთა» პოლიტიკური მოქმედება, რომელნიც არ არიან ოპორტუნიზმის თანმიმდევარი და მტკიცე მოწინააღმდეგენი, ყოველთვის იქნება ნაციონალისტების მიმდინარეობის დახმარება ან მხარდაჭერა. მეორე მხრივ, ნაციონალისტებიც უწოდებენ თავისთავს «მესაერთაშორისეებს» (კაუცკი, ლენჩი, გენიში, ვანდერველდე, ჰაინდმანი და სხვ.) და არათუ უწოდებენ, არამედ სავსებით აღიარებენ ადამიანთა, მათ აზრთა მიმართულების საერთაშორისო დაახლოებას, შეთანხმებას, შეერთებას. ოპორტუნისტები «საერთაშორისობის» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ა რ გამოდიან, ისინი მხოლოდ ოპორტუნისტების საერთაშორისო მოწონებისა და საერთაშორისო შეთანხმების მომხრენი არიან.

რსდმპ საზღვარგარეთული სექციების კონფერენცია[78]

ამ დღეებში მუშაობა დაამთავრა რსდმპ საზღვარგარეთული სექციების კონფერენციამ, რომელიც შედგა შვეიცარიაში. გარდა წმინდა საზღვარგარეთული საქმეების განხილვისა, რომელთა შესახებაც ჩვენ შევეცდებით თუნდაც მოკლედ ვთქვათ ცენტრალური ორგანოს შემდეგ ნომრებში, კონფერენციამ შეიმუშავა რეზოლუციები დიდმნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხზე — ომის საკითხზე. ამ რეზოლუციებს დაუყოვნებლივ ვბეჭდავთ და ვიმედოვნებთ, რომ ისინი სასარგებლო იქნება ყველა სოციალ-დემოკრატისათვის, ვინც ცოცხალი საქმისაკენ სერიოზულად ეძებს გამოსავალს აზრთა თანამედროვე ქაოსისაგან, რაც, არსებითად, მდგომარეობს ინტერნაციონალიზმის სიტყვიერად აღიარებაში და ნამდვილად კი მისწრაფებაში — რადაც უნდა დაჯდეს, ასე თუ ისე, შეურიგდნენ სოციალ-შოვინიზმს. დავძენთ, რომ «ევროპის შეერთებული შტატების» ლოზუნგის საკითხზე დისკუსიამ ცალმხრივი პოლიტიკური ხასიათი მიიღო, და გადაწყდა საკითხი გადადებულიყო, ვიდრე პრესაში განხილული არ იქნებოდა საქმის ეკონომიური მხარე.

კონფერენციის რეზოლუციები

დგას რა ცენტრალური კომიტეტის მანიფესტის ნიადაგზე, რაც დაბეჭდილია № 33-ში *, კონფერენცია პროპაგან-

* იხ. ეს ტომი, გვ. 13 — 24. რედ.

დის მეტი გეგმაზომიერებისათვის ადგენს შემდეგ დებულებებს:

ომის ხასიათის შესახებ

თანამედროვე ომს იმპერიალისტური ხასიათი აქვს. ეს ომი გამოწვეულია იმ ეპოქის პირობებით, როდესაც კაპიტალიზმმა განვითარების უმაღლეს სტადიას მიაღწია; როდესაც ყველაზე არსებითი მნიშვნელობა აქვს უკვე არა მარტო საქონლის გატანას, არამედ კაპიტალის გატანასაც; როდესაც წარმოების კარტელირებამ და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ მნიშვნელოვან ფარგლებს მიაღწიეს; როდესაც კოლონიური პოლიტიკის შედეგად თითქმის მთელი დედამიწა გაყოფილია; — როდესაც მსოფლიო კაპიტალიზმის საწარმოო ძალებმა გადალახეს ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ დაყოფათა შეზღუდული ჩარჩოები; — როდესაც სავსებით მომწიფდა სოციალიზმის განხორციელების ობიექტური პირობები.

«სამშობლოს დაცვის» ლოზუნგის შესახებ

თანამედროვე ომის ნამდვილი დედაარსია ბრძოლა ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიას შორის კოლონიების გაყოფისა და მეტოქე ქვეყნების გაძარცვისათვის და რუსეთის ცარიზმისა და მმართველი კლასების მისწრაფება — ხელში ჩაიგდონ სპარსეთი, მონღოლეთი, აზიური თურქეთი, კონსტანტინეპოლი, გალიცია და ა. შ. ნაციონალურ ელემენტს ავსტრია-სერბიის ომში სავსებით დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს და არ ცვლის ომის საერთო იმპერიალისტურ ხასიათს.

უკანასკნელი ათეული წლების მთელი ეკონომიური და დიპლომატიური ისტორია გვიჩვენებს, რომ მეომარი ერების ორივე ჯგუფი სისტემატურად ამზადებდა სწორედ ამგვარ ომს. იმ საკითხს, თუ რომელმა ჯგუფმა დაიწყო პირველმა სამხედრო შეტევა ან პირველმა გამოაცხადა ომი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სოციალისტების ტაქტიკის განსაზღვრისათვის. ფრაზები სამშობლოს დაცვაზე, მტრის შემოსევისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე, თავ-

დაცვითს ომზე და მისთანებზე ორივე მხრიდან სულ ერთიანად ხალხის მოტყუებას წარმოადგენს.

ნამდვილად ნაციონალურ ომებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ განსაკუთრებით 1789 — 1871 წლების ეპოქაში, საფუძვლად ედო ხანგრძლივი პროცესი მასობრივი ეროვნული მოძრაობისა, აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა, ეროვნული ჩაგვრის დამხობისა და სახელმწიფოთა შექმნისა ეროვნულ საფუძველზე, როგორც კაპიტალისტური განვითარების წანამძღვარი.

ამ ეპოქის მიერ შექმნილმა ნაციონალურმა იდეოლოგიამ ღრმა კვალი დატოვა წვრილი ბურჟუაზიის მასაში და პროლეტარიატის ერთ ნაწილში. ამით სარგებლობენ ახლა, სრულიად სხვა, იმპერიალისტურ ეპოქაში, ბურჟუაზიის სოფისტები და სოციალიზმის მოღალატენი, რომელნიც მათ კუდში მისჩანჩალებენ, რათა გათიშონ მუშები და ჩამოაშორონ ისინი მათს კლასობრივ ამოცანებს და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლას.

ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მართალია «კომუნისტური მანიფესტის» სიტყვები, რომ «მუშებს არა აქვთ სამშობლო». მხოლოდ პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეუძლია დაიცვას მისი მონაპოვარნი და გაუხსნას ჩაგრულ მასებს უკეთესი მომავლის გზა.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები

«თანამედროვე იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა არის ერთადერთი სწორი პროლეტარული ლოზუნგი, რაც გვიჩვენა კომუნის გამოცდილებამ, დასახულია ბაზელის რეზოლუციით (1912 წ.) და გამომდინარეობს დიდად განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის იმპერიალისტური ომის ყველა პირობიდან» *.

სამოქალაქო ომი, რომლისკენაც რევოლუციური სოციალ-დემოკრატია მოუწოდებს ახლანდელ ეპოქაში, არის პრო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 24. რ ე დ.

ლეტარიატის ბრძოლა იარაღით ბურჟუაზიის წინააღმდეგ კაპიტალისტთა კლასის ექსპროპრიაციისათვის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, დემოკრატიული რევოლუციისათვის რუსეთში (დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათის სამუშაო დღე, მემამულეთა მიწების კონფისკაცია), — რესპუბლიკისათვის ჩამორჩენილ მონარქიულ ქვეყნებში საერთოდ და ა. შ.

მასების უკიდურეს გაჭირვებას, რასაც ომი ქმნის, არ შეუძლია არ წარმოშვას რევოლუციური განწყობილება და მოძრაობა, რომელთა განზოგადებასა და წარმართვას უნდა ემსახურებოდეს სამოქალაქო ომის ლოზუნგი.

ამჟამად მუშათა კლასის ორგანიზაცია ძლიერ მოშლილია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რევოლუციური კრიზისი მწიფდება. გაბატონებული კლასები ომის შემდეგ ყველა ქვეყანაში კიდევ უფრო დაძაბავენ თავიანთ ძალებს, რათა მრავალი ათეული წლით უკუდასწიონ პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობა. როგორც რევოლუციური განვითარების სწრაფი ტემპის შემთხვევაში, ისე კრიზისის გაჭიანურებული ხასიათის შემთხვევაშიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა — უარი არ თქვას ხანგრძლივ, ყოველდღიურ მუშაობაზე, არ უგულებელყოს კლასობრივი ბრძოლის არც ერთი წინანდელი მეთოდთაგანი. მისი ამოცანა იქნება წარმართოს პარლამენტარიზმიც და ეკონომიური ბრძოლაც ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, მასების რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით.

როგორც პირველი ნაბიჯები თანამედროვე იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის გზაზე, უნდა აღინიშნოს: 1) უთუო უარისთქმა სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემაზე და ბურჟუაზიული სამინისტროებიდან გამოსვლა; 2) «ნაციონალური ზავის» (**bloc national, Burgfrieden**) პოლიტიკის სრული უარყოფა; 3) არალეგალური ორგანიზაციის შექმნა ყველგან, სადაც მთავრობები და ბურჟუაზია სამხედრო მდგომარეობას აცხადებენ და აუქმებენ

კონსტიტუციურ თავისუფლებებს; 4) მხარდაჭერა მეომარი ერების ჯარისკაცთა დაძმობილებისათვის სანგრებში და საერთოდ ომის ასპარეზებზე; 5) მხარდაჭერა საერთოდ პროლეტარიატის ყოველგვარი მასობრივი რევოლუციური გამოსვლებისათვის.

ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი

მეორე ინტერნაციონალის კრახი არის კრახი სოციალისტური ოპორტუნიზმისა. ეს უკანასკნელი გაიზარდა, როგორც მუშათა მოძრაობის განვითარების წინანდელი «მშვიდობიანი» ეპოქის პროდუქტი. ამ ეპოქამ ასწავლა მუშათა კლასს ბრძოლის ისეთი დიდმნიშვნელოვანი საშუალებები, როგორიცაა პარლამენტარიზმისა და ყველა ლეგალური შესაძლებლობის გამოყენება, მასობრივი ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციების, ფართო მუშური პრესის შექმნა და ა. შ. მეორე მხრივ, ამ ეპოქამ წარმოშვა ტენდენციები კლასობრივი ბრძოლის უარყოფისა და სოციალური ზავის ქადაგებისა, სოციალისტური რევოლუციის უარყოფისა, არალეგალური ორგანიზაციების პრინციპული უარყოფისა, ბურჟუაზიული პატრიოტიზმის აღიარებისა და ა. შ. მუშათა კლასის გარკვეული ფენები (ბიუროკრატია მუშათა მოძრაობაში და მუშათა არისტოკრატია, რომელსაც ხვდებოდა კოლონიების ექსპლოატაციით და მსოფლიო ბაზარზე მათი «სამშობლოს» პრივილეგიური მდგომარეობით მოცემული შემოსავლის მცირეოდენი ნაწილი), აგრეთვე წვრილბურჟუაზიული თანამგზავრები სოციალისტური პარტიების შიგნით წარმოადგენდნენ ამ ტენდენციების მთავარ სოციალურ დასაყრდენს და ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლებს პროლეტარიატში.

დამღუპველი გავლენა ოპორტუნიზმისა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა II ინტერნაციონალის ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობის პოლიტიკაში ომის დროს. კრედიტებისათვის ხმის მიცემა, სამინისტროებში შესვლა, «სამოქალაქო მშვიდობის» პოლიტიკა,

უარისთქმა არალეგალურ ორგანიზაციაზე იმ დროს, როდესაც ლეგალობა წართმეულია, ნიშნავს ინტერნაციონალის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა ჩაშლას და სოციალიზმისადმი პირდაპირ ღალატს.

III ინტერნაციონალი

ომით შექმნილმა კრიზისმა გამოააშკარავა ოპორტუნიზმის ნამდვილი დედაარსი და გვიჩვენა, რომ იგი პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიის პირდაპირი დამქაშის როლს ასრულებს. ეგრეთწოდებული სოციალ-დემოკრატიული «ცენტრი», კაუცკის მეთაურობით, სინამდვილეში სავსებით გადავარდა ოპორტუნიზმში, რასაც განსაკუთრებით მავნე თვალთმაქცური ფრაზებით და იმპერიალიზმთან შესაგუებლად შერყვნილი მარქსიზმით ფარავს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, გერმანიაში მხოლოდ პარტიის ზედაფენების უმრავლესობის ნების გადაჭრით დარღვევამ გახადა შესაძლებელი სოციალისტური თვალსაზრისის დასაცავად გამოსვლა. მავნე ილუზია იქნებოდა იმის იმედი, თითქოს ნამდვილად სოციალისტური ინტერნაციონალის აღდგენა შეიძლებოდეს ისე, თუ ორგანიზაციულად სავსებით არ გაემიჯნე ოპორტუნისტებს.

რსდმპ მხარს უნდა უჭერდეს პროლეტარიატის ყოველგვარ ინტერნაციონალურ და რევოლუციურ-მასობრივ გამოსვლებს და ცდილობდეს ინტერნაციონალის ყველა ანტიშოვინისტური ელემენტის დაახლოებას.

პაციფიზმი და ზავის ლოზუნგი

მუშათა კლასის გაბრიყვების ერთ-ერთი ფორმაა პაციფიზმი და ზავის აბსტრაქტული ქადაგება. კაპიტალიზმის დროს, მეტადრე, მის იმპერიალისტურ სტადიაში, ომები გარდუვალია. ხოლო მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატებს არ შეუძლიათ უარყონ რევოლუციური ომების პოზიტიური მნიშვნელობა, ე. ი. არა იმპერიალისტური, არამედ ისეთი ომებისა, რომლებიც წარმოებდა, მაგალითად, 1789 წლიდან 1871 წლამდე, ნაციონალური ჩაგვრის დასამხობად

და ფეოდალურად დაქუცმაცებული ქვეყნებიდან ნაციონალურ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შესაქმნელად, ან კიდევ ისეთი ომებისა, რომლებიც შესაძლებელია გამარჯვებული პროლეტარიატის მონაპოვართა დასაცავად ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

ზავის ისეთ პროპაგანდას ამჟამად, რომელსაც თან არ სდევს მოწოდება მასების რევოლუციური მოქმედებისაკენ, შეუძლია მხოლოდ გაავრცელოს ილუზიები, გარყვნას პროლეტარიატი ბურჟუაზიის ჰუმანურობისადმი ნდობის ჩაგონებით და გახადოს იგი სათამაშოდ მეომარი ქვეყნების საიდუმლო დიპლომატიის ხელში. კერძოდ, უაღრესად შემცდარია ის აზრი, თითქოს შესაძლებელი იყოს ეგრეთწოდებული დემოკრატიული ზავი, თუ არ მოხდა მთელი რიგი რევოლუციები.

მეფის მონარქიის დამარცხება

თვითეულ ქვეყანაში ბრძოლა თავის მთავრობასთან, რომელიც იმპერიალისტურ ომს აწარმოებს, არ უნდა შეწყდეს იმის გამო, რომ რევოლუციური აგიტაციის შედეგად შეიძლება ეს ქვეყანა დამარცხდეს. მთავრობის არმიის დამარცხება ასუსტებს ამ მთავრობას, ხელს უწყობს მის მიერ დამონებულ ეროვნებათა განთავისუფლებას და აადვილებს სამოქალაქო ომს მმართველი კლასების წინააღმდეგ.

რუსეთის მიმართ ეს დებულება განსაკუთრებით სწორია. რუსეთის გამარჯვება გამოიწვევს საერთაშორისო რეაქციის გაძლიერებას, რეაქციის გაძლიერებას ქვეყნის შიგნით და ამას მოჰყვება ხალხთა სრული დამონება უკვე დაპყრობილ ოლქებში. ამის გამო რუსეთის დამარცხება ყველა პირობებში უმცირეს ბოროტებას წარმოადგენს.

დამოკიდებულება სხვა პარტიებთან და ჯგუფებთან

ომმა, რომელმაც გამოიწვია შოვინიზმის გაღვივება, გამოააშკარავა, რომ შოვინიზმს ემორჩილება დემოკრატიული (ნაროდნიკული) ინტელიგენციაც და სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიაც, «მისლში» წარმოდგენილი

მათი ოპოზიციური მიმდინარეობის სრულ მერყეობასთან ერთად, — ლიკვიდატორების ძირითადი ბირთვიც («ნაშა ზარია»), რომელსაც მხარი დაუჭირა პლეხანოვმა. ფაქტიურად შოვინიზმის მხარეზე დგანან ორგანიზაციული კომიტეტიც, დაწყებული ლარინისა და მარტოვის მიერ მისი შენიღბული მხარდაჭერით და გათავებული აქსელროდის მიერ პატრიოტიზმის იდეების პრინციპული დაცვით, — და ბუნდიც, რომელშიც სჭარბობს გერმანოფილური შოვინიზმი. ბრიუსელის ბლოკი (1914 წ. 3 ივლისი) სავსებით დაიშალა. ის ელემენტები კი, რომლებიც დაჯგუფებული არიან «ნაშე სლოვოს» ირგვლივ, მერყეობენ ინტერნაციონალიზმისადმი პლატონურ თანაგრძნობასა და რადაც უნდა დაჯდეს «ნაშა ზარიასთან» და ორგანიზაციულ კომიტეტთან ერთიანობის მისწრაფებას შორის. ასევე მერყეობს ჩხეიძის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელმაც, ერთი მხრივ, გარიცხა პლეხანოველი, ე. ი. შოვინისტი, მანკოვი, და რომელსაც, მეორე მხრივ, სურს რადაც უნდა დაჯდეს მიჩქმალოს პლეხანოვის, «ნაშა ზარიას», აქსელროდის, ბუნდის და სხვათა შოვინიზმი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამოცანაა შემდგომ განამტკიცოს პროლეტარული ერთიანობა, რომელიც შექმნა 1912 — 1914 წლებში ყველაზე მეტად «პრავდამ» [79], აღადგინოს მუშათა კლასის პარტიული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები სოციალ-შოვინისტებისაგან ორგანიზაციულად გადაჭრით გამიჯვნის ბაზაზე. დროებითი შეთანხმებანი დასაშვებია მხოლოდ იმ სოციალ-დემოკრატებთან, რომელნიც ემხრობიან საორგანიზაციო კომიტეტთან, «ნაშა ზარიასთან» და ბუნდთან ორგანიზაციულად გადაჭრით გათიშვას.

დაწერილია არა უგვიანეს
1915 წ. 19 თებერვლისა
(4 მარტისა)

დაიბეჭდა 1915 წ. 29 მარტს
გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 40

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წერილი — «ნაშე სლოვოს» რედაქციას [80]

პატივცემულო ამხანაგებო! სავსებით გეთანხმებით, რომ ყველა ნამდვილი სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალისტის შეკავშირება ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე არსებითი საქმეა... ვიდრე გიპასუხებდეთ თქვენს პრაქტიკულ წინადადებაზე, საჭიროდ მიგვაჩნია გულახდილად გავარკვიოთ ზოგიერთი წინასწარი საკითხი, რათა ვიცოდეთ, არსებობს თუ არა ჩვენს შორის ნამდვილი სოლიდარობა ძირითადის შესახებ. თქვენ სავსებით სამართლიანად ხართ აღშფოთებული იმის გამო, რომ ალექსინსკი, პლეხანოვი და მისთანანი გამოდიან უცხოურ პრესაში და თავის ხმას ასაღებენ «რუსი პროლეტარიატის ან მისი გავლენიანი ჯგუფების ხმად». ამას უ ნ დ ა ვებრძოლოთ. მაგრამ რომ ვებრძოლოთ, უნდა მოვნახოთ ბოროტების ფესვი. სრულიად უეჭველია, რომ არ ყოფილა და არ არის იმაზე მეტი გახრწნილება, ვიდრე ყბადაღებულ საზღვარგარეთულ «მიმდინარეობათა» წარმომადგენლობის ეგრეთწოდებული სისტემა. და აქ არა გვგონია უფლება გვქონდეს ვუსაყვედუროთ უცხოელებს. გავიხსენოთ ახლო წარსული. განა იმავე ბრიუსელის თათბირზე (1914 წ. 3 ივლისი) ალექსინსკის და პლეხანოვს (არა მარტო მათ) საშუალება არ მიეცათ «მიმდინარეობათა» წარმომადგენლებად გაესაღებინათ თავი? განა შეიძლება ამის შემდეგ გვიკვირდეს, რომ მათ უცხოელები ახლაც თვლიან «მიმდინარეობათა» წარმომადგენლებად? ამ ბოროტების წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობ ამა თუ იმ

დეკლარაციის საშუალებით. აქ აუცილებელია ხანგრძლივი ბრძოლა. ამ ბრძოლას რომ წარმატება ხვდეს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა უთხრა თავისთავს, რომ ჩვენ ვცნობთ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც წლობით დაკავშირებული არიან მუშათა მასებთან, აღჭურვილნი არიან სოლიდური კომიტეტების რწმუნებულებით და სხვ., და რომ ჩვენ ვგმობთ, როგორც მუშების მოტყუებას, იმ სისტემას, როდესაც ½ დუჟინი ინტელიგენტი, გამოსცა რა გაზეთის თუ ჟურნალის 2 — 3 ნომერი, «მიმდინარეობად» აცხადებს თავს და იჩემებს პარტიასთან «თანასწორუფლებიანობას».

არის თუ არა აქ ჩვენს შორის თანხმობა, პატივცემულო ამხანაგებო?

შემდეგ — ინტერნაციონალისტების შესახებ. თქვენი გაზეთის ერთ-ერთ ამასწინანდელ მოწინავე სტატიაში თქვენ ჩამოთვლით ორგანიზაციებს, რომლებიც თქვენი აზრით ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისზე დგანან. მათ შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე დასახელებულია... ბუნდი. ჩვენ გვინდოდა გვცოდნოდა, თუ სახელდობრ რა საფუძველი გაქვთ თქვენ მიაკუთვნოთ ბუნდი ინტერნაციონალისტებს? მისი ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია არც ერთ გარკვეულ სიტყვას არ შეიცავს სოციალიზმის მტკივნეულ საკითხებზე. მას მეტისმეტად უიდეო ეკლექტიზმის სუნი სდის. ბუნდის ორგანო («ინფორმაციონნი ლისტოკ» [81]) უეჭველად დგას გერმანოფილური შოვინიზმის თვალსაზრისზე, ან — იძლევა ფრანგული და გერმანული შოვინიზმის «სინთეზს». ტყუილად კი არ არის, რომ კოსოვსკის სტატიამ დაამშვენა «**Neue Zeit**»-ის ფურცლები, იმ ჟურნალის ფურცლები, რომელიც (იმედი გვაქვს, რომ ამაში გვეთანხმებით) ახლა ეკუთვნის ყველაზე უმსგავსო ეგრეთწოდებული «სოციალისტური» ბეჭდვითი ორგანოების რიცხვს.

ჩვენ მთელი სულითა და გულით ვუჭერთ მხარს ინტერნაციონალისტების გაერთიანებას. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ისინი რაც შეიძლება მეტნი იყვნენ. მაგრამ ხომ არ შეიძლება

თავისთავი მოვატყუოთ, ხომ არ შეიძლება ინტერნაციონალისტებს მივაკუთვნოთ ის ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც ინტერნაციონალიზმის აზრით აშკარად «მკვდარ სულებს» წარმოადგენენ.

რა უნდა გვესმოდეს ინტერნაციონალიზმად? შეიძლება თუ არა, მაგალითად, ინტერნაციონალისტებს მივაკუთვნოთ ურთიერთ «ამნისტიის» პრინციპზე ინტერნაციონალის აღდგენის მომხრეები? «ამნისტიის» თეორიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, როგორც მოგეხსენებათ, არის კაუცკი. ამგვარადვე გამოვიდა ვიქტორ ადლერი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამნისტიის დამცველნი ინტერნაციონალიზმის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგენი არიან. «ამნისტიის» საფუძველზე აღდგენილი, ინტერნაციონალი სოციალიზმს უაღრესად დაამდაბლებდა. რაიმე დათმობა, რაიმე შეთანხმება კაუცკისთან და მის კომპანიასთან აბსოლუტურად დაუშვებელია. უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა «ამნისტიის» თეორიის წინააღმდეგ არის ინტერნაციონალიზმის **conditio sine qua non** *. ამაოა ლაპარაკი ინტერნაციონალიზმზე, თუ არ არის სურვილი და მზადყოფნა საბოლოოდ გაწყვიტო კავშირი «ამნისტიის» დამცველებთან. და აი კითხვა ისმება — არის თუ არა ჩვენს შორის თანხმობა ამ ძირითად საკითხში? თქვენს გაზეთში როგორღაც ერთხელ თითქოს გაიელვა «ამნისტიის» პოლიტიკისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ. მაგრამ დაგვეთანხმეთ, ვიდრე რაიმე პრაქტიკულ ნაბიჯს გადავდგამდეთ, ჩვენ უფლება გვაქვს გთხოვოთ დაწვრილებით გადმოგვცეთ თქვენი შეხედულება ამ საკითხზე.

და ამასთან დაკავშირებით დგას ორგანიზაციულ კომიტეტთან დამოკიდებულების საკითხი. პირველსავე წერილში თქვენდამი ** ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ გულახდილად გვეთქვა თქვენთვის, რომ არის სერიოზული საფუძველი ეჭვი შევიტანოთ ამ დაწესებულების ინტერნაციონალიზმში. თქვენ არ

* — საგალდებულო პირობა. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 138 — 142. რ ე დ.

ცდილხართ გაგექარწყლებინათ ეს აზრი. ჩვენ კვლავ გეკითხებით — რა საბუთები გაქვთ მიგაჩნდეთ, რომ ორგანიზაციული კომიტეტი ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისზე დგას? ხომ არ შეიძლება სერიოზულად იმის უარყოფა, რომ პ. ბ. აქსელროდის პოზიცია, გადმოცემული მის რამდენიმე ბეჭდვითს გამოსვლაში, არის აშკარად შოვინისტური (თითქმის პლეხანოვური) პოზიცია. და აქსელროდი ხომ უეჭველად ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ორგანიზაციული კომიტეტისა. აიღეთ შემდეგ ორგანიზაციული კომიტეტის ოფიციალური გამოსვლები. მისი ანგარიში კოპენჰაგენის კონფერენციისათვის[82] ისეთი ტონითაა დაწერილი, რომ ის ფრიად უკიდურესმა გერმანელმა შოვინისტებმა გადაბეჭდეს. ასეთივეა ორგანიზაციული კომიტეტის «საზღვარგარეთული სამდივნოს» გამოსვლებიც. უკეთეს შემთხვევაში ისინი გარკვეულს არაფერს არ ამბობენ. ხოლო მეორე მხრივ, ლარინი — ოფიციალურად ორგანიზაციული კომიტეტის სახელით, და არა რაღაც საზღვარგარეთული სამდივნოს სახელით, — გამოდიოდა შოვინიზმის დაცვისაკენ მიმართული განცხადებებით. სადღა არის აქ ინტერნაციონალიზმი? და განა ცხადი არ არის, რომ ორგანიზაციული კომიტეტი მთლიანად დგას ურთიერთი «ამნისტიის» თვალსაზრისზე.

შემდეგ — რა გარანტიები არსებობს იმისა, რომ ორგანიზაციული კომიტეტი რაიმე ძალას წარმოადგენს რუსეთში? ახლა, «ნაშა ზარიას» გამოსვლის შემდეგ, ეს საკითხი განსაკუთრებით კანონიერია. «ნაშა ზარიას» ჯგუფი წლობით ატარებდა თავის ხაზს, მან შექმნა ყოველდღიური გაზეთი, იგი ეწეოდა მასობრივ აგიტაციას თავის ყაიდაზე. ორგანიზაციული კომიტეტი კი?

ჩვენ ყველანი ვცნობთ, რომ საქმეს გადაწყვეტს არა ძალთა თანაფარდობა საზღვარგარეთულ ჯგუფებში, ციურიხში, პარიზში და სხვ., არამედ საქმეს გადაწყვეტს გავლენა პიტერელ მუშებს შორის და მთელი რუსეთის მუშებს

შორის. ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ყველა ჩვენი ნაბიჯის დროს.

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი, რომლებიც გვინდოდა თქვენთვის გვეთქვა. ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებით, თუ თქვენგან ყველა ამ საკითხზე ვრცელსა და ნათელ პასუხს მივიღებთ. მაშინ შეგვეძლება შემდგომზე ვიფიქროთ.

დაწერილია 1915 წ. 10 (23) მარტს

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVII

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას მიერ
გადაწერილი ასლის
მიხედვით

Российская Социал-Демократическая Рабочая Партия

LE SOCIAL DÉMOCRATE

СОЦІАЛЬДЕМОКРАТЪ

ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОРГАНЪ
РОССІЙСКОЙ СОЦІАЛЬДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РАБОЧЕЙ ПАРТІИ

№ 40. Женева 29 Марта 1915. Цѣна 10 гр.

ЧТО ДОКАЗАЛЪ СУДЪ НАДЪ РСДР ФРАКЦІЕЙ?

[illegible]

ДЕКЛАРАЦІЯ ЦЕНТРАЛЬНАГО КОМИТЕТА Р С Д Р П

[illegible]

ПО ПОВОДУ ЛОНДОНСКОЙ КОНФЕРЕНЦІИ

[illegible]

გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 1915 წლის 29 მარტის № 40-ის
პირველი გვერდი, სადაც დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატიები
«რა დაამტკიცა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ?» და
«ლონდონის კონფერენციის გამო»

დაპატარავებულია

რა დაამტკიცა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ[83]?

მეფის სასამართლომ დაასრულა გასამართლება რსდმ ფრაქციის ხუთი წევრისა და ექვსი სხვა სოციალ-დემოკრატისა, რომლებიც შეიპყრეს 1914 წლის 4 ნოემბერს პიტერის ახლოს შემდგარ კონფერენციაზე. ყველას მიუსაჯეს გადასახლება. ლეგალურმა გაზეთებმა მოათავსეს სასამართლოს ანგარიშები, საიდანაც ცენზურამ ამოჭრა ცარიზმისა და პატრიოტებისათვის არასასიამოვნო ადგილები. «შინაურ მტრებს» სწრაფად გაუსწორდნენ, და საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე ისევ არ ჩანს და არ ისმის არაფერი, გარდა იმისა, რომ უამრავი ბურჟუაზიული შოვინისტი გაცოფებით ღმუის და ერთი მუჭა სოციალ-შოვინისტები ბანს აძლევენ ამ ღმუილს.

რა დაამტკიცა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ?

ჯერ ერთი, მან ცხადყო რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამ მოწინავე რაზმის არასაკმაო სიმტკიცე გასამართლებაზე. სამართალში მიცემულნი მიზნად ისახავდნენ გაეძნელებინათ პროკურორისათვის იმის გახსნა, თუ ვინ იყო რუსეთში ცენტრალური კომიტეტის წევრი და პარტიის წარმომადგენელი მუშათა ორგანიზაციებთან პარტიის გარკვეულ ურთიერთობაში. ეს მიზანი მიღწეულია. მის მისაღწევად კვლავაც უნდა იქნას გამოყენებული გასამართლებაზე პარტიის მიერ დიდი ხნიდან და ოფიციალურად რეკომენდებული ხერხი — უარისთქმა ჩვენებაზე. მაგრამ იმის ცდა, რომ დაამტკიცო შენი სოლიდარობა სოციალ-პატრიოტ

ბ-ნ იორდანსკისთან, როგორც იქცეოდა როზენფელდი, ან ცდა, რომ დაამტკიცო, ცენტრალურ კომიტეტს არ ვეთანხმებიო, არის არასწორი და რევოლუციური სოციალ-დემოკრატის თვალსაზრისით დაუშვებელი ხერხი.

შევნიშნავთ, რომ «დენის» ანგარიშით (№ 40)[84] — ოფიციალური და სრული ანგარიში გასამართლების შესახებ არ მოიპოვება — ამბ. პეტროვსკიმ განაცხადა: «იმავე პერიოდში (ნოემბერში) მე მივიღე ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია... და, გარდა ამისა, მე წარმომიდგინეს მუშების რეზოლუციები, შვიდი პუნქტისაგან შემდგარი, ომისადმი მუშების დამოკიდებულების შესახებ, — რეზოლუციები, რომლებიც ე მ თ ხ ვ ე ვ ა ო მ ი ს ა დ მ ი ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს».

ეს განცხადება პატივსა სდებს პეტროვსკის. შოვინიზმი ირგვლივ მეტად ძლიერი იყო. ტყუილად - კი არ ვხვდებით პეტროვსკის დღიურში ფრაზას, რადიკალურად განწყობილი ჩხეიძეც კ ი აღფრთოვანებით ლაპარაკობს «განმათავისუფლებელ» ომზეო. ამ შოვინიზმს რსდმფ დეპუტატები ებრძოდნენ, როდესაც ისინი თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ მათი ამოცანა იყო გასამართლებაზეც გამიჯნოდნენ მას.

კადეტური «რეჩი»[85] მონურად «მადლობას სწირავს» მეფის სასამართლოს იმისათვის, რომ მან «გაჰფანტა ლეგენდა», სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს მეფის ჯარების დამარცხება სურდათო. კადეტები სარგებლობენ იმით, რომ სოციალ-დემოკრატებს რუსეთში ხელფეხი შეკრული აქვთ; ისინი თავს ისე გვიჩვენებენ, თითქოს სერიოზულად თვლიან პარტიისა და ფრაქციის მოჩვენებითს «კონფლიქტს» და ირწმუნებიან, რომ სამართალში მიცემულნი თავის ჩვენებას მსჯავრდადების შიშით როდი იძლეოდნენო. რა გულუბრყვილო ბალღები არიან! მათ ვითომ არ იციან, რომ საქმის პირველ სტადიაში დეპუტატებს სამხედრო სასამართლოთი და სიკვდილით დასჯით ემუქრებოდნენ.

ამხანაგებს უარი უნდა ეთქვათ ჩვენების მიცემაზე, არალეგალური ორგანიზაციის საკითხის გამო, შეეგნოთ მომენ-

ტის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა და გამოეყენებინათ სასამართლოს ღია კარები იმისათვის, რომ პირდაპირ გადმოეცათ სოციალ-დემოკრატიული შეხედულებანი, მტრულნი არა მარტო საერთოდ ცარიზმის მიმართ, არამედ ყველა და ყოველგვარი ჯურის სოციალ-შოვინიზმის მიმართაც.

დაე, ცოფმორეულნი თავს დაესხან რსდმ ფრაქციას მთავრობისა და ბურჟუაზიული პრესა, დაე ბოროტი სიხარულით «ჩასჭიდონ ხელი» სისუსტის ან ცენტრალურ კომიტეტთან ვითომდა «უთანხმოების» გამოვლინებას სოციალ-რევოლუციონერებმა, ლიკვიდატორებმა და სოციალ-შოვინისტებმა (ხომ უნდა გვებრძოდნენ ჩვენ ისინი როგორმე მაინც, თუ მათ პრინციპულად ბრძოლა არ შეუძლიათ!). რევოლუციური პროლეტარიატის პარტია საკმაოდ ძლიერია, რომ აშკარად გააკრიტიკოს თავისთავი, რომ მიუკიბმოუკიბავად უწოდოს შეცდომასა და სისუსტეს შეცდომა და სისუსტე. რუსეთის შეგნებულმა მუშებმა ისეთი პარტია შექმნეს და ისეთი მოწინავე რაზმი წამოაყენეს, რომლებმაც მსოფლიო ომის დროს და საერთაშორისო ოპორტუნიზმის მსოფლიო მარცხის დროს ყველაზე მეტი უნარი გამოიჩინეს — შეასრულონ თავიანთი მოვალეობა როგორც ინტერნაციონალურმა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა. გზა, რომლითაც ჩვენ მივდიოდით, ნაცადია უდიდესი კრიზისით და აღმოჩნდა — ერთხელ და ერთხელ კიდევ — ერთადერთი სწორი გზა: ვივლით ამ გზით კიდევ უფრო გაბედულად, კიდევ უფრო მტკიცედ, წამოვაყენებთ ახალ მოწინავე რაზმებს, მივაღწევთ არა მარტო იმას, რომ მათ შეასრულონ იგივე სამუშაო, არამედ იმასაც, რომ უფრო სწორად მივიყვანოთ ეს სამუშაო ბოლომდე.

მეორე, გასამართლებამ გადაშალა საერთაშორისო სოციალიზმში ჯერ კიდევ არნახული სურათი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი სოციალ-დემოკრატიის მიერ პარლამენტარიზმის გამოყენებისა. ასეთი გამოყენების მაგალითი ყოველგვარ სიტყვაზე უკეთ იმოქმედებს პროლეტარული მასების გონებასა და გულზე, ყოველგვარ საბუთზე უფრო დამაჯერებ-

ლად გააბათილებს ოპორტუნისტ-ლეგალისტებს და ანარქიზმის ფრაზიორებს. მურანოვის არალეგალური მუშაობის ანგარიში და პეტროვსკის ჩანაწერები დიდხანს დარჩება დეპუტატთა ი მ მუშაობის ნიმუშად, რომელიც ჩვენ იძულებული ვიყავით გულმოდგინედ დაგვემალა და რომლის მნიშვნელობას ახლა უფრო და უფრო მეტი ყურადღებით ჩაუფიქრდება რუსეთის ყველა შეგნებული მუშა. ისეთ დროს, როდესაც ევროპის თითქმის ყველა «სოციალისტი» (ბოდიში ამ სიტყვის შებღალვისათვის!) დეპუტატი გამოდგა შოვინისტი და შოვინისტების მსახური, როდესაც ყბადაღებული «ევროპეიზმი», რომელიც ხიბლავდა ჩვენებურ ლიბერალებსა და ლიკვიდატორებს, მონური ლეგალობისადმი ჩლუნგი შეჩვევა გამოდგა, რუსეთში აღმოჩნდა ერთი მუშათა პარტია, რომლის დეპუტატები განთქმული იყვნენ არა ენამჭევრობით, არა ბურჟუაზიულ, ინტელიგენტურ სალონებში «მიღებულობით», არა «ევროპელი» ადვოკატისა და პარლამენტარის საქმოსნური მოქნილობით, არამედ მუშათა მასებთან კავშირით, თავდადებული მუშაობით ამ მასებში, არალეგალური პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის უბრალო, უჩინარი, მძიმე, უმადლო, განსაკუთრებით სახიფათო ფუნქციების შესრულებით. «საზოგადოებაში» გავლენიანი დეპუტატის ან მინისტრის წოდებამდე ამაღლება — ასეთი იყო ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ «ევროპული» (წაიკითხე: ლაქიური) «სოციალისტური» პარლამენტარიზმის აზრი. ქვევით დაშვება — ექსპლოატირებულთა და ჩაგრულთა გათვითცნობიერებისა და გაერთიანებისათვის ხელის შეწყობა — აი რა ლოზუნგია წამოყენებული მურანოვისა და პეტროვსკის ნიმუშებით.

და ეს ლოზუნგი მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას მოიპოვებს. არც ერთი მოაზროვნე მუშა მსოფლიოს არც ერთი ქვეყნისათვის არ დათანხმდება ძველებურად დაკმაყოფილდეს ბურჟუაზიის პარლამენტარიზმის ლეგალობით — მას შემდეგ, რაც ეს ლეგალობა ყველა მოწინავე ქვეყანაში ერთბაშად გააუქმეს კალმის ერთი მოსმით, მას შემ-

დეგ, რაც ამ ლეგალობას მოჰყვა მხოლოდ ოპორტუნისტებისა და ბურჟუაზიის უმჭიდროესი ფაქტიური კავშირი. ვინც ოცნებობს რევოლუციური სოციალ-დემოკრატი მუშების «ერთიანობაზე» გუშინდელი — და დღევანდელი — ტიპის «ევროპელ» ლეგალისტ სოციალ-დემოკრატებთან, იმას ვერაფერი ვერ უსწავლია და ყველაფერი დავიწყებია, ის ნამდვილად არის ბურჟუაზიის მოკავშირე და პროლეტარიატის მტერი. ვისაც დღევანდლამდე ვერ გაუგია, რატომ და რისთვის გამოეყო რსდმ ფრაქცია სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომელიც ურიგდებოდა ლეგალიზმს და ოპორტუნიზმს, მან ახლა დაე ისწავლოს სასამართლო პროცესის ანგარიშით მურანოვისა და პეტროვსკის მუშაობის შესახებ. ამ მუშაობას ეწეოდა არა მარტო ეს ორი დეპუტატი, და მხოლოდ ხელიდან წასულ, ყოვლად გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიათ იოცნებონ იმაზე, თითქოს შესაძლებელი იყოს ამგვარი მუშაობის შეერთება «მეგობრულ», შემწყნარებლურ დამოკიდებულებასთან «ნაშა ზარიასადმი» ან «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასადმი» [86], «სოვრემენნიკისადმი», ორგანიზაციული კომიტეტის ან ბუნდისადმი.

მთავრობას იმედი აქვს, რომ დააშინებს მუშებს რსდმ ფრაქციის წევრების ციმბირში გაგზავნით? იგი ცდება. მუშები არ შეშინდებიან, არამედ უკეთ შეიგნებენ თავიანთ ამოცანებს, მუშათა პარტიის ამოცანებს, ლიკვიდატორებისა და სოციალ-შოვინისტებისაგან განსხვავებით. მუშები ისწავლიან აირჩიონ სათათბიროში მხოლოდ ისეთი ადამიანები, როგორიც არიან რსდმ ფრაქციის წევრები, ისეთივე და კიდევ უფრო ფართო, ამასთან ერთად კიდევ უფრო ფარული მოღვაწეობისათვის მასებში. მთავრობა ფიქრობს მოსპოს «არალეგალური პარლამენტარიზმი» რუსეთში? იგი მხოლოდ განამტკიცებს პროლეტარიატის კავშირს მარტოოდენ ამგვარ პარლამენტარიზმთან.

მესამე, — და ეს უმთავრესია, — რსდმ ფრაქციის გასამართლებამ პირველად მოგვცა აშკარა, რუსეთში მი-

ლიონ ცალობით გავრცელებული, ობიექტური მასალა უმნიშვნელოვანეს, ძირითად, ფრიად არსებით საკითხზე — ომისადმი რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასის დამოკიდებულების საკითხზე. განა აღარ კმარა საშინლად მომაბეზრებელი ინტელიგენტური ლაყბობა იმის შესახებ, თითქოს შესაძლებელი იყოს «სამშობლოს დაცვის» შეერთება «პრინციპულ» (უკეთესად: სიტყვიერ ან თვალთმაქცურ) ინტერნაციონალიზმთან? განა დრო არ არის შევხედოთ ფაქტებს, რომლებიც ეხება კლასებს, ე. ი. ცხოვრების მილიონობით ადამიანებს, და არა ფრაზის ათეულ გმირს?

ნახევარ წელზე მეტმა განვლო ომის დაწყებიდან. თავისი აზრი გამოთქვა ყველა მიმართულების ლეგალურმა და არალეგალურმა პრესამ, გამოირკვა სათათბიროს ყველა პარტიული ჯგუფის პოზიცია, რაც ჩვენი კლასობრივი დაჯგუფებების მეტად არასაკმაო, მაგრამ ერთადერთი ობიექტური მაჩვენებელია. რსდმ ფრაქციის გასამართლებამ და პრესის გამოხმაურებამ შეაჯამეს მთელი ეს მასალა. გასამართლებამ დაამტკიცა, რომ რუსეთის პროლეტარიატის მოწინავე წარმომადგენლები არათუ მტრობენ შოვინიზმს საერთოდ, არამედ კერძოდ იზიარებენ სწორედ ჩვენი ცენტრალური ორგანოს პოზიციას. დეპუტატები დააპატიმრეს 1914 წ. 4 ნოემბერს. მაშასადამე, ორ თვეზე მეტს ეწეოდნენ ისინი თავიანთ მუშაობას. ვისთან და როგორ ეწეოდნენ ისინი ამ მუშაობას? მუშათა კლასში არსებულ რა მიმდინარეობებს ასახავდნენ და გამოხატავდნენ ისინი? ამ კითხვის პასუხს იძლევა ის ფაქტი, რომ კონფერენციისათვის მასალას წარმოადგენდნენ «თეზისები» და «სოციალ-დემოკრატი», რომ ჩვენი პარტიის პიტერის კომიტეტი არა ერთხელ გამოსულა ამავე შინაარსის ფურცლებით. სხვა მასალები კონფერენციაზე არ ყოფილა. მუშათა კლასში სხვა მიმდინარეობათა შესახებ დეპუტატები არ აპირებდნენ მოხსენების გაკეთებას კონფერენციაზე, რადგან სხვა მიმდინარეობანი არ ყოფილა.

იქნებ, რსდმ ფრაქციის წევრები მუშების მხოლოდ უმ-ცირესობის აზრს გამოხატავდნენ? ჩვენ უფლება არა გვაქვს ასე ვიფიქროთ, ვინაიდან 2½ წლის განმავლობაში, 1912 წლის გაზაფხულიდან 1914 წლის შემოდგომამდე, «პრავდის» ირგვლივ, რომელთანაც სრული იდეური სოლიდარობით მუ-შაობდნენ ეს დეპუტატები, დაირაზმა რუსეთის ყველა შეგ-ნებული მუშის ⁴/₅. ეს ფაქტია. რამდენადმე მაინც მნიშვ-ნელოვანი პროტესტი რომ ყოფილიყო მუშებს შორის ცენტრალური კომიტეტის პოზიციის წინააღმდეგ, — ამ პრო-ტესტს არ შეეძლო გამოხატულება არ ეპოვნა რეზოლუციის პროექტში ან პროექტებში. არაფერი ამის მსგავსი არ გა-მოუმჟღავნებია გასამართლებას, თუმცა მან, შეიძლება ითქ-ვას, ბევრი რამ «გამოამჟღავნა» რსდმ ფრაქციის მუშაო-ბიდან. პეტროვსკის ხელით დაწერილი შესწორებანი არავი-თარ ნიუანსსაც კი არ გვიჩვენებენ.

ფაქტები მეტყველებენ, რომ ომის პირველ თვეებშივე რუსეთის მუშების შეგნებული ავანგარდი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ დაირაზმა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგა-ნოს ირგვლივ. რაც უნდა არასასიამოვნო იყოს ამა თუ იმ «ფრაქციისათვის» ეს ფაქტი, — ეს უდავოა. საბრალდებო აქტში ციტირებული სიტყვები: «აუცილებელია მივმართოთ იარაღი არა ჩვენი ძმების, სხვა ქვეყნების დაქირავებული მონების წინააღმდეგ, არამედ ყველა ქვეყნის რეაქციული და ბურჟუაზიული მთავრობებისა და პარტიების წინააღმ-დეგ» — ეს სიტყვები, გასამართლების წყალობით, მთელ რუსეთში გაავრცელებენ, მათ კიდევაც გაავრცელეს მოწო-დება პროლეტარული ინტერნაციონალიზმისაკენ, პროლეტა-რული რევოლუციისაკენ. რუსეთის მუშების ავანგარდის კლასობრივმა ლოზუნგმა გასამართლების წყალობით ახლა მიაღწია უაღრესად ფართო მასებამდე.

ბურჟუაზიის მთლიანად და წვრილი ბურჟუაზიის ერთი ნაწილის საყოველთაო შოვინიზმი, მეორე ნაწილის მერყეო-ბა და მუშათა კლასის ასეთი მოწოდება — აი ჩვენ პოლი-ტიკურ დაყოფათა ფაქტიური, ობიექტური სურათი. ამ ფაქ-

ტიურ სურათს, და არა ინტელიგენტებისა და პაწაწა ჯგუფთა დამაარსებლების კეთილ სურვილებს, უნდა შევუფარდოთ ჩვენი «ვარაუდები», იმედები, ლოზუნგები.

პრავდისტულმა გაზეთებმა და «მურანოვისებური ტიპის» მუშაობამ შექმნეს რუსეთის შეგნებულ მუშათა 4/5-ის ერთიანობა. 40 000-მდე მუშა ყიდულობდა «პრავდას»; ბევრად უფრო მეტი კითხულობდა მას. დაე, თუნდაც ერთიხუთად და ერთიათად გაანადგუროს და დაქსაქსოს ისინი ომმა, საპყრობილემ, ციმბირმა, კატორღამ. ამ ფენის მოსპობა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. იგი ცოცხლობს. იგი გამსჭვალულია რევოლუციურობითა და ანტიშოვინიზმით. მ ა რ ტ ო ო დ ე ნ იგი იმყოფება ხალხის მასებში და მათ შუაგულში, როგორც მშრომელთა, ექსპლოატირებულთა, ჩაგრულთა ინტერნაციონალიზმის მქადაგებელი. მ ა რ ტ ო ო დ ე ნ მან გასძლო საერთო რღვევაში. მარტოოდენ იგი მიუძღვის ნახევრადპროლეტარულ ფენებს კადეტების, ტრუდოვიკების, პლეხანოვის, «ნაშა ზარიას» ს ო ც ი ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ზ მ ი დ ა ნ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ. მისი არსებობა, მისი იდეები, მისი მუშაობა, მისი მიმართვა «სხვა ქვეყნების დაქირავებულ მონებთან ძმობისაკენ» მთელ რუსეთს დაანახვა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ.

ამ ფენასთან უნდა ვიმუშაოთ, მისი ერთიანობა სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ უნდა დავიცვათ, ამ ერთადერთი გზით შეუძლია რუსეთის მუშათა მოძრაობას განვითარდეს სოციალური რევოლუციისაკენ და არა ნაციონალურ-ლიბერალური «ევროპული» ტიპის მიმართულებით.

«სოციალ-დემოკრატი» № 40,
1915 წ. 29 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ლონდონის კონფერენციის გამო

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის, ამხ. მაქსიმოვიჩის დეკლარაცია, რომელსაც ჩვენ ვბეჭდავთ, სრულად გამოხატავს პარტიის შეხედულებებს ამ კონფერენციაზე. ბურჟუაზიულმა ფრანგულმა პრესამ საუცხოოდ გამოააშკარავა კონფერენციის მნიშვნელობა, როგორც ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის იარაღისა თუ მანევრისა. როლები ასე იყო განაწილებული: «Le Temps» და «L'Écho de Paris» [87] თავს დაესხნენ ფრანგ სოციალისტებს მათი ვითომდა ძალიან დიდი დათმობებისათვის ინტერნაციონალიზმისადმი. ეს თავდასხმები მხოლოდ მანევრი იყო, რათა მოემზადებინათ ნიადაგი პარლამენტში პრემიერ ვივიანის პატრიოტულ-დაპყრობითი ხასიათის ცნობილი გამოსვლისათვის. მეორე მხრივ კი, «Journal des Débats»-ში [88] პირდაპირ ფარდა ახადა ამ ზრახვებს და განაცხადა: საქმის დედაარსი ის იყო, რომ ინგლისელ სოციალისტებს, კეირ-ჰარდის მეთაურობით, რომლებიც აქამდე წინააღმდეგი იყვნენ ომისა და ჯარისკაცთა მოგროვებისა, მიეცათ ხმა ომის სასარგებლოდ გერმანიაზე გამარჯვებამდეო. ეს მიღწეულია. ეს საგულისხმოა. ეს პოლიტიკური შედეგია როგორც ინგლისელი, ისე ფრანგი სოციალისტების მიმხრობისა ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის მიერ. ხოლო ფრაზები ინტერნაციონალიზმზე, სოციალიზმზე, რეფერენდუმზე და სხვ. — ყოველივე ეს მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ფრაზებია, ფუჭი სიტყვებია, რომლებსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ!

უეჭველია, საფრანგეთის ბურჟუაზიის ჭკუიანმა რეაქციონერებმა ნამდვილი სიმართლე წამოაყრანტალეს. ომს გერმანიის, ავსტრიის, თურქეთის გაჩანაგებისა და გაძარცვის მიზნით აწარმოებს ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია პლუს რუსეთის ბურჟუაზია. მას ესაჭიროება დამქაშები, მას ესაჭიროება სოციალისტების თანხმობა — იომოს გერმანიაზე გამარჯვებამდე, დანარჩენი კი — ფუჭი და საძრახისი ფრაზიორობაა, გათახსირებაა დიადი სიტყვებისა: სოციალიზმი, ინტერნაციონალიზმი და სხვ. საქმით — მიჰყვნენ ბურჟუაზიას და დაეხმარონ მას სხვისი ქვეყნების ძარცვაში, სიტყვით კი — გაუმასპინძლდნენ მასებს «სოციალიზმისა და ინტერნაციონალის» თვალთმაქცური აღიარებით — სწორედ ეს არის ოპორტუნიზმის ძირითადი ცოდვა, II ინტერნაციონალის კრახის ძირითადი მიზეზი.

ამიტომ სოციალ-შოვინისტების მოწინააღმდეგეთა ამოცანა ლონდონის კონფერენციაზე ნათელი იყო: წასულიყვნენ ამ კონფერენციიდან ნათელი ანტიშოვინისტური პრინციპების გულისათვის და ამავე დროს ა რ ჩ ა ვ ა რ დ ნ ი ლ ი ყ ვ ნ ე ნ გერმანოფილობაში, რადგან გერმანოფილები სწორედ შ ო ვ ი ნ ი ს ტ უ რ ი, და არა სხვა, მოტივებით არიან ლონდონის კონფერენციის თავგამოდებული მტრები!! ამხანაგმა მაქსიმოვიჩმა შეასრულა ამოცანა, როდესაც გარკვევით აღნიშნა გერმანელი სოციალისტების ღ ა ლ ა ტ ი.

ბუნდელებსა და ორგანიზაციული კომიტეტის მომხრეებს ვერასგზით ვერ გაუგიათ ეს უბრალო და ნათელი რამ. პირველნი — გერმანოფილები არიან მსგავსად კოსოვსკისა, რომელიც პ ი რ დ ა პ ი რ ა მ ა რ თ ლ ე ბ ს გერმანელი სოციალ-დემოკრატების მიერ სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემას (იხ. ბუნდის «ინფორმაციონნი ლისტოკ» № 7, 1915 წლის იანვარი, გვ. 7, § 5 დასაწყისში). ამ ფურცლის რედაქციას კრინტიც არ დაუძრავს და არ უთქვამს, კოსოვსკის არ ვეთანხმებიო (ამავე დროს სპეციალურად თქვა, რომ არ ეთანხმება რუსული პატრიოტიზმის დამცველს ბო-

რისოვს). ბუნდის ცენტრალური კომიტეტის მანიფესტში (იქვე, გვ. 3) არც ერთი ნათელი სიტყვა არ არის სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ!

ორგანიზაციული კომიტეტის მომხრეებს სურთ გერმანოფილური შოვინიზმის შერიგება ფრანკოფილურ შოვინიზმთან. ეს ჩანს აქსელროდის განცხადებებიდან («გოლოსის» №№ 86 და 87 და ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთული სამდივნოს «იზვესტია»[89], 1915 წ. 22 თებერვალი). როდესაც «ნაშე სლოვოს» რედაქციამ წინადადებით მოგვმართა ერთად გამოვსულიყავით «ოფიციალური სოციალ-შოვინიზმის» წინააღმდეგ, ჩვენ პირდაპირ ვუპასუხეთ მას, რომ ორგანიზაციული კომიტეტი და ბუნდი თვითონ დგანან ოფიციალური სოციალ-პატრიოტიზმის მხარეზე, თან დავურთეთ ჩვენი დეკლარაციის პროექტი და დავიმოწმეთ ამხ. მაქსიმოვიჩის გადამწყვეტი ხმა.

რისთვის ატყუებს «ნაშე სლოვო» თავისთავსაც და სხვებსაც, როდესაც ჩქმალავს ამას № 32-ის მოწინავეში? რისთვის ჩქმალავს იგი, რომ დეკლარაციის ჩვენს პროექტშიც იყო სიტყვები გერმანელი სოციალ-დემოკრატების ღალატის შესახებ? «ნაშე სლოვოს» დეკლარაციამ ეს უმნიშვნელოვანესი «ძირითადი» პუნქტი გამოტოვა; არც ჩვენ, არც ამხ. მაქსიმოვიჩს ეს დეკლარაცია არ მიგვიღია და არც შეგვეძლო მიგვეღო. ამიტომ ჩვენ მოქმედების ერთიანობაც არ გამოგვივიდა ორგანიზაციულ კომიტეტთან. რისთვის ატყუებს «ნაშე სლოვო» თავისთავსაც და სხვებსაც, როდესაც ირწმუნება, მოქმედების ერთიანობის ბაზა არსებობსო??

«ოფიციალური სოციალ-პატრიოტიზმი» თანამედროვე სოციალიზმის უმთავრესი ბოროტებაა. ამ ბოროტებასთან საბრძოლველად (და არა მასთან შესარიგებლად, არა ურთიერთი ინტერნაციონალური «ამნისტიისათვის» ამ პუნქტში) უნდა ვამზადოთ და ვაგროვოთ მთელი ძალები. კაუცკიმ და სხვებმა მოგვცეს «ამნისტიისა» და სოციალ-შოვინიზმთან ზავის საკვანძო გარკვეული პროგრამა. ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა მასთან

ბრძოლის გარკვეული პროგრამა — იხ. განსაკუთრებით «სოციალ-დემოკრატის» № 33 და რეზოლუციები, რომლებსაც ვბეჭდავთ. დაგვრჩენია გამოვთქვათ სურვილი, რათა «ინტერნაციონალიზმისადმი პლატონურ თანაგრძნობასა» და სოციალ-შოვინიზმთან ზავს შორის მერყეობიდან «ნაშე სლოვო» რაიმე უფრო გარკვეულისაკენ გადავიდეს.

«სოციალ-დემოკრატი» № 40,
1915 წ. 29 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

სამოქალაქო ომის ლოზუნგის ილუსტრაციისათვის

ბერლინიდან 8 იანვარს ახალი სტილით შვეიცარიულ გაზეთებს აუწყებდნენ: «ამ ბოლო დროს გაზეთებს არა ერთხელ დაუბეჭდავთ ცნობები გერმანელთა და ფრანგთა სანგრებს შორის დაახლოების მშვიდობიანი ცდების შესახებ. როგორც «Tägliche Rundschau»[90] იუწყება, არმიისადმი 29 დეკემბერს გაცემული ბრძანება კრძალავს დაძმობილებას და საერთოდ ყოველგვარ დაახლოებას მტერთან სანგრებში; ამ ბრძანების დარღვევა დაისჯება როგორც სახელმწიფო ღალატი».

ამრიგად, დაძმობილება და დაახლოების ცდები ფაქტია გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობა შეშფოთებულია ამით: მაშასადამე, ამას იგი სერიოზულ მნიშვნელობას აძლევს. 1915 წლის 7 იანვრის ინგლისურ მუშათა გაზეთ «Labour Leader»-ში * მოყვანილია მ თ ე ლ ი რ ი გ ი ციტატები ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთებიდან, სადაც გადმოცემულია ინგლისელ და გერმანელ ჯარისკაცთა დაძმობილების შემთხვევები; ჯარისკაცები აწყობდნენ «დაზავებას 48 საათით» (საშობაოდ), მეგობრულად ხვდებოდნენ ერთმანეთს სანგრებს შუა და ა. შ. ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელობამ ს ა გ ა ნ გ ე ბ ო ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა კ რ ძ ა ლ ა დაძმობილება. ხოლო სოციალისტი ოპორტუნისტები და მათი დამცველები (თუ მსახურნი?) არაჩვეულებრივად თვითკმაყოფილი გამომეტყველებითა და გულდამშვიდებული შეგნებით, სამხედრო ცენზურა დაგვიცავს საწინააღმდეგო მოსაზრე-

---

* — «მუშათა ბელადი». რ ე დ.

ბისაგანო, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით არწმუნებდნენ მუშებს (კაუცკის მსგავსად), თითქოს შეთანხმებანი მეომარი ქვეყნების სოციალისტებს შორის ომის წინააღმდეგ მოქმედების შესახებ შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა (კაუცკის სიტყვასიტყვითი გამოთქმა «Neue Zeit» *-ში)!!

წარმოიდგინეთ, ჰაინდმანს, გედს, ვანდერველდეს, პლეხანოვს, კაუცკის და სხვებს, ბურჟუაზიის იმ ხელშეწყობის ნაცვლად, რითაც ისინი ახლა გართული არიან, რომ შეედგინათ საერთაშორისო კომიტეტი მეომარი ქვეყნების სოციალისტებს შორის როგორც «სანგრებში», ისე საერთოდ ჯარში «დაძმობილებისა და დაახლოების ცდების» სასარგებლოდ აგიტაციის გასაწევად! როგორი იქნებოდა ნაყოფი რამდენიმე თვის შემდეგ, თუ ახლა, ომის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც სოციალიზმს უღალატა, მეთაურების, ბელადებისა და პირველი სიდიდის ვარსკვლავების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ყველგან იზრდება ოპოზიცია კრედიტებისათვის ხმის მიმცემთა წინააღმდეგ და მინისტერიალისტების წინააღმდეგ, და სამხედრო ხელისუფლება სიკვდილით დასჯით იმუქრება «დაძმობილებისათვის»!

«პრაქტიკული საკითხი ერთია: საკუთარი ქვეყნის გამარჯვება თუ დამარცხება», — წერდა ოპორტუნისტების მსახური კაუცკი, გედთან, პლეხანოვთან და კომპანიასთან შეხმატკბილებით. დიახ, თუ დავივიწყეთ სოციალიზმი და კლასობრივი ბრძოლა, ეს მართალი იქნება. მაგრამ თუ არ დავივიწყეთ სოციალიზმი, ეს მართალი არ არის: არის სხვა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი საკითხი. დაიღუპო თუ არა მონათმფლობელთა შორის წარმოებულ ომში ისე, რომ ბრმა და უმწეო მონად დარჩე, თუ დაიღუპო მონებს შორის «დაძმობილების ცდებისათვის» მონობის დამხობის მიზნით?

აი როგორია ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ «პრაქტიკული» საკითხი.

«სოციალ-დემოკრატი» № 40,
1915 წ. 29 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

* — «ახალი დროება». რ ე დ.

სოციალ-შოვინისტების სოფიზმები

«ნაშე დელო» (1915 წ. № 1), რომელსაც უშვებენ პეტროგრადში ლიკვიდატორები, ბეჭდავს თარგმანს კაუცკის ბროშურისას: «საერთაშორისობა და ომი». ბ-ნი ა. პოტრესოვი ამასთან აცხადებს, რომ არ ეთანხმება კაუცკის, რომელიც, მისი აზრით, გამოდის ხან როგორც «ადვოკატი» (ე. ი. გერმანული სოციალ-შოვინიზმის დამცველი, რომელიც არ ცნობს ამ მიმართულების ფრანგულ-რუსული ნაირსახეობის სიმართლეს), ხან როგორც «მსაჯული» (ე. ი. მარქსისტი, რომელიც ცდილობს მიუდგომლად გამოიყენოს მარქსის მეთოდი).

ნამდვილად კი ბ-ნი ა. პოტრესოვიც და კაუცკიც ძირითადში ღალატობენ მარქსიზმს, რადგან აშკარა სოფიზმებით იცავენ ნაციონალურ-ლიბერალურ მუშათა პოლიტიკას. ბ-ნი ა. პოტრესოვი მკითხველთა ყურადღებას აშორებს ძირითადს, როცა წვრილმანების გამო ედავება კაუცკის. ბ-ნ ა. პოტრესოვის აზრით, ინგლის-საფრანგეთის «დემოკრატიის» მიერ (ავტორს მხედველობაში აქვს მუშათა დემოკრატია) ომისადმი დამოკიდებულების საკითხის «გადაწყვეტა» არის «საერთოდ კარგი გადაწყვეტა» (გვ. 69); «ისინი (ეს დემოკრატიები) სწორად მოქმედებდნენ», — თუმცა მათი გადაწყვეტილება იმდენად შეგნებულად არა, რამდენადაც «ბედნიერი შემთხვევითობის გამო... თანაემთხვევა ნაციონალურ გადაწყვეტილებას».

ამ სიტყვების აზრი ნათელია: ბ-ნი ა. პოტრესოვი იცავს, ინგლისელებსა და ფრანგებს ამოფარებული, რუსულ შოვინიზმს და ამართლებს სამთა შეთანხმების სოციალისტთა პატრიოტულ ტაქტიკას. კაუცკის ბ-ნი ა. პოტრესოვი ეკამათება

არა როგორც მარქსისტი შოვინისტს, არამედ როგორც რუსი შოვინისტი გერმანელ შოვინისტს. ეს უხამსობამდე გაცვეთილი ხერხია, და მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნი ა. პოტრესოვი ყოველნაირად ჩქმალავს და ხლართავს თავისი სიტყვების მარტივ და ნათელ აზრს.

საქმის დედაარსი ის არის, რაშიც ბ-ნი ა. პოტრესოვიც და კაუცკიც ეთანხმებიან ერთმანეთს. ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან, მაგალითად, იმაში, რომ «თანამედროვე პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმი შეიძლება შეთავსებულ იქნეს სამშობლოს დაცვასთან» (კ. კაუცკი, 34 გვ. კაუცკის ბროშურის გერმანული გამოცემისა). ბ-ნი ა. პოტრესოვი წერს იმ სახელმწიფოს განსაკუთრებულ მდგომარეობაზე, «რომელიც გაანადგურეს». კაუცკი წერს: «ხალხს ისე არაფრისა ეშინია, როგორც მტრის შემოსევისა... თუ მოსახლეობა ომის მიზეზს ხედავს არა საკუთარ მთავრობაში, არამედ მეზობელი სახელმწიფოს ვერაგობაში, — ხოლო რომელი მთავრობა არ შეეცდება პრესის და სხვათა დახმარებით ჩააგონოს მოსახლეობის მასას ასეთი შეხედულება! — მაშინ... მთელ მოსახლეობაში იფეთქებს ერთსულოვანი მისწრაფება — დაიცვას საზღვრები მტრისაგან... გამძვინვარებული ხალხი თვითონ მოკლავდა იმათ, ვინც შეეცდებოდა ხელი შეეშალა ჯარების გაგზავნისათვის საზღვრებზე» (კ. კაუცკი, გვ. 33, 1911 წლის სტატიიდან).

აი ყველა სოციალ-შოვინისტის ძირითადი იდეის ვითომდა მარქსისტული დაცვა.

კაუცკი თვითონ ჩინებულად ხედავდა ჯერ კიდევ 1911 წელს, რომ მთავრობა (და ბურჟუაზია) მოატყუებდა «ხალხს, მოსახლეობას, მასას» და ბრალს დააკისრებდა სხვა ქვეყნის «ვერაგობას». საკითხი ის არის, შეიძლება თუ არა შეეთავსოს საერთაშორისობასა და სოციალიზმს ასეთი მოტყუების მხარდაჭერა — სულ ერთია, კრედიტებისათვის ხმის მიცემით, სიტყვებით, სტატიებით და სხვ., თუ ეს მხარდაჭერა უდრის ნაციონალ-ლიბერალურ მუშათა პოლიტიკას. კაუცკი იქცევა, როგორც ფრიად უსირცხვილო «ადვოკატი», როგორც უკანასკ-

ნელი სოფისტი, როდესაც ამ საკითხს ცვლის საკითხით, გონივრულია თუ არა, რომ «ერთეულებმა» «ხელი შეუშალონ ჯარების გაგზავნას» თავისი მთავრობის მიერ მოტყუებული მოსახლეობის უმრავლესობის ნების წინააღმდეგ. ამაზე კი არ არის დავა. ამაში როდია საქმე. მოტყუებული წვრილი ბურჟუები უნდა გადააჯერო, უნდა განუმარტო მათ ტყუილი; ზოგჯერ საჭიროა, მათთან ერთად ომში რომ წახვალ, შეგეძლოს დაელოდო მათი შეგნების დამუშავებას ომის გამოცდილებით. ლაპარაკია არა ამაზე, არამედ იმაზე, დასაშვებია თუ არა სოციალისტების მონაწილეობა ბურჟუაზიის მიერ «ხალხის» მოტყუებაში. კაუცკი და ა. პოტრესოვი ამართლებენ ასეთ მოტყუებას. ვინაიდან მათ ჩინებულად იციან, რომ 1914 წლის იმპერიალისტურ ომში თანაბრად მიუძღვის ბრალი ყველა «დიდი» სახელმწიფოს, როგორც ინგლისისა და საფრანგეთის, ისე გერმანიისა და რუსეთის, მთავრობებისა და ბურჟუაზიის «ვერაგობას». ამაზე ნათლად ლაპარაკობს, მაგალითად, ბაზელის 1912 წლის რეზოლუცია.

«ხალხს», ე. ი. წვრილი ბურჟუების მასას და გაბრიყვებული მუშების ნაწილს, მტრის «ვერაგობის» ბურჟუაზიული ზღაპარი რომ სჯერა, ეს უეჭველია. მაგრამ სოციალ-დემოკრატების ამოცანაა კი არ დაუჭირონ მხარი მატყუარობას, არამედ ებრძოლონ მას. ყველა ქვეყნის ყველა სოციალ-დემოკრატი ომამდე დიდი ხნით ადრე ამბობდა და ბაზელში მათ დაადასტურეს, რომ თ ვ ი თ ე უ ლ ი დიდი სახელმწიფოთაგანი ნამდვილად ესწრაფვის კოლონიებზე თავისი ბატონობის განმტკიცებას და გაფართოებას, პატარა ერების დაჩაგვრას და ა. შ. ომი წარმოებს კოლონიების გაყოფისა და სხვისი მიწების ძარცვის გამო; ქურდები ჩხუბობენ — და იმის მითითებით, რომ ამ წუთს ესა და ეს ქურდი მარცხდება, ქურდების ინტერესის გასაღება ხალხის ან სამშობლოს ინტერესად, უტიფარი ბურჟუაზიული სიცრუეა. «ხალხს», რომელიც ომისაგან იტანჯება, ჩვენ უნდა ვუთხრათ ს ი მ ა რ თ ლ ე, ეს კი ის არის, რომ ომის უბედურებათაგან თავის დაცვა შეუძლე-

ბელია ყოველი მეომარი ქვეყნის მთავრობისა და ბურჟუაზიის დაუმხობლად. ბელგიის დაცვა გალიციის ან უნგრეთის დახრჩობის სა შუალებით არის «სამშობლოს დაცვა».

მაგრამ თვითონ მარქსი, რომელიც გმობდა ომებს, მაგალითად, 1854 — 1876 წლების ომებს, დგებოდა ერთ-ერთი მეომარი სახელმწიფოს მხარეზე, როდესაც ომი, სოციალისტების ნების წინააღმდეგ, ფაქტი ხდებოდაო. ასეთია კაუცკის ბროშურის მთავარი შინაარსი და მთავარი «საბუთი». ასეთივეა პოზიცია ბ-ნ ა. პოტრესოვისა, რომელსაც «საერთაშორისობად» ესმის იმის განსაზღვრა, თუ ომში ვისი წარმატებაა უფრო სასურველი ან ნაკლებ მავნებელი, არა ნაციონალური, არამედ მთელი მსოფლიო პროლეტარიატის თვალსაზრისით. ომს აწარმოებენ მთავრობები და ბურჟუაზია; პროლეტარიატმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელი მთავრობის გამარჯვებაა მთელი მსოფლიოს მუშებისათვის ნაკლებ საშიშო.

ამ მსჯელობის სოფიზმი ის არის, რომ სიყალბეს სჩადიან, როდესაც წინანდელ, დიდი ხნის გარდასულ, ისტორიულ ეპოქას ახლანდელი ეპოქის ნაცვლად იღებენ. ძირითადი ნიშანი წინანდელი ომებისა, რომლებსაც კაუცკი იმოწმებს, შემდეგი იყო: 1) წინანდელი ომები წყვეტდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნათა და აბსოლუტიზმის ან უცხო-ნაციონალური უღლის დამხობის საკითხებს; 2) მაშინ ჯერ კიდევ არ იყო სოციალისტური რევოლუციის ობიექტური პირობები მომწიფებული, და არც ერთ სოციალისტს არ შეეძლო ელაპარაკნა, ომამდე, მის გამოყენებაზე «კაპიტალიზმის კრახის დასაჩქარებლად», როგორც ამბობს შტუტგარტის კონგრესის (1907) და ბაზელის კონგრესის (1912) რეზოლუცია; 3) მაშინ არ იყვნენ რამდენადმე ძლიერი, მასობრივი, მთელ რიგ ბრძოლებში ნაცადი, სოციალისტური პარტიები ორივე მეომარი მხარის სახელმწიფოებში.

მოკლედ რომ ვთქვათ: განა გასაკვირია, რომ მარქსი და მარქსისტები კმაყოფილდებოდნენ იმის განსაზღვრით, რო-

მ ე ლ ი ბურჟუაზიის გამარჯვება იქნებოდა ნაკლებ მავნებელი (ან უფრო სასარგებლო) მსოფლიო პროლეტარიატისათვის, როდესაც ჯერ კიდევ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა საერთო პროლეტარულ მოძრაობაზე მთავრობებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ყველა მეომარ ქვეყანაში?

ყველა მეომარი ქვეყნის სოციალისტები მსოფლიო ისტორიაში პირველად, ომამდე დიდი ხნით ადრე, იკრიბებიან ერთად და აცხადებენ: ჩვენ გამოვიყენებთ ომს «კაპიტალიზმის კრახის დასაჩქარებლად» (1907 წ., შტუტგარტის კონგრესის რეზოლუცია). მაშასადამე, ისინი მომწიფებულად ცნობენ ობიექტურ პირობებს ასეთი «კრახის დასაჩქარებლად», ე. ი. სოციალისტური რევოლუციისათვის. მაშასადამე, ისინი რევოლუციით ემუქრებიან მთავრობებს. ბაზელში (1912) ეს ითქვა უფრო ნათლად, როცა დამოწმებულ იქნა კომუნა და 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერი, ე. ი. სამოქალაქო ომი.

როდესაც ომი ატყდა, სოციალისტები, რომლებიც მთავრობებს რევოლუციით ემუქრებოდნენ და პროლეტარიატს რევოლუციისაკენ მოუწოდებდნენ, იწყებენ იმაზე მითითებას, რაც ნახევარი საუკუნის წინათ იყო, და ამართლებენ სოციალისტების მიერ მთავრობებისა და ბურჟუაზიისათვის მხარისდაჭერას! ათასჯერ მართალია მარქსისტი გორტერი, როდესაც თავის ჰოლანდიურ ბროშურაში: «იმპერიალიზმი, მსოფლიო ომი და სოციალ-დემოკრატია» (გვ. 84) კაუცკის ტიპის «რადიკალებს» ადარებს 1848 წლის ლიბერალებს, სიტყვით მამაცებსა და საქმით მოღალატეებს.

ათეული წლობით იზრდებოდა წინააღმდეგობა რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიულ და ოპორტუნისტულ ელემენტებს შორის ევროპულ სოციალიზმში. კრიზისი მომწიფდა. ომმა გამოამჟღავნა წყლული. ოფიციალური პარტიების უმრავლესობა დამარცხებულია ნაციონალ-ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსების მიერ, რომლებიც იცავენ «თავისი», «სამამულო» ბურჟუაზიის პრივილეგიებს, მ ი ს უპირატეს უფლებას — ფლობდეს კოლონიებს, ახშობდეს პატარა ერებს და

სხვ. კაუცკიც და ა. პოტრესოვიც ხელს აფარებენ, იცავენ და ამართლებენ ნაციონალურ-ლიბერალურ მუშათა პოლიტიკას ნაცვლად იმისა, რომ ამხილონ იგი პროლეტარიატის წინაშე. აი რა შეადგენს სოციალ-შოვინიზმის სოფიზმების არსს.

ბ-ნ ა. პოტრესოვს ამასთან უცაბედად წამოცდა, «შტუტგარტის ფორმულა პრინციპულად უსაფუძვლოაო» (გვ. 79). რა ვუყოთ! აშკარა რენეგატები უფრო სასარგებლონი არიან პროლეტარიატისათვის, ვიდრე ფარული რენეგატები. განაგრძეთ, ბ-ნო ა. პოტრესოვ, უფრო პატიოსნად გაემიჯნეთ შტუტგარტსა და ბაზელს!

დიპლომატი კაუცკი ბ-ნ ა. პოტრესოვზე უფრო გაქნილია: ის უარს არ ამბობს შტუტგარტსა და ბაზელზე, ის მხოლოდ... «მხოლოდ»!.. მოიყვანს ციტატს ბაზელის მანიფესტიდან, ამასთან გ ა მ ო ტ ო ვ ე ბ ს ყოველ მითითებას რევოლუციაზე!! ალბათ, ცენზურა უშლიდა ხელს პოტრესოვსაც და კაუცკისაც. ა. პოტრესოვი და კაუცკი, ალბათ, თანახმანი არიან ილაპარაკონ რევოლუციაზე, როცა ამის ნებას დართავს ცენზურა...

იმედი ვიქონიოთ, რომ ა. პოტრესოვი, კაუცკი ან მათი მომხრენი წამოაყენებენ წინადადებას — შეიცვალოს შტუტგარტისა და ბაზელის რეზოლუცია დაახლოებით ასეთი რეზოლუციით: «თუ ომი, ჩვენი ღონისძიების მიუხედავად, მაინც იფეთქებს, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, მსოფლიო პროლეტარიატის თვალსაზრისით, რა არის ამ პროლეტარიატისათვის უფრო ხელსაყრელი: ინდოეთს ინგლისი ძარცვავდეს თუ გერმანია; ზანგებს აფრიკაში ფრანგები ათრობდნენ და ყვლეფდნენ თუ გერმანელები; თურქეთს ავსტრიელები და გერმანელები ახშობდნენ თუ ინგლისელები, ფრანგები და რუსები; გერმანელები ახრჩობდნენ ბელგიას თუ რუსები გალიციას; ჩინეთს იყოფდნენ იაპონელები თუ ამერიკელები» და ა. შ.

«სოციალ-დემოკრატი» № 41,
1915 წ. 1 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ინტერნაციონალისტების გაერთიანების საკითხი

ომმა გამოიწვია მთელი საერთაშორისო სოციალიზმის ღრმა კრიზისი. ისევე როგორც ყოველი კრიზისის დროს ხდება, — სოციალიზმის ახლანდელმა კრიზისმა უფრო ღრმად და უფრო ნათლად გამოააშკარავა მისი შინაგანი წინააღმდეგობანი, ჩამოგლიჯა ბევრი ყალბი და პირობითი საბურველი, გვიჩვენა მეტად მკვეთრი და მკაფიო ფორმით, რა დალპა და რამ მოჭამა დრო სოციალიზმში და რა არის შემდგომი განვითარებისა და გამარჯვებისაკენ წინსვლის საწინდარი.

რუსეთის თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატი გრძნობს, რომ ძველი დაყოფანი და დაჯგუფებანი — ჩვენ ვიტყოდით: კი არ დაძველდნენ, არამედ — სახეს იცვლიან. პირველ რიგში წამოყენებულია დაჯგუფება ომით დასმული ძირითადი საკითხის გამო, სახელდობრ: დაყოფა «ინტერნაციონალისტებად» და «სოციალ-პატრიოტებად». ამ ტერმინებს ჩვენ ვიღებთ «ნაშე სლოვოს» 42-ე ნომრის მოწინავიდან, ამასთან არ ვჩერდებით ახლა საკითხზე, ხომ არ იყო საჭირო შეგვევსო ისინი რევოლუციური სოციალ-დემოკრატების დაპირისპირებით ნაციონალ-ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსებისადმი.

საქმე, რა თქმა უნდა, სახელწოდება როდია. ძირითადი თანამედროვე დაჯგუფების არსი «ნაშე სლოვომ» სწორად დასახა. ინტერნაციონალისტები — წერს იგი — «სოლიდარულნი არიან უარყოფით დამოკიდებულებაში სოციალ-პატ-

რიოტიზმისადმი, რომელიც წარმოდგენილია პლეხანოვით»... და რედაქცია მოუწოდებს «ახლა დაქუცმაცებულ ჯგუფებს» — «შეთანხმდნენ და გაერთიანდნენ თუნდაც მხოლოდ ერთი აქტისათვის — გამოხატონ თავიანთი აზრი, თუ როგორ უყურებს რუსეთის სოციალ-დემოკრატია ახლანდელ ომს და რუსულ სოციალ-პატრიოტიზმს».

არ დაჯერდა რა ლიტერატურულ გამოსვლას, «ნაშე სლოვოს» რედაქციამ წერილით მოგვმართა ჩვენ და მიმართა ორგანიზაციულ კომიტეტს; რედაქცია წინადადებას აყენებდა მოგვეწყო თათბირი ამ საკითხზე — მისი მონაწილეობით. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ საჭიროა «გამოირკვეს ზოგიერთი წინასწარი საკითხი, რათა ვიცოდეთ, არსებობს თუ არა ჩვენს შორის სოლიდარობა ძირითადში». ჩვენ უმთავრესად შევჩერდით ორ წინასწარ საკითხზე: 1) «რუსეთის მოწინავე პროლეტარიატის ნების გამყალბებელი» («ნაშე სლოვოს» რედაქციის გამოთქმა) «სოციალ-პატრიოტების» (რედაქციამ დაასახელა პლეხანოვი, ალექსინსკი და პეტერბურგელი ლიკვიდატორ-ლიტერატორების ცნობილი ჯგუფი, ჟურნალ **X. Y. Z**-ის [91] მომხრენი) სამხილებლად ვერავითარი დეკლარაცია ვერ გვიშველის. საჭიროა ხანგრძლივი ბრძოლა. 2) რა საფუძველი გვაქვს, რომ ორგანიზაციული კომიტეტი «ინტერნაციონალისტებს» მივაკუთვნოთ?

მეორე მხრივ, ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთულმა სამდივნომ ჩვენ გამოგვიგზავნა ასლი თავისი პასუხისა «ნაშე სლოვოსადმი». ეს პასუხი ასეთი იყო: გარკვეული ჯგუფების «წ ი ნ ა ს წ ა რ ი» შერჩევა და «სხვების გამორიცხვა» დაუშვებელია და რომ «თათბირზე მოწვეულ უნდა იქნენ ყველა იმ პარტიული ცენტრისა და ჯგუფის საზღვარგარეთული წარმომადგენლობანი, რომლებიც იყვნენ... საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან ომის წინ ბრიუსელში შემდგარ კონფერენციაზე» (1915 წ. 25 მარტის წერილი).

ამრიგად, ორგანიზაციული კომიტეტი პრინციპულად უარს ამბობს ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს თათბირზე, რა-

კი მას სურს ითათბიროს სოციალ-პატრიოტებთანაც (ცნობილია, რომ პლეხანოვისა და ალექსინსკის მიმდინარეობანი წარმოდგენილი იყო ბრიუსელში). სავსებით ასეთივე აზრია გამოთქმული სოციალ-დემოკრატების ნერვის რეზოლუციაში («ნაშე სლოვო», № 53), რომელიც მიღებულ იქნა იონოვის მოხსენების შემდეგ (და აშკარად გამოხატავდა ბუნდის ყველაზე უფრო მემარცხენე ანუ ინტერნაციონალისტური ელემენტების ამ წარმომადგენლის შეხედულებებს).

ამ რეზოლუციაში, რომელიც საერთოდ ძალიან დამახასიათებელი და საგულისხმოა იმ «საშუალო ხაზის» დასასურათებლად, რასაც საზღვარგარეთ ბევრი ეძებს, — გამოთქმულია თანაგრძნობა «ნაშე სლოვოს» «პრინციპებისადმი», მაგრამ ამასთან ერთად ნათქვამია, რომ არ ეთანხმებიან «ნაშე სლოვოს» პოზიციას, «რაც გამოიხატება ორგანიზაციული გამიჯვნით, მარტოოდენ სოციალისტ-ინტერნაციონალისტების გაერთიანებით და ისტორიულად ჩამოყალიბებულ სოციალისტურ, პროლეტარულ პარტიებში გათიშვების აუცილებლობის დაცვით». «გაზეთ «ნაშე სლოვოს» მიერ», ვითომ, «ცალმხრივი გაშუქება» (ამ საკითხებისა) კრებას მიაჩნია ისეთ რამედ, რაც «მეტისმეტად ვნებს ინტერნაციონალის აღდგენასთან დაკავშირებული ამოცანების გამორკვევას».

ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ აქსელროდის, ორგანიზაციული კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენლის, შეხედულებანი სოციალ-შოვინისტურია. «ნაშე სლოვოს» არც პრესაში, არც მიწერმოწერით არ უპასუხნია ამაზე. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ბუნდის პოზიციაც ასეთივეა, ოღონდ მას გერმანოფილური შოვინიზმის სიჭარბის ელფერი გადაჰკრავს. ნერვში მიღებულმა რეზოლუციამ მოგვცა თუმცა არაპირდაპირი, მაგრამ მეტისმეტად მნიშვნელოვანი ფაქტიური დადასტურება: მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ინტერნაციონალისტების გაერთიანება მავნე და გამთიშველ აზრადაა გამოცხადებული; საკითხი დასმულია ნათლად, რაც ყოველგვარი მოწონების ღირსია.

კიდევ უფრო ნათელია ორგანიზაციული კომიტეტის პასუხი, რომელიც გამოხატავს არა მიკიბულ-მოკიბულს, არამედ

ფრიად პირდაპირს და ფორმალურ დამოკიდებულებას საქმისადმი: უნდა ვითათბიროთ არა უ ს ო ც ი ა ლ-პ ა ტ რ ი ო ტ ე ბ ო დ, არამედ მ ა თ თ ა ნ ე რ თ ა დ ო.

ჩვენ მადლობა უნდა მოვახსენოთ ორგანიზაციულ კომიტეტს იმისათვის, რომ მან «ნაშე სლოვოს» წინაშე დაადასტურა ორგანიზაციულ კომიტეტზე ჩვენი შეხედულებების სისწორე.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ «ნაშე სლოვოს» მ თ ე ლ მ ა ი დ ე ა მ, ინტერნაციონალისტები უნდა გაერთიანდნენო, მარცხი განიცადა? არა. ვერავითარი თათბირის ვერავითარი წარუმატებლობა ვერ შეაჩერებს ინტერნაციონალისტების გაერთიანებას, რამდენადაც არის იდეური სოლიდარობა და გულწრფელი სურვილი — ვებრძოლოთ სოციალ-პატრიოტიზმს. «ნაშე სლოვოს» რედაქციას მოეპოვება დიდი იარაღი ყოველდღიური გაზეთის სახით. მას შეუძლია გაცილებით უფრო საქმიანი და სერიოზული რამ გააკეთოს, ვიდრე თათბირები და დეკლარაციებია: სახელდობრ, მოიწვიოს ყ ვ ე ლ ა ჯგუფი და თვითონ დაუყოვნებლივ შეუდგეს 1) სრული, ზუსტი, არაორაზროვანი, საკვანძო ნათელი პასუხის შემუშავებას ინტერნაციონალიზმის შინაარსის (თორემ ვანდერველდეც, კაუცკიც, პლეხანოვიც, ლენინიც, გენიშიც ხომ თავისთავს ინტერნაციონალისტებს უწოდებენ!), ოპორტუნიზმის, II ინტერნაციონალის კრახის, სოციალ-პატრიოტიზმთან ბრძოლის ამოცანებისა და საშუალებების და სხვა საკითხებზე; 2) ძალთა შეგროვებას ამა თუ იმ პრინციპებისათვის სერიოზული ბრძოლის გასაჩაღებლად არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ აგრეთვე და უმთავრესად რუსეთში.

მართლაც, გაბედავს კი ვინმე იმის უარყოფას, რომ ს ხ ვ ა გზა ინტერნაციონალიზმის გასამარჯვებლად სოციალ-პატრიოტიზმზე არ არის და არც შეიძლება იყოს? განა არ დაგვანახვა რუსეთის ემიგრანტობის ნახევარი საუკუნის ისტორიამ (და ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ემიგრაციის 30 წლის ისტორიამ), რომ უძლური, არასერიოზული, ფიქციურია ყველა

დეკლარაცია, თათბირი და მისთანანი საზღვარგარეთ, თუ ყოველივე ამას ზურგს არ უმაგრებს ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენის ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი მოძრაობა რუსეთში? განა ახლანდელი ომიც იმას არ გვასწავლის, რომ ყოველივე, რაც კი არის უმწიფარი თუ დამპალი, პირობითი თუ დიპლომატიური მტვრად იქცევა პირველი ბიძგისაგან?

ომის რვა თვის განმავლობაში ყ ვ ე ლ ა სოციალ-დემოკრატიულმა ცენტრმა, ჯგუფმა, მიმდინარეობამ, აზრთა ნაირსახეობამ უკვე ითათბირა, ვისთანაც შეეძლო და სურდა, უკვე გამოაქვეყნა «დეკლარაციები», ე. ი. ყველას გასაგონად განაცხადა თავისი აზრი. ახლა ამოცანა უკვე სხვა რამ არის, — უ ფ რ ო ა ხ ლ ო ს ს ა ქ მ ე ს თ ა ნ. მეტი უნდობლობა პ ა რ ა დ უ ლ ი დეკლარაციებისა და თათბირებისადმი. მეტი ენერგია ისეთი ზუსტი პასუხებისა და რჩევის შესამუშავებლად ლიტერატორებისა, პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის, ყველა მოაზროვნე მუშისათვის, რომ შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ი ყ ო ს ა რ გაიგონ ეს რჩევა. მეტი სიცხადე და გარკვეულობა ამ რჩევის განსახორციელებლად ხანგრძლივი მუშაობისათვის ძალების შეგროვებისას.

ვიმეორებთ, «ნაშე სლოვოს» რედაქციას ბევრი რამ აქვს მიცემული — ყოველდღიური გაზეთი! — და მას ბევრიც მოეთხოვება, თუ იგი ამ «პროგრამა-მინიმუმსაც» კი არ შეასრულებს.

კიდევ ერთი შენიშვნა: სწორედ 5 წლის წინათ, 1910 წლის მაისში, ჩვენ საზღვარგარეთულ პრესაში აღვნიშნეთ უდიდესი პოლიტიკური ფაქტი, უფრო «ძლიერი», ვიდრე ბევრი მ ე ტ ა დ «ძლიერი» სოციალ-დემოკრატიული ცენტრის თათბირები და დეკლარაციებია, სახელდობრ: ს წ ო რ ე დ ი მ ა ვ ე ჟურნალის — X. Y. Z-ის ლეგალისტ-ლიტერატორთა ჯგუფის დარაზმვა რუსეთში. რა გვიჩვენეს ფ ა ქ ტ ე ბ მ ა რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში მოვლენებით საკმაოდ მდიდარი 5 წლის მანძილზე? განა არ გვიჩვენეს ფაქტებმა, რომ ჩვენს წინაშეა გარკვე-

ული სოციალური ბირთვი რუსეთში ნაციონალ-ლიბერალური («ევროპული» ტიპის!) მუშათა პარტიის ელემენტების დასარაზმავად? რა დასკვნებს ავალდებულებს ყველა სოციალ-დემოკრატს ის გარემოება, რომ რუსეთში ჩვენ ახლა ვხედავთ, «ვოპროსი სტრახოვანიას»[92] გამოკლებით, მხოლოდ ამ მიმართულების, «ნაშე დელოს», «სტრახოვანიე რაბოჩიხ»-ის, «სევერნი გოლოსის»[93], მასლოვისა და პლეხანოვის აშკარა გამოსვლას?

ერთხელ კიდევ: მეტი უნდობლობა პარადული გამოსვლებისადმი, მეტი მამაცობა — პირდაპირ შეხედო სერიოზულ პოლიტიკურ რეალობას!

«სოციალ-დემოკრატი» № 41,
1915 წ. 1 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ბურჟუაზიული ფილანთროპები და რევოლუციური სოციალ-დემოკრატია

ინგლისელი მილიონერების ჟურნალი «ეკონომისტი» («The Economist») [94] მეტად საგულისხმო ხაზს ატარებს ომის მიმართ. უძველესი და უმდიდრესი კაპიტალისტური ქვეყნის მოწინავე კაპიტალის წარმომადგენლები მწარედ გოდებენ ომის გამო და განუწყვეტლივ გამოთქვამენ ზავის სურვილს. ის სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ოპორტუნისტებისა და კაუცკის მსგავსად ფიქრობენ, რომ სოციალისტური პროგრამა ზავის ქადაგებაა, წაიკითხავენ რა ინგლისურ «ეკონომისტს», შეუძლიათ ნათლად დარწმუნდნენ თავიანთ შეცდომაში. მათი პროგრამა სოციალისტური კი არა, ბურჟუაზიულ-პაციფისტურია. ოცნება ზავზე, თუ რევოლუციური მოქმედების პროპაგანდას არ ეწევი, გამოხატავს შიშს ომის წინაშე, და მას არავითარი საერთო არა აქვს სოციალიზმთან.

ეს ცოტაა. ინგლისური «ეკონომისტი» ზავის მომხრეა იმიტომ, რომ მას რევოლუციის ეშინია. მაგალითად, 1915 წ. 13 თებერვლის №-ში ვკითხულობთ:

«ფილანთროპები გამოთქვამენ იმედს, რომ ზავს მოჰყვება შეიარაღების საერთაშორისო შეზღუდვა... მაგრამ ისინი, ვინც იცის, თუ ფაქტიურად რა ძალები წარმართავენ ევროპულ დიპლომატიას, არავითარ უტოპიას არ ეძლევიან. პერსპექტივა, რომელსაც ომი გადაგვიშლის, არის სისხლისმღვრელი რევოლუციების, კაპიტალთან შრომის, ან კონტინენტური ევრო-

პის გაბატონებულ კლასებთან ხალხის მასების გააფთრებული ომების პერსპექტივა».

ხოლო 1915 წ. 27 მარტის №-ში კვლავ გამოთქმულია სურვილი, რომ დამყარდეს ზავი, რომელიც უზრუნველყოფდა ედუარდ გრეის მიერ დაპირებულ ეროვნებათა თავისუფლებას და სხვ. თუ ეს იმედი არ განხორციელდა, მაშინ... «ომი გამოიწვევს რევოლუციურ ქაოსს. ვერავინ იტყვის, სად დაიწყება ეს ქაოსი და რით გათავდებაო»...

ინგლისელ მილიონერ-პაციფისტებს გაცილებით უფრო სწორად ესმით თანამედროვე პოლიტიკა, ვიდრე ოპორტუნისტებს, კაუცკის მომხრეებს და მსგავს სოციალისტურ მოწუწუნეებს ზავზე. ბატონმა ბურჟუებმა, ჯერ ერთი, იციან, რომ ფრაზები დემოკრატიული ზავის შესახებ ფუჭი, სულელური უტოპიაა, ვიდრე წინანდელი «ძალები ფაქტიურად წარმართავენ დიპლომატიას», ე. ი. ვიდრე ექსპროპრიირებული არ არის კაპიტალისტების კლასი. მეორეც, ბატონი ბურჟუები ფხიზლად აფასებენ პერსპექტივას: «სისხლისმღვრელი რევოლუციები», «რევოლუციური ქაოსი». სოციალისტური გადატრიალება ბურჟუაზიას ყოველთვის წარმოუდგენია «რევოლუციური ქაოსის» სახით.

ზავისადმი სამნაირ თანაგრძნობას ვხედავთ ჩვენ კაპიტალისტური ქვეყნების რეალურ პოლიტიკაში.

1) შეგნებულ მილიონერებს სურთ დააჩქარონ ზავი, რადგან მათ რევოლუციებისა ეშინიათ. «დემოკრატიულ» ზავს (უანექსიოს, შეიარაღების შეზღუდვით და სხვ.) ისინი ფხიზლად და მართებულად აცხადებენ უტოპიად კაპიტალიზმის დროს.

ამ მეშჩანურ უტოპიას ქადაგებენ ოპორტუნისტები, კაუცკის მომხრეები და სხვ.

2) ხალხის შეუგნებელი მასები (წვრილი ბურჟუები, ნახევრადპროლეტარები, მუშების ნაწილი და სხვ.) ზავის სურვილით მეტად გაურკვეველი ფორმით გამოხატავენ მზარდ პროტესტს ომის წინააღმდეგ, მზარდ ბუნდოვან რევოლუციურ განწყობილებას.

3) პროლეტარიატის შეგნებული მოწინავენი, რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, ყურადღებით აკვირდებიან მასების განწყობილებას, იყენებენ მათ მზარდ მისწრაფებას ზავისადმი არა იმისათვის, რომ მხარი დაუჭირონ უხამს უტოპიებს «დემოკრატიულ» ზავზე კაპიტალიზმის დროს, არა იმისათვის, რომ წააქეზონ იმედები ფილანთროპების, უფროსების, ბურჟუაზიის მიმართ, არამედ იმისათვის, რომ ნათელი გახადონ ბუნდოვანი რევოლუციური განწყობილება; — რომ სისტემატურად, შეუპოვრად, განუხრელად, მასების გამოცდილებაზე და მათ განწყობილებაზე დაყრდნობით, გაათვითცნობიერონ ისინი ომამდე წარმოებული პოლიტიკის ათასნაირი ფაქტებით, —

დ ა ა მ ტ კ ი ც ო ნ საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიისა და მთავრობების წინააღმდეგ მასობრივი რევოლუციური მოქმედების, როგორც დემოკრატიისა და სოციალიზმისაკენ ე რ თ ა დ ე რ თ ი გზის, აუცილებლობა.

«სოციალ-დემოკრატი» № 41,
1915 წ. 1 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

კლატონური ინტერნაციონალიზმის ძრახი

ჩვენ უკვე ვთქვით (იხ. «სოციალ-დემოკრატი», № 41)*, რომ «ნაშე სლოვომ» ზუსტად მაინც უნდა გადმოგვცეს თავისი პლატფორმა, თუ მას სურს, რომ შესაძლებელი იყოს მისი ინტერნაციონალიზმის სერიოზულად მიჩნევა. «ნაშე სლოვოს» № 85-ში (9/V), თითქოს ჩვენს საპასუხოდ, დაბეჭდილია რეზოლუცია, მიღებული «ნაშე სლოვოს» რედაქციის და მის პარიზელ თანამშრომელთა კოლეგიის კრების მიერ, ამასთან «რედაქციის 2 წევრმა, თუმცა ისინი ეთანხმებიან რეზოლუციის საერთო შინაარსს, განაცხადა, რომ მათ შეაქვთ განსაკუთრებული აზრი რუსეთში შინაპარტიული პოლიტიკის ორგანიზაციული მეთოდების შესახებ». ეს რეზოლუცია წარმოადგენს პოლიტიკური დაბნეულობისა და უმწეობის ფრიად შესანიშნავ დოკუმენტს.

რეზოლუციაში ხშირად, ძალიან ხშირადაა განმეორებული სიტყვა ინტერნაციონალიზმი, ცხადდება «სრული იდეური გამიჯვნა სოციალისტური ნაციონალიზმის ყველა ნაირსახეობასთან», მოყვანილია ციტატები შტუტგარტისა და ბაზელის რეზოლუციებიდან. კეთილი სურვილებია, თქმა არ უნდა. ოღონდ... ოღონდ ცარიელი ფრაზა გამოდის, ვინაიდან სოციალ-შოვინიზმის ნამდვილად «ყველა» ნაირსახეობასთან ნამდვილად «სრული» გამიჯვნის მოცემა არ შეიძლება და არც

* იხ. ეს ტომი, გვ. 215 — 220. რ ე დ.

არის საჭირო, ისევე როგორც არ შეიძლება და არც არის საჭირო მთლიანად ჩამოთვალო კაპიტალისტური ექსპლოატაციის ყველა ნაირსახეობა, რომ კაპიტალიზმის მტერი გახდე. მაგრამ საჭიროა და სავალდებულო გარკვევით და არაორჭოფულად გაემიჯნო მთავარ ნაირსახეობათ, მაგალითად: პლეხანოვურ, პოტრესოვულ («ნაშე დელო»), ბუნდურ, აქსელროდულ, კაუცკურ ნაირსახეობათ. რეზოლუცია ერთობ ბევრ რამეს აღგვითქვამს, მაგრამ არაფერს არ იძლევა; ის იმუქრება სავსებით გავემიჯნები ყველა ნაირსახეობასო, მაგრამ მას იმისაც კი ეშინია, რომ დაასახელოს მათგან უმთავრესნი.

...ინგლისის პარლამენტში უზრდელობად ითვლება სახელით ხსენება, მიღებულია ილაპარაკონ მხოლოდ «კეთილშობილ ლორდებზე» და «ამა და ამ ოლქის დიდად პატივცემულ დეპუტატებზე». რა საუცხოო ანგლომანები, რა დახელოვნებული და გაქნილი დიპლომატები არიან ეს «ნაშესლოველები»! ისინი ოსტატურად უვლიან გვერდს საქმის დედაარსს, ზრდილობიანად უმასპინძლდებიან მკითხველებს ფორმულებით, რომლებიც თავიანთი აზრების დამალვის საშუალებას წარმოადგენენ. ისინი აცხადებენ «მეგობრულ ურთიერთობას» (ნამდვილი გიზოები არიან, — როგორც ამბობს ტურგენევის ერთ-ერთი გმირი [95]) ყველა ორგანიზაციასთან, «რამდენადაც ისინი ატარებენ... რევოლუციური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს»... და ისინი ინარჩუნებენ «მეგობრულ ურთიერთობას» სწორედ იმათთან, ვინც ამ პრინციპებს არ ატარებს.

«იდეური გამიჯვნა», რასაც «ნაშესლოველები» მით უფრო ზეიმით აცხადებენ, რაც უფრო ნაკლებად სურთ და შეუძლიათ მათ მისი გაკეთება, იმის გამორკვევაში მდგომარეობს, თუ ს ა ი დ ა ნ გაჩნდა სოციალ-ნაციონალიზმი, რ ა მ მისცა მას ძალა, რ ო გ ო რ უნდა ვებრძოლოთ მას. სოციალ-ნაციონალისტები თვითონ თავიანთ თავს არ უწოდებენ სოციალ-ნაციონალისტებს და არ ცნობენ თავიანთ თავს ასეთებად. ისინი მთელ თავის ძალღონეს მიმართავენ და იძულებული არიან მიმართონ იმისაკენ, რომ ამოეფარონ ფსევდონიმს, რომ

თვალები აუხვიონ მუშათა მასებს, რომ დაფარონ ოპორტუნიზმთან თავიანთი კავშირის კვალი, რომ მიჩქმალონ თავიანთი ღალატი, ე. ი. თავიანთი ფაქტიური გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე, თავიანთი კავშირი მთავრობებთან და გენერალურ შტაბებთან. სოციალ-ნაციონალისტები, რომლებიც ამ კავშირს ეყრდნობიან და რომლებსაც ხელთ აქვთ ყველა პოზიცია, ყველაზე მეტად გაყვირიან ახლა სოციალ-დემოკრატიული პარტიების «ერთიანობაზე» და გამთიშველობაში ბრალს სდებენ ოპორტუნიზმის მტრებს — იხილეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის («ფორშტანდის») უკანასკნელი ოფიციალური ცირკულარი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ინტერნაციონალისტური ჟურნალების: «Lichtstrahlen»-ისა («სინათლის სხივები») [96] და «Die Internationale»-ს («ინტერნაციონალი») [97] წინააღმდეგ. ამ ჟურნალებს არ სჭირდებოდათ არც რევოლუციონერებთან «მეგობრული ურთიერთობის» და არც «სოციალ-ნაციონალიზმის ყველა ნაირსახეობასთან სრული გამიჯვნის» გამოცხადება; მათ პირდაპირ დაიწყეს გამიჯვნა და დაიწყეს ისე, რომ მართლაც ოპორტუნისტების «ყველა ნაირსახეობამ» გაცოფებული ღმუილი მორთო და ამით ცხადყო, თუ როგორ მარჯვედ მოხვდა ისრები მიზანს.

«ნაშე სლოვო» კი?

იგი მუხლმოდრეკილი ჯანყდება სოციალ-ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ ბურჟუაზიული მიმდინარეობის ფრიად საშიშ დამცველებს (როგორიცაა კაუცკი) «ნაშე სლოვო» კი არ ამხილებს, ომს კი არ უცხადებს ოპორტუნიზმს, არამედ, პირიქით, დუმს მის შესახებ, არავითარ რეალურ ნაბიჯს სამარცხვინო პატრიოტული ტყვეობიდან სოციალიზმის განთავისუფლებისათვის არ დგამს და არ მიუთითებს. როცა «ნაშე სლოვო» ამბობს: სავალდებულო არ არის ერთიანობა, მაგრამ სავალდებულო არ არის გათიშვაც იმათთან, ვინც ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდაო, იგი ფაქტიურად სამოწყალოდ ნებდება ოპორტუნისტებს, თუმცა ამასთან ისეთ ლამაზ ჟესტს აკეთებს, რომელიც შეიძლება გაიგო იმ აზრით, რომ იგი ემუქრება ოპორტუნისტებს სასტიკი მრისხანებით, მაგრამ

შეიძლება ისეც გაიგო, რომ მათ ხელს უქნევს. უფრო საფიქრებელია, ნამდვილად გაქნილი ოპორტუნისტები, რომლებმაც იციან ზომიერ პრაქტიკასთან მემარცხენე ფრაზების შეერთების დაფასება, «ნაშე სლოვოს» რეზოლუციაზე უპასუხებდნენ (თუ მათ აიძულებდნენ ეპასუხნათ) დაახლოებით ისევე, როგორც უპასუხა რედაქციის ორმა წევრმა: «საერთო შინაარსს» ჩვენ ვეთანხმებით (რადგან ჩვენ სრულიადაც არა ვართ სოციალ-ნაციონალისტები, არაფერი ამის მსგავსი!), ხოლო «შინაპარტიული პოლიტიკის ორგანიზაციული მეთოდების» შესახებ თავის დროზე «განსაკუთრებულ აზრს» შევიტანთო. არც წვადი დაიწვება და არც შამფური!

«ნაშე სლოვოს» ოსტატური დიპლომატია გაცამტვერდა, როცა საჭირო გახდა რუსეთზე ლაპარაკი.

«პარტიული გაერთიანება წინანდელი ეპოქის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდა რუსეთში», — აცხადებს რეზოლუცია. წაიკითხეთ: მუშათა პარტიის გაერთიანება ლეგალისტ-ლიკვიდატორების ჯგუფთან შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს არაპირდაპირი აღიარებაა იმისა, რომ ლიკვიდატორების სახსნელად განკუთვნილმა ბრიუსელის ბლოკმა კრახი განიცადა. რატომ ეშინია «ნაშე სლოვოს» პირდაპირ აღიაროს ეს კრახი? რატომ ეშინია მას აშკარად გაარკვიოს მუშების წინაშე ამ კრახის მიზეზები? იმიტომ ხომ არა, რომ ამ ბლოკის კრახმა ფაქტიურად დაამტკიცა ამ ბლოკის ყველა მონაწილის პოლიტიკის სიყალბე? იმიტომ ხომ არა, რომ «ნაშე სლოვოს» სურს შეინარჩუნოს «მეგობრული ურთიერთობა» სოციალ-ნაციონალიზმის ორ «ნაირსახეობასთან» (ორთან მაინც), სახელდობრ: ბუნდელებთან და ორგანიზაციულ კომიტეტთან (აქსელროდთან), რომლებიც პრესაში გამოვიდნენ ისეთი განცხადებებით, რაც მოწმობს, რომ მათ ბრიუსელის ბლოკის აღდგენის განზრახვები და იმედები აქვთ?

«ახალი პირობები... ფეხქვეშ ნიადაგს აცლიან ძველ ფრაქციებსო».

პირიქით ხომ არა? ახალ პირობებს ოდნავადაც არ მოუსპიათ ლიკვიდატორობა, არც კი შეურყევიათ, მთელი პირადი

მერყეობისა და გადარბენა-გადმორბენის მიუხედავად, მისი ძირითადი ბირთვი («ნაშა ზარია»); ამ პირობებმა გააღრმავეს და გაამწვავეს უთანხმოება მათთან, ვინაიდან ეს ბირთვი, გარდა ლიკვიდატორულისა, სოციალ-ნაციონალისტურიც გახდა! «ნაშე სლოვო» თავს არიდებს მისთვის არასასიამოვნო საკითხს ლიკვიდატორობის შესახებ, ვინაიდან ძველს ძირი გამოუთხარა ახალმაო, და დუმს ძ ვ ე ლ ი ლიკვიდატორობის ფ ე ხ ქ ვ ე შ ა ხ ა ლ ი, სოციალ-ნაციონალისტური, ნ ი ა დ ა-გ ი ს გამო! სასაცილო თავისდაძვრენაა. «ნაშა ზარიაზე» ჩვენ ვდუმთ, რადგან იგი უკვე არ არის, ხოლო «ნაშე დელოზე», ალბათ, იმიტომ, რომ პოტრესოვი, ჩერევანინი, მასლოვი და კომპანია შეიძლება განხილულ იქნან, როგორც პოლიტიკური ბალღები...

მაგრამ არა მარტო პოტრესოვი და მისი კომპანია, არამედ «ნაშე სლოვოს» რედაქტორებიც მოსურნენი იქნებოდნენ მიეჩნიათ თავი ბალღებად. ყური დაუგდეთ:

«რაკი «ნაშე სლოვო» იმ ფაქტის წინაშე დგას, რომ წარსულ ეპოქაში შექმნილი ფრაქციული და ფრაქციათაშორისი დაჯგუფებანი ახლანდელ გარდამავალ მომენტშიც წარმოადგენენ მოწინავე მუშების თუნდაც მეტისმეტად არასრული ორგანიზებული შეკავშირების ერთადერთ» (მიაქციეთ ყურადღება!) «პუნქტებს, — იგი თვლის, რომ მისი ძირითადი მოღვაწეობა ინტერნაციონალისტების გაერთიანებისათვის თანაბრად გამორიცხავს როგორც გაზეთის ორგანიზაციულ, პირდაპირს თუ არაპირდაპირს, დამორჩილებას ერთ-ერთი ძველი პარტიული დაჯგუფებისადმი, ისე თავის თანამოაზრეთა ხელოვნურ შეკავშირებასაც ცალკეულ ფრაქციად, რომელიც პოლიტიკურად დაუპირისპირდებოდა ძველ დაჯგუფებებს».

რაა ეს? როგორაა ეს? რ ა დ გ ა ნ ახალი პირობები ძირს უთხრიან ძველ დაჯგუფებებს, ა მ ი ტ ო მ უკანასკნელნი ჩვენ მიგვაჩნია ე რ თ ა დ ე რ თ რეალურ დაჯგუფებებადო! რ ა დ-გ ა ნ ახალი პირობები მოითხოვენ ახალ დაჯგუფებას, არა ლიკვიდატორობის, არამედ ინტერნაციონალიზმის მიხედვით, ა მ ი ტ ო მ ჩვენ უარს ვამბობთ ინტერნაციონალისტების შე-

კავშირებაზე, როგორც «ხელოვნურ რამეზეო»! პოლიტიკური იმპოტენტობის ნამდვილი აპოთეოზი თუ გნებავთ, ეს არის.

ინტერნაციონალიზმის 200 დღის ქადაგების შემდეგ «ნაშე სლოვომ» აღიარა თავისი სრული პოლიტიკური კრახი: ძველ დაჯგუფებას არ «დაემორჩილო» (საიდანაა ასეთი საშიში სიტყვა? რატომ არ «მიემხრო», არ «დაუჭირო მხარი», არ «შეუერთდე»?), ახლები არ შექმნა. იცხოვრო ძველებურად — ლიკვიდატორობის მიხედვით დაჯგუფებებში, «დაემორჩილო» მათ, «ნაშე სლოვო» კი დარჩეს რაღაც მყვირალა აბრად ან სადღესასწაულო გასეირნებად ინტერნაციონალისტური სიტყვიერების ბაღებში. «ნაშე სლოვოს» მწერლები დაწერენ, «ნაშე სლოვოს» მკითხველები წაიკითხავენ.

200 დღეს ჩვენ ვლაპარაკობდით ინტერნაციონალისტების შეკავშირებაზე და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენ სრულიად არავინ არ შეგვიძლია შევაკავშიროთ, თავისთავიც კი, «ნაშე სლოვოს» რედაქტორები და თანამშრომლები, და ასეთ შეკავშირებას «ხელოვნურ რამედ» ვაცხადებთო: რა ზეიმია პოტრესოვისათვის, ბუნდელებისათვის, აქსელროდისათვის! და მუშების რა ოსტატური მოტყუებაა: ზედაპირი — ჭეშმარიტად-არაფრაქციული, დრომოჭმულ, ძველ დაჯგუფებათაგან თავდაღწეული «ნაშე სლოვოს» ეფექტური ინტერნაციონალისტური ფრაზები; სარჩული — შეკავშირების «ერთადერთი» პუნქტები, ძველი დაჯგუფებანი...

იდეურ-პოლიტიკური კრახი, რომელიც ახლა აღიარა «ნაშე სლოვომ», შემთხვევითი რამ არ არის, არამედ გარდუვალი შედეგია მისი ცდისა, რომ ფრაზებით მიაფუჩეჩოს ძალთა რეალური თანაფარდობა. ეს თანაფარდობა რუსეთის მუშათა მოძრაობაში გამოიხატება ლიკვიდატორების და სოციალ-პატრიოტების («ნაშე დელო») მიმდინარეობის ბრძოლით იმ მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან, რომელიც აღდგენილია 1912 წ. იანვრის კონფერენციის მიერ, განმტკიცებულია IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებით მუშათა კურიიდან, გამაგრებულია 1912 — 1914 წლების პრავდისტული გაზეთებით, წარმოდგენილია რუსეთის

სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციით. ამ პარტიამ გ ა ნ ა გ რ ძ ო თავისი ბრძოლა ლიკვიდატორობის ბურჟუაზიული მიმდინარეობის წინააღმდეგ, ბრძოლა სოციალ-პატრიოტიზმის არა ნაკლებ ბურჟუაზიული მიმდინარეობის წინააღმდეგ. ამ პარტიის, ჩვენი პარტიის, ხაზის სისწორე დადასტურებულია ევროპის ომის დიადი, მსოფლიო-ისტორიული გამოცდილებით და «ნაშე სლოვოს» ახალი, ათას პირველი, გამაერთიანებელ-არაფრაქციული ცდის პაწაწა, მინიატურული გამოცდილებით: ამ ცდამ ფიასკო განიცადა და დაადასტურა ბერნის თათბირის რეზოლუცია («სოციალ-დემოკრატი», № 40) «პლატონური» ინტერნაციონალისტების შესახებ *.

ნამდვილი ინტერნაციონალისტები არც იმას მოისურვებენ, რომ ისხდნენ (მუშებისაგან ამის დამალვით) ძველ, ლიკვიდატორულ, დაჯგუფებებში, არც იმას, რომ დარჩნენ ყოველგვარი დაჯგუფების გარეთ. ისინი ჩვენს პარტიასთან მოვლენ.

«სოციალ-დემოკრატი» № 42,
1915 წ. 21 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 186 — 187. რ ე დ.

სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ

ყველაზე საინტერესო და უახლესი მასალა ამ საჭირბოროტო საკითხზე მოგვცა ბერნში ამას წინათ დამთავრებულმა ქალთა საერთაშორისო სოციალისტურმა კონფერენციამ[98]. მკითხველნი ქვემოთ ნახავენ ამ კონფერენციის დახასიათებას და მიღებული თუ უკუგდებული რეზოლუციების ტექსტებს. ჩვენს სტატიაში განზრახვა გვაქვს შევჩერდეთ საქმის მხოლოდ ერთ მხარეზე.

ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, დაკავშირებულნი ორგანიზაციულ კომიტეტთან, ჰოლანდიელი ქალები ტრულსტრის პარტიიდან, შვეიცარიელი ქალები იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც ცხარედ ეომებიან «Berner Tagwacht»-ს* ამ გაზეთის ვითომდა მეტისმეტი მემარცხენეობისათვის, ფრანგთა წარმომადგენელი ქალი, რომელსაც არ სურს ცოტათი მაინც მნიშვნელოვან რამეში დაშორდეს ოფიციალურ, როგორც ცნობილია, სოციალ-შოვინისტურ თვალსაზრისზე მდგომ პარტიას, ინგლისელი ქალები, რომლებიც მტრულად ეპყრობიან რევოლუციური პროლეტარული ტაქტიკისაგან პაციფიზმის ნათლად გამოყოფის აზრს, — ყველა ისინი შეთანხმდნენ «მემარცხენე» გერმანელ სოციალ-დემოკრატ ქალებთან ერთი რეზოლუციის საფუძველზე. ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, დაკავშირებულნი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, დაშორდნენ მათ და ამჯობინეს დროებით მარტოდ დარჩნენ, ვიდრე მონაწილეობა მიიღონ ასეთ ბლოკში.

* — «ბერნის გუშაგი». რედ.

რა შეადგენდა უთანხმოების დედააზრს? როგორია ამ უთანხმოების პრინციპული და ზოგად-პოლიტიკური მნიშვნელობა?

ერთი შეხედვით, «საშუალო» რეზოლუცია, რომელმაც გააერთიანა ოპორტუნისტები და მემარცხენეთა ნაწილი, მეტად კეთილსახიერი და პრინციპულად სწორი ჩანს. აღიარებულია, რომ ეს ომი არის იმპერიალისტური, დაგმობილია «სამშობლოს დაცვის» იდეა; მუშებს რეზოლუცია მოუწოდებს მასობრივი დემონსტრაციებისაკენ და ა. შ. და ა. შ. თითქოს, ჩვენი რეზოლუციის განსხვავება მ ხ ო ლ ო დ რამდენიმე უფრო მკვეთრ გ ა მ ო თ ქ მ ა შ ი ა, როგორიცაა «ღალატი», «ოპორტუნიზმი», «ბურჟუაზიული სამინისტროებიდან გასვლა» და სხვ.

უეჭველია, სწორედ ამ თვალსაზრისით გააკრიტიკებენ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა ორგანიზაციების დელეგატების გამოყოფას.

საკმარისია უფრო ყურადღებით მოეკიდო საქმეს და არ დაჯერდე ამა თუ იმ ჭეშმარიტების «ფორმალურ აღიარებას», რათა ასეთი კრიტიკის სრული უსაფუძვლობა დაინახო.

კონფერენციაზე ერთმანეთს შეეჯახა ორი მსოფლმხედველობა, ორი შეფასება ომისა და ინტერნაციონალის ამოცანებისა, ორი ტაქტიკა პროლეტარული პარტიებისა. ერთი შეხედულება: არ მომხდარა ინტერნაციონალის კრახი, ღრმა და სერიოზული არ არის დაბრკოლებანი, რომ შოვინიზმიდან სოციალიზმს დავუბრუნდეთ, არ არის ძლიერი «შინაური მტერი» ოპორტუნიზმის სახით, არ არის მისი მხრივ სოციალიზმის პირდაპირი, უეჭველი, აშკარა ღალატი. აქედან დასკვნა: ნურავის დავგმობთ, «ამნისტია» გამოვუცხადოთ შტუტგარტისა და ბაზელის რეზოლუციების დამრღვევებს, დავჯერდეთ რჩევას — აიღონ კურსი უფრო მარცხნივ, მოვუწოდოთ მასებს დემონსტრაციებისაკენ.

მეორე შეხედულება ყველა აქ ჩამოთვლილ პუნქტზე — სრულიად საპირდაპიროა. პროლეტარული საქმისათვის არა

არის რა იმაზე უფრო მავნებელი და უფრო დამღუპველი, ვიდრე ოპორტუნისტებთან და სოციალ-შოვინისტებთან შინაპარტიული დიპლომატიის განგრძობა. უმრავლესობის რეზოლუცია სწორედ იმიტომ აღმოჩნდა ოპორტუნისტ ქალების და ახლანდელი ოფიციალური პარტიების მომხრე ქალებისათვის მისაღები, რომ იგი მთლად გაჟღენთილია დიპლომატიის სულისკვეთებით. მუშათა მასებს, რომლებსაც ახლა სწორედ ოფიციალური სოციალ-პატრიოტები ხელმძღვანელობენ, ამგვარი დიპლომატიით უხვევენ თვალებს. მუშათა მასებს ჩააგონებენ უთუოდ შემცდარ და მავნე აზრს, თითქოს ახლანდელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს მათი ახლანდელი გამგეობებითურთ უნარი შესწევდეთ შესცვალონ კურსი და არასწორის ნაცვლად აიღონ სწორი კურსი.

ეს ასე არ არის. ეს ულრმესი და ფრიად დამღუპველი შეცდომაა. ახლანდელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს და მათ გამგეობებს უნარი არ შესწევთ სერიოზულად შესცვალონ კურსი. სინამდვილეში ყველაფერი ძველებურად რჩება, და უმრავლესობის რეზოლუციაში გამოთქმული «მემარცხენე» სურვილები უბრალო სურვილებად დარჩება—ეს უტყუარი პოლიტიკური ინსტინქტით გაითვალისწინეს ტრულსტრის პარტიის ან ფრანგული პარტიის ახლანდელი გამგეობის მომხრე ქალებმა, ხმა რომ მისცეს ასეთ რეზოლუციას. მასების მოწოდებას დემონსტრაციებისაკენ მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს პრაქტიკულად, საქმით, სერიოზული მნიშვნელობა, თუ მას უაღრესად აქტიურად დაუჭერენ მხარს სოციალ-დემოკრატიული პარტიების ახლანდელი გამგეობანი.

შეიძლება თუ არა მოველოდეთ ასეთ მხარდაჭერას? ცხადია, რომ არა. ცნობილია, რომ მხარდაჭერას კი არა, არამედ გააფთრებულ (და მეტწილად ფარულ) წინააღმდეგობას შეხვდება ასეთი მოწოდება გამგეობათა მხრივ.

ეს რომ პირდაპირ ეთქვათ მუშებისათვის, მაშინ მუშებს სიმართლე ეცოდინებოდათ. მათ ეცოდინებოდათ, რომ

«მემარცხენე» სურვილების გასატარებლად ცხოვრებაში საჭიროა სოციალ-დემოკრატიული პარტიების კურსის ძირიანფესვიანად შეცვლა, საჭიროა ფრიად შეუპოვარი ბრძოლა ოპორტუნისტებთან და მათ «ცენტრელ» მეგობრებთან. ახლა კი მუშები მიაძინეს მემარცხენე სურვილებით, უარი სთქვეს რა ხმამაღლა და ნათლად დაესახელებინათ ის ბოროტება, რომელთან უბრძოლველადაც ეს სურვილები განუხორციელებელია.

დიპლომატი-მეთაურები, შოვინისტური პოლიტიკის გამტარებელნი ახლანდელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში ჩინებულად გამოიყენებენ უმრავლესობის რეზოლუციის სისუსტეს, გაუბედაობას, არასაკმაო გარკვეულობას. ისინი, როგორც გაქნილი პარლამენტარები, გაინაწილებენ როლებს; ერთნი იტყვიან: შეფასებული არ არის, გარჩეული არ არის კაუცკისა და მისი კომპანიის «სერიოზული» საბუთები, მოდი განვიხილოთ უფრო ფართო შემადგენლობითო; მეორენი იტყვიან: შეხედეთ, განა მართალნი არ ვიყავით, როცა ვამბობდით, რომ არ არის ღრმა უთანხმოებანი, თუ ტრულსტრის პარტიისა და გედ-სამბას პარტიის მომხრე ქალები მემარცხენე გერმანელ ქალებს შეუთანხმდნენო?

ქალთა კონფერენცია კი არ უნდა დახმარებოდა შეიდემანს, ჰაზეს, კაუცკის, ვანდერველდეს, ჰაინდმანს, გედსა და სამბას, პლეხანოვსა და მისთანებს მუშათა მასების მიძინებაში, არამედ, პირიქით, მას უნდა გამოეფხიზლებინა ეს მასები, უნდა გამოეცხადებინა გადამწყვეტი ომი ოპორტუნიზმთან. მხოლოდ მაშინ გვექნებოდა პრაქტიკულ შედეგად არა ხსენებული «ბელადების» «გამოსწორების» იმედი, არამედ ძალთა შეკრება ძნელი და სერიოზული ბრძოლისათვის.

აიღეთ ოპორტუნისტებისა და «ცენტრისტების» მიერ შტუტგარტისა და ბაზელის რეზოლუციების დარღვევის საკითხი: ეს ხომ თავიდათავია! წარმოიდგინეთ პირდაპირ და ნათლად, უდიპლომატიოდ, თუ როგორ იყო საქმე.

ომის მოლოდინში ინტერნაციონალი იკრიბება და ერთხმად წყვეტს, ომის დაწყების შემთხვევაში, იმუშაოს «კაპი-

ტალიზმის კრახის დასაჩქარებლად», იმუშაოს **კომუნის, 1905 წლის ოქტომბრისა და დეკემბრის** სულისკვეთებით (ბაზელის რეზოლუციის ზუსტი სიტყვები!!!); იმუშაოს იმ მიმართულებით, რომ **«დანაშაულად»** იქნას აღიარებული «ერთი ქვეყნის მუშების მიერ მეორე ქვეყნის მუშებისათვის» ტყვიის დაშენა.

ინტერნაციონალური, პროლეტარული, რევოლუციური სულისკვეთებით მუშაობის ხაზი აქ სავსებით ნათლად არის ნაჩვენები — ისე ნათლად, რომ, ლეგალობას თუ დაიცავ, უფრო ნათლად არ შეიძლება ითქვას.

იწყება ომი—სწორედ ისეთი, სწორედ იმ ხაზით, როგორც გათვალისწინებული იყო ბაზელში. ოფიციალური პარტიები პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებენ: არა როგორც ინტერნაციონალისტები, არამედ როგორც ნაციონალისტები; ბურჟუაზიულად და არა პროლეტარულად; არა რევოლუციურად, არამედ არქიოპორტუნისტულად. თუ ჩვენ ვეუბნებით მუშებს: მოხდა სოციალიზმის საქმის პირდაპირი ღ ა ლ ა ტ ი, ამ სიტყვებით ჩვენ ერთბაშად უკუვაგდებთ კაუცკისა და აქსელროდის **à la** * საქციელის მთელ თაღლითობასა და მიეთ-მოეთს, ყველა სოფიზმს, ჩვენ ნათლად აღვნიშნავთ ბოროტების სიღრმესა და ძალას, ნათლად მოვუწოდებთ არა ამ ბოროტებასთან შერიგებისაკენ, არამედ მასთან ბრძოლისაკენ.

უმრავლესობის რეზოლუცია კი? კრინტიც არაა დაძრული მოღალატეთა დასაგმობად, ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი ოპორტუნიზმის შესახებ, უბრალო გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა ა ბაზელის რეზოლუციის იდეისა!!! თითქოს არაფერი სერიოზული არ მომხდარიყოს, — იყო შემთხვევითი უმნიშვნელო შეცდომა, საკმარისია გ ა ი მ ე ო რ ო ძველი გადაწყვეტილება, — წარმოიშვა არაპრინციპული მცირე უთანხმოება, საკმარისია მისი წ ა გ ლ ე ს ვ ა!!!

ეს ხომ პირდაპირ ა ბ უ ჩ ა დ ა გ დ ე ბ ა ა ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებისა, აბუჩად აგდებაა მუშებისა.

* — მსგავსი. რ ე დ.

სოციალ-შოვინისტებს, არსებითად, სხვა არაფერი სწადიათ, თუ არა ძველ გადაწყვეტილებათა უბრალო გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა, ოღონდ არაფერი არ შეიცვალოს სინამდვილეში. სწორედ ეს არის, ნამდვილი რომ ითქვას, მდუმარედ და თვალთმაქცურად მიჩქმალული ა მ ნ ი ს ტ ი ა ახლანდელი პარტიების უმრავლესობის სოციალ-შოვინისტური მომხრეებისა. ჩვენ ვიცით, ბევრია იმის მსურველი, რომ ამ გზით წავიდეს, რამდენიმე მემარცხენე ფრაზას დაჯერდეს. ჩვენ ასეთ ადამიანებთან საერთო გზა არა გვაქვს. ჩვენ მივდიოდით და წავალთ ს ხ ვ ა გზით, ჩვენ გვინდა ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ დავეხმაროთ მუშათა მოძრაობას და მუშათა პარტიის მშენებლობას ოპორტუნიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან შეურიგებლობის გზით.

გერმანელი დელეგატი ქალების ნაწილს, ეტყობა, ეშინოდა სავსებით გარკვეული რეზოლუციისა იმ მოსაზრებებით, რომლებიც მარტოოდენ მხოლოდ ერთი, სახელდობრ, მათი საკუთარი, პარტიის შიგნით შოვინიზმთან ბრძოლის განვითარების ტ ე მ პ ს ეხება. მაგრამ ასეთი მოსაზრებანი აშკარად შეუსაბამო და შემცდარი იყო, ვინაიდან საერთაშორისო რეზოლუცია საერთოდ არ ეხებოდა და ვერც შეეხებოდა ც ა ლ კ ე უ ლ ქვეყნებში სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის ვერც ტემპს, ვერც კონკრეტულ პირობებს; ამ მხრივ ცალკეული პარტიების ავტონომია უდავოა. საჭირო იყო ინტერნაციონალური ტრიბუნიდან გამოეცხადებინათ კავშირის საბოლოო გაწყვეტა სოციალ-შოვინიზმთან ყველა მიმართულებით, სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მთელ ხასიათში; ამის ნაცვლად კი უმრავლესობის რეზოლუციამ ერთხელ კიდევ გაიმეორა ძველი შეცდომა, შეცდომა II ინტერნაციონალისა, რომელიც დიპლომატიურად ჩქმალავდა ოპორტუნიზმს და სიტყვის დაშორებას საქმისაგან. ვიმეორებთ: ა ს ე თ ი გზით ჩვენ არ წავალთ.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
№ 42-ს დამატება, 1915 წ.
1 ივნისი

იბეჭდება დამატების
ტექსტის მიხედვით

II ინტერნაციონალის კრახი

დაწერილია 1915 წ.
მაისის მეორე ნახევარში —
ივნისის პირველ ნახევარში

დაიბეჭდა 1915 წელს ჟურნალ
„კომუნისტში“ № 1 — 2
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

ინტერნაციონალის კრახად ზოგჯერ გულისხმობენ საქმის მხოლოდ ფორმალურ მხარეს, მეომარი ქვეყნების სოციალისტურ პარტიებს შორის ინტერნაციონალური კავშირის დროებით შეწყვეტას, საერთაშორისო კონფერენციის თუ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შეკრების შეუძლებლობას და სხვ. ამ თვალსაზრისზე დგას ნეიტრალური, პატარა ქვეყნების ზოგიერთი სოციალისტი, ალბათ, ხსენებული ქვეყნების ოფიციალური პარტიების უმრავლესობაც კი, შემდეგ — ოპორტუნისტები და მათი დამცველები. რუსულ პრესაში, ღრმა მადლობის ღირსი გულახდილობით, გამოვიდა ამ პოზიციის დასაცავად ბ-ნი ვლ. კოსოვსკი ბუნდის «ინფორმაციონნი ლისტოკის» მე-8 ნომერში, ამასთან «ლისტოკის» რედაქციას ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ავტორს არ ვეთანხმებიო. ბ-ნი კოსოვსკი იქამდეც კი მივიდა, რომ ამართლებს გერმანელ სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს; შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ კოსოვსკის მიერ ნაციონალიზმის დაცვა დაეხმარება ბევრ მუშას — საბოლოოდ დარწმუნდნენ ბუნდის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ხასიათში.

შეგნებული მუშებისათვის სოციალიზმი სერიოზული რწმენაა და არა ფილისტერულ-შემარიგებელ და ნაციონალისტურ-ოპოზიციურ მისწრაფებათა მოხერხებული საფარი. ინტერნაციონალის კრახად ისინი გულისხმობენ ოფიციალური

სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობის აშკარა ღალატს თავისი შეხედულებებისადმი, ფრიად საზეიმო განცხადებებისადმი შტუტგარტისა და ბაზელის საერთაშორისო კონგრესებზე წარმოთქმულ სიტყვებში, ამ კონგრესების რეზოლუციებში და ა. შ. ეს ღალატი შეუძლიათ არ დაინახონ მხოლოდ იმათ, ვისაც ა რ ს უ რ ს მისი დანახვა, ვისთვისაც ეს არ არის ხელსაყრელი. მეცნიეოულად რომ ჩამოვაყალიბოთ, ე. ი. თანამედროვე საზოგადოების კლასთა ურთიერთობის თვალსაზრისით რომ მივუდგეთ საქმეს, უნდა ვთქვათ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობა და, უწინარეს ყოვლისა, მათ სათავეში მდგომი გერმანული პარტია — II ინტერნაციონალის ყველაზე დიდი და ყველაზე გავლენიანი პარტია, დადგნენ თავიანთი გენერალური შტაბის, თავიანთი მთავრობის, თავიანთი ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ. ეს მოვლენა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობისაა, და არ შეიძლება არ შევჩერდეთ მის რაც შეიძლება ყოველმხრივ ანალიზზე. დიდი ხანია აღიარებულია, რომ ომებს, მთელი საშინელებისა და უბედურების მიუხედავად, რასაც ისინი იწვევენ, მოაქვთ მეტად თუ ნაკლებად დიდი სარგებლობა, რამდენადაც ისინი დაუზოგავად ააშკარავებენ, ამხილებენ და ანგრევენ ბევრ დამპალს, დრომოჭმულს, დახავსებულს, რაც კი არის ადამიანთა დაწესებულებებში. უეჭველი სარგებლობის მოტანა იწყო კაცობრიობისათვის 1914 — 1915 წლის ევროპულმა ომმაც, რომელმაც ცივილიზებული ქვეყნების მოწინავე კლასს დაანახვა, რომ მის პარტიებში დამწიფდა რაღაც საზიზღარი ჩირქოვანი წყლული, და საიდანღაც აუტანელი მძოვრის სუნი მოდის.

I

არის თუ არა ჩვენს წინაშე ევროპის მთავარი სოციალისტური პარტიების ღალატი მთელი თავისი შეხედულებებისა და ამოცანებისადმი? ამაზე, იგულისხმება, არ უყვართ ლაპარაკი არც თვით მოღალატეებს, არც იმათ, ვინც კარგად

იცის — ან ბუნდოვანად გრძნობს — რომ მას მოუხდება ამ მოღალატეებთან დამეგობრება და შერიგება. მაგრამ, რაც უნდა არასასიამოვნო იყოს ეს II ინტერნაციონალის სხვადასხვა «ავტორიტეტისათვის» ან მათი ფრაქციული მეგობრებისათვის რუსეთის სოციალ-დემოკრატებს შორის, ჩვენ პირდაპირ უნდა შევხედოთ საგნებს, ვუწოდოთ მათ თავისი სახელი, ვუთხრათ სიმართლე მუშებს.

არის თუ არა ფაქტიური მონაცემები იმ საკითხზე, თუ როგორ უყურებდნენ სოციალისტური პარტიები თავის ამოცანებს და თავის ტაქტიკას ამ ომის წინ და მისი გათვალისწინებისას? უდავოდ, არის. ეს არის ბაზელის 1912 წლის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის რეზოლუცია, რომელსაც ჩვენ ხელახლა ვბეჭდავთ, ხემნიცში იმავე წელს შემდგარი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის რეზოლუციასთან ერთად, როგორც სოციალიზმის «დავიწყებული სიტყვების» მოგონებას. ეს რეზოლუცია აჯამებს ყველა ქვეყნის უზარმაზარ პროპაგანდისტულ და სააგიტაციო ლიტერატურას ომის წინააღმდეგ და წარმოადგენს ომზე სოციალისტურ შეხედულებათა და ომის მიმართ ტაქტიკის ყველაზე ზუსტსა და სრულს, ყველაზე საზეიმო და ფორმალურ გადმოცემას. არ შეიძლება სხვა რაიმე ეწოდოს, თუ არა ღალატი, უკვე იმ ფაქტს, რომ გუშინდელი ინტერნაციონალის და დღევანდელი სოციალ-შოვინიზმის ვერც ერთი ავტორიტეტი, ვერც ჰაინდმანი, ვერც გედი, ვერც კაუცკი, ვერც პლეხანოვი, ვერ ბედავს მოაგონოს თავის მკითხველებს ეს რეზოლუცია, ან სავსებით სდუმს მასზე, ან მოიყვანს ხოლმე (კაუცკის მსგავსად) მის მეორეხარისხოვან ადგილებს და გვერდს უვლის ყოველივე არსებითს. უაღრესად «მემარცხენე», არქირევოლუციური რეზოლუციები — და მათი ყოვლად უსირცხვილო დავიწყება ან უკუგდება, აი ინტერნაციონალის კრახის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება, — და ამასთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მარტოოდენ რეზოლუციების გზით სოციალიზმის «გასწორე-

ბის», «მისი ხაზის გამართვის» რწმენა შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომელთა უმაგალითო გულუბრყვილობა წინანდელი თვალთმაქცობის გამარადისების მზაკვრულ სურვილს უდრის.

შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ გუშინ, როდესაც ჰაინდმანი ომის წინ იმპერიალიზმის დაცვისაკენ შებრუნდა, ყველა «წესიერ» სოციალისტს იგი ჭკუანაღრძობ, ახირებულ ადამიანად მიაჩნდა, და არავინ ლაპარაკობდა მასზე სხვანაირად, თუ არა ათვალწუნების ტონით. ახლა კი ჰაინდმანის პოზიციისაკენ მთლიანად დაქანდნენ ყველა ქვეყნის ფრიად თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატიული ბელადები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ელფერითა და ტემპერამენტით. და ჩვენ სრულიად არ ძალგვიძს რამდენადმე მაინც პარლამენტური გამოთქმით შევაფასოთ და დავახასიათოთ ისეთი ადამიანების მოქალაქეობრივი გამბედაობა, როგორიც არიან, მაგალითად, «ნაშე სლოვოს» მწერლები, როდესაც ისინი «ბატონ» ჰაინდმანზე წერენ ათვალწუნების ტონით, ხოლო «ამხანაგ» კაუცკიზე ლაპარაკობენ — ან სდუმან — პატივისცემის (თუ პირმოთნეობის?) გამომეტყველებით. განა შეიძლება შეათავსო ასეთი დამოკიდებულება სოციალიზმის და საერთოდ საკუთარი რწმენის პატივისცემასთან? თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ჰაინდმანის შოვინიზმი თაღლითობა და დამღუპველობაა, ხომ არ არის საჭირო მიმართოთ კრიტიკა და გაილაშქროთ ამგვარ შეხედულებათა უ ფ რ ო გ ა ვ ლ ე ნ ი ა ნ ი და უფრო სახიფათო დამცველის, კაუცკის წინააღმდეგ?

გედის შეხედულებანი ამ ბოლო დროს თითქმის ყველაზე დაწვრილებით გამოთქვა გედისტმა შარლ დიუმამ თავის პატარა ბროშურაში: «როგორი ზავი გვსურს ჩვენ». ამ «ჟიულ გედის კაბინეტის უფროსს», რომელმაც ასე მოაწერა ხელი ბროშურის თავფურცელზე, რასაკვირველია, «მოჰყავს ციტატები» სოციალისტების წინანდელი, პატრიოტული ხასიათის განცხადებებიდან (ისევე როგორც ციტატები მოჰყავს ამგვა-

რივე განცხადებებიდან გერმანელ სოციალ-შოვინისტ დავიდს თავის უკანასკნელ ბროშურაში სამშობლოს დაცვის შესახებ), მაგრამ ციტატები არ მოჰყავს ბაზელის მანიფესტიდან! ამ მანიფესტზე სდუმს პლეხანოვიც და ამავე დროს არაჩვეულებრივად თვითკმაყოფილი გამომეტყველებით გვაწვდის შოვინისტურ უხამსობას. კაუცკი ჰგავს პლეხანოვს: ბაზელის მანიფესტის ციტირებისას მას ა რ მ ო ჰ ყ ა ვ ს ამ მანიფესტის არც ერთი რევოლუციური ადგილი (ესე იგი მთელი მისი არსებითი შინაარსი!) — ალბათ, ცენზურული აკრძალვის მომიზეზებით... პოლიცია და სამხედრო ხელისუფალნი კლასობრივ ბრძოლასა და რევოლუციაზე ლაპარაკის ცენზურული აკრძალვით «დროზე» მიეშველნენ სოციალიზმის მოღალატეებს!

მაგრამ, იქნებ, ბაზელის მანიფესტი წარმოადგენს რაღაც უშინაარსო მოწოდებას, რომელშიც არ არის არავითარი ზუსტი შინაარსი, არც ისტორიული, არც ტაქტიკური, რაც უსათუოდ ახლანდელ კონკრეტულ ომს შეეხებოდეს?

სწორედ პირიქით. ბაზელის რეზოლუციაში ნაკლებია, ვიდრე სხვა რეზოლუციებში, ფუჭი დეკლამატორობა, მეტია კონკრეტული შინაარსი. ბაზელის რეზოლუცია ლაპარაკობს ს წ ო რ ე დ იმ ომზე, რომელიც უკვე დაიწყო, სწორედ იმ ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ კონფლიქტებზე, რომლებმაც იფეთქეს 1914 — 1915 წლებში. კონფლიქტები ავსტრიისა და სერბიისა ბალკანეთის გამო, ავსტრიისა და იტალიისა ალბანეთისა და სხვათა გამო, ინგლისისა და გერმანიისა საერთოდ ბაზრების და კოლონიების გამო, რუსეთისა თურქეთთან და სხვებთან სომხეთისა და კონსტანტინეპოლის გამო — აი რაზე ლაპარაკობს ბაზელის რეზოლუცია, რომელიც სწორედ ახლანდელ ომს ითვალისწინებს. სწორედ ახლანდელ ომზე — «ევროპის დიდ სახელმწიფოთა» შორის ომზე — ამბობს ბაზელის რეზოლუცია, რომ ე ს ომი **«არ შეიძლება გამართლებულ იქნას ხალხის რაიმე ინტერესის სულ მცირედი საბაბითაც კი»!**

და თუ ახლა პლეხანოვი და კაუცკი — ვიღებთ ორ ყველაზე ტიპიურ და ჩვენთვის ყველაზე მახლობელ ავტორიტეტიან სოციალისტს, რომელთაგან ერთი რუსულად წერს, ხოლო მეორის ნაწერს ლიკვიდატორები თარგმნიან რუსულად, — ეძებენ (აქსელროდის დახმარებით) ომის სხვადასხვანაირ «ხალხურ» (ან, უფრო სწორად, მდაბიო-ხალხურ, ქუჩური ბურჟუაზიული პრესიდან აღებულ) გამართლებას, თუ ისინი სწავლულის გამომეტყველებითა და მარქსიდან ყალბი ციტატების მარაგით იმოწმებენ «მაგალითებს», 1813 და 1870 წლების ომებს (პლეხანოვი) ან 1854 — 1871, 1876 — 1877, 1897 წლების ომებს (კაუცკი), — ჭეშმარიტად, მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არ აქვთ სოციალისტური რწმენის ნასახი, სოციალისტური სინდისის ნატამალი, შეუძლიათ «სერიოზულად» მიიჩნიონ ამგვარი საბუთები, შეუძლიათ არ უწოდონ მათ გაუგონარი იეზუიტიზმი, თვალთმაქცობა და სოციალიზმის გათახსირება! დაე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ («ფორშტანდ») წყევლაკრულვით მოიხსენიოს მერინგისა და როზა ლუქსემბურგის ჟურნალი («ინტერნაციონალი») კაუცკის სწორი შეფასებისათვის, დაე ვანდერველდემ, პლეხანოვმა, ჰაინდმანმა და მათმა კომპანიამ, «სამთა შეთანხმების» პოლიციის დახმარებით, აგრეთვე აძაგონ თავისი მოწინააღმდეგენი, — ჩვენ ვუპასუხებთ ბაზელის მანიფესტის უბრალო გადმობეჭდვით; ეს მანიფესტი ამხილებს ბელადების ისეთ შებრუნებას, რომლისთვისაც სხვა სახელი არ არსებობს, გარდა ღალატისა.

ბაზელის რეზოლუცია ლაპარაკობს არა ნაციონალურ, არა სახალხო ომზე, რომლის მაგალითები ევროპაში იყო, რომლებიც ტიპიურიც კია 1789 — 1871 წლების ეპოქისათვის, არა რევოლუციურ ომზე, რაზედაც სოციალ-დემოკრატები არასოდეს არ ამბობდნენ უარს, არამედ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ომზე, რაც აღმოცენდა «კაპიტალისტური იმპერიალიზმისა» და «დინასტიური ინტერესების» ნიადაგზე, მეომარ სახელმწიფოთა ო რ ი ვ ე ჯგუფის, როგორც ავსტრია-გერმანიის,

ისე ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის «დაპყრობითი პოლიტიკის» ნიადაგზე. პლეხანოვი, კაუცკი და მათი კომპანია პირდაპირ ატყუებენ მუშებს, როდესაც იმეორებენ ანგარებითს სიცრუეს ყველა ქვეყნის ბურჟუაზიისას, რომელიც მთელი ძალღონით ისწრაფვის გაასაღოს ეს იმპერიალისტური, კოლონიური, მძარცველური ომი სახალხო, თავდაცვით (ვისთვისაც უნდა იყოს) ომად, და როდესაც ეძებენ მის გამართლებას ა რ აიმპერიალისტური ომების ისტორიული მაგალითების სფეროდან.

ახლანდელი ომის იმპერიალისტური, მძარცველური, ანტიპროლეტარული ხასიათის საკითხი დიდი ხანია გასცილდა წმინდა თეორიული საკითხის სტადიას. არა მარტო თეორიულადაა უკვე შეფასებული, ყველა თავისი მთავარი თვისებით, იმპერიალიზმი, როგორც მომაკვდავი, მიხრწნილი, დამპალი ბურჟუაზიის ბრძოლა მსოფლიოს გაყოფისათვის და «პატარა» ერების დამონებისათვის; არა მარტო ათასჯერ ყოფილა განმეორებული ეს დასკვნები ყ ვ ე ლ ა ქვეყნის სოციალისტების მთელ თვალუწვდენელ საგაზეთო ლიტერატურაში; არა მარტო, მაგალითად, ჩვენი «მოკავშირე» ერის წარმომადგენელი, ფრანგი დელეზი, ბროშურაში «მომავალი ომის» შესახებ (1 9 1 1 წ ლ ი ს!) პოპულარულად განმარტავდა, რომ ეს ომი საფრანგეთის ბურჟუაზიის მხრითაც მტაცებლური ხასიათისაა. ეს ცოტაა. ყველა ქვეყნის პროლეტარული პარტიების წარმომადგენლებმა ერთხმად და ფორმალურად გამოთქვეს ბაზელში თავისი ურყევი რწმენა, რომ სწორედ იმპერიალისტური ხასიათის ომი იფეთქებსო, და აქედან ტ ა ქ ტ ი კ უ რ ი დასკვნები გამოიტანეს. ამიტომ, სხვათა შორის, თავიდანვე უკუგდებულ უნდა იქნას, როგორც სოფიზმი, ყველა მითითება იმაზე, რომ ნაციონალური და ინტერნაციონალური ტაქტიკის განსხვავება საკმაოდ არ არის განხილულიო (შეადარე აქსელროდის უკანასკნელი ინტერვიუ «ნაშე სლოვოს» 87 და 90 ნომრებში), და ა. შ. და სხვა მისთანანი. ეს სოფიზმია, რადგან ერთი საქმეა იმპერიალიზმის ყოველმხრივი მეცნიერული გა-

მოკვლევა; ასეთი გამოკვლევა მხოლოდ იწყება, და იგი, არსებითად, უსასრულოა, ისევე როგორც უსასრულოა საერთოდ მეცნიერება. სხვა საქმეა კაპიტალისტური იმპერიალიზმის წინააღმდეგ სოციალისტური ტაქტიკის საფუძვლები, გადმოცემული სოციალ-დემოკრატიული გაზეთების მილიონობით ეგზემპლარში და ინტერნაციონალის გადაწყვეტილებაში. სოციალისტური პარტიები სადისკუსიო კლუბები როდია, არამედ მებრძოლი პროლეტარიატის ორგანიზაციებია, და როდესაც მთელი რიგი ბატალიონები მტრის მხარეზე გადავიდნენ, მათ უნდა უწოდო მოღალატენი, სამარცხვინო ბოძზე გააკრა ისინი, როგორც მოღალატენი, და არ «წამოეგო» თვალთმაქცურ სიტყვებზე იმის შესახებ, რომ «ყველას როდი ესმის ერთნაირად» იმპერიალიზმი, რომ აი შოვინისტ კაუცკის და შოვინისტ კუნოვს შეუძლიათ ამაზე ტომები დაწერონ, რომ საკითხი «საკმაოდ არ არის განხილული» და სხვ. და სხვ. კაპიტალიზმი თავისი მძარცველობის ყ ვ ე ლ ა გამოვლინებით, თავისი ისტორიული განვითარებისა და ნაციონალურ თავისებურებათა ყველა უწვრილმანესი განშტოებით ა რ ა ს ო დ ე ს არ იქნება ბ ო ლ ო მ დ ე შესწავლილი; კერძო ხასიათის მომენტებზე მეცნიერებს (და მეტადრე პედანტებს) ყოველთვის ექნებათ დავა. «ამ საბუთით» უარისთქმა სოციალისტურ ბრძოლაზე კაპიტალიზმთან, თავისთავის დაპირისპირებაზე იმათთადმი, ვინც ამ ბრძოლას უღალატა, სასაცილო იქნებოდა, — ხოლო რას გვთავაზობენ ჩვენ სხვა რაიმეს კაუცკი, კუნოვი, აქსელროდი და მისთანანი?

ხომ არავინ არც კი ცდილა გაერჩია ახლა, ომის დაწყების შემდეგ, ბაზელის რეზოლუცია და ცხადეყო მისი უსწორობა!

II

მაგრამ, იქნებ, გულწრფელი სოციალისტები მხარს უჭერდნენ ბაზელის რეზოლუციას იმის მოლოდინში, რომ ომი შექმნიდა რევოლუციურ სიტუაციას, ხოლო მოვლენებმა მათ არ გაუმართლეს იმედები, და რევოლუცია შეუძლებელი აღმოჩნდა?

სწორედ ასეთი სოფიზმით ცდილობს კუნოვი გაამართლოს თავისი გადასვლა ბურჟუაზიის ბანაკში (ბროშურაში «პარტიის კრახი?» და მთელ რიგ სტატიებში), ხოლო გადაკვრით ამგვარ «საბუთებს» აყენებს თითქმის ყველა სოციალ-შოვინისტი კაუცკის მეთაურობით. რევოლუციის იმედი ილუზია გამოდგა, ხოლო ილუზიების დაცვა როდია მარქსისტის საქმე, — მსჯელობს კუნოვი, ამასთან ეს სტრუვისტი კრინტსაც არ ძრავს ყველა იმათ «ილუზიაზე», ვინც ხელი მოაწერა ბაზელის მანიფესტს, არამედ, როგორც განსაკუთრებით კეთილშობილი ადამიანი, ცდილობს ყველაფერი დააბრალოს პანეკუკისა და რადეკის მსგავს უკიდურეს მემარცხენეებს!

განვიხილოთ, არსებითად, ის საბუთი, რომ ბაზელის მანიფესტის ავტორები გულწრფელად ვარაუდობდნენ რევოლუციის დაწყებას, მაგრამ მოვლენებმა მათ არ გაუმართლეს იმედები. ბაზელის მანიფესტი ამბობს — 1) რომ ომი შექმნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ კრიზისს; 2) რომ მუშები თავის მონაწილეობას ომში მიიჩნევენ დანაშაულად, დანაშაულებრივ «სროლად ერთი-მეორის წინააღმდეგ კაპიტალისტების მოგების გულისათვის, დინასტიების პატივმოყვარეობის გულისათვის, საიდუმლო დიპლომატიურ ხელშეკრულებათა შესრულების გულისათვის», რომ ომი მუშებში იწვევს «გულისწყრომასა და აღშფოთებას»; 3) რომ სოციალისტები ვალდებული არიან აღნიშნული კრიზისი და მუშების აღნიშნული სულიერი განწყობილება გამოიყენონ «ხალხის ასაღელვებლად და კაპიტალიზმის კრახის დასაჩქარებლად»; 4) რომ «მთავრობები» — ყველანი უკლებლივ — ვერ დაიწყებენ ომს «თავისთავისათვის საფრთხის შეუქმნელად»; 5) რომ მთავრობებს «ეშინიათ პროლეტარული რევოლუციისა»; 6) რომ მთავრობებმა «უნდა გაიხსენონ» პარიზის კომუნა (ე. ი. სამოქალაქო ომი), რუსეთის 1905 წლის რევოლუცია და ა. შ. ყოველივე ეს სავსებით ნათელი აზრებია; ისინი არ შეიცავენ თ ა ვ დ ე ბ ო ბ ა ს, რომ რევოლუცია იქნება; ისინი ყურადღებას ამახვილებენ ფ ა ქ ტ ე ბ ი ს ა და ტ ე ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი ს ზუსტ დახასია-

თებაზე. ვინც ასეთი აზრებისა და მსჯელობის გამო ამბობს, მოლოდინი, რომ რევოლუცია მოხდებოდა, ილუზია აღმოჩნდაო, ის ამჟღავნებს რევოლუციისადმი არა მარქსისტულ, არამედ სტრუვისტულსა და პოლიციურ-რენეგატულ დამოკიდებულებას.

მარქსისტისათვის უეჭველია, რომ რევოლუცია შეუძლებელია, თუ არ არის რევოლუციური სიტუაცია, ამასთან ყოველი რევოლუციური სიტუაცია როდი იწვევს რევოლუციას. როგორია, საერთოდ რომ ითქვას, რევოლუციური სიტუაციის ნიშნები? ჩვენ უეჭველად არ შევცდებით, თუ აღვნიშნავთ შემდეგ სამ მთავარ ნიშანს: 1) შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისთვის — შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა; «ზედაფენების» ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეთქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება. რევოლუციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის, რომ «ქვედაფენებს არ უნდოდეთ» ძველებურად ცხოვრება, არამედ საჭიროა კიდევ, რომ «ზედაფენებს არ შეეძლოთ» ძველებურად ცხოვრება. 2) ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად. 3) აღნიშნული მიზეზების გამო, მასების აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება; ისინი «მშვიდობიან» ეპოქაში მშვიდად აძარცვინებენ თავს, ხოლო მღელვარე ხანაში, როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ი ს ე თ ვ ი თ ო ნ «ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ი» იწვევენ მათ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას.

თუ არაა ეს ობიექტური ცვლილებები, რომლებიც დამოკიდებული არ არის არა მარტო ცალკეული ჯგუფებისა და პარტიების, არამედ აგრეთვე ცალკეული კლასების ნებაზე, ისე რევოლუცია — საერთო წესის მიხედვით — შეუძლებელია. სწორედ ამ ობიექტურ ცვლილებათა ერთობლიობას ეწოდება რევოლუციური სიტუაცია. ასეთი სიტუაცია იყო რუსეთში 1905 წელს და დასავლეთში რევოლუციების ყველა

ეპოქაში; მაგრამ იგი იყო აგრეთვე გასული საუკუნის 60-იან წლებშიც გერმანიაში, 1859 — 1861; 1879 — 1880 წლებში რუსეთში, თუმცა რევოლუციები ამ შემთხვევებში არ მომხდარა. რატომ? იმიტომ, რომ რევოლუცია ყოველი რევოლუციური სიტუაციიდან კი არ წარმოიშვება, არამედ მხოლოდ ისეთი სიტუაციიდან, როდესაც ზემოთჩამოთვლილ ობიექტურ ცვლილებებს ემატება სუბიექტური ცვლილება, სახელდობრ: ემატება რევოლუციური კ ლ ა ს ი ს რევოლუციური მასობრივი მოქმედების უნარი, ამასთან ეს მოქმედება საკმაოდ ძ ლ ი ე რ ი უნდა იყოს, რომ გასტეხოს (ან შეარყიოს) ძველი მთავრობა, რომელიც არასოდეს, კრიზისების ეპოქაშიც კი, არ «წაიქცევა», თუ არ «წააქციეს».

ასეთია მარქსისტული შეხედულებანი რევოლუციაზე, რაც ბევრჯერ იყო განვითარებული და უდაოდ აღიარებული ყველა მარქსისტის მიერ და რაც ჩვენთვის, რუსებისათვის, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაადასტურა 1905 წლის გამოცდილებამ. საკითხავია, რა იყო ნაგულისხმევი ამ მხრივ ბაზელის 1912 წლის მანიფესტით და რა მოხდა 1914 — 1915 წელს?

ნაგულისხმევი იყო რევოლუციური სიტუაცია, რაც მოკლედ აწერილია გამოთქმით «ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი». შეიქმნა თუ არა ეს სიტუაცია? უეჭველია, შეიქმნა. სოციალ-შოვინისტმა ლენჩმა (რომელიც უფრო პირდაპირ, უფრო გულახდილად და უფრო პატიოსნად იცავს შოვინიზმს, ვიდრე თვალთმაქცები კუნოვი, კაუცკი, პლეხანოვი და მათი კომპანია) ისიც კი თქვა, რომ «ჩვენ თავისებურ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს განვიცდით» (მისი ბროშურა «გერმანიის სოციალ-დემოკრატია და ომი», გვ. 6, ბერლინი, 1915). პოლიტიკური კრიზისი ფაქტია: არც ერთი მთავრობა არ არის დარწმუნებული ხვალინდელ დღეში, არც ერთი არ არის თავისუფალი ფინანსური კრახის, ტერიტორიის წართმევის, თავისი ქვეყნიდან განდევნის საფრთხისაგან (როგორც განდევნეს მთავრობა ბელგიიდან). ყველა მთავრობა ვულკანზე ცხოვრობს, ყველა თ ვ ი თ ო ნ მოუწოდებს მასებს თვითმოქმედებისა და გმირო-

ბისაკენ. ევროპის პოლიტიკური რეჟიმი მთლად შერყეულია, და, ალბათ, ვერავინ უარყოფს, რომ ჩვენ შევედით (და სულ უფრო ღრმად შევდივართ — ამას ვწერ იტალიის მიერ ომის გამოცხადების დღეს) უდიდეს პოლიტიკურ შერყევათა ეპოქაში. თუ კაუცკი, ომის გამოცხადების ორი თვის შემდეგ, წერდა (1914 წ. 2 ოქტომბერს «Neue Zeit»-ში *), რომ «მთავრობა არასოდეს არ არის ისე ძლიერი, პარტიები არასოდეს არ არიან ისე სუსტნი, როგორც ომის დასაწყისშიო», ეს ერთერთი ნიმუშია კაუცკის მიერ ისტორიული მეცნიერების გაყალბებისა ზიუდეკუმებისა და სხვა ოპორტუნისტების საამებლად. მთავრობა ისე არასოდეს არ საჭიროებს გაბატონებული კლასების ყველა პარტიის თანხმობას და ამ ბატონობისადმი ჩაგრული კლასების «მშვიდობიან» დამორჩილებას, როგორც ომის დროს. ეს ერთი; მეორეც, თუ «ომის დასაწყისში», განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, რომელიც სწრაფ გამარჯვებას მოელის, მთავრობა ყოვლისშემძლე ჩ ა ნ ს, არავინ, არასოდეს და არსად ქვეყნად არ უკავშირებდა რევოლუციური სიტუაციის მოლოდინს მხოლოდ და მხოლოდ ომის «დასაწყისის» მომენტს, ხოლო მით უფრო არ აიგივებდა «მოჩვენებითს» ნ ა მ დ ვ ი ლ თ ა ნ.

ევროპის ომი რომ მძიმე იქნებოდა სხვა ომებისაგან განსხვავებით, ეს ყველამ იცოდა, ამას ყველა ხედავდა და აღიარებდა. ომის გამოცდილება უფრო და უფრო ადასტურებს ამას. ომი ფართოვდება. ევროპის პოლიტიკური საყრდენები უფრო და უფრო ირყევა. მასები საშინელ გაჭირვებას განიცდიან, და მთავრობების, ბურჟუაზიისა და ოპორტუნისტების ცდა, რომ მიჩქმალონ ეს გაჭირვება, უფრო და უფრო ხშირად განიცდის მარცხს. კაპიტალისტთა გარკვეული ჯგუფების მოგება ომისაგან საარაკოა, სკანდალურად დიდია. წინააღმდეგობანი უაღრესად გამწვავებულია. მასების ყრუ აღშფოთება, დაბეჩავებული და ბნელი მასების მიერ კარგი («დემოკრატიული») ზავის ბუნდოვანი სურვილი, დაწყებული დრტვინვა

* — «ახალი დროება». რ ე დ.

«ქვედაფენებში» — ყოველივე ეს ფაქტია. ხოლო რაც უფრო ჭიანურდება და მწვავდება ომი, მით უფრო ძლიერად ავითარებენ და უნდა ავითარებდნენ მთავრობები მასების აქტივობას, მოუწოდებენ რა მათ ძალღონის ზენორმალური დაძაბვისა და თავგანწირულებისაკენ. ომის გამოცდილება, ისევე როგორც გამოცდილება ყოველი კრიზისისა ისტორიაში, ყოველი დიდი უბედურებისა და ყოველი გარდატეხისა ადამიანის ცხოვრებაში, აჩლუნგებს და გასტეხს ზოგიერთს, მაგრამ სამაგიეროდ ათვითცნობიერებს და აკაქებს სხვებს, ამასთან საერთოდ და მთლიანად, მთელი მსოფლიოს ისტორიაში, ამ უკანასკნელთა რიცხვი და ძალა, ამა თუ იმ სახელმწიფოს დაცემისა და დაღუპვის ცალკეული შემთხვევების გამოკლებით, პირველებზე გაცილებით უფრო მეტი ყოფილა.

ზავის დადებას არა თუ არ შეუძლია «ერთბაშად» შეწყვიტოს მთელი ეს უბედურება და წინააღმდეგობათა მთელი ეს გამწვავება, არამედ, პირიქით, ზავი ამ უბედურებას ბევრი მხრივ კიდევ უფრო საგრძნობსა და განსაკუთრებით თვალსაჩინოს გახდის მოსახლეობის ყველაზე ჩამორჩენილი მასებისათვის.

ერთი სიტყვით, რევოლუციური სიტუაცია ევროპის მეტწილ ქვეყნებში და დიდ სახელმწიფოებში ფაქტია. ამ მხრივ ბაზელის მანიფესტის წინასწარხედვა სავსებით გამართლდა. ამ ჭეშმარიტების უარყოფა პირდაპირ თუ არაპირდაპირ ან მისი მიჩქმალვა, რასაც სჩადიან კუნოვი, პლეხანოვი, კაუცკი და მათი კომპანია, იმას ნიშნავს, რომ თქვა უდიდესი სიცრუე, მოატყუო მუშათა კლასი და ემსახურო ბურჟუაზიას. «სოციალ-დემოკრატში» (№№ 34, 40 და 41) * ჩვენ მოვიყვანეთ ცნობები, რაც გვიჩვენებს, რომ ადამიანები, რომლებსაც ეშინიათ რევოლუციისა, ქრისტიანი ხუცესი-ფილისტერები, გენერალური შტაბები, მილიონერების გაზეთები

* იხ. ეს ტომი, გვ. 98 — 99, 207 — 208, 221 — 223. რედ.

იძულებული არიან აღნიშნონ რევოლუციური სიტუაციის ნიშნები ევროპაში.

დიდ ხანს გასტანს თუ არა და კიდევ რამდენად გამწვავდება ეს სიტუაცია? გამოიწვევს თუ არა იგი რევოლუციას? ეს ჩვენ არ ვიცით, და არავის არ შეუძლია ეს იცოდეს. ამას მხოლოდ მოწინავე კლასის, პროლეტარიატის, რევოლუციური განწყობილების განვითარებისა და რევოლუციურ მოქმედებაზე გადასვლის გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა გვიჩვენებს. აქ ლაპარაკიც კი არ შეიძლება არც საერთოდ რაიმე «ილუზიებზე», არც მათ გაბათილებაზე, ვინაიდან არც ერთ სოციალისტს არასოდეს და არსად არ უკისრია თავდებობა, რომ რევოლუციას წარმოშობს სწორედ ახლანდელი (და არა შემდეგი) ომი, სწორედ დღევანდელი (და არა ხვალინდელი) რევოლუციური სიტუაცია. აქ ლაპარაკია ყველა სოციალისტის ყოვლად უდავო და უძირითადეს მოვალეობაზე: მოვალეობაზე, რომ გამოააშკარავოს მასების წინაშე რევოლუციური სიტუაციის არსებობა, განმარტოს მისი სიფართოვე და სიღრმე, გააღვივოს პროლეტარიატის რევოლუციური შეგნება და რევოლუციური გამბედაობა, დაეხმაროს მას გადავიდეს რევოლუციურ მოქმედებაზე და შექმნას რევოლუციური სიტუაციის შესაბამისი ორგანიზაციები ამ მიმართულებით მუშაობისათვის.

არასოდეს არც ერთ გავლენიანსა და პასუხისმგებელ სოციალისტს არ გაუბედნია დაეჭვებულიყო იმაში, რომ სწორედ ასეთია სოციალისტური პარტიების მოვალეობა, და ბაზელის მანიფესტი კი არ ავრცელებს და კი არ ასაზრდოებს სულ მცირედ «ილუზიებსაც» კი, არამედ სოციალისტების სწორედ ამ მოვალეობაზე ამბობს: «აღაგზნონ», «აამოძრავონ» ხალხი (კი არ მიაძინონ იგი შოვინიზმით, როგორც იქცევიან პლეხანოვი, აქსელროდი, კაუცკი), «გამოიყენონ» კრიზისი «კაპიტალიზმის კრახის დ ა ს ა ჩ ქ ა რ ე ბ ლ ა დ», იხელმძღვანელონ კომუნისა და 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი თ. ახლანდელი პარტიების მიერ სწორედ ამ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა არის მათი ღალატი, მათი

პოლიტიკური სიკვდილი, მათი უარისთქმა თავის როლზე, მათი გადასვლა ბურჟუაზიის მხარეზე.

III

მაგრამ როგორ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა მომხდარიყო, რომ II ინტერნაციონალის უთვალსაჩინოესმა წარმომადგენლებმა და ბელადებმა უღალატეს სოციალიზმს? ამ საკითხზე ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ შეეჩერდებით, ჯერ კი განვიხილავთ ამ ღალატის «თეორიულად» გამართლების ცდებს. ვცადოთ დავახასიათოთ სოციალ-შოვინიზმის მთავარი თეორიები, რომელთა წარმომადგენლებად შეგვიძლია მივიჩნიოთ პლეხანოვი (ის უმთავრესად იმეორებს ინგლისელი და ფრანგი შოვინისტების, ჰაინდმანისა და მისი ახალი მომხრეების საბუთებს) და კაუცკი (ის აყენებს გაცილებით უფრო «ოსტატურ» საბუთებს, რომლებსაც შეუდარებლად უფრო მეტი თეორიული საფუძვლიანობის სახე აქვთ).

თითქმის ყველაზე პრიმიტიულია «წამომწყების» თეორია. ჩვენ თავს დაგვესხნენ, ჩვენ თავს ვიცავთ; პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვენ გავუმკლავდეთ ევროპის მშვიდობიანობის დამრღვევებსო. ეს ყველა მთავრობის განცხადებებისა და მთელი მსოფლიოს მთელი ბურჟუაზიული და ყვითელი პრესის დეკლამაციების გადამღერებაა. პლეხანოვი ესოდენ გაცვეთილ უხამსობასაც კი ალამაზებს «დიალექტიკის» იეზუიტური დამოწმებით, რაც ამ მწერლისათვის აუცილებელია: კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა ვიპოვნოთ წამომწყები და გავუსწორდეთ მას, ყველა დანარჩენი საკითხი კი სხვა სიტუაციისათვის გადავდოთო (იხ. პლეხანოვის ბროშურა «ომის შესახებ», პარიზი, 1914, და ამ ბროშურის მსჯელობის განმეორება აქსელროდის მიერ «გოლოსში», №№ 86 და 87). დიალექტიკის სოფისტიკით შეცვლის კეთილშობილურ საქმეში პლეხანოვმა რეკორდი დაამყარა. სოფისტი ამოგლეჯს ხოლმე ერთ-ერთ «საბუთს», და ჯერ კიდევ ჰეგელი ამბობდა სამართლიანად, რომ «საბუთები» შეიძლება გადაჭრით ყველაფერს გამოუ-

ნახო ქვეყნადო. დიალექტიკა მოითხოვს ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის ყოველმხრივ გამოკვლევას მის განვითარებაში და გარეგნულის, მოჩვენებითის დაყვანას ძირითად მამოძრავებელ ძალებამდე, საწარმოო ძალების განვითარებამდე და კლასობრივ ბრძოლამდე. პლეხანოვი გლეჯს ციტატს გერმანული სოციალ-დემოკრატიული პრესიდან: თვითონ გერმანელები ომამდე დამწყებად ავსტრიასა და გერმანიას აღიარებდნენო, — მორჩა და გათავდა. იმის შესახებ, რომ რუს სოციალისტებს მრავალჯერ უმხილებიათ ცარიზმის დამპყრობლური გეგმები გალიციის, სომხეთის და სხვათა მიმართ, პლეხანოვი სდუმს. ის ოდნავადაც არ ცდილობს შეეხოს თუნდაც სამი უკანასკნელი ათეული წლის ეკონომიურ და დიპლომატიურ ისტორიას, ეს ისტორია კი უდავოდ ამტკიცებს, რომ სწორედ კოლონიების დაპყრობა, სხვისი ქვეყნების ძარცვა, უფრო წარმატებული კონკურენტის განდევნა და გაჩანაგება იყო ამჟამად მეომარ სახელმწიფოთა ო რ ი ვ ე ჯგუფის პოლიტიკის მთავარი ღერძი *.

* მეტისმეტად საგულისხმოა წიგნი ინგლისელი პაციფისტის ბრეილსფორდისა, რომელიც მზად არის სოციალისტადაც კი მოგვაჩვენოს თავი: «ფოლადისა და ოქროს ომი» (ლონდონი, 1914; წიგნი დათარიღებულია 1914 წ. მარტით!). ავტორს სავსებით ნათლად აქვს შეგნებული, რომ ნაციონალური საკითხები, საერთოდ, უკანა რიგში დგას, უკვე გადაწყვეტილია (35), რომ საქმე ახლა ამაში როდია, რომ «თანამედროვე დიპლომატიის ტიპიური საკითხი» (36) არის ბაღდადის გზა, მისთვის რელსების მიწოდება, მაროკოს სამადნოები და სხვ. «ევროპის დიპლომატიის უახლეს ისტორიაში» ერთ-ერთ «ფრიად საგულისხმო ინციდენტად» ავტორს სამართლიანად მიაჩნია ფრანგი პატრიოტებისა და ინგლისელი იმპერიალისტების ბრძოლა კაიოს ცდის წინააღმდეგ (1911 და 1913 წლებში), რომ შეურიგდეს გერმანიას გავლენის კოლონიურ სფეროთა გაყოფის და პარიზის ბირჟაზე გერმანული ქაღალდების დაშვების შესახებ შეთანხმების საფუძველზე. ი ნ გ ლ ი ს ი ს ა და ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ბურჟუაზიამ ჩ ა შ ა ლ ა ასეთი შეთანხმება (38 — 40). იმპერიალიზმის მიზანია კაპიტალის გატანა უფრო სუსტ ქვეყნებში (74). ასეთი კაპიტალის მოგება ინგლისში იყო 90 — 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი 1899 წელს (ჯიფენი), 140 მილიონი 1909 წელს (ბეიში), ხოლო ლოიდ-ჯორჯი, დავძენთ ჩვენი მხრით, ამასწინანდელ სიტყვაში თვლიდა, რომ იგი უდრიდა 200 მილიონ გირვანქა

ომების მიმართ ძირითადი დებულება დიალექტიკისა, რომელსაც ესოდენ უსირცხვილოდ ამახინჯებს პლეხანოვი ბურჟუაზიის საამებლად, ის არის, რომ «ომი არის მხოლოდ განგრძობა პოლიტიკისა სხვა» (სახელდობრ ძალდატანებითი) «საშუალებებით». ასეთია ფორმულირება კლაუზევიცისა*, სამხედრო ისტორიის საკითხთა სფე-

---

სტერლინგს, თითქმის 2 მილიარდ მანეთს. — ბინძური ოინები და თურქეთის მაღალი წოდების მოსყიდვა, ადგილები თავისიანებისათვის ინდოეთსა და ეგვიპტეში — აი თავიდათავი (85 — 87). სრულიად უმნიშვნელო უმციერესობა იგვებს შეიარაღებისა და ომებისაგან, მაგრამ ომს მხარს უჭერენ საზოგადოება და ფინანსისტები, ხოლო მშვიდობის მომხრენი დაქსაქსული მოსახლეობაა (93). პაციფისტი, რომელიც დღეს მშვიდობასა და განიარაღებაზე ლაპარაკობს, ხვალ აღმოჩნდება სამხედრო მოიჯარეებისაგან სავსებით დამოკიდებული პარტიის წევრი (161). თუ სამთა შეთანხმება უფრო ძლიერი გამოდგა, ის აიღებს მაროკოს და გაიყოფს სპარსეთს, — თუ სამთა კავშირი, მაშინ ის აიღებს ტრიპოლის, გამაგრდება ბოსნიაში, დაიმორჩილებს თურქეთს (167). ლონდონმა და პარიზმა მილიარდები მისცეს რუსეთს 1906 წლის მარტში და ეხმარებოდნენ ცარიზმს განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში (225 — 228); ინგლისი ახლა ეხმარება რუსეთს სპარსეთის დახრჩობაში (229). რუსეთმა გააჩაღა ბალკანეთის ომი (280). — ყოველივე ეს ახალი არ არის, ხომ მართალია? ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილია და 1 000-ჯერ განმეორებულია მთელი მსოფლიოს სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში? ომის წინ ინგლისელი ბურჟუა ცხადზე უცხადესად ხედავს ამას. მაგრამ რა უმსგავსო სისულელეა, რა აუტანელი თვალთმაქცობაა, რა მოთაფლული სიყალბეა ამ უბრალო და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების წინაშე პლეხანოვისა და პოტრესოვის თეორიები გერმანიის დამნაშავეობის შესახებ ან კაუცკისა — კაპიტალიზმის დროს განიარაღებისა და ხანგრძლივი მშვიდობის «პერსპექტივების» შესახებ!

* **Karl von Clausewitz**: «Vom Kriege», Werke, I Bd., S. 28. შეადარეთ ტ. III, გვ. 139 — 140: «ყველამ იცის, რომ ომებს იწვევს მხოლოდ პოლიტიკური ურთიერთობა მთავრობათა შორის და ხალხთა შორის; მაგრამ ჩვეულებრივ საქმე ისე წარმოუდგენიათ, თითქოს ომის დაწყებიდან ეს ურთიერთობა წყდებოდეს და იქმნებოდეს სრულიად სხვანაირი, მხოლოდ თავისი განსაკუთრებული კანონებისადმი დაქვემდებარებული, მდგომარეობა. ჩვენ ვამტკიცებთ პირიქით: ომი სხვა არა არის რა, თუ არა პოლიტიკურ ურთიერთობათა განგრძობა სხვა საშუალებათა **ჩარევით**».

რომში ერთ-ერთი დიდი მწერლისა, რომლის იდეები გაანაყოფიერა ჰეგელმა. და სწორედ ასეთი იყო ყოველთვის თვალსაზრისი მარქსისა და ენგელსისა, რომლებიც ყ ო ვ ე ლ ომს უყურებდნენ როგორც მოცემულ, დაინტერესებულ სახელმწიფოთა — და მათ შიგნით ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კ ლ ა ს თ ა — პოლიტიკის განგრძობას მოცემულ დროს.

პლეხანოვის ტლანქი შოვინიზმი სავსებით იმავე თეორიულ პოზიციას ემყარება, რა პოზიციასაც ემყარება კაუცკის უფრო დახვეწილი, შემარიგებლურ-მოშაქრული შოვინიზმი, როდესაც კაუცკი ყველა ქვეყნის სოციალისტთა გადასვლას «თავისი» კაპიტალისტების მხარეზე ამართლებს შემდეგი მსჯელობით:

ყველას აქვს უფლება და ყველა ვალდებულია დაიცვას თავისი სამშობლო; ჰეშმარიტი ინტერნაციონალიზმი ის არის, რომ აღიარო ეს უფლება ყველა ერის, მათ შორის ჩემი ერის წინააღმდეგ მეომარი ერების, სოციალისტებისთვისაც... (იხ. **«Neue Zeit»**, 1914 წლის 2 ოქტომბერი, და იმავე ავტორის სხვა თხზულებანი).

ეს უმაგალითო მსჯელობა არის ისეთი უსაზღვროდ უხამსი დაცინვა სოციალიზმისა, რომ მისი საუკეთესო პასუხი შეიძლებოდა ყოფილიყო მედლის დაკვეთა, რომლის ერთ მხარეზე გამოსახული იქნებოდნენ ვილჰელმ II და ნიკოლოზ II, ხოლო მეორეზე — პლეხანოვი და კაუცკი. ჰეშმარიტი ინტერნაციონალიზმი, თურმე, იმის გამართლებაა, რომ ფრანგმა მუშებმა ტყვია დაუშინონ გერმანელ მუშებს, ხოლო გერმანელმა მუშებმა — ფრანგ მუშებს «სამშობლოს დაცვის» გულისათვის!

მაგრამ, თუ ჩვენ დავაკვირდებით კაუცკის მსჯელობის თეორიულ წანამძღვრებს, მივიღებთ სწორედ იმ შეხედულებას, რომელსაც დასცინა კლაუზევიცმა დაახლოებით 80 წლის წინათ: ომის დაწყებიდან წყდება ისტორიულად შემზადებული პოლიტიკური ურთიერთობა ხალხებსა და კლასებს შორის, იქმნება სრულიად სხვა მდგომარეობა! «მხოლოდ» თავდამსხმელები და თავდამცველები, «მხოლოდ» «სამშობლოს მტრების» მოგერიებაო! დიდმპყრობელი იმპერიალისტური

ხალხების მიერ მთელი რიგი ერების ჩაგვრა, რომლებიც დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ, კონკურენცია ამ ქვეყნების ბურჟუაზიას შორის დავლის გაყოფის გულისათვის, კაპიტალის მისწრაფება — გათიშოს და ჩაახშოს მუშათა მოძრაობა — ყოველივე ეს ერთბაშად გაქრა პლეხანოვისა და კაუცკის თვალთახედვის არედან, თუმცა თვითონ ისინი გვიხატავდნენ ასეთ «პოლიტიკას» ომის წინ ათეული წლების მანძილზე.

ამასთან მარქსისა და ენგელსის ტყუილად დამოწმება შეადგენს სოციალ-შოვინიზმის ორივე მეთაურის «მთავარ» საბუთს: პლეხანოვი იხსენებს პრუსიის 1813 წლის და გერმანიის 1870 წლის ნაციონალურ ომს, კაუცკი ფრიად განსწავლული კაცის გამომეტყველებით ამტკიცებს, რომ მარქსი წყვეტდა საკითხს, თუ რომელი მხარის (ე. ი. რომელი ბურჟუაზიის) წარმატება იყო უფრო სასურველი 1854 — 1855, 1859, 1870 — 1871 წლების ომებში, ხოლო მარქსისტები წყვეტდნენ ამავე საკითხს აგრეთვე 1876 — 1877 და 1897 წლების ომების მიმართ. ყოველ დროს ყველა სოფისტის ხერხია: აიღონ ისეთი მაგალითები, რომლებსაც ერთმანეთთან არავითარი პრინციპული მსგავსება არა აქვთ. წინანდელი ომები, რომლებზეც ჩვენ მიგვითითებენ, იყო ბურჟუაზიის მრავალი წლის ნაციონალური მოძრაობის, უცხო, სხვა ერის მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ და აბსოლუტიზმის (თურქეთისა და რუსეთის აბსოლუტიზმის) წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის «პოლიტიკის განგრძობა». არავითარი სხვა საკითხი, გარდა საკითხისა, თუ რომელი ბურჟუაზიის წარმატებაა სამჯობინოო, მაშინ არც შეიძლებოდა ყოფილიყო; ამგვარი ტიპის ომებისაკენ მარქსისტებს შეეძლოთ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ო ე წ ო დ ე ბ ი ნ ა თ ხალხები და გ ა ე ღ ვ ი ვ ე ბ ი ნ ა თ ნაციონალური სიძულვილი, როგორც მოუწოდებდა მარქსი 1848 წელს და უფრო გვიან — რუსეთთან ომისაკენ, როგორც აღვივებდა ენგელსი 1859 წელს გერმანელთა ნაციონალურ

სიძულვილს მათი მჩაგვრელებისადმი, ნაპოლეონ III და რუსეთის ცარიზმისადმი *.

ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის «პოლიტიკის განგრძობის», განთავისუფლების გზაზე მდგომი ბურჟუაზიის «პოლიტიკის განგრძობის» შედარება მიხრწნილი, ე ს ე ი გ ი იმპერიალისტური, ე ს ე ი გ ი მთელი მსოფლიოს გამძარცველი და რეაქციული, ფეოდალებთან შეკავშირებით პროლეტარიატის მჩაგვრელი ბურჟუაზიის «პოლიტიკის განგრძობასთან» — იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთს შეადარო არშინი და ფუთი. ეს იმასა ჰგავს, რომ «ბურჟუაზიის წარმომადგენლები» რობესპიერი, გარიბალდი, ჟელიაბოვი შეადარო «ბურჟუაზიის წარმომადგენლებს» მილიერანს, სალანდრას, გუჩკოვს. არ შეიძლება მარქსისტი იყო და უღრმეს პატივისცემას არ გრძნობდე დიდი ბურჟუაზიული რევოლუციონერებისადმი, რომლებსაც მსოფლიო-ისტორიული უფლება ჰქონდათ ელაპარაკნათ ბურჟუაზიულ «სამშობლოთა» სახელით, რომლებიც ახალი ერების ათეული მილიონობით კაცს ცივილიზებული ცხოვრებისათვის ამხედრებდნენ ფეოდალიზმთან ბრძოლაში. და არ შეიძლება მარქსისტი იყო და ზიზღს

* სხვათა შორის, ბ-ნი გარდენინი «ეიზნში» [99] «რევოლუციურ შოვინიზმად», მაგრამ მაინც შოვინიზმად თვლის მარქსის მხრივ, რომ ის 1848 წელს მხარს უჭერდა რევოლუციურ ომს ევროპის იმ ხალხთა წინააღმდეგ, რომლებმაც სინამდვილეში თავი გამოამჟღავნეს როგორც კონტრრევოლუციურმა ხალხებმა, სახელდობრ: «სლავებისა და განსაკუთრებით რუსების» წინააღმდეგ. ასეთი საყვედური მარქსის მიმართ ერთხელ კიდევ ამტკიცებს ამ «მემარცხენე» სოციალ-რევოლუციონერის ოპორტუნიზმს (ან — უფრო სწორად — ა გ რ ე თ ვ ე სრულ არასერიოზულობას). ჩვენ, მარქსისტები, ყოველთვის ვუჭერდით და ვუჭერთ მხარს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ომს კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ხალხთა წინააღმდეგ. მაგალითად, თუ სოციალიზმი გ ა ი მ ა რ ჯ ვ ე ბ ს ამერიკაში ან ევროპაში 1920 წელს, ხოლო იაპონია და ჩინეთი, ვთქვათ, დასძრავენ მ ა შ ი ნ ჩვენს წინააღმდეგ — ჯერ თუნდაც დიპლომატიურად—თავის ბისმარკებს, ჩვენ მ ხ ა რ ს დ ა ვ უ ჭ ე რ თ შეტევითს, რევოლუციურ ომს მათ წინააღმდეგ. თქვენთვის ეს უცნაურია, ბ-ნო გარდენინ? თქვენ როპშინის მსგავსი რევოლუციონერი ბრძანებულხართ!

არ გრძნობდე პლეხანოვისა და კაუცკის სოფისტიკისადმი, რომლებიც «სამშობლოს დაცვაზე» ლაპარაკობენ გერმანელი იმპერიალისტების მიერ ბელგიის დახრჩობის გამო ან ავსტრიისა და თურქეთის გაძარცვის შესახებ ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთისა და იტალიის იმპერიალისტთა გარიგების გამო.

სოციალ-შოვინიზმის კიდევ ერთი «მარქსისტული» თეორია: სოციალიზმი ეყრდნობა კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას; ჩემი ქვეყნის გამარჯვება დააჩქარებს მასში კაპიტალიზმის განვითარებას, მაშასადამე, სოციალიზმის დადგომასაც; ჩემი ქვეყნის დამარცხება შეაფერხებს მის ეკონომიურ განვითარებას, მაშასადამე, სოციალიზმის დადგომასაცო. ასეთ, სტრუვისტულ, თეორიას ავითარებს ჩვენში პლეხანოვი, გერმანელებში — ლენჩი და სხვები. კაუცკი ეკამათება ამ ტლანქ თეორიას, მის აშკარა დამცველს ლენჩს, მის ფარულად დამცველს კუნოვს, მაგრამ ეკამათება მხოლოდ იმისათვის, რომ მიაღწიოს ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტების შერიგებას უფრო დახვეწილი, უფრო იეზუიტური შოვინისტური თეორიის საფუძველზე.

საჭირო არ არის დიდ ხანს შევჩერდეთ ამ ტლანქი თეორიის განხილვაზე. სტრუვეს «კრიტიკული შენიშვნები» გამოვიდა 1894 წელს, და 20 წლის განმავლობაში რუსი სოციალ-დემოკრატები ზედმიწევნით გაეცნენ განათლებული რუსი ბურჟუების ამ «მანერას» — გაატარონ ხოლმე თავისი შეხედულებანი და სურვილები რევოლუციურობისაგან გ ა წ მ ე ნ დ ი ლ ი «მარქსიზმის» საფარით. სტრუვიზმი არის ბურჟუაზიის თეორეტიკოსების არა მარტო რუსული, არამედ, როგორც განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებენ უკანასკნელი მოვლენები, საერთაშორისო მისწრაფებაც — მოკლან მარქსიზმი «ლმობიერების საშუალებით», ჩაახრჩონ ხვევნა-კოცნით, მარქსიზმის «ყველა» «ჭეშმარიტად-მეცნიერული» მხარისა და ელემენტის ვითომდა აღიარებით, გ ა რ დ ა მისი «აგიტატორული», «დემაგოგიური», «ბლანკისტურ-უტოპიური» მხა-

რისა. სხვანაირად რომ ითქვას: სტრუვიზმს სურს აიღოს მარქსიზმიდან ყოველივე, რაც კი მისაღებია ლიბერალური ბურჟუაზიისათვის, ისეთი მხარეებიც კი, როგორიცაა ბრძოლა რეფორმებისათვის, კლასობრივი ბრძოლაც კი (პროლეტარიატის დიქტატურის გამოკლებით), «საერთო» აღიარება «სოციალისტური იდეალებისა» და კაპიტალიზმის შეცვლისა «ახალი წყობილებით», და უკუაგდოს «მხოლოდ» ცოცხალი სული მარქსიზმისა, «მხოლოდ» მისი რევოლუციურობა.

მარქსიზმი არის პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის თეორია. ამიტომ გასაგებია, რომ შეგნებულმა მუშებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ მარქსიზმის სტრუვიზმით შეცვლის პროცესს. ამ პროცესის მამოძრავებელი ძალები მრავალრიცხოვანი და მრავალნაირია. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ სამ მთავარ ძალას: 1) მეცნიერების განვითარება სულ უფრო მეტ მასალას იძლევა, რომელიც ამტკიცებს მარქსის სიმართლეს. იძულებული არიან ებრძოლონ მას თვალთმაქცურად, ისე რომ აშკარად არ გაილაშქრონ მარქსიზმის საფუძვლების წინააღმდეგ, არამედ ვითომდა აღიარონ იგი, სოფიზმებით გამოაცალონ მას შინაარსი, გადააქციონ მარქსიზმი ბურჟუაზიისათვის უვნებელ, წმიდა «ხატად». 2) სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში ოპორტუნიზმის განვითარება ხელს უწყობს მარქსიზმის ასეთ «გადაკეთებას» და მის გამოყენებას ოპორტუნიზმისადმი ყოველგვარი დათმობის გასამართლებლად. 3) იმპერიალიზმის პერიოდი არის მსოფლიოს გაყოფა «დიდ», პრივილეგიურ ერებს შორის, რომლებიც ჩაგრავენ ყველა დანარჩენ ერს. ამ პრივილეგიებისა და ამ ჩაგვრის ნადავლის ნამცეცები, უეჭველია, ხვდება წვრილი ბურჟუაზიის გარკვეულ ფენებს და აგრეთვე მუშათა კლასის არისტოკრატიას, ბიუროკრატიას. ასეთი ფენები, რომლებიც პროლეტარიატისა და მშრომელი მასების უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ, ეტანებიან «სტრუვიზმს», რადგან ეს უკანასკნელი ამართლებს ამ ფენების კავშირს «თავის» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან ყ ვ ე ლ ა ერის ჩაგრული მასების

წინააღმდეგ. ამაზე ჩვენ კიდევ მოგვიხდება ქვემოთ ლაპარაკი ინტერნაციონალის კრახის მიზეზთა საკითხთან დაკავშირებით.

IV

სოციალ-შოვინიზმის ყველაზე დახვეწილი თეორია, რომელსაც ოსტატურად აქვს მიცემული მეცნიერებისა და საერთაშორისობის სახე, არის კაუცკის მიერ წამოყენებული «ულტრაიმპერიალიზმის» თეორია. აი ამ თეორიის უცხადესი, უზუსტესი და უახლესი გადმოცემა თვითონ ავტორის მიერ:

«პროტექციონისტული მოძრაობის შესუსტებამ ინგლისში, ბაჟების დაკლებამ ამერიკაში, განიარაღებისადმი მისწრაფებამ, საფრანგეთიდან და გერმანიიდან კაპიტალის გატანის სწრაფმა შემცირებამ უკანასკნელ წლებში ომის წინ, ბოლოს, ფინანსური კაპიტალის სხვადასხვა ხროვის მზარდმა საერთაშორისო გადაკვანძვამ — ყოველივე ამან მიიძულა ამეწონ-დამეწონა, ხომ არ შეიძლება ახლანდელი იმპერიალისტური პოლიტიკა განდევნოს ახალმა, ულტრაიმპერიალისტურმა პოლიტიკამ, რომელიც ნაციონალური ფინანსური კაპიტალების ურთიერთ ბრძოლის ადგილას დააყენებს მსოფლიოს საერთო ექსპლოატაციას ინტერნაციონალურად გაერთიანებული ფინანსური კაპიტალის მიერ. კაპიტალიზმის ამგვარი ახალი ფაზა ყოველ შემთხვევაში წარმოსადგენია. შეიძლება თუ არა იგი განხორციელდეს, ამის გადასაწყვეტად ჯერჯერობით არ მოიპოვება საკმაო წინამძღვრები» («Neue Zeit» № 5, 1915 წ. 30. IV. გვ. 144).

...«ამ მხრივ გადამწყვეტი შეიძლება იქნეს ახლანდელი ომის მსვლელობა და შედეგი. მან შეიძლება სავსებით გასრისოს ულტრაიმპერიალიზმის სუსტი ჩანასახები და უაღრესად გააღვივოს ნაციონალური სიძულვილი აგრეთვე ფინანსურ კაპიტალისტებს შორის, გააძლიეროს შეიარაღება და ამაში ერთი-მეორის გასწრების მისწრაფება, აუცილებელი გახადოს მეორე მსოფლიო ომი. სწორედ მაშინ ის განჭვრეტა, რაც მე ჩამოვაყალიბე ჩემს ბროშურაში «გზა ძალაუფლებისაკენ», საშინელი მასშტაბით განხორციელდება, უფრო გამწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობანი და ამასთან ერთად კაპიტალიზმის მორალური კვდომაც» (სიტყვასიტყვით: «მეუურნეობის აღსასრული», «**Abwirtschaftung**», «კრახი»)... (უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ღვლარშნილი გამოთქმით კაუცკი გულისხმობს კაპიტალიზმისადმი «მტრობას» მხოლოდ «პროლეტარიატისა და ფინანსური კაპიტალის შუათანა ფენების» მხრივ, სახელდობრ: «ინტელიგენციის, წვრილი ბურჟუების მხრივ, წვრილი კაპიტალისტების მხრივაც კი»)... «მაგრამ ომი შეიძლება სხვა-

ნაირად დამთავრდეს. მან შეიძლება გამოიწვიოს ულტრაიმპერიალიზმის სუსტი ჩანასახების გაძლიერება. მისმა გაკვეთილებმა» (ეს დაიხსომეთ!) «შეიძლება დააჩქარონ ისეთი განვითარება, როგორისთვისაც დიდ ხანს უნდა გველოდნა მშვიდობის დროს. თუ საქმე მივა აქამდე, ერების შეთანხმებამდე, განიარაღებამდე, ხანგრძლივ მშვიდობამდე, მაშინ უცუდესნი იმ მიზეზთაგან, რომლებიც ომამდე სულ უფრო ძლიერად იწვევდნენ კაპიტალიზმის მორალურ კვდომას, შეიძლება გაქრეს». ახალი ფაზა, რასაკვირველია, «ახალ უბედურებას» მოუტანს პროლეტარიატს, «იქნებ კიდევ უფრო ცუდს», მაგრამ «დროებითი» «ულტრაიმპერიალიზმს» «შეეძლო შეექმნა ერა ახალი იმედებისა და მოლოდინისა კაპიტალიზმის ფარგლებში» (გვ. 145).

რანაირად არის გამოყვანილი ამ «თეორიიდან» სოციალ-შოვინიზმის გამართლება?

საკმაოდ უცნაურად — «თეორეტიკოსისათვის» უცნაურად — სახელდობრ შემდეგნაირად:

გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატები ამბობენ, რომ იმპერიალიზმი და მის მიერ წარმოშობილი ომები შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ აუცილებელი პროდუქტია კაპიტალიზმისა, რომელმაც ფინანსური კაპიტალის ბატონობა გამოიწვია. ამიტომ საჭიროა გადასვლა მასების რევოლუციურ ბრძოლაზე, ვინაიდან შედარებით მშვიდობიანი განვითარების ეპოქა დამთავრებულიაო. «მემარჯვენე» სოციალ-დემოკრატები უხეშად აცხადებენ: რაკი იმპერიალიზმი «აუცილებელია», ჩვენც იმპერიალისტები უნდა ვიყოთო. კაუცკი «ცენტრის» როლს კისრულობს და შემარიგებლად გამოდის:

«უკიდურეს მემარცხენეებს» სურთ, — წერს ის თავის ბროშურაში: «ნაციონალური სახელმწიფო, იმპერიალისტური სახელმწიფო და სახელმწიფოთა კავშირი» (ნიურნბერგი, 1915), — «დაუპირისპირონ» გარდუვალ იმპერიალიზმს სოციალიზმი, ე. ი. «არა მარტო მისი პროპაგანდა, რასაც ჩვენ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვუპირისპირებთ კაპიტალისტური ბატონობის ყველა ფორმას, არამედ სოციალიზმის დაუყოვნებლივი განხორციელება. ეს ძალიან რადიკალური ჩანს, მაგრამ ამას შეუძლია მხოლოდ იმპერიალიზმის ბანაკში გ ა დ ა ი ს რ ო ლ ო ს ყ ვ ე ლ ა, ვისაც ა რ ა ს წ ა მ ს სოციალიზმის დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელება» (გვ. 17, ხაზგასმა ჩვენია).

როდესაც სოციალიზმის დაუყოვნებლივ განხორციელებაზე ლაპარაკობს, კაუცკი «ახორციელებს» გადამახინჯებას, სარგებლობს რა იმით, რომ გერმანიაში, მეტადრე სამხედრო ცენზურის დროს, შეუძლებელია რევოლუციურ მოქმედებაზე ლაპარაკი. კაუცკიმ ჩინებულად იცის, რომ მემარცხენენი მოითხოვენ პარტიისაგან რევოლუციური მოქმედების დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ პროპაგანდასა და მომზადებას და სრულიადაც არა «სოციალიზმის დაუყოვნებლივს პრაქტიკულ განხორციელებას».

იმპერიალიზმის აუცილებლობიდან მემარცხენეებს გამოჰყავთ რევოლუციური მოქმედების აუცილებლობა. «ულტრაიმპერიალიზმის თეორია» კაუცკისათვის წარმოადგენს ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ ე ბ ი ს გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ი ს, საქმის იმგვარად დასახვის საშუალებას, თითქოს ისინი სულაც არ გადასულიყვნენ ბურჟუაზიის მხარეზე, არამედ მხოლოდ არ სწამდეთ დაუყოვნებლივი სოციალიზმი და ელოდებოდნენ, რომ ჩვენს წინაშე «შეიძლება იყოს» განიარაღებისა და ხანგრძლივი მშვიდობის ახალი «ერა». «თეორია» შეიცავს იმას და მ ხ ო ლ ო დ იმას, რომ კაპიტალიზმის ა ხ ა ლ ი მშვიდობიანი ერის ი მ ე დ ი თ კაუცკი ამართლებს ოპორტუნისტებისა და ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების შეერთებას ბურჟუაზიასთან და მათ უარს რევოლუციურ (ესე იგი პროლეტარულ) ტაქტიკაზე ა ხ ლ ა ნ დ ე ლ მ ღ ე ლ ვ ა რ ე ე რ ა შ ი, წინააღმდეგ ბაზელის რეზოლუციის საზეიმო განცხადებებისა!

დაიხსომეთ, რომ კაუცკი ამასთან არათუ არ აცხადებს: ახალი ფაზა გამომდინარეობს და უნდა წარმოსდგებოდეს ასეთი და ასეთი გარემოებებიდან და პირობებიდანო — არამედ, პირიქით, პირდაპირ აცხადებს: ახალი ფაზის «გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს» საკითხსაც კი ვერ გადავწყვეტ ჯერჯერობითო. მართლაც, შეხედეთ ახალი ეპოქისადმი იმ «ტენდენციებს», რომლებიც კაუცკიმ აღნიშნა. გასაოცარია, რომ ეკონომიური ფაქტების რიცხვს ავტორი მიაკუთვნებს «განიარაღებისადმი მისწრაფებას»! ეს

ნიშნავს: თავი აარიდო უეჭველ ფაქტებს, რომლებიც სრულიად არ ურიგდებიან წინააღმდეგობათა მოდუნების თეორიას, და მიიმალო უწყინარი ფილისტერული მასლაათისა და ოცნებათა ჩრდილში. კაუცკის «ულტრაიმპერიალიზმი», — ეს სიტყვა, სხვათა შორის, სრულიად არ გამოხატავს იმას, რის თქმაც სურს ავტორს, — ნიშნავს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა უაღრესად მ ო დ უ ნ ე ბ ა ს. «პროტექციონიზმის შესუსტება ინგლისსა და ამერიკაშიო», — გვეუბნებიან ჩვენ. სადღა არის აქ ახალი ეპოქისადმი თუნდაც სულ მცირედი ტენდენცია? ამერიკის პროტექციონიზმი, უკიდურესობამდე მიყვანილი, შესუსტებულია, მაგრამ პროტექციონიზმი დარჩა, ისევე როგორც დარჩა პრივილეგიებიც, ინგლისური კოლონიების უპირატესი ტარიფებიც ინგლისის სასარგებლოდ. გავიხსენოთ, რაზეა დაფუძნებული კაპიტალიზმის წინანდელი, «მშვიდობიანი», ეპოქის შეცვლა თანამედროვე, იმპერიალისტური ეპოქით: იმაზე, რომ თავისუფალმა კონკურენციამ ადგილი დაუთმო კაპიტალისტების მონოპოლისტურ კავშირებს, და იმაზე, რომ მთელი დედამიწის სფერო გაყოფილია. ცხადია, რომ ორივე ამ ფაქტს (და ფაქტორს) მართლაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს: თავისუფალი ვაჭრობა და მშვიდობიანი კონკურენცია შესაძლებელი და აუცილებელი იყო, ვიდრე კაპიტალს შეეძლო შეუფერხებლად გაედიდებინა კოლონიები და ხელთ ეგდო დაუკავებელი მიწები აფრიკაში და სხვაგან, ამასთან კაპიტალის კონცენტრაცია ჯერ კიდევ სუსტი იყო, მონოპოლისტური საწარმოები, ე. ი. ისეთი უზარმაზარი საწარმოები, რომ მათ ებატონათ მრეწველობის მ თ ე ლ მოცემულ დარგში, ჯერ კიდევ არ იყო. ასეთ მონოპოლისტურ საწარმოთა წარმოშობა და ზრდა (ალბათ, ეს პროცესი არც ინგლისში, არც ამერიკაში არ შეჩერებულა? არა გვგონია კაუცკიმაც კი გაბედოს იმის უარყოფა, რომ ომმა იგი დააჩქარა და გაამწვავა) შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ს ხდის წინანდელ თავისუფალ კონკურენციას, ფეხიდან ნიადაგს აცლის მას, ხოლო დედამიწის გაყოფა მონო-

პოლისტებს ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ს ხ დ ი ს მშვიდობიანი გაფართოებიდან გადავიდნენ შეიარაღებულ ბრძოლაზე კოლონიებისა და გავლენის სფეროების გ ა დ ა ყ ო ფ ი ს ა თ ვ ი ს. სასაცილოც კია იმის ფიქრი, თითქოს პროტექციონიზმის შ ე ს უ ს ტ ე ბ ა ს ორ ქვეყანაში შეეძლოს აქ რაიმეს შეცვლა.

შემდეგ, კაპიტალის გატანის შემცირება ორ ქვეყანაში რამდენიმე წლის განმავლობაში. ამ ორ ქვეყანას, საფრანგეთსა და გერმანიას, მაგალითად, ჰარმსის 1912 წლის სტატისტიკის მიხედვით, საზღვარგარეთ ჰქონდა დაახლოებით 35 მილიარდი მარკის (17 მილიარდამდე მანეთის) კაპიტალი თვითეულს, ხოლო მარტო ინგლისს ორჯერ მეტი *. კაპიტალის გატანის ზრდა კაპიტალიზმის დროს არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო თანაზომიერი. კაუცკის კრინტიც არ შეუძლია დასძრას იმაზე, რომ კაპიტალის დაგროვება შესუსტებულიყოს, ან რომ შინაური ბაზრის ტევადობა სერიოზულად შეცვლილიყოს, მაგალითად, მასების მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესებით. ასეთ პირობებში იმ გარემოებიდან, რომ კაპიტალის გატანა რამდენიმე წლის განმავლობაში შემცირდა ორ ქვეყანაში, სრულიად შეუძლებელია გამოვიყვანოთ ახალი ეპოქის დადგომა.

«ფინანსური კაპიტალის ხროვათა მზარდი საერთაშორისო გადაკვანძვა». ეს არის არა რამდენიმე წლის, არა ორი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს, მთელი კაპიტალიზმის

---

* იხ. B e r n h a r d H a r m s, «Probleme der Weltwirtschaft». Jena, 1912 (ბ ე რ ნ ჰ ა რ დ ჰ ა რ მ ს ი, «მსოფლიო მეურნეობის პრობლემები». იენა, 1912. რ ე დ.). G e o r g e P a i s h, «Great Britains Capital Investments in Colonies etc.» «Journal of the Royal Statist. Soc.»-ში, vol. LXXIV, 1910/11, p. 167 (გ ე ო რ გ პ ე ი შ ი, «ინგლისის კაპიტალის დაბანდებანი კოლონიებში» «სამეფო სტატისტიკური საზოგადოების ჟურნალში», ტომი LXXIV, 1910/11, გვ. 167. რ ე დ.). ლოიდ-ჯორჯი 1915 წლის დამდეგს წარმოთქმულ სიტყვაში თვლიდა, რომ ინგლისის კაპიტალი საზღვარგარეთ უდრის 4 მილიარდ გირვანქა სტერლინგს, ე. ი. დაახლოებით 80 მილიარდ მარკას.

ერთადერთი ნამდვილად საყოველთაო და უეჭველი ტენდენ-ცია. მაგრამ რატომ უნდა გამომდინარეობდეს ამ ტენდენ-ციიდან მისწრაფება განიარაღებისადმი და არა შეიარაღე-ბისადმი, როგორც დღევანდლამდე იყო? ავიღოთ რომე-ლიც გნებავთ მსოფლიო «საზარბაზნე» (და საერთოდ სამხედ-რო საჭურვლის საგნების მწარმოებელი) ფირმა, მაგალითად, არმსტრონგისა. ამას წინათ ინგლისური «ეკონომისტი» (1915 წლის 1 მაისს) იუწყებოდა, რომ ამ ფირმის მ ო გ ე ბ ა 1905/6 წლის 606 ათასი გირვანქა სტერლინგიდან (დაახ-ლოებით 6 მილიონი მანეთიდან) გადიდდა 856 ათას გირვან-ქა სტერლინგამდე 1913 წელს და 940 გირვანქა სტერლინ-გამდე (9 მ ი ლ ი ო ნ მ ა ნ ე თ ა მ დ ე) 1914 წელს. ფინანსუ-რი კაპიტალის გადაკვანძულობა აქ ძალიან დიდია და უფრო და უფრო იზრდება; გერმანელი კაპიტალისტები «მონაწილეობენ» ინგლისური ფირმის საქმეებში; ინგლისუ-რი ფირმები აშენებენ წყალქვეშა ნავებს ავსტრიისათვის და ა. შ. საერთაშორისოდ გადაკვანძული კაპიტალი დიდებულ საქმეებს აკეთებს შეიარაღებისა და ომების წყალობით. სხვადასხვა ნაციონალური კაპიტალის ერთ ინტერნაციონა-ლურ მთელად შეერთებიდან და გადაკვანძვიდან განიარაღე-ბის ეკონომიური ტენდენციის გამოყვანა იმას ნიშნავს, რომ კლასობრივ წინააღმდეგობათა მოდუნების კეთილი ფილის-ტერული სურვილებით შეცვალო ამ წინააღმდეგობათა ნამდ-ვილი გამწვავება.

V

კაუცკი სავსებით ფილისტერულად ლაპარაკობს ომის «გაკვეთილებზე», როდესაც მას ეს გაკვეთილები ომის უბე-დურებათა წინაშე რაღაც მორალურ საშინელებად წარ-მოუდგენია. აი, მაგალითად, მისი მსჯელობა ბროშურაში «ნაციონალური სახელმწიფო» და სხვ.:

«უეჭველია და დამამტკიცებელ საბუთებს არ საჭიროებს, რომ მოი-პოვებიან ფენები, რომლებიც უაღრესად არიან დაინტერესებულნი მსოფ-ლიო მშვიდობითა და განიარაღებით. წვრილი ბურჟუები და წვრილი გლეხები, ბევრი კაპიტალისტი და ინტელიგენტიც კი არ არიან მიჯაჭვული

იმპერიალიზმზე ისეთი ინტერესებით, რომლებიც იმ ზიანზე უფრო ძლიერნი იყვნენ, რასაც ეს ფენები ომისა და შეიარაღებისაგან განიცდიან» (გვ. 21).

ეს დაწერილია 1915 წლის თებერვალში! ფაქტები მეტყველებენ, რომ იმპერიალისტებს სულერთიანად შეუერთდა ყველა მქონებელი კლასი, თვით წვრილი ბურჟუებიც და «ინტელიგენციაც», კაუცკი კი, თითქოს საკუთარ ნაჭუჭში მომწყვდეული კაციაო, არაჩვეულებრივი თვითკმაყოფილი გამომეტყველებით თავს არიდებს ფაქტებს მოშაქრული სიტყვებით. წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებზე ის მსჯელობს არა მისი ქ ც ე ვ ი ს მიხედვით, არამედ ზოგიერთი წვრილი ბურჟუას ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს მიხედვით, თუმცა ეს სიტყვები ყოველ ნაბიჯზე ბათილდება მათი საქმეებით. ეს სავსებით იგივეა, ბურჟუაზიის «ინტერესებზე» საერთოდ რომ ვიმსჯელოთ არა მისი საქმეების მიხედვით, არამედ ბურჟუაზიული ხუცესების სიყვარულით აღსავსე სიტყვების მიხედვით, რომელნიც გაიძახიან და ფიცულობენ, თანამედროვე წყობილება ქრისტიანობის იდეალებით არის გამსჭვალულიო. კაუცკი იმგვარად იყენებს მარქსიზმს, რომ მას ყოველგვარი შინაარსი ეცლება, და რჩება მხოლოდ სიტყვა «ინტერესი» რაღაც ზებუნებრივი, სპირიტუალისტური მნიშვნელობით, ვინაიდან მხედველობაშია მიღებული არა რეალური ეკონომიკა, არამედ უწყინარი სურვილები საერთო სიკეთისა.

მარქსიზმი «ინტერესებზე» მსჯელობს კლასობრივ წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე, რომლებიც თავს იჩენენ ყოველდღიური ცხოვრების მილიონობით ფაქტებით. წვრილი ბურჟუაზია ოცნებობს და ლაყბობს წინააღმდეგობათა მოდუნებაზე, ამასთან აყენებს «საბუთებს», რომ მათი გამწვავება «მავნე შედეგებს» იწვევს. იმპერიალიზმი არის მქონებელი კლასების ყველა ფენის დამორჩილება ფინანსური კაპიტალისადმი და მსოფლიოს გაყოფა 5 — 6 «დიდ» სახელმწიფოს შორის, რომელთაგან უმრავლესობა ახლა მონაწილეობს ომში. მსოფლიოს გაყოფა დიდ სახელმწიფოთა მიერ იმას ნიშნავს, რომ ყველა მათი შეძლებული ფენა დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ უ ლ ი ა კოლონიე-

ბის, გავლენის სფეროების ფლობით, სხვა ერების ჩაგვრით, მეტად თუ ნაკლებად შემოსავლიანი ადგილებითა და პრივილეგიებით, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ეკუთვნიან «დიდ» სახელმწიფოს და მჩაგვრელ ერს *.

ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ცხოვრობდე ძველებურად, შედარებით მყუდრო კულტურულ, მშვიდ ვითარებაში, როდესაც კაპიტალიზმი არხეინად მიდის ევოლუციის გზით და თანდათან ფართოვდება ახალ ქვეყნებზე, ვინაიდან სხვა ეპოქა დადგა. ფინანსური კაპიტალი დ ე ვ ნ ი ს და გამოდეკნის ამა თუ იმ ქვეყანას დიდ სახელმწიფოთა რიგიდან, წაართმევს მას კოლონიებს და გავლენის სფეროებს (როგორც იმუქრება გერმანია, რომელმაც ომი ასტეხა ინგლისის წინააღმდეგ), წაართმევს წვრილ ბურჟუაზიას მის «დიდმპყრობელურ» პრივილეგიებს და დამატებით შემოსავალს. ეს ფაქტია, რომელსაც ომი ამტკიცებს. ეს მ ო ჰ ყ ვ ა სინამდვილეში წინააღმდეგობათა იმ გამწვავებას, რომელიც ყველას მიერ დიდი ხანია აღიარებულია და მათ შორის იმავე კაუცკის მიერ ბროშურაში «გზა ძალაუფლებისაკენ».

* ე. შულცე იუწყება, რომ 1915 წლისათვის ფასიანი ქაღალდების თანხა მთელ მსოფლიოში ითვლებოდა 732 მილიარდი ფრანკი, რაშიც შედიოდა სახელმწიფო და კომუნალური სესხებიც, საგირავნო ფურცლებიც, საკაჭრო-სამრეწველო საზოგადოებათა აქციებიც და ა. შ. ამ თანხიდან ინგლისზე მოდიოდა 130 მილიარდი ფრანკი, ამერიკის შეერთებულ შტატებზე — 115, საფრანგეთზე — 100 და გერმანიაზე — 75, — მაშასადამე, ოთხივე ამ დიდ სახელმწიფოზე — 420 მილიარდი ფრანკი, ე. ი. მთელი თანხის ნახევარზე მეტი. ამის მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ დიდია სარფა და პრივილეგიები მოწინავე, დიდმპყრობელი ერებისა, რომლებმაც გაუსწრეს სხვა ხალხებს და რომლებიც ჩაგრავენ და ძარცვავენ მათ (D r. E r n s t S c h u l t z e, «Das französische Kapital in Russland» «Finanz-Archiv»-ში, Berlin, 1915, Jahrg. 32, S. 127) (დ-რ ი ე რ ნ ს ტ შ უ ლ ც ე, «საფრანგეთის კაპიტალი რუსეთში» «ფინანსურ არქივში», ბერლინი, 1915, გამოცემის წელი 32, გვ. 127. რ ე დ.). დიდმპყრობელი ერების «სამშობლოს დაცვა» არის სხვა ერების ძარცვით ნადავლის მიღების უფლების დაცვა. რუსეთში, როგორც ცნობილია, უფრო სუსტია კაპიტალისტური იმპერიალიზმი, სამაგიეროდ უფრო ძლიერია სამხედრო-ფეოდალური იმპერიალიზმი.

და აი, როდესაც შეიარაღებული ბრძოლა დიდმპყრობელური პრივილეგიებისათვის ფაქტი შეიქნა, კაუცკი იწყებს კაპიტალისტებისა და წვრილი ბურჟუაზიის დ ა რ ი გ ე ბ ა ს, რომ ომი საშინელი რამ არის, ხოლო განიარაღება კარგი საქმეა, სავსებით ისევე და სავსებით ისეთივე შედეგებით, როგორც ქრისტიანი ხუცესი კათედრიდან არიგებს კაპიტალისტებს, რომ კაცთმოყვარეობა ღვთის აღთქმაა, სულის მოთხოვნილებაა და ცივილიზაციის მორალური კანონია. ის, რასაც კაუცკი უწოდებს ეკონომიურ ტენდენციებს «ულტრაიმპერიალიზმისაკენ», ნამდვილად არის სწორედ ფინანსისტების წვრილბურჟუაზიული დ ა რ ი გ ე ბ ა, ბოროტებას ნუ ჩაიდენთო.

კაპიტალის გატანა? მ ა გ რ ა მ კაპიტალი უფრო გააქვთ დამოუკიდებელ ქვეყნებში, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვიდრე კოლონიებში. კოლონიების დაპყრობა? მ ა გ რ ა მ კოლონიები უკვე ყველა დაპყრობილია და თითქმის ყველა მიისწრაფვის განთავისუფლებისაკენ: «ინდოეთი შეიძლება აღარ იყვეს ინგლისის სამფლობელო, მაგრამ იგი ვერასოდეს ვერ მოექცევა, როგორც მთლიანი იმპერია, სხვა ვინმეს ბატონობის ქვეშ» (ციტირებული ბროშურა, გვ. 49). «რომელიმე სამრეწველო კაპიტალისტური სახელმწიფოს ყოველ მისწრაფებას — შეექმნა კოლონიური იმპერია, რომელიც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ საზღვარგარეთიდან დამოუკიდებელი ყოფილიყო ნედლეულის მიღების მხრივ, უნდა გაეერთიანებინა მის წინააღმდეგ ყველა სხვა კაპიტალისტური სახელმწიფო, ჩაეთრია იგი უსასრულო, გამომფიტავ ომებში ისე, რომ იგი თავის მიზანს ვერ დაახლოებოდა. ეს პოლიტიკა სახელმწიფოს მთელი სამეურნეო ცხოვრების გაკოტრების ფრიად უტყუარი გზა იქნებოდა» (გვ. 72 — 73).

განა ეს ფინანსისტების ფილისტერული დარიგება არ არის, რომ მათ უარი თქვან იმპერიალიზმზე? კაპიტალისტების დაშინება გაკოტრებით — ეს იგივეა, რომ ურჩიო მებირჟეებს არ ითამაშონ ბირჟაზე, ვინაიდან «ბევრი ასე კარგავს

მთელ თავის ქონებას». მეტოქე კაპიტალისტისა და მეტოქე ერის გაკოტრებით კაპიტალი ი გ ე ბ ს, რადგან ხდება მისი უფრო ძლიერი კონცენტრაცია; ამიტომ, რაც უფრო . მწვავეა და რაც უფრო «ვიწროა» ეკონომიური კონკურენცია, ე. ი. ეკონომიური წაბიძგება გაკოტრებისაკენ, მით უფრო ძლიერია კაპიტალისტების მისწრაფება — დაუმატონ ამას მეტოქის ს ა მ ხ ე დ რ ო წაბიძგება გაკოტრებისაკენ. რაც უფრო ცოტა დარჩა ქვეყნები, რომლებშიც შეიძლება კაპიტალის ისე ხელსაყრელად გატანა, როგორც კოლონიებსა და დამოკიდებულ სახელმწიფოებში, როგორიცაა, მაგალითად, თურქეთი, — ვინაიდან ა მ შემთხვევებში ფინანსისტი იღებს სამმაგ მოგებას, ვიდრე მაშინ, როცა მას კაპიტალი გააქვს თავისუფალ, დამოუკიდებელ და ცივილიზებულ ქვეყანაში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, — მით უ ფ რ ო გ ა ა ფ თ რ ე ბ უ ლ ი ა ბრძოლა თურქეთის, ჩინეთის და სხვათა დამორჩილებისა და გაყოფისათვის. ამას მეტყველებს ეკონომიური თეორია ფინანსური კაპიტალისა და იმპერიალიზმის ეპოქის შესახებ. ამას მეტყველებენ ფაქტები. კაუცკი კი ყოველივეს უხამს ფილისტერულ «მორალად» აქცევს: მაინცდამაინც არ ღირს გაცხარება და მით უფრო ომი თურქეთის გაყოფისათვის ან ინდოეთის დაპყრობისათვის, რადგან «სულ ერთია ეს დიდი ხნით ვერ იქნება», ესეც არ იყოს, სჯობია მშვიდობიანად განვითარდეს კაპიტალიზმი... რასაკვირველია, კიდევ უკეთესი იქნებოდა კაპიტალიზმის განვითარება და ბაზრის გაფართოება ხელფასის გადიდების გზით: ეს სავსებით «შესაძლებელია» და ფინანსისტების ამგვარად დარიგება შესაფერისი თემაა ხუცესის ქადაგებისათვის... კეთილმა კაუცკიმ თითქმის სავსებით დაარწმუნა და დაარიგა გერმანელი ფინანსისტები, რომ არ ღირს ომი ინგლისთან კოლონიებისათვის, ვინაიდან ეს კოლონიები სულ ერთია ძალიან მალე განთავისუფლდებიანო!...

ინგლისის ექსპორტი და იმპორტი ეგვიპტეში 1872-დან 1912 წლამდე უფრო სუსტად იზრდებოდა, ვიდრე ინგლისის საერთო ექსპორტი და იმპორტი. «მარქსისტი» კაუცკის

მორალია: «ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ, თუ ეგვიპტე სამხედრო გზით არ იქნებოდა დაკავებული, ვაჭრობა მასთან ნაკლებად გაიზრდებოდა მხოლოდ ეკონომიური ფაქტორების გავლენით» (72). «კაპიტალის მისწრაფება გაფართოებისაკენ» «ყ ვ ე ლ ა ზ ე უ კ ე თ შეიძლება მიღწეულ იქნას იმპერიალიზმის ძალდატანებითი მეთოდებით კი არა, არამედ მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი თ» (70).

რა შესანიშნავად სერიოზული, მეცნიერული, «მარქსისტული» ანალიზია! კაუცკიმ ჩინებულად «შეასწორა» ეს უგუნური ისტორია, «დაამტკიცა», რომ ინგლისელებისათვის სრულიადაც არ იყო საჭირო წაერთმიათ ფრანგებისათვის ეგვიპტე, ხოლო გერმანელი ფინანსისტებისათვის სრულიად არ იყო საჭირო დაეწყოთ ომები და მოეწყოთ თურქეთის ლაშქრობა სხვა ღონისძიებებთან ერთად, რომ განედევნათ ინგლისელები ეგვიპტიდან! ყოველივე ეს გაუგებრობაა და მეტი არაფერი, — ინგლისელები ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარან, რომ «ყველაზე უკეთესია» მათ ხელი აიღონ ეგვიპტის მიმართ ძალადობაზე და გადავიდნენ (კაპიტალის გატანის გასაფართოებლად კ ა უ ც კ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ!) «მშვიდობიან დემოკრატიაზე»...

«რასაკვირველია, ეს იყო ბურჟუაზიული ფრიტრედერების ილუზია, თუ ისინი ფიქრობდნენ, რომ ვაჭრობის თავისუფლება სავსებით სპობს კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილ ეკონომიურ წინააღმდეგობებს. ვერც ვაჭრობის თავისუფლება, ვერც დემოკრატია ვერ მოსპობენ ამ წინააღმდეგობებს. მაგრამ ჩვენ ყოველი მხრივ დაინტერესებული ვართ იმით, რომ ეს წინააღმდეგობანი დაძლეულ იქნას ისეთ ფორმებში მოქცეული ბრძოლით, რომლებიც მშრომელების მხრივ ყველაზე ნაკლებ ტანჯვაწამებასა და მსხვერპლს გამოიწვევენ» (73)...

მოგვმადლენ, უფალო! უფალო, შეგვიწყალენ! რა არის ფილისტერი? — კითხულობდა ლასალი — და უპასუხებდა პოეტის ცნობილი თქმით: «ფილისტერი არის ცარიელი ნაწლავი, ალსავსე შიშითა და იმედით, რომ ღმერთი შემიბრალებსო» [100].

კაუცკიმ მარქსიზმი გაუგონარ გათახსირებამდე მიიყვანა; იგი ნამდვილ ხუცესად გადაიქცა. ხუცესი ა რ ი გ ე ბ ს კაპიტალისტებს გადავიდნენ მშვიდობიან დემოკრატიაზე — და ამას დიალექტიკას უწოდებს: თუ თავდაპირველად იყო თავისუფალი ვაჭრობა, ხოლო შემდეგ მონოპოლიები და იმპერიალიზმი, რატომ არ შეიძლება იყოს «ულტრაიმპერიალიზმი» და კვლავ თავისუფალი ვაჭრობაო? ხუცესი ა ნ უ გ ე შ ე ბ ს ჩაგრულ მასებს, უხატავს მათ ამ «ულტრაიმპერიალიზმის» სიკეთეს, თუმცა ეს ხუცესი იმის თქმასაც კი ვერ კისრულობს, «შეიძლება თუ არა განხორციელდეს» ასეთი რამ! სამართლიანად მიუთითებდა ფეიერბახი ნუგეშის რეაქციულ მნიშვნელობაზე იმათ, ვინც რელიგიას იცავდა იმ საბუთით, რომ რელიგია კაცს ანუგეშებსო: ვინც მონას ანუგეშებს, ნაცვლად იმისა, რომ ააჯანყოს იგი მონობის წინააღმდეგ, ის მონათმფლობელებს ეხმარება.

ყველა და ყოველ მჩაგვრელ კლასს თავისი ბატონობის დასაცავად სჭირდება ორი სოციალური ფუნქცია: ჯალათის ფუნქცია და ხუცესის ფუნქცია. ჯალათმა უნდა ჩაახშოს ჩაგრულთა პროტესტი და აღშფოთება. ხუცესმა უნდა ანუგეშოს ჩაგრულნი, დაუხატოს მათ კლასობრივი ბატონობის შენარჩუნების დროს გაჭირვებისა და მსხვერპლის შემსუბუქების პერსპექტივები (ამის გაკეთება მეტადრე მოსახერხებელია, თუ არ კისრულობ ასეთი პერსპექტივების «განხორციელების შესაძლებლობას») და ამით შეარიგოს ისინი ამ ბატონობასთან, მოაშლევინოს მათ რევოლუციური მოქმედება, შეარყიოს მათი რევოლუციური განწყობილება, გატეხოს მათი რევოლუციური გამბედაობა. კაუცკიმ მარქსიზმი გადააქცია ყოვლად საზიზღარ და ბრიყვულ კონტრრევოლუციურ თეორიად, ყოვლად ბინძურ ხუცობად.

1909 წელს, ბროშურაში «გზა ძალაუფლებისაკენ» ის აღიარებს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავებას, რაც არავის არ გაუბათილებია და არც შეიძლება გაბათილებულ იქნას, — აღიარებს ომებისა და რევოლუციების ეპოქის, ახალი «რევოლუციური პერიოდის» მოახლოებას. არ შეი-

ძლება, — აცხადებს ის, — «ნაადრევი» იყოს რევოლუცია, და «ჩვენი საქმის აშკარა ღალატად» თვლის აჯანყებისას გამარჯვების შესაძლებლობის უარყოფას, თუმცა ბრძოლის წინ შესაძლებელ დამარცხებასაც ვერ უარვყოფთო.

ომი დაიწყო. კ ი დ ე ვ უ ფ რ ო გამწვავდა წინააღმდეგობანი. მასების გაჭირვებამ უზარმაზარ ფარგლებს მიაღწია. ომი ჭიანურდება და მისი არე უფრო და უფრო ფართოვდება. კაუცკი ბროშურას ბროშურაზე წერს, მორჩილად მისდევს ცენზორის ბრძანებებს, არ მოყავს ცნობები ქვეყნების ძარცვაზე და ომის საშინელებაზე, სამხედრო მასალის მიმწოდებელთა სკანდალურ მოგებაზე, სიძვირეზე, მობილიზებული მუშების «სამხედრო მონობაზე», სამაგიეროდ ანუგეშებს და ანუგეშებს პროლეტარიატს — ანუგეშებს იმ ომების მაგალითებით, როდესაც ბურჟუაზია რევოლუციური ან პროგრესული იყო, როდესაც «თვითონ მარქსს» სურდა ამა თუ იმ ბურჟუაზიის გამარჯვება, ანუგეშებს ციფრების მწკრივებითა და სვეტებით, რომლებიც ამტკიცებენ კაპიტალიზმის «შესაძლებლობას» ისე, რომ არ იყოს კოლონიები და ძარცვა, ომები და შეიარაღება, ამტკიცებენ «მშვიდობიანი დემოკრატიის» უპირატესობას. კაუცკი ვერ ბედავს უარყოს მასების გაჭირვების გამწვავება და ნამდვილად, ჩვენს თვალწინ, რევოლუციური სიტუაციის შექმნა (ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება! ცენზურა ნებას არ რთავს...), მაგრამ ამავე დროს მლიქვნელობს ბურჟუაზიის წინაშე და ოპორტუნისტების წინაშე, სახავს ახალ ფაზაში ბრძოლის ისეთი ფორმების «პერსპექტივას» (მისი «განხორციელების შესაძლებლობას» ის ა რ თ ა ვ დ ე ბ ო ბ ს), როდესაც «ნაკლები მსხვერპლი და ტანჯვა» იქნებაო.... სავსებით მართალნი არიან ფრ. მერინგი და როზა ლუქსემბურგი, რომლებიც კაუცკის ამისათვის როსკიპს უწოდებენ (**Mädchen für alle**).

* * *

რუსეთში 1905 წლის აგვისტოში რევოლუციური სიტუაცია იყო. მეფე ხალხს შეპირდა ბულიგინის სათათბიროს,

რათა მღელვარე მასები «ენუგეშებინა». ბულიგინის საკანონმრჩევლო რეჟიმისათვის შეიძლებოდა «ულტრათვითმპყრობელობა» გვეწოდებინა, თუ შეიძლება «ულტრაიმპერიალიზმი» ვუწოდოთ ფინანსისტების უარს შეიარაღებაზე და მათ შეთანხმებას «ხანგრძლივ მშვიდობიანობაზე». დავუშვათ ერთი წუთით, რომ ხვალ მსოფლიოს ასეული უმსხვილესი ფინანსისტი, ასობით უზარმაზარ საწარმოში «გადანასკვული», შ ე ჰ პ ი რ დ ე ბ ა ხალხებს, რომ მხარს დაუჭერენ განიარაღებას ომის შემდეგ (ჩვენ ერთი წუთით ვუშვებთ ამას, რათა დავაკვირდეთ იმ პოლიტიკურ დასკვნებს, რაც კაუცკის სულელური თეორიიდან გამოდის). მაშინაც კი აშკარა ღალატი იქნებოდა პროლეტარიატისადმი — დაგვეშლევინებინა მისთვის რევოლუციური მოქმედება, ურომლისოდ ყოველი დაპირება, ყოველი კეთილი პერსპექტივა მარტოოდენ მირაჟია.

ომმა კაპიტალისტების კლასს მოუტანა არა მარტო უზარმაზარი მოგება და ახალი ძარცვის საუცხოო პერსპექტივები (თურქეთი, ჩინეთი და სხვ.), ახალი მილიარდიანი დაკვეთები, ახალი სესხები პროცენტების გადიდების პირობით. ეს ცოტაა. მან კაპიტალისტების კლასს კიდევ დიდი პოლიტიკური სარგებლობა მოუტანა, რამდენადაც გათიშა და გარყვნა პროლეტარიატი. კაუცკი ხელს უწყობს ამ გარყვნას, კვერს უკრავს მებრძოლი პროლეტარების ამ ინტერნაციონალურ გ ა თ ი შ ვ ა ს ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ ე რ თ ი ა ნ ობ ა შ ე ი ნ ა რ ჩ უ ნ ო ს «თავისი» ერის ოპორტუნისტებთან, ზიუდეკუმებთან! და მოიპოვებიან ადამიანები, რომლებსაც არ ესმით, რომ ძველი პარტიების ერთიანობის ლოზუნგი ნიშნავს ნაციონალური პროლეტარიატის «ერთიანობას» თავის ნაციონალურ ბურჟუაზიასთან და სხვადასხვა ერის პროლეტარიატის გ ა თ ი შ ვ ა ს.

VI

წინა სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როდესაც გამოვიდა «**Neue Zeit**»-ის 28 მაისის № (9), რომელიც შეიცავს კაუცკის დასკვნითს მსჯელობას «სოციალ-დემოკრატიის კრა-

ხის» შესახებ (კუნოვისადმი მისი პასუხის § 7). ყველა ძველი და ერთი ახალი სოფიზმი სოციალ-შოვინიზმის დასაცავად კაუცკიმ თვითონ შეაერთა და შეაჯამა შემდეგნაირად:

«ეს აშკარად არ არის მართალი, თითქოს ომი წმინდა იმპერიალისტურია, თითქოს ალტერნატივა ომის ატეხისას ასეთი იყო: იმპერიალიზმი თუ სოციალიზმი, თითქოს გერმანიის, საფრანგეთის, ბევრი მხრივ აგრეთვე ინგლისის სოციალისტური პარტიები და პროლეტარული მასები განუსჯელად, მხოლოდ ერთი მუჭა პარლამენტარების მოწოდებით ჩაეკრნენ გულში იმპერიალიზმს, უღალატეს სოციალიზმს და ამრიგად გამოიწვიეს მთელ ისტორიაში სრულიად უმაგალითო კრახი».

ახალი სოფიზმი და მუშების ახალი მოტყუება: ომი, წარმოიდგინეთ, არ არის «წმინდა» იმპერიალისტური!

თანამედროვე ომის ხასიათისა და მნიშვნელობის საკითხზე კაუცკი გასაოცრად მერყეობს, ამასთან ყოველთვის ბაზელისა და ხემნიცის ყრილობათა ზუსტ და ფორმალურ განცხადებებს ეს პარტიული ბელადი ისევე ფრთხილად უვლის გვერდს, როგორც ქურდი უვლის გვერდს თავისი უკანასკნელი ქურდობის ადგილს. ბროშურაში «ნაციონალური სახელმწიფო» და ა. შ., რომელიც დაწერილია 1915 წლის თებერვალში, კაუცკი ამტკიცებდა, რომ ომი «საბოლოოდ მაინც იმპერიალისტურია» (გვ. 64). ახლა შეტანილია ახალი «პაწია» შენიშვნა: არა წ მ ი ნ დ ა იმპერიალისტურია — მაშ როგორიღაა კიდევ?

თურმე, კიდევ — ნაციონალურია! კაუცკი ამ აღმაშფოთებელ აზრამდე მივიდა აი რანაირი «პლეხანოვური» ვითომდა-დიალექტიკის საშუალებით:

«ახლანდელი ომი ნაყოფია არა მარტო იმპერიალიზმისა, არამედ რუსეთის რევოლუციისაც». ის, კაუცკი, ჯერ კიდევ 1904 წელს ითვალისწინებდა, რომ რუსეთის რევოლუცია ააღორძინებს პანსლავიზმს ახალი ფორმით, რომ «დემოკრატიულმა რუსეთმა აუცილებლად ძლიერ უნდა გააღვივოს ნაციონალური დამოუკიდებლობის მიღწევის მისწრაფებანი ავსტრიისა და თურქეთის სლავთა შორის... მაშინ პოლონეთის საკითხიც მწვავე გახდება... ავსტრია მაშინ დაიშლება, რადგან ცარიზმის კრახთან ერთად დაიშლება ის რკინის სალტეც, რომელიც ახლა ბოჭავს ურთიერთდაშორებისაკენ მსწრაფ ელემენტებს» (უკანასკნელი ციტატი ახლა მოჰყავს

თვითონ კაუცკის თავისი 1904 წლის სტატიიდან)... «რუსეთის რევოლუციამ... ახალი მძლავრი ბიძგი მისცა აღმოსავლეთის ნაციონალურ მისწრაფებებს, ევროპის პრობლემებს მიუმატა აზიის პრობლემები. ყ ვ ე ლ ა ე ს პ რ ო ბ ლ ე მ ა ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ომის დროს მძაფრად იჩენს თავს და უაღრესად გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ხ ა ლ ხ ი ს მასების, მათ შორის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი მასების, განწყობილებისათვის, მაშინ როცა გაბატონებულ კლასებში იმპერიალისტური ტენდენციები სჭარბობს» (გვ. 273; ხაზგასმა ჩვენია).

აი კიდევ მარქსიზმის შერყვნის ნიმუში! რ ა დ გ ა ნ «დემოკრატიული რუსეთი» გააღვივებდა აღმოსავლეთ ევროპის ერთა მისწრაფებას თავისუფლებისაკენ (ეს უდავოა), ა მ ი ტ ო მ ახლანდელი ომი, რომელიც არც ერთ ერს არ ათავისუფლებს, არამედ ყოველნაირი დაბოლოებისას მრავალ ერს ამონავებს, არ არის «წმინდა» იმპერიალისტური ომი. რ ა დ გ ა ნ «ცარიზმის კრახი» ავსტრიის დაშლის მომასწავებელი იქნებოდა მისი ნაციონალური აგებულების არადემოკრატიულობის გამო, ა მ ი ტ ო მ დროებით განმტკიცებულმა კონტრრევოლუციურმა ცარიზმმა, რომელიც ძარცვავს ავსტრიას და კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ჩაგრავს ავსტრიის ერებს, «ახლანდელ ომს» მისცა არა წმინდა იმპერიალისტური, არამედ რამდენადმე ნაციონალური ხასიათი. რ ა დ გ ა ნ «გაბატონებული კლასები» ატყუებენ გონებაჩლუნგ ფილისტერებს და დაბეჩავებულ გლეხებს ზღაპრებით იმპერიალისტური ომის ნაციონალური მიზნების შესახებ, ა მ ი ტ ო მ მეცნიერების კაცს, «მარქსიზმის» ავტორიტეტს, II ინტერნაციონალის წარმომადგენელს უფლება აქვს შეარიგოს მასები ასეთ მატყუარობასთან «ფორმულით»: გაბატონებულ კლასებს იმპერიალისტური ტენდენციები აქვთ, ხოლო «ხალხს» და პროლეტარულ მასებს — «ნაციონალური მისწრაფებანია».

დიალექტიკა გადაქცეულია ყოვლად საზიზღარ, ყოვლად საძაგელ სოფისტიკად!

ნაციონალური ელემენტი ახლანდელ ომში წარმოდგენილია მ ხ ო ლ ო დ სერბიის ომით ავსტრიის წინააღმდეგ (რაც აღნიშნულია, სხვათა შორის, ჩვენი პარტიის ბერნის

თათბირის რეზოლუციით) *. მხოლოდ სერბიაში და სერბებს შორის ვხვდებით მრავალი წლისა და მილიონობით «ხალხის მასების» მომცველ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის «გაგრძელებასაც» წარმოადგენს სერბიის ომი ავსტრიის წინააღმდეგ. ეს ომი რომ განცალკევებული ყოფილიყო, ე. ი. დაკავშირებული არ ყოფილიყო საერთო-ევროპულ ომთან, ინგლისის, რუსეთის და სხვათა ანგარებიან და მძარცველურ მიზნებთან, მაშინ ყველა სოციალისტი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი იქნებოდა ესურვა წარმატება სერბიის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ა თ ვ ი ს — ეს ერთადერთი სწორი და აბსოლუტურად აუცილებელი დასკვნაა ნაციონალური მომენტიდან ახლანდელ ომში. მაგრამ სოფისტი კაუცკი, რომელიც ახლა ემსახურება ავსტრიელ ბურჟუებს, კლერიკალებსა და გენერლებს, სწორედ ამ დასკვნას არ აკეთებს!

შემდეგ. მარქსის დიალექტიკა, რომელიც მეცნიერულ-ევოლუციური მეთოდის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს, კრძალავს სწორედ საგნის განცალკევებულ, ესე იგი ცალმხრივსა და უმსგავსოდ დამახინჯებულ განხილვას. სერბია-ავსტრიის ომის ნაციონალურ მომენტს ა რ ა ვ ი თ ა რ ი სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს საერთო-ევროპულ ომში და არც შეიძლება ჰქონდეს. თუ გერმანიამ გაიმარჯვა, იგი ჩაახშობს ბელგიას, აგრეთვე პოლონეთის ნაწილს, იქნებ საფრანგეთის ნაწილს და სხვ. თუ რუსეთმა გაიმარჯვა, იგი ჩაახშობს გალიციას, აგრეთვე პოლონეთის ნაწილს, სომხეთს და ა. შ. თუ ომი «ფრედ» დამთავრდა, მაშინ დარჩება ძველი ნაციონალური ჩაგვრა. სერბიისათვის, ესე იგი ახლანდელი ომის მონაწილეთა რაღაც მეასედი ნაწილისათვის, ომი წარმოადგენს ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის «პოლიტიკის გაგრძელებას». 98/100-თვის ომი არის იმპერიალისტური, ესე იგი მიხრწნილი ბურჟუაზიის პოლიტიკის გაგრძელება, — ბურჟუაზიისა, რომელსაც ერების

* იხ. ეს ტომი, გვ. 181. რ ე დ.

გახრწნა შეუძლია და არა განთავისუფლება. სამთა შეთანხმება, სერბიას რომ «ათავისუფლებს», სერბიის თავისუფლების ინტერესებს ჰ ყ ი დ ი ს იტალიის იმპერიალიზმზე ავსტრიის ძარცვაში დახმარების სანაცვლოდ.

ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილია, და ყოველივე ეს უსინდისოდ დამახინჯებულია კაუცკის მიერ ოპორტუნისტების გამართლების გულისათვის. «წმინდა» მოვლენები არც ბუნებაში, არც საზოგადოებაში ა რ ა ა რ ი ს და არც შეიძლება იყოს — სწორედ ამას გვასწავლის მარქსის დიალექტიკა, რომელიც გვიჩვენებს, რომ თვითონ სიწმინდის ცნება არის ერთგვარი შეზღუდულობა, ცალმხრიობა ადამიანის შემეცნებისა, რომელიც ვერ მოიცავს საგანს ბოლომდე მთელი მისი სირთულით. ქვეყნად არ არის და არც შეიძლება იყოს «წმინდა» კაპიტალიზმი, არამედ ყოველთვის არის ხან ფეოდალიზმის, ხან მეშჩანობის, ხან კიდევ სხვა რაიმეს ნ ა რ ე ვ ი. ამიტომ იმის გახსენება, რომ ომი არაა «წმინდა» იმპერიალისტური, როდესაც «ხალხის მასებს» ალმაშფოთებლად ატყუებენ იმპერიალისტები, რომლებიც ჩქმალავენ აშკარა ძარცვის მიზნებს «ნაციონალური» ფრაზეოლოგიით, — იმას ნიშნავს, რომ იყო უსაზღვროდ გონებაჩლუნგი პედანტი ან ხრიკიანობდე და მატყუარობდე. მთელი საქმე სწორედ ის არის, რომ კაუცკი ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ ს ხალხის მოტყუებას იმპერიალისტების მიერ, როდესაც ამბობს, რომ «ხალხის მასებისათვის, მათ შორის პროლეტარული მასებისათვისაც, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა» ნაციონალურ პრობლემებს, ხ ო ლ ო გაბატონებული კლასებისათვის—«იმპერიალისტურ ტენდენციებსო» (გვ. 273), და როდესაც ამას «ამაგრებს» ვითომდა-დიალექტიკური მითითებით «უსასრულოდ მრავალფეროვან სინამდვილეზე» (გვ. 274). უეჭველია, სინამდვილე უსასრულოდ მრავალფეროვანია, — ეს ხალასი ჭეშმარიტებაა! მაგრამ ასევე უეჭველია, რომ ამ უსასრულო მრავალფეროვნებაში არის ორი მთავარი და ძირითადი ნაკადი: ომის ობიექტური შინაარსი არის იმპერიალიზმის, ესე იგი «დიდ სახელმწიფოთა» (და

მათ მთავრობათა) მიერ სხვა ერების ძარცვის «პოლიტიკის გაგრძელება», ხოლო «სუბიექტური» გაბატონებული იდეოლოგია არის «ნაციონალური» ფრაზები, რასაც მასების გასაბრიყვებლად ავრცელებენ.

კაუცკის ძველი სოფიზმი, რასაც ის კვლავ და კვლავ იმეორებს, თითქოს «მემარცხენენი» საქმეს ისე ხატავდნენ, რომ «ომის ატეხისას» იდგა ალტერნატივა: იმპერიალიზმი თუ სოციალიზმიო, ჩვენ უკვე გავარჩიეთ. ეს სინამდვილის უსირცხვილო დამახინჯებაა, ვინაიდან კაუცკიმ ჩინებულად იცის, რომ მემარცხენენი ს ხ ვ ა ალტერნატივას აყენებდნენ: პარტიის შეერთება იმპერიალისტური ძარცვისა და მოტყუებისადმი თუ რევოლუციური მოქმედების ქადაგება და მომზადება. კაუცკიმ იცის აგრეთვე, რომ მ ხ ო ლ ო დ ცენზურა იცავს მას გერმანიაში «მემარცხენეთა» მიერ იმ სულელური ზღაპრის გამოაშკარავებისაგან, რასაც ის ზიუდეკუმების წინაშე ლაქიობის გამო ავრცელებს.

რაც შეეხება «პროლეტარული მასებისა» და «ერთი მუჭა პარლამენტარების» ურთიერთდამოკიდებულებას, აქ კაუცკი აყენებს ერთ-ერთ ყოვლად გაცვეთილ მოსაზრებას:

«ნურაფერს ვიტყვით გერმანელებზე, რომ საკუთარი თავი არ დავიცვათ; მაგრამ ვინ მოისურვებდა სერიოზულად ემტკიცებინა, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ვალიანი და გედი, ჰაინდმანი და პლეხანოვი, ერთ დღეს გახდნენ იმპერიალისტები და გასცეს სოციალიზმი? თავი გავანებოთ პარლამენტარებს და «ინსტანციებს»»... (კაუცკი აშკარად გულისხმობს როზა ლუქსემბურგის და ფრ. მერინგის ჟურნალს «ინტერნაციონალს», სადაც დამსახურებული ზიზღით იხსენიებენ ინსტანციების, ე. ი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალური ზედაფენების, მისი ცენტრალური კომიტეტის — «ფორშტანდის», მისი პარლამენტური ფრაქციის და სხვათა პოლიტიკას) — ...«მაგრამ ვინ გაბედავს ამტკიცოს, თითქოს 4 მილიონი შეგნებული გერმანელი პროლეტარისათვის საკმარისი იყო ერთი მუჭა პარლამენტარების ერთი ბრძანება, რომ 24 საათში შებრუნებულიყვნენ მთლად მარჯვნივ, პირდაპირ თავისი წინანდელი მიზნების წინააღმდეგ? ეს რომ მართალი იყოს, მაშინ ეს, რა თქმა უნდა, საშინელი კრახის მაჩვენებელი იქნებოდა, ოღონდ არა მარტო ჩვენი პარტიისა, არამედ მ ა ს ი ს ა ც (ხაზგასმა კაუცკისაა). მასა რომ ცხვრის ასეთი დაბნეული ფარა იყოს, მაშინ ჩვენ დასამარხი ვიქნებოდით» (გვ. 274).

ფრიად ავტორიტეტულმა კარლ კაუცკიმ პოლიტიკურად და მეცნიერულად უკვე დაიმარხა თავი საკუთარი მოქმედებით და უბადრუკი ფანდების შერჩევით. ვისაც ეს არ ესმის ან ვინც ამას, ყოველ შემთხვევაში, არ გრძნობს, ის დაღუპულია სოციალიზმის საქმისათვის, და სწორედ ამიტომ ერთადერთი სწორი ტონი აიღეს «ინტერნაციონალში» მერინგმა, როზა ლუქსემბურგმა და მათმა მომხრეებმა, როდესაც ისინი აძაგებენ კაუცკისა და მის კომპანიას, როგორც ყოვლად საზიზღარ სუბიექტებს.

აბა ერთი დაფიქრდით: ომისადმი დამოკიდებულების შესახებ შ ე ე ძ ლ ო თ გამოეთქვათ თავისი აზრი რამდენადმე თავისუფლად (ე. ი. ისე, რომ პირდაპირ ხელი არ ეტაცნათ და ყაზარმაში არ წაეყვანათ, დახვრეტის უშუალო საფრთხის წინაშე არ დამდგარიყვნენ) მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ «ერთ მუჭა პარლამენტარებს» (მათ ხმა მისცეს თავისუფლად, უფლების ძალით, მათ სავსებით შეეძლოთ ხმა მიეცათ წინააღმდეგ — ამისათვის რუსეთშიც კი არ სცემდნენ, არ არბევდნენ, არც კი აპატიმრებდნენ), ერთ მუჭა მოხელეებს, ჟურნალისტებს და ა. შ. ახლა კაუცკი კეთილშობილურად მ ა ს ე ბ ს აკისრებს ამ საზოგადოებრივი ფ ე ნ ი ს ღალატსა და უნიათობას, მაშინ როცა ამ ფენის კ ა ვ შ ი რ ზ ე ოპორტუნიზმის ტაქტიკასა და იდეოლოგიასთან იგივე კაუცკი წერდა ათეულჯერ მთელი რიგი წლების განმავლობაში! საერთოდ მეცნიერული კვლევის, განსაკუთრებით მარქსის დიალექტიკის უპირველესი და უძირითადესი წესი მოითხოვს მწერლისაგან განიხილოს სოციალიზმის მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა თ ა ახლანდელი ბრძოლის კ ა ვ შ ი რ ი — იმ მიმართულებისა, რომელიც ლაპარაკობს და გაყვირის ღალატზე, განგაშს სტეხს ამის გამო, და იმ მიმართულებისა, რომელიც ღალატს ვერ ხედავს, — იმ ბრძოლასთან, რომელიც მანამდე მ თ ე ლ ი ა თ ე უ ლ ი წ ლ ე ბ ი ს განმავლობაში წარმოებდა. კაუცკი ამაზე კრინტსაც არ ძრავს, მას არ სურს მიმართულებათა და მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა თ ა საკითხიც კი დასვას. აქამდე იყო

მიმდინარეობანი, ახლა აღარ არის! ახლა არის მხოლოდ «ავტორიტეტების» მყვირალა სახელები, რომლებსაც ყოველთვის იშველიებენ სულით ლაქიები. ამასთან განსაკუთრებით ხელსაყრელია ერთმანეთი დაიმოწმონ და მეგობრულად დამალონ თავიანთი «ცოდვები» წესის მიხედვით: ხელი ხელს ბანს. აბა, რა ოპორტუნიზმია ეს, — გაიძახოდა ლ. მარტოვი ბერნში წაკითხულ რეფერატზე (იხ. «სოციალ-დემოკრატი», № 36), როდესაც... გედი, პლეხანოვი, კაუცკი! უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ ოპორტუნიზმში ისეთი ადამიანებისათვის ბრალის დადების მხრივ, როგორიც არის გედი, — წერდა აქსელროდი («გოლოსი», № 86 და 87). თავს არ დავიცავ, — ბანს აძლევს ბერლინში კაუცკი, — მაგრამ... ვალიანი და გედი, ჰაინდმანი და პლეხანოვი! გუგული აქებს მამლაყინწას იმისათვის, რომ მამლაყინწა აქებს გუგულს.

ლაქიურმა გულმოდგინებამ კაუცკი იქამდე მიიყვანა, რომ ჰაინდმანსაც კი ეამბორა ხელზე, როდესაც იგი წარმოგვიდგინა ისეთ ადამიანად, რომელიც თითქოს მხოლოდ ერთი დღის წინათ დამდგარიყოს იმპერიალიზმის მხარეზე. ხოლო იმავე «**Neue Zeit**»-ში და მთელი მსოფლიოს ათობით სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში ჰაინდმანის იმპერიალიზმის შესახებ უკვე მ რ ა ვ ა ლ ი წ ე ლ ი ა წერდნენ! კაუცკი რომ კეთილსინდისიერად დაინტერესებულიყო მის მიერ დასახელებულ პ ი რ თ ა პოლიტიკური ბიოგრაფიით, მას უნდა გახსენებოდა, ხომ არ იყო ამ ბიოგრაფიაში ისეთი ნიშნები და მოვლენები, რომლებიც «ერთ დღეს» კი არა, არამედ ათეული წლის განმავლობაში ამზადებდნენ იმპერიალიზმისაკენ გადასვლას, ხომ არ ყოფილა ვალიანი ჟორესისტების ტყვეობაში, ხოლო პლეხანოვი მენშევიკებისა და ლიკვიდატორების ტყვეობაში? ხომ არ კვდებოდა ყველას თვალწინ გედის მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა სანიმუშოდ უსიცოცხლო, უნიჭო გედისტურ ჟურნალ «სოციალიზმში»[101], რომელიც მოკლებული იყო უნარს დაეკავებინა დამოუკიდებელი პოზიცია თუნდაც ერთ მნიშვნელოვან საკითხ-

ში? ხომ არ იჩენდა კაუცკი (დავძენთ იმათთვის, ვინც მასაც აყენებს — სავსებით სამართლიანად — ჰაინდმანისა და პლეხანოვის გვერდით) უხასიათობას მილიერანიზმის საკითხში, ბერნშტეინელობასთან ბრძოლის დასაწყისში და ა. შ.?

მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ სულ მცირედ ინტერესსაც კი ხსენებულ ბელადთა ბიოგრაფიის მეცნიერული შესწავლისადმი. არ არის იმის განხილვის ცდაც, ს ა კ უ თ ა რ ი საბუთებით იცავენ ახლა თავს ეს ბელადები თუ ოპორტუნისტებისა და ბურჟუების საბუთთა განმეორებით? მოიპოვა თუ არა ამ ბელადების მოქმედებამ სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობა მათი განსაკუთრებული გავლენიანობის გამო თუ მის გამო, რომ ისინი შეუერთდნენ უცხო, ნამდვილად «გავლენიან» და სამხედრო ორგანიზაციით ზურგგამაგრებულ მიმდინარეობას, სახელდობრ ბურჟუაზიულ მიმდინარეობას? კაუცკი საკითხის გამოკვლევას არც კი შესდგომია. ის მხოლოდ იმისთვის ზრუნავს, რომ თვალი აუხვიოს მასებს, გააბრუოს ისინი მყვირალა ავტორიტეტიანი სახელებით, ხელი შეუშალოს მათ ნათლად დასვან სადავო საკითხი და ყოველმხრივ გაარკვიონ იგი *.

...«4 მილიონნიანი მასა პარლამენტარების მცირე ჯგუფის ბრძანებით მთლად მარჯვნივ შებრუნდა»...

---

* კაუცკის მიერ ვალიანისა და გედის, ჰაინდმანისა და პლეხანოვის დამოწმება დამახასიათებელია კიდევ ერთი მხრივ. გულახდილი იმპერიალისტები, როგორიც არიან, მაგალ., ლენჩი და გენიში (აღარაფერი რომ არა ვთქვათ ოპორტუნისტებზე) თ ა ვ ი ს ი პოლიტიკის გასამართლებლად სწორედ ჰაინდმანსა და პლეხანოვს იმოწმებენ. და მ ა რ თ ე ბ უ ლ ა დ ა ც იმოწმებენ მათ, ისინი ს ი მ ა რ თ ლ ე ს ამბობენ იმ მხრივ, რომ ეს მართლაც ერთი და იგივე პოლიტიკაა. კაუცკი კი ათვალწუნებით ლაპარაკობს ლენჩისა და გენიშზე, ამ რადიკალებზე, რომლებმაც იმპერიალიზმისაკენ იბრუნეს პირი. კაუცკი მადლობას მოახსენებს ღმერთს, არ ვგავარ ამ მეზვერეებს, არ ვეთანხმები მათ და რევოლუციონერად დავრჩიო — ხუმრობა ხომ არ გგონიათ! ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი კი კაუცკის პოზიციაც ასეთივეა. თვალთმაქცი შოვინისტი კაუცკი, მოთაფლული ფრაზებით, გაცილებით უფრო საზიზღარია, ვიდრე მოჩერჩეტო შოვინისტები დავიდი და ჰაინე, ლენჩი და გენიში.

აქ რამდენი სიტყვაცაა, იმდენი ტყუილია. პარტიულ ორგანიზაციაში გერმანელებს ჰყავდათ არა 4, არამედ 1 მილიონი, ამასთან მასების ამ ორგანიზაციის (ისევე, როგორც ყოველი ორგანიზაციის) ერთიანი ნება გამოხატა მ ხ ო ლ ო დ მისმა ერთიანმა პოლიტიკურმა ცენტრმა, «მცირე ჯგუფმა», რომელმაც უღალატა სოციალიზმს. ამ მცირე ჯგუფს ეკითხებოდნენ, მოუწოდებდნენ ხმა მიეცა, მას შეეძლო ხმა მიეცა, შეეძლო ეწერა სტატიები და ა. შ. მასებისათვის კი არ უკითხავთ. მათ არათუ არ აძლევდნენ ხმის მიცემის ნებას, მათ განაცალკევებდნენ და მიერეკებოდნენ სრულიადაც არა პარლამენტარების მცირე ჯგუფის «ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ», არამედ სამხედრო ხელისუფალთა ბრძანებით. იყო სამხედრო ორგანიზაცია, მ ა ს შ ი ბელადების ღალატი არ ყოფილა, იგი «მასას» ს ა თ ი თ ა ო დ იწვევდა და ულტიმატუმს უყენებდა: ჯარში წასვლა (შენი ბელადების რჩევით) ან დახვრეტა. მასას არ შეეძლო ორგანიზებულად მოქცეულიყო, რადგან წინათ შექმნილმა მისმა ორგანიზაციამ, ლეგინების, კაუცკების, შეიდემანების «მცირედი ჯგუფით» განსახიერებულმა, უღალატა მასას, ხოლო ა ხ ა ლ ი ორგანიზაციის შესაქმნელად საჭიროა დრო, საჭიროა გაბედულობა — გადააგდო ძველი, დამპალი, დრომოჭმული ორგანიზაცია.

კაუცკი ცდილობს დაამარცხოს თავისი მოწინააღმდეგენი, მემარცხენენი, და ამ მიზნით მიაწერს მათ უაზრობას: თითქოს ისინი იმგვარად აყენებდნენ საკითხს. რომ ომის «პასუხად» «მასებს» «24 საათში» უნდა მოეხდინათ რევოლუცია, შემოეღოთ «სოციალიზმი» იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თორემ «მასები» «უნიათობასა და ღალატს» გამოიჩენდნენო. ეს ხომ პირდაპირ სისულელეა, რითაც დღევანდლამდე «ამარცხებდნენ» რევოლუციონერებს უმეცრული ბურჟუაზიული და პოლიტიკური წიგნაკების შემდგენელნი და რითაც ახლა თავი მოაქვს კაუცკის. კაუცკის მემარცხენე მოწინაალმდეგეებმა ჩინებულად იციან, რომ რევოლუცია წ ა რ მ ო ი შ ვ ე ბ ა ობიექტურად (პარტიებისა და კლა-

სების ნების დამოუკიდებლად) მომწიფებული კრიზისებიდან და ისტორიის გარდატეხებიდან, რომ მასები უორგანიზაციოდ მოკლებული არიან ერთიან ნებისყოფას, რომ ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა ძლიერ, ტერორისტულ, სამხედრო ორგანიზაციასთან ბრძოლა ძნელი და ხანგრძლივი საქმეა. მასებს არ შეეძლოთ თავიანთი ბელადების ღალატის დროს კრიტიკულ წუთში რაიმე გაეკეთებინათ; ხოლო ამ ბელადთა «მცირედ ჯგუფებს» სავსებით შეეძლოთ და კიდეც უნდა მიეცათ ხმა კრედიტების წინააღმდეგ, გამოსულიყვნენ «სამოქალაქო ზავისა» და ომის გამართლების წინააღმდეგ, მხარი დაეჭირათ თავის მთავრობათა დამარცხებისათვის, მოეწყოთ საერთაშორისო აპარატი დაძმობილების პროპაგანდისათვის სანგრებში, შეექმნათ არალეგალური ლიტერატურა *, რომელიც იქადაგებდა რევოლუციურ მოქმედებაზე გადასვლის აუცილებლობას, და ა. შ.

კაუცკიმ ჩინებულად იცის, რომ «მემარცხენენი» გერმანიაში გულისხმობენ სახელდობრ ასეთ ან, უფრო სწორად რომ ითქვას, ამგვარ მოქმედებას და რომ პირდაპირ, აშკარად ამის თქმა მათ არ ძალუძთ სამხედრო ცენზურის პირობებში. სურვილს, რომ რადაც უნდა დაჯდეს დაიცვას

* სხვათა შორის. ამისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი დახურო ყველა სოციალ-დემოკრატიული გაზეთი იმის პასუხად, რომ აკრძალულია წერა კლასობრივ სიძულვილზე და კლასობრივ ბრძოლაზე. იმ პირობაზე დათანხმება, რომ ამაზე არ წერო, როგორც მოიქცა «Vorwärts»-ი, სისაძაგლე და სილაჩრე იყო. «Vorwärts»-ი ამით პოლიტიკურად მოკვდა. ლ. მარტოვი მართალი იყო, როცა ეს განაცხადა. მაგრამ შეიძლება შეინარჩუნო ლეგალური გაზეთები იმით, თუ განაცხადებ, რომ ისინი არიან არა პარტიულნი და არასოციალ-დემოკრატიულნი, არამედ მხოლოდ მომსახურებას უწევენ მუშების ნაწილის ტექნიკურ საჭიროებებსო, ე. ი. არიან არა პოლიტიკური გაზეთები. არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა, სადაც შეფასდებოდა ომი, და ლეგალური მუშური ლიტერატურა, რომელიც ასეთ შეფასებას არ მისცემდა, ტყუილს არ იტყოდა, მაგრამ სიმართლეზე გაჩუმდებოდა, — რატომ იქნებოდა ეს შეუძლებელი?

ოპორტუნისტები, კაუცკი მიჰყავს უმაგალითო სისაძაგლემდე, როდესაც ის, სამხედრო ცენზორთა ზურგს უკან ამოფარებული, მიაწერს მემარცხენეებს აშკარა სისულელეს, რაკი დარწმუნებულია, რომ ცენზორები დაიცავენ მას მხილებისაგან.

VII

სერიოზული მეცნიერული და პოლიტიკური საკითხი, რომელსაც კაუცკი შეგნებულად, ყოველგვარი ფანდის საშუალებით, უვლიდა გვერდს, რითაც დიდ კმაყოფილებას გვრიდა ოპორტუნისტებს, ის არის, თუ როგორ მ ო ხ დ ა, რომ II ინტერნაციონალის უთვალსაჩინოესმა წარმომადგენლებმა უღალატეს სოციალიზმს?

ეს საკითხი ჩვენ უნდა დავსვათ, რასაკვირველია, არა ამა და ამ ავტორიტეტის პირადი ბიოგრაფიის თვალსაზრისით. მათმა მომავალმა ბიოგრაფებმა საქმე ამ მხრივაც უნდა განიხილონ, მაგრამ სოციალისტური მოძრაობა ახლა დაინტერესებულია სრულიადაც არა ამით, არამედ სოციალ-შოვინისტური მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს ისტორიული წარმოშობის, პირობების, მნიშვნელობისა და ძალის შესწავლით. 1) საიდან გაჩნდა სოციალ-შოვინიზმი? 2) რამ მისცა მას ძალა? 3) როგორ ვებრძოლოთ ძას? საკითხის მხოლოდ ასეთი დასმაა სერიოზული, ხოლო საქმის გადატანა «პიროვნებებზე» პრაქტიკულად ნიშნავს უბრალო ფანდს, სოფისტის ხრიკს.

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვიხილოთ, ჯერ ერთი, დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ა თუ არა სოციალ-შოვინიზმის იდეურ-პოლიტიკური შინაარსი სოციალიზმის რომელიმე წინანდელ მიმდინარეობასთან? მეორეც, რა დამოკიდებულებაშია, ფაქტიურ პოლიტიკურ დაყოფათა თვალსაზრისით, სოციალისტების ახლანდელი დაყოფა სოციალ-შოვინიზმის მოწინააღმდეგეებად და დამცველებად უწინდელი, ისტორიულად წინამორბედი, დაყოფებისადმი?

სოციალ-შოვინიზმად ჩვენ ვთვლით ახლანდელ იმპერიალისტურ ომში სამშობლოს დაცვის იდეის აღიარებას, ამ

ომში «თავისი» ქვეყნების ბურჟუაზიასა და მთავრობებთან სოციალისტთა კავშირის გამართლებას, «თავისი» ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარულ-რევოლუციური მოქმედების ქადაგებაზე და მხარდაჭერაზე უარისთქმას და ა. შ. სრულიად ცხადია, რომ სოციალ-შოვინიზმის ძირითადი იდეურ-პოლიტიკური შინაარსი სავსებით ემთხვევა ოპორტუნიზმის საფუძვლებს. ეს ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე მიმდინარეობაა. სწორედ ოპორტუნიზმი 1914 — 1915 წლის ვითარებაში იძლევა სოციალ-შოვინიზმს. ოპორტუნიზმში მთავარია კლასების თანამშრომლობის იდეა. ომს ბოლომდე მიჰყავს ეს იდეა; ჩვეულებრივ ფაქტორებსა და სტიმულებს ომი უერთებს მთელ რიგ საგანგებო ფაქტორებსა და სტიმულებს, აიძულებს ობივატელურ და დაქსაქსულ მასას განსაკუთრებული მუქარითა და ძალდატანებით ითანამშრომლოს ბურჟუაზიასთან: ეს გარემოება, ბუნებრივია, ამრავლებს ოპორტუნიზმის მომხრეთა წრეს და სავსებით გვიხსნის ბევრი გუშინდელი რადიკალის გადაბარგებას ამ ბანაკში.

ოპორტუნიზმი არის მასის ძირეული ინტერესების მსხვერპლად მიტანა მუშათა უმნიშვნელო უმცირესობის დროებითი ინტერესებისადმი ანუ, სხვანაირად რომ ითქვას, მუშათა ნაწილის კავშირი ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის მასის წინააღმდეგ. ომი ასეთ კავშირს განსაკუთრებით თვალსაჩინოსა და იძულებითს ხდის. ოპორტუნიზმს ათეული წლების განმავლობაში წარმოშობდნენ კაპიტალიზმის განვითარების ისეთი ეპოქის თავისებურებანი, როდესაც პრივილეგირებული მუშათა ფენის შედარებით მშვიდობიანი და კულტურული არსებობა «აბურჟუებდა» მათ, ნამცეცებს აძლევდა მათ თავისი, ნაციონალური კაპიტალის, მოგებიდან, აშორებდა მათ გაჩანაგების გზაზე შემდგარი და ღატაკი მასის გაჭირვებისა, ტანჯვისა და რევოლუციური სულისკვეთებისაგან. იმპერიალისტური ომი არის ასეთი ვითარების პირდაპირი გაგრძელება და დამთავრება, ვინაიდან ეს არის ომი დიდმპყრობელი ერების პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, კოლონიების გადა-

ყოფისათვის, სხვა ერებზე ბატონობისათვის. თავისი, როგორც მეშჩანების «უმაღლესი ფენის» ან მუშათა კლასის არისტოკრატიისა და (ბიუროკრატიის), პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნება და განმტკიცება — აი ბუნებრივი გაგრძელება წვრილბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული იმედებისა და სათანადო ტაქტიკისა ომის დროს, აი ჩვენი დროის სოციალ-იმპერიალიზმის ეკონომიური საფუძველი *. და,

* რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რა დიდად აფასებენ იმპერიალისტები და ბურჟუები «დიდმპყრობელური» და ნაციონალური პრივილეგიების მნიშვნელობას მუშათა გათიშვისათვის და სოციალიზმისაგან მათი ჩამოშორებისათვის. ინგლისელი იმპერიალისტი ლიუკასი თხზულებაში: «დიდი რომი და დიდი ბრიტანეთი» (ოქსფორდი, 1912) აღიარებს წითელკანიანთა არათანასწორუფლებიანობას თანამედროვე ბრიტანეთის იმპერიაში (გვ. 96 — 97) და შენიშნავს: «ჩვენს იმპერიაში, როდესაც თეთრკანიანი მუშები მუშაობენ წითელკანიანების გვერდით, ისინი როგორც ამხანაგები კი არ მუშაობენ, არამედ თეთრკანიანი მუშა უფრო ზედამხედველია წითელკანიანისა» (98). — ერვინ ბელგერი, სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ მიმართული საიმპერიო კავშირის ყოფილი მდივანი, ბროშურაში: «სოციალ-დემოკრატია ომის დაწყების შემდეგ» (1915) აქებს სოციალ-დემოკრატების მოქმედებას და აცხადებს, რომ ისინი უნდა გახდნენ «წმინდა მუშურ პარტიად» (43), «ნაციონალურ», «გერმანულ მუშურ პარტიად» (45), რომელსაც არ ექნება «ინტერნაციონალური, უტოპიური», «რევოლუციური» იდეები (44). — გერმანელი იმპერიალისტი სარტორიუს ფონ ვალტერსჰაუზენი თხზულებაში კაპიტალის საზღვარგარეთ მოთავსების შესახებ (1907) ჰკიცხავს გერმანელ სოციალ-დემოკრატებს იმისათვის, რომ ისინი უგულებელყოფენ «ნაციონალურ კეთილდღეობას» (438) — რაც კოლონიების დაპყრობაში მდგომარეობს — და აქებს ინგლისელ მუშებს მათი «რეალიზმისათვის», მაგალითად, მათი ბრძოლისათვის იმიგრაციის წინააღმდეგ. — გერმანელი დიპლომატი რიუდორფერი წიგნში მსოფლიო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ ხაზს უსვამს იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია სრულიადაც არ სპობს ნაციონალური კაპიტალების გამწვავებულ ბრძოლას ძალაუფლებისათვის, გავლენისათვის, «აქციების უმრავლესობისათვის» (161), და აღნიშნავს, რომ ეს გამწვავებული ბრძოლა ითრევს მუშებს (175). წიგნი დათარიღებულია 1913 წლის ოქტომბრით, და ავტორი უსრულესი სიცხადით ლაპარაკობს «კაპიტალის ინტერესებზე» (157), როგორც თანამედროვე ომების მიზეზზე, იმაზე, რომ «ნაციონალური ტენდენციის» საკითხი სოციალიზმის «დედაარსი» ხდება (176), რომ მთავრობებს არ უნდა ეშინოდეთ სოციალ-დემოკრა-

რასაკვირველია, ჩვეულების ძალა, შედარებით «მშვიდობიანი» ევოლუციის რუტინა, ნაციონალური ცრურწმენანი, მძაფრ გარდატეხათა შიში და მათდამი ურწმენობა — ყოველივე ეს ასრულებდა დამატებით გარემოებათა როლს, რომელნიც აძლიერებდნენ ოპორტუნიზმსაც და მასთან თვალთმაქცურ და ლაჩრულ შერიგებასაც, ვითომ მხოლოდ დროებით, ვითომდა მხოლოდ განსაკუთრებულ მიზეზთა და საბაბთა გამო. ომმა სახე შეუცვალა ათეული წლობით ნასაზრდოებ ოპორტუნიზმს, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა იგი, გაადიდა მის ელფერთა რიცხვი და ნაირსახეობა, გაამრავლა მის მომხრეთა რიგები, გაამდიდრა მათი საბუთები ახალი სოფიზმების გროვით, შეუერთა ოპორტუნიზმის, ასე ვთქვათ, ძირითად ნაკადს ბევრი ახალი ნაკადული და ჭავლი, მაგრამ ძირითადი ნაკადი არ გამქრალა. პირიქით.

სოციალ-შოვინიზმი არის იმდენად მომწიფებული ოპორტუნიზმი, რომ ამ ბურჟუაზიული მუწუკის წ ი ნ ა ნ დ ე ბ უ რ ა დ არსებობა სოციალისტური პარტიების შიგნით შეუძლებელი გახდა.

ადამიანები, რომლებსაც არ სურთ დაინახონ სოციალ-შოვინიზმის უაღრესად მჭიდრო და განუყრელი კავშირი ოპორტუნიზმთან, ებღაუჭებიან ცალკეულ შემთხვევებს და «კაზუსებს» — ესა და ეს ოპორტუნისტი გახდა ინტერნაციონალისტი, ხოლო ესა და ეს რადიკალი — შოვინისტიო. მაგრამ ეს ხომ სერიოზული საბუთი არ არის მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა თ ა განვითარების საკითხში. ჯერ ერთი, შოვინიზმისა და ოპორტუნიზმის ეკონომიური საფუძველი მუშათა მოძრაობაში ერთი და იგივეა: კავშირი პროლეტარიატის მცირერიცხო-

ტების ინტერნაციონალისტური მანიფესტაციებისა (177), რადგან სოციალ-დემოკრატები სინამდვილეში უფრო და უფრო ნაციონალურნი ხდებიანო (103, 110, 176). საერთაშორისო სოციალიზმი გაიმარჯვებს, თუ მუშებს ნაციონალობის გავლენისაგან გაათავისუფლებს, ვინაიდან მარტოოდენ ძალადობით ვერაფერს გააწყობ, მაგრამ იგი დამარცხდება, თუ ნაციონალური გრძნობა გაიმარჯვებს (173 — 174).

ვანი ზედა ფენებისა და მეშჩანობისა, რომელნიც სარგებლობენ «თავისი» ნაციონალური კაპიტალის პრივილეგიების ნამცეცებით, პროლეტარების მასის წინააღმდეგ, საერთოდ მშრომელთა და ჩაგრულთა მასის წინააღმდეგ. მეორე, ორივე მიმდინარეობის იდეურ-პოლიტიკური შინაარსი ერთი და იგივეა. მესამე, საერთოდ და მთლიანად სოციალისტების ძველი დაყოფა, II ინტერნაციონალის ეპოქის (1889 — 1914) დამახასიათებელი დაყოფა ოპორტუნისტულ და რევოლუციურ მიმდინარეობად შ ე ს ა ბ ა მ ე ბ ა ახალ დაყოფას შოვინისტებად და ინტერნაციონალისტებად.

ამ უკანასკნელი დებულების სისწორეში რომ დავრწმუნდეთ, უნდა გავიხსენოთ წესი, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებაში (ისევე როგორც საერთოდ მეცნიერებაში) საქმე ეხება მ ა ს ო ბ რ ი ვ მოვლენებს და არა ცალკეულ შემთხვევებს. აიღეთ ევროპის 10 ქვეყანა: გერმანია, ინგლისი, რუსეთი, იტალია, ჰოლანდია, შვეცია, ბულგარეთი, შვეიცარია, საფრანგეთი, ბელგია. პირველ 8 ქვეყანაში სოციალისტების ახალი დაყოფა (ინტერნაციონალიზმის მიხედვით) შეესაბამება ძველ დაყოფას (ოპორტუნიზმის მიხედვით): გერმანიაში ოპორტუნიზმის ციხე-სიმაგრე, ჟურნალი «სოციალისტური ყოველთვიური» (**«Sozialistische Monatshefte»**) იქცა შოვინიზმის ციხე-სიმაგრედ. ინტერნაციონალიზმის იდეებს მხარს უჭერენ უკიდურესი მემარცხენენი. ინგლისში, ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიაში დაახლოებით $^{3}/_{7}$ ინტერნაციონალისტია (66 ხმა ინტერნაციონალური რეზოლუციის სასარგებლოდ 84-ის წინააღმდეგ, უკანასკნელი გამოანგარიშებით), ხოლო ოპორტუნისტების ბ ლ ო კ შ ი (მუშათა პარტია + ფაბიანელები + დამოუკიდებელი მუშათა პარტია) ინტერნაციონალისტები $^{1}/_{7}$-ზე ნ ა კ ლ ე ბ ი არიან *. რუსეთში ოპორტუნისტე-

* ჩვეულებრივ მ ხ ო ლ ო დ «დამოუკიდებელ მუშათა პარტიას» ადარებენ «ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას». ეს სწორი არ არის. უნდა ავიღოთ არა ორგანიზაციული ფორმები, არამედ საქმის დედაარსი. აიღეთ ყოველდღიური გაზეთები: ასეთი გაზეთები იყო ო რ ი — ერთი (**«Daily**

ბის ძირითადი ბირთვი, ლიკვიდატორული «ნაშა ზარია», გადაიქცა შოვინისტების ძირითად ბირთვად. პლეხანოვი და ალექსინსკი უფრო ხმაურობენ, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუნდაც ხუთი წლის, 1910 — 1914 წლების, გამოცდილებით, რომ მათ უნარი არ შესწევთ აწარმოონ სისტემატური პროპაგანდა რუსეთის მასებში. ინტერნაციონალისტების ძირითადი ბირთვი რუსეთში არის «პრავდიზმი» და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია, როგორც მოწინავე მუშების წარმომადგენელი, რომლებმაც აღადგინეს პარტია 1912 წლის იანვარში.

იტალიაში ბისოლატისა და მისი კომპანიის პარტია, წმინდა ოპორტუნისტული პარტია, შოვინისტური გახდა. ინტერნაციონალიზმი წარმოდგენილია მ უ შ ა თ ა პარტიით. მუშათა მ ა ს ე ბ ი ამ პარტიას ემხრობიან; ოპორტუნისტები, პარლამენტარები, წვრილი ბურჟუები შოვინიზმის მომხრენი არიან. იტალიაში მთელი რიგი თვეების მანძილზე შეიძლებოდა თავისუფლად მოეხდინათ არჩევანი, და ეს არჩევანი მოახდინეს არა შემთხვევით, არამედ პროლეტართა მასისა და წვრილბურჟუაზიული ფენების კლასობრივი მდგომარეობის განსხვავების შესაბამისად.

ჰოლანდიაში ტრულსტრის ოპორტუნისტული პარტია ურიგდება შოვინიზმს საერთოდ (არ უნდა შეგვაცდინოს იმან, რომ ჰოლანდიაში წვრილ ბურჟუებს, ისევე როგორც მსხვილ ბურჟუებს, განსაკუთრებით სძულთ გერმანია, რომელსაც შეუძლია ძალიან მალე «გადაყლაპოს» ისინი). თანმიმდევარი, გულწრფელი, მგზნებარე, თავგამოდებული ინტერნაციონალისტები მოგვცა მარქსისტულმა პარტიამ ჰორტერისა და პანეკუკის მეთაურობით. შვეციაში ოპორტუნისტთა ბელადი ბრანტინგი აღშფოთებას ეძლევა, როცა გერმანელ სოცია-

---

Herald» («ყოველდღიური მოამბე». რ ე დ.)) ჰქონდა ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას, მეორე («Daily Citizen» («ყოველდღიური მოქალაქე». რ ე დ.)) — ოპორტუნისტების ბლოკს. ყოველდღიური გაზეთები გამოხატავენ ფაქტიურ მუშაობას პროპაგანდის, აგიტაციის, ორგანიზაციის დარგში.

ლისტებს ბრალად სდებენ ღალატს, ხოლო მემარცხენეთა ბელადი ჰეგლუნდი აცხადებს, რომ მის მომხრეთა შორის არიან ადამიანები, რომლებიც სწორედ ასე უყურებენ საქმეს (იხ. «სოციალ-დემოკრატი» № 36). ბულგარეთში ოპორტუნიზმის მოწინააღმდეგენი, «ტესნიაკები», თავის ორგანოში («ახალი დროება» [102]) გერმანელ სოციალ-დემოკრატებს საჯაროდ ბრალად სდებენ «სისაძაგლის ჩადენას». შვეიცარიაში ოპორტუნისტ გრეილიხის მომხრენი მზად არიან გაამართლონ გერმანელი სოციალ-დემოკრატები (იხ. მათი ორგანო, ციურიხის «სახალხო სამართალი»), ხოლო გაცილებით უფრო რადიკალური რ. გრიმის მომხრეებმა ბერნის გაზეთი («**Berner Tagwacht**» *) გერმანელ მემარცხენეთა ორგანოდ გადააქციეს. გამონაკლისს შეადგენს 10 ქვეყნიდან მხოლოდ ორი ქვეყანა, საფრანგეთი და ბელგია, ამასთან, ნამდვილი რომ ითქვას, იქაც მოიპოვებიან ინტერნაციონალისტები, ოღონდ ისინი უაღრესად სუსტნი და შევიწროებულნი არიან (ნაწილობრივ სავსებით გასაგები მიზეზების გამო); ნუ დაგვაიწყდება, რომ თვით ვალიანი აღიარებდა «**L'Humanité**»-ში ** მკითხველებისაგან ინტერნაციონალისტური მიმართულების წერილების მიღებას, რომელთაგან მას ა რ ც ე რ თ ი არ დაუბეჭდნია მთლიანად.

საერთოდ და მთლიანად, თუ განვიხილავთ მიმდინარეობებს და მიმართულებებს, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ევროპული სოციალიზმის სწორედ ოპორტუნისტულმა ფრთამ უღალატა სოციალიზმს და შოვინიზმში გადავიდა. საიდან წარმოსდგა მისი ძალა, მისი მოჩვენებითი ყოვლისშემძლეობა ოფიციალურ პარტიებში? კაუცკი, რომელსაც ძალიან კარგად შეუძლია ისტორიული საკითხების დასმა, მეტადრე როცა ლაპარაკია ძველ რომზე და მსგავს, ცოცხალ ცხოვრებასთან არც ისე ახლო მდგომ, მატერიებზე, — ახლა, როცა საქმე შეეხო თვითონ მას, თვალთმაქცურად ისე გვაჩვენებს თავს, თითქოს მას ეს არ ესმოდეს. მაგრამ საქმე ცხადზე უცხადესია.

* — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

** — «კაცობრიობა». რ ე დ.

ოპორტუნისტებსა და შოვინისტებს უდიდესი ძალა მისცა მ ა თ მ ა კ ა ვ შ ი რ მ ა ბურჟუაზიასთან, მთავრობებთან და გენერალურ შტაბებთან. ჩვენში, რუსეთში, ძალიან ხშირად ივიწყებენ ამას და ისე უყურებენ საქმეს, რომ ოპორტუნისტები სოციალისტური პარტიების ნ ა წ ი ლ ი ა, რომ ყოველთვის იყო და იქნება ორი უკიდურესი ფრთა ამ პარტიებში, რომ მთელი საქმე «უკიდურესობათა» თავიდან აცილება არის და ა. შ. და სხვ. მისთანანი, როგორც წერენ ყველა ფილისტერულ ნაცოდვილებში.

სინამდვილეში ის გარემოება, რომ ოპორტუნისტები ფორმალურად მუშათა პარტიების წევრები არიან, სრულიად არ გამორიცხავს იმას, რომ ისინი წარმოადგენენ—ობიექტურად—ბურჟუაზიის პოლიტიკურ რაზმს, მისი გავლენის გამტარებლებს, მის აგენტებს მუშათა მოძრაობაში. როდესაც ჰეროსტრატესებურად ცნობილმა ოპორტუნისტმა ზიუდეკუმმა თვალსაჩინოდ ცხადყო ეს სოციალური, კლასობრივი ჭეშმარიტება, ბევრი კეთილი კაცი განცვიფრებული დარჩა. ფრანგი სოციალისტები და პლეხანოვი თითით გვიჩვენებდნენ ზიუდეკუმს, — თუმცა საკმარისი იყო, რომ ვანდერველდეს, სამბას და პლეხანოვს სარკეში ჩაეხედნათ, რათა დაენახათ ს წ ო რ ე დ ზ ი უ დ ე კ უ მ ი, ოღონდ ოდნავ სხვა ნაციონალური სახისა. გერმანელმა ცეკისტებმა («ფორშტანდმა»), რომლებიც აქებენ კაუცკის და რომლებსაც აქებს კაუცკი, არ ბააყოვნეს ფრთხილად, თავდაჭერილად და თავაზიანად განეცხადებინათ (ზიუდეკუმის დაუსახელებლად), რომ ისინი «არ ეთანხმებიან» ზიუდეკუმის ხაზს.

ეს სასაცილოა, რადგან ნამდვილად გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის პრაქტიკულ პოლიტიკაში მარტო ზიუდეკუმი აღმოჩნდა გადამწყვეტ მომენტში ასეულობით ჰაა-ზეებსა და კაუცკებზე უფრო ძლიერი (ისევე როგორც მარტო «ნაშა ზარია» უფრო ძლიერია, ვიდრე ბრიუსელის ბლოკის ყველა მიმდინარეობა, რომლებსაც მასთან გათიშვისა ეშინიათ).

რატომ? სწორედ იმიტომ, რომ ზიუდეკუმის ზურგს უკან დგანან დიდი სახელმწიფოს ბურჟუაზია, მთავრობა და გენე-

რალური შტაბი. ზიუდეკუმის პოლიტიკას ისინი ათასნაირად უჭერენ მხარს, ხოლო მის მოწინააღმდეგეთა პოლიტიკას ახშობენ ყველა საშუალებით, თვით საპყრობილეში დამწყვდევით და დახვრეტითაც კი. ზიუდეკუმის ხმას ბურჟუაზიული პრესა გაზეთების მილიონიანი ეგზემპლარებით ავრცელებს (ისევე როგორც ვანდერველდეს, სამბას, პლეხანოვის ხმას), ხოლო მის მოწინააღმდეგეთა ხმას ვ ე რ გ ა ი გ ო ნ ე ბ ლ ე გალურ პრესაში, ვინაიდან ქვეყნად არსებობს სამხედრო ცენზურა.

ყველა თანახმაა, რომ ოპორტუნიზმი არის არა შემთხვევითი მოვლენა, არა ცოდვა, არა დაუდევრობა, არა ღალატი ცალკეული პირებისა, არამედ მთელი ისტორიული ეპოქის სოციალური პროდუქტი. მაგრამ ყველა როდი უფიქრდება ამ ჭეშმარიტების მნიშვნელობას. ოპორტუნიზმი ლეგალიზმმა გამოზარდა. 1889 — 1914 წლების ეპოქის მუშათა პარტიებს უნდა გამოეყენებინათ ბურჟუაზიული ლეგალობა. როცა კრიზისი დაიწყო, საჭირო იყო არალეგალურ მუშაობაზე გადასვლა (ასეთი გადასვლა კი შეუძლებელია ისე, თუ არა უდიდესი ენერგიითა და გაბედულობით, რაც შეერთებული უნდა იყოს მთელ რიგ სამხედრო ხერხებთან). ამ გადასვლას რომ ხელი შეეშალოს, საკმარისია მ ა რ ტ ო ზიუდეკუმი, ვინაიდან მას მხარს უჭერს მთელი «ძველი სამყარო», ისტორიულ-ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, — ვინაიდან ის, ზიუდეკუმი, ყოველთვის უმხელდა და ყოველთვის გაუმხელს ბურჟუაზიას მისი კლასობრივი მტრის ყველა სამხედრო გეგმას, პრაქტიკულ-პოლიტიკურად რომ ვთქვათ.

ეს ფაქტია, რომ გერმანიის მთელი სოციალ-დემოკრატია (იგივე ითქმის ფრანგებზე დ ა ა. შ.) აკეთებს მ ხ ო ლ ო დ იმას, რაც ესიამოვნება ზიუდეკუმს, ან რასაც მოსათმენად ჩათვლის ზიუდეკუმი. ლეგალურად სხვა რაიმეს გაკეთება ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა. ყოველივე, რაც კი კეთდება პ ა ტ ი ო ს ა ნ ი, ნამდვილად სოციალისტური, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, კეთდება მისი ცენტრების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მისი ცენტრალური კომიტეტის და მისი ცენტრალური

ორგანოს გ ვ ე რ დ ი ს ა ვ ლ ი თ, კეთდება ორგანიზაციული დისციპლინის დ ა რ ღ ვ ე ვ ი თ, კეთდება ფ რ ა ქ ც ი უ ლ ა დ ახალი პარტიის ანონიმური ახალი ცენტრების სახელით, როგორც ანონიმურია, მაგალითად, გერმანელი «მემარცხენეების» მოწოდება, დაბეჭდილი ამა წლის 31 მაისის «**Berner Tagwacht**»-ში [103]. ფაქტიურად იზრდება, მტკიცდება, ირაზმება ა ხ ა ლ ი, ნამდვილად მუშათა, ნამდვილად რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტია და არა ლეგინ-ზიუდეკუმ-კაუცკი-ჰაზე-შეიდემანისა და მათი კომპანიის ძველი, დამპალი, ნაციონალ-ლიბერალური პარტია *.

ამიტომ ასეთი ღრმა ისტორიული სიმართლე წამოაყრანტალა უცაბედად ოპორტუნისტმა **Monitor**-მა კონსერვატიულ «პრუსიულ წელიწდეულში» [104], როდესაც განაცხადა, რომ ოპორტუნისტებისთვის (წ ა ი კ ი თ ხ ე: ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ა თ ვ ი ს) საზიანო იქნებოდა, ახლანდელი სოციალ-დემოკრატია რომ გ ა მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ბ უ ლ ი ყ ო, — რადგან მაშინ მუშები მას ჩამოშორდებოდნენ. ოპორტუნისტებს (და ბურჟუაზიას) სჭირდებათ სწორედ ახლანდელი, მარჯვენა და მარცხენა ფრთის შ ე მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი, პარტია, ოფიციალურად წარმოდგენილი კაუცკის მიერ, რომელსაც შეუძლია ქვეყნად

* მეტისმეტად დამახასიათებელია ის, რაც მოხდა 4 აგვისტოს ისტორიული კენჭისყრის წინ. ოფიციალურმა პარტიამ ამას კაზიონური თვალთმაქცობის საბურველი წამოასხა: უმრავლესობამ გადაწყვიტა და ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, ხმა მისცა ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ. მაგრამ შტრებელმა ჟურნალ «**Die Internationale**»-ში ამხილა თვალთმაქცობა და თქვა სიმართლე. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში იყო ო რ ი ჯგუფი, რომლებიც მოვიდნენ მზა უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი თ, ე. ი. ფრაქციული, ე. ი. გამთიშველი გადაწყვეტილებით. ერთმა ჯგუფმა, ოპორტუნისტებისამ, დაახლოებით 30 კაცმა, გადაწყვიტა — ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ხმა მიეცა ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ; მეორე, მემარცხენე, ჯგუფმა, დაახლოებით 15 კაცმა, გადაწყვიტა — ნაკლებად მტკიცედ — ხმა მიეცა წინააღმდეგ. როდესაც «ცენტრმა» ან «ჭაობმა», რომელსაც არავითარი მტკიცე პოზიცია არა აქვს, ხმა მისცა ოპორტუნისტებთან ერთად, მემარცხენენი სასტიკად დამარცხებულნი აღმოჩნდნენ და... დაემორჩილნენ! გერმანიის სოციალ-დემოკრატიის «ერთიანობა» სულ ერთიანად თვალთმაქცობაა, რომელიც ფარავს ფაქტიურად აუცილებელ დამორჩილებას ოპორტუნისტების ულტიმატუმებისადმი.

ყველაფერი შეარიგოს გამართული და «სავსებით-მარქსისტული» ფრაზებით. სიტყვით სოციალიზმი და რევოლუციურობა — ხალხისათვის, მასისათვის, მუშებისათვის; საქმით — ზიუდეკუმობა, ე. ი. ბურჟუაზიასთან შეერთება ყოველი სერიოზული კრიზისის მომენტში. ჩვენ ვამბობთ: ყ ო ვ ე ლ ი კრიზისის დროს, რადგან არა მარტო ომის გამო, არამედ ყოველი სერიოზული პოლიტიკური გაფიცვის გამოც «ფეოდალური» გერმანიაც, «თავისუფალ-პარლამენტური» ინგლისიც ან საფრანგეთი დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ შემოიღებენ, ამა თუ იმ სახელწოდებით, სამხედრო წესებს. ამაში ვერ დაეჭვდება ვერც ერთი ჭკუათამყოფელი და მტკიცე მეხსიერების მქონე ადამიანი.

აქედან გამომდინარეობს პასუხი ზემოთ დასმული კითხვისა: როგორ ვებრძოლოთ სოციალ-შოვინიზმს? სოციალ-შოვინიზმი არის ოპორტუნიზმი, იმდენად მომწიფებული, იმდენად განმტკიცებული და გათავხედებული შედარებით «მშვიდობიანი» კაპიტალიზმის ხანგრძლივი ეპოქის მანძილზე, იდეურ-პოლიტიკურად იმდენად გამორკვეული, ბურჟუაზიასთან და მთავრობებთან იმდენად მჭიდროდ დაახლოებული, რომ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა შევურიგდეთ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიების შ ი გ ნ ი თ ა ს ე თ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს არსებობას. თუ კიდევ შეიძლება შეურიგდე თხელ და სუსტ ლანჩას, როცა პატარა პროვინციული ქალაქის კულტურულ ტროტუარებზე დაიარები, სამაგიეროდ აუცილებლად საჭიროა სქელი და დალურსმული ლანჩები, როცა მთებში მიდიხარ. სოციალიზმი ევროპაში გასცილდა შედარებით მშვიდობიან და ვიწრო ნაციონალური ფარგლებით შემოზღუდულ სტადიას. 1914 — 1915 წლების ომთან ერთად ის რევოლუციური მოქმედების სტადიაში შევიდა, და ოპორტუნიზმთან კავშირის სრულიად გაწყვეტა, მუშათა პარტიებიდან მისი განდევნა უთუოდ მომწიფდა.

რასაკვირველია, ამოცანების ამ განსაზღვრიდან, რომლებსაც სოციალიზმის წინაშე სახავს მისი მსოფლიო განვითარების ახალი ეპოქა, ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს უშუალოდ,

სახელდობრ რა სისწრაფით და სახელდობრ რა ფორმებით წავა ცალკეულ ქვეყნებში პროცესი მუშათა რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული პარტიების გამოყოფისა წვრილ-ბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული პარტიებისაგან. მაგრამ აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა — ნათლად შევიგნოთ, რომ ასეთი გამოყოფა აუცილებელია, და სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა წარვმართოთ მუშათა პარტიების მთელი პოლიტიკა. 1914 — 1915 წლების ომი ისტორიის ისეთი დიდი გარდატეხაა, რომ ოპორტუნიზმისადმი ძველი დამოკიდებულების შენარჩუნება ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა. არ შეიძლება არყოფილად აქციო ის, რაც იყო, ვერც მუშათა შეგნებიდან, ვერც ბურჟუაზიის გამოცდილებიდან და ვერც საერთოდ ჩვენი ეპოქის პოლიტიკურ მონაპოვართაგან ვერ ამოშლი იმ ფაქტს, რომ ოპორტუნისტები კრიზისის მომენტში აღმოჩნდნენ იმ ელემენტების ბირთვი მუშათა პარტიების შიგნით, რომლებიც ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ. ოპორტუნიზმი — თუ საერთო-ევროპული მასშტაბით ვილაპარაკებთ — ომამდე იყო, ასე ვთქვათ, სიჭაბუკის მდგომარეობაში. ომთან დაკავშირებით იგი საბოლოოდ დავაჟკაცდა, და არ შეიძლება კვლავ «უმანკო» და ჭაბუკი გახადო. მომწიფდა პარლამენტარების, ჟურნალისტების, მუშათა მოძრაობის მოხელეების, პრივილეგირებული მოსამსახურეებისა და პროლეტარიატის ზოგიერთი ჯგუფის მთელი საზოგადოებრივი ფენა, რომელიც შ ე ე ზ ა რ დ ა თავის ნაციონალურ ბურჟუაზიას და რომლის დაფასებაც და «შეგუებაც» სავსებით შესძლო ამ ბურჟუაზიამ. ისტორიის ჩარხს ვერც უკან შეატრიალებ, ვერც შეაჩერებ — საჭიროა და კიდევაც უნდა ვიაროთ უშიშრად წინ, მუშათა კლასის მოსამზადებელი, ლეგალური, ოპორტუნიზმის მიერ დატყვევებული, ორგანიზაციებიდან პროლეტარიატის რევოლუციური ორგანიზაციებისაკენ, რომლებსაც შეეძლებათ ა რ დასჯერდნენ ლეგალობას, უნარი ექნებათ უვნებელყონ თავი ოპორტუნისტული ღალატისაგან, პროლეტარიატისა, რომელიც ებმება

«ძალაუფლებისათვის ბრძოლაში», ბურჟუაზიის დამხობისათვის ბრძოლაში.

აქედან ჩანს, სხვათა შორის, თუ როგორ არასწორად უყურებენ საქმეს ისინი, ვინც თავის შეგნებასა და მუშების შეგნებას აბრმავებს საკითხით, რა ვუყოთ II ინტერნაციონალის ასეთ და ასეთ უთვალსაჩინოეს ავტორიტეტებს, გედს, პლეხანოვს, კაუცკის და ა. შ. სინამდვილეში აქ არავითარი საკითხი არ არის: თუ ეს პირნი ახალ ამოცანებს ვერ გაიგებენ, ისინი იძულებული იქნებიან განზე დარჩნენ, ან დარჩნენ ოპორტუნისტების ტყვეობაში, სადაც ისინი ახლა იმყოფებიან. თუ ეს პირნი თავს დააღწევენ «ტყვეობას», არა გვგონია აღმოჩნდეს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დაბრკოლებანი, რომ ისინი რევოლუციონერთა ბანაკში დაბრუნდნენ. ყოველ შემთხვევაში უაზრობაა მუშათა მოძრაობის მიმდინარეობათა ბრძოლისა და ამ მოძრაობის ეპოქების ცვლის საკითხი ცალკეულ პირთა როლის საკითხად შეცვალო.

VIII

მუშათა კლასის ლეგალური მასობრივი ორგანიზაციები თითქმის უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ნიშანია II ინტერნაციონალის ეპოქის სოციალისტური პარტიებისა. გერმანიის პარტიაში ასეთი ორგანიზაციები ყველაზე უფრო ძლიერნი იყვნენ, და აქ 1914 — 1915 წლების ომმა ყველაზე უფრო მწვავე გარდატეხა გამოიწვია, ყველაზე უფრო გადაჭრით დასვა საკითხი. ცხადია, რომ რევოლუციურ მოქმედებაზე გადასვლა ნიშნავდა ლეგალური ორგანიზაციების დაშლას პოლიციის მიერ, და ძველმა პარტიამ, ლეგინიდან თვით კაუცკამდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით, პროლეტარიატის რევოლუციური მიზნები მსხვერპლად შესწირა ახლანდელი ლეგალური ორგანიზაციების შენარჩუნებას. რაც უნდა უარყონ ეს, ფაქტი თვალწინაა. ახლანდელი პოლიციური კანონით ნებადართული ორგანიზაციების ოსპის შეჭამადში გაყიდეს პროლეტარიატის მიერ რევოლუციის მოხდენის უფლება.

აიღეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პროფესიული კავშირების ბელადის, კარლ ლეგინის ბროშურა: «რატომ უნდა მიიღონ პროფესიულ კავშირთა მოხელეებმა მეტი მონაწილეობა პარტიის შინაურ ცხოვრებაში?» (ბერლინი, 1915). ეს არის მოხსენება, წაკითხული ავტორის მიერ 1915 წლის 27 იანვარს პროფესიული მოძრაობის მოხელეთა კრებაზე. ლეგინმა თავის მოხსენებაში წაიკითხა და ბროშურაში გადაბეჭდა ერთი ფრიად საინტერესო დოკუმენტი, რომელსაც სხვანაირად არასოდეს არ გაუშვებდა სამხედრო ცენზურა. ეს დოკუმენტი — ეგრეთწოდებული «მასალა ნიდერბარნიმის ოლქის (ბერლინის გარეუბნის) რეფერენტებისათვის» — არის მემარცხენე გერმანელი სოციალ-დემოკრატების შეხედულებათა გადმოცემა, მათი პროტესტი პარტიის წინააღმდეგ. რევოლუციური სოციალ-დემოკრატები — ნათქვამია ამ დოკუმენტში — ვერ ითვალისწინებდნენ და ვერც გაითვალისწინებდნენ ერთ ფაქტორს, სახელდობრ:

«რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და პროფესიული კავშირების მთელი ორგანიზებული ძალა დადგა მეომარი მთავრობის მხარეზე, მთელი ეს ძალა გამოყენებული იქნა მასების რევოლუციური ენერგიის დათრგუნვის მიზნით» (ლეგინის ბროშურა, გვ. 34).

ეს უეჭველი სიმართლეა. სიმართლეა ამავე დოკუმენტის შემდეგი მტკიცებაც:

«სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 4 აგვისტოს კენჭისყრა ნიშნავდა, რომ სხვა შეხედულებას, მასებში რომ ასეთი შეხედულება კიდევაც ყოფილიყო ღრმად ფესვგადგმული, შეეძლო გზა გაეკვლია ნაცადი პარტიის ხელმძღვანელობით კი არა, არამედ მხოლოდ პარტიული ინსტანციების ნების წინააღმდეგ, მხოლოდ პარტიისა და პროფესიული კავშირების წინააღმდეგობის დაძლევის პირობით» (იქვე).

ეს უეჭველი ჭეშმარიტებაა.

«სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას 4 აგვისტოს რომ შეესრულებინა თავისი მოვალეობა, მაშინ, ალბათ, ორგანიზაციის გარეგნული ფორმა მოსპობილი იქნებოდა, მაგრამ სული დარჩებოდა, ის სული, რომელიც აღაფრთოვანებდა პარტიას საგანგებო კანონის დროს და დაეხმარა მას დაეძლია ყოველი სიძნელე» (იქვე).

ლეგინის ბროშურაში აღნიშნულია, რომ «ბელადების» ის კომპანია, რომელიც მან შეაგროვა თავისი მოხსენების მოსასმენად და რომელსაც ეწოდება პროფესიული კავშირების ხელმძღვანელები, მოხელეები, ხ ა რ ხ ა რ ე ბ დ ა, როცა მას უსმენდა. მათთვის ს ა ს ა ც ი ლ ო ა ის აზრი, რომ შეიძლება და უნდა შეიქმნას არალეგალური (როგორც საგანგებო კანონის დროს) რევოლუციური ორგანიზაციები კრიზისის მომენტში. ლეგინი კი, როგორც ბურჟუაზიის უერთგულესი ქოფაკი, მკერდზე მჯიღს იცემდა და გაიძახოდა:

«ეს აშკარად ანარქისტული აზრია: ააფეთქო ორგანიზაციები, რათა გამოიწვიო საკითხის გადაწყვეტა მასების მიერ. ჩემთვის სრულიად უეჭველია, რომ ეს ანარქისტული იდეა არის».

«მართალია!» გაყვიროდნენ ერთხმად (იქვე, გვ. 37) ბურჟუაზიის ლაქიები, რომლებიც თავის თავს მუშათა კლასის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ბელადებს უწოდებენ.

საგულისხმო სურათია. ეს ადამიანები იმდენად გახრწნილი და გამოჩერჩეტებული არიან ბურჟუაზიული ლეგალობით, რომ ის აზრიც კი ვერ გ ა უ გ ი ა თ, რომ რევოლუციური ბრძოლის სახელმძღვანელოდ საჭიროა ს ხ ვ ა, ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი, ორგანიზაციები. ეს ადამიანები იქამდე მივიდნენ, რომ წარმოუდგენიათ, თითქოს ლეგალური კავშირები, პოლიციის ნებართვით არსებულნი, საზღვარია, რომელსაც ვერ გადალახავ, — თითქოს შესაძლებელი იყოს საერთოდ ასეთი კავშირების შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა კრიზისის ეპოქაში, როგორც ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ი კავშირებისა! აი ოპორტუნიზმის ცოცხალი დიალექტიკა: ლეგალური კავშირების უბრალო ზრდამ, მოყეყეჩო, მაგრამ კეთილსინდისიერი ფილისტერების უბრალო ჩვეულებამ — დასჯერდნენ საკანტორო წიგნების წარმოებას, გამოიწვია ის, რომ კრიზისის მომენტში ეს კეთილსინდისიერი ფილისტერები აღმოჩნდნენ გამცემნი, მოღალატენი, მასების რევოლუციური ენერგიის ჩ ა მ ხ შ ო ბ ნ ი. და ეს შემთხვევითი როდია. რევოლუციურ ორგანიზაციაზე

გადასვლა აუცილებელია, ამას მოითხოვს შექმნილი ისტორიული სიტუაცია, ამას მოითხოვს პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედების ეპოქა, — მაგრამ ეს გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ძველ ბელადებზე, რევოლუციური ენერგიის ჩამხშობებზე გ ა დ ა ბ ი ჯ ე ბ ი თ, ძველ პარტიაზე გ ა დ ა ბ ი ჯ ე ბ ი თ, მისი დ ა ნ გ რ ე ვ ი ს გზით.

კონტრრევოლუციური ფილისტერები კი, ცხადია, გოდებენ: «ანარქიზმი!» — როგორც გოდებდა ოპორტუნისტი ედ. დავიდი «ანარქიზმზე» და აგინებდა კარლ ლიბკნეხტს. პატიოსან სოციალისტებად გერმანიაში, როგორც ეტყობა, დარჩნენ მხოლოდ ის ბელადები, რომლებსაც ოპორტუნისტები ანარქიზმისათვის ლანძღავენ...

ავიღოთ თანამედროვე ჯარი. აი ორგანიზაციის ერთ-ერთი კარგი ნიმუში. და ეს ორგანიზაცია მხოლოდ იმიტომ არის კარგი, რომ იგი მ ო ქ ნ ი ლ ი ა და ამასთან ერთად მილიონობით ადამიანს ე რ თ ი ა ნ ი ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი თ წარმართავს. დღეს ეს მილიონები იმყოფებიან შინ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ხვალ გამოდის ბრძანება მობილიზაციის შესახებ — და ისინი იკრიბებიან დანიშნულ პუნქტებში. დღეს ისინი სხედან სანგრებში, სხედან ზოგჯერ თვეობით. ხვალ ისინი სხვა წყობით იერიშზე მიდიან. დღეს ისინი სასწაულებს ჩადიან, ემალებიან რა ტყვიასა და შრაპნელს. ხვალ ისინი სასწაულებს ჩადიან აშკარა ბრძოლაში. დღეს მათი მოწინავე რაზმები ნაღმებს აწყობენ მიწის ქვეშ, ხვალ ისინი ათობით ვერსს გადიან ჰაერიდან მფრინავთა მითითებით. აი ეს არის ორგანიზაცია, როდესაც ერთი მიზნის გულისათვის, ერთი ნებისყოფით აღფრთოვანებული მილიონობით ხალხი იცვლის თავისი ურთიერთობის და თავისი მოქმედების ფორმას, იცვლის საქმიანობის ადგილსა და ხერხებს, იცვლის იარაღსა და საჭურველს შეცვლილ გარემოებათა და ბრძოლის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

იგივე ითქმის მუშათა კლასის ბრძოლაზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ. დღეს არ არის რევოლუციური სიტუაცია,

არ არის მასების მღელვარების, მათი აქტივობის გაძლიერების პირობები, დღეს ხელთ გაძლევენ საარჩევნო ბიულეტენს — აიღე იგი, გამოიჩინე იმის უნარი, რომ დაირაზმო და ამ ბიულეტენით შენს მტერს მარცხი მიაყენო, და არა იმისა, რომ პარლამენტში თბილ ადგილებზე გაიყვანო ადამიანები, რომლებიც საპყრობილის შიშით სავარძელს ებღაუჭებიან. ხვალ წაგართვეს საარჩევნო ბიულეტენი, ხელთ მოგცეს თოფი და საუცხოო, სამანქანო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გამართული სწრაფმსროლი ზარბაზანი, — აიღე სიკვდილისა და ნგრევის ეს იარაღები, ყურს ნუ უგდებ სენტიმენტალურ მოწუწუნეებს, რომლებსაც ომისა ეშინიათ; ქვეყნად ჯერ კიდევ ბევრი ისეთი რამ არის დარჩენილი, რაც ცეცხლითა და რკინით უ ნ დ ა მოისპოს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის, და, თუ მასებში იზრდება გულისწყრომა და თავგანწირულება, თუ არის რევოლუციური სიტუაცია, ემზადე იმისათვის, რომ შექმნა ახალი ორგანიზაციები და ა ა მ ო ქ მ ე დ ო სიკვდილისა და ნგრევის ესოდენ სასარგებლო იარაღები შ ე ნ ი მთავრობისა და შ ე ნ ი ბურჟუაზიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

რა თქმა უნდა, ეს ადვილი არ არის. ეს მოითხოვს ძნელ მოსამზადებელ მოქმედებას. ეს მოითხოვს მძიმე მსხვერპლს. ეს არის ორგანიზაციისა და ბრძოლის ა ხ ა ლ ი სახეობა, რომელიც აგრეთვე უ ნ დ ა ი ს წ ა ვ ლ ო, ხოლო მეცნიერების დაუფლება უშეცდომებოდ და დამარცხებათა განუცდელად არ ხდება. კლასობრივი ბრძოლის ეს სახეობა არჩევნებში მონაწილეობისადმი ისეთ მიმართებაშია, როგორც იერიში — მანევრებისა და მარშებისადმი ან სანგრებში ჯდომისადმი. ბრძოლის ეს სახეობა ა რ ც ი ს ე ძ ა ლ ი ა ნ ხ შ ი რ ა დ ისმება ისტორიის დღის წესრიგში, — სამაგიეროდ მისი მნიშვნელობა და შედეგები ათეულ წლებს წვდება. ის დ ღ ე ე ბ ი, როცა შეიძლება და უნდა დაისვას ბრძოლის წესრიგში მისი ა ს ე თ ი ხერხები, სხვა ისტორიული ეპოქების ო ც ე უ ლ წ ლ ე ბ ს უდრის.

...შეადარეთ კ. ლეგინს კ. კაუცკი:

«სანამ პარტია მცირე იყო, — წერს კ. კაუცკი, — ყოველი პროტესტი ომის წინააღმდეგ მოქმედებდა პროპაგანდისტული მხრივ, როგორც ვაჟკაცური საქციელი... რუსი და სერბი ამხანაგების ბოლო დროის მოქმედებამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. რაც უფრო ძლიერი ხდება პარტია, მით უფრო გადაეხლართება ხოლმე მის გადაწყვეტილებათა მოტივებში პროპაგანდისტული მოსაზრებანი პრაქტიკული შედეგების გათვალისწინებას, მით უფრო ძნელი ხდება ჯეროვანი მიუზღო თანაბრად ორივე სახის მოტივებს, ამავე დროს კი არც ერთის, არც მეორის უგულებელყოფა არ შეიძლება. ამიტომ, რაც უფრო ძლიერნი ვხდებით ჩვენ, მით უფრო ადვილად წარმოიშვება უთანხმოებანი ჩვენს შორის ყოველი ახალი, რთული სიტუაციის დროს» («ინტერნაციონალობა და ომი», გვ. 30).

კაუცკის ეს მსჯელობა ლეგინის მსჯელობისაგან მხოლოდ თვალთმაქცობითა და სილაჩრით განსხვავდება. კაუცკი, არსებითად, მხარს უჭერს და ამართლებს ლეგინების საზიზღარ განდგომას რევოლუციური მოღვაწეობისაგან, მაგრამ ამას სჩადის მალულად, — არაფერს ამბობს გარკვევით, თავს იძვრენს გადაკრული სიტყვებით, სჯერდება იმას, რომ თავს უკრავს ლეგინსაც და რუსების რევოლუციურ მოქმედებასაც. რევოლუციონერებისადმი ასეთ დამოკიდებულებას ჩვენ, რუსები, ჩვეულებრივ მხოლოდ ლიბერალებთან ვხვდებოდით: ლიბერალები ყოველთვის მზად არიან აღიარონ რევოლუციონერების «ვაჟკაცობა», მაგრამ ამასთან ერთად ისინი არაფრის გულისათვის არ იტყვიან უარს თავის არქიოპორტუნისტულ ტაქტიკაზე. თავისი თავის პატივისმცემელი რევოლუციონერები არ მიიღებენ მოწონებას კაუცკისაგან, არამედ აღშფოთებით უკუაგდებენ საკითხის ამგვარ დაყენებას. თუ არ ყოფილა რევოლუციური სიტუაცია, თუ აუცილებელი არ იყო რევოლუციური მოქმედების ქადაგება, მაშინ რუსებისა და სერბების მოქმედება ა რ ა რ ი ს ს წ ო რ ი, მაშინ მათი ტაქტიკა არ არის მართებული. დაე ისეთ რაინდებს, როგორიც არიან ლეგინი და კაუცკი, შესწევდეთ თუნდ სითამამე იქონიონ თავისი აზრი, დაე პირდაპირ თქვან ეს მათ.

ხოლო თუ «მოწონების» ღირსია რუსი და სერბი სოციალისტების ტაქტიკა, მაშინ შეუწყნარებელია, დანაშაულებრივია გაამართლო «ძლიერი» პარტიების, გერმანული და ფრან-

გული პარტიების და სხვათა საპირდაპირო ტაქტიკა. განზრახ ბუნდოვანი გამოთქმით: «პრაქტიკული შედეგები» კაუცკიმ მიჩქმალა ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ დიდ და ძლიერ პარტიებს შეეშინდათ თავისი ორგანიზაციების დაშლისა, თავისი სალაროების ჩამორთმევისა, თავისი ბელადების დაპატიმრებისა მთავრობის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ კაუცკი სოციალიზმისადმი ღალატს ამართლებს იმ მოსაზრებით, რომ რევოლუციურ ტაქტიკას არასასიამოვნო «პრაქტიკული შედეგები» მოჰყვება. განა ეს მარქსიზმის შერყვნა არ არის?

ჩვენ დაგვაპატიმრებდნენო, — განაცხადა, როგორც ამბობენ, ბერლინის მუშათა კრებაზე ერთ-ერთმა სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა, რომელმაც 4 აგვისტოს ხმა მისცა კრედიტებს. ხოლო მუშები მას პასუხად უყვიროდნენ: «მერე, რა იქნებოდა აქ ცუდიო?».

თუ არ არის სხვა სიგნალი იმისათვის, რომ გერმანიისა თუ საფრანგეთის მუშათა მასებს არ გადასცე რევოლუციური განწყობილება და რევოლუციურ მოქმედებათა მზადების აუცილებლობის აზრი, მაშინ დეპუტატის დაპატიმრება გაბედული სიტყვისათვის სასარგებლო როლს შეასრულებდა, როგორც მოწოდების ყიჟინა რევოლუციურ მუშაობაში სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარების გაერთიანებისათვის. ასეთი გაერთიანება ადვილი არ არის: მით უფრო აუცილებელი იყო სწორედ ზევით მდგომ დეპუტატებს, რომლებიც მთელ პოლიტიკას ხედავენ, თვითონ ეკისრათ თაოსნობა.

არა მარტო ომის დროს, არამედ, უთუოდ, პოლიტიკური მდგომარეობის ყოველი გამწვავების დროს, რომ აღარაფერი ვთქვათ მასების რაიმე რევოლუციურ მოქმედებაზე, ყველაზე თავისუფალი ბურჟუაზიული ქვეყნის მთავრობაც კი ყოველთვის დაგვემუქრება ლეგალური ორგანიზაციების დაშლით, სალაროების ჩამორთმევით, ბელადების დაპატიმრებით და სხვა ამგვარი «პრაქტიკული შედეგებით». როგორ მოვიქცეთ? გავამართლოთ ამ საფუძველზე ოპორტუნისტები, რო-

გორც კაუცკი იქცევა? მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ აკურთხო სოციალ-დემოკრატიული პარტიების გადაქცევა ნაციონალ-ლიბერალურ მუშათა პარტიებად.

სოციალისტისათვის მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება იყოს: წმინდა ლეგალიზმმა, «ევროპული» პარტიების მხოლოდ-ლეგალიზმმა თავისი დრო მოჭამა და, წინაიმპერიალისტური სტადიის კაპიტალიზმის განვითარების გამო, იგი ბურჟუაზიული მუშათა პოლიტიკის საფუძვლად გადაიქცა. აუცილებელია შეავსო იგი არალეგალური ბაზის, არალეგალური ორგანიზაციის შექმნით, არალეგალური სოციალ-დემოკრატიული მუშაობის მოწყობით და ამავე დროს არ დათმო არც ერთი ლეგალური პოზიცია. თუ საჴელდობრ რ ო გ ო რ უნდა გაკეთდეს ეს, — ამას გამოცდილება გვიჩვენებს, ოღონდ იყოს ამ გზაზე დადგომის სურვილი, იყოს მისი აუცილებლობის შეგნება. რუსეთის რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა 1912 — 1914 წლებში ცხადყვეს, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია. მუშა დეპუტატმა მურანოვმა, რომელსაც ყველაზე უკეთ ეჭირა თავი გასამართლებაზე და რომელსაც ცარიზმმა ციმბირში უკრა თავი, ნათლად გვიჩვენა, რომ გარდა მ ი ნ ი ს ტ ე რ ი ა ბ ე ლ უ რ ი პარლამენტარიზმისა (ჰენდერსონით, სამბათი და ვანდერველდეთი დაწყებული და ზიუდეკუმითა და შეიდემანით გათავებული, რომლებიც აგრეთვე სავსებით და მთლიანად «მინისტერიაბელურნი» არიან, ოღონდ მათ დერეფანს იქით არ უშვებენ!) არის კიდევ ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი და რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პარლამენტარიზმი. დაე კოსოვსკები და პოტრესოვები აღტაცებას მიეცნენ ლაქიების «ევროპული» პარლამენტარიზმის გამო ან შეურიგდნენ მას, — ჩვენ განუწყვეტლივ ჩავაგონებთ მუშებს, რომ ა ს ე თ ი ლეგალიზმი, ლეგინების, კაუცკების, შეიდემანების ა ს ე თ ი სოციალ-დემოკრატია მხოლოდ ზიზღის ღირსია.

IX

შევაჯამოთ.

II ინტერნაციონალის კრახი ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა იმით, რომ ევროპის ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობამ აშკარად უღალატა თავის შეხედულებებს და თავის საზეიმო რეზოლუციებს, რაც მიღებული იყო შტუტგარტსა და ბაზელში. მაგრამ ეს კრახი, რაც ნიშნავს ოპორტუნიზმის სრულ გამარჯვებას, სოციალ-დემოკრატიული პარტიების ნაციონალ-ლიბერალურ მუშათა პარტიებად გადაქცევას, არის მხოლოდ II ინტერნაციონალის მთელი ისტორიული ეპოქის, XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგის ეპოქის შედეგი. ამ ეპოქის — დასავლეთ ევროპაში ბურჟუაზიული და ნაციონალური რევოლუციების დამთავრებიდან სოციალისტური რევოლუციების დაწყებისაკენ გარდამავალი ეპოქის — ობიექტური პირობები წარმოშობდნენ და ასაზრდოებდნენ ოპორტუნიზმს. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ამ ხნის მანძილზე მუშათა და სოციალისტურ მოძრაობაში ჩვენ ვხედავთ გათიშვას, რომელიც — საერთოდ და მთლიანად — ხდება სწორედ ოპორტუნიზმის ხაზით (ინგლისი, იტალია, ჰოლანდია, ბულგარეთი, რუსეთი), სხვა ქვეყნებში — მიმდინარეობათა ხანგრძლივსა და შეუპოვარ ბრძოლას ამავე ხაზით (გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, შვეცია, შვეიცარია). დიდი ომით შექმნილმა კრიზისმა ჩამოგლიჯა საბურველი, უკუაგდო პირობითობანი, გააშიშვლა უკვე დიდი ხნის დამწიფებული მუწუკი და დაგვანახა ოპორტუნიზმი თავის ნამდვილ როლში, როგორც ბურჟუაზიის მოკავშირე. ამ ელემენტის სრული, ორგანიზაციული, გამოყოფა მუშათა პარტიებისაგან აუცილებელი გახდა. იმპერიალისტური ეპოქა ვერ ურიგდება იმას, რომ ერთ პარტიაში თანაარსებობდნენ რევოლუციური პროლეტარიატის მოწინავენი და მუშათა კლასის ნახევრადმეშჩანური არისტოკრატია, რომელიც სარგებლობს «თავისი» ერის «დიდმპყრობელური» მდგომარეობით შექმნილი პრივილეგიების ნამცეცებით. ძველი თეორია ოპორტუნიზმის, როგორც ერთიანი, «უკიდურესობათაგან» თავისუ-

ფალი, პარტიის «კანონიერი ნაირსახეობის» შესახებ — ახლა გადაიქცა მუშების უდიდეს მოტყუებად და მუშათა მოძრაობის უდიდეს დაბრკოლებად. ისე საშიშარი და მავნებელი არ არის აშკარა ოპორტუნიზმი, რომელიც ერთბაშად ჩამოიშორებს ხოლმე მუშათა მასას, როგორც არც იქით, არც აქეთ — საშუალო პოზიციაზე დგომის თეორია, რომელიც მარქსისტული სიტყვებით ამართლებს ოპორტუნისტულ პრაქტიკას, მთელი რიგი სოფიზმებით ამტკიცებს რევოლუციური მოქმედების უდროობას და სხვ. ამ თეორიის უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა და ამასთან ერთად II ინტერნაციონალის უთვალსაჩინოესმა ავტორიტეტმა, კაუცკიმ, თავი გამოამჟღავნა როგორც პირველხარისხოვანმა თვალთმაქცმა და ვირტუოზმა მარქსიზმის გათახსირების საქმეში. მილიონიან გერმანულ პარტიაში არ დარჩენილან ცოტათი მაინც პატიოსანი, შეგნებული და რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, რომლებიც გულისწყრომით ზურგს არ აქცევდნენ ასეთ «ავტორიტეტს», რომელსაც გაცხარებით იცავენ ზიუდეკუმები და შეიდემანები.

პროლეტარული მასები, რომლებისაგან, ალბათ, ძველი ხელმძღვანელი ფენის $^{9}/_{10}$-მდე ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა, დაქსაქსულნი და უმწეონი აღმოჩნდნენ შოვინიზმის თარეშის წინაშე, სამხედრო წესების და სამხედრო ცენზურის მხრივ ჩაგვრის წინაშე. მაგრამ ობიექტური რევოლუციური სიტუაცია, რომელიც ომმა შექმნა და უფრო და უფრო ფართოვდება, უფრო და უფრო ღრმავდება, გარდუვალად წარმოშობს რევოლუციურ სულისკვეთებას, აწრთობს და ათვითცნობიერებს ყველა საუკეთესო და უფრო შეგნებულ პროლეტარს. მასების სულისკვეთებაში არათუ შესაძლებელია, არამედ უფრო და უფრო დასაჯერებელი ხდება იმის მსგავსი სწრაფი ცვლილება, რომელიც დაკავშირებული იყო რუსეთში 1905 წლის დასაწყისში «გაპონადასთან», როდესაც ჩამორჩენილი პროლეტარული ფენებიდან რამდენიმე თვეში, ზოგჯერ კი რამდენიმე კვირაშიც შეიქმნა მილიონიანი არმია, რომელიც მიჰყვებოდა პროლეტარიატის რევოლუციურ ავან-

გარდს. შეუძლებელია ვიცოდეთ, გაიშლება თუ არა ძლიერი რევოლუციური მოძრაობა მალე ამ ომის შემდეგ, ომის დროს და სხვ., მაგრამ ყოველ შემთხვევაში მ ხ ო ლ ო დ ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობას შეიძლება ეწოდოს სოციალისტური მუშაობა. ლოზუნგს, რომელიც განაზოგადებს და წარმართავს ამ მუშაობას, რომელიც ეხმარება იმათ გაერთიანებასა და დარაზმვას, ვისაც სურს დაეხმაროს პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას თავისი მთავრობისა და თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, წარმოადგენს სამოქალაქო ომის ლოზუნგი.

რუსეთში რევოლუციურ-სოციალ-დემოკრატიული პროლეტარული ელემენტების სრული გამოყოფა წვრილბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული ელემენტებისაგან მომზადებულია მუშათა მოძრაობის მთელი ისტორიით. ფრიად ცუდ სამსახურს უწევენ ამ მოძრაობას ისინი, ვინც გვერდს უვლის ამ ისტორიას და, «ფრაქციულობის» წინააღმდეგ რომ დეკლამატორობს, შესაძლებლობას ისპობს გაიგოს რუსეთში პროლეტარული პარტიის შექმნის ნამდვილი პროცესი, პარტიისა, რომელიც ყალიბდებოდა მრავალი წლის ბრძოლაში ოპორტუნიზმის სხვადასხვა სახეობის წინააღმდეგ. ახლანდელ ომში მონაწილე ყველა «დიდი» სახელმწიფოდან მარტო რუსეთმა განიცადა ამ ბოლო დროს რევოლუცია: ამ რევოლუციის ბურჟუაზიულ შინაარსს, პროლეტარიატის გადამწყვეტი როლის პირობებში, არ შეეძლო არ წარმოეშვა მუშათა მოძრაობაში არსებულ ბურჟუაზიულ და პროლეტარულ მიმდინარეობათა გათიშვა. მთელი, დაახლოებით ოცი წლის პერიოდის განმავლობაში (1894 — 1914), რაც რუსეთის სოციალ-დემოკრატია არსებობდა, როგორც მასობრივ მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებული ორგანიზაცია (და არა მხოლოდ 1883 — 1894 წლების იდეური მიმდინარეობის სახით), წარმოებდა პროლეტარულ-რევოლუციურ და წვრილბურჟუაზიულ-ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა ბრძოლა. 1894 — 1902 წლების ეპოქის «ეკონომიზმი», უეჭველია, წვრილბურჟუაზიულ-ოპორტუნის-

ტული ხასიათის მიმდინარეობა იყო. მისი იდეოლოგიის მთელი რიგი არგუმენტები და ნიშნები — მარქსიზმის «სტრუვისტული» დამახინჯება, «მასის» დამოწმება ოპორტუნიზმის გასამართლებლად და ა. შ. — გასაოცრად მოგვაგონებს კაუცკის, კუნოვის, პლეხანოვის და სხვათა ახლანდელ, გაუგვანებულ, მარქსიზმს. მეტად მადლიანი ამოცანა იქნებოდა მოგვეგონებინა სოციალ-დემოკრატიის ახლანდელი თაობისათვის ძველი «რაბოჩაია მისლი» [105] და «რაბოჩეე დელო» [106] ახლანდელ კაუცკისთან შესადარებლად.

შემდეგი პერიოდის (1903 — 1908) «მენშევიზმი» იყო «ეკონომიზმის» უშუალო, არა მარტო იდეური, არამედ აგრეთვე ორგანიზაციული, მემკვიდრე. რუსეთის რევოლუციის დროს ის ახორციელებდა ტაქტიკას, რომელიც ობიექტურად ნიშნავდა პროლეტარიატის დამოკიდებულებას ლიბერალური ბურჟუაზიისაგან და გამოხატავდა წვრილბურჟუაზიულ ოპორტუნისტულ ტენდენციებს. როდესაც ამის მომდევნო პერიოდში (1908 — 1914) მენშევიკური მიმდინარეობის მთავარმა ნაკადმა წარმოშვა ლიკვიდატორობა, — ამ მიმდინარეობის კლასობრივი მნიშვნელობა იმდენად აშკარა გახდა, რომ მენშევიზმის საუკეთესო წარმომადგენლები მუდამ პროტესტს აცხადებდნენ «ნაშა ზარიას» ჯგუფის პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს ჯგუფი კი, — ერთადერთი ჯგუფი, რომელიც მუშათა კლასის რევოლუციურ-მარქსისტული პარტიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ სისტემატურ მუშაობას ეწეოდა მასებში უკანასკნელი 5 — 6 წლის მანძილზე, — 1914 — 1915 წლების ომში ს ო ც ი ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ს ტ უ რ ი აღმოჩნდა! და ეს იმ ქვეყანაში, სადაც ცოცხალია თვითმპყრობელობა, სადაც ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის დამთავრებული ბურჟუაზიული რევოლუცია, სადაც მოსახლეობის 43% ჩაგრავს «უცხოტომელი» ერების უმრავლესობას. განვითარების «ევროპულ» ტიპს, როდესაც წვრილი ბურჟუაზიის გარკვეულ ფენებს, განსაკუთრებით ინტელიგენციას და მუშათა არისტოკრატიის სრულიად უმნიშვნელო ნაწილს შეუძლიათ «ისარგებლონ» «თავისი» ერის «დიდმპყრო-

ბელური» მდგომარეობის პრივილეგიებით, არ შეეძლო თავი არ ეჩინა რუსეთშიც.

«ინტერნაციონალისტური», ე. ი. ნამდვილად რევოლუციური და თანმიმდევრულად რევოლუციური ტაქტიკისათვის რუსეთის მუშათა კლასი და მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია მთელი თავიანთი ისტორიით არიან მომზადებულნი.

P. S. * ეს სტატია უკვე აწყობილი იყო, როდესაც გაზეთებში გამოქვეყნდა «მანიფესტი» კაუცკისა და ჰაზესი, ბერნშტეინთან ერთად, რომლებმაც დაინახეს, რომ მასები მემარცხენდებიან, და რომლებიც ახლა მზად არიან «შეურიგდნენ» მემარცხენეებს — რასაკვირველია, ზიუდეკუმებთან «ზავის» შენარჩუნების ფასად. ჭეშმარიტად, **Mädchen für alle!**

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა

ინგლისში პოლიტიკური თავისუფლება დღემდე შეუდარებლად უფრო ფართო იყო, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში. ბურჟუაზია აქ ყველაზე უფრო შეჩვეულია მართვა-გამგეობას და მას შეუძლია მართვა-გამგეობა. კლასების ურთიერთობა უფრო განვითარებული და ბევრი მხრივ უფრო ნათელია, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში. სავალდებულო სამხედრო ბეგრის არარსებობა ხალხს უფრო თავისუფალს ხდის ომისადმი დამოკიდებულების საკითხში ი მ ა ზ რ ი თ, რომ ყველას შეუძლია უარი თქვას ჯარში შესვლაზე, და ამიტომ მთავრობა (ინგლისში მთავრობა არის ბურჟუაზიის საქმეთა გამგებლობის ნამდვილი კომიტეტი) იძულებულია დაძაბოს მთელი ძალღონე, რათა გააღვივოს «ხალხის» ენთუზიაზმი ომისადმი, ამასთან ამ მიზნის მიღწევა აბსოლუტურად შეუძლებელი იქნებოდა კანონების ძირფესვიანად დაუმსხვრევლად, პროლეტარული მასა რომ სავსებით დეზორგანიზებული და დემორალიზებული არ ყოფილიყო კარგად მოწყობილი, კვალიფიციური, კავშირებად დარაზმული მუშების უმცირესობის გადასვლით ლიბერალური, ე. ი. ბურჟუაზიული, პოლიტიკის მხარეზე. ინგლისის ტრედ-უნიონები მოიცავენ დაქირავებული მუშების დაახლოებით 1/5 ნაწილს. ამ ტრედ-უნიონების წინამძღოლები მეტწილად ლიბერალები არიან, და მარქსი ძალიან დიდი ხანია მათ ბურჟუაზიის აგენტებს უწოდებდა.

ინგლისის ყველა ეს თავისებურება გვეხმარება ჩვენ მით უფრო ადვილად გავიგოთ, ერთი მხრივ, თანამედროვე სოციალ-შოვინიზმის არსი — რადგან ეს არსი ე რ თ ნ ა ი რ ი ა თვითმპყრობელ და დემოკრატიულ, მილიტარისტულ და ისეთ ქვეყნებში, სადაც სამხედრო ბეგარა არ არის შემოღებული, — ხოლო მეორე მხრივ, ეს თავისებურებანი გვეხმარებიან შევაფასოთ, ფაქტების საფუძველზე, სოციალ-შოვინიზმთან იმ შემარიგებლობის მნიშვნელობა, რაც გამოიხატება, მაგალითად, ზავის ლოზუნგის შექებით და სხვ.

ოპორტუნიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ყველაზე დამთავრებული გამოხატულება, უეჭველია, ჩვენ გვაქვს «ფაბიანელთა საზოგადოების» სახით. დაე მკითხველმა ჩაიხედოს მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერაში ზორგესთან (არის რუსული თარგმანი ორ გამოცემად) [107]. იქ ის იპოვნის ამ საზოგადოების ბრწყინვალე დახასიათებას ენგელსის მიერ, რომელიც ბ. სიდნეი ვებს და მის კომპანიას აბუჩად იგდებს, როგორც ბურჟუაზიული ვიგინდარების ხროვას, რომლებსაც სურთ გარყვნან მუშები, სურთ გავლენა მოახდინონ მათზე კონტრრევოლუციური აზრით. შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ მეორე ინტერნაციონალის არც ერთ ცოტათი მაინც პასუხისმგებელ და გავლენიან წინამძღოლს არასოდეს არ უცდია არათუ უარეყო ენგელსის ეს შეფასება, არამედ ეჭვიც კი შეეტანა მის სისწორეში.

შეადარეთ ახლა ფ ა ქ ტ ე ბ ი და ერთ წუთს თავი გაანებეთ თ ე ო რ ი ე ბ ს. თქვენ დაინახავთ, რომ ფაბიანელების მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ომის დროს (იხ., მაგალ., მათი ყოველკვირეული «The new Statesman» [108]) და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, კაუცკის ჩათვლით, სავსებით **ერთნაირია**. სოციალ-შოვინიზმის იგივე დაცვა, პირდაპირიც და არაპირდაპირიც; ასეთი დაცვის იგივე შეერთება მზადყოფნასთან — წარმოთქვან როგორიც გნებავთ კეთილი, ჰუმანური და თითქმის-მემარცხენე ფრაზები ზავზე, განიარაღებაზე და სხვ. და სხვ.

ფაქტი თვალწინაა, და ამ ფაქტიდან, რაც უნდა არასასიამოვნო იყოს ეს სხვადასხვა პირთათვის, გარდუვალად და უდავოდ შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: სინამდვილეში გერმანიის თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები, კაუცკის ჩათვლით, სავსებით ისეთივე აგენტები არიან ბურჟუაზიისა, როგორიც ენგელსმა უკვე დიდი ხანია უწოდა ფაბიანელებს. ფაბიანელთა მიერ მარქსიზმის არცნობა და კაუცკისა და მისი კომპანიის მიერ მისი «ცნობა» სრულიად არაფერს არ ცვლის საქმის არსში, ფაქტიურ პოლიტიკაში, და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მარქსიზმი სტრუვიზმად გადააქცია ზოგიერთმა მწერალმა, პოლიტიკოსმა და სხვ. მათი თვალთმაქცობა ა რ არის მათი პირადი მანკი, ისინი ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება იყვნენ ოჯახის ფრიად კეთილსინდისიერი მამები, — მათი თვალთმაქცობა არის შედეგი მათი სოციალური მდგომარეობის ობიექტური სიყალბისა, როდესაც ისინი ვითომ წარმოადგენენ რევოლუციურ პროლეტარიატს, ნამდვილად კი პროლეტარიატში ბურჟუაზიული, შოვინისტური იდეების გამტარებელი აგენტები არიან.

ფაბიანელები კაუცკიზე და მის კომპანიაზე უფრო გულწრფელი და უფრო პატიოსანნი არიან, რადგან მათ სიტყვა არ მოუციათ, რევოლუციას მივემხრობითო, მაგრამ პოლიტიკურად ისინი ე რ თ ნ ი არიან.

ინგლისში პოლიტიკური თავისუფლების «ძველისძველობამ» და საერთოდ მისი პოლიტიკური ცხოვრების, განსაკუთრებით მისი ბურჟუაზიის, განვითარებულობამ ის გამოიწვია, რომ ბურჟუაზიული აზრების სხვადასხვა ე ლ ფ ე რ მ ა სწრაფად, ადვილად, თავისუფლად ჰპოვა ამ ქვეყანაში ახალი გამოხატულება ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციებში. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია არის «დემოკრატიული კონტროლის კავშირი» (**Union of Democratic Control**). ამ ორგანიზაციის მდივნად და ხაზინადრად არის მორელი (**E. D. Morel**), რომელიც ახლა არის «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» ცენტრალური ორგანოს, გაზეთ «Labour

Leader»-ის * მუდმივი თანამშრომელიც. ეს სუბიექტი რამდენიმე წელს კანდიდატი იყო ლიბერალური პარტიისაგან ბერკენჰედის ოლქში (Birkenhead). როდესაც მორელმა ომის დაწყებისთანავე გაილაშქრა ომის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ბერკენჰედის ლიბერალური ასოციაციის კომიტეტმა 1914 წლის 2 ოქტომბრის წერილით აუწყა მას, რომ ამიერიდან მისი კანდიდატურა ლიბერალებისათვის მიუღებელია, ე. ი. უბრალოდ რომ ითქვას, გარიცხა ის პარტიიდან. მორელმა უპასუხა 14 ოქტომბრის წერილით, რომელიც შემდეგ გამოსცა ცალკე ბროშურად სახელწოდებით «The outbreak of the war» (როგორ იფეთქა ომმა). ამ ბროშურაში, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა სტატიებში, მორელი ამხელს თ ა ვ ი ს მთავრობას და ამტკიცებს, რომ ყალბია იმაზე მითითება, თითქოს ომის მიზეზია ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევა, თითქოს ომის მიზანია პ რ უ ს ი ი ს იმპერიალიზმის მოსპობა და ა. შ. და ა. შ. მორელი იცავს «დემოკრატიული კონტროლის კავშირის» პროგრამას, რომელიც მოითხოვს ზავს, განიარაღებას, ყველა ოლქისათვის უფლების მინიჭებას — პლებისციტით გადაწყვიტონ თავისი ბედის საკითხი, და დემოკრატიულ კონტროლს საგარეო პოლიტიკისადმი.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ მორელი, როგორც პიროვნება, უეჭველად, მადლობის ღირსია დემოკრატიზმისადმი გულწრფელი თანაგრძნობისათვის, შოვინისტური ბურჟუაზიისაგან პაციფისტური ბურჟუაზიისაკენ შებრუნებისათვის. როდესაც მორელი ფაქტებით ამტკიცებს, რომ მ ი ს ი მთავრობა ატყუებდა ხალხს, აცხადებდა რა საიდუმლო ხელშეკრულებანი არ არსებობსო, თუმცა ასეთი ხელშეკრულებანი ნამდვილად იყო; — რომ ინგლისის ბურჟუაზიას ჯერ კიდევ 1887 წელს ნათლად ჰქონდა შეგნებული ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გარდუვალობა გერმანია-საფრანგეთის ომის შემთხვევაში

* — «მუშაობა ბელადი». რ ე დ.

და რომ იგი გადაჭრით უარყოფდა ჩარევის აზრს (მაშინ გერმანია ჯერ კიდევ არ იყო საშიში კონკურენტი!); — რომ პოლკოვნიკ ბუშეს (Boucher) მსგავსი ფრანგი მილიტარისტები მთელ რიგ წიგნებში ომამდე სავსებით აშკარად აღიარებდნენ თავიანთ გეგმებს საფრანგეთისა და რუსეთის შეტევითი ომისას გერმანიის წინააღმდეგ; — რომ ინგლისის ცნობილი სამხედრო ავტორიტეტი, პოლკოვნიკი რეპინგტონი, 1911 წელს პრესაში აღიარებდა რუსეთის შეიარაღების ზრდას 1905 წლის შემდეგ, როგორც გერმანიისათვის დამუქრებას; — როდესაც მორელი ყოველივე ამას ამტკიცებს, ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, რომ ჩვენს წინაშეა იშვიათად პატიოსანი და გაბედული ბურჟუა, რომელსაც არ ეშინია თავის პარტიასთან კავშირის გაწყვეტისა.

მაგრამ ყველა დათანხმდება ერთბაშად, რომ ეს მაინც ბურჟუაა, რომლის ფრაზები ზავისა და განიარაღების შესახებ ცარიელ ფრაზებად რჩება, რადგან პროლეტარიატის რევოლუციურ მოქმედებათა გარეშე არც ზავზე, არც განიარაღებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. და მორელი, რომელიც ამჟამად დაშორდა ლიბერალებს ახლანდელი ომის საკითხის გამო, რჩება ლიბერალად ყველა დანარჩენ ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხში. მაშ რატომ არის, რომ როდესაც გერმანიაში იმავე ბურჟუაზიულ ფრაზებს ზავისა და განიარაღების შესახებ მარქსისტული ალუერებით ჰფარავს კაუცკი, ამაში ხედავენ არა კაუცკის თვალთმაქცობას, არამედ მის დამსახურებას? მხოლოდ პოლიტიკურ ურთიერთობათა განუვითარებლობა და პოლიტიკური თავისუფლების უქონლობა გერმანიაში უშლის ხელს იმას, რომ იქ ისევე მალე და ადვილად, როგორც ინგლისში, შეიქმნას ზავისა და განიარაღების ბურჟუაზიული ლიგა, რომელსაც ექნება კაუცკის პროგრამა.

მაშ ვაღიაროთ სიმართლე, რომ კაუცკი დგას არა რევოლუციური სოციალ-დემოკრატის, არამედ .პაციფისტური ბურჟუას პოზიციაზე.

ჩვენ საკმაოდ დიდ მოვლენებს განვიცდით, რომ გვქონდეს მამაცობა, «პიროვნებათა მიუხედავად» ვაღიაროთ სიმართლე.

თუმცა ინგლისელები უგულებელყოფენ აბსტრაქტულ თეორიებს და ამაყობენ თავიანთი პრაქტიციზმით, მაგრამ ხშირად უფრო პირდაპირ აყენებენ პოლიტიკურ საკითხებს და ამრიგად ეხმარებიან სხვა ქვეყნების სოციალისტებს იპოვნონ რეალური შინაარსი ყოველგვარი (მათ შორის «მარქსისტული») სიტყვიერების გარსის ქვეშ. ამ მხრივ საგულისხმოა ომამდე გამოსული, შოვინისტური გაზეთის «Clarion»-ის გამოცემული ბროშურა «სოციალიზმი და ომი» *. ეს ბროშურა შეიცავს ამერიკელი სოციალისტის ეპტონ სინკლერის (Upton Sinclair) «მანიფესტს» ომის წინააღმდეგ და მისთვის გაცემულ პასუხს რობერტ ბლეჩფორდისას (Blatchford), რომელიც დიდი ხანია დგას ჰაინდმანის იმპერიალისტურ თვალსაზრისზე.

სინკლერი გრძნობის სოციალისტია, მოკლებული თეორიულ განათლებას. ის საკითხს «უბრალოდ» აყენებს: აღშფოთებას ეძლევა კარსმომდგარი ომის გამო და სოციალიზმში ეძებს მისგან ხსნას.

«ჩვენ გვეუბნებიან, — წერს სინკლერი, — რომ სოციალისტური მოძრაობა ჯერ კიდევ ერთობ სუსტია, რომ ჩვენ ევოლუციას უნდა ველოდოთ. მაგრამ ევოლუცია ხდება ადამიანთა გულში; ჩვენ ევოლუციის იარაღნი ვართ, და თუ არ ვიბრძოლებთ, არავითარი ევოლუცია არ იქნება. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენი მოძრაობა» (ომის წინააღმდეგ) «გასრესილი იქნება; მაგრამ მე გამოვთქვამ ჩემს ღრმა რწმენას, რომ დათრგუნვა ყოველგვარი აღშფოთებისა, რომლის მიზანია, უმაღლესი ჰუმანურობის მოტივებით, ხელი შეუშალოს ომს, იქნებოდა უდიდესი გამარჯვება, როგორიც კი სოციალიზმს როდისმე მოუპოვებია, — რომ ეს აღაშფო-

* Socialism and war. The Clarion Press, 44. Warship Street, London E. C.

თებდა ცივილიზაციის სინდისს და აამოძრავებდა მთელი მსოფლიოს მუშებს ისე, როგორც ისინი ისტორიაში ჯერ კიდევ არაფერს არ აუმოძრავებია. ნუ ვიქნებით გადაჭარბებით მშიშარანი ჩვენი მოძრაობის გამო, ნუ მივაწერთ ერთობ დიდ მნიშვნელობას ძალის რიცხვსა და გარეგნულ მოჩვენებითობას. ათასი ადამიანი, მგზნებარე რწმენის მქონე და გაბედული, უფრო ძლიერია, ვიდრე მილიონი, რომელიც ფრთხილი და დარბაისელი (რესპექტაბელური) გამხდარა. და სოციალისტური მოძრაობისათვის არ არსებობს იმაზე მეტი საფრთხე, ვიდრე ის საფრთხე, რომ მყარი დაწესებულება გახდეს».

როგორც ხედავთ, ეს არის გულუბრყვილო, თეორიულად მოუსაზრებელი, მაგრამ უაღრესად სწორი გაფრთხილება სოციალიზმის გაუგვანების გამო და მოწოდება რევოლუციური ბრძოლისაკენ.

რა პასუხს აძლევს სინკლერს ბლეჩფორდი?

ომს რომ კაპიტალისტური და მილიტარისტული ინტერესები იწვევენ, ყოველივე ეს მართალია, — ამბობს ის. და მე ყოველ სხვა სოციალისტზე ნაკლებად არ ვესწრაფვი მშვიდობიანობას და სოციალიზმის მიერ კაპიტალიზმის დაძლევას. მაგრამ სინკლერი «რიტორიკული და ლამაზი ფრაზებით» ვერ დამარწმუნებს, ვერ მოსპობს ფაქტებს. «ფაქტები, მეგობარო სინკლერ, — ჯიუტი რამ არის, ხოლო გერმანული საფრთხე ფაქტია». არც ჩვენ, არც გერმანელ სოციალისტებს არ ძალგვიძს ხელი შევუშალოთ ომს. სინკლერი უზომოდ აზვიადებს ჩვენს ძალებს. ჩვენ გაერთიანებული არა ვართ, არც ფული გვაქვს, არც იარაღი, «არც დისციპლინა». ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ დ ა ვ ე ხ მ ა რ ო თ ბრიტანეთის მთავრობას გაადიდოს თავისი ფლოტი, რადგან მშვიდობის სხვა გარანტია არ არის და არც შეიძლება იყოსო.

კონტინენტურ ევროპაში შოვინისტები არც ომამდე, არც მისი დაწყების შემდეგ არ გამოსულან ასე გულახდილად. გერმანიაში გულახდილობის ნაცვლად სუფევს კაუცკის თვალთმაქცობა და სოფიზმების თამაში; ასევე ითქმის პლე-

ხანოვზეც. სწორედ ამიტომ საგულისხმოა შევხედოთ უფრო განვითარებულ ქვეყანაში არსებულ ურთიერთობას. აქ სოფისტიკითა და მარქსიზმის კარიკატურით ვერავის მოატყუებ. საკითხები უფრო პირდაპირ და უფრო მართლად არის დასმული. ვისწავლოთ «მოწინავე» ინგლისელებისაგან.

სინკლერი გულუბრყვილოა თავისი მოწოდებით, თუმცა ეს მოწოდება მეტად მართალია თავის საფუძველში, — გულუბრყვილოა, რადგან უგულებელყოფს მასობრივი სოციალიზმის ნახევარსაუკუნოვან განვითარებას, მიმდინარეობათა ბრძოლას მასში, უგულებელყოფს რევოლუციური მოქმედების ზრდის პირობებს ობიექტურად-რევოლუციური სიტუაციისა და რევოლუციური ორგანიზაციის არსებობის დროს. ამას «გრძნობით» ვერ შეცვლი. სოციალიზმში არსებულ ძლიერ მიმდინარეობათა, ოპორტუნისტულ და რევოლუციურ მიმდინარეობათა, სასტიკ და ულმობელ ბრძოლას რიტორიკით გვერდს ვერ აუვლი.

ბლეჩფორდი პირდაპირ ლაპარაკობს და ამხელს იდუმალ საბუთს კაუცკიანელთა და მათი კომპანიისა, რომლებსაც სიმართლის თქმისა ეშინიათ. ჩვენ ჯერ კიდევ სუსტნი ვართ — ეს არის და ეს, — ამბობს ბლეჩფორდი. მაგრამ პირდაპირობით ის ერთბაშად ააშკარავებს და აშიშვლებს თავის ოპორტუნიზმს, თავის შოვინიზმს. ის რომ ბურჟუაზიასა და ოპორტუნისტებს ემსახურება, — ეს ერთბაშად ჩანს. სოციალიზმის «ს ი ს უ ს ტ ე ს» რომ აღიარებს, ის თ ვ ი თ ო ნ ა ს უ ს ტ ე ბ ს მას ანტისოციალისტური, ბურჟუაზიული, პოლიტიკის ქადაგებით.

სინკლერის მსგავსად, ოღონდ პირუკუ, როგორც ლაჩარი და არა როგორც მებრძოლი, როგორც მოღალატე და არა როგორც «გიჟურად გაბედული», ისიც უგულებელყოფს რევოლუციური სიტუაციის შექმნის პირობებს.

მაგრამ თავისი პრაქტიკული დასკვნებით, თავისი პოლიტიკით (უარისთქმა რევოლუციურ მოქმედებაზე, მის პროპაგანდასა და მომზადებაზე) ბლეჩფორდი, ვულგარული შოვინისტი, ს ა ვ ს ე ბ ი თ ჰგავს პლეხანოვსა და კაუცკის.

მარქსისტული სიტყვები ჩვენს დროში მარქსიზმისაგან სავსებით განდგომის საფარი გახდა; ვისაც სურს მარქსისტი იყოს, მან უნდა ამხილოს მეორე ინტერნაციონალის ბელადების «მარქსისტული თვალთმაქცობა», უშიშრად შეხედოს ორი მიმდინარეობის ბრძოლას სოციალიზმში, ბოლომდე მოისაზროს ამ ბრძოლის საკითხები. აი დასკვნა ინგლისური ურთიერთობიდან, რომელიც გვიჩვენებს საქმის მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ დედაარსს მარქსისტული სიტყვების გ ა რ ე შ ე.

დაწერილია 1915 წ. ივნისში

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. 27 ივლისს
გაზეთ «პრავდაში» № 169

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

როგორ აერთებენ რეაქციის დამჭაშოგბას დემოკრატიას თამაშთან?

კადეტური კრებული: «რას მოელის რუსეთი ომისაგან» (პეტროგრადი, 1915) მეტად სასარგებლო გამოცემას წარმოადგენს ლიბერალური ინტელიგენციის პოლიტიკის გასაცნობად. საკმაოდ ცნობილია, თუ როგორი შოვინისტები გახდნენ ჩვენი კადეტები და ლიბერალები; ჩვენი ჟურნალის ამ წიგნაკში ამ საკითხისადმი საგანგებო სტატიაა მიძღვნილი. მაგრამ აღნიშნულ კრებულში თავმოყრილი სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებნი ომთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებენ არა მარტო კადეტების პარტიის, არამედ საერთოდ ლიბერალური ინტელიგენციის როლს თანამედროვე იმპერიალისტურ პოლიტიკაში.

ასეთი ინტელიგენციისა და ამ პარტიის სპეციფიკური ფუნქციაა დაფაროს რეაქცია და იმპერიალიზმი ყოველგვარი დემოკრატიული ფრაზებით, დაპირებებით, სოფიზმებით, ფანდებით. კრებულის მთავარი სტატია: «რუსეთის ტერიტორიული მონაპოვარნი» ეკუთვნის კადეტების ბელადს ბ-ნ მილიუკოვს. აქ არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო გადმოცემული დ ე დ ა ა რ ს ი ახლანდელი ომისა რუსეთის მხრივ: მისწრაფება — ხელთ ჩაიგდოს გალიცია, წაართვას ავსტრიასა და გერმანიას პოლონეთის ნაწილები, თურქეთს — კონსტან-

ტინეპოლი, სრუტეები, სომხეთი. დემოკრატიულ საფარად მოშველიებულია ფრაზები «სლავობაზე», «მცირე ეროვნებათა» ინტერესებზე, გერმანიის მხრივ «ევროპის მშვიდობიანობისათვის დამუქრებაზე». მხოლოდ სავსებით გაკვრით, თითქმის უცაბედად, ერთ ფრაზაში ბ-მა მილიუკოვმა წამოაყრანტალა სიმართლე:

«აღმოსავლეთი გალიციის შემოერთებას დიდი ხანია ესწრაფვოდა რუსეთის ერთ-ერთი პარტია, რომელიც მხარდაჭერას პოულობდა გალიციის ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიაში, ე. წ. «მოსკვოფილებში»» (49). სწორედ! «რუსეთის ერთ-ერთი პარტია არის» ყველაზე რეაქციული პარტია, პურიშკევიჩები და მათი კომპანია, ბატონყმობის მომხრეთა პარტია, რომელსაც ცარიზმი მეთაურობს. ეს «პარტია» — ცარიზმი, პურიშკევიჩები და ა. შ. — დიდი ხანია ინტრიგებს აწყობდა გალიციაშიც, სომხეთშიც და სხვ., ამასთან არ იშურებდა მილიონებს «მოსკვოფილების» მოსასყიდად, არ ერიდებოდა არავითარ დანაშაულს «შემოერთების» მაღალი მიზნის გულისათვის. ომი არის ამ პარტიის «პოლიტიკის განგრძობა». ომმა ის სარგებლობა მოიტანა, რომ უკუაგდო ყოველი პირობითობა, ჩამოფხრიწა ყოველგვარი საბურველი, თვალნათლივ დაანახვა ხალხს სრული სიმართლე: მეფის მონარქიის შენარჩუნება ნიშნავს აუცილებლობას — გაიწიროს მილიონობით ადამიანის სიცოცხლე (და მილიარდობით სახალხო ფული) სხვა ხალხების დასამონებლად. სინამდვილეში კადეტების პარტია სწორედ ასეთ პოლიტიკას უჭერდა მხარს, სწორედ ამას ემსახურებოდა.

ეს სიმართლე არასასიამოვნოა ლიბერალური ინტელიგენტისათვის, რომელიც ჰუმანურ, თავისუფლებისმოყვარულ, დემოკრატიულ ადამიანად თვლის თავს და უღრმეს აღშფოთებას ეძლევა «ცილისწამების» გამო, თითქოს ის პურიშკევიჩების მსახური იყოს. მაგრამ ომმა ცხადყო, რომ ეს «ცილისწამება» ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტებაა.

ჩაიხედეთ კრებულის სხვა სტატიებში:

...«ჩვენი მომავალი შეიძლება ბედნიერი და ნათელი იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკა სამართლიანობის საწყისებზე იქნება დამყარებული. სიცოცხლის, მისი ღირებულების რწმენა ამავე დროს მშვიდობის ზეიმი იქნება» (215)... «რუსი ქალი, ხოლო მასთან ერთად მთელი მოაზროვნე კაცობრიობაც»... იმედოვნებს, რომ «ზავის დადებისას ყველა მეომარი სახელმწიფო... იქვე ხელს მოაწერს აგრეთვე ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ამიერიდან ყველა საერთაშორისო გაუგებრობა»... (აი სწორედ ნამდვილი სიტყვა! ეს იყო მხოლოდ «გაუგებრობა» სახელმწიფოთა შორის და მეტი არაფერი!)... «უნდა გადაწყდეს სამედიატორო გარჩევის გზით» (216)...

«რუსი ქალი — ხალხის წარმომადგენელი — შეიტანს ხალხში ქრისტიანული სიყვარულისა და ხალხთა ძმობის იდეებს» (216)... (აქ ცენზურას კიდევ ამოუღია მთელი სტრიქონნახევარი, ალბათ, განსაკუთრებით ექსტრა-«ჰუმანური», რაღაც თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის მაგვარი...)... «ვინც იცის, რომ ამ სტრიქონების დამწერს ყველაზე ნაკლებად შეიძლება დასწამო ნაციონალიზმი, ის საჭირო არ არის დაარწმუნო, რომ აქ განვითარებულ აზრებს სრულიად არ აქვთ დამოკიდებულება რაიმე ნაციონალურ განსაკუთრებულობასთან» (83)... «მხოლოდ ახლა შევიგნეთ, ვიგრძენით რეალურად, რომ თანამედროვე ომების დროს ჩვენ შეიძლება გვემუქრებოდეს არა მხოლოდ კოლონიების, თუნდაც მნიშვნელოვანი კოლონიების, დაკარგვა, ან წარუმატებლობა სხვა ხალხთა განთავისუფლებაში, არამედ თვით სახელმწიფოს დაშლა»... (147).

წაიკითხეთ და ჩაწვდით, თ უ რ ო გ ო რ კ ე თ დ ე ბ ა ე ს! ისწავლეთ, თუ როგორ ეწევა პოლიტიკას, ე. ი. როგორ სურს გაიყოლიოს თან მ ა ს ე ბ ი, ვითომდა დემოკრატიულმა პარტიამ!

პურიშკევიჩების კლასს რომ ემსახურო, საჭიროა ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში (ამ კლასის მიზნების სამხედრო

განხორციელების მომენტებში) დაეხმარო მას, ან «წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ა რ გ ა უ წ ი ო ო მ ს». და ამავე დროს «ხალხი», «მასა», «დემოკრატია» უნდა ა ნ უ გ ე შ ო კარგი სიტყვებით: სამართლიანობა, მშვიდობა, ნაციონალური განთავისუფლება, საერთაშორისო კონფლიქტების სამედიატორო გარჩევა, ხალხთა ძმობა, თავისუფლება, რეფორმები, დემოკრატია, საყოველთაო საარჩევნო უფლება და სხვ. და ამასთან სავალდებულოა მკერდში მჯიღის ცემა, ფიცი და ძახილი, რომ «ჩვენ» «ყველაზე ნაკლებად შეიძლება დაგვწამონ ნაციონალიზმი», რომ «ჩვენს» იდეებს «სრულიად არა აქვთ დამოკიდებულება რაიმე ნაციონალურ განსაკუთრებულობასთან», რომ ჩვენ მხოლოდ ვიბრძვით «სახელმწიფოს დაშლის» წინააღმდეგ!

აი როგორ «კეთდება ეს».

აი როგორ ეწევიან პოლიტიკას ლიბერალური ინტელიგენტები...

არსებითად, სრულიად ასევე, ოღონდ სხვა წრეში და ოდნავ შეცვლილი ფორმით, იქცევიან ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსები, დაწყებული «ნაშა ზარიათი», რომელიც ხალხსა და პროლეტარიატს ასწავლის «წინააღმდეგობა არ გაუწიონ ომს», განგრძობილი «ნაშე დელოთი», რომელიც ეთანხმება ბბ. პოტრესოვისა და მისი კომპანიის (№ 2, გვ. 19) და პლეხანოვის (№ 2, გვ. 103) შეხედულებებს, სრულიად უშენიშვნოდ ბეჭდავს აქსელროდის ასეთსავე აზრებს (№ 2, გვ. 107 — 110), განგრძობილი, შემდეგ, სემკოვსკით, რომელიც ომობს «დაშლის» წინააღმდეგ «ნაშე სლოვოში» და ორგანიზაციული კომიტეტის «იზვესტიაში», და გათავებული ჩხეიძის ფრაქციით, ორგანიზაციული კომიტეტითა და ბუნდით, რომლებიც თავდადებით იბრძვიან («ნაშე დელოს» ჯგუფთან) «გათიშვის» წინააღმდეგ. და ყველანი ისინი მომხრენი არიან მუშათა ძმობისა, მშვიდობისა, ინტერნაციონალიზმისა, ყოველივესი, რაც გნებავთ, ისინი ხელს მოაწერენ ყველაფერს, რაც გსურთ, მილიონჯერ უარყოფენ «ნაციონალიზმს», — ერთი «მცირე» პირობით: არ დაირღვეს

«ერთიანობა» ერთადერთ რეალურ (მთელი ამ კომპანიიდან) რუსულ პოლიტიკურ ჯგუფთან, რომელიც ჟურნალსა და გაზეთში მუშებს ასწავლიდა და ასწავლის ოპორტუნიზმს, ნაციონალიზმს, ომისადმი წინააღმდეგობის გაუწევ-ლობას.

აი როგორ «კეთდება ეს».

დაწერილია 1915 წ. ივნისში

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. იანვარში ჟურნალ «სპუტნიკ კომმუნისტას» სპეციალურ ნომერში «ნა ლენინსკომ პუტი»

ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გერმანული ოპორტუნიზმის მთავარი ფრთა ომის შესახებ

ედუარდ დავიდის წიგნი: «სოციალ-დემოკრატია მსოფლიო ომში» (ბერლინი, გამოცემა «Vorwärts *»-ისა, 1915) იძლევა იმ ფაქტების და საბუთების კარგ შენაჯამს, რომლებიც ეხება გერმანიის ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტაქტიკას ახლანდელ ომში. ახალი რამ წიგნში არაფერია იმათთვის, ვინც თვალყურს ადევნებდა ოპორტუნისტულ და საერთოდ გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წიგნი მეტად სასარგებლოა და არა მარტო როგორც ცნობარი. ვისაც სურს სერიოზულად ჩაუფიქრდეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მსოფლიო-ისტორიულ კრახს, ვისაც სურს ნამდვილად გაიგოს, თუ როგორ და რატომ მოხდა, რომ სოციალ-დემოკრატიის მოწინავე პარტია «უცბად» (ვითომ უცბად) მოგვევლინა გერმანიის ბურჟუაზიისა და იუნკრების ლაქიების პარტიად, ვისაც სურს ყურადღებით ჩაწვდეს მოარული სოფიზმების მნიშვნელობას, რომლებიც ამ კრახის გამართლებისა და დაფარვის საქმეს ემსახურებიან, — იმას ე. დავიდის მოსაწყენი წიგნი მოსაწყენად არ მოეჩვენება. არსებითად, დავიდს აქვს ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსის შეხედულებათა ერთგვარი მთლიანობა და რწმენა, რაც ოდნავადაც არა აქვს, მაგალითად, თვალთმაქც და «ქარის ამყოლ» კაუცკის.

დავიდი თავიდან ბოლომდე ოპორტუნისტია, გერმანული «ნაშე დელოს» — «სოციალისტური ყოველთვიურის» ძველისძველი თანამშრომელია, ავტორია სქელტანიანი წიგნისა

* — «წინ». რ ე დ.

აგრარულ საკითხზე, სადაც იოტის ოდენა სოციალიზმი და მარქსიზმი არ არის. თუ ამგვარი სუბიექტი, რომლის მთელი ცხოვრება მიძღვნილია მუშათა მოძრაობის ბურჟუაზიული გათახსირებისადმი, შეიძლებოდა გამხდარიყო პარტიის მრავალ, ასევე ოპორტუნისტულ, ბელადთაგან ერთ-ერთი ბ ე ლ ა დ ი, დეპუტატი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარლამენტური ფრაქციის გამგეობის («ფორშტანდის») წევრიც კი, მარტო ეს გარემოებაც აღგვიძრავს სერიოზულ ფიქრებს, თუ რა დიდი ხნიდან, ღრმად და ძლიერად წარმოებდა ლპობის პროცესი გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში.

დავიდის წიგნს არავითარი მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ავტორს საკითხის დასმაც კი არ შეუძლია ან არ სურს, — სახელდობრ: საკითხისა, თუ თანამედროვე საზოგადოების მთავარი კლასები როგორ ამზადებდნენ, ავითარებდნენ, ქმნიდნენ ათეული წლების განმავლობაში თავის ახლანდელ დამოკიდებულებას ომისადმი ა ს ე თ ი და ა ს ე თ ი პოლიტიკით, რომელიც ჩაქსოვილია ა ს ე თ და ა ს ე თ კლასობრივ ინტერესებში. დავიდისათვის სრულიად უცხოა ის აზრიც კი, რომ ასეთი გამოკვლევის მოუხდენლად ზედმეტია ლაპარაკი მარქსისტულ დამოკიდებულებაზე ომისადმი, და რომ მხოლოდ ასეთი გამოკვლევა შეიძლება წარმოადგენდეს ბაზას ომის მიმართ სხვადასხვა კლასის ი დ ე ო ლ ო გ ი ი ს შესასწავლად. დავიდი ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ა დ ვ ო კ ა ტ ი ა, რომელიც მთელ თავის გადმოცემას და ყველა თავის არგუმენტს უგუებს იმას, რომ გავლენა მოახდინოს მ უ შ ა თ ა აუდიტორიაზე, რომ დაუმალოს მას თავისი პოზიციის სუსტი პუნქტები, რომ ლიბერალური ტაქტიკა მისაღები გახადოს მუშებისათვის, რომ ჩაახშოს პროლეტარულ-რევოლუციური ინსტინქტები «დასავლეთის სახელმწიფოთა სოციალისტების ტაქტიკის» (სათაურია დავიდის წიგნის VII თავისა) ავტორიტეტული მაგალითების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით და ა. შ. და სხვ.

ამიტომ მთელი იდეური ინტერესი, რასაც დავიდის წიგნი წარმოადგენს, იმით განისაზღვრება, რომ ანალიზი გაკეთდეს, თუ როგორ უ ნ დ ა ელაპარაკებოდეს ბურჟუაზია მუშებს, რათა გ ა ვ ლ ე ნ ა მ ო ა ხ დ ი ნ ო ს მ ა თ ზ ე. ე. დავიდის იდეური პოზიციის დედაარსი ამ (ერთადერთი სწორი) თვალსაზრისით გამოიხატება მისი დებულებით: «ჩვენი ხმის მიცემის» (სამხედრო კრედიტებისათვის) «მნიშვნელობა» = «ა რ ა ო მ ი ს ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ, ა რ ა მ ე დ დ ა მ ა რ ც ხ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ» (გვ. 3, სათაური და წიგნის ბევრი ცალკეული ადგილი). ეს არის დავიდის მთელი წიგნის ლეიტმოტივი. ამისათვის არის «შერჩეული» იმის მაგალითებიც, თუ როგორ უყურებდნენ მარქსი, ენგელსი, ლასალი გერმანიის ნაციონალურ ომებს (თ. II), მონაცემებიც «სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა გიგანტური დაპყრობითი პოლიტიკის» შესახებ (თ. IV), ომის დიპლომატიური ისტორიაც (თ. V), რომელიც გერმანიის გამართლებას ლამობს იმ საბუთით, რომ ომის წინ მოხდა დეპეშების სასაცილოდ უმნიშვნელო და ასევე სასაცილოდ არასერიოზული ოფიციალური გაცვლა-გამოცვლა, და ა. შ. ცალკე თავში (VI), «საფრთხის სიდიდე», მოყვანილია მოსაზრებანი და მონაცემები სამთა შეთანხმების ძალთა სიჭარბეზე, ცარიზმის რეაქციულობაზე და სხვ. დავიდი, რასაკვირველია, სავსებით ემხრობა მ შ ვ ი დ ო ბ ა ს. თავისი წიგნის წინასიტყვაობას, რომელიც დათარიღებულია 1915 წლის 1 მაისით, ავტორი ათავებს ლოზუნგით: «მშვიდობა ქვეყნად!». დავიდი, რასაკვირველია, ინტერნაციონალისტია: გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, წარმოიდგინეთ, «არ უღალატნია ინტერნაციონალის სულისათვის» (8), იგი «ებრძოდა ხალხთა შორის სიძულვილის შხამის თესვას» (8), «ომის პირველი დღიდანვე აცხადებდა, რომ პრინციპულად მზად არის ზავისათვის თავისი ქვეყნის უშიშროების მიღწევისთანავე» (8).

დავიდის წიგნი განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებს, რომ ლიბერალური ბურჟუები (და მათი აგენტები მუშათა

მოძრაობაში, ე. ი. ოპორტუნისტები) მზად არიან, რათა გავლენა მოახდინონ მუშებზე და საერთოდ მასებზე, რამდენიც გნებავთ დაიფიცონ თავისი ინტერნაციონალიზმი, ზავის პროგრამის მიღება, ომის დაპყრობით მიზნებზე უარისთქმა, შოვინიზმის დაგმობა და სხვ. და ა. შ. ყველაფერი, რაც გნებავთ, — გ ა რ დ ა რევოლუციური მოქმედებისა თავისი მთავრობის წინააღმდეგ; ყველაფერი, რაც გნებავთ, — ოღონდ «იყვნენ დამარცხების წინააღმდეგ». და მართლაც, ეს იდეოლოგია, მათემატიკის ენით რომ ვთქვათ, სწორედ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი დ ა ს ა ქ მ ა რ ი ს ი ა მუშების გასაბრიყვებლად: ნაკლებს ვერ შესთავაზებ მათ, რადგან ვერ გაიყოლიებ მასებს, თუ მათ არ შეპირდი სამართლიან ზავს, თუ ისინი არ დააშინე შემოსევის საფრთხით, თუ არ დაიფიცე ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება; მეტის შეთავაზება ს ა ჭ ი რ ო ა რ ა რ ი ს, რადგან მეტს, — ე. ი. კოლონიების დაპყრობას, სხვისი მიწების ანექსიას, დაძლეული ქვეყნების ძარცვას, ხელსაყრელ სავაჭრო ხელშეკრულებათა მიღწევას და სხვ. — განახორციელებს ა რ ა ლიბერალური ბურჟუაზია უშუალოდ, არამედ იმპერიალისტურ-მილიტარისტული, სამხედრო-მმართველი ხროვა ომის შ ე მ დ ე გ.

როლები სწორად არის განაწილებული: მთავრობა და სამხედრო ხროვა, რომლებიც ემყარებიან მილიარდერებს, მთელ «საქმიან» ბურჟუაზიას, აწარმოებენ ომს, — ლიბერალები კი ანუგეშებენ და აბრიყვებენ მასებს ომის ნაციონალურ-თავდაცვითი იდეოლოგიით, დემოკრატიული ზავის დაპირებით და ა. შ. სწორედ ლიბერალური, ჰუმანური, პაციფისტური ბურჟუების იდეოლოგია არის ე. დავიდის იდეოლოგია, ისევე როგორც იდეოლოგია ორგანიზაციული კომიტეტის რუსი ოპორტუნისტებისა, რომლებიც იბრძვიან დამარცხების სასურველობის წინააღმდეგ, რუსეთის დაშლის წინააღმდეგ, ზავის ლოზუნგისათვის და სხვ.

პრინციპული, სხვანაირი, არა ლიბერალური ტაქტიკა იწყება მხოლოდ იქ, სადაც იწყება კავშირის გადაჭრით

გაწყვეტა ომში მონაწილეობის გამართლების ყ ო ვ ე ლ სახეობასთან, სადაც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ წარმოებს, ომის დროს და ომის სიძნელეთა გამოყენების გზით, საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციური მოქმედების პროპაგანდისა და მომზადების პოლიტიკა. დავიდი მ ი დ ი ს ამ საზღვართან, ნამდვილ საზღვართან ბურჟუაზიულ და პროლეტარულ პოლიტიკას შორის, მაგრამ მიდის მხოლოდ იმისათვის, რომ მიჩქმალოს არასასიამოვნო თემა. ის რამდენიმეჯერ იხსენებს ბაზელის მანიფესტს, მაგრამ გულმოდგინედ უვლის გვერდს მის ყველა რევოლუციურ ადგილს, ის იხსენებს, თუ როგორ მოუწოდებდა ვალიანი ბაზელში «სამხედრო გაფიცვისა და სოციალური რევოლუციისაკენ» (გვ. 119), მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ დ ა ი ც ვ ა ს თავისი თავი შოვინისტ ვალიანის მაგალითით, და არა იმისათვის, რომ მოიყვანოს და გაარჩიოს თვით ბაზელის კონგრესის რეზოლუციის რევოლუციური მითითებანი.

დავიდი ბეჭდავს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მანიფესტის საკმაოდ დიდ ნაწილს, მათ შორის მის მთავარ ლოზუნგს, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგს, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ გამოაცხადოს ეს, «რუსული», ტაქტიკა «სიგიჟედ» და «ინტერნაციონალის გადაწყვეტილებათა უხეშ დამახინჯებად» (169, 172). ეს, წარმოიდგინეთ, არის ერვეიზმი (გვ. 176): ერვეს წიგნი «შეიცავს ლენინის, ლუქსემბურგის, რადეკის, პანეკუკის და სხვათა მთელ თეორიას». ხომ არ არის «ერვეიზმი», დიდად კეთილო დავიდ, ბაზელის რეზოლუციის და «კომუნისტური მანიფესტის» რევოლუციურ ადგილებში? «კომუნისტური მანიფესტის» გახსენება ისევე არასასიამოვნოა დავიდისათვის, როგორც არასასიამოვნოა სემკოვსკისათვის ჩვენი ჟურნალის სახელწოდება, რომელიც მას მოაგონებს, რომ «მუშებს სამშობლო არა აქვთ». «კომუნისტური მანიფესტის» ეს დებულება, დავიდის რწმენით, «დიდი ხანია გაბათილებულია» (გვ. 176 და სხვ.). ეროვნების საკითხზე დავიდი მთელ, დასკვნითს, თავში გვთავაზობს ყოვლად უხამს

ბურჟუაზიულ აბდაუბდას «დიფერენცირების ბიოლოგიური კანონის» (!!) შესახებ და სხვ.

ინტერნაციონალური არ ნიშნავს ანტინაციონალურს, ჩვენ ერების თვითდამკვიდრების უფლების მომხრენი ვართ, ჩვენ სუსტი ერების მიმართ ძალადობის წინააღმდეგი ვართ, — ირწმუნება დავიდი, არ ესმის რა (ან, უფრო სწორად, თავს ისე მოგვაჩვენებს, თითქოს არ ესმოდეს) ის, რომ სწორედ იმპერიალისტურ ომში მონაწილეობის გამართლება, სწორედ ამ ომში წამოყენება ლოზუნგისა «დამარცხების წინააღმდეგ», — ნიშნავს იმას, რომ იყო არა მარტო ანტისოციალისტური, არამედ ანტინაციონალური პოლიტიკოსიც. ვინაიდან თანამედროვე იმპერიალისტური ომი არის დიდმპყრობელ (= მთელი რიგი სხვა ერების მჩაგვრელ) ხალხთა ომი ახალი ერების ჩ ა გ ვ რ ი ს ა თ ვ ი ს. არ შეიძლება «ნაციონალური» იყო იმპერიალისტურ ომში ისე, თუ არა ხარ სოციალისტური პოლიტიკოსი, ე. ი. ისე, თუ არ ცნობ ჩაგრული ერების განთავისუფლების, მათ მჩაგვრელ დიდ სახელმწიფოთაგან გამოყოფის უფლებას. იმპერიალიზმის ეპოქაში არ შეიძლება იყოს სხვაგვარი ხ ს ნ ა მსოფლიოს ერთა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, თუ არა დიდმპყრობელი ერების პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედება, რომელიც სცილდება ეროვნების ჩარჩოებს, ამსხვრევს ამ ჩარჩოებს, ამხობს ინტერნაციონალურ ბურჟუაზიას. ასეთი დამხობა თუ არ მოხდა, ისე დარჩებიან დიდმპყრობელი ერები, ე ს ე ი გ ი დარჩება მთელი მსოფლიოს ერების ცხრა მეათედის ჩაგვრა. ასეთი დამხობა კი უდიდესი მასშტაბით დააჩქარებს ყველა და ყოველგვარი ნაციონალური ზ ღ უ დ ი ს დაცემას და ამით კი არ შეამცირებს, არამედ მილიონჯერ გაადიდებს კაცობრიობის «დიფერენცირებას» სულიერი ცხოვრების და იდეურ მიმდინარეობათა, მისწრაფებათა, ელფერთა სიმდიდრისა და მრავალფეროვნების აზრით.

დაწერილია 1915 წ. ივნის-ივლისში
პირველად დაიბეჭდა 1924 წ. 27 ივლისს
გაზეთ «პრავდაში» № 169

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

თავისი მთავრობის დამარცხებაზე იმპერიალისტურ ომში

რევოლუციურ კლასს რეაქციულ ომში არ შეუძლია არ უსურვოს დამარცხება თავის მთავრობას.

ეს აქსიომაა. და მას საკამათოდ თვლიან მხოლოდ სოციალ-შოვინისტების შეგნებული მომხრეები ან მათი უმწეო დამქაშები. პირველთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, სემკოვსკი ორგანიზაციული კომიტეტიდან (მისი «იზვესტია», № 2), მეორეთა რიცხვს — ტროცკი და ბუკვოედი [109], ხოლო გერმანიაში კაუცკი. რუსეთის დამარცხების სურვილი, — წერს ტროცკი, — არის «ისეთი დათმობა სოციალ-პატრიოტიზმის პოლიტიკური მეთოდოლოგიისადმი, რაც არაფრით არ არის გამოწვეული და არაფრით არ გამართლდება; ეს სოციალ-პატრიოტიზმი რევოლუციურ ბრძოლას ომისა და მისი წარმომშობი პირობების წინააღმდეგ ცვლის მოცემულ პირობებში მეტად თვითნებური ორიენტაციით — ნაკლები ბოროტების ხაზის ორიენტაციით» («ნაშე სლოვო», № 105).

აი ნიმუში გაბერილი ფრაზებისა, რომლებითაც ტროცკი ყოველთვის ამართლებს ოპორტუნიზმს. «რევოლუციური ბრძოლა ომის წინააღმდეგ» არის ცარიელი და უშინაარსო წამოძახილი, რაშიც ასეთი დიდი ოსტატები არიან II ინტერნაციონალის გმირები, თუ ამ ბრძოლაში არ ვიგულისხმეთ რევოლუციური მოქმედება ს ა კ უ თ ა რ ი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს წინააღმდეგ ომის დროსაც. საკმარისია ოდნავ ჩაფიქრდე, რომ ეს გაიგო. ხოლო რევოლუციური მოქმედება ომის დროს საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ, უეჭველია, უდავოა, ნიშნავს

არა მარტო სურვილს, რომ იგი დამარცხდეს, არამედ იმასაც, რომ ნამდვილად ხელი შეუწყო ამ დამარცხებას. («გონებაგამჭრიახი მკითხველისათვის»: ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ უნდა «ააფეთქო ხიდები», მოაწყო უხეირო სამხედრო გაფიცვები და საერთოდ დაეხმარო მთავრობას — დაამარცხოს რევოლუციონერები).

ფრაზებით რომ თავს იძვრენს, ტროცკის სამ ფიჭვს შორის გზა დაებნა. მას ჰგონია, რომ რუსეთის დამარცხების სურვილი ნიშნავს გერმანიის გამარჯვების სურვილს (ბუკვოედი და სემკოვსკი უფრო აშკარად გამოთქვამენ თავის ამ, ტროცკისთან საერთო, «აზრს», უფრო სწორედ: უაზრობას). და ამაში ხედავს ტროცკი «სოციალ-პატრიოტიზმის მეთოდოლოგიას»! იმ ადამიანთა დასახმარებლად, რომლებსაც ფიქრის უნარი არ შესწევთ, ბერნის რეზოლუციამ («სოციალ-დემოკრატი», № 40) * განმარტა: ყველა იმპერიალისტურ ქვეყანაში პროლეტარიატმა ახლა უნდა ისურვოს თავისი მთავრობის დამარცხება. ბუკვოედმა და ტროცკიმ ამჯობინეს გვერდი აევლოთ ამ ჭეშმარიტებისათვის, ხოლო სემკოვსკიმ (ოპორტუნისტმა, რომელსაც ყველაზე მეტი სარგებლობა მოაქვს მუშათა კლასისათვის ბურჟუაზიული სიბრძნეთასიბრძნის აშკარა და გულუბრყვილო განმეორებით), სემკოვსკიმ «წარმტაცად წამოროშა»: ეს უაზრობაა, ვინაიდან შეიძლება ან გერმანიამ გაიმარჯვოს, ან რუსეთმაო («იზვესტია», № 2).

აიღეთ კომუნის მაგალითი. გერმანიამ დაამარცხა საფრანგეთი, ხოლო ბისმარკმა და ტიერმა დაამარცხეს მუშები!! ბუკვოედი და ტროცკი რომ დაფიქრებულიყვნენ, დაინახავდნენ, რომ ისინი დგანან მთავრობათა და ბურჟუაზიის ომის თვალსაზრისზე, ე. ი. მლიქვნელობენ «სოციალ-პატრიოტიზმის პოლიტიკური მეთოდოლოგიის» წინაშე, ტროცკის ღვლარჭნილი ენით რომ ვილაპარაკოთ.

რევოლუცია ომის დროს არის სამოქალაქო ომი, ხოლო მთავრობათა ომის **გადაქცევა** სამოქალაქო ომად, ერთი

* იხ. ეს ტომი, გვ. 186. რედ.

მხრივ, ადვილდება მთავრობათა სამხედრო წარუმატებლობით (დამარცხებით), ხოლო მეორე მხრივ, — **შეუძლებელია** სინამდვილეში ესწრაფვო ასეთ გადაქცევას, თუ ხელი არ შეუწყვე დამარცხებას.

დამარცხების «ლოზუნგს» სწორედ იმიტომ უარყოფენ შოვინისტები (ორგანიზაციულ კომიტეტთან, ჩხეიძის ფრაქციასთან ერთად), რომ ომის დროს მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ეს ლოზუნგი ნიშნავს თანმიმდევრულ მოწოდებას რევოლუციური მოქმედებისაკენ თავისი მთავრობის წინააღმდეგ. ხოლო ასეთი მოქმედების გარეშე მილიონობით ურრრევოლუციურესი ფრაზა «ომისა და პირობების და სხვათა» წინააღმდეგ ომის შესახებ გახვრეტილ გროშად არ ღირს.

ვისაც სერიოზულად სურს გააბათილოს იმპერიალისტურ ომში თავისი მთავრობის დამარცხების «ლოზუნგი», მან უნდა დაამტკიცოს ერთ-ერთი შემდეგი სამი რამედან: ან 1) რომ 1914 — 1915 წლების ომი რეაქციული არ არის; ან 2) რომ რევოლუცია ამ ომთან დაკავშირებით შეუძლებელია; ან 3) რომ ყ ვ ე ლ ა მეომარ ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის შესაბამისობა და ურთიერთხელშეწყობა შეუძლებელია. ამ უკანასკნელ მოსაზრებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, ვინაიდან ის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა, სადაც სოციალისტური რევოლუცია უშუალოდ შეუძლებელია. სწორედ ამიტომ რუსი სოციალ-დემოკრატები პირველნი უნდა გამოსულიყვნენ დამარცხების «ლოზუნგის» «თეორიითა და პრაქტიკით». და მეფის მთავრობა სავსებით მართალი იყო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის აგიტაცია — ე რ თ ა დ ე რ თ ი ნიმუში ინტერნაციონალში არა მარტო პარლამენტური ოპოზიციისა, არამედ ნამდვილად რევოლუციური აგიტაციისაც მასებში თავისი მთავრობის წინააღმდეგ — რომ ეს აგიტაცია ასუსტებდა რუსეთის «სამხედრო ძლიერებას», ხელს უწყობდა მის დამარცხებას. ეს ფაქტია. ჭკვიანური არ არის ამაზე თვალის დახუჭვა.

დამარცხების ლოზუნგის მოწინააღმდეგეებს აშკარად ეშინიათ თავიანთი თავისა, როცა არ სურთ პირდაპირ შეხედონ უცხადეს ფაქტს, რომ რევოლუციური აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ განუყრელად დაკავშირებულია მისი დამარცხებისათვის ხელისშეწყობასთან.

შეიძლება თუ არა ერთმანეთს შეესაბამებოდეს და ხელს უწყობდეს რუსეთში რევოლუციური მოძრაობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აზრით და დასავლეთში სოციალისტური მოძრაობა? ამაში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არ დაეჭვებულა არც ერთი სოციალისტი, რომელსაც კი საჯაროდ გამოუთქვამს თავისი აზრი, და ავსტრიის პროლეტარიატში 1905 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ გაჩაღებულმა მოძრაობამ ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ დაამტკიცა ეს შესაძლებლობა.

კითხეთ ყოველ სოციალ-დემოკრატს, რომელიც თავის თავს ინტერნაციონალისტს უწოდებს: თანაუგრძნობს თუ არა ის სხვადასხვა მეომარი ქვეყნის სოციალ-დემოკრატების შეთანხმებას ყველა მეომარი მთავრობის წინააღმდეგ ერთობლივი რევოლუციური მოქმედების შესახებ? ბევრი გვიპასუხებს, რომ ეს შეუძლებელია, როგორც გვიპასუხა კაუცკიმ («**Neue Zeit**», 1914 წლის 2 ოქტომბერი), რითაც ს ა ვ ს ე ბ ი თ დ ა ა მ ტ კ ი ც ა თავისი სოციალ-შოვინიზმი. ვინაიდან, ერთი მხრივ, ეს შეგნებულად ნათქვამი აშკარად მღალადებელი სიცრუეა, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და ბაზელის მანიფესტს. ხოლო, მეორე მხრივ, ეს რომ სიმართლე იყოს, მ ა შ ი ნ ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ ე ბ ი ბ ე ვ რ რ ა მ ე შ ი მ ა რ თ ა ლ ნ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ნ ე ნ!

ბევრი გვიპასუხებს, რომ თანაუგრძნობს. და მაშინ ჩვენ ვიტყვით: თუ ეს თანაგრძნობა თვალთმაქცური არ არის, სასაცილოა იმის ფიქრი, თითქოს ომში და ომისათვის საჭირო იყოს შეთანხმება «ფორმის მიხედვით»: წარმომადგენელთა არჩევა, შეხვედრა, ხელშეკრულების ხელმოწერა, დღისა და საათის დანიშვნა! ასე ფიქრი მხოლოდ სემკოვსკებს შეუ-

ძლიათ. შეთანხმება რევოლუციური მოქმედების შესახებ ერთ ქვეყანაშიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელ რიგ ქვეყნებზე, შეიძლება განხორციელდეს მ ხ ო ლ ო დ სერიოზული რევოლუციური მოქმედების, მისი დ ა წ ყ ე ბ ი ს, მისი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს მ ა გ ა ლ ი თ ი ს ძალით. ხოლო ასეთი დაწყება ისევ და ისევ შეუძლებელია, თუ დამარცხების სურვილი არა გაქვს და თუ ხელს არ უწყობ ამ დამარცხებას. იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა არ შეიძლება «გაკეთდეს», ისევე როგორც არ შეიძლება რევოლუციის «გაკეთება», — მას წ ა რ მ ო შ ო ბ ე ნ იმპერიალისტური ომის მთელი რიგი მრავალფეროვანი მოვლენები, მხარეები, ნიშნები, თვისებები, შედეგები. და ასეთი წარმოშობა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ისე, თუ მთელი რიგი სამხედრო წარუმატებლობანი და დამარცხებანი არ განიცადეს იმ მთავრობებმა, რომლებსაც ებრძვიან მ ა თ ი საკუთარი ჩაგრული კლასები.

დამარცხების ლოზუნგზე უარისთქმა იმას ნიშნავს, რომ გადააქციო შენი რევოლუციურობა ცარიელ ფრაზად ან მარტოოდენ თვალთმაქცობად.

და რას გვთავაზობენ დამარცხების «ლოზუნგის» ნაცვლად? ლოზუნგს: «არც გამარჯვება, არც დამარცხება» (სემკოვსკი, «იზვესტია» № 2. ასევე მ თ ე ლ ი ორგანიზაციული კომიტეტი № 1-ში). მაგრამ ეს ხომ სხვა არაფერია, თუ არა «ს ა მ შ ო ბ ლ ო ს დ ა ც ვ ი ს» ლოზუნგის სხვანაირად გამოთქმა! ეს არის სწორედ საკითხის გადატანა მთავრობათა ომის სფეროში (რომლებიც, ლოზუნგის შინაარსის მიხედვით, უნდა დ ა რ ჩ ნ ე ნ ძველ მდგომარეობაში, რომლებმაც «უნდა შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები»), და არა თავის მთავრობათა წინააღმდეგ ჩაგრულ კლასთა ბ რ ძ ო ლ ი ს სფეროში! ეს არის გამართლება ყ ვ ე ლ ა იმპერიალისტური ერის შოვინიზმისა, რომელთა ბურჟუაზია ყოველთვის მზად არის თქვას, — დ ა ე უ ბ ნ ე ბ ა ხ ა ლ ხ ს, — რომ იგი იბრძვის «მხოლოდ» «დამარცხების წინააღმდეგ». «ჩვენი 4 აგვისტოს ხმის მიცემის აზრია: არა ომის სასარგებლოდ, არამედ **დამარცხების წი-**

ნააღმდეგო», — წერს ოპორტუნისტების ბელადი ე. დავიდი თავის წიგნში. «ოკისტები», ბუკვოედთან და ტროცკისთან ერთად, სავსებით დგებიან დავიდის პოზიციაზე, როცა იცავენ ლოზუნგს: არც გამარჯვება, არც დამარცხება!

ეს ლოზუნგი, თუ მას ჩაუფიქრდით, ნიშნავს «სამოქალაქო ზავს», ჩაგრული კლასის კლასობრივ ბრძოლაზე უარისთქმას ყველა მეომარ ქვეყანაში, ვინაიდან კლასობრივი ბრძოლა შეუძლებელია ისე, თუ არ დაარტყი «თავის» ბურჟუაზიას და «თავის» მთავრობას, ხოლო ომის დროს თავისი მთავრობისათვის დარტყმა არის სახელმწიფო ღალატი (ბუკვოედის საყურადღებოდ!), არის თავისი ქვეყნის დამარცხების ხელშეწყობა. ვინც აღიარებს ლოზუნგს «არც გამარჯვება, არც დამარცხება», მას მხოლოდ თვალთმაქცურად შეუძლია იყოს კლასობრივი ბრძოლის მომხრე, «სამოქალაქო ზავის დარღვევის» მომხრე, ის სინამდვილეში უარყოფს დამოუკიდებელ, პროლეტარულ პოლიტიკას და ყველა მეომარი ქვეყნის პროლეტარიატს უმორჩილებს სავსებით ბურჟუაზიულ ამოცანას: დაიცვან დამარცხებისაგან არსებული იმპერიალისტური მთავრობანი. «სამოქალაქო ზავის» ნამდვილად და არა სიტყვიერად დარღვევის, კლასობრივი ბრძოლის აღიარების ერთადერთი პოლიტიკა არის პოლიტიკა პროლეტარიატის მიერ თავისი მთავრობის და თავისი ბურჟუაზიის სიძნელეთა გამოყენებისა მათ დასამხობად. ამის მიღწევა კი არ შეიძლება, ამას არ შეიძლება ეს წრაფვოდე, თუ არ გსურს თავისი მთავრობის დამარცხება, თუ ხელს არ შეუწყობ ამ დამარცხებას.

როდესაც იტალიელმა სოციალ-დემოკრატებმა ომის წინ დასვეს მასობრივი გაფიცვის საკითხი, ბურჟუაზიამ მათ უპასუხა — მისი თვალსაზრისით უთუოდ სწორად: ეს სახელმწიფო ღალატი იქნება, და თქვენ მოგეპყრობიან, როგორც მოღალატეებსო. ეს მართალია, ისევე როგორც მართალია ის, რომ სანგრებში დაძმობილება არის სახელმწიფო ღალატი. ვინც წერს «სახელმწიფო ღალატის» წინააღმდეგ, როგორც

ბუკვოედი, «რუსეთის დაშლის» წინააღმდეგ, როგორც სემკოვსკი, ის დგას არა პროლეტარულ, არამედ ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე. პროლეტარს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა კლასობრივი დარტყმა არ აწვნიოს თავის მთავრობას, არ გაუწოდოს (ნამდვილად) ხელი თავის ძმას, «უცხო», «ჩვენთან» მეომარი ქვეყნის პროლეტარს, ისე, თუ ა რ ჩ ა ი დ ი ნ ა «სახელმწიფო ღალატი», თუ ხ ე ლ ი ა რ შ ე უ წ ყ ო «თავისი» «დიდი» იმპერიალისტური სახელმწიფოს დამარცხებას და თუ არ დაეხმარა მის დ ა შ ლ ა ს.

ვინც მხარს უჭერს ლოზუნგს «არც გამარჯვება, არც დამარცხება», ის შეგნებული თუ შეუგნებელი შოვინისტია, ის უკეთეს შემთხვევაში არის შემარიგებელი წვრილი ბურჟუა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში პროლეტარული პოლიტიკის მ ტ ე რ ი, ახლანდელ მთავრობათა, ახლანდელ გაბატონებულ კლასთა მომხრე.

შევხედოთ საკითხს კიდევ ერთი მხრით. ომმა არ შეიძლება არ გამოიწვიოს მასებში გრძნობათა ქარიშხალი, რომელიც არღვევს მძინარა ფსიქიკის ჩვეულებრივ მდგომარეობას. და თუ ამ ახალ გრძნობათა ქარიშხალს არ შეესაბამება, ისე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა რევოლუციური ტაქტიკა.

როგორია ამ გრძნობათა მღელვარების მთავარი ნაკადები? 1) ძრწოლა და სასოწარკვეთილება. აქედან — რელიგიის გაძლიერება. ეკლესიები კვლავ გაივსოო — ზეიმობენ რეაქციონერები. «სადაც ტანჯვაა, იქ რელიგიაც არისო», — ამბობს არქირეაქციონერი ბარესი. და ის მართალია. 2) სიძულვილი «მტრისადმი» — გრძნობა, რასაც აღვივებს საგანგებოდ ბურჟუაზია (არა იმდენად ხუცები) და რაც **მხოლოდ მისთვისაა** ხელსაყრელი ეკონომიურად და პოლიტიკურად. 3) სიძულვილი თ ა ვ ი ს ი მთავრობისადმი და თ ა ვ ი ს ი ბურჟუაზიისადმი — გრძნობა ყველა შეგნებული მუშისა, რომლებსაც, ერთი მხრივ, ესმით, რომ ომი არის იმპერიალიზმის «პოლიტიკის განგრძობა», და რომლებიც მას უპასუხებენ თავიანთი კლასობრივი მტრისადმი თავიანთი სიძულვილის «განგრძო-

ბით», ხოლო მეორე მხრივ, ესმით, რომ «ომი ომს» არის უგვანო ფრაზა თ ა ვ ი ს ი მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციის მოუხდენლად. არ შეიძლება აღაგზნო სიძულვილი თავისი მთავრობისადმი და თავისი ბურჟუაზიისადმი, თუ არ გსურს მათი დამარცხება, — და არ შეიძლება იყო «სამოქალაქო (=კლასობრივი) ზავის» ა რ ათვალთმაქცი მოწინააღმდეგე, თუ არ აღაგზნე სიძულვილი თავისი მთავრობისადმი და თავისი ბურჟუაზიისადმი!!

ლოზუნგის — «არც გამარჯვება, არც დამარცხება» მომხრენი ფაქტიურად დგანან ბურჟუაზიისა და ოპორტუნისტების მხარეზე, მათ «არ სწამთ» თავის მთავრობათა წინააღმდეგ მუშათა კლასის ინტერნაციონალური რევოლუციური მოქმედების შესაძლებლობა, ა რ ა ს უ რ თ ხელი შეუწყონ ასეთი მოქმედების განვითარებას — უეჭველია, არა ადვილ, მაგრამ პროლეტარის ერთადერთ შესაფერისს, ერთადერთ სოციალისტურ ამოცანას. მეომარ დიდ სახელმწიფოთაგან სწორედ ყველაზე ჩამორჩენილი სახელმწიფოს პროლეტარიატი, განსაკუთრებით გერმანელი და ფრანგი სოციალ-დემოკრატების სამარცხვინო ღალატის გამო, უნდა გამოსულიყო თავისი პარტიის სახით რევოლუციური ტაქტიკით, რომელიც აბსოლუტურად შეუძლებელია ისე, თუ «ხელი არ შეუწყვე» თავისი მთავრობის «დამარცხებას», მაგრამ რომელსაც მხოლოდ ერთს მივყავართ ევროპის რევოლუციისაკენ, სოციალიზმის მტკიცე მშვიდობისაკენ, ამჟამად გამეფებული საშინელების, გაჭირვებისა, გაველურებისა და გამხეცებისაგან კაცობრიობის ხსნისაკენ.

«სოციალ-დემოკრატი» № 43,
1915 წ. 26 ივლისი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

საქმეთა მდგომარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში

ორგანიზაციული კომიტეტის «იზვესტიას» და «ნაშე დელოს» მეორე ნომრები განსაკუთრებით საგულისხმოდ და თვალსაჩინოდ განმარტავენ ამ მდგომარეობას. ორივე გამოცემა, თვითეული თავისებურად, მათი გამოსვლის ადგილთა სხვადასხვაობისა და მათი პოლიტიკური დანიშნულების მიხედვით, მტკიცე ნაბიჯით მიდის სოციალ-შოვინიზმის დამკვიდრების გზით.

«ნაშე დელო» არათუ არ იუწყება არავითარ უთანხმოებას თუ ნაირსახეობას, რაც რედაქციის შიგნით არსებობს, არათუ არ იღებს სულ მცირედ ხმას «პოტრესო

დელოს» რედაქცია ამრიგად, ჯერ ერთი, აკურთხებს რუსეთის შოვინიზმს და, მეორეც, გამოთქვამს მზადყოფნას — «ამნისტია გამოუცხადოს» და შეურიგდეს ინტერნაციონალურ სოციალ-შოვინიზმს.

განყოფილებაში «რუსეთში და საზღვარგარეთ» გადმოცემულია პლეხანოვისა და აქსელროდის შეხედულებანი, რომლებსაც რედაქცია (სავსებით მართებულად) სრულიად არ განასხვავებს ერთმანეთისაგან. სპეციალურ შენიშვნაში ისევ და ისევ რ ე დ ა ქ ც ი ი ს ს ა ხ ე ლ ი თ (გვ. 103) ნათქვამია, რომ პლეხანოვის შეხედულებანი «ბევრი მხრივ თანაემთხვევა «ნაშე დელოს» შეხედულებებსო».

სურათი ცხადზე უცხადესია. ლეგალისტების იმ «მიმდინარეობამ», რომელიც განსახიერებულია «ნაშე დელოში» და, ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ათასნაირი კავშირის მეოხებით, მთელი «ბრიუსელის ბლოკიდან» ერთადერთი წარმოადგენდა რეალობას რუსეთში 1910 — 1915 წლების მანძილზე, — სავსებით განამტკიცა და დაამთავრა თავისი ოპორტუნისტული განვითარება, ბედნიერად შეავსო რა ლიკვიდატორობა სოციალ-შოვინიზმით. იმ ჯგუფის ნამდვილი პროგრამა, რომელიც 1912 წლის იანვარში გარიცხულია ჩვენი პარტიიდან [110], გამდიდრდა კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი, პუნქტით: მუშათა კლასში იმ იდეების გავრცელება, რომ აუცილებელია შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ, თუნდაც ომების ფასად, ველიკორუსი მემამულეებისა და ბურჟუაზიის დიდმპყრობელური უპირატესობანი და პრივილეგიებიო.

ამ პოლიტიკური რეალობის დაფარვა «მემარცხენე» ფრაზებით და ვითომდა სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიით — ასეთია ჩხეიძის ფრაქციის ლეგალური საქმიანობისა და ორგანიზაციული კომიტეტის არალეგალური საქმიანობის ნამდვილი პოლიტიკური აზრი. იდეური მხრივ ლოზუნგი: «არც გამარჯვება, არც დამარცხება», პრაქტიკული მხრივ «გამთიშველობასთან» ბრძოლა, რომლითაც გაჟღენთილია № 2 «იზვესტიას» გადაჭრით ყ ვ ე ლ ა სტატია, მეტადრე მარტოვის,

ინოვისა და მაშინაძის სტატიები, — აი «ნაშე დელოსთან» და პლეხანოვთან «ზავის» საქმიანი და სავსებით სწორი (ოპორტუნისტების თვალსაზრისით) პროგრამა. წაიკითხეთ «ყოფილი რევოლუციონერის» ბ-ნ ალექსინსკის წერილი «რეჩის» № 143-ში (1915 წლის 27 მაისისა) «ქვეყნის თავდაცვაზე», როგორც «დემოკრატიის ამოცანაზე», — და თქვენ დაინახავთ, რომ ახლანდელი შოვინისტის პლეხანოვის ეს ერთგული პაჟი სავსებით შეურიგდება ლოზუნგს «არც გამარჯვება, არც დამარცხება». ეს არის სწორედ ს ა ე რ თ ო ლოზუნგი პლეხანოვისა, «ნაშე დელოსი», აქსელროდისა და კოსოვსკისა, მარტოვისა და სემკოვსკისა, რომელთა შორის, რა თქმა უნდა (ჰო, რა თქმა უნდა!), დარჩება «კანონიერი ნაირსახეობანი» და «კერძო უთანხმოებანი». მთელი ეს ძმობა კმაყოფილია იდეურად, აღიარებს რა საერთო ნიადაგს, მთავარსა და ძირითადში: «არც გამარჯვება, არც დამარცხება» (ფრჩხილებში შევნიშნავთ: ვ ი ს ი? ცხადია: ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი მ თ ა ვ რ ო ბ ე ბ ი ს ა, ახლანდელი გაბატონებული კლასებისა!). პრაქტიკულ-პოლიტიკურად ისინი კმაყოფილდებიან «ერთიანობის» ლოზუნგით. ეს ნიშნავს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს «ნ ა შ ე დ ე ლ ო ს თ ა ნ», ე. ი. სინამდვილეში სრულ შერიგებას იმასთან, რომ რუსეთში «ნაშე დელო», ჩხეიძის ფრაქციის დახმარებით, წინანდებურად გაატარებს სერიოზულ პოლიტიკას და სერიოზულ (ბურჟუაზიულად — «სერიოზულ») მუშაობას მასებში, ხოლო საზღვარგარეთ და არალეგალურად ორგანიზაციული კომიტეტი და მისი კომპანია თავის თავს ნებას მისცემენ გააკეთონ «მემარცხენე» შენიშვნები, წარმოთქვან თითქმის რევოლუციური ფრაზები და ა. შ. და სხვ. და სხვ. ნუ მივეცემით ილუზიებს: ბრიუსელის ბლოკი, რომელიც ერთბაშად დაიშალა და რომელმაც ამით დაამტკიცა, რომ მასში არაფერი იყო გარდა თვალთმაქცობისა, სწორედ ამის გამო ძალიან გამოსადეგია პოლიტიკურად დამპალი მდგომარეობის დასაფარავად. 1914 წლის ივლისში ეს ბლოკი ფარავდა «ნაშა ზარიას» და «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» არავისთვის საკალდებულო

თითქმის-მემარცხენე რეზოლუციების საშუალებით. 1915 წლის ივლისში ჯერ კიდევ არ არის «მეგობრების პაემანი» და «ოქმი», მაგრამ უკვე არის მთავარი «აქტიორების» პრინციპული თანხმობა, რომ ერთად დაფარონ «ნაშე დელოს», პლეხანოვისა და აქსელროდის სოციალ-შოვინიზმი ამა თუ იმ აგრეთვე თითქმის-მემარცხენე ფრაზის საშუალებით. განვლო ერთმა წელმა — დიდმა და მძიმე წელმა ევროპის ისტორიაში. აღმოჩნდა, რომ ნაციონალ-ლიბერალური მუშათა პოლიტიკის მუწუკს დ ა უ ხ რ ჩ ვ ი ა ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობა, რომ ის სავსებით მომწიფდა ლიკვიდატორობაშიც, — ხოლო «მეგობრები», როგორც მუსიკოსები კრილოვის «კვარტეტში», გადასხდნენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას და კვლავ აღრიალდნენ გუნდად ყალბი ხმით: ერთობა, ერთობაო... («ნაშე დელოსთან»)!

პარიზის «ნაშე სლოვოს» მაგალითი განსაკუთრებით საგულისხმოა «ერთიანობის» გულწრფელი მომხრეებისათვის. ორგანიზაციული კომიტეტის № 2 «იზვესტიამ» მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა «ნაშე სლოვოს», და ახლა მისი სიკვდილი (პოლიტიკური თუ «ფიზიკური», ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს) მხოლოდ დროის საკითხია. ორგანიზაციული კომიტეტის № 2 «იზვესტიამ» «მოკლა» «ნაშე სლოვო» უბრალო განცხადებით, რომ მარტოვი (რომელიც ორგანიზაციული კომიტეტის სამდივნოს წევრი აღმოჩნდა, — ეტყობა, იგი კოოპტაციის წესით «ერთხმად» შეიყვანეს სემკოვსკიმ და აქსელროდმა, ალბათ, იმისათვის, რომ დათანხმდა, აღარ გაიმეორებდა მოუფიქრებელ ფრაზებს «**Vorwärts**»*-ის «სიკვდილის» შესახებ) — მარტოვი და ««ნაშე სლოვოს» თანამშრომელთა «კაი ნახევარი», რომლებიც ორგანიზაციულად ემხრობოდნენ ორგანიზაციულ კომიტეტს», ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ე ნ თ ა ვ ი ა ნ თ შ ე ც დ ო მ ა ს, რომ ისინი მხოლოდ «გულუბრყვილობით» (მარტოვი «**ingenu**»**-ს როლში — ეს ცუდი როდია) «ნაშე

* — «წინ». რ ე დ.

** — გულუბრყვილო მიამიტის. რ ე დ.

სლოვოს» თვლიდნენ «რუსი ინტერნაციონალისტების საერთო ორგანოდ», სინამდვილეში კი «ნაშე სლოვო» აღმოჩნდა «გამთიშველურიც» და «ფრაქციულიც» (სემკოვსკი თავის მხრივ დასძენს: «ანარქო-სინდიკალისტურიც»), ისეთიც, რომელიც «თავს იმართლებს ლენინის «სოციალ-დემოკრატის» წინაშე».

საზოგადოების წინაშე წარმოსდგა «ნაშე სლოვოს» 3 ნაწილი, რომელთა გაერთიანებასაც 7 თუ 8 თვის განმავლობაში წარმატება არ ჰქონდა: 1) რედაქციის ორი მემარცხენე წევრი («ნაშე სლოვო», № 107), რომელნიც გულწრფელად თანაუგრძნობენ ინტერნაციონალიზმს და მიისწრაფვიან «სოციალ-დემოკრატისკენ» (იხ. მათდამი მისალმების რეზოლუცია ჩვენი პარტიის პარიზის სექციისაგან «ნაშე სლოვოს» № 122-ში); 2) მარტოვი და «ოკისტები» («კაი ნახევარი»); 3) ტროცკი, რომელიც, როგორც ყოველთვის, პრინციპულად არაფერში არ ეთანხმება სოციალ-შოვინისტებს, მაგრამ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ შ ი ეთანხმება მათ (სხვათა შორის, ჩხეიძის ფრაქციის «ბედნიერი შუამავლობის» წყალობით, — მგონი, ეს ასე იწოდება დიპლომატიურ ენაზე?).

ერთიანობის გულწრფელ მომხრეთა წინაშე დგება საკითხი: რატომ დამარცხდა და გაითიშა «ნაშე სლოვო»? გათიშვებს ჩვეულებრივ ხსნიან ავი «ლენინელების» კაცთმოძულეობითი «გამთიშველობით» (სემკოვსკის სტატია № 2 «იზვესტიაში», აქსელროდისა — «ნაშე სლოვოში» და ა. შ. და სხვ. და სხვ.). მაგრამ ეს ავი ადამიანები სულაც არ მონაწილეობდნენ «ნაშე სლოვოში» და ამ უბრალო მიზეზით მათ არ შ ე ე ძ ლ ო თ გათიშულიყვნენ ან იქიდან წასულიყვნენ.

რაშია საქმე? შემთხვევით აიხსნება ეს? თუ იმით, რომ შეუძლებელი და მავნებელია სოციალ-დემოკრატი მუშების ერთიანობა ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლებთან (ფაქტიურად: ლიბერალური და შოვინისტური ბურჟუაზიის აგენტებთან), რომლებიც «ნაშე სლოვოში» სხედან?

დაე ჩაუფიქრდნენ ამას «ერთიანობის» მომხრენი.

ევროპის სოციალ-დემოკრატიაში «ერთიანობას» მხარი დაუჭირეს ახლა, რამდენადმე სხვა ვითარებაში და სხვა ფორმით, კაუცკიმ და ჰაზეზემ, თვით ბერნშტეინთან ერთად. რაკი ამ «ავტორიტეტებმა» იგრძნეს, რომ მასები მემარცხენდებიან, ისინი ზავს სთავაზობენ მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს იმ ჩუმი პირობით, რომ ზავი დაიდოს ზიუდეკუმებთან. სიტყვიერად უარყონ «4 აგვისტოს პოლიტიკა», მიჩქმალონ ნაციონალ-ლიბერალური და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პოლიტიკის გათიშვა რაიმე სრულიად არასავალდებულო (და ზოგიერთი მხრივ ჰინდენბურგისა და ჟოფრისთვისაც კი ხელსაყრელი) ფრაზებით «ზავის» შესახებ (ზავის ლოზუნგი სწორედ ამისათვის გამოდგება), ანექსიების პლატონური დაგმობით და სხვ., — ასეთია, დაახლოებით, კაუცკისა და ბერნშტეინის პროგრამა, რომლისკენაც იხრებიან ფრანგი სოციალ-შოვინისტებიც, როგორც ჩანს «L'Humanité» *-ს ზოგიერთი ჰანგიდან. ინგლისელები — «დამოუკიდებელი მუშათა პარტიის» წევრები, რა თქმა უნდა, თავგამოდებით დაიცავენ სოციალ-შოვინიზმის მიმართ ასეთ ამნისტიას, რომელიც მარცხნივ გაკეთებული მთელი რიგი რევერანსებით იქნება დაფარული. რასაკვირველია, «ოკისტებსა» და ტროცკის თვითონ ღმერთმა უბრძანა ხელი ჩასჭიდონ ახლა კაუცკისა და ბერნშტეინის კალთებს.

ოპორტუნისტების ბელადისა და «რადიკალური» ბანაკის თვალთმაქცი შოვინისტების ბელადის ეს შებრუნება მარცხნივ ახლა ჩვენ მიგვაჩნია კომედიად, რომლის მნიშვნელობა ის არის, რომ მარცხნივ თავის დაკვრით ი ხ ს ნ ა ნ ის, რაც დ ა მ პ ა ლ ი ა სოციალ-დემოკრატიაში, რომ განამტკიცონ ფაქტიურად ნაციონალ-ლიბერალური მუშათა პოლიტიკა «მემარცხენეებისათვის» სრულიად უმნიშვნელო სიტყვიერ დათმობათა გზით.

ობიექტური მდგომარეობა ევროპაში ისეთია, რომ მასებში იზრდება გულგატეხილობა, უკმაყოფილება, პროტესტი,

* — «კაცობრიობა». რ ე დ.

აღშფოთება, რევოლუციური განწყობილება, რომელსაც შეუძლია თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე არაჩვეულებრივ სწრაფად გადაიქცეს მოქმედებად. საკითხი ახლა ნამდვილად ასე და მხოლოდ ასე დგას: დაეხმარო თ ა ვ ი ს ი ბურჟუაზიისა და თავისი მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციური მოქმედების ზრდასა და განვითარებას თუ შეაფერხო, ჩააქრო, დააშოშმინო რევოლუციური განწყობილება. მეორე მიზნის მისაღწევად ლიბერალური ბურჟუები და ოპორტუნისტები დათანხმდებიან (და თ ა ვ ი ს ი ინტერესების თვალსაზრისით უ ნ დ ა დათანხმდნენ) წარმოთქვან როგორიც გნებავთ მემარცხენე სიტყვები, უთვალავჯერ შეგვპირდნენ განიარაღებას, ზავს, ანექსიებზე უარისთქმას, ყოველგვარ რეფორმებს, ყოველივეს, რაც გნებავთ, ოღონდ ხელი შეუშალონ მასების კავშირის გაწყვეტას თავიანთ ოპორტუნისტ ბელადებთან და უფრო და უფრო სერიოზულ რევოლუციურ მოქმედებაზე გადასვლას.

ნუ დაუჯერებთ ნურავითარ ენაწყლიან პროგრამებს, — ვეტყვით ჩვენ მასებს, — დაეყრდენით საკუთარ, მასობრივ, რევოლუციურ მოქმედებას თავისი მთავრობისა და თავისი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ეცადეთ განავითაროთ ასეთი მოქმედება; სოციალიზმისათვის სამოქალაქო ომის გაუჩაღებლად არ არის ხსნა გაველურებისაგან, არ არის პროგრესის შესაძლებლობა ევროპაში.

P. S. ეს სტატია უკვე აწყობილი იყო, როდესაც ჩვენ მივიღეთ ბ-ნ პლეხანოვის, «ყოფილი რევოლუციონერის» გ. ალექსინსკის და მათი კომპანიის კრებული: «ომი». აი სოციალ-შოვინისტთა სოფიზმებისა და სიცრუის კოლექცია; ისინი ცარიზმის მძარცველურსა და ურეაქციულეს ომს «სამართლიან», «თავდაცვით» და სხვ. ომად ასაღებენ! ცარიზმის წინაშე ლაქიობის ამ სამარცხვინო თაიგულისაკენ მივაქცევთ ყველა იმათ ყურადღებას, ვისაც სურს სერიოზულად გაერკვეს II ინტერნაციონალის კრახის მიზეზებში. სხვათა შორის საინტერესოა, რომ ეს გულახდილი სოციალ-შოვინისტები ს ა ვ ს ე ბ ი თ კმაყოფილნი არიან ჩხეიძითაც და მთელი

მისი ფრაქციითაც. ამ ფრაქციით კმაყოფილნი არიან ორგანიზაციული კომიტეტიც, ტროცკიც, პლეხანოვიც და ალექსინსკიც და მათი კომპანია, — რაც ბუნებრივია, რადგან ჩხეიძის ფრაქციამ წლების განმავლობაში დაამტკიცა თავისი უნარი დაფაროს ოპორტუნისტები და ემსახუროს მათ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შესახებ, რომელიც ციმბირში იქნა გადასახლებული, ბატონები პლეხანოვი და ალექსინსკი უსირცხვილოდ ტყუიან. ახლა უკვე, ალბათ, შორს არ არის ის დრო, როცა შესაძლებელი იქნება მატყუარების დოკუმენტურად გაბათილება.

«სოციალ-დემოკრატი» № 43,
1915 წ. 26 ივლისი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

«ზავის» ლოზუნგის შეფასებისათვის

ვენის «რაბოჩაია გაზეტას», ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების ცენტრალურ ორგანოს, 1915 წლის 27 ივნისის ნომერში მოჰყავს გერმანიის მთავრობის გაზეთის («**Norddeutsche Allgemeine Zeitung**» *) ერთი საგულისხმო განცხადება.

ლაპარაკია გერმანიის «ს.-დ.» პარტიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი (და უსაზიზღრესი) ოპორტუნისტის კვარკის სტატიაზე, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია: «ჩვენ, გერმანელი სოციალ-დემოკრატები, და ჩვენი ავსტრიელი ამხანაგები, განუწყვეტლივ ვაცხადებთ, რომ სავსებით მზად ვართ გავაბათ ურთიერთობა (ინგლისელ და ფრანგ სოციალ-დემოკრატებთან) ზავის შესახებ მოლაპარაკების დასაწყებად. გერმანიის საიმპერატორო მთავრობამ ესიცის და სულ მცირედ დაბრკოლებებსაც კი არ გვიქმნის».

ამ სიტყვების გამო გერმანიის ერთი ნაციონალ-ლიბერალური გაზეთი (**Nationalliberale Korrespondenz** **) წერდა, ისინი ორნაირად შეიძლება განმარტოო. პირველი: რომ მთავრობა დაბრკოლებებს არ უქმნის სოციალ-დემოკრატების «ინტერნაციონალურ პოლიტიკურ მოქმედებას», რამდენადაც ეს მოქმედება არ სცილდება კანონიერების ფარგლებს და «საშიში არ არის სახელმწიფოსათვის». ეს სავსებით გასაგებია «პოლიტიკური თავისუფლების» თვალსაზრისით.

მეორე: რომ გერმანიის მთავრობა «სულ ცოტა, მდუმარედ იწონებს ზავის სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალურ

* — «ჩრდილო-გერმანიის საყოველთაო გაზეთი». რ ე დ.

** — ნაციონალ-ლიბერალური კორესპონდენცია. რ ე დ.

პროპაგანდას და რომ შესაფერ საშუალებადაც კი თვლის მას ზავის შესაძლებლობის განსახილველად თავდაპირველი ბაზის შექმნისათვისო».

რასაკვირველია, ნაციონალურ-ლიბერალურ გაზეთს მეორე განმარტება შეუძლებლად მიაჩნია, და მთავრობის გაზეთიც ოფიციალურად უერთდება მას, აცხადებს რა, ამას გარდა, რომ «მთავრობას არაფერი აქვს საერთო ზავის ინტერნაციონალურ პროპაგანდასთან და რომ იგი ამ მიზნისათვის დავალებას არ აძლევს არც სოციალ-დემოკრატ, არც სხვა რომელიმე შუამავლებს».

საგულისხმო კომედიაა, ხომ მართალია? ვინ დაიჯერებს, რომ გერმანიის მთავრობა, რომელმაც «Vorwärts» *-ს აუკრძალა წერა კლასობრივ ბრძოლაზე, მთავრობა, რომელმაც სამხედრო სისასტიკე შემოიღო სახალხო კრებების წინააღმდეგ და პროლეტარების ნამდვილი «სამხედრო მონობა» დააწესა, რომ ეს მთავრობა ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს გ ა მ ო «დაბრკოლებებს არ უქმნის» კვარკებსა და ზიუდეკუმებს? რომ მას მუდმივი ურთიერთობა არა აქვს ამ ვაჟბატონებთან?

განა ათასჯერ უფრო დასაჯერებელი არ არის, რომ კვარკმა უ ც ა ბ ე დ ა დ თქვა სიმართლე (ე. ი. რომ ზავის პროპაგანდა გერმანელი სოციალ-დემოკრატების მიერ დაწყებულია თავიანთ მთავრობასთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეთანხმებით) და რომ ეს «ოფიციალურად უარყვეს» სწორედ სიმართლის დასაფარავად?

ეს გაკვეთილია ფრაზის იმ მოყვარულთათვის, რომელნიც, ტროცკის მსგავსად (იხ. «ნაშე სლოვო» № 105), იცავენ ჩვენს წინააღმდეგ ზავის ლოზუნგს და თან იმოწმებენ, სხვათა შორის, იმას, რომ «ყველა მემარცხენე» ვითომ «ქმედითად» გაერთიანდა სწორედ ამ ლოზუნგით!! იუნკრების მთავრობამ ახლა დაამტკიცა, რომ სწორია ჩვენი ბერნის რეზოლუცია («ს.-დ.» № 40), რომელმაც თქვა, რომ ზავის პროპაგანდას, «რომელსაც თან არ სდევს მოწოდება მასების რევოლუციური მოქმედებისა-

* — «წინ». რ ე დ.

კენ», შეუძლია მხოლოდ «დათესოს ილუზიები» და «გახადოს პროლეტარიატი სათამაშოდ მეომარი ქვეყნების საიდუმლო დიპლომატიის ხელში»*.

ეს მთლიანად დასტურდება.

დიპლომატიის ისტორია რამდენიმე წლის შემდეგ დაამტკიცებს, რომ პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეთანხმება ოპორტუნისტებსა და მთავრობებს შორის ზავის სასარგებლოდ ლაყბობის შესახებ იყო და არა მარტო გერმანიაში! ასეთ რამეებს დიპლომატია მალავს, მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება.

როდესაც მემარცხენენი იწყებდნენ გაერთიანებას ზავის ლოზუნგით, ეს შეიძლებოდა წაგვეხალისებინა, თუ ამით გამოიხატებოდა შოვინისტების წინააღმდეგ პროტესტის პირველი ნაბიჯი, — როგორც შეუგნებელი რუსი მუშა გაპონადით გამოხატავდა გაუბედავ პროტესტს მეფის წინააღმდეგ. მაგრამ რამდენადაც მემარცხენენი ახლაც სჯერდებიან ამ ლოზუნგს (ლოზუნგები შეგნებული პოლიტიკოსების საქმეა), იმდენად ისინი თვითონ ცუდი მემარცხენენი არიან, იმდენად მათ რეზოლუციებში არ არის იოტისოდენა სწორედ «ქმედობა», იმდენად ისინი სათამაშონი არიან ზიუდეკუმების, კვარკების, სამბების, ჰაინდმანების, ჟოფრისა და ჰინდენბურგის ხელში.

ვისაც ეს ახლაც კი არ ესმის, როდესაც ზავის ლოზუნგი («რომელსაც თან არ სდევს მოწოდება მასების რევოლუციური მოქმედებისაკენ») შერყვნეს ვენის კონფერენციამ[111], ბერნშტეინმა+კაუცკიმ მის კომპანიასთან ერთად და შეიდემანებმა (გერმანული «ფორშტანდი»=ცენტრალური კომიტეტი), ის ხალხის სოციალ-შოვინისტური მოტყუების შეუგნებელი მონაწილეა და მეტი არაფერი.

დაწერილია 1915 წ. ივლის-აგვისტოში
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში»
№ 5 (28)

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, გვ. 186. რედ.

ზავის საკითხი

ზავის საკითხი, როგორც სოციალისტების პროგრამის აქტუალური სადღეისო საკითხი, ამასთან დაკავშირებით კი ზავის პირობების საკითხიც, ყველას აინტერესებს. არ შეიძლება მადლობა არ ვუთხრათ გაზეთ «**Berner Tagwacht**» *-ს იმის გამო, რომ მასში ჩვენ ვხვდებით ცდებს — დასვას ეს საკითხი არა ჩვეულებრივი, წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალური თვალსაზრისით, არამედ ნამდვილად პროლეტარული, ინტერნაციონალური, თვალსაზრისით. საუცხოო იყო რედაქციის შენიშვნა № 73-ში («**Friedenssehnsucht**» **), რომ გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა, რომლებსაც სურთ ზავი, უნდა გაწყვიტონ კავშირი (**sich lossagen**) იუნკრების მთავრობის პოლიტიკასთანო. საუცხოო იყო ამხ. ა. პ-ს [112] გამოსვლა (№ № 73 და 75) «უძლურ მოლაყბეთა ყოყოჩობის» წინააღმდეგ (**Wichtigtuerei machtloser Schönredner**), რომელნიც ამაოდ ცდილობენ წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით გადაწყვიტონ ზავის საკითხი.

ვნახოთ, თუ როგორ უნდა აყენებდნენ ამ საკითხს სოციალისტები.

ზავის ლოზუნგი შეიძლება დააყენო ან ზავის გარკვეულ პირობებთან დაკავშირებით ან ყოველგვარი პირობების გარეშე, როგორც ბრძოლა არა გარკვეული ზავისათვის, არამედ

---

* — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

** — «ზავის წყურვილი». რ ე დ.

ზავისათვის საერთოდ (**Frieden ohne weiters**). ცხადია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენს წინაშეა არათუ არა სოციალისტური ლოზუნგი, არამედ საერთოდ სრულიად უშინაარსო, უაზრო ლოზუნგიც. ზავს საერთოდ მხარს უჭერს უსათუოდ ყველა, თვით კიტჩენერი, ჟოფრი, ჰინდენბურგი და ნიკოლოზ პირსისხლიანი, ვინაიდან ყოველ მათგანს სურს გაათავოს ომი: — საკითხი სწორედ ის არის, რომ ყოველი მათგანი აყენებს ზავის იმპერიალისტურ (ე. ი. მძარცველურ, სხვა ხალხთა დამჩაგრავ) პირობებს «თავისი» ერის სასარგებლოდ. ლოზუნგი იმისათვის უნდა წამოაყენო, რომ პროპაგანდასა და აგიტაციაში განუმარტო მასებს შეურიგებელი განსხვავება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს (იმპერიალიზმს) შორის, და არა იმისათვის, რომ შ ე ა რ ი გ ო ორი მტრული კლასი და ორი მტრული პოლიტიკა ისეთი სიტყვის საშუალებით, რომელიც სულ სხვადასხვა რაიმეს «აერთიანებს».

შემდეგ. შესაძლებელია თუ არა სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტების გაერთიანება ზავის გარკვეული პ ი რ ო ბ ე ბ ი ს საფუძველზე? თუ კი, მაშინ ამ პირობათა რიცხვში უსათუოდ უნდა იყოს ყველა ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარება და ყოველგვარ «ანექსიაზე», ე. ი. ამ უფლების დარღვევაზე, უარისთქმა. მაგრამ თუ ეს უფლება აღიარე მხოლოდ ზ ო გ ი ე რ თ ი ერის მიმართ, ეს იმას ნიშნავს, რომ დაიცვა გარკვეული ერების პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ე ბ ი, ე. ი. იყო არა სოციალისტი, არამედ ნაციონალისტი და იმპერიალისტი. ხოლო თუ ეს უფლება აღიარე ყ ვ ე ლ ა ერისათვის, მაშინ არ შეიძლება გამოჰყო, მაგალითად, მარტო ბელგია, არამედ უნდა აიღო ყ ვ ე ლ ა ჩაგრული ხალხი ევროპისაც (ირლანდიელები ინგლისში, იტალიელები ნიცაში, დანიელები და ა. შ. გერმანიაში, რუსეთის მოსახლეობის 57% და სხვ.) და ე ვ რ ო პ ი ს გ ა რ ე თ ა ც, ე. ი. ყველა კოლონია. ამხ. ა. პ-მა ძალიან დროულად გაიხსენა კოლონიები. ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიას ერთად ჰყავთ დაახლოებით 150 მილიონი მოსახლეობა, ჩაგრავენ კი ისინი კოლონიებში 400

მილიონზე მეტ მოსახლეობას!! იმპერიალისტური ომის, ე. ი. კაპიტალისტთა ინტერესებისათვის წარმოებული ომის, არსი არა მარტო ის არის, რომ ომს აწარმოებენ ახალი ერების დასაჩაგრავად, კოლონიების გასაყოფად, არამედ ისიც, რომ ომს აწარმოებენ, უმთავრესად, მოწინავე ერები, რომლებიც ჩ ა გ რ ა ვ ე ნ მთელ რიგ სხვა ხალხებს, ჩაგრავენ დედამიწის მოსახლეობის მ ე ტ ნ ა წ ი ლ ს.

გერმანელი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ამართლებენ ბელგიის დაპყრობას ან ურიგდებიან ამას, ნამდვილად არიან არა სოციალ-დემოკრატები, არამედ იმპერიალისტები და ნაციონალისტები, ვინაიდან ისინი იცავენ გერმანიის ბურჟუაზიის (და ნაწილობრივ აგრეთვე გერმანელი მუშების) «უფლებას» — ჩაგრონ ბელგიელები, ელზასელები, დანიელები, პოლონელები, ზანგები აფრიკაში და ა. შ. ესენი არიან არა სოციალისტები, არამედ გერმანიის ბურჟუაზიის მ ს ა ხ უ რ ნ ი, რომელნიც ეხმარებიან მას სხვა ერების ძარცვაში. მაგრამ ბელგიელი სოციალისტებიც, რომლებიც აყენებენ მ ხ ო ლ ო დ ერთ მოთხოვნას: გაათავისუფლეთ ბელგია და ზარალი აუნაზღაურეთ მასო, სინამდვილეში იცავენ ბელგიის ბურჟუაზიის მოთხოვნას, რომელსაც სურს წინანდებურად ძარცვოს კონგოს 15-მილიონიანი მოსახლეობა და მიიღოს კონცესიები და პრივილეგიები სხვა ქვეყნებში. ბელგიელ ბურჟუებს საზღვარგარეთ 3 მილიარდამდე ფრანკი აქვთ დაბანდებული; ამ მილიარდებიდან შემოსული მოგების დაცვა ყოველგვარი მოტყუებისა და გაიძვერობის გზით — ი ი როგორია ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი «გმირული ბელგიის» «ნაციონალური ინტერესი». ესევე ითქმის — და ბევრად უფრო მეტად — რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის შესახებ.

მაშასადამე, თუ ერების თავისუფლების მოთხოვნა არ არის ყალბი ფრაზა, რომელიც ფარავს ზ ო გ ი ე რ თ ი ც ა ლ კ ე უ ლ ი ქვეყნის იმპერიალიზმს და ნაციონალიზმს, მაშინ იგი უნდა გავრცელდეს ყ ვ ე ლ ა ხალხზე და ყ ვ ე ლ ა კოლონიაზე. ასეთი მოთხოვნა კი აშკარად უშინაარსოა, თ უ ა რ მ ო ხ დ ა

მთელი რიგი რევოლუციები ყ ვ ე ლ ა მოწინავე ქვეყანაში. ეს ცოტაა. იგი განუხორციელებელია წარმატებითი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რევოლუციის მოუხდენლად.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ სოციალისტებს შეუძლიათ გულგრილად მოეპყრან ზავის მოთხოვნას სულ უფრო და უფრო ფართო მასების მიერ? სრულიადაც არა. ერთი საქმეა მუშათა შეგნებული ავანგარდის ლოზუნგები, სხვა საქმეა მასების სტიქიური მოთხოვნები. ზავისაკენ მისწრაფება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ს ი მ პ ტ ო მ ი ა იმისა, რომ დაიწყო ი მ ე დ გ ა ც რ უ ე ბ ა ბურჟუაზიული სიყალბის მიმართ—ომის «განმათავისუფლებელი» მიზნების, «სამშობლოს დაცვისა» და კაპიტალისტთა კლასის მიერ მდაბიო ხალხის სხვაგვარი მოტყუების გამო. ამ სიმპტომს სოციალისტები უდიდესი ყურადღებით უნდა მოეკიდონ. მთელი ძალა იქით უნდა წარვმართოთ, რომ გ ა მ ო ვ ი ყ ე ნ ო თ მასების განწყობილება ზავის სასარგებლოდ. მაგრამ რ ო გ ო რ გამოვიყენოთ? ზავის ლ ო ზ უ ნ გ ი ს აღიარება და მისი განმეორება იქნებოდა «უძლურ (უფრო ხშირად კი უარესი: თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც) მოლაყბეთა ყოყოჩობის» წახალისება. ეს იქნებოდა ხალხის მ ო ტ ყ უ ე ბ ა იმ ილუზიით, თითქოს ახლანდელ მთავრობებს, ახლანდელ მბრძანებელ კლასებს უ ნ ა რ ი შ ე ს წ ე ვ დ ე თ, მთელი რიგი რევოლუციებით მათი «განსწავლის» (ან. უკეთ, ჩამოშორების) გარეშე, დასდონ ისეთი ზავი, რომელიც რამდენადმე მაინც დააკმაყოფილებდა დემოკრატიას და მუშათა კლასს. არაფერია ამ მოტყუებაზე უფრო მავნებელი. არაფერია მუშებისათვის ამაზე უფრო თვალების ამხვევი რამ, რაც ჩააგონებს მათ მაცთუნებელ აზრს, თითქოს ღ რ მ ა ა რ ი ყ ო ს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის წინააღმდეგობა, არაფერია კაპიტალისტური მონობის ამაზე უფრო შ ე მ ა ფ ე რ ა დ ე ბ ე ლ ი რამ. არა, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ განწყობილება ზავის სასარგებლოდ მასებისათვის იმის განსამარტავად, რომ ის სიკეთე, რასაც ისინი ზავისაგან მოელიან, შეუძლებელია მთელი რიგი რევოლუციების მოუხდენლად.

სწორედ ჩვენი იდეალია ომების დამთავრება, მშვიდობა ხალხთა შორის, ძარცვისა და ძალადობის შეწყვეტა, მაგრამ მხოლოდ ბურჟუაზიულ სოფისტებს შეუძლიათ შეაცდინონ ამით მასები და მოწყვიტონ ეს იდეალი რევოლუციური მოქმედების დაუყოვნებლივ, პირდაპირ ქადაგებას. ნიადაგი ასეთი ქადაგებისათვის არის; იგი რომ გასწიო, საჭიროა მხოლოდ კავშირი გაწყვიტო ბურჟუაზიის მოკავშირეებთან, ოპორტუნისტებთან, რომლებიც პირდაპირაც (თვით დაბეზღებითაც კი) და არაპირდაპირაც ხელს უშლიან რევოლუციურ მუშაობას.

ერების თვითგამორკვევის ლოზუნგი სწორედ ასევე უნდა დაისვას კაპიტალიზმის იმპერიალისტურ ეპოქასთან დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ. ჩვენ **status quo** *-ს არ ვიცავთ, ჩვენ მომხრენი არა ვართ დიდი ომებისაგან თ ა ვ ი ს ა რ ი დ ე ბ ი ს ფილისტერული უტოპიისა. ჩვენ იმპერიალიზმის, ე. ი. კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის მომხრენი ვართ. იმპერიალიზმი სწორედ ის არის, რომ ერები, რომლებიც მთელ რიგ სხვა ერებს ჩაგრავენ, ისწრაფვიან გააფართოონ და განამტკიცონ ეს ჩაგვრა, ხელახლა გაიყონ კოლონიები. ამიტომ ერების თვითგამორკვევის საკითხის ა რ ს ი ჩვენს ეპოქაში სწორედ მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი ერების სოციალისტთა ქცევაშია. მჩაგვრელი ერის (ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, რუსეთის, შეერთებული შტატების და სხვ.) ის სოციალისტი, რომელიც არ ცნობს და არ იცავს ჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის (ე. ი. თავისუფალი გამოყოფის) უფლებას, სინამდვილეში სოციალისტი კი არ არის, არამედ შოვინისტია.

მხოლოდ ასეთ თვალსაზრისს მივყავართ არათვალთმაქცურ, თანმიმდევრულ ბრძოლამდე იმპერიალიზმის წინააღმდეგ, — ნაციონალური საკითხის არა ფილისტერულ, არამედ პროლეტარულ დასმამდე (ჩვენს ეპოქაში). მხოლოდ ასეთი თვალსაზრისი ახორციელებს თანმიმდევრულად ერების ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპს, სპობს უნდობლობას მჩაგვრელი და ჩაგრული ერების პროლეტა-

* — წინანდელი მდგომარეობა. რ ე დ.

რებს შორის, ხელს უწყობს სოლიდარულ, ინტერნაციონალურ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციისათვის (ე. ი. სრული ნაციონალური თანასწორუფლებიანობის ერთადერთი განსახორციელებელი რეჟიმისათვის) და არა კაპიტალიზმის დროს საერთოდ ყველა პატარა სახელმწიფოს თავისუფლების ფილისტერული უტოპიისათვის.

სწორედ ამ თვალსაზრისზე დგას ჩვენი პარტია, ე. ი. რუსეთის სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტს ემხრობიან. სწორედ ამ თვალსაზრისზე იდგა მარქსი, რომელიც პროლეტარიატს ასწავლიდა, რომ «არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს». მარქსი მოითხოვდა ირლანდიის გამოყოფას ინგლისისაგან სწორედ ამ თვალსაზრისით, ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი (და არა მარტო ირლანდიელი) მუშების განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესების თვალსაზრისით.

თუ ინგლისის სოციალისტები არ ცნობენ და არ იცავენ ირლანდიის გამოყოფის უფლებას, ფრანგები — იტალიური ნიცისას, გერმანელები — ელზას-ლორენისას, დანიის შლეზვიგისას და პოლონეთისას, რუსები — პოლონეთისას, ფინეთისას, უკრაინისას და სხვ., პოლონელები — უკრაინისას, თუ «დიდი» სახელმწიფოების, ე. ი. დიდი ძარცვის ჩამდენი სახელმწიფოების ყველა სოციალისტი არ იცავს ამავე უფლებას კოლონიების მიმართ, ეს სწორედ იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ნამდვილად იმპერიალისტები არიან და არა სოციალისტები. და სასაცილოა მიეცე ილუზიებს, თითქოს სოციალისტური პოლიტიკის განხორციელების უნარი შესწევდეთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც, თვითონ ეკუთვნიან რა მჩაგვრელ ერებს, ა რ იცავენ ჩაგრული ერების «თვითგამორკვევის უფლებას».

ნაცვლად იმისა, რომ თვალთმაქც მოლაყბეებს საშუალებას აძლევდნენ ატყუონ ხალხი ფრაზებითა და დაპირებებით დემოკრატიული ზავის შესაძლებლობის შესახებ, სოციალისტებმა უნდა განუმარტონ მასებს, რომ შეუძლებელია რამდე-

ნადმე მაინც დემოკრატიული ზავი ისე, თუ არ მოხდა მთელი რიგი რევოლუციები და თუ არ გაჩაღდა რევოლუციური ბრძოლა თვითეულ ქვეყანაში საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ. ნაცვლად იმისა, რომ საშუალებას აძლევდნენ ბურჟუაზიულ პოლიტიკანებს ატყუონ ხალხი ფრაზებით ერების თავისუფლების შესახებ, — სოციალისტებმა უნდა განუმარტონ მჩაგვრელი ერების მასებს მათი განთავისუფლების უიმედობა, თუ ისინი ხელს შეუწყობენ სხვა ერების ჩაგვრას, თუ არ ცნობენ და არ დაიცავენ ამ ერების თვითგამორკვევის, ე. ი. თავისუფალი გამოყოფის უფლებას. აი ყველა ქვეყნისათვის საერთო სოციალისტური და არა იმპერიალისტური პოლიტიკა ზავის საკითხში და ნაციონალურ საკითხში. ეს პოლიტიკა, მართალია, მეტწილად შეუთავსებადია კანონებთან სახელმწიფო ღალატის შესახებ, მაგრამ ამ კანონებთან შეუთავსებადია ბაზელის რეზოლუციაც, რომელსაც ასე სამარცხვინოდ უღალატა მჩაგვრელი ერების თითქმის ყველა სოციალისტმა.

უნდა აირჩიო: სოციალიზმი თუ ბბ. ჟოფრისა და ჰინდენბურგის კანონებისადმი დამორჩილება, — რევოლუციური ბრძოლა თუ იმპერიალიზმის წინაშე ლაქიობა. საშუალო რამ აქ არ არის. და უდიდესი ვნება მოაქვთ პროლეტარიატისათვის «საშუალო ხაზის» პოლიტიკის თვალთმაქც (თუ გონებაჩლუნგ) შემთხზველებს.

დაწერილია 1915 წ. ივლის-აგვისტოში
ხელმოწერა: ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციაში»
№ 5 (28) ხელმოუწერლად

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

სოციალიზმი და ომი

(რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი) [113]

დაწერილია 1915 წ. ივლის-აგვისტოში

ცალკე ბროშურად დაბეჭდა 1915 წ. შემოდგომაზე გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის გამომცემლობამ. ეკონომ

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

წინასიტყვაობა
1-ლი (საზღვარგარეთული) გამოცემისათვის

ომი უკვე წელიწადია გრძელდება. ჩვენმა პარტიამ განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება ამ ომისადმი მის დასაწყისშივე, ცენტრალური კომიტეტის მანიფესტში, რომელიც შედგენილია 1914 წლის სექტემბერში და დაბეჭდილია (ცენტრალური კომიტეტის წევრებისათვის და რუსეთში ჩვენი პარტიის პასუხისმგებელი წარმომადგენლებისათვის ამ მანიფესტის დაგზავნისა და მათგან თანხმობის მიღების შემდეგ) 1914 წლის 1 ნოემბერს ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» № 33-ში *. შემდეგ № 40-ში (1915 წლის 29 მარტს) დაიბეჭდა ბერნის კონფერენციის რეზოლუციები **, რომლებიც უფრო ზუსტად გადმოგვცემენ ჩვენს პრინციპებსა და ჩვენს ტაქტიკას.

ამჟამად რუსეთში აშკარად იზრდება რევოლუციური განწყობილება მასებში. სხვა ქვეყნებშიც ყველგან ვხედავთ ასეთივე მოვლენის ნიშნებს, მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარიატის რევოლუციურ მისწრაფებებს ახშობს უმრავლესობა ოფიციალური სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა, რომლებიც თავიანთ მთავრობათა და თავიანთი ბურჟუაზიის მხარეზე დადგნენ. საქმის ასეთი ვითარება განსა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 13 — 24. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 180 — 187. რ ე დ.

კუთრებით აუცილებელს ხდის ისეთი ბროშურის გამოცემას, რომელიც შეაჯამებს ომის მიმართ სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის შედეგებს. მთლიანად ვბეჭდავთ რა ზემოაღნიშნულ პარტიულ დოკუმენტებს, ჩვენ ვიძლევით მათს მოკლე ახსნა-განმარტებას და ვცდილობთ გავითვალისწინოთ ყველა მთავარი საბუთი ბურჟუაზიული და პროლეტარული ტაქტიკის სასარგებლოდ, რაც კი გამოითქვა ლიტერატურაში და პარტიულ კრებებზე.

წინასიტყვაობა მე-2 გამოცემისათვის

ეს ბროშურა დაწერილია 1915 წლის ზაფხულში, პირდაპირ ციმერვალდის კონფერენციის წინა ხანებში. ბროშურა გამოვიდა აგრეთვე გერმანულ და ფრანგულ ენებზე და მთლიანად გადაბეჭდილი იყო ნორვეგიულ ენაზე ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანოში. ბროშურის გერმანული გამოცემა არალეგალურად შეჰქონდათ გერმანიაში — ბერლინში, ლაიფციგში, ბრემენსა და სხვა ქალაქებში, სადაც მას არალეგალურად ავრცელებდნენ ციმერვალდის მემარცხენე ფრთის მომხრენი და კარლ ლიბკნეხტის ჯგუფი. ფრანგული გამოცემა არალეგალურად დაიბეჭდა პარიზში, და იქ მას ფრანგი ციმერვალდელები ავრცელებდნენ. რუსული გამოცემა მეტად მცირე რაოდენობით მოხვდა რუსეთში, და მოსკოვში მუშებს ხელით უხდებოდათ მისი გადაწერა.

ჩვენ ახლა მთლიანად ვბეჭდავთ ამ ბროშურას, როგორც დოკუმენტს. მკითხველს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ბროშურა დაწერილია 1915 წლის აგვისტოში. განსაკუთრებით უნდა ახსოვდეთ ეს იმ ადგილებში, სადაც რუსეთზეა ლაპარაკი: რუსეთი მაშინ კიდევ მეფის, რომანოვების რუსეთი იყო...

დაბეჭდილია 1918 წელს
გამოცემულ ბროშურაში

იბეჭდება
ბროშურის ტექსტის მიხედვით

თავი I

სოციალიზმის პრინციპები და 1914 — 1915 წლის ომი

სოციალისტების დამოკიდებულება ომებისადმი

სოციალისტები ყოველთვის გმობდნენ ომებს ხალხთა შორის, როგორც ბარბაროსულსა და მხეცურ საქმეს. მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება ომისადმი პრინციპულად სხვანაირია, ვიდრე ბურჟუაზიული პაციფისტებისა (მშვიდობის მომხრეებისა და მქადაგებლებისა) და ანარქისტებისა. პირველთაგან ჩვენ განვირჩევით იმით, რომ გვესმის ომების გარდუვალი კავშირი კლასების ბრძოლასთან ქვეყნის შიგნით, გვესმის ომების მოსპობის შეუძლებლობა კლასების მოუსპობლად და სოციალიზმის დაუმყარებლად, აგრეთვე იმით, რომ ჩვენ სავსებით კანონიერად, პროგრესულად და აუცილებლად მიგვაჩნია სამოქალაქო ომები, ე. ი. ჩაგრული კლასის ომი მჩაგვრელი კლასის წინააღმდეგ, მონების ომი მონათმფლობელთა წინააღმდეგ. ყმა გლეხებისა — მემამულეთა წინააღმდეგ, დაქირავებული მუშებისა — ბურჟუაზიის წინააღმდეგ. პაციფისტებისაგანაც და ანარქისტებისაგანაც ჩვენ, მარქსისტები, განვირჩევით იმით, რომ აუცილებლად მიგვაჩნია ცალკე აღებული ყოველი ომის ისტორიული (მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით) შესწავლა. ისტორიაში არა ერთხელ ყოფილა ისეთი ომები, რომლებიც, მიუხედავად მთელი საშინელებისა, მხეცობისა, უბედურებისა და ტანჯვა-წამებისა, რაც გარდუვალად დაკავშირებულია ყოველ ომთან, პროგრესული იყვნენ, ე. ი. ისეთი ომები, რომლებსაც სარგებლობა მოუტანიათ კაცობრიობის განვითარებისათვის, ხელი

შეუწყვიათ იმისათვის, რომ დანგრეული ყოფილიყო განსაკუთრებით მავნე და რეაქციული დაწესებულებანი (მაგალითად, თვითმპყრობელობა ან ბატონყმობა), ყველაზე ბარბაროსული დესპოტიები ევროპაში (თურქეთისა და რუსეთისა). ამიტომ საჭიროა განვიხილოთ სწორედ ახლანდელი ომის ისტორიული თავისებურებანი.

ახალი დროის ომების ისტორიული ტიპები

კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ. მას შემდეგ პარიზის კომუნამდე, 1789-დან 1871 წლამდე, ომების ერთ-ერთი ტიპი იყო ბურჟუაზიულ-პროგრესული, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ხასიათის ომები. სხვანაირად რომ ითქვას, ამ ომების მთავარი შინაარსი და ისტორიული მნიშვნელობა იყო აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის დამხობა, მათი ძირის გამოთხრა, უცხო-ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა. სწორედ ამიტომ ეს ომები იყო პროგრესული ომები, და ყველა პატიოსანი, რევოლუციური დემოკრატი, აგრეთვე ყველა სოციალისტი, ასეთი ომების დროს, ყოველთვის თანაუგრძნობდა იმ ქვეყნის (ე. ი. იმ ბურჟუაზიის) წარმატებას, რომელიც ხელს უწყობდა ფეოდალიზმის, აბსოლუტიზმის და სხვა ხალხთა ჩაგვრის ყველაზე საშიში ბურჯების დამხობას ან ძირის გამოთხრას. მაგალითად, საფრანგეთის რევოლუციურ ომებში იყო ფრანგების მიერ სხვისი ქვეყნების ძარცვისა და დაპყრობის ელემენტი, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ცვლის ამ ომების ძირითად ისტორიულ მნიშვნელობას, რომლებიც ანგრევდნენ და არყევდნენ მთელი ძველი, ბატონყმური ევროპის ფეოდალიზმსა და აბსოლუტიზმს. საფრანგეთ-პრუსიის ომში გერმანიამ გაძარცვა საფრანგეთი, მაგრამ ეს არ ცვლის ამ ომის ძირითად ისტორიულ მნიშვნელობას, რომელმაც გაათავისუფლა მრავალათეულ მილიონიანი გერმანელი ხალხი ფეოდალური დაქუცმაცებისა და ორი დესპოტის, რუსეთის მეფისა და ნაპოლეონ III-ის მიერ ჩაგვრისაგან.

განსხვავება შეტევითსა და თავდაცვითს ომს შორის

1789 — 1871 წლების ეპოქამ ღრმა კვალი და რევოლუციური მოგონებანი დაგვიტოვა. ფეოდალიზმის, აბსოლუტიზმისა და უცხო-ნაციონალური ჩაგვრის მოსპობამდე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა სოციალიზმისათვის პროლეტარული ბრძოლის განვითარებაზე. როდესაც სოციალისტები ა ს ე თ ი ეპოქის ომების მიმართ «თავდაცვითი» ომის კანონიერებაზე ლაპარაკობდნენ, მათ ყოველთვის მხედველობაში ჰქონდათ სწორედ ეს მიზნები, რომლებიც შუასაუკუნეობრიობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ რევოლუციაში მდგომარეობდნენ. სოციალისტებს «თავდაცვით» ომად ყოველთვის ესმოდათ ამ აზრით «ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი» ომი (ვ. ლიბკნეხტმა ერთხელ სწორედ ასე გამოთქვა ეს). სოციალისტები მხოლოდ ამ აზრით ცნობდნენ და ახლაც ცნობენ «სამშობლოს დაცვის» ანუ «თავდაცვითი» ომის კანონიერებას, პროგრესულობას, სამართლიანობას. მაგალითად, ხვალ რომ მაროკომ ომი გამოუცხადოს საფრანგეთს, ინდოეთმა — ინგლისს, სპარსეთმა თუ ჩინეთმა — რუსეთს და სხვ., ეს «სამართლიანი», «თავდაცვითი» ომები იქნებოდა, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ იმისა, თუ ვინ დაესხა თავს პირველი, და ყოველი სოციალისტი თანაუგრძნობდა ჩაგრულ, დამოკიდებულ, არასრულუფლებიან სახელმწიფოთა გამარჯვებას მჩაგვრელ, მონათმფლობელ, მძარცველ «დიდ» სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ მონათმფლობელი, რომელსაც 100 მონა ჰყავს, ომობს მონათმფლობელის წინააღმდეგ, რომელსაც 200 მონა ჰყავს, მონების უფრო «სამართლიანი» გაყოფისათვის. ცხადია, რომ ამგვარი შემთხვევის მიმართ «თავდაცვითი» ომის ან «სამშობლოს დაცვის» ცნების მომარჯვება იქნებოდა ისტორიული სიყალბე და პრაქტიკულად მდაბიო ხალხის, მეშჩანობის, გონებაბნელი მასის პირდაპირ მოტყუება გაქნილი მონათმფლობელების მიერ. სწორედ ასე ატყუებს ხალხებს «ნაციონალური» იდეოლოგიისა და სამშობლოს დაცვის ცნების საშუალებით

ახლანდელი, იმპერიალისტური ბურჟუაზია დღევანდელ ომში, რომელიც წარმოებს მონათმფლობელთა შორის მონობის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის.

ახლანდელი ომი არის იმპერიალისტური ომი

თითქმის ყველა აღიარებს ახლანდელ ომს იმპერიალისტურ ომად, მაგრამ მეტწილად ამახინჯებენ ამ ცნებას, ან იყენებენ მას ერთი მხარის მიმართ, ან მაინც აძვრენენ იმის შესაძლებლობის აზრს, თითქოს ამ ომს ჰქონდეს ბურჟუაზიულ-პროგრესული, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მნიშვნელობა. იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხური, მიღწეული მხოლოდ XX საუკუნეში. კაპიტალიზმი უკვე ვიწროდ გრძნობს თავს ძველ ნაციონალურ სახელმწიფოებში, რომელთა შეუქმნელად ის ფეოდალიზმს ვერ დაამხობდა. კაპიტალიზმმა იმდენად განავითარა კონცენტრაცია, რომ მრეწველობის მთელი დარგები ხელში აქვთ ჩაგდებული კაპიტალისტ-მილიარდერთა სინდიკატებს, ტრესტებს, კავშირებს, და თითქმის მთელი დედამიწა გაყოფილია ამ «კაპიტალის მეუფეთა» შორის, კოლონიების ფორმით თუ ფინანსური ექსპლოატაციის ათასნაირი ძაფით სხვისი ქვეყნების ჯაბის საშუალებით. თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია შეცვალა მისწრაფებამ მონოპოლიისაკენ, ქვეყნების დაპყრობისაკენ კაპიტალის გამოსაყენებლად, ნედლეულის გამოსატანად და ა. შ. ერების განმათავისუფლებლის ნაცვლად, როგორიც კაპიტალიზმი იყო ფეოდალიზმთან ბრძოლაში, იმპერიალისტური კაპიტალიზმი ერების უდიდესი მჩაგვრელი გახდა. კაპიტალიზმი პროგრესულიდან გადაიქცა რეაქციულ კაპიტალიზმად, მან იმდენად განავითარა საწარმოო ძალები, რომ კაცობრიობა ან უნდა გადავიდეს სოციალიზმზე, ანდა წლობით და ათეული წლობითაც კი განიცდიდეს «დიდ» სახელმწიფოთა შეიარაღებულ ბრძოლას კაპიტალიზმის ხელოვნურად შენარჩუნებისათვის კოლონიების, მონოპოლიების, პრივილეგიების და ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრის საშუალებით.

ოცი უდიდეს მონათმფლობელთა შორის მოგების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის

იმპერიალიზმის მნიშვნელობა რომ ნათელი გავხადოთ, მოვიყვანოთ ზუსტი მონაცემები ეგრეთწოდებული «დიდი» (ესე იგი დიდ ძარცვაში წარმატების მქონე) სახელმწიფოების მიერ მსოფლიოს გაყოფის შესახებ:

მსოფლიოს გაყოფა «დიდ» მონათმფლობელ სახელმწიფოთა მიერ:

«დიდი» სახელმწიფოები	კოლონიები 1876		კოლონიები 1914		მეტროპოლიები 1914		სულ	
	კვადრატული კილომეტრი	მცხოვრები	კვადრატული კილომეტრი	მცხოვრები	კვადრატული კილომეტრი	მცხოვრები	კვადრატული კილომეტრი	მცხოვრები
	მილიონობით		მილიონობით		მილიონობით		მილიონობით	
ინგლისი	22,5	251,9	33,5	393,5	0,3	46,5	33,8	440,0
რუსეთი	17,0	15,9	17,4	33,2	5,4	136,2	22,8	169,4
საფრანგეთი	0,9	6,0	10,6	55,5	0,5	39,6	11,1	95,1
გერმანია	—	—	2,9	12,3	0,5	64,9	3,4	77,2
იაპონია	—	—	0,3	19,2	0,4	53,0	0,7	72,2
ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები	—	—	0,3	9,7	9,4	97,0	9,7	106,7
ექვსი «დიდი» სახელმწიფო	40,4	273,8	65,0	523,4	16,5	437,2	81,5	960,6
კოლონიები, რომლებიც ეკუთვნის არა დიდ სახელმწიფოებს (არამედ ბელგიას, ჰოლანდიას და სხვა სახელმწიფოებს)			9,9	45,3			9,9	45,3
სამი ქვეყანა «ნახევრადკოლონია» (თურქეთი, ჩინეთი და სპარსეთი)							14,5	361,2
სულ							105,9	1 367,1
დანარჩენი სახელმწიფოები და ქვეყნები							28,0	289,9
მთელი დედამიწა (პოლარული ოლქის გარეშე)							133,9	1 657,0

აქედან ჩანს, თუ ის ხალხები, რომლებიც მეტწილად სხვების სათავეში იბრძოდნენ თავისუფლებისათვის 1789 — 1871 წლებში, — როგორ გარდაიქცნენ ახლა, 1876 წლის შემდეგ, დიდად განვითარებული და «გადამწიფებული» კაპიტალიზმის ნიადაგზე, მთელი დედამიწის მოსახლეობისა და ერების უმრავლესობის მჩაგვრელებად და დამმონებლებად. 1876-დან 1914 წლამდე ექვსმა «დიდმა» სახელმწიფომ ყაჩაღური გზით ხელთ იგდო 25 მილიონი კვ. კილომეტრი, ე. ი. მთელ ევროპაზე 2½-ჯერ მეტი სივრცე! ექვს სახელმწიფოს დამონებული ჰყავს კოლონიების ნახევარ მილიარდზე მეტი (523 მილიონი) მოსახლე. «დიდ» სახელმწიფოთა ყოველ 4 მცხოვრებზე მოდის «მათი» კოლონიების 5 მცხოვრები. და ყველამ იცის, რომ კოლონიები ცეცხლითა და მახვილითაა დაპყრობილი, რომ კოლონიებში მხეცურად ეპყრობიან მოსახლეობას, რომ მას ექსპლოატაციას უწევენ ათასნაირი ხერხით (კაპიტალის გატანის, კონცესიების და სხვა გზით, საქონლის გაყიდვისას მოტყუების, «გაბატონებული» ერის ხელისუფალთადმი დამორჩილების და სხვა ამგვარი საშუალებით). ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია ატყუებს ხალხს, როდესაც ამბობს, ომს ვაწარმოებთ ხალხებისა და ბელგიის თავისუფლებისათვისო. ნამდვილად კი იგი ომს აწარმოებს მის მიერ უზომოდ გაძარცვული კოლონიების შენარჩუნებისათვის. გერმანელი იმპერიალისტები მაშინვე გაათავისუფლებდნენ ბელგიას და სხვ., თუ ინგლისელები და ფრანგები «ღვთისნიერად» გაუყოფდნენ მათ თავიანთ კოლონიებს. მდგომარეობის თავისებურება ის არის, რომ ამ ომში კოლონიების ბედი კონტინენტზე გაჩაღებული ომით წყდება. ბურჟუაზიული სამართლიანობისა და ნაციონალური თავისუფლების (ან ერთა არსებობის უფლების) თვალსაზრისით გერმანია უეჭველად მართალი იქნებოდა ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ, რადგან იგი «დაჩაგრულია» კოლონიების საკითხში, მისი მტრები გაცილებით მეტ ერებს ჩაგრავენ, ვიდრე იგი, ხოლო მისი მოკავშირის, ავსტრიის, მიერ და-

ჩაგრული სლავები, უეჭველია, მეტი თავისუფლებით სარგებლობენ, ვიდრე სლავები მეფის რუსეთში, ამ ნამდვილ «ხალხთა საპყრობილეში». მაგრამ გერმანია თვითონ ომობს ერების განთავისუფლებისათვის კი არა, არამედ მათი დაჩაგვრისათვის. სოციალისტების საქმე როდია დაეხმარონ უფრო ახალგაზრდა და ძლიერ ავაზაკს (გერმანიას) ძარცვოს უფრო ძველი და გატყვრომილი ავაზაკები. სოციალისტებმა უნდა ისარგებლონ ავაზაკების ურთიერთბრძოლით, რათა ისინი ყველანი დაამხონ. ამისათვის სოციალისტებმა უწინარეს ყოვლისა სიმართლე უნდა უთხრან ხალხს, სახელდობრ, რომ ეს ომი სამნაირი აზრით არის მონათმფლობელთა ომი მონობის განმტკიცებისათვის. ეს არის ომი, ჯერ ერთი, კოლონიების მონობის განმტკიცებისათვის მათი უფრო «სამართლიანი» გაყოფისა და შემდგომი უფრო «შეთანხმებული» ექსპლოატაციის საშუალებით; მეორე, სხვა ერების ჩაგვრის განმტკიცებისათვის თვით «დიდ» სახელმწიფოებში, ვინაიდან რ ო გ ო რ ც ავსტრია, ი ს ე რუსეთი (რუსეთი გაცილებით მეტად და გაცილებით უარესად, ვიდრე ავსტრია) არსებობენ მხოლოდ ასეთი ჩაგვრით, რომელსაც ომით აძლიერებენ; მესამე, დაქირავებული მონობის განმტკიცებისა და გახანგრძლივებისათვის, ვინაიდან პროლეტარიატი გათიშული და დათრგუნვილია, ხოლო კაპიტალისტები იგებენ, რადგან მდიდრდებიან ომის წყალობით, აღვივებენ ნაციონალურ ცრურწმენებს და აძლიერებენ რეაქციას, რომელმაც თავი წამოჰყო ყველა ქვეყანაში, ყველაზე თავისუფალ და რესპუბლიკურ ქვეყნებშიც კი.

«ომი არის პოლიტიკის განგრძობა სხვა» (სახელდობრ: ძალდატანებითი) «საშუალებებით» [114]

ეს ცნობილი გამოთქმა ეკუთვნის სამხედრო საკითხთა ერთ-ერთ ყველაზე ღრმად მცოდნე მწერალს, კლაუზევიცს. მარქსისტებს ყოველთვის სამართლიანად მიაჩნდათ ეს დებულება ყოველი კონკრეტული ომის მნიშვნელობაზე თავიანთ თეორიულ შეხედულებათა საფუძვლად. მარქსი და ენგელსი

ყოველთვის სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავდნენ სხვადასხვა ომს.

გამოიყენეთ ეს შეხედულება ახლანდელი ომის მიმართ. თქვენ დაინახავთ, რომ ათეული წლების, თითქმის ნახევარი საუკუნის, განმავლობაში მთავრობანი და გაბატონებული კლასები ინგლისისაც, საფრანგეთისაც, გერმანიისაც, იტალიისაც, ავსტრიისაც და რუსეთისაც ახორციელებდნენ კოლონიების ძარცვის, სხვა ერების ჩაგვრის, მუშათა მოძრაობის დათრგუნვის პოლიტიკას. სწორედ ასეთი პოლიტიკა, მხოლოდ ასეთი, გრძელდება ახლანდელ ომში. კერძოდ, ავსტრიაშიც და რუსეთშიც როგორც მშვიდობიანი დროის, ისე ომიანობის დროის პოლიტიკა მდგომარეობს არა ერების განთავისუფლებაში, არამედ მათს დამონებაში. პირიქით, ჩინეთში, სპარსეთში, ინდოეთში და სხვა დამოკიდებულ ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ათობითა და ასობით მილიონი ადამიანის ნაციონალური ცხოვრებისათვის გამოღვიძების, რეაქციულ «დიდ» სახელმწიფოთა ჩაგვრისაგან მათი განთავისუფლების პოლიტიკას. ომი ასეთ ისტორიულ ნიადაგზე ახლაც შეიძლება ბურჟუაზიულ-პროგრესული, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იყოს.

საკმარისია შევხედოთ ახლანდელ ომს მასში «დიდი» სახელმწიფოებისა და ამ უკანასკნელთა შიგნით ძირითადი კლასების პოლიტიკის განგრძობის თვალსაზრისით, რათა ერთბაშად დავინახოთ იმ აზრის აშკარა ანტიისტორიულობა, სიცრუე და თვალთმაქცობა, თითქოს შეიძლებოდეს «სამშობლოს თავდაცვის» იდეის გამართლება ამ ომში.

ბელგიის მაგალითი

სამთა (ახლა ოთხთა) შეთანხმების სოციალ-შოვინისტებს (რუსეთში პლეხანოვსა და მის კომპანიას) ყველაზე მეტად უყვართ ბელგიის მაგალითის დამოწმება. მაგრამ ეს მაგალითი მათ წინააღმდეგ მეტყველებს. გერმანელმა იმპერიალისტებმა უტიფრად დაარღვიეს ბელგიის ნეიტრა-

ლიტეტი, როგორც იქცეოდნენ ყოველთვის და ყველგან მეომარი სახელმწიფოები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ფეხქვეშ ქელავდნენ ყ ვ ე ლ ა ხელშეკრულებასა და ვალდებულებას. ვთქვათ, საერთაშორისო ხელშეკრულებათა დაცვით დაინტერესებულ ყველა სახელმწიფოს გამოეცხადებინა ომი გერმანიისათვის, მოეთხოვა ბელგიის განთავისუფლება და ზარალის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში სოციალისტების თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, გერმანიის მტრების მხარეზე იქნებოდა. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ბელგიის გამო კი ა რ აწარმოებს ომს «სამთა (და ოთხთა) შეთანხმება»: ეს კარგად არის ცნობილი, და მხოლოდ თვალთმაქცნი მალავენ ამას. ინგლისი ძარცვავს გერმანიის კოლონიებს და თურქეთს, რუსეთი — გალიციასა და თურქეთს, საფრანგეთი ცდილობს მოიპოვოს ელზას-ლორენი და რაინის მარცხენა ნაპირიც კი; იტალიასთან დადებულია ხელშეკრულება ნადავლის (ალბანეთის, მცირე აზიის) გაყოფაზე; ბულგარეთთან და რუმინეთთან წარმოებს ვაჭრობა აგრეთვე ნადავლის გაყოფის გამო. ახლანდელ მთავრობათა ახლანდელი ომის ნიადაგზე ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა დახმარება გაეწიოს ბელგიას ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ, თუ არ შეუწყვე ხელი იმას, რომ ჩაახშონ ავსტრია ან თურქეთი და ა. შ.! რა შუაშია აქ «სამშობლოს დაცვა»?? სწორედ ეს არის თავისებურება იმპერიალისტური ომისა, ისტორიულად დრომოჭმულ, რეაქციულ-ბურჟუაზიულ მთავრობათა შორის გაჩაღებული ომისა, რომელიც სხვა ერების დაჩაგვრის გულისათვის წარმოებს. ვინც ამართლებს ამ ომში მონაწილეობას, ის ამარადისებს ერების იმპერიალისტურ ჩაგვრას. ვინც ქადაგებს მთავრობების ახლანდელ სიძნელეთა გამოყენებას სოციალური რევოლუციისათვის საბრძოლველად, ის იცავს ნამდვილად ყველა ერის ნამდვილ თავისუფლებას, რომლის განხორციელება მხოლოდ სოციალიზმის დროს შეიძლება.

რისთვის ომობს რუსეთი?

რუსეთში უახლესი ტიპის კაპიტალისტურმა იმპერიალიზმმა სავსებით გამოააშკარავა თავისი თავი ცარიზმის პოლიტიკით სპარსეთის, მანჯურიის, მონღოლეთის მიმართ, მაგრამ საერთოდ რუსეთში სამხედრო და ფეოდალური იმპერიალიზმი სჭარბობს. დედამიწაზე არსად არ არის ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ისეთი ჩაგვრა, როგორც რუსეთშია: ველიკორუსები შეადგენენ მოსახლეობის მხოლოდ 43%, ე. ი. ნახევარზე ნაკლებს, ყველა დანარჩენი კი უუფლებოა, როგორც უცხოტომელი. რუსეთის 170 მილიონი მოსახლეობიდან დაახლოებით 100 მილიონი დაჩაგრული და უუფლებოა. ცარიზმი ომს აწარმოებს გალიციის დაპყრობისა და უკრაინის თავისუფლების საბოლოოდ ჩახშობისათვის, სომხეთის, კონსტანტინეპოლის და სხვათა დაპყრობისათვის. ცარიზმი ომში ხედავს იმის საშუალებას, რომ ჩამოაშოროს ხალხის ყურადღება ქვეყნის შიგნით უკმაყოფილების ზრდას და ჩაახშოს მზარდი რევოლუციური მოძრაობა. ახლა ორ ველიკორუსზე რუსეთში მოდის ორიდან სამამდე უუფლებო «უცხოტომელი»: ცარიზმი ცდილობს ომის საშუალებით გაადიდოს რუსეთის მიერ ჩაგრულ ერთა რაოდენობა, განამტკიცოს მათი ჩაგვრა და ამით შეარყიოს თვით ველიკორუსთა ბრძოლაც თავისუფლებისათვის. სხვა ხალხთა ჩაგვრისა და ძარცვის შესაძლებლობა განამტკიცებს ეკონომიურ უძრაობას, ვინაიდან საწარმოო ძალთა განვითარების ნაცვლად შემოსავლის წყაროს ხშირად წარმოადგენს «უცხოტომის ხალხთა» ნახევრადფეოდალური ექსპლოატაცია. ამრიგად, რუსეთის მხრივ ომი განირჩევა უაღრესი რეაქციულობით და ანტიგანმათავისუფლებელი ხასიათით.

რა არის სოციალ-შოვინიზმი?

სოციალ-შოვინიზმი არის «სამშობლოს თავდაცვის» იდეის დაცვა ამ ომში. შემდეგ, ამ იდეიდან გამომდინარეობს უარისთქმა კლასობრივ ბრძოლაზე ომის დროს, სამხედრო კრედი-

ტებისათვის ხმის მიცემა და სხვ. ნამდვილად სოციალ-შოვინისტები ატარებენ ანტიპროლეტარულ, ბურჟუაზიულ პოლიტიკას, რადგან საქმით ისინი ემხრობიან არა «სამშობლოს თავდაცვას» უცხო-ნაციონალურ ჩაგვრასთან ბრძოლის აზრით, არამედ ამა თუ იმ «დიდი» სახელმწიფოს «უფლებას» — ძარცვოს კოლონიები და ჩაგროს სხვა ერები. სოციალ-შოვინისტები ხალხის მოსატყუებლად იმეორებენ ბურჟუაზიულ სიცრუეს, თითქოს ომი ერების თავისუფლებისა და არსებობის დაცვისათვის წარმოებდეს, და ამით გადადიან ბურჟუაზიის მხარეზე პროლეტარიატის წინააღმდეგ. სოციალ-შოვინისტებს ეკუთვნიან როგორც ისინი, ვინც ამართლებს და ალამაზებს სახელმწიფოთა ე რ თ ე რ თ ი მეომარი ჯგუფის მთავრობებსა და ბურჟუაზიას, ისე ისინი, ვინც, კაუცკის მსგავსად, აღიარებს სოციალისტების ერთნაირ უფლებას ყ ვ ე ლ ა მეომარ სახელმწიფოში «დაიცვან სამშობლო». სოციალ-შოვინიზმი, რომელიც ნამდვილად არის «თავისი» (ან საერთოდ ყოველი) იმპერიალისტური ბურჟუაზიის პრივილეგიათა, უპირატესობათა, მძარცველობისა და ძალადობის დაცვა, წარმოადგენს სრულ ღალატს მთელი სოციალისტური შეხედულებებისა და ბაზელის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის გადაწყვეტილებისადმი.

ბაზელის მანიფესტი

მანიფესტს ომის შესახებ, რაც ერთხმად მიღებულია 1912 წელს ბაზელში, მხედველობაში აქვს სწორედ ის ომი ინგლისსა და გერმანიას შორის მათ ახლანდელ მოკავშირეებთან ერთად, რომელიც ატყდა 1914 წელს. მანიფესტი პირდაპირ აცხადებს, რომ ხალხის ვერავითარი ინტერესი ვერ გაამართლებს ასეთ ომს, რომელიც წარმოებს «კაპიტალისტების მოგებისა და დინასტიების სასარგებლოდ» დიდ სახელმწიფოთა იმპერიალისტური, მძარცველური პოლიტიკის ნიადაგზე. მანიფესტი პირდაპირ აცხადებს, რომ ომი სახიფათოა «მთავრობებისათვის» (ყველა მთავრობისა-

თვის გამოუკლებლად), აღნიშნავს მათს შიშს «პროლეტარული რევოლუციის» წინაშე, სრული გარკვეულობით მიგვითითებს 1871 წლის კომუნის და 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბრის მაგალითზე, ე. ი. *რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მაგალითზე*. ამრიგად, ბაზელის მანიფესტი სწორედ ახლანდელი ომისათვის აწესებს რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკას, რომელსაც მუშები უნდა აწარმოებდნენ ინტერნაციონალური მასშტაბით თავიანთ მთავრობათა წინააღმდეგ, აწესებს პროლეტარული რევოლუციის ტაქტიკას. ბაზელის მანიფესტი იმეორებს შტუტგარტის რეზოლუციის სიტყვებს, რომ, ომის დაწყების შემთხვევაში, სოციალისტებმა უნდა გამოიყენონ ამ ომით შექმნილი «ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი» «კაპიტალიზმის დამხობის დასაჩქარებლად», ე. ი. გამოიყენონ მთავრობებისათვის ომით შექმნილი სიძნელენი და ხალხის აღშფოთება სოციალისტური რევოლუციისათვის.

სოციალ-შოვინისტების პოლიტიკა, მათ მიერ ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი თვალსაზრისით ომის გამართლება, მათ მიერ «სამშობლოს დაცვის» დაშვება, ხმის მიცემა კრედიტებისათვის, სამინისტროებში შესვლა და სხვა და სხვა არის პირდაპირი ღალატი სოციალიზმისადმი, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ევროპული პარტიების უმრავლესობის შიგნით ოპორტუნიზმმა და ნაციონალ-ლიბერალურმა მუშათა პოლიტიკამ გაიმარჯვა.

მარქსისა და ენგელსის ყალბად დამოწმება

რუსი სოციალ-შოვინისტები (პლეხანოვის მეთაურობით) იმოწმებენ მარქსის ტაქტიკას 1870 წლის ომში; — გერმანელი სოციალ-შოვინისტები (ლენჩის, დავიდის და მათი კომპანიის ტიპისა) ენგელსის 1891 წლის განცხადებებს იმის შესახებ, რომ გერმანელი სოციალისტები ვალდებული არიან დაიცვან სამშობლო იმ შემთხვევაში, თუ ატყდება ომი ერთად რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ; — დასასრულ,

კაუცკის ტიპის სოციალ-შოვინისტები, რომლებსაც სურთ შეარიგონ და დააკანონონ ინტერნაციონალური შოვინიზმი, იმოწმებენ იმას, რომ მარქსი და ენგელსი, თუმცა გმობდნენ ომს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დგებოდნენ მუდმივად, 1854 — 1855 წლებიდან 1870 — 1871 და 1876 — 1877 წლებამდე, ამა თუ იმ მეომარი სახელმწიფოს მხარეზე, რაკი ომი მაინც ატყდებოდა.

მთელი ეს დამოწმებანი წარმოადგენს მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა აღმაშფოთებელ დამახინჯებას ბურჟუაზიისა და ოპორტუნისტების საამებლად, სწორედ ისევე, როგორც ანარქისტების გილიომისა და მისი კომპანიის ნაჯღაბნი ამახინჯებს მარქსისა და ენგელსის შეხედულებებს ანარქიზმის გასამართლებლად. 1870 — 1871 წლის ომი ისტორიულად პროგრესული იყო გერმანიის მხრივ, ვიდრე დამარცხებული არ იყო ნაპოლეონ III, ვინაიდან ეს უკანასკნელი, რუსეთის მეფესთან ერთად, მრავალი წლის განმავლობაში ჩაგრავდა გერმანიას და მხარს უჭერდა იქ ფეოდალურ დაქუცმაცებას. მაგრამ როგორც კი ომი საფრანგეთის გაძარცვად იქცა (ელზას-ლორენის ანექსია), მარქსმა და ენგელსმა გადაჭრით დაგმეს გერმანელები. გარდა ამისა, ამ ომის დასაწყისშიც მარქსი და ენგელსი იწონებდნენ ბებელისა და ლიბკნეხტის უარისთქმას — ხმა მიეცათ სამხედრო კრედიტებისათვის, და ურჩევდნენ სოციალ-დემოკრატებს — კი არ შეერთებოდნენ ბურჟუაზიას, არამედ დაეცვათ პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი ინტერესები. ამ ომის, ბურჟუაზიულ-პროგრესული და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომის, შეფასების გადატანა თანამედროვე იმპერიალისტურ ომზე ჭეშმარიტების აბუჩად აგდებაა. ესევე ითქმის კიდევ უფრო მეტი ძალით 1854 — 1855 წლების ომზე და XIX საუკუნის ყველა ომზე, როდესაც არ იყო ა რ ც თანამედროვე იმპერიალიზმი, ა რ ც სოციალიზმის მომწიფებული ობიექტური პირობები, ა რ ც მასობრივი სოციალისტური პარტიები ყ ვ ე ლ ა მეომარ ქვეყანაში, ე. ი. არ იყო სწორედ ის

პირობები, რომლებიდანაც ბაზელის მანიფესტს გამოჰყავდა ტაქტიკა «პროლეტარული რევოლუციისა» დიდ სახელმწიფოთა შორის ომთან დაკავშირებით.

ვინც ახლა იმოწმებს მარქსის დამოკიდებულებას პროგრესული ბურჟუაზიის ეპოქის ომებთან და ივიწყებს მარქსის სიტყვებს: «მუშებს სამშობლო არა აქვთო» — სიტყვებს, რომლებიც ეხება სწორედ რეაქციული, დრომოჭმული ბურჟუაზიის ეპოქას, სოციალისტური რევოლუციის ეპოქას, ის უსირცხვილოდ ამახინჯებს მარქსს და ბურჟუაზიული თვალსაზრისით ცვლის სოციალისტურ თვალსაზრისს.

II ინტერნაციონალის კრახი

მთელი მსოფლიოს სოციალისტებმა საქვეყნოდ განაცხადეს 1912 წელს ბაზელში, რომ მომავალი ევროპული ომი მათ მიაჩნიათ უველა მთავრობის «დანაშაულებრივ» და უაღრესად რეაქციულ საქმედ, რომელმაც აუცილებლად უნდა წარმოშვას რევოლუცია კაპიტალიზმის წინააღმდეგ და დააჩქაროს მისი დამსხვრევა. დაიწყო ომი, დაიწყო კრიზისი. რევოლუციური ტაქტიკის ნაცვლად სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობა რეაქციულ ტაქტიკას დაადგა და თავისი მთავრობებისა და თავისი ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდა. სოციალიზმის ეს ღალატი ნიშნავს II (1889 — 1914) ინტერნაციონალის კრახს, და ჩვენ უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რამ გამოიწვია ეს კრახი, რამ წარმოშვა სოციალ-შოვინიზმი, რამ მისცა მას ძალა.

სოციალ-შოვინიზმი არის დასრულებული ოპორტუნიზმი

II ინტერნაციონალის მთელი ეპოქის განმავლობაში ყველგან წარმოებდა ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული პარტიების შიგნით რევოლუციურ და ოპორტუნისტულ ფრთას შორის. მთელ რიგ ქვეყნებში გათიშვა იყო ამ ხაზით (ინგლისი, იტალია, ჰოლანდია, ბულგარეთი). არც ერთი მარქსისტისათვის საეჭვო არ იყო, რომ ოპორტუნიზმი გამოხატავს

ბურჟუაზიულ პოლიტიკას მუშათა მოძრაობაში, გამოხატავს წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს და გაბურჟუებული მუშების სრულიად უმნიშვნელო ნაწილის კავშირს «თ ა ვ ი ს» ბურჟუაზიასთან პროლეტართა მასის, ჩაგრულთა მასის ინტერესების წინააღმდეგ.

XIX საუკუნის დამლევის ობიექტური პირობები განსაკუთრებით აძლიერებდნენ ოპორტუნიზმს, ბურჟუაზიული ლეგალობის გამოყენებას აქცევდნენ მის წინაშე მონურ მორჩილებად, ქმნიდნენ მუშათა კლასის ბიუროკრატიისა და არისტოკრატიის მცირე ფენას, სოციალ-დემოკრატიული პარტიების რიგებში იზიდავდნენ ბევრ - წვრილბურჟუაზიულ «თანამგზავრს».

ომმა დააჩქარა განვითარება, ოპორტუნიზმი გადააქცია სოციალ-შოვინიზმად, ოპორტუნისტების ფარული კავშირი ბურჟუაზიასთან გადააქცია აშკარა კავშირად. ამასთან სამხედრო ხელისუფლებმა ყველგან შემოიღეს სამხედრო წესები და ლაგამი ამოსდეს მუშათა მასას, რომლის ძველი ბელადები თითქმის გამოუკლებლივ გადავიდნენ ბურჟუაზიის მხარეზე.

ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის ეკონომიური საფუძველი ერთი და იგივეა: ინტერესები პრივილეგირებული მუშების სრულიად უმნიშვნელო ფენისა და წვრილი ბურჟუაზიისა, რომლებიც იცავენ თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას, თავის «უფლებას» იმ მოგების ნამცეცების მიმართ, რასაც «მათი» ნაციონალური ბურჟუაზია იღებს სხვა ერების გაძარცვიდან, თავისი დიდმპყრობელური მდგომარეობის ხელსაყრელობიდან და ა. შ.

ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის იდეურ-პოლიტიკური შინაარსი ერთი და იგივეა: კლასების თანამშრომლობა მათი ბრძოლის ნაცვლად, უარისთქმა ბრძოლის რევოლუციურ საშუალებებზე, დახმარება «თავისი» მთავრობისადმი მის ძნელ მდგომარეობაში ნაცვლად მის სიძნელეთა გამოყენებისა რევოლუციისათვის. ყველა ევროპული ქვეყანა მთლიანად რომ ავიღოთ, ყურადღება რომ

შივაქციოთ არა ცალკეულ პირებს (თუნდაც უაღრესად ავტორიტეტულთ), აღმოჩნდება, რომ სწორედ ოპორტუნისტული მიმდინარეობა გახდა სოციალ-შოვინიზმის მთავარი დასაყრდენი, ხოლო რევოლუციონერთა ბანაკიდან თითქმის ყველგან გაისმის მეტად თუ ნაკლებად თანმიმდევრული პროტესტი მის წინააღმდეგ. და რომ ავიღოთ, მაგალითად, მიმართულებათა დაჯგუფება შტუტგარტის 1907 წლის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე, აღმოჩნდება, რომ საერთაშორისო მარქსიზმი წინააღმდეგი იყო იმპერიალიზმისა, ხოლო საერთაშორისო ოპორტუნიზმი უკვე მაშინ უჭერდა მას მხარს.

ოპორტუნისტებთან ერთიანობა არის მუშების კავშირი «თავის» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან და ინტერნაციონალური რევოლუციური მუშათა კლასის გათიშვა

წარსულ ეპოქაში, ომამდე, ოპორტუნიზმი თუმცა ხშირად ითვლებოდა «გადახვევად», «უკიდურესობად», მაგრამ მაინც მიჩნეული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანონიერ შემადგენელ ნაწილად. ომმა ცხადყო ამის შეუძლებლობა მომავალში. ოპორტუნიზმი «მომწიფდა», მან ბოლომდე მიიყვანა თავისი როლი ბურჟუაზიის ემისრისა მუშათა მოძრაობაში. ოპორტუნისტებთან ერთიანობა მთლიანად თვალთმაქცობა გახდა, რომლის მაგალითს ჩვენ ვხედავთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ოპორტუნისტები ყველა დიდმნიშვნელოვან შემთხვევაში (მაგალითად, 4 აგვისტოს კენჭისყრისას) გამოდიან თავისი ულტიმატუმით, ახორციელებენ მას იმის წყალობით, რომ მრავალი ძაფით არიან დაკავშირებული ბურჟუაზიასთან, უმრავლესობა ჰყავთ პროფესიული კავშირების გამგეობებში და ა. შ. ოპორტუნისტებთან ერთიანობა ახლა სინამდვილეში ნიშნავს მუშათა კლასის დამორჩილებას «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიისადმი, კავშირს მასთან სხვა ერების დასაჩაგრავად და დიდმპყრობელური პრივი-

ლეგიებისათვის საბრძოლველად და წარმოადგენს ყველა ქვეყნის რევოლუციური პროლეტარიატის გ ა თ ი შ ვ ა ს.

რაც უნდა მძიმე იყოს ცალკეულ შემთხვევებში ბრძოლა ბევრ ორგანიზაციაში გაბატონებულ ოპორტუნისტებთან, რაც უნდა თავისებური იყოს ცალკეულ ქვეყანაში ოპორტუნისტებისაგან მუშათა პარტიების გაწმენდის პროცესი, ეს პროცესი გარდუვალი და ნაყოფიერია. რეფორმისტული სოციალიზმი კვდება; აღორძინების გზაზე მდგარი სოციალიზმი «რევოლუციური, შეურიგებელი, მეამბოხე სოციალიზმი იქნება», ფრანგი სოციალისტის პავლე გოლეის მართებული თქმით.

«კაუცკიანელობა»

კაუცკი, II ინტერნაციონალის ყველაზე დიდი ავტორიტეტი, წარმოადგენს იმის უაღრესად ტიპიურ და მკაფიო მაგალითს, თუ სინამდვილეში როგორ მოჰყვა მარქსიზმის სიტყვიერ აღიარებას მისი გადაქცევა «სტრუვიზმად» თუ «ბრენტანიზმად» [115]. ჩვენ ამას ვხედავთ პლეხანოვის მაგალითზეც. მარქსიზმს აშკარა სოფიზმებით აცლიან მის რევოლუციურ ცოცხალ სულს, მარქსიზმში აღიარებენ ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს, გ ა რ დ ა ბრძოლის რევოლუციური საშუალებებისა, მათი ქადაგებისა და მომზადებისა, მასების აღზრდისა სწორედ ამ მიმართულებით. კაუცკი უიდეოდ «არიგებს» სოციალ-შოვინიზმის ძირითად აზრს, ახლანდელ ომში სამშობლოს დაცვის აღიარებას, დიპლომატიურ, მოჩვენებითს დათმობასთან მემარცხენეებისადმი კრედიტების კენჭისყრისას თავშეკავების სახით, თავისი ოპოზიციურობის სიტყვიერად აღიარების და სხვა მისთანათა სახით. კაუცკი, რომელმაც 1909 წელს დაწერა მთელი წიგნი რევოლუციების ეპოქის მოახლოებაზე და რევოლუციასთან ომის კავშირზე, კაუცკი, რომელმაც 1912 წელს ხელი მოაწერა ბაზელის მანიფესტს მომავალი ომის რევოლუციური გამოყენების შესახებ, ახლა ყოველნაირად ამართლებს და აფერადებს სოციალ-შოვინიზმს და, პლეხანოვის მსგავსად, უერთდება ბურჟუაზიას იმისა-

თვის, რომ დასცინოს ყოველ ფიქრს რევოლუციაზე, უშუალო-რევოლუციური ბრძოლისაკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს.

მუშათა კლასი ვერ განახორციელებს თავის მსოფლიო-რევოლუციურ როლს ისე, თუ მან ულმობელი ომი არ აწარმოვა ამ რენეგატობასთან, უხასიათობასთან, ოპორტუნიზმის დამქაშობასთან და მარქსიზმის უმაგალითო თეორიულ გაუხამსებასთან. კაუცკიანელობა შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ სოციალური პროდუქტია II ინტერნაციონალის წინაალმდეგობებისა, სიტყვიერად მარქსიზმისადმი ერთგულების და საქმით ოპორტუნიზმისადმი დამორჩილების შეერთებისა.

სხვადასხვა ქვეყანაში «კაუცკიანელობის» ეს ძირითადი სიყალბე სხვადასხვა ფორმით ვლინდება. ჰოლანდიაში როლანდ-გოლსტი უარყოფს სამშობლოს დაცვის იდეას და ამავე დროს იცავს ოპორტუნისტების პარტიასთან ერთიანობას. რუსეთში ტროცკი აგრეთვე უარყოფს ამ იდეას და ასევე იცავს «ნაშა ზარიას» ოპორტუნისტულ და შოვინისტურ ჯგუფთან ერთიანობას. რუმინეთში რაკოვსკი ომს უცხადებს ოპორტუნიზმს, როგორც ინტერნაციონალის კრახში დამნაშავეს, და ამავე დროს მზად არის ცნოს სამშობლოს დაცვის იდეის კანონიერება. ყოველივე ეს იმ ბოროტების გამოხატულებაა, რასაც ჰოლანდიელმა მარქსისტებმა (ჰორტერმა, პანეკუკმა) «პასიური რადიკალიზმი» უწოდეს და რაც იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუციურ მარქსიზმს ცვლიან ეკლექტიზმით თეორიაში და მონურად ქედს იხრიან ან უმწეობას იჩენენ ოპორტუნიზმის წინაშე პრაქტიკაში.

მარქსისტების ლოზუნგი — რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგია

ომმა, უეჭველია, წარმოშვა უაღრესად მძაფრი კრიზისი და არაჩვეულებრივად გაამწვავა მასების გაჭირვება. ამ ომის რეაქციული ხასიათი, უტიფარი სიცრუე

ყველა ქვეყნის ბურჟუაზიისა, რომელიც თავის მძარცველურ მიზნებს ჩქმალავს «ნაციონალური» იდეოლოგიით, ყოველივე ეს ობიექტურ-რევოლუციური სიტუაციის ნიადაგზე გარდუვალად ქმნის რევოლუციურ განწყობილებას მასებში. ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთ ამ განწყობილების შეგნებას, გაღრმავებას და ჩამოყალიბებას. ამ ამოცანას სწორად გამოხატავს მხოლოდ იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგი, და ყოველგვარ თანმიმდევრულ კლასობრივ ბრძოლას ომის დროს, «მასობრივი მოქმედების» ყოველგვარ ტაქტიკას, რომელიც კი სერიოზულად ტარდება, გარდუვალად მივყავართ აქეთკენ. არ შეიძლება ვიცოდეთ, დიდ სახელმწიფოთა პირველ თუ მეორე იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით, ამ ომის დროს თუ მის შემდეგ გაჩაღდება ძლიერი რევოლუციური მოძრაობა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენი უეჭველი მოვალეობაა სისტემატურად და განუხრელად ვიმუშაოთ სწორედ ამ მიმართულებით.

ბაზელის მანიფესტი პირდაპირ იმოწმებს პარიზის კომუნის მაგალითს, ე. ი. მთავრობათა ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის მაგალითს. ნახევარი საუკუნის წინათ პროლეტარიატი ძლიერ სუსტი იყო, სოციალიზმის ობიექტური პირობები ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული, რევოლუციური მოძრაობის შესაბამობა და ურთიერთხელშეწყობა ყველა მეომარ ქვეყანაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო, პარიზელი მუშების ერთი ნაწილის გატაცება «ნაციონალური იდეოლოგიით» (1792 წლის ტრადიციით) იყო მათი წვრილბურჟუაზიული სისუსტე, რაც თავის დროზე აღნიშნა მარქსმა, — და კომუნის კრახის ერთ-ერთი მიზეზი. კომუნიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ მოისპო მაშინდელი რევოლუციის შემასუსტებელი პირობები, და ახლა სოციალისტისათვის შეუწყნარებელია შეურიგდეს უარისთქმას სწორედ პარიზელი კომუნარების სულისკვეთებით მოქმედებაზე.

სანგრებში დაძმობილების მაგალითი

ყველა მეომარი ქვეყნის ბურჟუაზიულ გაზეთებს მოჰყავდათ მაგალითები, მეომარი ერების ჯარისკაცნი სანგრებშიც კი ძმობილდებიანო. ხოლო ასეთი დაძმობილების წინააღმდეგ სამხედრო ხელისუფალთა მიერ (გერმანიის, ინგლისის) დრაკონულ ბრძანებათა გამოცემამ დაამტკიცა, რომ მთავრობანი და ბურჟუაზია მას სერიოზულ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ. თუ დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების ზედაფენებში ოპორტუნიზმის სრული ბატონობისა და მთელი სოციალ-დემოკრატიული პრესის მიერ, II ინტერნაციონალის ყველა ავტორიტეტის მიერ სოციალ-შოვინიზმისათვის მხარდაჭერის მიუხედავად, შესაძლებელი იყო დაძმობილების შემთხვევები, ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ახლანდელი დანაშაულებრივი, რეაქციული და მონათმფლობელური ომის შეკვეცა და რევოლუციური ინტერნაციონალური მოძრაობის მოწყობა, სისტემატური მუშაობა რომ გაეწიათ ამ მიმართულებით ყველა მეომარი ქვეყნის თუნდაც მხოლოდ მემარცხენე სოციალისტებს.

არალეგალური ორგანიზაციის მნიშვნელობა

მთელი მსოფლიოს უთვალსაჩინოესმა ანარქისტებმა ამ ომში ოპორტუნისტებზე არა ნაკლებ შეირცხვინეს თავი სოციალ-შოვინიზმით (პლეხანოვისა და კაუცკისებურად). ომის ერთ-ერთი სასარგებლო შედეგი, უეჭველია, ის იქნება, რომ ეს ომი მოსპობს ოპორტუნიზმსაც და ანარქიზმსაც.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა, არავითარ შემთხვევაში და არავითარ გარემოებაში არ უნდა თქვან რა უარი სულ მცირედი ლეგალური შესაძლებლობის გამოყენებაზე მასების ორგანიზებისა და სოციალიზმის ქადაგებისათვის, ამავე დროს უნდა უკუაგდონ მონური ქედისმოხრა ლეგალობის წინაშე. «პირველებმა თქვენ დაგვიშინეთ ტყვია, ბატონო ბურჟუებო» [116], — წერდა ენგელსი, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა სწორედ სამოქალაქო ომი და ჩვენ მიერ ლეგა-

ლობის დარღვევის აუცილებლობა მას შ ე მ დ ე გ, როცა მას ბურჟუაზია დაარღვევდა. კრიზისმა ცხადყო, რომ ბურჟუაზია მას არღვევს ყველა ქვეყანაში, ყველაზე თავისუფალ ქვეყნებშიც კი, და რომ არ შეიძლება გავუძღვეთ მასებს რევოლუციისაკენ, თუ არ შევქმენით არალეგალური ორგანიზაცია ბრძოლის რევოლუციურ საშუალებათა საქადაგებლად, განსახილველად, შესაფასებლად და მოსამზადებლად. გერმანიაში, მაგალითად, ყოველივე, რაც კი კეთდება პ ა ტ ი ო ს ა ნ ი რ ა მ სოციალისტების მიერ, კეთდება საზიზღარი ოპორტუნიზმისა და თვალთმაქცური «კაუცკიანელობის» წინააღმდეგ და კეთდება სწორედ არალეგალურად. ინგლისში კატორღით სჯიან იმათ, ვინც პრესაში მოუწოდებს — ჯარში ნუ წახვალთო.

იმის აღიარება, თითქოს შეიძლებოდეს შეათავსო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობასთან პროპაგანდის არალეგალური ხერხების უარყოფა და ლეგალურ პრესაში მათი აბუჩად აგდება, სოციალიზმის ღალატია.

იმპერიალისტურ ომში «თავისი» მთავრობის დამარცხების შესახებ

ამ ომში თავისი მთავრობის გამარჯვების დამცველნი, ისევე როგორც დამცველნი ლოზუნგისა «არც გამარჯვება, არც დამარცხება», ერთნაირად დგანან სოციალ-შოვინიზმის თვალსაზრისზე. რევოლუციურ კლასს რეაქციულ ომში არ შეიძლება არ სურდეს თავისი მთავრობის დამარცხება, არ შეიძლება არ ხედავდეს ამ მთავრობის სამხედრო წარუმატებლობათა კავშირს მისი დამხობის გაადვილებასთან. მხოლოდ ბურჟუას, რომელსაც სწამს, რომ მთავრობათა მიერ დაწყებული ომი აუცილებლად გათავდება, როგორც მთავრობებს შორის ომი, და რომელსაც სურს ეს, მიაჩნია «სასაცილოდ» ან უაზროდ ის იდეა, რომ ყ ვ ე ლ ა მეომარი ქვეყნის სოციალისტები გამოვიდნენ და გამოთქვან ყ ვ ე ლ ა «თავისი» მთავრობის დამარცხების სურვილი. პირიქით, სწორედ ასეთი გამოსვლა შეესაბამება ყოველი

შეგნებული მუშის სანუკვარ აზრებს და ჩვენი მოღვაწეობის ხაზს, რომელიც მიმართულია იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისაკენ.

უეჭველია, ინგლისელი, გერმანელი, რუსი სოციალისტების ერთი ნაწილის სერიოზული აგიტაცია ომის წინააღმდეგ «ასუსტებდა» სათანადო მთავრობათა «სამხედრო ძლიერებას», მაგრამ ასეთი აგიტაცია სოციალისტების დამსახურება იყო. სოციალისტებმა უნდა განუმარტონ მასებს, რომ მათთვის არ არის ხსნა «თავის» მთავრობათა რევოლუციური დამხობის გარეშე და რომ ამ მთავრობათა სიძნელენი ამ ომში უნდა გამოვიყენოთ სწორედ ამ მიზნისათვის.

პაციფიზმისა და ზავის ლოზუნგის შესახებ

მასების განწყობილება ზავის სასარგებლოდ ხშირად გამოხატავს პროტესტის, აღშფოთებისა და ომის რეაქციულობის შეგნების დასაწყისს. ამ განწყობილების გამოყენება ყველა სოციალ-დემოკრატის მოვალეობაა. ისინი უაღრესად მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ ამ ნიადაგზე აღმოცენებულ ყოველ მოძრაობაში და ყოველ დემონსტრაციაში, მაგრამ ისინი არ მოატყუებენ ხალხს იმ აზრის დაშვებით, რომ რევოლუციური მოძრაობის გარეშე, თითქოს შესაძლებელი იყოს ზავი უანექსიოდ, ერების დაუჩაგრავად, უძარცვაგლეჯოდ, ახლანდელ მთავრობებსა და გაბატონებულ კლასებს შორის ახალი ომების ჩაუსახავად. ხალხის ასეთი მოტყუება მხოლოდ ხელს შეუწყობდა მეომარ მთავრობათა საიდუმლო დიპლომატიას და მათს კონტრრევოლუციურ გეგმებს. ვისაც სურს მტკიცე და დემოკრატიული ზავი, ის მხარს უნდა უჭერდეს სამოქალაქო ომს მთავრობებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ

ბურჟუაზიის მიერ ხალხის ყველაზე გავრცელებულ მოტყუებას ამ ომში წარმოადგენს ომის მძარცველური მიზნების დაფარვა «ნაციონალურ-განმათავისუფლებელი» იდეოლოგიით. ინგლისელები თავისუფლებას ჰპირდებიან

ბელგიას, გერმანელები — პოლონეთს და ა. შ. ნამდვილად კი, როგორც დავინახეთ, ეს არის მსოფლიოს ერების უმრავლესობის მჩაგვრელთა ომი ასეთი ჩაგვრის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის.

სოციალისტებს არ შეუძლიათ მიაღწიონ თავიანთ დიად მიზანს, თუ ისინი არ იბრძოლებენ ერების ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ. ამიტომ მათ უთუოდ უნდა მოითხოვონ, რათა მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი ქვეყნების (განსაკუთრებით ე. წ. «დიდი» სახელმწიფოების) სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა აღიარონ და დაიცვან ჩ ა გ რ უ ლ ერთა თვითგამორკვევის უფლება, და სახელდობრ ამ სიტყვის პოლიტიკური აზრით, ე. ი. პოლიტიკური გამოყოფის უფლება. დიდმპყრობელი ან კოლონიების მფლობელი ერის სოციალისტი, რომელიც ამ უფლებას არ იცავს, არის შოვინისტი.

ამ უფლების დაცვა არათუ ხელს არ უწყობს პატარა სახელმწიფოთა წარმოქმნას, არამედ, პირიქით, იწვევს მასისათვის უფრო ხელსაყრელი და ეკონომიური განვითარების უფრო შესაფერისი უდიდესი სახელმწიფოებისა და სახელმწიფოთა შორის კავშირების უფრო თავისუფალ, უშიშარ და ამიტომ უფრო ფართო და საყოველთაო წარმოშობას.

ჩ ა გ რ უ ლ ი ერების სოციალისტები, თავის მხრივ, უთუოდ უნდა იბრძოდნენ ჩაგრულ და მჩაგვრელ ეროვნებათა მ უ შ ე ბ ი ს სრული (მათ შორის ორგანიზაციული) ერთიანობისათვის. იდეა ერთი ერის უფლებრივი გამოყოფისა მეორე ერისაგან (ბაუერისა და რენერის ე. წ. «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია») რეაქციული იდეაა.

იმპერიალიზმი არის «დიდ» სახელმწიფოთა მცირე ჯგუფის მიერ მთელი მსოფლიოს ერების სულ უფრო და უფრო მზარდი ჩაგვრის ეპოქა, და ამიტომ ბრძოლა სოციალისტური ინტერნაციონალური რევოლუციისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეუძლებელია ისე, თუ ერთა თვითგამორკვევის უფლება არ არის აღიარებული. «არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს»

(მარქსი და ენგელსი). არ შეიძლება სოციალისტური იყოს ის პროლეტარიატი, რომელიც ურიგდება «თავისი» ერის სულ მცირედ ძალადობას სხვა ერების მიმართ.

თ ა ვ ი II

კლასები და პარტიები რუსეთში

ბურჟუაზია და ომი

რუსეთის მთავრობა ერთ რამეში არ ჩამორჩა თავის ევროპელ თანამოძმეებს: ისევე როგორც მათ, მანაც შეძლო განეხორციელებინა «თავისი» ხალხის მოტყუება უზარმაზარი მასშტაბით. სიცრუისა და მზაკვრობის ვეებერთელა, საშინელი აპარატი აამუშავეს რუსეთშიც, რათა მოეწამლათ მასები შოვინიზმით, რათა შეექმნათ წარმოდგენა, თითქოს მეფის მთავრობა ეწეოდეს «სამართლიან» ომს, უანგაროდ იცავდეს «მოძმე სლავებს» და ა. შ.

მემამულეთა კლასმა და ვაჭარ-მრეწველთა ბურჟუაზიის ზედაფენებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი მეფის მთავრობის საომარ პოლიტიკას. ისინი სამართლიანად მოელიან თავისთვის დიდ მატერიალურ სარფასა და პრივილეგიებს თურქეთისა და ავსტრიის მემკვიდრეობის გაყოფის შედეგად. მთელი რიგი მათი ყრილობები უკვე წინასწარ ტკბებიან იმ მოგებით, რომლითაც მათი ჯიბე გაივსებოდა მეფის არმიის გამარჯვებისას. ამასთან რეაქციონერებს ძალიან კარგად ესმით, რომ თუ რაიმეს კიდევ შეუძლია გადასდოს რომანოვების მონარქიის დაცემა და შეაფერხოს ახალი რევოლუცია რუსეთში, ეს არის მხოლოდ ისეთი საგარეო ომი, რომელიც მეფისათვის ძლევამოსილად დამთავრდებოდა.

ქალაქის «საშუალო» ბურჟუაზიის, ბურჟუაზიული ინტელიგენციის, თავისუფალი პროფესიების პირთა და სხვა მისთანათა ფართო ფენებიც — ომის დასაწყისში მაინც — აგრეთვე მოწამლული იყვნენ შოვინიზმით. რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის პარტიამ — კადეტებმა — სავსებით და უსიტყვოდ დაუჭირა მხარი მეფის მთავრობას. საგარეო

პოლიტიკის სფეროში კადეტები უკვე დიდი ხანია მთავრობის პარტიას წარმოადგენენ. პანსლავიზმი, რომლის საშუალებითაც მეფის დიპლომატიას უკვე არა ერთხელ ჩაუდენია თავისი გრანდიოზული პოლიტიკური ყალთაბანდობა, კადეტების ოფიციალური იდეოლოგია გახდა. რუსეთის ლიბერალიზმი ნ ა ც ი ო ნ ა ლ-ლიბერალიზმად გადაგვარდა. იგი «პატრიოტიზმში» ეჯიბრება შავ რაზმს, ყოველთვის ხალისით აძლევს ხმას მილიტარიზმს, მარინიზმს და სხვ. რუსეთის ლიბერალიზმის ბანაკში დაახლოებით ისეთსავე მოვლენას ვხედავთ, როგორიც იყო 70-იან წლებში გერმანიაში, როდესაც «თავისუფლად მოაზროვნე» ლიბერალიზმი დაიშალა და თავისი წრიდან გამოჰყო ნაციონალ-ლიბერალური პარტია. რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია საბოლოოდ დაადგა კონტრრევოლუციის გზას. რსდმპ თვალსაზრისი ამ საკითხში მთლიანად დადასტურდა. ცხოვრებამ გააქარწყლა ჩვენი ოპორტუნისტების ის შეხედულება, თითქოს რუსული ლიბერალიზმი ჯერ კიდევ წარმოადგენდეს რევოლუციის მამოძრავებელ ძალას რუსეთში.

გლეხობაშიც მმართველმა ხროვამ ბურჟუაზიული პრესის, სამღვდელოების და სხვათა დახმარებით შეძლო გამოეწვია შოვინისტური განწყობილება. მაგრამ ჯარისკაცები რომ დაიწყებენ ხოცვა-ჟლეტის ველიდან დაბრუნებას, უეჭველად შეიცვლება სოფლად განწყობილება, შეიცვლება არა მეფის მონარქიის სასარგებლოდ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა პარტიებმა, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ გლეხობასთან, ვერ გაუძლეს შოვინისტურ ტალღას. ტრუდოვიკების პარტიამ უარი თქვა სახელმწიფო სათათბიროში ხმა მიეცა სამხედრო კრედიტებისათვის. მაგრამ თავისი ბელადის კერენსკის პირით მან გამოაქვეყნა «პატრიოტული» დეკლარაცია, რომელიც უაღრესად ხელსაყრელი გამოდგა მონარქიისათვის. «ნაროდნიკების» მთელი ლეგალური პრესა საერთოდ აჰყვა ლიბერალებს. ბურჟუაზიული დემოკრატიის მემარცხენე ფრთაც კი — ე. წ. სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია, რომელიც მიეტმასნა საერთაშორისო სო-

ციალისტურ ბიუროს, გაჰყვა ამავე მდინარებას. ამ პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში ბ-ნი რუბანოვიჩი გამოდის, როგორც აშკარა სოციალ-შოვინისტი. ამ პარტიის დელეგატების ნახევარმა «შეთანხმების» სოციალისტთა ლონდონის კონფერენციაზე ხმა მისცა შოვინისტურ რეზოლუციას (მეორე ნახევარმა თავი შეიკავა). სოციალისტ-რევოლუციონერების არალეგალურ პრესაში (გაზეთი «ნოვოსტი» [117] და სხვა) შოვინისტები ჭარბობენ. «ბურჟუაზიული წრის» რევოლუციონერებმა, ე. ი. ბურჟუაზიულმა რევოლუციონერებმა, რომლებიც დაკავშირებული არ არიან მუშათა კლასთან, უსასტიკესი კრახი განიცადეს ამ ომში. კროპოტკინის, ბურცევის, რუბანოვიჩის სავალალო ბედი უაღრესად საგულისხმოა.

მუშათა კლასი და ომი

რუსეთში ერთადერთი კლასი, რომელსაც შოვინიზმის სენი ვერ გადასდეს, პროლეტარიატია. ცალკეული ექსცესები ომის დასაწყისში შეეხო მუშების მხოლოდ უაღრესად ბნელ ფენებს. მუშების მონაწილეობა იმ უმსგავსოებაში, რაც გერმანელთა წინააღმდეგ იყო მოწყობილი, ძალიან გაზვიადებულია. საერთოდ და მთლიანად რუსეთის მუშათა კლასი ხელშეუვალი აღმოჩნდა შოვინიზმის მხრივ.

ეს აიხსნება ქვეყნის რევოლუციური მდგომარეობით და რუსეთის პროლეტარიატის ცხოვრების საერთო პირობებით.

1912 — 1914 წლები აღინიშნა რუსეთში ახალი გრანდიოზული რევოლუციური აღმავლობის დაწყებით. ჩვენ კვლავ შევიქენით ისეთი დიდი საგაფიცვო მოძრაობის მოწმენი, როგორსაც მსოფლიო არ იცნობს. მასობრივმა რევოლუციურმა გაფიცვამ 1913 წელს, სულ მინიმალური გამოანგარიშებით, მოიცვა 1 ½ მილიონი მონაწილე, ხოლო 1914 წელს ამ რიცხვმა 2 მილიონს გადააჭარბა და იგი 1905 წლის დონეს უახლოვდებოდა. ომის წინ პეტერბურგში საქმე უკვე მივიდა პირველ საბარიკადო ბრძოლებამდე.

რუსეთის არალეგალურმა სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ შეასრულა თავისი მოვალეობა ინტერნაციონალის წინაშე. ინტერნაციონალიზმის დროშა არ შემდრკალა მის ხელში. ჩვენმა პარტიამ დიდი ხანია ორგანიზაციულად გაწყვიტა კავშირი ოპორტუნისტულ ჯგუფებთან და ელემენტებთან. ოპორტუნიზმისა და «რადაც უნდა დაჯდეს ლეგალიზმის» ტვირთი ხელ-ფეხს არ უბორკავდა ჩვენს პარტიას. და ეს გარემოება დაეხმარა მას შეესრულებინა რევოლუციური მოვალეობა — ისევე როგორც იტალიელ ამხანაგებსაც შეუწყო ხელი ბისოლატის ოპორტუნისტულ პარტიასთან გათიშვამ.

ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობა მტრულია მუშათა მასებში «სოციალისტური» ოპორტუნიზმის გაფურჩქვნისადმი. რუსეთში ჩვენ ვხედავთ ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმის მთელ რიგ ნაირსახეობას ინტელიგენციაში, წვრილ ბურჟუაზიაში და ა. შ. მაგრამ ოპორტუნისტები სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ მუშების პოლიტიკურად აქტიურ ფენებს შორის. პრივილეგირებული მუშებისა და მოსამსახურეების ფენა ჩვენში ძალიან სუსტია. ლეგალობის ფეტიშიზმი ჩვენში არ შეიძლებოდა შექმნილიყო. ლიკვიდატორებს (ოპორტუნისტების პარტიას, რომელსაც ხელმძღვანელობენ აქსელროდი, პოტრესოვი, ჩერევანინი, მასლოვი და სხვ.) ომამდე არავითარი სერიოზული დასაყრდენი არ გააჩნდათ მუშათა მასებში. IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებმა მოგვცეს ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგე ექვსივე დეპუტატი-მუშა. ლეგალური მუშათა პრესის ტირაჟმა და ფულის შეგროვებამ პეტროგრადსა და მოსკოვში უდავოდ ცხადყვეს, რომ შეგნებული მუშების 4/5 ოპორტუნიზმისა და ლიკვიდატორობის წინააღმდეგია.

ომის დაწყებისთანავე მეფის მთავრობამ დააპატიმრა და გადაასახლა მრავალი ათასი მოწინავე მუშა, ჩვენი არალეგალური რსდმ პარტიის წევრები. ამ გარემოებამ, ქვეყანაში სამხედრო წესების შემოღებასთან, ჩვენი გაზეთების დახურვასთან და სხვა მისთანებთან ერთად, შეაფერხა მოძრაობა.

მაგრამ ჩვენი პარტიის არალეგალური რევოლუციური მუშაობა მაინც გრძელდება. პეტროგრადში ჩვენი პარტიის კომიტეტი უშვებს არალეგალურ გაზეთს «პროლეტარსკი გოლოსს» [118].

სტატიები ცენტრალური ორგანოდან — «სოციალ-დემოკრატიდან», რომელიც საზღვარგარეთ გამოდის, ხელმეორედ იბეჭდება პეტროგრადში და იგზავნება პროვინციაში. გამოდის არალეგალური პროკლამაციები, რომლებიც ვრცელდება ყაზარმებშიც. ქალაქგარეთ, სხვადასხვა ფარულ ადგილას, იმართება მუშათა არალეგალური კრებები. ამ ბოლო დროს პეტროგრადში დაიწყო მელითონე მუშების დიდი გაფიცვები. ამ გაფიცვებთან დაკავშირებით ჩვენმა პეტროგრადის კომიტეტმა გამოუშვა რამდენიმე მოწოდება მუშებისადმი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია სახელმწიფო სათათბიროში და ომი

1913 წელს სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს შორის გათიშვა მოხდა. ერთ მხარეზე აღმოჩნდა ოპორტუნიზმის 7 მომხრე, ჩხეიძის ხელმძღვანელობით. ისინი არჩეული იყვნენ 7 არაპროლეტარული გუბერნიიდან, სადაც 214 ათასი მუშა ითვლებოდა. მეორე მხარეზე — 6 დეპუტატი, ყ ვ ე ლ ა ნ ი მუშათა კურიიდან, არჩეულნი რუსეთის ყველაზე სამრეწველო ცენტრებიდან, რომლებშიც ითვლებოდა 1 008 ათასი მუშა.

უთანხმოების მთავარი საგანი იყო: რევოლუციური მარქსიზმის ტაქტიკა თუ ოპორტუნისტული რეფორმიზმის ტაქტიკა. პრაქტიკულად უთანხმოება ყველაზე მეტად იჩენდა თავს მასებს შორის პარლამენტ-გ ა რ ე შ ე მუშაობის სფეროში. ეს მუშაობა რუსეთში არალეგალურად უნდა წარმოებულიყო, თუ მის გამწევთ სურდათ რევოლუციურ ნიადაგზე დარჩენილიყვნენ. ჩხეიძის ფრაქცია ფრიად ერთგული მოკავშირე რჩებოდა ლიკვიდატორებისა, რომლებმაც უკუაგდეს არალეგალური მუშაობა; ეს ფრაქცია ლიკვიდატორებს იცავდა მუშებთან გამართულ ყველა საუბარში,

ყველა კრებაზე. აქედან წარმოიშვა გათიშვა. 6 დეპუტატმა შეადგინა რსდმ ფრაქცია. ერთი წლის მუშაობამ უდავოდ ცხადყო, რომ სწორედ მას უჭერს მხარს რუსი მუშების უდიდესი უმრავლესობა.

ომის დასაწყისში უთანხმოებამ უაღრესად მკაფიოდ იჩინა თავი. ჩხეიძის ფრაქცია საპარლამენტო ნიადაგს დასჯერდა. მას ხმა არ მიუცია კრედიტებისათვის, რადგან სხვანაირად იგი მუშების უდიდეს აღშფოთებას გამოიწვევდა თავის წინააღმდეგ. (ჩვენ ვნახეთ, რომ რუსეთში წვრილბურჟუაზიულ ტრუდოვიკებსაც კი არ მიუციათ ხმა კრედიტებისათვის). მაგრამ მას არც პროტესტი განუცხადებია სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ.

სხვანაირად მოიქცა რსდმ ფრაქცია, რომელიც ჩვენი პარტიის პოლიტიკურ ხაზს გამოხატავდა. ის ომის წინააღმდეგ პროტესტით წავიდა მუშათა კლასის ძირითად ფენებში, გააჩაღა ქადაგება იმპერიალიზმის წინააღმდეგ რუსი პროლეტარების ფართო მასაში.

და მას დიდი თანაგრძნობით გამოეხმაურნენ მუშები, — რამაც დააფრთხო მთავრობა, აიძულა იგი აშკარად დაერღვია საკუთარი კანონები, დაეპატიმრებინა ჩვენი ამხანაგი დეპუტატები და მიესაჯა მათთვის სამუდამოდ გადასახლება ციმბირში. პირველსავე ოფიციალურ ცნობაში ჩვენი ამხანაგების დაპატიმრების შესახებ მეფის მთავრობა წერდა:

«სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობა დაიკავა ამ მხრივ სოციალ-დემოკრატიულ საზოგადოებათა ზოგიერთმა წევრმა, რომლებმაც თავისი მოღვაწეობის მიზნად დაისახეს შეარყიონ რუსეთის სამხედრო ძლიერება ომის წინააღმდეგ აგიტაციის გზით, არალეგალურ მოწოდებათა და ზეპირი პროპაგანდის საშუალებით».

ვანდერველდეს ცნობილ მოწოდებას — «დროებით» შეწყვიტეთ ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ — ბელგიაში მეფის დესპანის, თავად კუდაშევის ჩვენებიდან ახლა ცხადი გახდა, რომ ვანდერველდე ამ მოწოდებას მარტო კი არ ამუშავებდა, არამედ მეფის ხსენებულ დესპანთან თანა-

მშრომლობით — მ ხ ო ლ ო დ ჩვენმა პარტიამ, მისი ცენტრალური კომიტეტის სახით, გასცა უარყოფითი პასუხი. ლიკვიდატორების ხელმძღვანელი ცენტრი დაეთანხმა ვანდერველდეს და ოფიციალურად განაცხადა პრესაში, რომ ის «თავის მოქმედებაში წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს ა რ უ წ ე ვ ს ო მ ს».

მეფის მთავრობამ ჩვენს ამხანაგ დეპუტატებს უწინარეს ყოვლისა ბრალად დასდო ის, რომ ისინი მუშებს შორის ეწეოდნენ ვანდერველდეს მიმართ ამ უარყოფითი პასუხის პროპაგანდას.

მეფის პროკურორი ბ-ნი ნენაროკომოვი გასამართლებაზე ჩვენს ამხანაგებს ნიმუშად უსახავდა გერმანელ და ფრანგ სოციალისტებს. «გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა, — ამბობდა ის, — ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს და მთავრობის მეგობრები აღმოჩნდნენ. ასე იქცეოდნენ გერმანელი სოციალ-დემოკრატები, მაგრამ ასე არ მოქცეულან რუსეთის სოციალ-დემოკრატიის სავალალო რაინდები... ბელგიისა და საფრანგეთის სოციალისტებმა ერთსულოვნად დაივიწყეს თავისი განხეთქილება სხვა კლასებთან, დაივიწყეს პარტიული შუღლი და უყოყმანოდ დადგნენ დროშების ქვეშ». რსდმფ წევრები კი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს ემორჩილებოდნენ და ასე არ იქცეოდნენო...

გასამართლებამ გადაშალა საგულისხმო სურათი ჩვენი პარტიის ფართო არალეგალური აგიტაციისა ომის წინააღმდეგ პროლეტარიატის მასებში. მეფის სასამართლომ, ცხადია, სრულიადაც ვერ შეძლო «გამოეაშკარავებინა» ჩვენი ამხანაგების მთელი მოღვაწეობა ამ დარგში. მაგრამ იმანაც, რაც გამოაშკარავებულ იქნა, ცხადყო, თუ რა ბევრი რამ გაკეთდა მოკლე ხნის — რამდენიმე თვის განმავლობაში.

გასამართლებაზე გამოაქვეყნეს ჩვენი ჯგუფებისა და კომიტეტების არალეგალური მოწოდებანი ომის წინააღმდეგ და ინტერნაციონალური ტაქტიკის სასარგებლოდ. მთელი რუსეთის შეგნებული მუშებიდან გაბმული იყო ძაფები რსდმ ფრაქციის წევრებისაკენ, და ფრაქციაც შეძლებისამებრ

ცდილობდა დახმარებოდა მუშებს, შეეფასებინათ ომი მარქსიზმის თვალსაზრისით.

ამხანაგი მურანოვი, ხარკოვის გუბერნიის მუშათა დეპუტატი, სასამართლოში ამბობდა:

«რაკი შეგნებული მქონდა, ხალხმა იმიტომ კი არ გამომაგზავნა სახელმწიფო სათათბიროში, რომ სათათბიროს სავარძელზე განმესვენა, მე დავდიოდი ადგილებზე მუშათა კლასის სულისკვეთების გასაცნობად». მანვე აღიარა გასამართლებაზე, ეკისრულობდი ჩვენი პარტიის არალეგალური აგიტატორის ფუნქციებს, ურალში შევქმენი მუშათა კომიტეტი ვერხნე-ისეტსკის ქარხანაში და სხვა ადგილებშიო. გასამართლებამ ცხადყო, რომ რსდმ ფრაქციის წევრებმა ომის დაწყების შემდეგ პროპაგანდის მიზნით შემოიარეს თითქმის მთელი რუსეთი, რომ მურანოვი, პეტროვსკი, ბადაევი და სხვები აწყობდნენ მუშათა მრავალრიცხოვან კრებებს, რომლებზედაც გამოჰქონდათ რეზოლუციები ომის წინააღმდეგ და ა. შ.

მეფის მთავრობა სამართალში მიცემულთ სიკვდილით დასჯას ემუქრებოდა. ამასთან დაკავშირებით თვით გასამართლებაზე ისინი ყველანი არ გამოსულან ისე მამაცურად, როგორც ამხ. მურანოვი გამოვიდა. ისინი ცდილობდნენ გაეძნელებინათ მეფის პროკურორებისათვის მათი მსჯავრდადება. იმით არასაკადრისად სარგებლობენ ახლა რუსი სოციალ-შოვინისტები, რათა მიაფუჩეჩონ დედაარსი საკითხისა: რანაირი პარლამენტარიზმი ესაჭიროება მუშათა კლასს?

პარლამენტარიზმს აღიარებენ ზიუდეკუმი და ჰაინე, სამბა და ვალიანი, ბისოლატი და მუსოლინი, ჩხეიძე და პლეხანოვი. პარლამენტარიზმს აღიარებენ ჩვენი ამხანაგებიც რსდმ ფრაქციიდან, აღიარებენ ბულგარელი, იტალიელი ამხანაგები, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს შოვინისტებთან. პარლამენტარიზმიც არის და პარლამენტარიზმიც. ზოგნი პარლამენტურ სარბიელს იყენებენ იმისათვის, რომ პირფერობით მოიგონ თავიანთ მთავრობათა გული,

ან, უკეთეს შემთხვევაში, დაიბანონ ხელები, როგორც იქცევა ჩხეიძის ფრაქცია. სხვები პარლამენტარიზმს იყენებენ იმისათვის, რომ ბოლომდე დარჩნენ რევოლუციონერებად, შეასრულონ თავიანთი მოვალეობა სოციალისტებისა და ინტერნაციონალისტებისა უაღრესად მძიმე გარემოებებშიც. ზოგიერთის პარლამენტურ მოღვაწეობას ისინი მინისტრების სავარძლებამდე მიჰყავს, სხვების პარლამენტური მოღვაწეობა მათ საპყრობილეს, გადასახლებას, კატორღას არგუნებს ხვედრად. ერთნი ემსახურებიან ბურჟუაზიას, მეორენი — პროლეტარიატს. ერთნი არიან სოციალ-იმპერიალისტები, მეორენი კი — რევოლუციური მარქსისტები.

თ ა ვ ი III
ინტერნაციონალის აღდგენა

როგორ აღვადგინოთ ინტერნაციონალი? მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რ ა ს ა ხ ი თ ა რ უ ნ დ ა აღდგეს ინტერნაციონალი.

სოციალ-შოვინისტებისა და «ცენტრის» მეთოდი

ოჰ, ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტები დიდი «ინტერნაციონალისტები» არიან! ისინი ომის დასაწყისიდანვე ინტერნაციონალისათვის ზრუნვას-ღა უნდებიან. ერთი მხრივ, ისინი ირწმუნებიან, რომ ლაპარაკი ინტერნაციონალის კ რ ა ხ ზ ე «გაზვიადებულია». ნამდვილად არაფერი განსაკუთრებული რამ არ მომხდარაო. მოუსმინეთ კაუცკის: სულ უბრალოდ ინტერნაციონალი «მშვიდობიანი დროის იარაღია», ბუნებრივია, რომ ომის დროისათვის ეს ინსტრუმენტი რამდენადმე არ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზეო. მეორე მხრივ, ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტებმა იპოვნეს ერთი მეტად უბრალო — და რაც მთავარია: ინტერნაციონალური—საშუალება, რომ თავი დააღწიონ შექმნილ მდგომარეობას. საშუალება მარტივია: საჭიროა მხოლოდ დავუცადოთ ომის დასასრულს, ომის დამთავრებამდე თვითეული ქვეყნის სოციალისტებმა უნდა დაიცვან თავიანთი «სამშობლო» და მხარი დაუჭირონ «თავიანთ» მთავრობებს,

ხოლო ომის დამთავრების შემდეგ «ამნისტია გამოუცხადონ» ერთმანეთს, აღიარონ, რომ ყველა მართალი იყო, რომ მშვიდობის დროს ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც ძმები, ხოლო ომის დროს ჩვენ — ამა და ამ რეზოლუციების ზუსტ საფუძველზე — მოვუწოდებთ გერმანელ მუშებს ჟლიტონ თავისი ფრანგი ძმები და პირიქით.

ამაში თანაბრად ეთანხმებიან ერთმანეთს კაუცკიც და პლეხანოვიც, ვიქტორ ადლერიცა და ჰაინეც. ვიქტორ ადლერი წერს: «როდესაც ჩვენ ამ მძიმე დროს გადავიტანთ, ჩვენი პირველი მოვალეობა იქნება ყველაფერი არ ვუსაყვედუროთ ერთმანეთს». კაუცკი ამტკიცებს, რომ «არც ერთი მხრიდან დღემდე არ გვსმენია სერიოზული სოციალისტების ხმა, რომელიც გამოიწვევდა შიშს» ინტერნაციონალის ბედისათვის. პლეხანოვი ამბობს, რომ «არასასიამოვნოა ჩამოართვა ხელი (გერმანელ სოციალ-დემოკრატებს), რომელსაც უდანაშაულოდ მოკლულთა სისხლის სუნი უდის». მაგრამ იქვე აცხადებს «ამნისტიას»: «აქ სავსებით მართებული იქნება, — წერს ის, — დავუმორჩილოთ გ უ ლ ი გ ო ნ ე ბ ა ს. თავისი დიადი საქმისათვის ინტერნაციონალმა მხედველობაში უნდა მიიღოს დაგვიანებული სინანულიც კი». ჰაინე «**Sozialistische Monatshefte**»-ში ვანდერველდეს საქციელს «მამაცურსა და ამაყს» უწოდებს და მაგალითად უსახავს მას გერმანელ მემარცხენეებს.

ერთი სიტყვით, როცა ომი გათავდება, დანიშნეთ კომისია კაუცკისა და პლეხანოვის, ვანდერველდეს და ადლერის შემადგენლობით და მყისვე შედგენილ იქნება «ერთსულოვანი» რეზოლუცია ურთიერთამნისტიის ყაიდაზე. დავა ბედნიერად მიიჩქმალება. იმის ნაცვლად, რომ დაეხმარონ მუშებს გაერკვნენ იმაში, რაც მოხდა, მათ მოატყუებენ მოჩვენებითი, ქაღალდზე დაწერილი «ერთიანობით». ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტებისა და თვალთმაქცების გაერთიანება ინტერნაციონალის აღდგენად გამოცხადდება.

რაღა დასამალია: ასეთი «აღდგენის» საშიშროება მეტად დიდია. ყველა ქვეყნის სოციალ-შოვინისტები თანაბრად

არიან ამით დაინტერესებულნი. მათ ყველას თანაბრად არ სურთ, რომ მათი ქვეყნის მუშათა მასები თვითონ გაერკვნენ საკითხში: სოციალიზმი თ უ ნაციონალიზმი. ისინი ყველანი თანაბრად დაინტერესებული არიან იმით, რომ ერთიმეორის ცოდვები მიჩქმალონ. არც ერთ მათგანს არ შეუძლია წამოაყენოს სხვა რაიმე წინადადება, გარდა იმისა, რა წინადადებასაც აყენებს «ინტერნაციონალური» თვალთმაქცობის ვირტუოზი კაუცკი.

ამავე დროს კი ეს საშიშროება ნაკლებად აქვთ შეგნებული. ომის ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ვნახეთ ინტერნაციონალური კავშირის აღდგენის მთელი რიგი ცდები. ჩვენ აღარ ვილაპარაკებთ ლონდონისა და ვენის კონფერენციებზე, სადაც შეკრებილიყვნენ გამორკვეული შოვინისტები, რათა დახმარებოდნენ თავიანთ «სამშობლოთა» გენერალურ შტაბებსა და ბურჟუაზიას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლუგანოს, კოპენჰაგენის კონფერენციები, ქალთა ინტერნაციონალური კონფერენცია და ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კონფერენცია[119]. ეს კრებები საუკეთესო სურვილებით იყვნენ აღფრთოვანებულნი. მაგრამ ისინი სრულიად ვერ ხედავდნენ აღნიშნულ საშიშროებას. მათ არ დაუსახავთ ინტერნაციონალისტების საბრძოლო ხაზი. მათ არ მიუთითებიათ პროლეტარიატისათვის იმ საშიშროებაზე, რომელიც ემუქრება მას ინტერნაციონალის «აღდგენის» სოციალ-შოვინისტური წესისაგან. ისინი უკეთეს შემთხვევაში დასჯერდნენ ძველი რეზოლუციების განმეორებას; მათ არ მიუთითებიათ მუშებისათვის, რომ სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ უბრძოლველად სოციალიზმის საქმე უიმედოა. ისინი უკეთეს შემთხვევაში ერთ ადგილს ტკეპნიდნენ.

საქმის ვითარება ოპოზიციაში

სრულიად უეჭველია, რომ ყველა ინტერნაციონალისტისათვის უდიდეს ინტერესს წარმოადგენს საქმის ვითარება გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ ოპოზიციაში. გერმანიის

ოფიციალურმა სოციალ-დემოკრატიამ, რომელიც ყველაზე ძლიერი და ხელმძღვანელი პარტია იყო II ინტერნაციონალში, ყველაზე საგრძნობი ლახვარი ჩასცა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციას. მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში ამასთან ერთად აღმოჩნდა ყველაზე ძლიერი ოპოზიციაც. ევროპის დიდი პარტიების რიცხვიდან მასში პირველებმა აღიმაღლეს პროტესტის ძლიერი ხმა იმ ამხანაგებმა, რომლებიც სოციალიზმის დროშის ერთგულნი დარჩნენ. სიხარულით ვკითხულობდით ჩვენ ჟურნალებს «Lichtstrahlen» *-ს და «Die Internationale»-ს. კიდევ უფრო მეტი სიხარულით ვტყობილობდით ჩვენ არალეგალურ რევოლუციურ მოწოდებათა გავრცელებას გერმანიაში, როგორიცაა, მაგალითად, მოწოდება: «მთავარი მტერი საკუთარ ქვეყანაშია». ეს მოწმობდა, რომ გერმანელ მუშებს შორის ცოცხლობს სოციალიზმის სული, რომ გერმანიაში კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ დაიცვან რევოლუციური მარქსიზმი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წიაღში განსაკუთრებით ნათლად დაისახა გათიშვა თანამედროვე სოციალიზმში. აქ ჩვენ სრული გარკვეულობით ვხედავთ 3 მიმდინარეობას: ოპორტუნისტ-შოვინისტებს, რომლებიც არსად არ მისულან ესოდენ უაღრეს დაცემამდე და რენეგატობამდე, როგორც გერმანიაში; კაუცკიანურ «ცენტრს», რომელმაც ცხადყო, რომ ის სავსებით უმწეოა შეასრულოს რაიმე სხვა როლი, გარდა ოპორტუნისტების დამქაშისა; და — მემარცხენეებს, რომელნიც წარმოადგენენ ერთადერთ სოციალ-დემოკრატებს გერმანიაში.

ჩვენ, ბუნებრივია, ყველაზე მეტად გვაინტერესებს საქმის ვითარება გერმანელ მემარცხენეთა ჯგუფში. ჩვენ მასში ვხედავთ ჩვენს ამხანაგებს, ყველა ინტერნაციონალისტური ელემენტის იმედს.

როგორია ეს ვითარება?

---

* — «სინათლის სხივები». რ ე დ.

ჟურნალი «Die Internationale» სავსებით მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ გერმანელ მემარცხენეთა ჯგუფში ყველაფერი ჯერ კიდევ დუღილის პროცესს განიცდის, რომ მოსალოდნელია კიდევ დიდი გადაჯგუფებანი, რომ მის წიაღში არიან უფრო გაბედული და ნაკლებ გაბედული ელემენტები.

ჩვენ, რუსი ინტერნაციონალისტები, რა თქმა უნდა, ოდნავადაც პრეტენზიას არ ვაცხადებთ, რომ ჩავერიოთ ჩვენი გერმანელი მემარცხენე ამხანაგების შინაურ საქმეებში. ჩვენ გვესმის, რომ მხოლოდ თვითონ ისინი არიან სავსებით კომპეტენტურნი განსაზღვრონ ოპორტუნისტების წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლის ხერხები, დროისა და ადგილის პირობათა მიხედვით. ჩვენ მხოლოდ ჩვენს უფლებად და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია გულახდილად გამოვთქვათ ჩვენი აზრი საქმის ვითარებაზე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უაღრესად მართალი იყო ჟურნალ «Die Internationale»-ის მოწინავე სტატიის ავტორი, როდესაც ამტკიცებდა, რომ კაუცკიანურ «ცენტრს» უფრო მეტი ვნება მოაქვს მარქსიზმის საქმისათვის, ვიდრე აშკარა სოციალ-შოვინიზმს. ვინც ახლა აფუჩეჩებს უთანხმოებებს, ვინც ახლა მარქსიზმის სახით უქადაგებს მუშებს იმას, რასაც კაუცკიანელობა ქადაგებს, ის აძინებს მუშებს, ის უფრო მავნებელია, ვიდრე ზიუდეკუმები და ჰაინეები, რომლებიც პირდაპირ სვამენ საკითხს და აიძულებენ მუშებს მდგომარეობაში გაერკვნენ.

ფრონდამ «ინსტანციების» წინააღმდეგ, რასაც ამ ბოლო დროს მიმართავენ კაუცკი და ჰააზე, არავინ არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში. უთანხმოება მათსა და შეიდემანებს შორის პრინციპული უთანხმოება არ არის. ერთნი ფიქრობენ, რომ ჰინდენბურგმა და მაკენზენმა უკვე გაიმარჯვეს და რომ ახლა უკვე შეიძლება ნებივრობა გამოიჩინო და პროტესტი განაცხადო ანექსიების წინააღმდეგ. მეორენი ფიქრობენ, რომ ჰინდენბურგსა და მაკენზენს ჯერ კი-

დ ე ვ არ გაუმარჯვნიათ და რომ ამიტომ საჭიროა «ბოლომდე გაძლო».

კაუცკიანელობა «ინსტანციების» წინააღმდეგ მხოლოდ მოჩვენებითს ბრძოლას აწარმოებს, — სწორედ იმისათვის, რომ ომის შემდეგ მიჩქმალოს მუშების წინაშე პრინციპული დავა და მიაფუჩეჩოს საქმე გაურკვეველ-«მემარცხენე» ყაიდაზე შედგენილი 1001-ლი გაბერილი რეზოლუციით, რაშიც ასეთი ოსტატები არიან II ინტერნაციონალის დიპლომატები.

სავსებით გასაგებია, რომ თავის ძნელ ბრძოლაში «ინსტანციების» წინააღმდეგ გერმანულმა ოპოზიციამ უნდა გამოიყენოს კაუცკიანელობის ეს არაპრინციპული ფრონდაც. მაგრამ ყოველი ინტერნაციონალისტისათვის მთავარ გამოსაცდელ საშუალებად უნდა დარჩეს უარყოფითი დამოკიდებულება ნეოკაუცკიანელობისადმი. მხოლოდ ის არის ნამდვილად ინტერნაციონალისტი, ვინც იბრძვის კაუცკიანელობის წინააღმდეგ, ვისაც ესმის, რომ «ცენტრი» მისი ბელადების ვითომდა შემობრუნების შ ე მ დ ე გ ა ც რჩება პრინციპული მხრივ შ ო ვ ი ნ ი ს ტ ე ბ ი ს ა და ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ ე ბ ი ს მ ო კ ა ვ შ ი რ ე დ.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დამოკიდებულებას ინტერნაციონალის მერყევი ელემენტებისადმი საერთოდ. ეს ელემენტები — უმთავრესად პ ა ც ი ფ ი ს ტ უ რ ი ელფერის სოციალისტები — არსებობენ ნეიტრალურ ქვეყნებშიც, ზოგიერთ მეომარ ქვეყანაშიც (მაგალითად, ინგლისში დამოუკიდებელი მუშათა პარტია). ეს ელემენტები შეიძლება იყვნენ ჩვენი თანამგზავრები. მათთან დაახლოება სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ აუცილებელია. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ესენი არიან მ ხ ო ლ ო დ თანამგზავრები, რომ ინტერნაციონალის აღდგენის დროს ეს ელემენტები მთავარსა და ძირითადში წამოვლენ არა ჩვენთან ერთად, არამედ წავლენ ჩვენ წინააღმდეგ, წავლენ კაუცკიანთან, შეიდემანთან, ვანდერველდესთან, სამბასთან ერთად. საერთაშორისო თათბირებზე არ შეიძლება შეზღუდო შენი

პროგრამა იმით, რაც მისაღებია ამ ელემენტებისათვის. სხვანაირად თვითონ ჩვენ მოვხვდებით მერყეევი პაციფისტების ტყვეობაში. ასე იყო, მაგალითად, ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე ბერნში. გერმანელთა დელეგაციამ, რომელიც ამხ. კლარა ცეტკინის თვალსაზრისს იცავდა, ამ კონფერენციაზე ფაქტიურად «ცენტრის» როლი ითამაშა. ქალთა კონფერენციამ მხოლოდ ის თქვა, რაც მისაღები იყო ჰოლანდიის ოპორტუნისტული პარტიის — ტრულსტრის პარტიის დელეგატი ქალებისათვის და I. L. P.-ის (დამოუკიდებელი მუშათა პარტია) დელეგატი ქალებისათვის; ამ პარტიამ კი — ეს არ უნდა დავივიწყოთ — «შეთანხმების» შოვინისტთა ლონდონის კონფერენციაზე ხმა მისცა ვანდერველდეს რეზოლუციას. ჩვენს უდიდეს პატივისცემას გამოვთქვამთ I. L. P.-სადმი ომის დროს ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლისათვის. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს პარტია არ იდგა და არ დგას მარქსიზმის ნიადაგზე. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ამჟამად სოციალ-დემოკრატიული ოპოზიციის მთავარი ამოცანაა აღმართოს რევოლუციური მარქსიზმის დროშა, მტკიცედ და გარკვევით უთხრას მუშებს, თუ როგორ ვუყურებთ ჩვენ იმპერიალისტურ ომებს, წამოაყენოს პაროლი მასობრივი რევოლუციური მოქმედებისა, ე. ი. იმპერიალისტური ომების ეპოქის გადაქცევისა სამოქალაქო ომების ეპოქის დასაწყისად.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ელემენტები, ყოველივეს მიუხედავად, არსებობენ ბევრ ქვეყანაში. ისინი არსებობენ გერმანიაშიც, რუსეთშიც, სკანდინავიაშიც (გავლენიანი მიმართულება, რომლის წარმომადგენელია ამხ. ჰეგლუნდი), ბალკანეთშიც (ბულგარელი «ტესნიაკების» პარტია), იტალიაშიც, ინგლისშიც (ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ნაწილი), საფრანგეთშიც (თვითონ ვალიანმა აღიარა «L' Humanité»-ში *, რომ მას მოსდიოდა ინტერ-

* — «ყაცობრიობა». რ ე დ.

ნაციონალისტების საპროტესტო წერილები, მაგრამ მას არც ერთი მათგანი არ დაუბეჭდია მთლიანად), ჰოლანდიაშიც (ტრიბუნისტები [120]), და ა. შ. შევაკავშიროთ ეს მარქსისტული ელემენტები, — რაც უნდა მცირერიცხოვანნი იყვნენ ისინი დასაწყისში, — მათი სახელით მოვაგონოთ ყველას ნამდვილი სოციალიზმის სიტყვები, რაც ახლა დავიწყებულია, მოვუწოდოთ ყველა ქვეყნის მუშებს გაწყვიტონ კავშირი შოვინისტებთან და დადგნენ მარქსიზმის ძველი დროშის ქვეშ — აი სადღეისო ამოცანა.

თათბირები ეგრეთწოდებული «მოქმედების» პროგრამების გამო დღევანდლამდე მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ ამ თათბირებზე მეტი თუ ნაკლები სისრულით ცხადდებოდა უბრალო პაციფიზმის პროგრამა. მარქსიზმი პაციფიზმი როდია. ომის რაც შეიძლება მალე შეწყვეტისათვის ბრძოლა აუცილებელია. მაგრამ «ზავის» მოთხოვნას მხოლოდ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ბრძოლისაკენ მოწოდების დროს ეძლევა აზრი. მთელი რიგი რევოლუციების მოუხდენლად ეგრეთწოდებული დემოკრატიული ზავი მეშჩანური უტოპიაა. მოქმედების ნამდვილი პროგრამა მხოლოდ მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი პროგრამა იქნებოდა, რომელიც მასებს მისცემდა იმის სრულსა და ნათელ პასუხს, რაც მოხდა, განმარტავდა, თუ რა არის იმპერიალიზმი და როგორ ვებრძოლოთ მას, აშკარად განაცხადებდა, რომ II ინტერნაციონალი კრახამდე მიიყვანა ოპორტუნიზმმა, მოგვიწოდებდა აშკარად გვეშენებინა მარქსისტული ინტერნაციონალი უოპორტუნისტებოდ და მათ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. მხოლოდ ასეთი პროგრამა, რომელიც ცხადყოფდა, რომ ჩვენ გვაქვს საკუთარი თავის რწმენა, რომ გვწამს მარქსიზმი, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ვუცხადებთ ოპორტუნიზმს, — მხოლოდ ასეთი პროგრამა უზრუნველყოფდა ჩვენთვის ადრე თუ გვიან ნამდვილად პროლეტარული მასების თანაგრძნობას.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და III ინტერნაციონალი

რსდმ პარტია დიდი ხანია გაეთიშა თავის ოპორტუნისტებს. რუსი ოპორტუნისტები ახლა კიდევ შოვინისტებიც გახდნენ. ეს მხოლოდ განგვიმტკიცებს ჩვენ იმ აზრს, რომ მათთან გათიშვა აუცილებელია სოციალიზმის ინტერესებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოციალ-დემოკრატების ახლანდელი უთანხმოება სოციალ-შოვინისტებთან სრულიადაც არ არის იმაზე ნაკლები, ვიდრე იყო სოციალისტების უთანხმოება ანარქისტებთან, როდესაც სოციალ-დემოკრატები ეთიშებოდნენ ამ უკანასკნელებს. ოპორტუნისტმა Monitor-მა სწორად თქვა «Preussische Jahrbücher» *-ში, რომ ოპორტუნისტებისა და ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია ახლანდელი ერთიანობა, ვინაიდან იგი აიძულებს მემარცხენეებს დაემორჩილონ შოვინისტებს, ხელს უშლის მუშებს გაერკვნენ დავაში და შექმნან თავისი ნამდვილად მუშური, ნამდვილად სოციალისტური პარტია. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ საქმის ახლანდელი მდგომარეობის დროს გათიშვა ოპორტუნისტებთან და შოვინისტებთან რევოლუციონერების პირველი მოვალეობაა — ისევე როგორც გათიშვა ყვითლებთან, ანტისემიტებთან, ლიბერალურ მუშათა კავშირებთან და ა. შ. აუცილებელი იყო სწორედ ჩამორჩენილი მუშების რაც შეიძლება მალე გათვითცნობიერებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში მათი ჩაბმის ინტერესებისათვის.

მესამე ინტერნაციონალი, ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ რევოლუციურ ბაზაზე უნდა შექმნილიყო. ჩვენი პარტიისათვის არ არსებობს სოციალ-შოვინისტებთან გათიშვის მიზანშეწონილობის საკითხი. ეს საკითხი მისთვის საბოლოოდ გადაწყვეტილია. მისთვის არსებობს მხოლოდ ის საკითხი, თუ რამდენად შეიძლება ეს განხორციელდეს უახლოეს დროში ინტერნაციონალური მასშტაბით.

---

* — «პრუსიული ყოველწლიური». რ ე დ.

სავსებით გასაგებია, რომ საერთაშორისო მარქსისტული ორგანიზაციის განსახორციელებლად საჭიროა იყოს მზადყოფნა იმისათვის, რომ შეიქმნან დამოუკიდებელი მარქსისტული პარტიები სხვადასხვა ქვეყანაში. გერმანიას, როგორც ყველაზე ძველი და ძლიერი მუშათა მოძრაობის ქვეყანას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, უკვე მომწიფდა თუ არა პირობები ახალი მარქსისტული ინტერნაციონალის შესაქმნელად. თუ მომწიფდა, ჩვენი პარტია სიხარულით შევა ასეთს, ოპორტუნიზმისა და შოვინიზმისაგან გაწმენდილ, III ინტერნაციონალში. თუ არა, ეს გვიჩვენებს, რომ ამ გაწმენდისათვის კიდევ საჭიროა მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი ევოლუცია. და მაშინ ჩვენი პარტია იქნება უკიდურესი ოპოზიცია წინანდელი ინტერნაციონალის შიგნით — ვიდრე სხვადასხვა ქვეყანაში არ შეიქმნება ბაზა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობისათვის, რომელიც რევოლუციური მარქსიზმის ნიადაგზე იდგომება.

ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ, თუ როგორ წავა განვითარება უახლოეს წლებში საერთაშორისო სარბიელზე. მაგრამ რაც ჩვენ უეჭველად ვიცით, რაშიც ურყევად ვართ დარწმუნებულნი, ეს არის ის, რომ ჩვენი პარტია ჩვენს ქვეყანაში ჩვენს პროლეტარიატს შორის დაუღალავად იმუშავებს აღნიშნული მიმართულებით და მთელი თავისი ყოველდღიური მოღვაწეობით შექმნის მარქსისტული ინტერნაციონალის რუსულ სექციას.

ჩვენშიც, რუსეთში, საკმაოდ არიან აშკარა სოციალ-შოვინისტები და «ცენტრის» ჯგუფები. ეს ადამიანები იბრძოლებენ მარქსისტული ინტერნაციონალის შექმნის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ პლეხანოვი პრინციპულად ერთ ნიადაგზე დგას ზიუდეკუმთან და უკვე ახლა უწვდის მას ხელს. ჩვენ ვიცით, რომ ეგრეთწოდებული «ორგანიზაციული კომიტეტი», რომელსაც აქსელროდი ხელმძღვანელობს, ქადაგებს კაუცკიანელობას რუსულ ნიადაგზე. მუშათა კლასის ერთიანობის სახით ეს ადამიანები ქადაგებენ ერთიანობას

ოპორტუნისტებთან და მათი მეშვეობით — ბურჟუაზიასთან. მაგრამ ყოველივე ის, რაც ჩვენ ვიცით რუსეთის ახლანდელი მუშათა მოძრაობის შესახებ, სრულ რწმენას გვინერგავს, რომ რუსეთის შეგნებული პროლეტარიატი წინანდებურად დარჩება ჩ ვ ე ნ ს პ ა რ ტ ი ა ს თ ა ნ.

თ ა ვ ი IV

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გათიშვის ისტორია და ახლანდელი მდგომარეობა

რსდმ პარტიის ზემოთ გადმოცემული ტაქტიკა ომის მიმართ წარმოადგენს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ოცდაათი წლის განვითარების აუცილებელ შედეგს. არ შეიძლება სწორად გავიგოთ ეს ტაქტიკა, ისევე როგორც სოციალ-დემოკრატიის ახლანდელი მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, თუ არ ჩავუფიქრდით ჩვენი პარტიის ისტორიას. აი რატომ არის, რომ აქაც უნდა მოვაგონოთ მკითხველს ამ ისტორიის ძირითადი ფაქტები.

როგორც იდეური მიმდინარეობა, სოციალ-დემოკრატია წარმოიშვა 1883 წელს, როდესაც «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა საზღვარგარეთ პირველად გადმოსცა სისტემატურად სოციალ-დემოკრატიული შეხედულებანი რუსეთთან შეფარდებით. 90-იანი წლების დასაწყისამდე სოციალ-დემოკრატია იდეურ მიმდინარეობად რჩებოდა, არ ყოფილა დაკავშირებული რუსეთის მასობრივ მუშათა მოძრაობასთან. 90-იანი წლების დამდეგს საზოგადოებრივმა აღმავლობამ, მუშებს შორის დაწყებულმა მღელვარებამ და საგაფიცვო მოძრაობამ სოციალ-დემოკრატია გახადეს აქტიურ-პოლიტიკურ ძალად, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია მუშათა კლასის (როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ) ბრძოლასთან. და ამავე დროიდან იწყება სოციალ-დემოკრატიის გათიშვა «ეკონომისტებად» და «ისკრელებად».

«ეკონომისტები» და ძველი «ისკრა» (1894 — 1903)

«ეკონომიზმი» ოპორტუნისტული მიმდინარეობა იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში. მისი პოლიტიკური არსი გამოიხატებოდა პროგრამით: «მუშებს — ეკონომიური, ლიბერალებს — პოლიტიკური ბრძოლა». მისი მთავარი თეორიული დასაყრდენი იყო ე. წ. «ლეგალური მარქსიზმი» ანუ «სტრუვიზმი», რომელიც «ცნობდა» ყოველგვარი რევოლუციურობისაგან სრულიად დაცლილ და ლიბერალური ბურჟუაზიის მოთხოვნილებებთან შეგუებულ «მარქსიზმს». «ეკონომისტები», რომლებიც იმოწმებდნენ რუსეთის მუშათა მასის განუვითარებლობას და მოწადინებული იყვნენ «მასასთან ერთად ევლოთ», მუშათა მოძრაობის ამოცანებსა და გაქანებას ზღუდავდნენ ეკონომიური ბრძოლით და ლიბერალიზმის პოლიტიკური მხარდაჭერით, არ ისახავდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ და რაიმე რევოლუციურ ამოცანებს.

ძველმა «ისკრამ» (1900 — 1903) ძლევამოსილად ჩაატარა ბრძოლა «ეკონომიზმთან» რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პრინციპებისათვის. შეგნებული პროლეტარიატის მთელი საუკეთესო ნაწილი «ისკრის» მხარეზე დადგა. რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე სოციალ-დემოკრატია გამოვიდა ყველაზე თანმიმდევრული და შეურიგებელი პროგრამით. და კლასების ბრძოლამ, 1905 წლის რევოლუციის დროს მასების გამოსვლამ დაადასტურეს ეს პროგრამა. «ეკონომისტები» ეგუებოდნენ მასების ჩამორჩენილობას. «ისკრა» ზრდიდა მუშების ავანგარდს, რომელსაც უნარი ექნებოდა წინ გაძღოლოდა მასებს. სოციალ-შოვინისტების ყ ვ ე ლ ა ახლანდელი საბუთი (მასისათვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობაზე, იმპერიალიზმის პროგრესულობაზე, რევოლუციონერების «ილუზიებზე» და სხვ.) უკვე წამოყენებული იყო ეკონომისტების მიერ. «სტრუვიზმად» მარქსიზმის ოპორტუნისტულ გადაკეთებას სოციალ-დემოკრატიული რუსეთი 20 წლის წინათ გაეცნო.

მენშევიზმი და ბოლშევიზმი (1903 — 1908)

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქამ სოციალ-დემოკრატიაში წარმოშვა მიმდინარეობათა ახალი ბრძოლა, რომელიც წინანდელი ბრძოლის პირდაპირი განგრძობა იყო. «ეკონომიზმმა» სახე შეიცვალა «მენშევიზმად». ძველი «ისკრის» რევოლუციური ტაქტიკის დაცვამ შექმნა «ბოლშევიზმი».

მღელვარე 1905 — 1907 წლებში მენშევიზმი ოპორტუნისტული მიმდინარეობა იყო, რომელსაც მხარს უჭერდნენ ლიბერალური ბურჟუები და რომელიც ატარებდა ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ტენდენციებს მუშათა მოძრაობაში. მუშათა კლასის ბრძოლის შეგუება ლიბერალიზმთან — აი რა შეადგენდა მის არსს. პირიქით, ბოლშევიზმი სოციალ-დემოკრატი მუშების ამოცანად სახავდა აღეგზნოთ რევოლუციური ბრძოლისათვის დემოკრატიული გლეხობა ლიბერალიზმის მერყეობისა და ღალატის წინააღმდეგ. და მუშათა მასები, როგორც ეს არა ერთხელ უღიარებიათ თვითონ მენშევიკებს, რევოლუციის დროს ბოლშევიკებთან ერთად მიდიოდნენ ყველა უდიდესი გამოსვლისას.

1905 წლის რევოლუციამ შეამოწმა, განამტკიცა, გააღრმავა და გამოაწრთო შეურიგებლად-რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკა რუსეთში. კლასებისა და პარტიების აშკარა გამოსვლას არა ერთხელ გამოუაშკარავებია სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნიზმის («მენშევიზმის») კავშირი ლიბერალიზმთან.

მარქსიზმი და ლიკვიდატორობა (1908 — 1914)

კონტრრევოლუციურმა ეპოქამ სრულიად ახალი ფორმით კვლავ დასვა დღის წესრიგში სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული და რევოლუციური ტაქტიკის საკითხი. მენშევიზმის მთავარმა მიმდინარეობამ, მრავალი მისი საუკეთესო წარმომადგენლის პროტესტების მიუხედავად, წარმოშვა ლიკვიდატორობის მიმდინარეობა, რუსეთის ახალი რევოლუციისათვის ბრძოლის, არალეგალური ორგანიზაციისა და

მუშაობის უარყოფა, «იატაკქვეშეთის», რესპუბლიკის ლოზუნგის და სხვათა ათვალწუნებით დაცინვა. ჟურნალ «ნაშა ზარიას» ლეგალური ლიტერატორების ჯგუფის სახით (ბბ. პოტრესოვი, ჩერევანინი და ა. შ.) შეკავშირდა ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან დამოუკიდებელი ბირთვი; მას ათასნაირი გზით მხარს უჭერდა, რეკლამას უკეთებდა და ელოლიავებოდა რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია, რომელსაც სურდა მუშები გადაჩვეოდნენ რევოლუციურ ბრძოლას.

ოპორტუნისტების ეს ჯგუფი გარიცხა პარტიიდან რსდმ პარტიის 1912 წლის იანვრის კონფერენციამ, რომელმაც აღადგინა პარტია მთელი რიგი საზღვარგარეთული ჯგუფებისა და წრეების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად. ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში (1912 წლის დასაწყისი — 1914 წლის ნახევარი) წარმოებდა ორი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეუპოვარი ბრძოლა: ცენტრალურ კომიტეტსა, რომელიც 1912 წლის იანვარში იყო არჩეული, და «ორგანიზაციულ კომიტეტს» შორის, რომელიც არ ცნობდა იანვრის კონფერენციას და რომელსაც სურდა სხვანაირად აღედგინა პარტია, შეენარჩუნებინა ერთიანობა «ნაშა ზარიას» ჯგუფთან. შეუპოვარი ბრძოლა წარმოებდა ორ ყოველდღიურ მუშურ გაზეთს შორის («პრავდასა» და «ლუჩს» [121] შორის მათი მემკვიდრეებითურთ) და IV სახელმწიფო სათათბიროს ორ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შორის («რსდმ ფრაქცია» პრავდისტებისა ანუ მარქსისტებისა და ლიკვიდატორების «ს.-დ. ფრაქცია» ჩხეიძის მეთაურობით).

«პრავდისტები» იცავდნენ პარტიის რევოლუციური აღთქმისადმი ერთგულებას, მხარს უჭერდნენ მუშათა მოძრაობის დაწყებულ აღმავლობას (განსაკუთრებით 1912 წლის გაზაფხულის შემდეგ), აერთებდნენ ლეგალურ და არალეგალურ ორგანიზაციას, პრესასა და აგიტაციას და ამნაირად მათ დარაზმეს თავიანთ გარშემო შეგნებული მუშათა კლასის უდიდესი უმრავლესობა, მაშინ როდესაც ლიკვიდატორები, — რომლებიც, როგორც პოლიტიკური ძალა,

მხოლოდ და მხოლოდ «ნაშა ზარიას» ჯგუფის სახით მოქმედებდნენ, — ლიბერალურ-ბურჟუაზიული ელემენტების ყოველმხრივ მხარდაჭერას ემყარებოდნენ.

მუშათა ჯგუფების მიერ ფულის აშკარად შეტანამ ორივე პარტიის გაზეთების სასარგებლოდ, რაც იმ ეპოქაში იყო სოციალ-დემოკრატების ს ა წ ე ვ რ ო ს შ ე ს ა ტ ა ნ ი ს ფორმა, შეგუებული რუსეთის პირობებთან (და ერთადერთი ლეგალურად დასაშვები ფორმა, რომელსაც ყველა თავისუფლად უწევდა კონტროლს), ნათლად დაადასტურა, რომ «პრავდისტების» (მარქსისტების) ძლიერებისა და გავლენის წყარო პროლეტარული იყო, ხოლო ლიკვიდატორებისა (და მათი «ორგანიზაციული კომიტეტისა») — ბურჟუაზიულ-ლიბერალური. აი მოკლე ცნობები ამ შენატანის შესახებ, რაც დაწვრილებით დაბეჭდილია წიგნში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა»[122], ხოლო შემოკლებით — 1914 წლის 21 ივლისს გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანოში — «ლაიფციგის სახალხო გაზეთში»[123].

პეტერბურგის ყოველდღიურ გაზეთებში, მარქსისტულსა (პრავდისტულ) და ლიკვიდატორულში, შენატანთა რიცხვი და თანხა 1914 წლის 1 იანვრიდან 13 მაისამდე:

	პ რ ა ვ დ ი ს ტ ე ბ ი		ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი	
	შენატანთა რიცხვი	თანხა მან.	შენატანთა რიცხვი	თანხა მან.
მუშათა ჯგუფებისაგან	2 873	18 934	671	5 296
არა მუშათა ჯგუფებისაგან.....	713	2 650	453	6 760

ამრიგად, ჩვენმა პარტიამ 1914 წლისათვის რუსეთის შეგნებული მუშების 4/5 გააერთიანა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის გარშემო. მთელი 1913 წლის განმავლობაში მუშათა ჯგუფების შენატანთა რიცხვი პრავდისტებისათვის იყო 2 181 და ლიკვიდატორებისათვის — 661. 1913 წლის 1 იანვრიდან 1914 წლის 13 მაისამდე გამოდის ჯამი: 5 054 შენატანი მუშათა ჯგუფებისაგან «პრავდისტებისათვის» (ე. ი. ჩვენი პარტიისათვის) და 1 332, ე. ი. 20,8% — ლიკვიდატორებისათვის.

მარქსიზმი და სოციალ-შოვინიზმი (1914 — 1915)

ევროპის 1914 — 1915 წლების დიდმა ომმა ყველა ევროპელ სოციალ-დემოკრატს, აგრეთვე რუს სოციალ-დემოკრატებს შესაძლებლობა მისცა შეემოწმებინათ თავიანთი ტაქტიკა მსოფლიო მასშტაბის კრიზისზე. ცარიზმის მხრივ ომის რეაქციული, მძარცველური, მონათმფლობელური ხასიათი შეუდარებლად უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე სხვა მთავრობების მხრივ. მიუხედავად ამისა, ლიკვიდატორების ძირითადმა ჯგუფმა (ერთადერთმა ჯგუფმა, რომელსაც, გარდა ჩვენი ჯგუფისა, სერიოზული გავლენა აქვს რუსეთში ლიბერალებთან კავშირის წყალობით) პირი იბრუნა სოციალ-შოვინიზმისაკენ! «ნაშა ზარიას» ამ ჯგუფმა, რომელსაც საკმაოდ დიდ ხანს ლეგალობის მონოპოლია ჰქონდა, დაიწყო ქადაგება მასებში იმ აზრით, რომ «ომს წინააღმდეგობა არ გავუწიოთ», სამთა (ახლა ოთხთა) შეთანხმებას გამარჯვება ვუსურვოთ, გერმანიის იმპერიალიზმს «უამრავი ცოდვები» მიუძღვისო და სხვ. პლეხანოვმა, რომელსაც 1903 წლიდან მრავალჯერ მოუცია თავისი უკიდურესი პოლიტიკური უხასიათობისა და ოპორტუნისტებთან გადასვლის ნიმუშები, კიდევ უფრო მკვეთრად დაიკავა იგივე პოზიცია და რუსეთის მთელი ბურჟუაზიული პრესის ქება-დიდება დაიმსახურა. პლეხანოვი იქამდე დაეშვა, რომ ცარიზმის ომს სამართლიან ომად აცხადებდა და იტალიის მთავრობის გაზეთებში ათავსებდა ინტერვიუს ამ ომში მის ჩასათრევად!!

ამრიგად, ჩვენ მიერ ლიკვიდატორობის შეფასებისა და ჩვენი პარტიიდან ლიკვიდატორთა მთავარი ჯგუფის გარიცხვის სისწორე სავსებით დადასტურდა. ლიკვიდატორების რეალური პროგრამა და მათი მიმართულების რეალური მნიშვნელობა ახლა მდგომარეობს არა მარტო ოპორტუნიზმში საერთოდ, არამედ იმაშიც, რომ ისინი იცავენ ველიკორუსი მემამულეებისა და ბურჟუაზიის დიდმპყრობელურ პრივილეგიებსა და უპირატესობებს. ეს არის ნ ა ც ი ო ნ ა ლ-ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი მუშათა პოლიტიკის მიმართულება. ეს არის რადიკალური წვრილი ბურჟუების ნაწილისა და

პრივილეგირებული მუშების სრულიად უმნიშვნელო ნაწილის კავშირი «თავის» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის მასის წინააღმდეგ.

საქმის ახლანდელი ვითარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში

როგორც უკვე ვთქვით, არც ლიკვიდატორებმა, არც მთელმა რიგმა საზღვარგარეთულმა ჯგუფებმა (პლეხანოვის, ალექსინსკის, ტროცკის და სხვათა), არც ეგრეთწოდებულმა «ნაციონალურმა» (ე. ი. არაველიკორუსმა) სოციალ-დემოკრატებმა არ ცნეს ჩვენი 1912 წლის იანვრის კონფერენცია. უამრავი ლანძღვა-გინებიდან, რითაც ჩვენ გვიმასპინძლდებოდნენ, ყველაზე ხშირად იმეორებდნენ «უზურპატორობისა» და «გამთიშველობის» ბრალდებას. ჩვენი პასუხი ის იყო, რომ მოგვყავდა ზუსტი და ობიექტური შემოწმებისათვის მისაწვდომი ციფრები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენმა პარტიამ გააერთიანა რუსეთის შეგნებული მუშების 4/5. ეს ცოტა როდია, როცა არალეგალურ მუშაობას კონტრრევოლუციურ ეპოქაში უამრავი სიძნელე ეღობება.

«ერთიანობა» რომ შესაძლებელი ყოფილიყო რუსეთში სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის საფუძველზე, «ნაშა ზარიას» ჯგუფის გამოუკლებლად, მაშინ რატომ-ღა არ განახორციელეს იგი ერთმანეთს შორის მაინც ჩვენმა მრავალრიცხოვანმა მოწინააღმდეგეებმა? 1912 წლის იანვრიდან სრულმა 3½ წელმა განვლო, და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, მთელი თავისი სურვილის მიუხედავად, ვერ შესძლეს შეექმნათ სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩვენს წინააღმდეგ. ეს ფაქტი ჩვენი პარტიის საუკეთესო დაცვაა.

ჩვენი პარტიის წინააღმდეგ მებრძოლი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების მთელი ისტორია რღვევისა და დაშლის ისტორიაა. 1912 წლის მარტში ყველანი უკლებლივ «გაერთიანდნენ» ჩვენს წინააღმდეგ ლანძღვა-გინების საფუძველზე. მაგრამ უკვე 1912 წლის აგვისტოში, როდესაც შეიქმნა

ეგრეთწოდებული «აგვისტოს ბლოკი» ჩვენს წინააღმდეგ, მათი დაშლა დაიწყო. ჯგუფების ნაწილი მათ ჩამოშორდა. მათ არ შეუძლიათ შექმნან პარტია და ცენტრალური კომიტეტი. ისინი ქმნიან მხოლოდ ორგანიზაციულ კომიტეტს «ერთიანობის აღსადგენად». მაგრამ სინამდვილეში ეს ორგანიზაციული კომიტეტი რუსეთში არსებული ლიკვიდატორული ჯგუფის უძლური საფარი აღმოჩნდა. რუსეთში მუშათა მოძრაობის დიდი აღმავლობისა და 1912 — 1914 წლების მასობრივი გაფიცვების მთელი პერიოდის განმავლობაში მთელი აგვისტოს ბლოკიდან ერთადერთ ჯგუფად, რომელიც მუშაობას ეწეოდა მასებში, რჩება «ნაშა ზარიას» ჯგუფი; ამ ჯგუფის ძალას მისი ლიბერალური კავშირი შეადგენს. და 1914 წლის დამდეგს «აგვისტოს ბლოკიდან» ფორმალურად გადიან ლატვიელი სოციალ-დემოკრატები (პოლონელი სოციალ-დემოკრატები მასში არ ყოფილან), ხოლო ტროცკი, ბლოკის ერთ-ერთი ბელადი, იქიდან გავიდა არაფორმალურად, ამასთან მან კვლავ თავისი განსაკუთრებული ჯგუფი შექმნა. 1914 წლის ივლისში ბრიუსელის კონფერენციაზე, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის, კაუცკისა და ვანდერველდეს მონაწილეობით, ჩვენს წინააღმდეგ შედგა ე. წ. «ბრიუსელის ბლოკი», რომელშიც ლატვიელები არ შევიდნენ და რომელსაც მაშინვე ჩამოშორდნენ პოლონელი სოციალ-დემოკრატები — ოპოზიცია. ომის შემდეგ ეს ბლოკი იშლება. «ნაშა ზარია», პლეხანოვი, ალექსინსკი, კავკასიელი სოციალ-დემოკრატების ბელადი ანი[124] აშკარა სოციალ-შოვინისტები ხდებიან და გერმანიის დამარცხების სასურველობას ქადაგებენ. ორგანიზაციული კომიტეტი და ბუნდი იცავენ სოციალ-შოვინისტებს და სოციალ-შოვინიზმის საფუძვლებს. ჩხეიძის ფრაქცია, თუმცა მან ხმა მისცა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ (რუსეთში ბურჟუაზიულმა დემოკრატებმაც კი, ტრუდოვიკებმა, ხმა მისცეს მათ წინააღმდეგ), «ნაშა ზარიას» ერთგულ მოკავშირედ რჩება. ჩვენი უკიდურესი სოციალ-შოვინისტები, პლეხანოვი, ალექსინსკი და მათი კომპანია,

სავსებით კმაყოფილი არიან ჩხეიძის ფრაქციით. პარიზში იქმნება გაზეთი «ნაშე სლოვო» (წინათ «გოლოსი») უმთავრესად მარტოვისა და ტროცკის მონაწილეობით, რომლებსაც სურთ შეათავსონ ინტერნაციონალიზმის პლატონური დაცვა «ნაშა ზარიასთან», ორგანიზაციულ კომიტეტთან ან ჩხეიძის ფრაქციასთან ერთიანობის უთუო მოთხოვნასთან. ამ გაზეთის 250 №-ის შემდეგ იგი თვითონ იძულებულია აღიაროს თავის დაშლა: რედაქციის ერთი ნაწილი ჩვენი პარტიისაკენ მოიწევს, მარტოვი ერთგული რჩება ორგანიზაციული კომიტეტისა, რომელიც საჯაროდ კიცხავს «ნაშე სლოვოს» «ანარქიზმისათვის» (როგორც ოპორტუნისტები გერმანიაში, დავიდი და მისი კომპ., «Internationale Korrespondenz»-ი[125], ლეგინი და მისი კომპ., ბრალს სდებენ ანარქიზმში ამხ. ლიბკნეხტს); ტროცკი აცხადებს, რომ კავშირს წყვეტს ორგანიზაციულ კომიტეტთან, მაგრამ მას სურს იაროს ჩხეიძის ფრაქციასთან ერთად. აი ჩხეიძის ფრაქციის პროგრამა და ტაქტიკა, გადმოცემული ამ ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერის მიერ. პლეხანოვისა და ალექსინსკის მიმართულების ჟურნალის, «სოვრემენნი მირის»[126] 1915 წლის № 5-ში ჩხენკელი წერს: **«იმის თქმა, თითქოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიას შეეძლო ხელი შეეშალა თავისი ქვეყნის სამხედრო გამოსვლისათვის და ეს არ გააკეთაო, ნიშნავს ან იმას, რომ ფარულად გსურდეს, რათა მან ბარიკადებზე ჰპოვოს არა მარტო თავისი, არამედ აგრეთვე თავისი სამშობლოს აღსასრული, ან იმას, რომ ანარქისტული ტელესკოპით უმზერდე შენს გვერდით მდებარე საგნებს» *.**

ამ რამდენიმე სტრიქონში გამოხატულია სოციალ-შოვინიზმის მთელი დედაარსი: ახლანდელ ომში «სამშობლოს დაცვის» იდეის პრინციპული გამართლებაც, და — სამხედრო ცენზორთა ნებართვით — რევოლუციის ქადაგებისა და

---

* «ს. მ.», 15, № 5, გვ. 148. ტროცკიმ ამას წინათ განაცხადა, რომ თავის ამოცანად მიაჩნია აამაღლოს ინტერნაციონალში ჩხეიძის ფრაქციის ავტორიტეტი. უეჭველია, ჩხენკელი, თავის მხრივ, ასევე ენერგიულად აამაღლებს ინტერნაციონალში ტროცკის ავტორიტეტს...

მომზადების დაკინვაც. საკითხი სრულიადაც ის არ არის, შეეძლო თუ არა გერმანიის სოციალ-დემოკრატიას ხელი შეეშალა ომისათვის, და არც ის, შეუძლიათ თუ არა საერთოდ რევოლუციონერებს ითავდებონ რევოლუციის წარმატება. საკითხი ის არის, უნდა იქცეოდე თუ არა, როგორც სოციალისტი, თუ ნამდვილად ჰპოვო «აღსასრული» იმპერიალისტური ბურჟუაზიის გულში ჩახუტებულმა.

ჩვენი პარტიის ამოცანები

სოციალ-დემოკრატია რუსეთში წარმოიშვა ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინ (1905) და განმტკიცდა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის დროს. რუსეთის ჩამორჩენილობა ხსნის წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმის მიმდინარეობათა და ელფერთა უაღრეს სიუხვეს ჩვენში, ხოლო მარქსიზმის გავლენამ ევროპაში და ლეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიების სიმტკიცემ ომამდე ჩვენი სანიმუშო ლიბერალები გადააქციეს «გონიერი», «ევროპული» (არარევოლუციური), «ლეგალური» «მარქსისტული» თეორიისა და სოციალ-დემოკრატიის თითქმის-თაყვანისმცემლებად. რუსეთის მუშათა კლასი ვერ შექმნიდა თავის პარტიას სხვანაირად, თუ არა გადამწყვეტი, ოცდაათი წლის მანძილზე წარმოებული, ბრძოლით ოპორტუნიზმის ყველა ნაირსახეობასთან. მსოფლიო ომის გამოცდილება, რომელმაც სამარცხვინო კრახი არგუნა ევროპულ ოპორტუნიზმს და განამტკიცა ჩვენი ნაციონალ-ლიბერალების კავშირი სოციალ-შოვინისტურ ლიკვიდატორობასთან, კიდევ უფრო განგვიმტკიცებს რწმენას, რომ ჩვენი პარტია შემდგომაც უნდა წავიდეს იმავე თანმიმდევრულად რევოლუციური გზით.

ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ

«სოციალ-დემოკრატის» № 40-ში ჩვენ ვიუწყებოდით, რომ ჩვენი პარტიის საზღვარგარეთული სექციების კონფერენციამ დაადგინა — გადასდოს «ევროპის შეერთებული შტატების» ლოზუნგის საკითხი, ვიდრე არ იქნება განხილული საქმის ეკონომიური მხარე *.

დისკუსიამ ამ საკითხის გამო ჩვენს კონფერენციაზე ცალმხრივად პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ნაწილობრივ ეს, იქნებ, გამოწვეული იყო იმით, რომ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტში ეს ლოზუნგი პირდაპირ ჩამოყალიბებულია როგორც პოლიტიკური ლოზუნგი («უახლოესი პოლიტიკური ლოზუნგი...», — ნათქვამია იქ), ამასთან არა მარტო წამოყენებულია ევროპის რესპუბლიკური შეერთებული შტატების ლოზუნგი, არამედ სპეციალურად ხაზგასმულიც არის, რომ «გერმანიის, ავსტრიისა და რუსეთის მონარქიების რევოლუციური დამხობის გარეშე» ეს ლოზუნგი უაზრო და ყალბია.

ამ ლოზუნგის პოლიტიკური შეფასების ფარგლებში საკითხის ასეთი დაყენების წინააღმდეგ გალაშქრება, — მაგალითად, იმ თვალსაზრისით, რომ იგი სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგს ჩრდილავს ან ასუსტებსო და სხვ., სრულიად უმართებულოა. პოლიტიკურ გარდაქმნებს ნამდვი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 180. რედ.

ლად დემოკრატიული მიმართულებით, მით უფრო პოლიტიკურ რევოლუციებს, არავითარ შემთხვევაში, არასოდეს, არავითარ პირობებში არ შეუძლიათ დაჩრდილონ და არც შეასუსტონ სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგი. პირიქით, ისინი ყოველთვის აახლოვებენ ამ რევოლუციას, აფართოებენ მის ბაზას, აბამენ სოციალისტურ ბრძოლაში წვრილი ბურჟუაზიისა და ნახევრადპროლეტარული მასების ახალ ფენებს. მეორე მხრივ კი, პოლიტიკური რევოლუციები გარდუვალია სოციალისტური რევოლუციის მსვლელობაში; სოციალისტური რევოლუცია არ შეიძლება განიხილო, როგორც ერთი აქტი, არამედ უნდა განიხილო, როგორც მძაფრი პოლიტიკური და ეკონომიური შერყევების, უაღრესად მწვავე კლასობრივი ბრძოლის, სამოქალაქო ომის, რევოლუციებისა და კონტრრევოლუციების ეპოქა.

მაგრამ, თუ სრულიად უდავოა, როგორც პოლიტიკური ლოზუნგი, ევროპის რესპუბლიკური შეერთებული შტატების ლოზუნგი, რომელიც დაკავშირებულია ევროპის სამი ურეაქციულესი მონარქიის, უწინარეს ყოვლისა—რუსეთის მონარქიის, რევოლუციურ დამხობასთან, სამაგიეროდ რჩება კიდევ უმნიშვნელოვანესი საკითხი—ამ ლოზუნგის ეკონომიური შინაარსისა და მნიშვნელობის საკითხი. იმპერიალიზმის ეკონომიური პირობების თვალსაზრისით, ე. ი. «მოწინავე» და «ცივილიზებული» კოლონიური სახელმწიფოების მიერ კაპიტალის გატანისა და მსოფლიოს გაყოფის თვალსაზრისით, ევროპის შეერთებული შტატები, კაპიტალიზმის დროს, ან შეუძლებელია, ან რეაქციულია.

კაპიტალი ინტერნაციონალური და მონოპოლისტური გახდა. მსოფლიო გაყოფილია რამდენიმე დიდ, ე. ი. ერების დიდ ძარცვა-გლეჯასა და ჩაგვრაში წარმატების მქონე, სახელმწიფოს შორის. ევროპის ოთხი დიდი სახელმწიფო: ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი და გერმანია, რომელთა მოსახლეობა შეადგენს 250 — 300 მილიონს და რომელთაც დაახლოებით 7 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავთ, ფლობენ თ ი თ ქ მ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ მ ი ლ ი ა რ დ ი ა ნ ი

(494,5 მილ.) მოსახლეობის შემცველ და 64,6 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობის მქონე კოლონიებს, ე. ი. თითქმის დედამიწის ნახევარს (133 მილიონი კვადრატული კილომეტრი პოლარული ოლქის გამოკლებით). ამას მიუმატეთ აზიის სამი სახელმწიფო: ჩინეთი, თურქეთი, სპარსეთი, რომელთაც ახლა ნაკუწებად გლეჯენ ავაზაკები, «განმათავისუფლებელ» ომს რომ ეწევიან, სახელდობრ: იაპონია, რუსეთი, ინგლისი და საფრანგეთი. აზიის ამ სამ სახელმწიფოში, რომლებსაც შეგვიძლია ნახევრადკოლონიები ვუწოდოთ (ნამდვილად ისინი ახლა $^{9}/_{10}$-ით კოლონიებს წარმოადგენენ), არის 360 მილიონი მოსახლე და 14,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობი (ე. ი. მთელი ევროპის ფართობზე თითქმის $1^{1}/_{2}$ ჯერ და უფრო მეტი).

შემდეგ, ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიას საზღვარგარეთ მოთავსებული აქვთ სულ ცოტა 70 მილიარდი მანეთი კაპიტალი. ამ სასიამოვნო თანხიდან «კანონიერი» შემოსავალი რომ მიიღონ,— სამ მილიარდ მანეთზე მეტი შემოსავალი ყოველწლიურად, — მსახურობენ მილიონერთა ნაციონალური კომიტეტები, მთავრობებად წოდებულნი, ჯარითა და სამხედრო ფლოტით აღჭურვილნი, რომლებიც კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში «ათავსებენ» «ბატონ მილიარდის» შვილებსა და ძმებს მეფისნაცვლებად, კონსულებად, ელჩებად, ყოველი ჯურის მოხელეებად, ხუცესებად და სხვა წურბელებად.

ასეა ორგანიზებული, კაპიტალიზმის უმაღლესი განვითარების ეპოქაში, დედამიწის დაახლოებით მილიარდიანი მოსახლეობის ძარცვა რამდენიმე დიდი სახელმწიფოს მიერ. და კაპიტალიზმის დროს სხვანაირი ორგანიზაცია შეუძლებელია. უარი თქვან კოლონიებზე, «გავლენის სფეროებზე», კაპიტალის გატანაზე? ამის ფიქრი იმას ნიშნავს, რომ დაქვეითდე ხუცესის დონემდე, რომელიც ყოველ ქვირას უქადაგებს მდიდრებს ქრისტიანობის სიდიადეს და ურჩევს მათ უბოძონ ღარიბებს...

თუ რამდენიმე მილიარდი არა, რამდენიმე ასეული მანეთი მაინც ყოველწლიურად.

ევროპის შეერთებული შტატები, კაპიტალიზმის დროს, უდრის შეთანხმებას კოლონიების გაყოფის შესახებ. მაგრამ კაპიტალიზმის დროს გაყოფის სხვანაირი საფუძველი, სხვანაირი პრინციპი, თუ არა ძალა, შეუძლებელია. მილიარდერს არ შეუძლია გაუყოს კაპიტალისტური ქვეყნის «ნაციონალური შემოსავალი» ვინმეს სხვანაირად, თუ არა პროპორციით: «კაპიტალის მიხედვით» (და ამასთან კიდევ დანამატით, რათა უმსხვილესმა კაპიტალმა მეტი მიიღოს, ვიდრე მას ეკუთვნის). კაპიტალიზმი არის წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება და წარმოების ანარქია. «სამართლიანი» გაყოფის ქადაგება ასეთ ბაზაზე არის პრუდონიზმი, მეშჩანისა და ფილისტერის სიყეყეჩე. არ შეიძლება გაიყონ სხვანაირად, თუ არა «ძალის მიხედვით». ძალა კი იცვლება ეკონომიური განვითარების მსვლელობის კვალობაზე. 1871 წლის შემდეგ გერმანია 3 — 4-ჯერ უფრო სწრაფად გაძლიერდა, ვიდრე ინგლისი და საფრანგეთი, იაპონია — 10-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე რუსეთი. კაპიტალისტური სახელმწიფოს ნამდვილი ძალის შესამოწმებლად არ არის და არც შეიძლება იყოს სხვა საშუალება, გარდა ომისა. ომი არ არის წინააღმდეგობა კერძო საკუთრების საფუძვლებისადმი, არამედ ამ საფუძველთა პირდაპირი და გარდუვალი განვითარებაა. კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია ცალკეულ მეურნეობათა და ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიური განვითარების თანაზომიერი ზრდა. კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია დროდადრო დარღვეული წონასწორობის აღდგენის სხვა საშუალებანი, თუ არა კრიზისები მრეწველობაში, ომები პოლიტიკაში.

რა თქმა უნდა, შესაძლებელია დროებითი შეთანხმებანი კაპიტალისტებს შორის და სახელმწიფოებს შორის. ამ აზრით შესაძლებელია ევროპის შეერთებული შტატებიც, როგორც ევროპის კაპიტალისტების შეთანხმება... რაზე? მხოლოდ იმაზე, როგორმე ერთად დათრგუნონ სოცია-

ლიზმი ევროპაში, ერთად დაიცვან ნაძარცვი კოლონიები იაპონიისა და ამერიკის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომლებიც მეტისმეტად განაწყენებული არიან კოლონიების ახლანდელი გაყოფით და რომლებიც ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში გაცილებით უფრო სწრაფად გაძლიერდნენ, ვიდრე ჩამორჩენილი, მონარქისტული ევროპა, სიბერისაგან რომ ლპობას იწყებს. ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით, ევროპა, მთლიანად აღებული, ეკონომიურ უძრაობას ნიშნავს. თანამედროვე ეკონომიურ საფუძველზე, ე. ი. კაპიტალიზმის დროს, ევროპის შეერთებული შტატები იქნებოდა რეაქციის ორგანიზაცია ამერიკის უფრო სწრაფი განვითარების შესაფერხებლად. იმ დრომ, როცა დემოკრატიის საქმე და სოციალიზმის საქმე მხოლოდ ევროპასთან იყო დაკავშირებული, სამუდამოდ განვლო.

მსოფლიოს (და არა ევროპის) შეერთებული შტატები წარმოადგენენ ერების გაერთიანებისა და თავისუფლების იმ სახელმწიფოებრივ ფორმას, რომელსაც ჩვენ სოციალიზმს ვუკავშირებთ, — სანამ კომუნიზმის სრული გამარჯვება არ გამოიწვევს ყოველგვარი, მათ შორის აგრეთვე დემოკრატიული, სახელმწიფოს საბოლოოდ გაქრობას. როგორც დამოუკიდებელი ლოზუნგი, მსოფლიოს შეერთებული შტატების ლოზუნგი არა გვგონია სწორი იყოს, ჯერ ერთი, იმიტომ, **რომ იგი** ერთვის სოციალიზმს; მეორეც, იმიტომ, რომ მას შეეძლო წარმოეშვა არასწორი განმარტება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და დანარჩენ ქვეყნებთან ასეთი ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ.

ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობა კაპიტალიზმის უცილობელი კანონია. აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამ ქვეყნის გამარჯვებული პროლეტარიატი, კაპიტალისტების ექსპროპრიაციისა და თავის ქვეყანაში სოციალისტური წარმოების მოწყობის შემდეგ,

დ ა უ პ ი რ ი ს პ ი რ დ ე ბ ო დ ა დანარჩენ, კაპიტალისტურ მსოფლიოს, მიიმხრობდა სხვა ქვეყნების დაჩაგრულ კლასებს, ააჯანყებდა მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და აუცილებლობის შემთხვევაში სამხედრო ძალითაც კი გამოვიდოდა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი სახელმწიფოების წინააღმდეგ. იმ საზოგადოების პოლიტიკური ფორმა, რომელშიც პროლეტარიატი ამხობს ბურჟუაზიას და იმარჯვებს, იქნება დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც სულ უფრო და უფრო მოუყრის თავს მოცემული ერის თუ ერების პროლეტარიატის ძალებს იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან სოციალიზმზე. შეუძლებელია კლასების მოსპობა ისე, თუ არ დამყარდა ჩაგრული კლასის, პროლეტარიატის დიქტატურა. შეუძლებელია ერების თავისუფალი გაერთიანება სოციალიზმში ისე, თუ არ იწარმოებს სოციალისტური რესპუბლიკების მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი, შეუპოვარი, ბრძოლა ჩამორჩენილ სახელმწიფოებთან.

აი რა მოსაზრებათა გამო იყო, რომ, რსდმპ საზღვარგარეთული სექციების კონფერენციაზე და კონფერენციის შემდეგ საკითხის მრავალგზის განხილვის შედეგად, ცენტრალური ორგანოს რედაქცია მივიდა დასკვნამდე, რომ ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგი სწორი არ არის.

«სოციალ-დემოკრატი» № 44,
1915 წ. 23 აგვისტო

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ

«სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შენიშვნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტისათვის ომის შესახებ

ევროპის შეერთებული შტატების მოთხოვნა, როგორც იგი წამოაყენა ცენტრალური კომიტეტის მანიფესტმა, — ამ მოთხოვნას თან ახლდა მოწოდება რუსეთის, ავსტრიისა და გერმანიის მონარქიების დამხობისაკენ — განსხვავდება კაუცკისა და სხვების მიერ ამ ლოზუნგის პაციფისტური განმარტებისაგან.

ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» № 44-ში მოთავსებულია სარედაქციო სტატია, რომელშიც დამტკიცებულია «ევროპის შეერთებული შტატების» ლოზუნგის ეკონომიური მცდარობა*. ეს ან არის კაპიტალიზმის დროს განუხორციელებელი მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს მსოფლიო მეურნეობის გეგმაზომიერების დამყარებას ცალკეულ ქვეყნებს შორის კოლონიების, გავლენის სფეროების და სხვათა გაყოფის დროს. ანდა ეს არის რეაქციული ლოზუნგი, რომელიც ნიშნავს ევროპის დიდ სახელმწიფოთა დროებით კავშირს კოლონიების უფრო წარმატებით დასაჩაგრავად და უფრო სწრაფი განვითარების გზით მიმავალი იაპონიისა და ამერიკის გასაძარცვავად.

დაწერილია 1915 წ. აგვისტოს დამლევს

დაბეჭდილია 1915 წ. ბროშურაში «სოციალიზმი და ომი». ჟენევა

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 413 — 418. რ ე დ.

ციმერვალდის მემარცხენე ფრთის რეზოლუციის პროექტი[127]

თანამედროვე ომი იმპერიალიზმმა წარმოშვა. კაპიტალიზმმა მიაღწია ამ უმაღლეს სტადიას. საზოგადოების საწარმოო ძალები და კაპიტალთა ოდენობა გასცილდა ცალკეულ ნაციონალურ სახელმწიფოთა ვიწრო ჩარჩოებს. აქედან გამომდინარეობს დიდ სახელმწიფოთა მისწრაფება — დაიმონონ სხვა ერები, ხელთ იგდონ კოლონიები, როგორც ნედლეულის წყაროები და კაპიტალის გატანის ადგილები. მთელი მსოფლიო ერთდება ერთ სამეურნეო ორგანიზმად, მთელი მსოფლიო გაყოფილია რამდენიმე დიდ სახელმწიფოს შორის. სოციალიზმის ობიექტური პირობები სავსებით მომწიფებულია, და ახლანდელი ომი არის კაპიტალისტების ომი პრივილეგიებისა და მონოპოლიებისათვის, რომლებსაც შეეძლებათ გადასწიონ კაპიტალიზმის კრახის ვადა.

სოციალისტები, რომლებიც ესწრაფვიან კაპიტალის მხრივ ჩაგვრისაგან შრომის განთავისუფლებას და იცავენ მუშათა მსოფლიო ძმობას, იბრძვიან ერების ყოველგვარი ჩაგვრისა და არათანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ. იმ ეპოქაში, როცა ბურჟუაზია პროგრესული იყო, როცა ისტორიის დღის წესრიგში იდგა ფეოდალიზმის, აბსოლუტიზმის, უცხონაციონალური ჩაგვრის დამხობა, სოციალისტები, როგორც ყოველთვის უაღრესად თანმიმდევარი და უაღრესად გაბედული დემოკრატები, ამ აზრით და მხოლოდ ამ აზრით ცნობდნენ «სამშობლოს დაცვას». და ახლაც, თუ აღმოსავლეთ ევროპაში

ან კოლონიებში ატყდებოდა ჩაგრული ერების ომი მათ მჩაგვრელთა, დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, სოციალისტების თანაგრძნობა სავსებით ჩაგრულთა მხარეზე იქნებოდა.

მაგრამ ახლანდელი ომი წარმოშვა სულ სხვა ისტორიულმა ეპოქამ, როდესაც ბურჟუაზია პროგრესულიდან რეაქციული გახდა. მეომარ სახელმწიფოთა ორივე ჯგუფის მხრივ ეს ომი არის მონათმფლობელთა ომი მონობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის: კოლონიების გადაყოფისათვის, სხვა ერების ჩაგვრის «უფლებისათვის», დიდმპყრობელური კაპიტალის პრივილეგიებისა და მონოპოლიებისათვის, სხვადასხვა ქვეყნის მუშათა გათიშვისა და მათი რეაქციული დათრგუნვის გზით დაქირავებული მონობის გამარადისებისათვის. ამიტომ სიტყვები «სამშობლოს დაცვის» შესახებ ორივე მეომარი ჯგუფის მხრივ არის ხალხის მოტყუება ბურჟუაზიის მიერ. ვერც რომელიმე ჯგუფის გამარჯვება, ვერც **status quo** *-საკენ დაბრუნება ვერ უზრუნველყოფს ვერც იმას, რომ დაცულ იქნეს მსოფლიოს ერთა უმრავლესობის თავისუფლება რამდენიმე დიდი სახელმწიფოს მიერ იმპერიალისტური ჩაგვრისაგან, ვერც იმას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მუშათა კლასისათვის მისი ახლანდელი მცირე კულტურული მონაპოვარნიც კი. შედარებით მშვიდობიანი კაპიტალიზმის ეპოქამ სამუდამოდ განვლო. იმპერიალიზმს მუშათა კლასისათვის მოაქვს უმაგალითო გამწვავება კლასობრივი ბრძოლისა, გაჭირვებისა, უმუშევრობისა, სიძვირისა, ტრესტების და მილიტარიზმის მხრივ ჩაგვრისა, მოაქვს პოლიტიკური რეაქცია, რომელიც თავს მაღლა სწევს ყველა ქვეყანაში, უაღრესად თავისუფალ ქვეყნებშიც კი.

ამ ომში «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგის ნამდვილი მნიშვნელობა არის დაცვა «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის «უფლებისა» — ჩაგროს სხვა ერები, არის ნაციონალ-ლიბერალური მუშათა პოლიტიკა, არის პრივილეგირებული მუშების სრულიად უმნიშვნელო ნაწილის კავშირი «თავის» ნაციო-

* — წინანდელი მდგომარეობისაკენ. რ ე დ.

ნალურ ბურჟუაზიასთან პროლეტართა და ექსპლოატირებულთა მასის წინააღმდეგ. სოციალისტები, რომლებიც ასეთ პოლიტიკას ადგანან, ნამდვილად არიან შოვინისტები, სოციალ-შოვინისტები. პოლიტიკა სამხედრო კრედიტების სასარგებლოდ ხმის მიცემისა, სამინისტროში შესვლისა, **Burgfrieden** *-ისა და სხვ., არის სოციალიზმის ღალატი. ოპორტუნიზმი, რომელსაც ასაზრდოებდა განვლილი «მშვიდობიანი» ეპოქის პირობები, ახლა მომწიფდა სოციალიზმთან კავშირის სრულიად გაწყვეტამდე და გახდა პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის აშკარა მტერი. მუშათა კლასს არ შეუძლია მიაღწიოს თავის მსოფლიო-ისტორიულ მიზნებს, თუ მან არ აწარმოა უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა აშკარა ოპორტუნიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან (საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიების უმრავლესობა, ჰაინდმანი, ფაბიანელები და ტრედ-უნიონისტები ინგლისში, რუბანოვიჩი, პლეხანოვი და «ნაშა ზარია» რუსეთში და ა. შ.), ისევე როგორც ეგრეთწოდებულ «ცენტრთან», რომელმაც მარქსიზმის პოზიცია შოვინისტებს დაუთმო.

ბაზელის 1912 წლის მანიფესტმა, ერთხმად მიღებულმა მთელი მსოფლიოს სოციალისტების მიერ დიდ სახელმწიფოთა შორის სწორედ ისეთი ომის გათვალისწინებით, რომელიც ახლა დაიწყო, გარკვევით აღიარა ამ ომის იმპერიალისტური, რეაქციული ხასიათი, განაცხადა, რომ დანაშაულად მიაჩნია, ერთი ქვეყნის მუშები ტყვიას უშენდნენ მეორე ქვეყნის მუშებს, და გამოაცხადა პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს მოახლოება სწორედ ამ ომთან დაკავშირებით. და მართლაც, ომი ქმნის რევოლუციურ სიტუაციას, წარმოშობს რევოლუციურ განწყობილებასა და მღელვარებას მასებში, იწვევს ყველგან პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილში ოპორტუნიზმის დამღუპველობის შეგნებას და ამწვავებს მასთან ბრძოლას. ზავის სურვილი, რაც ძლიერდება მშრომელ მასებში, გამოხატავს მათ იმედგაცრუებას, სამშობლოს დაცვის

* — სამოქალაქო ზავის. რ ე დ.

შესახებ ბურჟუაზიული ტყუილის კრახს, მასების რევოლუციური შეგნების გაღვიძების დასაწყისს. გამოიყენებენ რა ამ განწყობილებას თავიანთი რევოლუციური აგიტაციისათვის, არ შეჩერდებიან რა თავიანთ რევოლუციურ აგიტაციაში «თავისი» სამშობლოს დამარცხების მოსაზრების წინაშე, სოციალისტები არ მოატყუებენ ხალხს იმის იმედით, თითქოს შესაძლებელი იყოს ჩქარი, რამდენადმე მაინც მტკიცე, დემოკრატიული, ერების ჩაგვრის გამომრიცხავი ზავი, განიარაღება და სხვა მისთანანი, თუ ახლანდელი მთავრობანი რევოლუციური გზით არ იქნენ დამხობილნი. მხოლოდ პროლეტარიატის სოციალური რევოლუცია გაგვიხსნის ზავისა და ერთა თავისუფლების გზას.

იმპერიალისტური ომი სოციალური რევოლუციის ერის დასაწყისია. უახლესი ეპოქის ყველა ობიექტური პირობა დღის წესრიგში აყენებს პროლეტარიატის რევოლუციურ მასობრივ ბრძოლას. სოციალისტების მოვალეობაა ხელი არ აიღონ მუშათა კლასის ლეგალური ბრძოლის არც ერთ საშუალებაზე და ამავე დროს დაუმორჩილონ ყველა ეს საშუალება ამ საღღეისო და უმთავრეს ამოცანას, განავითარონ მუშების რევოლუციური შეგნება, დარაზმონ ისინი ინტერნაციონალურ რევოლუციურ ბრძოლაში, მხარი დაუჭირონ ყოველ რევოლუციურ გამოსვლას და წინ წასწიონ ასეთი გამოსვლა, ეცადონ, რათა იმპერიალისტური ომი ხალხთა შორის გადააქციონ ჩაგრული კლასების სამოქალაქო ომად მათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, ომად კაპიტალისტთა კლასის ექსპროპრიაციისათვის, პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის, სოციალიზმის განხორციელებისათვის.

დაწერილია 1915 წ. 20 აგვისტომდე
(2 სექტემბრამდე)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის
კრებულში XIV

ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა

ფრანგულ შვეიცარიაში, სადაც ფრანკოფილური შოვინიზმი მძვინვარებს არცთუ უფრო სუსტად, ვიდრე საფრანგეთში, გაისმა პატიოსანი სოციალისტის ხმა. ჩვენს საზიზღარ დროში ეს მთელი მოვლენაა. და ჩვენთვის მით უფრო აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღებით მოვუსმინოთ ამ ხმას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ტიპიურად ფრანგული — უფრო სწორად: რომანული, ვინაიდან, მაგალითად, იტალიელებიც ასეთივე არიან — ტემპერამენტისა და განწყობილების სოციალისტთან.

ლაპარაკია ლოზანის პატარა სოციალისტური გაზეთის რედაქტორის, პავლე გ ო ლ ე ი ს პაწაწა ბროშურაზე. ავტორმა ამ ქალაქში 1915 წლის 11 მარტს წაიკითხა რეფერატი თემაზე: «სოციალიზმი მომაკვდავი და სოციალიზმი, რომელიც უნდა აღორძინდეს» და შემდეგ ცალკე გამოსცა იგი *.

«1914 წლის პირველ აგვისტოს ომმა იფეთქა. კვირეების განმავლობაში, ამ ამიერიდან ღირსშესანიშნავი თარიღის წინ და მის შემდეგ, მილიონობით ადამიანი ელოდა». ასე იწყებს ავტორი. მილიონები ელოდნენ, ხომ არ გამოიწვევდნენ სოციალიზმის ბელადთა რეზოლუციები და განცხადებანი «მძლავრ აჯანყებას, რომელიც თავისი გრიგალით აღგვიდა

* P a u l G o l a y: «Le socialisme qui meurt et le socialisme qui doit renaître». Lausanne, 1915, 22 გვერდი, ფასი 15 სანტიმი. En vente à l'Administration du «Grutleen», Maison du Peuple, Lausanne.

დამნაშავე მთავრობებს». მაგრამ მილიონების მოლოდინი გაცრუვდა. ჩვენ ვცდილობდით, — ამბობს გოლეი, — «ამხანაგურად» გაგვემართლებინა სოციალისტები «ომის ელვისებური მოულოდნელობით», საქმის უცოდნელობით, მაგრამ ეს გამართლება ჩვენ ვერ გვაკმაყოფილებდა. «ჩვენ ცუდად ვგრძნობდით თავს, თითქოს ჩვენი სინდისი ჩაძირული იყო ორაზროვნებისა და სიცრუის ჭუჭყიან წყალში». მკითხველს აქედან უკვე შეუძლია დაინახოს, რომ გოლეი გულწრფელია. ეს ჩვენი დროისათვის თითქმის არაჩვეულებრივი თვისებაა.

გოლეი იხსენიებს პროლეტარიატის «რევოლუციურ» ტრადიციას. სავსებით აქვს რა შეგნებული, რომ «ყოველი სიტუაციისათვის აუცილებელია შესაფერისი მოქმედება», ის მოგვაგონებს: «განსაკუთრებული სიტუაციებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ზომები. ძლიერ ავადმყოფობას ძლიერი წამალი უნდა». ის მოგვაგონებს «კონგრესის გადაწყვეტილებებს», «რომლებიც პირდაპირ მიმართავენ მასებს და აღძრავენ მათ რევოლუციური მოქმედებისათვის, ამბოხებისათვის». მოყვანილია შტუტგარტისა და ბაზელის რეზოლუციების სათანადო ადგილების ციტატები. და ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ «ეს სხვადასხვა რეზოლუციები არ შეიცავენ არავითარ მსჯელობას თავდაცვითი და შეტევითი ომის შესახებ, მაშასადამე, არ იძლევიან არავითარ განსაკუთრებულ, ნაციონალისტურ, ტაქტიკას საერთოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების გასაუქმებლად».

ამ ადგილამდე რომ წაიკითხავს, მკითხველი რწმუნდება, რომ გოლეი არა მარტო გულწრფელი, არამედ მტკიცე რწმენის, პატიოსანი სოციალისტიცაა. ეს მართლაც რომ განსაკუთრებული თვისებაა II ინტერნაციონალის გამოჩენილ მოღვაწეთათვის!

...«პროლეტარიატს ულოცავდნენ სამხედრო უფროსები, ხოლო ბურჟუაზიული პრესა ხოტბას ასხამდა გულთბილი სიტყვებით იმის გაცოცხლებას, რასაც იგი «ეროვნულ სულს» უწოდებს. ეს გაცოცხლება ჩვენ სამ მილიონ გვამად გვიღირს.

და მაინც — მუშათა ორგანიზაციას არასოდეს არ მიუღწევია საწევროს გადამხდელ წევრთა ასეთი დიდი რიცხვისათვის, არასოდეს არ ყოფილა პარლამენტარების ასეთი სიუხვე, პრესის ასეთი საუცხოო ორგანიზაცია. არასოდეს არ ყოფილა აგრეთვე უფრო საზიზღარი საქმე, რომლის წინააღმდეგაც საჭიროა აჯანყდე.

ესოდენ ტრაგიკულ გარემოებებში, როდესაც საქმე მილიონობით ადამიანის არსებობას ეხება, ყოველი რევოლუციური მოქმედება არათუ დასაშვებია, არამედ კანონიერიცაა. ასეთი მოქმედება კანონიერზე კანონიერია; უფრო მეტი, იგი წმიდათაწმიდაა. პროლეტარიატის კატეგორიული მოვალეობა მოითხოვდა ეცადნა შეუძლებელი, რათა ეხსნა ჩვენი თაობა ისეთი მოვლენებისაგან, რომლებიც სისხლით ღებავენ ევროპას.

არ ყოფილა არც ენერგიული საქციელი, არც აღშფოთების ცდები, არც აჯანყების გამომწვევი მოქმედება...

...ჩვენი მოწინააღმდეგენი გაჰყვირიან, სოციალიზმმა კრახი განიცადაო. ისინი მეტისმეტად ჩქარობენ. და მაინც, ვინ გაბედავდა იმის მტკიცებას, რომ ისინი არაფერში არ არიან მართალნი? რაც ამჟამად კვდება, ეს არის არა სოციალიზმი საერთოდ, არამედ სოციალიზმის ერთი ნაირსახეობა, ტკბილი სოციალიზმი, იდეალიზმის სულისკვეთებას, მგზნებარებას მოკლებული, ჩინოვნიკის მანერებისა და ოჯახის დარბაისელი მამის ღიპის მქონე, გაუბედავი, ფრთაშეკვეცილი სოციალიზმი, სტატისტიკის მოყვარული, რომელიც ყურებამდე ჩაფლულია კაპიტალიზმთან ნებაყოფლობით შეთანხმებაში, სოციალიზმი, რომელიც მხოლოდ რეფორმებითაა გართული, რომელმაც ოსპის შეჭამადში გაყიდა თავისი პირმშოობის უფლება, სოციალიზმი, რომელიც ბურჟუაზიისათვის წარმოადგენს ხალხის მოუთმენლობის ჩამხშობს, პროლეტარული გაბედული მოქმედების თავისებურ ავტომატურ მუხრუჭს.

აი სწორედ ეს სოციალიზმი, რომელიც მთელი ინტერნაციონალის მოწამლვას იმუქრება, რამდენადმე პასუხისმგებელია იმ უძლურებისათვის, იმ იმპოტენტობისათვის, რასაც ჩვენ გვისაყვედურებენ».

ბროშურის სხვა ადგილებში გოლეი პირდაპირ ლაპარაკობს «რეფორმისტულ სოციალიზმზე» და «ოპორტუნიზმზე», როგორც სოციალიზმის დამახინჯებაზე.

როდესაც გოლეი ლაპარაკობს ამ დამახინჯებაზე, როდესაც აღიარებს ყ ვ ე ლ ა მეომარი ქვეყნის პროლეტარიატის «საერთო პასუხისმგებლობას» და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ «ეს პასუხისმგებლობა ეკისრებათ ბელადებს, რომლებსაც მასამ ნდობა აღმოუჩინა და რომლებისაგან იგი ლოზუნგს მოელოდა», — ის სავსებით სწორად იღებს ნიმუშად სწორედ

გერმანულ სოციალიზმს, «ყველაზე უკეთ ორგანიზებულს, ყველაზე მეტად ჩამოყალიბებულს, დოქტრინებით ყველაზე მეტად გატენილს», და ცხადყოფს «მის რიცხობრივ ძალას, მის რევოლუციურ სისუსტეს».

«გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, რევოლუციური სულისკვეთებით აღფრთოვანებულს, შეეძლო საკმაოდ გარკვეული, საკმაოდ მედგარი წინააღმდეგობა გაეწია მილიტარისტული წამოწყებებისათვის, რათა თან გაეყოლიებინა, ხსნის ამ ერთადერთი გზით, ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნების პროლეტარიატი.

...გერმანულ სოციალიზმს დიდი გავლენა ჰქონდა ინტერნაციონალში. მას ყველა სხვაზე მეტის გაკეთება შეეძლო. მისგან მოელოდნენ ძალღონის ყველაზე მეტად დაძაბვას. მაგრამ რიცხვი არაფერს ნიშნავს, თუ პირადი ენერგია შებორკილია ერთობ მკაცრი დისციპლინით ან თუ «წინამძღოლნი» თავიანთ გავლენას იყენებენ იმისათვის, რომ მასების რაც შეიძლება ნაკლებ მოქმედებას მიაღწიონ». (რამდენად სწორია ფრაზის მეორე ნაწილი, იმდენად სწორი არ არის პირველი: დისციპლინა საუცხოო და აუცილებელი რამ არის. — მაგალითად, დისციპლინა პარტიისა, რომელიც თავისი რიგებიდან რიცხავს ოპორტუნისტებს და რევოლუციური მოქმედების მოწინააღმდეგეებს). «გერმანელმა პროლეტარიატმა, თავისი პასუხისმგებელი ბელადების წყალობით, დაუჯერა სამხედრო კამარილიის ხმას... ინტერნაციონალის სხვა განყოფილებანი შეშინდნენ და სწორედ ასევე მოიქცნენ: საფრანგეთში ორმა სოციალისტმა აუცილებლად მიიჩნია მონაწილეობდეს ბურჟუაზიულ მთავრობაში! და, ამრიგად, კონგრესზე გაკეთებული საზეიმო განცხადების რამდენიმე თვის შემდეგ, რომ სოციალისტებს დანაშაულად მიაჩნიათ ერთმანეთს ტყვია დაუშინონ, მილიონობით მუშა შევიდა ჯარში და შეუდგა ამ დანაშაულის ჩადენას ისეთი დაჟინებით, ისეთი გატაცებით, რომ კაპიტალისტურ ბურჟუაზიასა და მთავრობებს არა ერთხელ გამოუცხადებიათ მათთვის თავისი მადლობა».

მაგრამ გოლეი არ სჯერდება იმას, რომ ის ულმობლად კიცხავს «მომაკვდავ სოციალიზმს». არა, მას სავსებით ესმის, თუ რამ წარმოშვა ეს კვდომა და როგორმა სოციალიზმმა უნდა შესცვალოს მომაკვდავი სოციალიზმი. «ყოველი ქვეყნის მუშათა მასები რამდენადმე განიცდიან ბურჟუაზიულ წრეებში გავრცელებული იდეების გავლენას». «როდესაც ბერნშტეინმა რევიზიონიზმის სახელით ჩამოაყალიბა თავისებური დემოკრატიული რეფორმიზმი», კაუცკიმ იგი «გაანადგურა შესაფერისი ფაქტების დახმარებით». «მაგრამ, როდესაც ზრდილობიანობა

დაცულ იქნა, პარტია წინანდებურად განაგრძობდა თავის «რეალურ პოლიტიკას». სოციალ-დემოკრატიული პარტია იმად იქცა, რაც იგი ამჟამად არის. ორგანიზაცია საუცხოოა. სხეული ღონიერია, მაგრამ მოკლებულია სულს». არა მარტო გერმანიის სოციალ-დემოკრატია, არამედ ინტერნაციონალის ყველა განყოფილებაც ამჟღავნებს ასეთსავე ტენდენციებს. «მოხელეთა მზარდი რიცხვი» გარკვეულ შედეგებს წარმოშობს; ყურადღება მიპყრობილია მხოლოდ იქითკენ, რომ საწევრო შესატანი სწორად შედიოდეს; გაფიცვებს უყურებენ, «როგორც მანიფესტაციებს, რომელთა მიზანიცაა მიაღწიონ» კაპიტალისტებთან «შეთანხმების უკეთეს პირობებს». ეჩვევიან იმას, რომ დაუკავშირონ მუშების ინტერესები კაპიტალისტების ინტერესებს, «დაუმორჩილონ მუშის ბედი თვით კაპიტალიზმის ბედს», «ისურვონ «თავისი» «ნაციონალური» მრეწველობის გაძლიერებული განვითარება უცხოური მრეწველობის საზიანოდ».

რ. შმიდტი (Schmiedt), რაიხსტაგის დეპუტატი, წერდა ერთ სტატიაში, რომ პროფესიულ კავშირთა მიერ შრომის პირობების მოგვარება ხელსაყრელია კაპიტალისტებისთვისაც, ვინაიდან იგი «წესრიგსა და სიმყარეს ქმნის ეკონომიურ ცხოვრებაში», «აადვილებს კაპიტალისტების ანგარიშსწორებას და ხელს უშლის უპატიოსნო კონკურენციასო».

«ამრიგად, — გაკვირვებით წარმოსთქვამს გოლეი, მოყავს რა ეს სიტყვები, — პროფესიულ მოძრაობას თავისთვის პატივად უნდა მიაჩნდეს, რომ იგი უფრო მყარს ხდის კაპიტალისტების მოგებას! სოციალიზმის მიზანი, ალბათ, ის არის, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ჩარჩოებში მოვითხოვოთ მაქსიმუმი სარფიანობა, როგორიც კი შეიძლება შეეთავსოს თვით კაპიტალისტური რეჟიმის არსებობას? თუ ასეა, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ყველა პრინციპის უარყოფასთან. პროლეტარიატი ესწრაფვის არა კაპიტალისტური წყობილების განმტკიცებას, არა მინიმალური პირობების მიღებას დაქირავებული შრომის სასარგებლოდ, არამედ კერძო საკუთრების

წყობილების გაუქმებას და დაქირავებული შრომის სისტემის მოსპობას».

...«დიდი ორგანიზაციების მდივნები დიდკაცები ხდებიან. ხოლო პოლიტიკურ მოძრაობაში დეპუტატები, ლიტერატორები, მეცნიერები, ადვოკატები, ყველანი, ვისაც კი, თავის მეცნიერებასთან ერთად, თან მოაქვს ერთგვარი პირადი პატივმოყვარეობა, სარგებლობენ ისეთი გავლენით, რომელიც ზოგჯერ პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს.

პროფესიული კავშირების მძლავრმა ორგანიზაციამ და მათმა მდიდარმა სალაროებმა ამ ორგანიზაციების წევრებს ამქრული სულისკვეთება განუვითარა. პროფესიული მოძრაობის, თავისი არსებით რეფორმისტული მოძრაობის, ერთ-ერთი უარყოფითი მხარე ის არის, რომ იგი აუმჯობესებს დაქირავებულ მუშათა ცალკეული ფენების და ჯგუფების მდგომარეობას, აყენებს რა ერთ მათგანს მეორეზე მაღლა. ეს არღვევს ძირითად ერთიანობას და უკეთ მოწყობილ მუშებში წარმოშობს შიშის სულისკვეთებას, რაც ზოგჯერ აიძულებს მათ მოერიდონ «მოძრაობას», რომელიც შეიძლება საბედისწერო გახდეს მათი მდგომარეობისათვის, მათი სალაროსათვის, მათი აქტივისათვის. ამრიგად იქმნება თავისებური დანაწილება პროლეტარიატის სხვადასხვა თანრიგებს შორის, რომლებსაც ხელოვნურად წარმოშობს თვით პროფესიული მოძრაობა».

ეს, რა თქმა უნდა, საბუთი არ არის ძლიერი ორგანიზაციების წინააღმდეგ, — ამბობს ავტორი, რომელიც, ალბათ, ითვალისწინებს ერთგვარი სახის «კრიტიკოსების» შარიანობას. ეს ამტკიცებს მხოლოდ, რომ ორგანიზაციებში აუცილებელია იყოს «სული», «ენთუზიაზმი».

«როგორია არსებითი თვისებანი, რომლებითაც უნდა განირჩეოდეს ხვალინდელი დღის სოციალიზმი? იგი იქნება ინტერნაციონალური, შეურიგებელი და მეამბოხე».

«შეურიგებლობა ძალაა», — სამართლიანად ამბობს გოლეი და მოუწოდებს მკითხველს თვალი გადაავლოს «დოქტრინების ისტორიას». — «როდის ყოფილან ეს დოქტრინები გავლენიანნი? მაშინ, როცა ისინი შეგუებული ყოფილან ხელისუფალთადმი, თუ მაშინ, როცა შეურიგებელნი იყვნენ? როდის დაჰკარგა ქრისტიანობამ თავისი ღირებულება? მაშინ ხომ არა, როდესაც კონსტანტინემ მას აღუთქვა შემოსავალი და შესთავაზა, დევნისა და სიკვდილით დასჯის ნაცვლად, სასახლის ლაქიების მოსირმული ტანისამოსი?..

ერთმა ფრანგმა ფილოსოფოსმა თქვა: მკვდარი იდეები ის იდეებია, რომლებიც გვევლინებიან კოხტა სამოსელით და მოკლებული არიან სიცხარეს, გაბედულებასო. ისინი მკვდარნი არიან, რადგან შედიან საყოველთაო ხმარებაში და შეადგენენ ფილისტერთა დიდი არმიის ჩვეულებრივი ინტელექტუალური ავლადიდების ნაწილს. ძლიერი იდეები ის იდეებია, რომლებიც გვაგულიანებენ და სკანდალს იწვევენ, აღძრავენ აღშფოთებას, რისხვას, გაცხარებას ზოგიერთში, ენთუზიაზმს — სხვებში». ავტორს საჭიროდ მიაჩნია მოაგონოს ეს ჭეშმარიტება თანამედროვე სოციალისტებს, რომელთა შორის ძალიან ხშირად არ არის «რწმენის მგზნებარება: არაფერი არა სწამთ, არც რეფორმები, რომლებიც იგვიანებენ, არც რევოლუცია, რომელიც ჯერ კიდევ არ მოდის».

შეურიგებლობა, აჯანყებისათვის მზადყოფნა «სრულიადაც არ იწვევს მეოცნებობას, არამედ, პირიქით, იწვევს მოქმედებას. სოციალისტი ვერ უგულებელყოფს მოღვაწეობის ვერც ერთ ფორმას. ის შესძლებს გამონახოს ახალი ფორმები, მომენტის მოთხოვნილებებისა და პირობების შესაბამისად... ის მოითხოვს დაუყოვნებლივ რეფორმებს, ცდილობს მათ მიღწევას მოწინააღმდეგესთან კამათით კი არა, არამედ გამოგლეჯს მათ, როგორც დათმობას, ბურჟუაზიას, რომელსაც შიშსა გვრის ენთუზიაზმით და გამბედაობით აღსავსე მასა».

პლეხანოვის, კაუცკისა და მათი კომპანიის მიერ მარქსიზმის ყოვლად უსირცხვილო გაუხამსებისა და სოციალიზმის შერცხვენის შემდეგ ჭეშმარიტად ისვენებ სულით, როდესაც გოლეის ბროშურას კითხულობ. ოღონდ უნდა აღვნიშნოთ მისი ორი შემდეგი ნაკლი.

ჯერ ერთი, გოლეი, ისევე როგორც რომანელი სოციალისტების უმრავლესობა, მათ შორის ახლანდელი გედისტებიც, რამდენადმე უყურადღებოდ ეპყრობა «დოქტრინას», ე. ი. სოციალიზმის თ ე ო რ ი ა ს. ის მარქსიზმს უყურებს ერთგვარი წინასწარი შეგონებით, რომელიც შეიძლება აიხსნას, მაგრამ გამართლებით კი ვერ გამართლდება იმით, რომ ახლა ბატო-

ნობს მარქსიზმის უბოროტესი კარიკატურა კაუცკისთან, «Neue Zeit» *-ში და საერთოდ გერმანელებთან. ვინც, გოლეის მსგავსად, შეიგნო, რომ აუცილებელია მ ო კ ვ დ ე ს რეფორმისტული სოციალიზმი და ა ღ ო რ ძ ი ნ დ ე ს რევოლუციური, «მეამბოხე» სოციალიზმი, ე. ი. ისეთი სოციალიზმი, რომელსაც ესმის აჯანყების აუცილებლობა, რომელიც ქადაგებს აჯანყებას, რომელსაც უნარი შესწევს სერიოზულად ემზადოს მისთვის და ამზადოს იგი, — ის ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ათასჯერ უფრო ახლოსაა მარქსიზმთან, ვიდრე ის, «ტექსტების» ზეპირად მცოდნე ვაჟბატონები, რომლებიც ახლა იმით არიან გართულნი (მაგალითად, «Neue Zeit»-ში), რომ გაამართლონ ყოველგვარი ფორმის სოციალ-შოვინიზმი, — თვით იმ ფორმისაც კი, რომ ახლა საჭიროა «შევურიგდეთ» შოვინისტურ ცენტრალურ კომიტეტს («ფორშტანდს») და არ «მოვიგონოთ წარსულიო».

მაგრამ, რაც უნდა გასაგები იყოს, «ადამიანურად», მარქსიზმის უგულებელყოფა გოლეის მიერ, რაც უნდა ბევრი ბრალი მოეხსნას აქ მას და დაეკისროს ფრანგი მარქსისტების (გედისტების) მომაკვდავ და მ კ ვ დ ა რ მიმართულებას, ბრალი მაინც არის. მსოფლიოში უდიდესი განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩაგრული კლასისა, ისტორიაში ყველაზე რევოლუციური კლასისა, შეუძლებელია რევოლუციური თეორიის გარეშე. ამ თეორიის გამოგონება არ შეიძლება, იგი ი ქ მ ნ ე ბ ა მსოფლიოს ყველა ქვეყნის რევოლუციური გამოცდილებისა და რევოლუციური აზრის ერთობლიობიდან. და ასეთი თეორია შ ე ი ქ მ ნ ა XIX საუკუნის მე-2 ნახევრიდან. მას მარქსიზმი ეწოდება. არ შეიძლება იყო სოციალისტი, არ შეიძლება იყო რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი, თუ შეძლებისამებრ არ მონაწილეობ ამ თეორიის დამუშავებასა და გამოყენებაში, ხოლო ახლა—ულმობელ ბრძოლაში პლეხანოვის, კაუცკის და მათი კომპანიის მიერ მისი დამახინჯების წინააღმდეგ.

---

* — «ახალი დროება». რ ე დ.

თეორიისადმი უყურადღებობიდან წარმოსდგება გოლეის მთელი რიგი უმართებულო თუ მოუსაზრებელი გალაშქრებანი, მაგალითად, ცენტრალიზმის ან საერთოდ დისციპლინის წინააღმდეგ, «ისტორიული მატერიალიზმის» წინააღმდეგ, რომელიც ვითომდა არასაკმაოდ «იდეალისტურია» და სხვ. აქედანვე წარმოსდგება გასაოცარი გაურკვევლობა ლოზუნგების საკითხში. მაგალითად, მოთხოვნა, რომ სოციალიზმი «მეამბოხე» გახდეს, უღრმესი შინაარსითაა აღსავსე და წარმოადგენს ერთადერთ სწორ აზრს, ურომლისოდაც ყველა ფრაზა ინტერნაციონალიზმსა და რევოლუციურობაზე, მარქსიზმზე სულ ერთიანად უაზრობაა, უფრო ხშირად კი თვალთმაქცობაა. მაგრამ ეს იდეა, სამოქალაქო ომის იდეა, უნდა ყოფილიყო განვითარებული, ტაქტიკის ცენტრალურ პუნქტად გადაქცეული, გოლეი კი იმას დასჯერდა, რომ გ ა მ ო თ ქ ვ ა იგი. ეს ძალიან ბევრია «ახლანდელი დროების» მიხედვით, მაგრამ საკმარისი არ არის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მოთხოვნილებათა თვალსაზრისით. მაგალითად, გოლეი ვიწროდ სვამს იმ საკითხს, რომ ომს რევოლუციით «ვუპასუხოთ», თუ შეიძლება ასე ითქვას. ის ვერ ითვალისწინებს, რომ, თუ ვერ შესძლეს ომისათვის რევოლუციით ე პ ა ს უ ხ ნ ა თ, თვითონ ომი ასწავლიდა და ასწავლის მასებს რევოლუციას, რამდენადაც ქმნის რევოლუციურ სიტუაციას, აღრმავებს და აფართოებს მას.

გოლეის მეორე ნაკლი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოხატულია შემდეგი მსჯელობით, რასაც მის ბროშურაში ვხვდებით:

«ჩვენ არავის არ ვკიცხავთ. ინტერნაციონალი, რათა იგი აღორძინდეს, საჭიროებს, რომ ძმური სულისკვეთება აღაფრთოვანებდეს ყველა მის განყოფილებას; მაგრამ უნდა განვაცხადოთ, რომ დიადი ამოცანის წინაშე, რომელიც დააკისრა მას კაპიტალისტურმა ბურჟუაზიამ 1914 წლის ივლისსა და აგვისტოში, რეფორმისტული, ცენტრალიზატორული (?) და იერარქიული სოციალიზმი საცოდავი სანახაობა შეიქნა».

«ჩვენ არავის არ ვკიცხავთ»... ეს არის თქვენი შეცდომა, ამხანაგო გოლეი! თქვენ თვითონ აღიარეთ, რომ «მომაკვდავი

სოციალიზმი» დაკავშირებულია ბურჟუაზიულ იდეებთან (მაშასადამე, მას ასაზრდოებს და მხარს უჭერს ბურჟუაზია), გარკვეულ იდეურ მიმდინარეობასთან სოციალიზმში («რეფორმიზმი»), გარკვეული ფენების ინტერესებთან და განსაკუთრებულ მდგომარეობასთან (პარლამენტარები, მოხელენი, ინტელიგენცია, მუშათა ზოგიერთი უკეთ მოწყობილი ფენა ან ჯგუფი) და ა. შ. აქედან გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ გამომდინარეობს დასკვნა, რომელიც თქვენ არ გამოგყავთ. ფიზიკური პირნი «კვდებიან» ეგრეთწოდებული ბუნებრივი სიკვდილით, მაგრამ ი დ ე უ რ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მიმდინარეობანი ა ს ე ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა კვდებოდნენ. როგორც ბურჟუაზია არ მოკვდება, ვიდრე მას არ დაამხობენ, ისე მიმდინარეობა, რომელსაც ბურჟუაზია ასაზრდოებს და მხარს უჭერს, რომელიც გამოხატავს ბურჟუაზიასთან დაკავშირებული ინტელიგენტებისა და მუშათა კლასის არისტოკრატიის მცირე ჯგუფების ინტერესებს, — არ მოკვდება, თუ მას არ «მოკლავ», ე. ი. თუ არ დაამხობ, არ წაართმევ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ გავლენის საშუალებას სოციალისტურ პროლეტარიატზე. ეს მიმდინარეობა ძლიერია სწორედ თავისი კავშირით ბურჟუაზიასთან, იგი 1871 — 1914 წლების «მშვიდობიანი» ეპოქის ობიექტურ პირობათა წყალობით გადაიქცა თავისებურ მბრძანებელ, პარაზიტულ ფ ე ნ ა დ მუშათა მოძრაობაში.

აქ აუცილებელია არა მარტო «გავკიცხოთ», არამედ განგაში ავტეხოთ, ულმობლად ვამხილოთ, დავამხოთ, «პოსტებიდან მოვხსნათ» ეს პარაზიტული ფენა, დავარღვიოთ მ ი ს ი «ერთიანობა» მუშათა მოძრაობასთან, რადგან ასეთი «ერთიანობა» ნამდვილად ნიშნავს პროლეტარიატის ერთიანობას ნაციონალურ ბურჟუაზიასთან და ინტერნაციონალური პროლეტარიატის გ ა თ ი შ ვ ა ს, ნიშნავს ლაქიების ერთიანობას და რევოლუციონერების გათიშვას.

«შეურიგებლობა ძალაა» — სამართლიანად ამბობს გოლეი, როცა მოითხოვს, რომ «სოციალიზმი, რომელიც უნდა აღორძინდეს», შეურიგებელი იყოს. მაგრამ განა ბურჟუაზიისათვის სულ ერთი არ არის, პროლეტარიატი მასთან შემარი-

გებლობის გზას დაადგება პ ი რ დ ა პ ი რ თუ ა რ ა პ ი რ დ ა-
პ ი რ მუშათა მოძრაობის შ ი გ ნ ი თ მის მომხრეთა, დამ-
ცველთა, აგენტთა, ე. ი. ოპორტუნისტთა მეშვეობით? ეს უკა-
ნასკნელი უფრო ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ც კია ბურჟუაზიისათვის,
რადგან უზრუნველყოფს მის უფრო მტკიცე გავლენას მუ-
შებში!

გოლეი ათასჯერ მართალია, რომ არის მომაკვდავი სოცია-
ლიზმი და სოციალიზმი, რომელიც უნდა აღორძინდეს, მაგრამ
ეს კვდომა და ეს აღორძინება წარმოადგენს სწორედ ულმო-
ბელ ბრძოლას ოპორტუნიზმის მიმდინარეობასთან, არა მარ-
ტო იდეურ ბრძოლას, არამედ მუშათა პარტიებიდან ამ მახინჯი
ხორცმეტის მოკვეთას, ორგანიზაციებიდან ამ, პროლეტა-
რიატისათვის უცხო, ტაქტიკის გარკვეული წარმომადგენლე-
ბის გარიცხვას, მათთან კავშირის სრულიად გაწყვეტას. ისინი
არ მოკვდებიან არც ფიზიკურად, არც პოლიტიკურად, მაგრამ
მუშები გაწყვეტენ მათთან კავშირს, გადაისვრიან მათ ბურ-
ჟუაზიის დამქაშთა ორმოში და მათი ლპობის მაგალითზე აღ-
ზრდიან ახალ თაობას, უფრო სწორად: პროლეტარიატის ახალ
არმიებს, რომლებსაც აჯანყების უნარი ექნებათ.

«კომმუნისტი» № 1 — 2, 1915 წ.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალ «კომმუნისტის»
ტექსტის მიხედვით

იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში

(შენიშვნა)

იმ საკითხების გასაშუქებლად, რომლებიც დასვა ახლანდელმა იმპერიალისტურმა ომმა სოციალიზმის წინაშე, უსარგებლო არ იქნება გადავავლოთ თვალი ევროპის სხვადასხვა ქვეყანას, რათა ვისწავლოთ ზოგადი სურათის ნაციონალურ სახეცვლილებათა და კერძო მომენტების გამოყოფა ძირითადისა და არსებითისაგან. როგორც ამბობენ, უცხო თვალი უკეთ ამჩნევს. ამიტომ, რაც უფრო ნაკლები მსგავსებაა იტალიასა და რუსეთს შორის, მით უფრო საინტერესოა ზოგიერთი მხრივ შევადაროთ ორივე ქვეყნის იმპერიალიზმი და სოციალიზმი.

ამ შენიშვნაში ჩვენ განზრახვა გვაქვს აღვნიშნოთ მხოლოდ მასალა, რომელსაც იძლევა ამ საკითხზე ომის დაწყების შემდეგ გამოსული თხზულებანი — ბურჟუაზიული პროფესორის რობერტ მიხელსისა: «იტალიის იმპერიალიზმი» და სოციალისტის ტ. ბარბონისა: «ინტერნაციონალიზმი თუ კლასობრივი ნაციონალიზმი? (იტალიის პროლეტარიატი და ევროპის ომი)» *. ყბედი მიხელსი ისეთივე ზერელე დარჩა, როგორც თავის სხვა თხზულებებში, როგორც კი შეეხო იმპერია-

* Roberto Michels: «L'imperialismo italiano», Milano 1914. — T. Barboni: «Internazionalismo o Nazionalismo di Classe?(il proletariato d'Italia e la guerra europea)». Edito dall'autore a Campione d'Intelvi (provincia di Como) 1915.

ლიზმის ეკონომიურ მხარეს, მაგრამ მის წიგნში თავმოყრილია საგულისხმო მასალა იტალიის იმპერიალიზმის წარმოშობისა და იმ გადასვლის შესახებ, რომელიც შეადგენს თანამედროვე ეპოქის არსს და რომელიც განსაკუთრებით ნათლად ჩანს იტალიაში, სახელდობრ: ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომების ეპოქიდან იმპერიალისტურ-მძარცველური და რეაქციული ომების ეპოქაზე გადასვლის შესახებ. რევოლუციურ-დემოკრატიული, ე. ი. რევოლუციურ-ბურჟუაზიული, იტალია, რომელმაც დაამხო ავსტრიის უღელი, გარიბალდის დროის იტალია, ჩვენს თვალწინ საბოლოოდ იქცევა სხვა ხალხების მჩაგვრელ, თურქეთისა და ავსტრიის მძარცველ იტალიად, იმ ტლანქი, საზიზღრად რეაქციული, ბინძური ბურჟუაზიის იტალიად, რომელსაც ნერწყვი მოსდის კმაყოფილებისაგან, რომ ისიც დაუშვეს ნადავლის გასაყოფად. მიხელსი, ისევე როგორც ყოველი რიგიანი პროფესორი, რა თქმა უნდა, «მეცნიერულ ობიექტივიზმად» სთვლის თავის მლიქვნელობას ბურჟუაზიის წინაშე და ნადავლის ამ გაყოფას უწოდებს «მსოფლიოს იმ ნაწილის გაყოფას, რომელიც ჯერ კიდევ დარჩენილა სუსტ ხალხთა ხელში» (გვ. 179). მიხელსი ათვალწუნებით უკუაგდებს, როგორც «უტოპიურს», იმ სოციალისტების თვალსაზრისს, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი ყოველგვარი კოლონიური პოლიტიკისადმი, და იმეორებს იმ ადამიანთა მსჯელობას, რომელნიც ფიქრობენ, რომ იტალია «უნდა იყოს მეორე კოლონიური სახელმწიფო», მოსახლეობის სიმჭიდროვისა და ემიგრაციული მოძრაობის სიძლიერის მხრივ მხოლოდ ინგლისს უნდა უთმობდეს პირველობასო. ხოლო იტალიაში მოსახლეობის 40% რომ წერა-კითხვის უცოდინარია, მასში რომ დღევანდლამდე ხდება ამბოხებანი ხოლერის ნიადაგზე და სხვა მისთ., ეს არგუმენტი ბათილდება ინგლისზე მითითებით: განა ინგლისი არ იყო მუშათა მასების წარმოუდგენელი გაჩანაგების, დამცირების, შიმშილის გამო ამოწყდომის, ქალაქების ღარიბ უბნებში გამეფებული ალკოჰოლიზმისა, საშინელი სიღატაკისა და სიბინძურის ქვეყანა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ინგლისის ბურ-

ჟუაზია ესოდენ წარმატებით საფუძველს უყრიდა თავის ახლანდელ კოლონიურ ძლიერებას?

და უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიული თვალსაზრისით ეს მსჯელობა უდავოა. კოლონიური პოლიტიკა და იმპერიალიზმი სრულიად არ არის კაპიტალიზმის აკადმყოფური, განკურნებადი, გადახრები (როგორც ფიქრობენ ფილისტერები და მათ შორის კაუცკი), არამედ თვით კაპიტალიზმის საფუძვლების გარდუვალი შედეგია: კონკურენცია ცალკეულ საწარმოთა შორის საკითხს მხოლოდ ასე აყენებს — ან თვითონ უნდა გაჩანაგდე ან სხვები უნდა გააჩანაგო; კონკურენცია ცალკეულ ქვეყნებს შორის საკითხს მხოლოდ ასე აყენებს — დარჩე მეცხრე ადგილზე და მუდამ ბელგიის ბედი მოგელოდეს თუ გააჩანაგო და დაიპყრო სხვა ქვეყნები და გაიკვლიო ადგილი «დიდ» სახელმწიფოთა შორის.

იტალიის იმპერიალიზმს «ღარიბთა იმპერიალიზმი» უწოდეს (**l'imperialismo della povera gente**), მხედველობაში ჰქონდათ რა იტალიის სიღარიბე და იტალიელ ემიგრანტთა მასის საშინელი სიღატაკე. იტალიელი შოვინისტი არტურ ლაბრიოლა, რომელიც თავისი ყოფილი მოწინააღმდეგისაგან, გ. პლეხანოვისაგან, მხოლოდ იმით განირჩევა, რომ მასზე ცოტათი უფრო ადრე გამოამჟღავნა თავისი სოციალ-შოვინიზმი და ამ სოციალ-შოვინიზმამდე მივიდა წვრილბურჟუაზიული ნახევრადანარქიზმის გზით, და არა წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმის გზით, — ეს არტურ ლაბრიოლა თავის წიგნაკში ტრიპოლიტანიის ომის შესახებ წერდა (1912 წელს):

...«ცხადია, რომ ჩვენ ვიბრძვით არა მარტო თურქების წინააღმდეგ,... არამედ იმ პლუტოკრატიული ევროპის ინტრიგების, მუქარის, ფულისა და ჯარების წინააღმდეგაც, რომელიც ვერ მოითმენს, რომ პატარა ერებმა გაბედონ თუნდაც მხოლოდ გააქნიონ ხელი, თქვან თუნდაც ერთი სიტყვა, მათი რკინისებური ჰეგემონიის სახელის გამტეხი» (გვ. 22). ხოლო იტალიელი ნაციონალისტების ბელადი, კორადინი, აცხადებდა: «როგორც სოციალიზმი იყო მეთოდი პროლეტარიატის განთავისუფლებისა ბურჟუაზიისაგან, ისე ნაციონალიზმი იქნება

ჩვენთვის, იტალიელებისათვის, მეთოდი, რომ განვთავისუფლდეთ ფრანგებისა, გერმანელებისა და ინგლისელებისაგან, ჩრდილოეთის და სამხრეთის ამერიკელებისაგან, რომლებიც ჩვენს მიმართ ბურჟუაზიას წარმოადგენენ».

ყოველი ქვეყანა, რომელსაც «ჩვენზე» მეტი კოლონიები, კაპიტალები, ჯარები გააჩნია, გვართმევს «ჩვენ» გარკვეულ პრივილეგიებს, გარკვეულ მოგებას თუ ზემოგებას. როგორც ცალკეულ კაპიტალისტებს შორის ზემოგებას იღებს ის, ვისაც მოეპოვება საშუალოზე უკეთესი მანქანები ან აქვს გარკვეული მონოპოლიები, ისე ქვეყნებს შორის ზემოგებას ის იღებს, რომელიც ეკონომიურად უკეთ არის მოწყობილი. ბურჟუაზიის საქმეა იბრძოლოს პრივილეგიებისა და უპირატესობათა მოსაპოვებლად თავისი ნაციონალური კაპიტალისათვის და მოატყუოს ხალხი ან მდაბიონი (ლაბრიოლას და პლეხანოვის დახმარებით) და ამისათვის გაასაღოს იმპერიალისტური ბრძოლა სხვების ძარცვის «უფლების» გულისათვის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ომად.

ტრიპოლიტანიის ომამდე იტალია არ ძარცვავდა — დიდი მასშტაბით მაინც—სხვა ხალხებს. განა ეს აუტანელი შეურაცხყოფა არ არის ნაციონალური სიამაყისა? იტალიელები დაჩაგრულნი და დამცირებულნი არიან სხვა ერების წინაშე. იტალიელთა ემიგრაცია 100 000-მდე კაცს შეადგენდა წლიურად გასული საუკუნის 70-იან წლებში, ახლა კი ½-დან 1 მილიონამდე აღწევს, და ესენი ყველანი მათხოვრები არიან, რომლებსაც თავისი ქვეყნიდან აშკარა შიმშილი მიერეკება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ესენი ყველანი სამუშაო ძალის მიმწოდებელნი არიან მრეწველობის იმ დარგებში, სადაც ყველაზე მცირე ხელფასია, მთელი ეს მასა მოსახლეობს ამერიკისა და ევროპის ქალაქების ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ, ღარიბ და ჭუჭყიან უბნებში. საზღვარგარეთ მცხოვრებ იტალიელთა რიცხვი, რომელიც 1881 წელს 1 მილიონს შეადგენდა, 1910 წელს 5½ მილიონამდე ავიდა, ამასთან დიდძალი მასა მოდის მდიდარ და «დიდ» ქვეყნებზე, რომელთა მი-

მართ იტალიელები მეტად ტლანქ და «შავ», ღატაკ და უუფ-ლებო მუშათა მასას წარმოადგენენ. აი მთავარი ქვეყნები, რომლებიც იყენებენ იტალიელთა იაფფასიან შრომას: საფრან-გეთი — 400 ათასი იტალიელი 1910 წელს (240 ათასი — 1881 წელს); შვეიცარია—135 ათასი (41)—(ფრჩხილებში ათასების რიცხვი 1881 წ.); ავსტრია—80 ათასი (40); გერმანია—180 ათა-სი (7); შეერთებული შტატები — 1 779 ათასი (170); ბრაზი-ლია — 1 500 ათასი (82); არგენტინა — 1 000 (254). «ბრწყინ-ვალე» საფრანგეთს, რომელიც 125 წლის წინათ იბრძოდა თავის-უფლებისათვის და ამის გამო «განმათავისუფლებელს» უწო-დებს თავის ახლანდელ ომს თავისი და ინგლისის მონათმფლო-ბელური «უფლებისათვის კოლონიების მიმართ», ამ საფრან-გეთს პირდაპირ განსაკუთრებულ გეტოებში ჰყავს ასეულ ათასობით იტალიელი მუშა, რომლებისგანაც რაც შეიძლება მეტად გამიჯვნას ცდილობს «დიდი» ერის წვრილბურჟუაზიუ-ლი არამზადობა, რომელთა დამცირებასა და შეურაცხყოფას ყოველნაირად ცდილობს იგი. იტალიელებს უწოდებენ აბუჩად-ამგდებ მეტსახელს: «მაკარონებს» (დაე, გაიხსენოს ველიკო-რუსმა მკითხველმა, რამდენი აბუჩადამგდები მეტსახელია გავრცელებული ჩვენს ქვეყანაში «სხვატომელთა» მიმართ, რომლებსაც ბედნიერება არა ჰქონდათ დაბადებულიყვნენ კეთილშობილური დიდმპყრობელური პრივილეგიების უფ-ლებით, რაც პურიშკევიჩებისათვის წარმოადგენს რ ო გ ო რ ც ველიკორუსი ხალხის, ი ს ე რუსეთის ყველა სხვა ხალხის ჩაგვრის იარაღს). დიდმა საფრანგეთმა 1896 წელს დასდო ხელშეკრულება იტალიასთან, რომლის ძალით ეს უკანასკნე-ლი ვალდებულებას კისრულობს არ გაადიდოს ტუნისში იტა-ლიური სკოლების რიცხვი! ტუნისის იტალიელი მოსახლეობა კი მას შემდეგ ექვსჯერ გადიდდა. იტალიელები ტუნისში არი-ან 105 000, მაშინ როცა ფრანგები—35 000 კაცია, მაგრამ პირ-ველთაგან მიწის მესაკუთრეა მხოლოდ 1 167 კაცი, რომელთაც აქვთ 83 000 ჰექტარი, მეორეთაგან კი — 2 395, რომლებმაც «თავის» კოლონიაში 700 000 ჰექტარი მიიტაცეს. მაშ, როგორ არ უნდა დაეთანხმო ლაბრიოლას და სხვა იტალიელ «პლეხა-

ნოველებს» იმაში, რომ იტალიას «უფლება» აქვს თავის კოლონიაზე ტრიპოლში, სლავთა ჩაგვრისა დალმაციაში, მცირე აზიის გაყოფისა და ა. შ.! *

ისევე როგორც პლეხანოვი უჭერს მხარს რუსეთის «განმათავისუფლებელ» ომს გერმანიის იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ გადააქციოს რუსეთი თავის კოლონიად, ასევე რეფორმისტების პარტიის ბელადი ლეონიდე ბისოლატი გოდებს «იტალიაში უცხო კაპიტალის შეჭრის» წინააღმდეგ (გვ. 97): გერმანული კაპიტალი ლომბარდიაში, ინგლისური — სიცილიაში, ფრანგული — პიაჩენტინოში, ბელგიური — ტრამვაის საწარმოებში და ა. შ. დაუსრულებლივ.

---

* მეტისმეტად საგულისხმოა აღინიშნოს, თუ როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული იტალიის გადასვლა იმპერიალიზმზე და მთავრობის თანხმობა საარჩევნო რეფორმაზე. ამ რეფორმამ ამომრჩეველთა რიცხვი გაადიდა 3 219 000-დან 8 562 000-მდე, ე. ი. «თითქმის რომ» გამოვიდა საყოველთაო საარჩევნო უფლება. ტრიპოლიტანიის ომამდე იგივე ჯიოლიტი, რომელმაც რეფორმა გაატარა, გადაჭრით წინააღმდეგი იყო რეფორმისა. «მთავრობისა» და ზომიერი პარტიების მიერ «ხაზის შეცვლის მოტივირება», — წერს მიხელსი, — არსებითად, პატრიოტული იყო. «მიუხედავად ძველებური თეორიული ზიზღისა კოლონიური პოლიტიკისადმი, სამრეწველო მუშები და კიდევ უფრო მეტად შავი მუშები, ყოველი მოლოდინის წინააღმდეგ, უაღრესად დისციპლინიანად და მორჩილად ებრძოდნენ თურქებს. მთავრობის პოლიტიკის მიმართ ასეთი მონური მოქმედება ჯილდოს ღირსი იყო, რათა წაექეზებინათ პროლეტარიატი განეგრძო ამ ახალი გზით სვლა. პარლამენტში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, იტალიის მუშათა კლასმა თავისი პატრიოტული მოქმედებით ბრძოლის ველზე ლიბიაში დაუმტკიცა სამშობლოს, რომ მან ამიერიდან პოლიტიკური სიმწიფის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ვისაც უნარი შესწევს თავი დასდოს კეთილშობილური მიზნისათვის, მას უნარი შესწევს აგრეთვე დაიცვას სამშობლოს ინტერესები როგორც ამომრჩეველმა და ამიტომ უფლება აქვს, რომ სახელმწიფო მას სრულ პოლიტიკურ უფლებათა ღირსად თვლიდესო» (გვ. 177). კარგად ლაპარაკობენ იტალიელი მინისტრები! მაგრამ კიდევ უფრო უკეთ — გერმანელი «რადიკალური» სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ახლა იმეორებენ ამ ლაქიურ მსჯელობას: «ჩვენ» შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა, გეხმარებოდით «თქვენ» სხვისი ქვეყნების ძარცვაში, «თქვენ» კი არ გსურთ მოგვცეთ «ჩვენ» საყოველთაო საარჩევნო უფლება პრუსიაშიო...

საკითხი პირდაპირ არის დასმული და არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ევროპის ომმა უდიდესი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას, რამდენადაც საკითხი მართლაც პირდაპირ დააყენა სხვადასხვა ერის ასობით მილიონი ადამიანის წინაშე: ან დაიცვან, თოფით თუ კალმით, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, როგორიც უნდა ფორმით, «თავისი» ბურჟუაზიის დიდმპყრობელური და საერთოდ ნაციონალური პრივილეგიები თუ უპირატესობანი და პრეტენზიები, და მაშინ ეს ნიშნავს მის მომხრეობას ან ლაქიობას; ან და გამოიყენონ დიდმპყრობელური პრივილეგიებისათვის წარმოებული ყოველგვარი, განსაკუთრებით კი შეიარაღებული, ბრძოლა ყოველი, უწინარეს ყოვლისა კი თავისი მთავრობის სამხილებლად და დასამხობად ინტერნაციონალურად სოლიდარული პროლეტარიატის რევოლუციური მოქმედების საშუალებით. შუათანა რამ აქ არ არის, ან სხვა სიტყვებით: შუათანა პოზიციის დაკავების ცდა ნამდვილად ნიშნავს შენიღბულ გადასვლას იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზე.

ბარბონის მთელი წიგნი, არსებითად, სწორედ იმ მიზანს ისახავს, რომ შენიღბოს ეს გადასვლა. ბარბონის სრულიად ისევე, როგორც ჩვენს ბ-ნ პოტრესოვს, თავი მოაქვს ინტერნაციონალისტად, როდესაც იგი მსჯელობს, ინტერნაციონალური თვალსაზრისით უნდა განვსაზღვროთ, რომელი მხარის წარმატება უფრო სასარგებლოა ან ნაკლებ საზიანოა პროლეტარიატისათვისო, და როდესაც ამ საკითხს წყვეტს, რა თქმა უნდა,... ავსტრიისა და გერმანიის წინააღმდეგ. ბარბონი სავსებით კაუცკისებურად წინადადებას აძლევს იტალიის სოციალისტურ პარტიას საჯაროდ გამოაცხადოს ყველა ქვეყნის, — უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, მეომარი ქვეყნების, — მუშათა სოლიდარობა, ინტერნაციონალისტური შეხედულებანი, პროგრამა ზავისა ყველა ერის განიარაღებისა და ნაციონალური დამოუკიდებლობის საფუძველზე, და ამასთან შეიქმნას «ყველა ერის ლიგა ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის ურთიერთგარანტიისათვის» (გვ. 126). და სწორედ ამ პრინციპების სახელით ბარბონი აცხადებს, რომ

მილიტარიზმი «სრულიადაც არაა აუცილებელი», არამედ «პარაზიტული» მოვლენაა კაპიტალიზმში;—რომ «მილიტარისტული იმპერიალიზმით» გაჟღენთილია გერმანია და ავსტრია, რომ მათი აგრესიული პოლიტიკა იყო «მუდამ მუქარა ევროპის მშვიდობიანობისათვის», რომ გერმანია «მუდამ უარყოფდა შეიარაღების შეზღუდვის წინადადებებს, რასაც იძლეოდნენ რუსეთი (sic!! *) და ინგლისი» და ა. შ. და ა. შ.—და რომ იტალიის სოციალისტურმა პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს იტალიის ჩარევას სამთა შეთანხმების სასარგებლოდ შესაფერ მომენტშიო!

გერმანია XX საუკუნეში ეკონომიურად დანარჩენ ევროპულ ქვეყნებზე უფრო სწრაფად ვითარდებოდა და განსაკუთრებით «გულნატკენია» კოლონიების გაყოფისას; ინგლისი გაცილებით უფრო ნელა ვითარდება, უამრავი კოლონიების მპყრობელია, იქ (ევროპიდან დაშორებით) ხშირად დათრგუნვის არანაკლებ მხეცურ ხერხებს მიმართავს, ვიდრე გერმანელები, თავისი მილიარდებით ქირაობს სხვადასხვა კონტინენტური სახელმწიფოს მილიონიან ჯარებს ავსტრიის, თურქეთის და სხვათა გასაძარცვავად, და გაუგებარი რჩება, თუ რა პრინციპების ძალით შეიძლება მიეცეს უპირატესობა გერმანიის ბურჟუაზიულ იმპერიალიზმთან შედარებით ინგლისის ბურჟუაზიულ იმპერიალიზმს? ბარბონის ინტერნაციონალიზმი, ისევე როგორც კაუცკისა, არსებითად გამოიხატება სოციალისტური პრინციპების სიტყვიერი დაცვით, ხოლო ამ თვალთმაქცობის საფარით ნამდვილად ტარდება თავისი, იტალიური ბურჟუაზიის დაცვა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბარბონიმ, რომელმაც თავისი წიგნი გამოსცა თავისუფალ შვეიცარიაში (რომლის ცენზურამ წაგლისა მხოლოდ ნახევარი სტრიქონი, 75-ე გვერდზე, როგორც ეტყობა, ავსტრიის კრიტიკის შემცველი), მთელი 143 გვერდის მანძილზე არ მოისურვა მოეყვანა ბაზელის მანიფესტის ძირითადი დებულებანი და კეთილსინდისიერად გაერჩია ისინი. სამაგიეროდ ორი რუსი

* — ასე!! რ ე დ.

ყოფილი რევოლუციონერიდან, რომლებსაც ახლა რეკლამას უკეთებს მთელი ფრანკოფილური ბურჟუაზია, ანარქიზმის მეშჩან კროპოტკინიდან და სოციალ-დემოკრატიზმის ფილისტერ პლეხანოვიდან, ჩვენს ბარბონის ღრმა თანაგრძნობით მოჰყავს ციტატები (გვ.103). რასაკვირველია! პლეხანოვის სოფიზმები, არსებითად, არაფრით არ განირჩევა ბარბონის სოფიზმებისაგან. ოღონდ პოლიტიკური თავისუფლება იტალიაში უკეთ აშიშვლებს ამ სოფიზმებს, უფრო ნათლად ააშკარავებს ბარბონის ჭეშმარიტ პოზიციას, როგორც ბურჟუაზიის აგენტისას მუშათა ბანაკში.

ბარბონი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში «ჭეშმარიტი და ნამდვილი რევოლუციური სულისკვეთება არ არის» (სავსებით ისევე, როგორც პლეხანოვი); ის მხურვალედ მიესალმება კარლ ლიბკნეხტს (როგორც მიესალმებიან მას ფ რ ა ნ გ ი სოციალ-შოვინისტები, რომლებიც თავის თვალში დირეს ვერ ხედავენ); მაგრამ ის გადაჭრით აცხადებს, რომ «ლაპარაკიც კი არ შეიძლება ინტერნაციონალის გაკოტრებაზე» (გვ. 92), რომ გერმანელებს «ინტერნაციონალის სულისკვეთებისათვის არ უღალატნიათ» (გვ. 111), რამდენადაც ისინი მოქმედებდნენ «კეთილსინდისიერი» რწმენით, რომ სამშობლოს იცავენ. და ბარბონი ისევე ფარისევლურად, როგორც კაუცკი, ოღონდ რომანული ყბედობით აცხადებს, რომ ინტერნაციონალი მზად არის (გერმანიის დამარცხების შემდეგ...) «მიუტევოს გერმანელებს, როგორც ქრისტემ მიუტევა პეტრეს, წუთიერი უნდობლობა, მოაშუშოს დავიწყების გზით მილიტარისტული იმპერიალიზმის მიერ მიყენებული ღრმა ჭრილობები და ხელი გაუწოდოს ღირსეული და ძმური ზავისათვის» (გვ. 113).

გულამაჩუყებელი სურათია: ბარბონი და კაუცკი — ალბათ, ჩვენი კოსოვსკისა და აქსელროდის მონაწილეობით—მიუტევებენ ერთმანეთს!!

ბარბონი, რომელიც სავსებით კმაყოფილია კაუცკითა და გედით, პლეხანოვითა და კროპოტკინით, არ არის კმაყოფილი თავისი პარტიით — იტალიის სოციალისტური, მუშათა,

პარტიით. ამ პარტიაში, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა ჯერ კიდევ ომამდე განთავისუფლებულიყო ბისოლატისა და მისი კომპანიის რეფორმისტებისაგან, თურმე, ისეთი «ატმოსფეროა შექმნილი, რომ სუნთქვა არ შეუძლიათ» (გვ. 7) იმათ, ვინც (ბარბონის მსგავსად) არ იზიარებს «აბსოლუტური ნეიტრალობის» (ე. ი. იტალიის მხრივ ომში ჩარევის დაცვასთან გაბედული ბრძოლის) ლოზუნგს. საცოდავი ბარბონი მწარედ მოთქვამს, რომ მის მსგავს ადამიანებს იტალიის სოციალისტურ მუშათა პარტიაში უწოდებენ «ინტელიგენტებს», «მასებთან კონტაქტდაკარგულ ადამიანებს, ბურჟუაზიიდან გამოსულებს», «სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის პირდაპირი გზიდან აცდენილ ადამიანებს» (გვ. 7). ჩვენი პარტია — აღშფოთებით ამბობს ბარბონი — «უფრო ფანტაზიორობს, ვიდრე მასებს ზრდისო» (გვ. 4).

ძველი მოტივია! ეს იტალიური ვარიანტია რუსი ლიკვიდატორების და ოპორტუნისტების ნაცნობი ჰანგისა ბოროტი ბოლშევიკების «დემაგოგიის» წინააღმდეგ, რომლებიც მასებს «ამხედრებენ» «ნაშა ზარიას», ორგანიზაციული კომიტეტის და ჩხეიძის ფრაქციის საუცხოო სოციალისტების წინააღმდეგ! მაგრამ იტალიელი სოციალ-შოვინისტის რა საგულისხმო აღიარებაა, რომ ერთადერთ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელი იყო რამდენიმე თვეს თავისუფლად განეხილათ სოციალ-შოვინისტებისა და რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტების პლატფორმები, სწორედ მ უ შ ა თ ა მ ა ს ე ბ ი, სწორედ შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი დადგნენ უკანასკნელთა მხარეზე, ხოლო წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტები და ოპორტუნისტები — პირველთა მხარეზე.

ნეიტრალობა არის ვიწრო ეგოიზმი, საერთაშორისო სიტუაციის გაუგებლობა, არის საზიზღრობა ბელგიის მიმართ, არის «არყოფნა»—ხოლო «არმყოფნი ყოველთვის მტყუანნი არიანო», — მსჯელობს ბარბონი სავსებით პლეხანოვისა და აქსელროდისებურად. მაგრამ, რადგან იტალიაში ორი აშკარა პარტიაა, რეფორმისტული და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რადგან ამ ქვეყანაში არ შეიძლება დაჰფარო

ბბ. პოტრესოვების, ჩერევანინების, ლევიცკების და მათი კომპანიის სიშიშვლე ჩხეიძის ფრაქციის ან ორგანიზაციული კომიტეტის ლეღვის ფოთლით და ამნაირად მოატყუო საზოგადოება, — ბარბონი გულახდილად აღიარებს:

«ამ თვალსაზრისით მე მეტ რევოლუციურობას ვხედავ სოციალ-რეფორმისტების მოქმედებაში, რომლებიც მალე მიხვდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მომავალი ანტიკაპიტალისტური ბრძოლისათვის პოლიტიკური ვითარების ამ განახლებას» (გერმანიის მილიტარიზმის დამარცხების შედეგად) «და რომლებიც სავსებით თანმიმდევრულად დადგნენ სამთა შეთანხმების მხარეზე, ვიდრე ოფიციალური რევოლუციური სოციალისტების ტაქტიკაში, რომლებიც კუსავით აბსოლუტური ნეიტრალობის ბაკანს ამოეფარნენო» (გვ. 81).

ამ საგულისხმო აღიარების გამო ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ გამოვთქვათ სურვილი, რომ რომელიმე ამხანაგმა, რომელიც იცნობს მოძრაობას იტალიაში, შეაგროვოს და სისტემატურად დაამუშაოს იტალიის ორივე პარტიის მიერ მოცემული დიდძალი და ფრიად საინტერესო მასალა იმ საკითხზე, თუ რა საზოგადოებრივი ფენები, რა ელემენტები, ვისი დახმარებით, რა არგუმენტებით იცავდნენ იტალიის პროლეტარიატის რევოლუციურ პოლიტიკას, ერთი მხრივ, და იტალიის იმპერიალისტური ბურჟუაზიის წინაშე ლაქიობას, მეორე მხრივ. რაც უფრო მეტი შეგროვდება ასეთი მასალა სხვადასხვა ქვეყანაში, მით უფრო ნათელი გახდება შეგნებული მუშებისათვის ჭეშმარიტება II ინტერნაციონალის კრახის მიზეზებსა და მნიშვნელობაზე.

დასასრულ შევნიშნავთ, რომ ბარბონი, რომელსაც თვალწინ ჰყავს მუშათა პარტია, ცდილობს სოფისტიკურად შეეგუოს მუშების რევოლუციურ ინსტინქტებს. ის იტალიის სოციალისტ-ინტერნაციონალისტებს, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი ომისადმი, — ეს ომი კი ნამდვილად წარმოებს იტალიის ბურჟუაზიის იმპერიალისტური ინტერესებისათვის, — გვიხატავს ლაჩრული თავშეკავების, ომის საში-

ნელებათაგან ეგოისტურად თავის დამალვის მომხრეებად. «ომის საშინელებათა წინაშე შიშში აღზრდილ ხალხს, ალბათ, რევოლუციის საშინელებისაც შეეშინდება» (გვ. 83). და რევოლუციონერებთან ლაქუციის ამ საზიზღარი ცდის გვერდით— ტლანქად საქმოსნური დამოწმება მინისტრ სალანდრას «ნათელი» სიტყვებისა: «წესრიგი დაცული იქნება რადაც უნდა დაჯდეს» — მობილიზაციის წინააღმდეგ საყოველთაო გაფიცვის ცდა გამოიწვევს მხოლოდ «უსარგებლო ხოცვა-ჟლეტას»; «ჩვენ ხელი ვერ შევუშალეთ ლიბიის (ტრიპოლიტანიის) ომს, მით უფრო ნაკლებ შევძლებთ ხელი შევუშალოთ ავსტრიასთან ომსო» (გვ. 82).

ბარბონი, კაუცკის, კუნოვის და ყველა ოპორტუნისტის მსგავსად, შეგნებულად, ფრიად საძაგელი ვარაუდით, რომ მასიდან ზოგი ვინმე მოატყუოს, რევოლუციონერებს მიაწერს უგუნურ გეგმას — «ერთბაშად» «ჩაშალონ ომი» და თავი გააჟლეტინონ ბურჟუაზიისათვის უაღრესად ხელსაყრელ მომენტში,—რითაც მას სურს თავი დაიძვრინოს შტუტგარტსა და ბაზელში ნათლად დასმული ამოცანისაგან: გამოვიყენოთ რევოლუციური კრიზისი სისტემატური რევოლუციური პროპაგანდისათვის და მასების რევოლუციური მოქმედების მომზადებისათვის. ხოლო ევროპა რომ რევოლუციურ მომენტს განიცდის, ამას ბარბონი სავსებით ნათლად ხედავს:

...«არის პუნქტი, რომელიც საჭიროდ მიმაჩნია დაჟინებით დავიცვა, თუნდაც თავი მოვაბეზრო მკითხველს, ვინაიდან არ შეიძლება სწორად შევაფასოთ ახლანდელი პოლიტიკური სიტუაცია ისე, თუ ეს პუნქტი ვერ გავარკვიეთ: პერიოდი, რომელსაც ჩვენ განვიცდით, არის კატასტროფული პერიოდი, მოქმედების პერიოდი, როდესაც საქმე ეხება არა იდეების გამორკვევას, არა პროგრამების შედგენას, არა პოლიტიკური მოქმედების ხაზის განსაზღვრას მომავლისათვის, არამედ ცოცხალი და აქტიური ძალის გამოყენებას შედეგის მისაღწევად თვეების მანძილზე და იქნებ მხოლოდ კვირეების განმავლობაშიც კი. ასეთ პირობებში საქმე ეხება არა იმას, რომ ვიფილოსოფოსოთ პროლეტარული მოძრაობის მომავალზე,

არამედ იმას, რომ განვამტკიცოთ პროლეტარიატის თვალსაზრისი მიმდინარე მომენტის წინაშე» (გვ. 87 — 88).

კიდევ ერთი სოფიზმი რევოლუციურობის მოსაჩვენებლად! კომუნიდან 44 წლის შემდეგ, ევროპის რევოლუციურმა კლასმა, რომელმაც გამოიარა მასობრივი ძალების შეგროვებისა და მომზადების თითქმის ნახევარი საუკუნე, იმ მომენტში, როდესაც ევროპა კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ უ ლ პერიოდს განიცდის, უნდა იფიქროს იმაზე, რომ რაც შეიძლება მალე გახდეს თავისი ნაციონალური ბურჟუაზიის ლაქია, დაეხმაროს მას სხვა ხალხთა ძარცვაში, მათ მიმართ ძალადობაში, მათ გაჩანაგებასა და დამორჩილებაში, და არა იმაზე, რომ გაშალოს მასობრივი მასშტაბით უშუალოდ რევოლუციური პროპაგანდა და რევოლუციური მოქმედების მომზადება.

«კომმუნისტი» № 1 — 2, 1915 წ.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ

იბეჭდება
ჟურნალ «კომმუნისტის»
ტექსტის მიხედვით

მოწოდება ომის შესახებ

ამხანაგო მუშებო!

აი უკვე წელიწადზე მეტია გრძელდება ევროპის ომი. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი კიდევ ძალიან დიდ ხანს გასტანს, ვინაიდან, თუ გერმანია საუკეთესოდ მომზადებულია და ახლა ყველაზე უფრო ძლიერია, სამაგიეროდ ოთხთა შეთანხმებას (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი და იტალია) მეტი ხალხი ჰყავს და ფულიც მეტი აქვს, გარდა ამისა, თავისუფლად მოსდის საომარი მასალა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნიდან—ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

რისთვის წარმოებს ეს ომი, რომელსაც უმაგალითო უბედურება და ტანჯვა-წამება მოაქვს კაცობრიობისათვის? თვითეული მეომარი მხარის მთავრობა და ბურჟუაზია მილიონობით მანეთს ხარჯავენ წიგნებსა და გაზეთებზე, მოწინააღმდეგეს აკისრებენ ბრალს, გაცოფებულ სიძულვილს აღძრავენ ხალხში მტრისადმი, არ თაკილობენ არავითარ სიცრუეს, რათა თავი მოგვაჩვენონ «თავდამცველ» მხარედ, რომელმაც უსამართლო თავდასხმა განიცადა. ნამდვილად კი ეს არის ომი ავაზაკურ დიდ სახელმწიფოთა ორ ჯგუფს შორის კოლონიების გაყოფისათვის, სხვა ერთა დამონებისათვის, სარფისა და პრივილეგიებისათვის მსოფლიო ბაზარზე. ეს არის ყველაზე რეაქციული ომი, თანამედროვე მონათმფლობელთა ომი კაპიტალისტური მონობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ინგლისი და საფრანგეთი ტყუიან, როდესაც ირწმუნებიან, ომს ბელგიის თავისუფლებისათვის ვაწარმოებთო. ნამდვილად კი ისინი დიდი ხანია ამზადებდნენ ომს და აწარ-

მოებენ მას გერმანიის გასაძარცვავად, მისთვის კოლონიების წასართმევად, მათ დასდეს ხელშეკრულება იტალიასა და რუსეთთან თურქეთისა და ავსტრიის გაძარცვისა და გაყოფის შესახებ. რუსეთის მეფის მონარქია აწარმოებს მძარცველურ ომს, რათა დაიპყროს გალიცია, წაართვას თურქეთს მიწები, დაიმონოს სპარსეთი, მონღოლეთი და ა. შ. გერმანია აწარმოებს ომს ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის კოლონიათა გასაძარცვავად. გერმანია გაიმარჯვებს, რუსეთი გაიმარჯვებს, თუ საქმე «ფრედ» დამთავრდება — ყოველ შემთხვევაში ომი კაცობრიობას მოუტანს კოლონიების, სპარსეთის, თურქეთის, ჩინეთის ასეული და ასეული მილიონობით მოსახლეობის ახალ ჩაგვრას, ერების ახალ დამონებას, ახალ ბორკილებს ყველა ქვეყნის მუშათა კლასისათვის.

როგორია მუშათა კლასის ამოცანები ამ ომის მიმართ? ამ კითხვაზე უკვე გაცემულია პასუხი ბაზელის 1912 წლის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის რეზოლუციით, რომელიც ერთხმად მიიღეს მთელი მსოფლიოს სოციალისტებმა. ეს რეზოლუცია მიღებული იყო სწორედ ისეთი ომის გათვალისწინებით, როგორიც ატყდა 1914 წელს. ეს რეზოლუცია გვეუბნება, რომ ომი რეაქციულია, რომ იგი მზადდება «კაპიტალისტთა მოგების» ინტერესებისათვის, რომ მუშებს მიაჩნიათ «დანაშაულად ერთმანეთს დაუშინონ ტყვია», რომ ომი გამოიწვევს «პროლეტარულ რევოლუციას», რომ მუშებისათვის ტაქტიკის ნიმუშს წარმოადგენს 1871 წლის პარიზის კომუნა და რუსეთის 1905 წლის ოქტომბერ-დეკემბერი, ე. ი. რევოლუცია.

რუსეთის ყველა შეგნებული მუშა მხარს უჭერს სახელმწიფო სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ფრაქციას (პეტროვსკის, ბადაევს, მურანოვს, სამოილოვსა და შაგოვს), რომლებიც ომის წინააღმდეგ და მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციური პროპაგანდისათვის ცარიზმმა ციმბირში გადაასახლა. მხოლოდ ასეთი პროპაგანდა და რევოლუციური მოქმედება, რაც იწვევს მასების აღშფოთებას, წარმოადგენს კაცობრიობის ხსნას ახლანდელი ომისა და

მომავალი ომების საშინელებათაგან. მხოლოდ ბურჟუაზიული მთავრობების, უწინარეს ყოვლისა კი ყველაზე რეაქციული, ველური და ბარბაროსული მეფის მთავრობის რევოლუციური დამხობა გაგვიხსნის გზას სოციალიზმისაკენ და ხალხთა შორის მშვიდობიანობისაკენ.

და ტყუიან ისინი, — ბურჟუაზიის შეგნებული და შეუგნებელი მსახურნი, — ვისაც სურს დაარწმუნოს ხალხი, რომ მეფის მონარქიის რევოლუციურ დამხობას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ გერმანიის რეაქციული მონარქიისა და გერმანიის ბურჟუაზიის გამარჯვება და გაძლიერება. თუმცა გერმანელი სოციალისტების მეთაურები, ისევე როგორც რუსეთის ბევრი ფრიად თვალსაჩინო სოციალისტი, «თავისი» ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდნენ და ეხმარებიან მას ხალხის მოტყუებაში ზღაპრებით «თავდაცვითი» ომის შესახებ, მაგრამ გერმანიის მუშათა მასებში იზრდება და მტკიცდება პროტესტი და აღშფოთება თავისი მთავრობის წინააღმდეგ; გერმანიის სოციალისტებმა, რომლებიც ბურჟუაზიის მხარეზე არ გადასულან, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით განაცხადეს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის ტაქტიკა «გმირულ» ტაქტიკად მიაჩნიათ. გერმანიაში არალეგალურად იცემა მოწოდებანი ომის წინააღმდეგ და მთავრობის წინააღმდეგ. გერმანიის ათობით და ასობით საუკეთესო სოციალისტი, მათ შორის მუშა ქალთა მოძრაობის ცნობილი წარმომადგენელი კლარა ცეტკინი, გერმანიის მთავრობამ საპყრობილეებში დაამწყვდია რევოლუციური პროპაგანდისათვის. გამოუკლებლივ ყველა მეომარ ქვეყანაში მწიფდება მუშათა მასების აღშფოთება, და რუსეთის სოციალ-დემოკრატების რევოლუციური მოღვაწეობის მაგალითი, მით უფრო რევოლუციის ყოველი წარმატება რუსეთში, აუცილებლად წინ წასწევს სოციალიზმის, ექსპლოატატორულ და პირსისხლიან ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის გამარჯვების დიად საქმეს.

ომი ჯიბეებს უვსებს კაპიტალისტებს, რომლებსაც უამრავი ოქრო მოსდით დიდ სახელმწიფოთა ხაზინიდან. ომი

იწვევს ბრმა გაბოროტებას მტრის წინააღმდეგ, და ბურჟუაზია მთელი ძალღონით წარმართავს აქეთ ხალხის უკმაყოფილებას და აშორებს მის ყურადღებას მ თ ა ვ ა რ ი მტრისაგან: თ ა ვ ი ს ი ქვეყნის მთავრობისა და მბრძანებელი კლასებისაგან. მაგრამ ომი, რომელსაც აურაცხელი უბედურება და საშინელება მოაქვს მშრომელი მასებისათვის, ათვითცნობიერებს და აკაჟებს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს. თუ უნდა დავიღუპოთ, დავიღუპებით ჩვენი საქმისათვის, მუშათა საქმისათვის, სოციალისტური რევოლუციისათვის და არა კაპიტალისტების, მემამულეებისა და მეფეების ინტერესებისათვისო, — აი რას ხედავს და გრძნობს ყოველი შეგნებული მუშა. და რაც უნდა ძნელი იყოს ახლა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშაობა, იგი შესაძლებელია, იგი წინ მიდის მთელ მსოფლიოში, მარტოოდენ მასშია ხსნა!

ძირს მეფის მონარქია, რომელმაც ჩაიბა რუსეთი დანაშაულებრივ ომში და რომელიც ჩაგრავს ხალხებს! გაუმარჯოს მუშების მსოფლიო ძმობას და პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციას!

დაწერილია 1915 წ. აგვისტოში

პირველად დაიბეჭდა
1928 წ. 21 იანვარს
გაზეთ «პრავდაში» № 18

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

გმადლობთ გულახდილობისათვის

...«ფუჭი აზრია, რომ აუცილებელია შედგეს ინტერნაციონალი «სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალისტებისაგან»»... «ყველა სოციალისტური პარტიიდან ამოგლეჯილი ოპოზიციური ელემენტებისაგან... ინტერნაციონალი შეიძლება აღდგენილ იქნას მხოლოდ იმ ელემენტებისაგანვე, რომლებისგანაც იგი დღევანდლამდე შედგებოდა. აღდგენილი ინტერნაციონალი იქნება ანგარიშით არა «მესამე», რომელიც მხოლოდ ერთ მუჭა სექტანტებს და გათიშვის საქმის ოსტატებს ესაჭიროებათ, არამედ იგივე მეორე, რომელიც არ მომკვდარა, არამედ მხოლოდ დროებით პარალიზებულია მსოფლიო კატასტროფით»...

ასე წერს ბ-ნი ვლ. კოსოვსკი ბუნდის «ინფორმაციონნი ლისტოკის» № 8-ში. მთელი სულითა და გულით მადლობელი ვართ ამ, არცთუ ყველაზე ჭკვიანი, ბუნდელის გულახდილობისათვის. ის პირველად როდი იცავს ოპორტუნიზმს ბუნდელი დიპლომატებისათვის არასასიამოვნო პირდაპირობით. ის ახლაც შეუწყობს ხელს ოპორტუნიზმთან ბრძოლას, რამდენადაც განუმარტავს მუშებს, თუ რა უიმედოდ შორსაა ბუნდი პროლეტარული სოციალიზმისაგან. ბ-ნი ვლ. კოსოვსკი ვერ ხედავს ოპორტუნიზმის კავშირს სოციალ-შოვინიზმთან. ეს კავშირი რომ დაინახო, უნდა შეგეძლოს მოაზრება: როგორია როგორც ერთი, ისე მეორე მიმდინარეობის ძირითადი იდეები? როგორ ვითარდებოდა ოპორტუნიზმი ევროპაში უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე? როგორია ოპორ-

ტუნისტული და რევოლუციური ფრთის დამოკიდებულება სოციალ-შოვინიზმისადმი მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში, მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, შვეცია, შვეიცარია, ჰოლანდია, ბულგარეთი?

უფიქრია თუ არა ამაზე ბ-ნ ვლ. კოსოვსკის? ის რომ ცდილიყო ეპასუხნა თუნდაც პირველ კითხვაზე, მალე დაინახავდა თავის შეცდომას.

სხვათა შორის. «ინფორმაციონნი ლისტოკის» № 7-ში ბ-მა ვლ. კოსოვსკიმ გამოამჟღავნა გერმანოფილური შოვინიზმი, ვინაიდან ის, ფრანგ სოციალ-დემოკრატებს რომ ბრალს სდებდა, იცავდა გერმანელი სოციალ-დემოკრატების მიერ კრედიტების სასარგებლოდ ხმის მიცემას. ვიღაც W. (გვ. 11 — 12, № 8) იცავს ბ-ნ ვლ. კოსოვსკის შოვინიზმში «ბრალდებისაგან» და წერს, რომ რუსეთში მომუშავე ორგანიზაციას არ შეიძლება გერმანოფილური შოვინიზმი ახასიათებდესო. ხომ არ აუხსნის ბ-ნი ვლ. კოსოვსკი ბ-ნ W-ს, რატომ არის, რომ უკრაინელი ან პოლონელი ბურჟუა რუსეთში, დანიელი ან ელზასელი ბურჟუა საფრანგეთში, ირლანდიელი ბურჟუა ინგლისში ხშირად ამჟღავნებს მათი მჩაგვრელი ერებისადმი მტრულ შოვინიზმს?

დაწერილია 1915 წ. ზაფხულში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის კრებულში XVII

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

ინტერნაციონალურ სოციალისტურ კომისიას (I. S. K.)

პატივცემულო ამხანაგებო!

მივიღეთ თქვენი 25 სექტემბრის წერილი. სავსებით თანავუგრძნობთ გეგმას, რომ შეიქმნას მუდმივი საერთაშორისო «გაფართოებული კომისია» (**erweiterte Kommission**) ბერნში. დარწმუნებულნი, რომ დანარჩენი ორგანიზაციებიც, რომლებიც მიემხრნენ I. S. K.-ს, გაიზიარებენ ამ გეგმას, ჩვენ ვნიშნავთ რსდმპ ცენტრალური კომიტეტისაგან ამ გაფართოებული კომისიის წევრად ზინოვიევს, ხოლო მის მოადგილეებად, კანდიდატებად (**suppléant, stellvertreter**) (1) ამხ. პეტროვას [129] და (2) ამხ. ლენინს. მისამართი ურთიერთობისათვის: **Herrn Radomislsky (bei Fr. Aschwanden). Hertenstein (Ks. Luzern). Schweiz** *.

შემდეგ. რაც შეეხება დანარჩენ საკითხებს, რომლებიც აღძრულია თქვენს 25 სექტემბრის წერილში, ჩვენი მხრივ, შემდეგი აზრისა ვართ:

1. ჩვენ სავსებით გეთანხმებით, რომ «საერთო თვალსაზრისი» (**«allgemeine Gesichtspunkte»**), დადგენილი 5—8 სექტემბრის კონფერენციის მიერ, «საკმარისი არ არის» (**«nicht genügen»**). აუცილებლად საჭიროა ამ პრინციპების შემდგომი, გაცილებით უფრო დაწვრილებითი და დეტალური, განვითარება. ეს აუცილებელია როგორც პრინციპული, ისე ვიწრო-

* — ბ-ნ რადომისლსკს (ქ-ნ აშვანდენისას). ჰერტენშტაინი (ლუცერნის ოლქი). შვეიცარია. რ ე დ.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან საერთაშორისო მასშტაბით ერთიანი მოქმედების განსახორციელებლად საჭიროა როგორც ძირითად იდეურ შეხედულებათა სიცხადე, ისე მოქმედების ამა თუ იმ პრაქტიკული ხერხის ზუსტი გარკვეულობა. უეჭველია, რომ დიდ კრიზისს, რასაც განიცდის ევროპა საერთოდ და ევროპის მუშათა მოძრაობა განსაკუთრებით, მხოლოდ ნელ-ნელა შეუძლია მიგვიყვანოს ორივე მხარის მასების მიერ საკითხში გარკვევამდე, მაგრამ I. S. K.-ის ამოცანა იმ პარტიებთან ერთად, რომლებიც მას ემხრობიან, სწორედ ის არის, რომ ხელი შეუწყოს ასეთ გარკვევას. არ მოველით რა შეუძლებელს — ყველას სწრაფად გაერთიანებას სოლიდარულ, ზუსტად შემუშავებულ შეხედულებათა საფუძველზე, ჩვენ უნდა ვეცადოთ იმას, რათა ზუსტად გავარკვიოთ თანამედროვე ინტერნაციონალური სოციალიზმის ძირითადი მიმდინარეობანი და მიმართულებანი, ხოლო შემდეგ იმას, რომ მუშათა მასები გაეცნონ ამ მიმდინარეობებს, რომ მათ განიხილონ ეს მიმდინარეობანი ყოველმხრივ, შეამოწმონ ისინი თავიანთი პრაქტიკული მოძრაობის გამოცდილებით. ჩვენი აზრით, I. S. K.-ის ეს ამოცანა უნდა მიაჩნდეს თავის მთავარ ამოცანად.

2. 25 სექტემბრის წერილი პროლეტარიატის ამოცანებს განსაზღვრავს ან როგორც ზავისათვის ბრძოლას (ომის განგრძობის შემთხვევისათვის) ან როგორც «ზავის სხვადასხვა წინადადებისა და პროგრამისადმი პროლეტარიატის ინტერნაციონალური თვალსაზრისის კონკრეტულად და დეტალურად ფორმულირებას» (**«den internationalen Standpunkt des Proletariats zu den verschiedenen Friedensvorschlägen und Programmen konkret und ins einzelne gehend zu umschreiben»**). ამასთან განსაკუთრებით ხაზგასმულია ნაციონალური საკითხი (ელზას-ლორენი, პოლონეთი, სომხეთი და ა. შ.).

ჩვენ ვფიქრობთ, 5—8 სექტემბრის კონფერენციის მიერ ერთხმად მიღებულ ორივე დოკუმენტში, სახელდობრ: მანიფესტშიც და «სიმპათიის რეზოლუციაშიც» (**«Sympathieerklärung»**) გამოთქმულია ის აზრი, რომ ზავისათვის ბრძოლა

დაკავშირებულია სოციალიზმისათვის ბრძოლასთან («ბრძოლა ზავისათვის... არის ბრძოლა სოციალიზმისათვის» — «dieser Kampf ist der Kampf... für den Sozialismus»—ამბობს მანიფესტი), «შეურიგებელ პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლასთან» («unversöhnlicher proletarischer Klassenkampf» — რეზოლუციების იმ ტექსტში, რომელსაც კენჭი უყარა კონფერენციამ, იყო არა «შეურიგებელი», არამედ «რევოლუციური» კლასობრივი ბრძოლა, და თუ იგი შეცვლილ იქნა ლეგალობის მოსაზრებით, ამით აზრი არ უნდა შეცვლილიყო). რეზოლუცია სიმპათიის შესახებ პირდაპირ ლაპარაკობს აუცილებლობაზე და კონფერენციის «საზეიმო აღთქმაზე» — «გავაღვივოთ რევოლუციური სულისკვეთება საერთაშორისო პროლეტარიატის მასებში».

პროლეტარიატის რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლასთან დაუკავშირებლად ზავისათვის ბრძოლა არის მხოლოდ ფრაზა სენტიმენტალური ან პაციფისტური ბურჟუებისა, რომლებიც ხალხს ატყუებენ.

ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა დავდგეთ «სახელმწიფო მოღვაწეთა» პოზაში და შევადგინოთ ზავის «კონკრეტული» პროგრამები. პირიქით, ჩვენ უნდა განვუმარტოთ მასებს, რომ თავის მოტყუებაა ყოველგვარი იმედი დემოკრატიული ზავისა (ისეთი ზავისა, რომელსაც არ ახასიათებს ანექსიები, ძალადობა, ძარცვა-გლეჯა), თუ არ განვითარდა რევოლუციური კლასობრივი ბრძოლა. ჩვენ მანიფესტის დასაწყისშივე მტკიცედ, ნათლად და გარკვეულად ვუთხარით მასებს, რომ ომის მიზეზია იმპერიალიზმი და რომ იმპერიალიზმი არის ერების, მსოფლიოს ყველა ერის, «დამონება» რამდენიმე «დიდი სახელმწიფოს» მიერ. მაშასადამე, ჩვენ უნდა დავეხმაროთ მასებს დაამხონ იმპერიალიზმი, რომლის დაუმხობლად შეუძლებელია უანექსიო ზავი. რა თქმა უნდა, ბრძოლა იმპერიალიზმის დამხობისათვის ძნელია, მაგრამ მასებმა უნდა იცოდნენ სიმართლე ძნელი, მაგრამ აუცილებელი ბრძოლის შესახებ. მასები არ უნდა მივაძინოთ იმის იმედით, თითქოს შესაძლებელი იყო ზავი იმპერიალიზმის დაუმხობლად.

3. ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ შემოგვაქვს წინადადება:

დაისვას გაფართოებული კომისიის უახლოესი სხდომების დღის წესრიგში (თეზისების ან რეზოლუციის პროექტების შესამუშავებლად თუ შესაჯამებლად და გამოსაქვეყნებლად), მერე კი შემდგომ საერთაშორისო კონფერენციაზედაც (რეზოლუციის საბოლოოდ მისაღებად) შემდეგი საკითხები:

a) ზავისათვის ბრძოლის კავშირი პროლეტარიატის მასობრივ რევოლუციურ მოქმედებასთან ან რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლასთან;

b) ერების თვითგამორკვევა;

c) სოციალ-პატრიოტიზმის კავშირი ოპორტუნიზმთან.

ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ კონფერენციის მიერ მიღებულ მანიფესტში ყ ვ ე ლ ა ეს საკითხი სავსებით გარკვეულად არის ა ღ ძ რ უ ლ ი, რომ მათი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა უაღრესად არსებითია, რომ პროლეტარული ბრძოლის ა რ ც ე რ თ ი პრაქტიკული ნაბიჯი ა რ ა რ ი ს შ ე ს ა ძ ლ ებ ე ლ ი ისე, რომ სოციალისტები და სინდიკალისტები არ წააწყდნენ ამ საკითხებს.

ამ საკითხების დამუშავება აუცილებელია სწორედ იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ მასობრივ ბრძოლას ზავისათვის, ერების თვითგამორკვევისათვის, სოციალიზმისათვის. ამ ომში «სამშობლოს დაცვის» შესახებ «კაპიტალისტების სიცრუის» (მანიფესტის სიტყვებია) წინააღმდეგ.

თუ II ინტერნაციონალის ბრალი თუ უბედურება, როგორც სამართლიანად აღნიშნულია 25 სექტემბრის წერილში, მდგომარეობს დიდმნიშვნელოვანი საკითხების გაურკვევლობასა და დაუმუშავებლობაში, ჩვენი ამოცანა სწორედ ის არის, რომ დავეხმაროთ მასებს—უფრო ნათლად დასვან და უფრო ზუსტად გადაწყვიტონ ეს საკითხები.

4. ბიულეტენის სამ ენაზე გამოცემის შესახებ გამოცდილება, ჩვენი აზრით, გვიჩვენებს, რომ ეს გეგმა მიზანშეუწო-

ნელია. ასეთი გამოცემა, ყოველთვიურად გამოშვებისას, ეღირება 2—3 ათასი ფრანკი წელიწადში, ასეთი თანხის შოვნა კი ადვილი როდია. ამავე დროს, შვეიცარიის ორი გაზეთი, **«Berner Tagwacht»** * და **«La Sentinelle»** [129] ბეჭდავს თითქმის ყველაფერს, რაც ბიულეტენშია. ჩვენ წინადადება შემოგვაქვს I. S. K.-ში:

> ვეცადოთ შევუთანხმდეთ აღნიშნული გაზეთების რედაქციებს და ამერიკის ერთ-ერთ გაზეთს, რომ ბეჭდონ ამ გაზეთებში როგორც ბიულეტენი, ისე I. S. K.-ის ყველა ცნობა და მასალა (ან ტექსტში I. S. K.-ის სახელით, ან ცალკეულ დამატებებად).

ეს არათუ უფრო იაფი დაჯდება, არამედ შესაძლებლობასაც მოგვცემს შეუდარებლად უკეთესად, უფრო სრულად, უფრო ხშირად გავაცნოთ ხოლმე მუშათა კლასს I. S. K.-ის მოღვაწეობა. ჩვენი ინტერესია, რათა რაც შეიძლება მეტი მუშა კითხულობდეს I. S. K.-ის ცნობებს, რათა რეზოლუციების ყველა პროექტი იბეჭდებოდეს მუშების გასათვითცნობიერებლად და დასახმარებლად, რომ მათ შეიმუშაონ თავიანთი დამოკიდებულება ომისადმი.

ჩვენ იმედი გვაქვს, არაფერი გექნებათ იმის საწინააღმდეგო, რომ საჭიროა დაიბეჭდოს რეზოლუციის პროექტიც (რომელსაც ხმა მისცა, მისი საფუძვლად მისაღებად, 12 დელეგატმა 19-ის წინააღმდეგ, ე. ი. მთელი რიცხვის დაახლოებით 40 პროცენტმა) და ცნობილი გერმანელი სოციალისტის [130] წერილიც (სახელისა და ყოველივე იმის გამოტოვებით, რაც ტაქტიკას ა რ ეხება).

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ I. S. K. მიიღებს სისტემატურ ცნობებს სხვადასხვა ქვეყნიდან დევნასა და დაპატიმრებაზე ომის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ომის წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის მსვლელობაზე, სანგრებში დაძმობილებაზე, გაზეთების დახურვაზე, ზავის შესახებ მოწოდებათა ბეჭდვის აკრძალვაზე და ა. შ., და რომ ყველა ეს ცნობა შეიძლებოდა,

* — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

I. S. K.-ის სახელით, პერიოდულად გამოქვეყნებულიყო ხსენებულ გაზეთებში.

ერთ-ერთ ამერიკულ ყოველდღიურ თუ ყოველკვირეულ გაზეთთან შეთანხმებას, ალბათ, შეძლებდა ამხ. კოლონტაი, «ნაშე სლოვოს» და სხვა სოციალ-დემოკრატიული გაზეთების თანამშრომელი, რომელიც სწორედ ახლა გაემგზავრა ამერიკაში რეფერატების წასაკითხავად. ჩვენ შეგვეძლო ურთიერთობა გაგვება კოლონტაისთან ან მოგვეწოდებინა მისი მისამართი.

5. პარტიების ნ ა წ ი ლ თ ა (განსაკუთრებით გერმანიისა და საფრანგეთის, აგრეთვე, ალბათ, ინგლისის) წარმომადგენლობის წესის საკითხზე ჩვენ შემოგვაქვს წინადადება:

> დაე I. S. K.-მ წინადადება მისცეს ამ პარტიებში შემავალ ამხანაგებს განიხილონ საკითხი, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი შეედგინათ სხვადასხვა სახელწოდებით ჯგუფები, რომელთა მიმართვებს მასებისადმი (პროკლამაციების, რეზოლუციების და სხვათა სახით) დაბეჭდავს I. S. K. იმის აღნიშვნით, რომ ისინი ამა და ამ ჯგუფს ეკუთვნიან.

ასეთი წესის დროს, ჯერ ერთი, მასები გაეცნობოდნენ ინტერნაციონალისტების ტაქტიკასა და შეხედულებებს, სამხედრო ცენზურის მხრივ აკრძალვის მიუხედავად; მეორეც, შეიქმნებოდა შესაძლებლობა დაგვენახა ინტერნაციონალისტურ შეხედულებათა პროპაგანდის განვითარება და წარმატება, იმის კვალობაზე, როგორც მუშათა კრებები, მათი ორგანიზაციები და სხვანი მიიღებდნენ გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ ჯგუფის შეხედულებებისადმი მათი თანაგრძნობის შესახებ; მესამეც, შეიქმნებოდა შესაძლებლობა გამოეთქვათ შეხედულებათა სხვადასხვა ნიუანსი (მაგალითად, ინგლისში B. S. P. *, მისი უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა, და I. L. P. **; საფრანგეთში

---

* — British Socialist Party — ბრიტანეთის სოციალისტური პარტია. რ ე დ.

** — Independent Labour Party — დამოუკიდებელი მუშათა პარ-

სოციალისტები, როგორიცაა **Bourderon** და სხვ., სინდიკალისტები, როგორიცაა **Merrheim** და სხვ.; გერმანიაში, როგორც კონფერენციამ გვიჩვენა, არის ნიუანსები ოპოზიციის შ ი გ ნ ი თ).

თავისთავად იგულისხმება, ეს ჯგუფები, როგორც აღნიშნულია 25 სექტემბრის წერილში, ცალკეულ ორგანიზაციულ ერთეულებს კი არ შექმნიდნენ, არამედ იარსებებდნენ ძველი ორგანიზაციების შიგნით მ ხ ო ლ ო დ **I. S. K.**-თან ურთიერთობისათვის და ზავის სასარგებლოდ ბრძოლის პროპაგანდისათვის.

წარმომადგენლობა «გაფართოებულ კომისიაში» და კონფერენციებზე იქნებოდა ამ ჯგუფებისაგან.

6. «გაფართოებულ კომისიაში» წევრთა რიცხვის და ხმის მიცემის საკითხზე ჩვენ წინადადებას ვიძლევით:

> არ განისაზღვროს წევრთა რიცხვი **maximum** 3-ით, არამედ, ამის ნაცვლად, შემოღებულ იქნას, პატარა ჯგუფებისათვის, წ ი ლ ა დ ე ბ ი ხ მ ი ს მ ი ც ე მ ი ს ა ს (1/2, 1/3 და სხვ.).

ეს უფრო მოხერხებულია, ვინაიდან წარმომადგენლობის წართმევა თავისი ელფერის მქონე ჯგუფებისათვის პირდაპირ შეუძლებელია და მავნებელია მასებში იმ პრინციპების განვითარებისა და პროპაგანდისათვის, რომლებიც დადგენილია მანიფესტით.

7. გაფართოებული კომისიის «რუსულ-პოლონური ხასიათის» საფრთხის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხანაგების ეს შიში (რაც უნდა საწყენი იყოს იგი რუსებისათვის) კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ა, რამდენადაც შესაძლებელია იმ ემიგრანტული ჯგუფების წარმომადგენლობა, რომლებსაც რუსეთთან სერიოზული კავშირი არა აქვთ. ჩვენი აზრით, წარმოდგენილნი უნდა იყვნენ მხოლოდ ის ორგანიზაციები თუ ჯგუფები, რომლებმაც ს უ ლ ც ო ტ ა 3 წ ლ ი ს მ უ შ ა ო ბ ი თ დაამტკიცეს თავისი უნარი—წარმოადგენდნენ მოძრაობას თვით რუსეთში. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ **I. S. K.**-ს განიხილოს და დაადგინოს ასეთი პრინციპი, აგრეთვე მიმართოს ყველა

ჯგუფს თხოვნით — გამოგზავნონ ცნობები და მონაცემები რუსეთში თავისი მუშაობის შესახებ.

8. დასასრულ, ჩვენ ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა აღვნიშნოთ ერთი არასიზუსტე № 1 «ბიულეტენში» [131] და გთხოვთ გაასწოროთ იგი № 2-ში (ან «**Berner Tagwacht**»-ში და «**La Sentinelle**»-ში). სახელდობრ, № 1 «ბიულეტენში», გვ. 7, სვეტი 1, დასაწყისში, ნათქვამია, რომ რეზოლუციის პროექტს ხელი მოაწერეს ცენტრალურმა კომიტეტმა, პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა (**Landesvorstand** *), ლატვიელებმა, შვედებმა და ნორვეგიელებმა. ამ სიაში გამოტოვებულია:

> ერთი გერმანელი დელეგატი (რომლის სახელი არ იბეჭდება გასაგები მიზეზების გამო) და ერთი შვეიცარიელი, პლატენი.

დაწერილია არა უადრეს 1915 წ.
12 (25 სექტემბრისა)

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. 6 სექტემბერს გაზეთ «პრავდაში» № 203

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — პარტიის მთავარი ვამგეობა. რ ე დ.

რუსეთის დამარცხება
და რევოლუციური კრიზისი

IV სათათბიროს «გარეკვა», როგორც პასუხი მასში ლიბერალების, ოქტიაბრისტებისა და ნაციონალისტებისაგან ოპოზიციური ბლოკის შექმნისა, — აი ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოხატულება რევოლუციური კრიზისისა რუსეთში. მეფის მონარქიის არმიების დამარცხება — საგაფიცვო და რევოლუციური მოძრაობის ზრდა პროლეტარიატში — მღელვარება ფართო მასებში — ლიბერალურ-ოქტიაბრისტული ბლოკი იმისათვის, რომ შეუთანხმდნენ მეფეს რეფორმების პროგრამაში და გერმანიაზე გასამარჯვებლად მრეწველობის მობილიზაციის საქმეში. ასეთია მოვლენების თანმიმდევრობა და კავშირი ომის პირველი წლის დამლევს.

ახლა ყველა ხედავს, რომ რევოლუციური კრიზისი რუსეთში უკვე არის, მაგრამ ყველას როდი ესმის სწორად მისი მნიშვნელობა და პროლეტარიატის ამოცანები, რომლებიც ამ კრიზისიდან გამომდინარეობენ.

ისტორია თითქოს მეორდება: კვლავ ომი, ისევე როგორც 1905 წელს, ამასთან ომი, რომელშიც ცარიზმმა ქვეყანა ჩააბა გარკვეული და აშკარა დაპყრობითი, მტაცებლური და რეაქციული მიზნებისათვის. კვლავ დამარცხება ომში და ამით დაჩქარებული რევოლუციური კრიზისი. კვლავ ლიბერალური ბურჟუაზია, — ამჯერად კონსერვატიული ბურჟუაზიისა და მემამულეების მეტად ფართო ფენებთანაც კი, — აყენებს რეფორმებისა და მეფესთან შეთანხმების პროგრამას. თითქმის

ისევეა, როგორც 1905 წლის ზაფხულში ბულიგინის სათათბიროს წინ ან როგორც 1906 წლის ზაფხულში I სათათბიროს გარეკვის შემდეგ.

მაგრამ, სინამდვილეში უდიდესი განსხვავებაა [ის], რომ ომი ახლა მოედო მთელ ევროპას, ყველა მოწინავე ქვეყანას, სადაც მასობრივი და მძლავრი სოციალისტური მოძრაობაა. იმპერიალისტურმა ომმა **დაუკავშირა** რევოლუციური კრიზისი რუსეთში, კრიზისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ნიადაგზე, დასავლეთში პროლეტარული, სოციალისტური რევოლუციის მზარდ კრიზისს. ეს კავშირი იმდენად უშუალოა, რომ რევოლუციური [ამოცანების] არავითარი ცალკეული გადაწყვეტა ამა თუ იმ ქვეყანაში არ არის შესაძლებელი: რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ახლა უკვე არა მარტო პროლოგია, არამედ განუყოელი შემადგენელი ნაწილიცაა დასავლეთის სოციალისტური რევოლუციისა.

ბოლომდე მივიყვანოთ ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში, რათა გამოვიწვიოთ პროლეტარული რევოლუცია დასავლეთში, — ასე ისმებოდა პროლეტარიატის ამოცანა 1905 წელს. 1915 წელს ამ ამოცანის მეორე ნახევარი იმდენად აუცილებელი გახდა, რომ იგი დღის წესრიგში ისმება პირველ ნახევართან ერთად. რუსეთში წარმოიშვა ახალი პოლიტიკური დაყოფა ახალ, უფრო მაღალ, უფრო განვითარებულ, უფრო გადახლართულ საერთაშორისო ურთიერთობათა ნიადაგზე. ეს ახალი დაყოფაა რევოლუციონერ-შოვინისტებსა, რომლებსაც სურთ რევოლუცია გერმანიაზე გასამარჯვებლად, და რევოლუციონერ-პროლეტარულ ინტერნაციონალისტებს შორის, რომლებსაც სურთ რუსეთის რევოლუცია დასავლეთში პროლეტარული რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა თ ვ ი ს და მასთან ერთად. ეს ახალი დაყოფა, არსებითად, არის დაყოფა რუსეთის წვრილ, ქალაქისა და სოფლის, ბურჟუაზიასა და სოციალისტურ პროლეტარიატს შორის. ეს ახალი დაყოფა ნათლად უნდა შევიგნოთ, ვინაიდან მარქსისტის, ე. ი. ყოველი შეგნე-

ბული სოციალისტის, პირველი ამოცანა მოახლოებული რევოლუციის წინაშე არის სხვადასხვა კლასის პოზიციის გაგება, ტაქტიკურ და საერთოდ პრინციპულ უთანხმოებათა დაყვანა სხვადასხვა კლასის პოზიციის სხვადასხვაობაზე.

არაფერია იმაზე უფრო უხამსი, არაფერია იმაზე უფრო საზიზღარი და მავნებელი, ვიდრე რევოლუციური ფილისტერების მოარული იდეა: «დავივიწყოთ» უთანხმოებანი კარსმომდგარ რევოლუციაში უახლოესი საერთო ამოცანის «გამო». ვინც ათეული წლის, 1905 — 1914 წლების, გამოცდილებამ ვერ დაარწმუნა ამ იდეის სისულელეში, ის დაღუპულია რევოლუციური მხრივ. ვინც ახლა სჯერდება რევოლუციურ შეძახილებს და ანალიზს არ უკეთებს იმას, თუ რომელმა კლასებმა **დაამტკიცეს,** რომ მათ შეუძლიათ გაჰყვნენ და რომ ისინი მიჰყვებიან ამა და ამ რევოლუციურ პროგრამას, ის, არსებითად, არ განსხვავდება «რევოლუციონერ» ხრუსტალევებისა, ალადინებისა და ალექსინსკეებისაგან.

ჩვენს წინაშეა მონარქიისა და მებატონე-მემამულეების ნათელი პოზიცია: «არ დაუთმონ» რუსეთი ლიბერალურ ბურჟუაზიას; რაც შეიძლება მალე გარიგება გერმანიის მონარქიასთან. ასევე ნათელია ლიბერალური ბურჟუაზიის პოზიცია: გამოიყენოს დამარცხება და მზარდი რევოლუცია, რათა მიაღწიოს დაშინებული მონარქიისაგან დათმობებს და ხელისუფლების გაზიარებას ბურჟუაზიასთან. ასევე ნათელია პოზიცია რევოლუციური პროლეტარიატისა, რომელიც მიისწრაფვის ბოლომდე მიიყვანოს რევოლუცია და ამისთვის გამოიყენოს მთავრობისა და ბურჟუაზიის მერყეობა და სიძნელენი. წვრილი ბურჟუაზია კი, ე. ი. რუსეთის მოსახლეობის ვეებერთელა მასა, რომელიც ძლივს იღვიძებს, მიდის, ერთი მხრივ, ხელის ცეცებით, «ბრმად», ბურჟუაზიის კუდში, ნაციონალისტურ ცრურწმენათა ტყვეობაში მყოფი, მეორე მხრივ — ომის, სიძვირის, გაჩანაგების, სიღატაკისა და შიმშილის ჯერ არნახული, გაუგონარი საშინელებანი და გაჭირვება მას უბიძგებს რევოლუციისაკენ;

იგი ყოველ ნაბიჯზე იხედება უკან, სამშობლოს დაცვის იდეისაკენ, ან რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეისაკენ, ან ცარიზმსა და გერმანიაზე გამარჯვების მეოხებით, მაგრამ კაპიტალიზმის დაუმარცხებლად, წვრილგლეხური კეთილდღეობის იდეისაკენ.

წვრილი ბურჟუის, წვრილი გლეხის ეს მერყეობა შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ მისი ეკონომიური მდგომარეობის გარდუვალი შედეგია. გონივრული არ არის დაემალო ამ «მწარე», მაგრამ ღრმა ჭეშმარიტებას, იგი უნდა გაიგო და შეამჩნიო არსებულ პოლიტიკურ მიმდინარეობებსა და დაჯგუფებებში, რათა არც თავი მოიტყუო და ხალხიც არ მოატყუო, რათა არ დაასუსტო, არ დააუძლურო სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის რევოლუციური პარტია. პროლეტარიატი დაიუძლურებს თავს, თუ თავის პარტიას საშუალებას მისცემს მერყეობდეს ისე, როგორც მერყეობს წვრილი ბურჟუაზია. პროლეტარიატი მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის ამოცანას, თუ ის შეძლებს ურყევად იაროს თავისი დიადი მიზნისაკენ, წინ წაუბიძგოს წვრილ ბურჟუაზიას და შესაძლებლობა მისცეს მას ისწავლოს თავის შეცდომებზე, როდესაც იგი მარჯვნივ ქანაობს, გამოიყენოს მთელი მისი ძალები შეტევისათვის, როდესაც ცხოვრება აიძულებს მას მარცხნივ იაროს.

ტრუდოვიკები, ესერები, ლიკვიდატორ-«ოკისტები» — აი ის პოლიტიკური მიმდინარეობანი რუსეთში, რომლებიც სავსებით ჩამოყალიბდნენ გასული ათეული წლის მანძილზე, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი კავშირი წვრილი ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფებთან, ელემენტებთან და ფენებთან, გამოამჟღავნეს თავისი მერყეობა სიტყვიერად უკიდურესი რევოლუციურობიდან საქმით შოვინისტურ სახალხო სოციალისტებთან ან «ნაშა ზარიასთან» კავშირამდე. მაგალითად, 1915 წლის 3 სექტემბერს ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთელი მდივნების ხუთეულმა გამოუშვა მოწოდება პროლეტარიატის ამოცანებზე, რომელშიც კრინტიც არ არის დაძრული ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის შესახებ,

მაგრამ ლაპარაკია «აჯანყებაზე» გერმანიის არმიის ზურგში (ეს სამოქალაქო ომის ლოზუნგის წინააღმდეგ ერთი წლის ბრძოლის შემდეგ!) და გამოცხადებულია კადეტების მიერ 1905 წელს ესოდენ შექებული ლოზუნგი «დამფუძნებელი კრებისა ომის სალიკვიდაციოდ და თვითმპყრობელური (სამი ივნისის) წყობილების სალიკვიდაციოდ»!! ვინც ვერ გაიგო, რომ, რევოლუციის წარმატების ინტერესებისათვის, აუცილებელია პროლეტარიატის პარტიის სრული გამიჯვნა ამ წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობებისაგან, ის ამაოდ ითვისებს სოციალ-დემოკრატის სახელს.

არა, სწორედ დამარცხებით დაჩქარებული რევოლუციური კრიზისის წინაშე რუსეთში, — ამის აღიარებისა ეშინიათ «პორაჟენცობის» სხვადასხვა ჯურის მოწინააღმდეგეებს, — პროლეტარიატის ამოცანები წინანდებურად იქნება ოპორტუნიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ურომლისოდაც მასების რევოლუციური შეგნების განვითარება შეუძლებელია, და დახმარების გაწევა ამ მასების მოძრაობისათვის რევოლუციის არაორაზროვანი ლოზუნგების საშუალებით. არა დამფუძნებელი კრება, არამედ მონარქიის დამხობა, რესპუბლიკა, მემამულეთა მიწების კონფისკაცია და 8 საათის სამუშაო დღე, — ასეთი იქნება წინანდებურად სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის ლოზუნგები, ჩვენი პარტიის ლოზუნგები. და ამასთან განუყრელად დაკავშირებით, რათა ნამდვილად, მთელ თავის პროპაგანდასა და აგიტაციაში, მუშათა კლასის ყველა გამოსვლაში, გამოჰყოს და დაუპირისპიროს სოციალიზმის ამოცანები ბურჟუაზიული (მათ შორის პლეხანოვისებური და კაუცკიანური) შოვინიზმის ამოცანებს, ჩვენი პარტია წინანდებურად დააყენებს იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლოზუნგს, ე. ი. დასავლეთში სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგს.

ომის გაკვეთილები ჩვენს მოწინააღმდეგეებსაც კი აიძულებს აღიარონ სინამდვილეში როგორც «პორაჟენცობის» პოზიცია, ისე აუცილებლობა, რომ წამოყენებულ იქნას — ჯერ, როგორც მახვილი ფრაზა მოწოდებაში, შემდეგ კი უფრო

სერიოზულადაც, უფრო ჩაფიქრებულად, — გერმანელი მილიტარისტების «ზურგში აჯანყების» ლოზუნგი, ე. ი. სამოქალაქო ომის ლოზუნგი. ომის გაკვეთილები, თურმე, მოწინააღმდეგესაც უჭედავს თავში სწორედ იმას, რასაც ჩვენ ვქადაგებდით ომის დასაწყისიდან. რუსეთის დამარცხება ნაკლები პოროტება ა ღ მ ო ჩ ნ დ ა, ვინაიდან ამან უდიდესი მასშტაბით წინ წასწია რევოლუციური კრიზისი, აამოძრავა მილიონები, ათეული და ასეული მილიონები. რუსეთის რევოლუციურ კრიზისს კი, იმპერიალისტური ომის ვითარებაში, არ შეეძლო არ წარემართა აზრი ხალხთა ერთადერთი ხსნის იდეისაკენ, გერმანიის არმიის «ზურგში აჯანყების» იდეისაკენ, ე. ი. ყ ვ ე ლ ა მეომარ ქვეყანაში სამოქალაქო ომის იდეისაკენ.

ცხოვრება ჭკუის მასწავლებელია. ცხოვრება მ ი დ ი ს რუსეთის დამარცხების გზით რუსეთის რევოლუციისაკენ, ხოლო ამ რევოლუციის გზით, მასთან დაკავშირებით, სამოქალაქო ომისაკენ ევროპაში. ცხოვრება წავიდა ამ გზით. და რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის პარტია ახალ ძალას მოიკრებს ცხოვრების ამ გაკვეთილებში, რომლებმაც დაამტკიცეს ამ პარტიის სიმართლე, და კიდევ უფრო მეტი ენერგიით გასწევს მის მიერ დასახული გზით.

დაწერილია 1915 წ. სექტემბრის
მეორე ნახევარში

პირველად დაიბეჭდა
1928 წ. 7 ნოემბერს
გაზეთ «პრავდაში» № 260

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პირველი ნაბიჯი

ნელა მიდის წინ ინტერნაციონალური სოციალისტური მოძრაობის განვითარება ომით გამოწვეული არაჩვეულებრივად მძიმე კრიზისის ეპოქაში. მაგრამ მაინც მიდის სწორედ იქით, რომ კავშირი გაწყვიტოს ოპორტუნიზმთან და სოციალშოვინიზმთან. ციმერვალდის (შვეიცარია) 1915 წლის 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურმა კონფერენციამ ეს ნათლად დაგვანახვა.

მეომარი და ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტებს შორის მთელი წლის განმავლობაში ვხედავდით მერყეობისა და ლოდინის პროცესს: ეშინოდათ ელიარებინათ კრიზისის სიღრმე, არ უნდოდათ პირდაპირ გაეყარათ თვალი სინამდვილისათვის, ათასნაირი ხერხით აჭიანურებდნენ დასავლეთ ევროპის ოფიციალურ პარტიებში გაბატონებულ ოპორტუნისტებთან და კაუცკიანელებთან კავშირის გაწყვეტას.

მაგრამ მოვლენების ის შეფასება, რომელსაც ჩვენ ვიძლეოდით ერთი წლის წინათ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტში («სოციალ-დემოკრატი» № 33) *, მართალი გამოდგა, მოვლენებმა დაამტკიცეს მისი სისწორე; მოვლენები სწორედ ისეთი გზით წ ა რ ი მ ა რ თ ა, რომ პირველ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე წარმოდგენილნი აღმოჩნდნენ უმცირესობის ის ელემენტები (გერმანიისა, საფრანგეთისა, შვეიცისა, ნორვეგიისა), რომლებიც პროტესტს აცხა-

* იხ. ეს ტომი, გვ. 13 — 24. რ ე დ.

დებენ და მოქმედებენ ოფიციალური პარტიების გადაწყვეტილებათა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ესე იგი ფაქტიურად მოქმედებენ გამთიშველურად.

კონფერენციის მუშაობის შედეგებია მანიფესტი და დაპატიმრებულებისა და დევნილებისადმი თანაგრძნობის რეზოლუცია. ორივე ეს დოკუმენტი დაბეჭდილია «სოციალ-დემოკრატის» ამ ნომერში. კონფერენციამ უარყო, 19 ხმით 12-ის წინააღმდეგ, კომისიისათვის რეზოლუციის იმ პროექტის გადაცემა, რომელიც ჩვენ და სხვა რევოლუციურმა მარქსისტებმა წარვადგინეთ, ხოლო ჩვენი მანიფესტის პროექტი ორ სხვა პროექტთან ერთად გადაეცა კომისიას საერთო მანიფესტის შესამუშავებლად. მკითხველი ამ ნომრის სხვა ადგილას იპოვნის ორივე ჩვენს პროექტს, რომელთა შედარებაც მიღებულ მანიფესტთან აშკარად გვიჩვენებს, რომ შესაძლებელი გახდა რევოლუციური მარქსიზმის მთელი რიგი ძირითადი აზრების გატარება.

მიღებული მანიფესტი ფაქტიურად ნიშნავს ნაბიჯის გადადგმას ოპორტუნიზმთან და სოციალ-შოვინიზმთან იდეური და პრაქტიკული კავშირის გაწყვეტისაკენ. მაგრამ ამავე დროს ეს მანიფესტი, როგორც მისი განხილვა დაგვანახვებს, არათანმიმდევრულობითა და არასაკმაო გარკვეულობით ხასიათდება.

მანიფესტი ომს იმპერიალისტურ ომად აცხადებს, და აღნიშნავს ამ ცნების ორ ნიშანს: თ ვ ი თ ე უ ლ ი ერის კაპიტალისტების მისწრაფებას მოგებისაკენ, ექსპლოატაციისაკენ; დიდ სახელმწიფოთა მისწრაფებას მსოფლიოს გაყოფისა და სუსტი ერების «დამონებისაკენ». ყველაზე არსებითი იქიდან, რაც უნდა ითქვას ომის იმპერიალისტურ ხასიათზე და რაც ნათქვამია ჩვენს რეზოლუციაში, აქ განმეორებულია. მანიფესტი თავის ამ ნაწილში მხოლოდ პ ო პ უ ლ ა რ ი ზ ა ც ი ა ს უ კ ე თ ე ბ ს ჩვენს რეზოლუციას. პოპულარიზაცია, უდავოა, სასარგებლო საქმეა. მაგრამ, თუ ჩვენ გვსურს მივაღწიოთ მუშათა კლასის აზრის სიცხადეს, თუ ჩვენ მნიშვნელობას ვანიჭებთ სისტემატურ, შეუპოვარ პროპაგანდას, მაშინ ზუსტად

და სრულად უნდა დავადგინოთ ის პრინციპები, რომელთა პოპულარიზაციაც უნდა მოხდეს. უამისოდ ჩვენ შეიძლება გავიმეოროთ II ინტერნაციონალის სწორედ ის შეცდომა, ის ცოდვა, რომელმაც გამოიწვია მისი კრახი, სახელდობრ: ჩვენ ადგილს ვტოვებთ ორაზროვნებისა და არასწორი განმარტებებისათვის. მაგალითად, შეიძლება თუ არა უარვყოთ, რომ რეზოლუციაში გამოთქმულ აზრს სოციალიზმის ობიექტურ წანამძღვართა მომწიფების შესახებ არსებითი მნიშვნელობა აქვს? მანიფესტის «პოპულარულ» გადმოცემაში ეს აზრი გამოტოვებულია; ცდა, რომ ერთ მთლიან რამედ შეერთებულიყო ნათელი და ზუსტი პრინციპული რეზოლუცია მოწოდებასთან, ვერ მოხერხდა.

«ყველა ქვეყნის კაპიტალისტები... ამტკიცებენ, რომ ომი სამშობლოს დაცვას ემსახურება... ისინი ცრუობენ...» — ასე განაგრძობს მანიფესტი. ამ ომში ოპორტუნიზმის ძირითადი იდეის, «სამშობლოს დაცვის» იდეის «სიცრუედ» გამოცხადება ისევ და ისევ არის რევოლუციური მარქსისტების რეზოლუციის ყველაზე არსებითი აზრის განმეორება. და ისევ და ისევ გამოდის საწყენი გაურკვევლობა, რაღაც გაუბედაობა, მთელი სიმართლის თქმის შიში. ვინ არ იცის ახლა, ომის დაწყების ერთი წლის შემდეგ, რომ სოციალიზმისათვის ნამდვილი უბედურება იყო კაპიტალისტების სიცრუის განმეორება და მხარდაჭერა არა მარტო კაპიტალისტური პრესის მიერ (იმიტომაც არის იგი კაპიტალისტური, რომ იმეორებდეს კაპიტალისტების სიცრუეს), არამედ სოციალისტური პრესის მეტი ნაწილის მიერაც? ვინ არ იცის, რომ «კაპიტალისტების სიცრუეს» კი არ გამოუწვევია ევროპის სოციალიზმის უდიდესი კრიზისი, არამედ იგი გამოიწვია გედის, ჰაინდმანის, ვანდერველდეს, პლეხანოვის, კაუცკის სიცრუემ? ვინ არ იცის, რომ სწორედ ასეთი ბელადების სიცრუემ დაამტკიცა უეცრად მთელი ძალა ოპორტუნიზმისა, რომელმაც გაიყოლია ისინი გადამწყვეტ მომენტში?

შეხედეთ, თუ რა გამოდის. პოპულარობისათვის ფართო მასებს ეუბნებიან, ამ ომში სამშობლოს დაცვის იდეა კაპიტა-

ლისტების სიცრუე არისო. მაგრამ მასები ხომ ევროპაში წერა-კითხვის უცოდინარნი არ არიან, და თითქმის ყველას, ვინც მანიფესტს კითხულობს, სმენია და ესმის სწორედ ეს სიცრუე ასეული სოციალისტური გაზეთებიდან, ჟურნალებიდან, ბროშურებიდან, რომლებიც იმეორებენ მას პლეხანოვის, ჰაინდმანის, კაუცკისა და მათი კომპანიის მიყოლით. რას იფიქრებენ მანიფესტის მკითხველნი? რა აზრი მოუვათ მათ თავში მანიფესტის ავტორთა გაუბედაობის ამ თვალსაჩინო დემონსტრირების გამო? ნუ დაუჯერებთ კაპიტალისტურ სიცრუეს სამშობლოს დაცვის შესახებ, — ასწავლის მუშებს მანიფესტი. კარგი და პატიოსანი. თითქმის ყველა უპასუხებს ან თავისთვის გაიფიქრებს: კაპიტალისტების სიცრუე ჩვენ დიდი ხანია აღარ გვაღელვებს, ხოლო აი კაუცკისა და მისი კომპანიის სიცრუე...

შემდეგ კი მანიფესტი იმეორებს ჩვენი რეზოლუციის კიდევ ერთ არსებითს აზრს, როცა ამბობს, რომ სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტურმა პარტიებმა და მუშათა ორგანიზაციებმა «ფეხქვეშ გათელეს შტუტგარტის, კოპენჰაგენისა და ბაზელის კონგრესების გადაწყვეტილებათაგან გამომდინარე ვალდებულებანი», რომ თავისი მოვალეობა არ შეასრულა აგრეთვე საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ, რომ მოვალეობის ეს შეუსრულებლობა იყო კრედიტებისათვის ხმის მიცემა, სამინისტროში მონაწილეობა, «სამოქალაქო ზავის» აღიარება (მანიფესტი «სამოქალაქო ზავისადმი» ამ დამორჩილებას მონურს უწოდებს, ე. ი. გედს, პლეხანოვს, კაუცკის და მათ კომპანიას ბრალად სდებს სოციალიზმის ქადაგების შეცვლას მონური იდეების ქადაგებით).

კითხვა ისმება, თანმიმდევრულია თუ არა ეს: ილაპარაკო «პოპულარულ» მანიფესტში მთელი რიგი პარტიების მიერ თავისი მოვალეობის დარღვევაზე — საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქმე ეხება ყველაზე მოწინავე ყველა ქვეყნის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, უძლიერეს პარტიებსა და მუშათა ორგანიზაციებს — და არ ახსნა ეს გასაოცარი, გაუ-

გონარი და არნახული ფაქტი? თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა სოციალისტური პარტიების უმრავლესობისა და თვითონ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მიერ! რა არის ეს? შემთხვევითია და ცალკეულ პირთა კრახია? თუ ეს მთელი ეპოქის გარდატეხაა? თუ პირველია, თუ ჩ ვ ე ნ ვუშვებთ მასებში ამგვარ აზრს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩ ვ ე ნ უარს ვამბობთ სოციალისტური მოძღვრების საფუძვლებზე. თუ მეორეა, როგორ შეიძლება პირდაპირ არ ითქვას ეს? მსოფლიო-ისტორიული მომენტი, მთელი ინტერნაციონალის კრახი, მთელი ეპოქის გარდატეხა, ჩ ვ ე ნ კ ი გ ვ ე შ ი ნ ი ა ვუთხრათ მასებს, რომ საჭიროა ეძებონ და მონახონ მთელი სიმართლე, რომ საჭიროა ბოლომდე მიჰყავდეთ თავიანთი აზრები, რომ უაზრო და სასაცილოა ლაპარაკობდე საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს და მთელი რიგი პარტიების კრახზე და ა რ დაუკავშირო ეს მოვლენა საერთო-ევროპული ოპორტუნისტული მიმდინარეობის აღმოცენების, ზრდის, მომწიფებისა და გ ა დ ამწიფების ხანგრძლივ ისტორიას, — მიმდინარეობისა, რომელსაც აქვს ღრმა ეკონომიური ფესვები — ღრმა არა მასებთან მისი განუყრელი კავშირის აზრით, არამედ საზოგადოების გარკვეულ ფენასთან კავშირის აზრით.

როცა «ზავისათვის ბრძოლაზე» გადადის, მანიფესტი აცხადებს: «ეს ბრძოლა არის ბრძოლა თავისუფლებისათვის, ხალხთა ძმობისათვის, სოციალიზმისათვის» — და შემდეგ განმარტებულია, რომ ომში მუშებს მსხვერპლი მიაქვთ «გაბატონებული კლასების სასარგებლოდ», უნდა შეგვეძლოს კი მივიტანოთ მსხვერპლი **«საკუთარი საქმისათვის»** (მანიფესტში ხაზგასმულია ორჯერ), «სოციალიზმის წმიდათაწმიდა მიზნებისათვის», ხოლო რეზოლუციაში დაპატიმრებულ და დევნილ მებრძოლთადმი სიმპათიის შესახებ ნათქვამია, რომ «კონფერენცია საჯაროდ კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს ამ ცოცხალ და მკვდარ მებრძოლებს მათი მაგალითის მ ი ბ ა ძ ვ ი თ» და რომ იგი ამოცანად აყენებს «აძლიერებ-

დეს» რევოლუციურ სულისკვეთებას საერთაშორისო პროლეტარიატში».

ყველა ეს აზრი არის ჩვენი რეზოლუციის იმ არსებითი აზრის განმეორება, რომ ბრძოლა ზავისათვის რევოლუციური ბრძოლის გ ა რ ე შ ე არის ფუჭი, ყალბი ფრაზა, რომ ომის საშინელებათაგან ხსნის ერთადერთი გზა არის რევოლუციური ბრძოლა სოციალიზმისათვის. და ისევ არასაკმაო გარკვეულობა, არათანმიმდევრულობა, გაუბედაობა: მოწოდება მასებისადმი მ ი ჰ ბ ა ძ ო ნ რევოლუციურ მებრძოლებს, განცხადება, რომ რსდმ ფრაქციის ხუთი წევრი, რომლებსაც ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, განაგრძობდა «რუსეთის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს», განცხადება, რომ აუცილებელია «რევოლუციური სულისკვეთების გაღვიძება» და... ა რ ი ლ ა პ ა რ ა კ ო პირდაპირ, აშკარად, გარკვეულად ბრძოლის რევოლუციურ საშუალებებზე.

ხელი უნდა მოეწერა თუ არა ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს მანიფესტისათვის, რომელსაც არათანმიმდევრობა და გაუბედაობა ახასიათებს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა მოეწერა ხელი. ჩვენს უთანხმოებაზე, — არა მარტო ცენტრალური კომიტეტის, არამედ კონფერენციის მთელი მემარცხენე, ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო, რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ-მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი ნაწილის უთანხმოებაზე, — ნათქვამია აშკარად ცალკე რეზოლუციაშიც, მანიფესტის ცალკე პროექტშიც, ცალკე განცხადებაშიც კომპრომისული მანიფესტისათვის ხმის მიცემის გამო. ჩვენ ოდნავადაც არ დაგვიმალავს ჩვენი შეხედულებანი, ლოზუნგები, ტაქტიკა. კონფერენციაზე დარიგებულ იქნა გერმანული გამოცემა ბროშურისა: «სოციალიზმი და ომი»*. ჩვენ ვავრცელებდით, ვავრცელებთ და შემდეგშიც გავავრცელებთ ჩვენს შეხედულებებს იმაზე არა ნაკლებ, ვიდრე გავრცელდება მანიფესტი. ეს მანიფესტი რომ ნ ა ბ ი ჯ ს დგამს წ ი ნ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლისაკენ, მასთან კავშირის გაწყვეტისა და

* იხ. ეს ტომი, გვ. 357 — 412. რ ე დ.

გათიშვისაკენ, ეს ფაქტია. სექტანტობა იქნებოდა უარი გვეთქვა ასეთი ნაბიჯის წინ გადადგმაზე გერმანელების, ფრანგების, შვედების, ნორვეგიელების, შვეიცარიელების უმცირესობასთან ერთად, როდესაც ჩვენ ვინარჩუნებთ სრულ თავისუფლებას და სრულ შესაძლებლობას გავაკრიტიკოთ არათანმიმდევრულობა და ვიბრძოლოთ მეტისათვის *. ცუდი სამხედრო ტაქტიკა იქნებოდა უარი გვეთქვა სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ პროტესტის მზარდ საერთაშორისო მოძრაობასთან ერთად სვლაზე იმის გამო, რომ ეს მოძრაობა ნელია, რომ იგი «მხოლოდ» ერთ ნაბიჯს დგამს წინ, რომ იგი მზად არის და მოწადინებულია ხვალ გადადგას ნაბიჯი უკან, შეურიგდეს ძველ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს. ოპორტუნისტებთან შერიგების მზადყოფნა ჯერჯერობით სურვილია და მეტი არაფერი. დათანხმდებიან თუ არა ოპორტუნისტები შერიგებას? შესაძლებელია თუ არა, ობიექტურად, შერიგება სოციალ-შოვინიზმის, კაუცკიზმისა და რევოლუციური ინტერნაციონალური მარქსიზმის მიმდინარეობათა შორის, რომელნიც სულ უფრო და უფრო ღრმად შორდებიან ერთმანეთს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ არის შესაძლებელი, და ჩვენ შემდგომაც განვაგრძობთ ჩვენს ხაზს, გამხნევებულნი ამ ხაზის წარმატებით 5—8/IX კონფერენციაზე.

ვინაიდან ჩვენი ხაზის წარმატება უეჭველია. შეადარეთ ფაქტები. 1914 წლის სექტემბერში ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი თითქოს განმარტოებული მოვლენაა.

---

* ორგანიზაციულმა კომიტეტმა და სოციალისტ-რევოლუციონერებმა რომ ხელი მოაწერეს მანიფესტს, როგორც დიპლომატებმა, და ამავე დროს შეინარჩუნეს მთელი თავიანთი კავშირი — და მთელი თავიანთი დაკავშირებულობა — «ნაშა ზარიასთან», რუბანოვიჩთან და რუსეთის სახალხო სოციალისტებისა და სოციალ-რევოლუციონერების ივლისის (1915 წ.) კონფერენციასთან [132], — ეს ჩვენ არ გვაშინებს. ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება შესაძლებლობა ვებრძოლოთ დამპალ დიპლომატიას და ვამხილოთ იგი. ეს დიპლომატია თვითონ უფრო და უფრო ამხელს თავის თავს. «ნაშა ზარია» და ჩხეიძის ფრაქცია გვეხმარებიან ვამხილოთ აქსელროდი და მისი კომპანია.

1915 წლის მარტში ეწყობა ქალთა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც გამოაქვთ საცოდავი პაციფისტური რეზოლუცია, რომელსაც ბრმად მისდევს ორგანიზაციული კომიტეტი. 1915 წლის სექტემბერში ჩვენ ვირაზმებით საერთაშორისო შემარცხენეთა მთელ ჯგუფად, გამოვდივართ ჩვენი ტაქტიკით, ვატარებთ მთელ რიგ ჩვენს ძირითად იდეებს საერთო მანიფესტში, ვმონაწილეობთ ისკ-ის (ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის), ე. ი. ფაქტიურად ახალი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შექმნაში, ძველი ბიუროს ნება-სურვილის წინააღმდეგ, მანიფესტის ბაზაზე, რომელიც პირდაპირ გმობს ძველი ბიუროს ტაქტიკას.

რუსეთის მუშები, რომლებიც თავიანთი უდიდესი უმრავლესობით მიჰყვებოდნენ ჩვენს პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ კიდევ 1912 — 1914 წლებში, ახლა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის გამოცდილებით დაინახავენ, რომ ჩვენი ტაქტიკა უფრო ფართო სარბიელზეც დასტურდება, რომ ჩვენს ძირითად იდეებს იზიარებს პროლეტარული ინტერნაციონალის უფრო და უფრო დიდი და საუკეთესო ნაწილი.

«სოციალ-დემოკრატი» № 45 — 46,
1915 წ. 11 სექტემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

რევოლუციური მარქსისტები 1915 წლის 5—8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე

კონფერენციაზე იდეური ბრძოლა მიმდინარეობდა ინტერნაციონალისტების, რევოლუციური მარქსისტების დარაზმულ ჯგუფსა და მერყევ თითქმის-კაუცკიანელებს შორის, რომლებიც კონფერენციის მარჯვენა ფლანგს შეადგენდნენ. აღნიშნული ჯგუფის დარაზმვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია და კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატებაა. ომის დაწყებიდან მთელი ერთი წლის შემდეგ ინტერნაციონალში ერთადერთი მიმდინარეობა, რომელიც გამოდიოდა სავსებით გარკვეული რეზოლუციით, — აგრეთვე მასზე დამყარებული მანიფესტის პროექტით, — და რომელმაც გააერთიანა რუსეთის, პოლონეთის, ლატვიელთა მხარის, გერმანიის, შვეიცის, ნორვეგიის, შვეიცარიის, ჰოლანდიის თანმიმდევარი მარქსისტები, აღმოჩნდა ჩვენი პარტიით წარმოდგენილი მიმდინარეობა.

რა საბუთებს აყენებდნენ მერყევნი ჩვენს წინააღმდეგ? გერმანელები აღიარებდნენ, რომ ჩვენ რევოლუციური ბრძოლებისაკენ მივდივართ, მაგრამ — ამბობდნენ ისინი — ისეთ რამეებზე, როგორიცაა დაძმობილება სანგრებში, პოლიტიკური გაფიცვები, ქუჩის დემონსტრაციები, სამოქალაქო ომი, საქვეყნოდ არ უნდა გავყვიროდეთ. ამას აკეთებენ, მაგრამ ამაზე არ ლაპარაკობენო. სხვები კი დასძენდნენ: ეს ბალღობაა, ეს შუშხუნობიას თამაშიაო.

ამ სასაცილოდ, შეუფერებლად წინააღმდეგობრივი და მიკიბულ-მოკიბული სიტყვებისათვის გერმანელმა ნახევარ-

კაუცკიანელებმა თავი დაისაჯეს, როცა მიიღეს სიმპათიის გამოთქმა და განცხადება, რომ საჭიროა რსდმ ფრაქციის წევრებს «მივბაძოთო», რსდმ ფრაქციის წევრები კი ავრცელებდნენ ჩვენს ცენტრალურ ორგანოს «სოციალ-დემოკრატს», რომელიც «საქვეყნოდ გაყვიროდა» სამოქალაქო ომზე.

თქვენ კაუცკის ცუდი მაგალითის მიხედვით იქცევით, — ვუპასუხებდით ჩვენ გერმანელებს: სიტყვით აღიარებთ მომავალ რევოლუციას, საქმით კი უარს ამბობთ იმაზე, რომ მასებს პირდაპირ ელაპარაკოთ ამ რევოლუციაზე, მოუწოდოთ მისკენ, დასახოთ ბრძოლის უაღრესად კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებსაც მასა გამოცდის, აკანონებს რევოლუციის მსვლელობაში. მარქსი და ენგელსი ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ი დ ა ნ — გერმანელ ფილისტერებს საშინელ რამედ ეჩვენებოდათ, რომ საზღვარგარეთიდან სურდათ ლაპარაკი ბრძოლის რევოლუციურ საშუალებებზე! — 1847 წელს, სახელგანთქმულ «კომუნისტური პარტიის მანიფესტში», მოუწოდებდნენ რევოლუციისაკენ, პირდაპირ და აშკარად ლაპარაკობდნენ ძალადობის გამოყენებაზე, «საზიზღარ» საქმედ აცხადებდნენ თავიანთი ბრძოლის რევოლუციური მიზნების, ამოცანებისა და ხერხების დაფარვას. 1848 წლის რევოლუციამ დაამტკიცა, რომ მ ხ ო ლ ო დ მარქსი და ენგელსი უდგებოდნენ მოვლენებს სწორი ტაქტიკით. რუსეთში, 1905 წლის რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე, ძველ «ისკრაში» 1901 წელს პლეხანოვი, მაშინ ჯერ კიდევ მარქსისტი, სტატიაში, რომელიც ხელმოუწერლად დაიბეჭდა, როგორც მთელი რედაქციის შეხედულებათა გამოხატულება, წერდა მომავალ აჯანყებაზე და მისი მომზადების ისეთ გზებზე, როგორიცაა ქუჩის დემონსტრაციები, და ისეთ ტექნიკურ ხერხებზეც კი, როგორიცაა მავთულის გამოყენება კავალერიასთან საბრძოლველად. რუსეთის რევოლუციამ დაამტკიცა, რომ მხოლოდ ძველი «ისკრელები» უდგებოდნენ მოვლენებს სწორი ტაქტიკით. ახლაც: ორში ერთი. ან ჩვენ მართლაც მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ომი ევროპაში ქმნის რევოლუციურ სიტუაციას, რომ იმპერიალისტური ეპოქის მთელ ეკონომიურ

და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას მივყავართ პროლეტარიატის რევოლუციისაკენ. მაშინ ჩვენი უთუო მოვალეობაა განვუმარტოთ მასებს რევოლუციის აუცილებლობა, მოვუწოდოთ მისკენ, შევქმნათ სათანადო ორგანიზაციები, არ შეგვეშინდეს იმისა, რომ უაღრესად კონკრეტულად ვილაპარაკოთ ძალდატანებითი ბრძოლის სხვადასხვა ხერხზე და ამ ბრძოლის «ტექნიკაზე». ეს ჩვენი უთუო მოვალეობა დამოკიდებული არ არის იმაზე, საკმაოდ ძლიერი იქნება რევოლუცია და დაიწყება თუ არა იგი 1-ლ თუ მე-2 იმპერიალისტურ ომთან დაკავშირებით და სხვ. ან ჩვენ დარწმუნებული არა ვართ იმაში, რომ სიტუაცია რევოლუციურია, და მაშინ ზედმეტია ტყუილუბრალოდ ვიხმაროთ ისეთი სიტყვები, როგორიცაა ომი ომის წინააღმდეგ. მაშინ ჩვენ ნამდვილად ვართ ზიუდეკუმ-პლეხანოვური ან კაუცკიანური ელფერის ნაციონალ-ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსები.

ფრანგმა დელეგატებმაც განაცხადეს, რომ, მათი რწმენით, ევროპის ახლანდელი მდგომარეობა რევოლუციას გამოიწვევს. მაგრამ, — ამბობდნენ ისინი, — ჯერ ერთი, ჩვენ აქ იმისათვის კი არ მოვსულვართ, რომ «III ინტერნაციონალის ფორმულა წამოვაყენოთო»; მეორეც, ფრანგ მუშას «არავინ და არაფერი არ სწამს»; ის გახრწნილი და მოყირჭებულია ანარქისტული და ერვეისტული ფრაზითო. პირველი საბუთი არ არის გონივრული, ვინაიდან საერთო კომპრომისულ მანიფესტში მაინც «მოცემულია ფორმულა» III ინტერნაციონალისა, ოღონდ ეს ფორმულა არაა თანმიმდევრული, ბოლომდე თქმული, ბოლომდე მოსაზრებული. მეორე საბუთი ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც სერიოზული ფაქტიური საბუთი, საფრანგეთის განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინება — არა სამშობლოს დაცვისა და მტრის შემოსევის აზრით, არამედ საფრანგეთის მუშათა მოძრაობის «მტკივნეული ადგილების» აზრით. მაგრამ ამ მდგომარეობის გათვალისწინებიდან მხოლოდ ის გამოვიდოდა, რომ ფრანგი სოციალისტები, იქნებ, უ ფ რ ო ნ ე ლ ა მიუდგებოდნენ პროლეტარიატის საერთოევროპულ რევოლუციურ გამოსვლებს, და სრულიადაც არა

ის, თითქოს ეს მოქმედება საჭირო არ იყოს. საკითხი, თუ რა სისწრაფით, რა გზით, რა განსაკუთრებული ფორმებით შეუძლია სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატს მოახდინოს გადასვლა რევოლუციურ მოქმედებაზე, ეს საკითხი სრულიადაც არ დასმულა კონფერენციაზე და არც შეიძლებოდა დასმულიყო. ამისათვის მონაცემები ჯერ არა გვაქვს. ჩვენი საქმეა ჯერ-ჯერობით — ერთად ვიქადაგოთ სწორი ტაქტიკა, შემდეგ კი მოვლენები გვიჩვენებენ მოძრაობის ტემპს და საერთო კალაპოტის სახეცვლილებას (ნაციონალურს, ლოკალურს, პროფესიულს). თუ ფრანგი პროლეტარიატი გარყვნილია ანარქისტული ფრაზით, ის გარყვნილია მილიერანიზმითაც; და ჩვენი საქმე როდია გავაძლიეროთ ეს გარყვნა მანიფესტის არასაკმაოდ ნათლად ნათქვამით.

არა სხვა ვინმემ, არამედ თვითონ შერჰაიმმა წამოისროლა დამახასიათებელი და უაღრესად სწორი ფრაზა: «პარტია (სოციალისტური), ჟუო (შრომის გენერალური კონფედერაციის მდივანი) და მთავრობა — ეს სამი თავია ერთი ჩაჩის ქვეშო». ეს მართალია. ეს ფაქტია, რომელიც დაამტკიცა პარტიასთან და ბბ. ჟუოებთან ფრანგი ინტერნაციონალისტების ბრძოლის ერთი წლის გამოცდილებამ. მაგრამ აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობს: არ შეიძლება ებრძოლო მთავრობას, თუ ამავე დროს არ ებრძვი ოპორტუნისტების პარტიებს და ანარქო-სინდიკალიზმის მეთაურებს. ამ ბრძოლის ამოცანები კი საერთო მანიფესტმა, ჩვენი რეზოლუციისაგან განსხვავებით, მხოლოდ დასახა, მაგრამ ბოლომდე არ ჩამოაყალიბა.

ერთმა იტალიელმა, როცა ჩვენი ტაქტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა, თქვა: «თქვენი ტაქტიკა ან ერთობ დაგვიანებულია (ვინაიდან ომი უკვე დაიწყო), ან ერთობ ნაადრევია» (ვინაიდან ომს ჯერ კიდევ არ წარმოუშვია რევოლუციის პირობები); და თან თქვენ მოითხოვთ ინტერნაციონალის «პროგრამის შეცვლას», ვინაიდან მთელი ჩვენი პროპაგანდა ყოველთვის წარმოებდა «ძალადობის წინააღმდეგო». ჩვენთვის ადვილი იყო გვეპასუხნა ამაზე, — ციტატით ჟიულ გედის «En garde!»-დან («სადარაჯოზე!»), — რომ II ინტერნაციო-

ნალის არც ერთ გავლენიან ბელადს არასოდეს არ უარუყვია ძალადობისა და საერთოდ ბრძოლის უშუალოდ რევოლუციური ხერხების გამოყენება. ყველანი ყოველთვის ამბობდნენ, რომ ლეგალური ბრძოლა, პარლამენტარიზმი და აჯანყება ურთიერთდაკავშირებულია და გარდუვალად უნდა გადავიდეს ერთიმეორეში, მოძრაობის პირობათა შეცვლის მიხედვით. სხვათა შორის, იმავე წიგნიდან «En garde!» ჩვენ მიერ მოყვანილი იყო ციტატი გედის 1899 წლის სიტყვიდან, სადაც ის ლაპარაკობს ომის შესაძლებლობაზე ბაზრებისათვის, კოლონიებისათვის და სხვ. ამასთან იგი აღნიშნავს, ასეთი ომის დროს რომ აღმოჩენილიყვნენ ფრანგი, გერმანელი და ინგლისელი მილიერანები, მაშინ «რა დაემართებოდა პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობასო?». გედმა წინასწარ დაგმო თავისი თავი ამ სიტყვით. ხოლო რაც შეეხება რევოლუციის ქადაგების «უდროულობას», ეს შემოდავება ემყარება ცნებათა აღრევას, რაც ჩვეულებრივია რომანელი სოციალისტებისათვის: რევოლუციის დასაწყისს ისინი ურევენ რევოლუციის აშკარა და პირდაპირ ქადაგებაში. არავინ არ ფიქრობს, რომ რუსეთში 1905 წლის რევოლუცია 1905 წლის 9 იანვარზე უფრო ადრე დაიწყო; ხოლო რევოლუციური ქადაგება ამ სიტყვის მეტად ვიწრო აზრით, მასობრივი გამოსვლების, დემონსტრაციების, გაფიცვების, ბარიკადების პროპაგანდა და მომზადება მანამდე წლობით წარმოებდა. მაგალითად, ძველი «ისკრა» 1900 წლის დამლევიდან ეწეოდა ამ ქადაგებას, ისევე როგორც მარქსი ეწეოდა მას 1847 წლიდან, როდესაც ევროპაში რევოლუციის დასაწყისზე ჯერ კიდევ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

როდესაც რევოლუცია უკვე დაწყებულია, მაშინ მას «ცნობენ» ლიბერალებიც და მისი სხვა მტრებიც, ცნობენ ხშირად იმისათვის, რომ მოატყუონ და გასცენ იგი. რევოლუციონერები რევოლუციის დაწყებამდე ითვალისწინებენ მას, შეიგნებენ მის გარდუვალობას, ასწავლიან მასებს

მის უცილობლობას, განუმარტავენ მასებს მის გზებსა და საშუალებებს.

ისტორიის ირონიამ ისა ჰქნა, რომ სწორედ კაუცკიმ და მისმა მეგობრებმა, რომლებიც ცდილობდნენ პირდაპირ გამოეგლიჯათ გრიმის ხელიდან კონფერენციის მოწვევა, ცდილობდნენ პირდაპირ ჩაეშალათ მემარცხენეთა კონფერენცია (კაუცკის უახლოესი მეგობრები მ ო გ ზ ა უ რ ო ბ დ ნ ე ნ კიდეც ამ მიზნით, რაც ამხილა გრიმმა კონფერენციაზე), სწორედ მ ა თ წაუბიძგეს კონფერენციას მ ა რ ცხ ნ ი ვ. ოპორტუნისტები და კაუცკიანელები თ ა ვ ი ა ნ თ ი პრაქტიკით ამტკიცებენ ჩვენი პარტიის მიერ დაკავებული პოზიციის სისწორეს.

«სოციალ-დემოკრატი» № 45 — 46,
1915 წ. 11 ოქტომბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ᲫᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ: ᲙᲐᲣᲪᲙᲘ, ᲐᲥᲡᲔᲚᲠᲝᲓᲘ, ᲛᲐᲠᲢᲝᲕᲘ

ციმერვალდის კონფერენციამდე ცოტა ხნით ადრე ციურიხში გერმანულად გამოვიდა პ. აქსელროდის ბროშურა: «კრიზისი და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამოცანები». ამ ბროშურის შესახებ ციურიხის გაზეთ «ხალხის უფლებაში» შემდეგ გამოქვეყნდა ხოტბის შემცველი ორი სტატია, რომლებიც ლ. მარტოვს ეკუთვნის. ჩვენ არ ვიცით, ორივე ავტორი რუსულადაც დაბეჭდავს თუ არა ამ ნაწარმოებებს. ამაზე უკეთეს ილუსტრაციას, თუ რა საბუთებით იცავენ ორგანიზაციული კომიტეტის ბელადები ოპორტუნიზმსა და სოციალ-შოვინიზმს, ვერ იპოვნი.

მთელ ბროშურაში წითელ ძაფად გავლებულია ბრძოლა «საშიშროებასთან, რომელიც პარტიის ერთიანობას ემუქრება». «გათიშვა და შფოთი», — აი რისი ეშინია აქსელროდს, აი რაზე ლაპარაკობს ის, აი რას იმეორებს უსასრულოდ, მომაბეზრებლად ხშირად. არ იფიქროთ, რომ შფოთად და გათიშვად მას ეჩვენება სოციალ-დემოკრატიის ახლანდელი მდგომარეობა, მისი ბელადების კავშირი ამა თუ იმ ნაციონალურ ბურჟუაზიასთან. არა! შფოთს აქსელროდი უწოდებს სოციალ-შოვინისტებისაგან აშკარა გამიჯვნას და გაყოფას. კაუცკის აქსელროდი მიაკუთვნებს ისეთი ამხანაგების ჯგუფს, «რომელთა ინტერნაციონალური გრძნობა და შეგნება ყოველივე ეჭვს გარეშეა». ამასთან 46 გვერდის მანძილზე ნასახიც კი არ არის ცდისა — თავი მოუყაროს კაუცკის შეხედულებებს, ზუსტად მოიყვანოს იქიდან ციტატები, აწონ-დაწონოს, ხომ არ შეიცავს შოვინიზმს ახლანდელ ომში

სამშობლოს დაცვის იდეა. არც ერთი სიტყვა არსებითად. კრინტიც არ არის დაძრული ჩვენს საბუთებზე. სამაგიეროდ არის «დასმენა უფროსების წინაშე»: ლენინი ციურიხს წაკითხულ რეფერატში კაუცკის უწოდებდა შოვინისტს, ფილისტერს, მოღალატესო (გვ. 21)... ეს ხომ ლიტერატურა არ არის, კეთილო მარტოვ და აქსელროდ, არამედ პოლიციის უბნის რაღაც «მჯღაბნელობაა»!

«დასავლეთში»... «არ არის ის ნაირსახეობა ზეკაცებისა, რომლებიც იყენებენ ყოველ პარტიულ კრიზისს, ყოველ ძნელ მდგომარეობას, რათა გამოვიდნენ პარტიის დაღუპვისაგან ერთადერთი მხსნელის როლში და გულმშვიდად აწარმოონ შფოთისა და დეზორგანიზაციის შინაური პარტიული პოლიტიკა» (22). რა არის ეს? ლიტერატურაა?

მაგრამ თუ «დასავლეთში» არ მოიპოვებიან ისეთი ზეურჩხულები, რომელნიც «თვითონ» კაუცკისა და აქსელროდს თვლიან შოვინისტებად და ოპორტუნისტებად და რომლებზეც ფიქრის დროს კეთილი აქსელროდი ბრაზით კანკალებს და ასეთი კაზმული და სურნელოვანი... «ლირიკის» ნიაღვარს გადმოანთხევს, მაშინ როგორ შეეძლო აქსელროდს ორი გვერდით წინ დაწერა:

«თუ მხედველობაში მივიღეთ მზარდი აღშფოთება სულ უფრო და უფრო ფართო პარტიულ წრეებში, განსაკუთრებით გერმანიასა და საფრანგეთში, «ბოლომდე გაძლების» იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებენ ჩვენი პასუხისმგებელი პარტიული დაწესებულებანი, მაშინ სრულიადაც არ არის შეუძლებელი, რომ ლენინური პროპაგანდის პრაქტიკულმა ტენდენციებმა სხვადასხვა არხით შეაღწიონ დასავლეთის სოციალ-დემოკრატიის რიგებშიც».

მაშასადამე, საქმე ჰეშმარიტად-რუსულ ზეურჩხულებში რიდია, რომლებიც გულს უკლავენ კეთილ აქსელროდს! მაშასადამე, ინტერნაციონალური შოვინიზმი ოფიციალური პარტიებისა — გერმანიაშიც და საფრანგეთშიც, როგორც აღიარა თვითონ აქსელროდმა, — ეს მიიღეთ მხედველობაში! — იწვევს ინტერნაციონალური რევო-

ლუციური სოციალ-დემოკრატების აღშფოთებასა და წინააღმდეგობას. ამრიგად, ჩვენს წინაშეა ორი **მიმდინარეობა.** ორივე ინტერნაციონალური. აქსელროდი ჯავრობს და ილანძღება იმიტომ, რომ მას არ ესმის ორივე მიმდინარეობის გარდუვალობა, მათ შორის გადამწყვეტი ბრძოლის გარდუვალობა, შემდეგ იმიტომ, რომ მას რცხვენია, ეუხერხულება და ხელსაყრელად არ მიაჩნია აღიაროს თავისი საკუთარი პოზიცია, რომელიც მდგომარეობს მისწრაფებაში — მოგვაჩვენოს თავი ინტერნაციონალისტად და ამავე დროს იყოს შოვინისტი.

«მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალიზაციის პრობლემა არ არის იგივე, რაც ჩვენი ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების გარევოლუციურების საკითხი»... ეს, თურმე, «იდეოლოგიური განმარტებაა» ყველაფერი ახსნა ოპორტუნიზმით და უგულებელყო «უდიდესი ძალა» «პატრიოტული იდეებისა», «რომლებიც ათასწლოვანი ისტორიული პროცესის პროდუქტებს წარმოადგენენ».... «უნდა ვისწრაფვოდეთ შევქმნათ ამ, ბურჟუაზიული, საზოგადოების ჩარჩოებში რეალური სინამდვილე (ხაზგასმა აქსელროდისაა), ცხოვრების ობიექტური პირობები, თუნდაც მებრძოლი მუშათა მასებისათვის, რა პირობებსაც შეეძლო შეესუსტებინა აღნიშნული დამოკიდებულება», სახელდობრ: «მასების დამოკიდებულება ისტორიულად ჩამოყალიბებული ნაციონალური და ტერიტორიული საზოგადოებრივი წარმონაქმნებისაგან». «მაგალითად, — განმარტავს თავის ღრმა აზრს აქსელროდი, — შრომის დაცვისა და დაზღვევის კანონმდებლობა, აგრეთვე ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთხოვნა, ბოლოს, მუშათა კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებანი და მისწრაფებანი უნდა გახდნენ ცალკეული ქვეყნების პროლეტართა ინტერნაციონალური (ხაზგასმა აქსელროდისაა) მოქმედებისა და ორგანიზაციების ობიექტი». მთელი საქმე ის არის, რომ მოხდეს «ინტერნაციონალიზაცია სწორედ «ყოველდღიური» ბრძოლისა დღევანდელი დღის მოთხოვნებისათვის»...

აი ეს ჩინებულია! თორემ ვიღაც ზეურჩხულებმა გამოიგონეს რაღაც ბრძოლა ოპორტუნიზმთან! ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი — ხაზგასმული — და ნამდვილი «მარქსიზმი», რომელიც არ კმაყოფილდება «იდეოლოგიური» განმარტებებით, სადაზღვევო კანონმდებლობის ინტერნაციონალიზაციისათვის ზრუნვაში მდგომარეობს!! რა გენიალური აზრია... ყოველგვარი «ბრძოლის, გათიშვის, შფოთის» გარეშე ყველა ინტერნაციონალური ოპორტუნისტი, ყველა ინტერნაციონალური ლიბერალი, ლოიდ-ჯორჯიდან ფრ. ნაუმანამდე და ლერუა-ბოლიედან მილიუკოვამდე, სტრუვემდე და გუჩკოვამდე, ორივე ხელს მოაწერს აქსელროდის, მარტოვისა და კაუცკის ამ მეცნიერულ, ღრმა, ობიექტურ «ინტერნაციონალიზმს».

«ინტერნაციონალიზმის» მარგალიტები: კაუცკი — თუ მე ვიცავ ჩემს სამშობლოს იმპერიალისტურ ომში, ე. ი. სხვა ქვეყნების ძარცვისა და დამონებისათვის წარმოებულ ომში, და ვაღიარებ სხვა მეომარი ქვეყნების მუშათა უფლებას — დაიცვან თავიანთი სამშობლო, სწორედ ეს არის ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი. აქსელროდი — არ უნდა გაგვიტაცოს «იდეოლოგიურმა» თავდასხმებმა ოპორტუნიზმზე, არამედ რეალურად უნდა ვებრძოლოთ ათასწლოვან ნაციონალიზმს სადაზღვევო კანონების დარგში ყოველდღიური მუშაობის (აგრეთვე ათასწლოვანი) ინტერნაციონალიზაციის საშუალებით. მარტოვი ეთანხმება აქსელროდს!

აქსელროდის ფრაზებს ნაციონალიზმის ათასწლოვან ფესვებზე და მისთანებს სრულიად ისეთივე პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, როგორიც ჰქონდათ რუსი მებატონეების სიტყვებს 1861 წლის წინ ბატონყმობის ათასწლოვანი ფესვების შესახებ. ეს ფრაზები წყალს უშვებენ რეაქციონერებისა და ბურჟუაზიის წისქვილზე, ვინაიდან აქსელროდი ჩქმალავს, — თავდაჭერილად ჩქმალავს, — იმას, რომ კაპიტალისტური განვითარების ათეულმა წლებმა, მეტადრე 1871 წლის შემდეგ, შექმნეს სწორედ ის ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ინტერნაციონალური კავშირი ყველა ქვეყნის პროლეტარებს შორის, რომელიც

სწორედ ახლა, სწორედ დღევანდელ მომენტში უნდა განხორციელდეს ინტერნაციონალურ-რევოლუციური მოქმედებით. აქსელროდი ასეთი მოქმედების წინააღმდეგია. ის საჭიროდ თვლის მოგვაგონოს მათრახის ათასწლოვანი ფესვები და მათრახის მოსპობისაკენ მიმართული მოქმედების წინააღმდეგია!

რაღა ვუყოთ პროლეტარულ რევოლუციას? ბაზელის 1912 წლის მანიფესტი ლაპარაკობს მასზე ამ, მომავალ, — და ორი წლის შემდეგ ამტყდარ, — ომთან დაკავშირებით. აქსელროდი ამ მანიფესტს, ალბათ, თვლის ქარაფშუტულ «იდეოლოგიად» — გამოთქმა სავსებით à la * სტრუვეს და კუნოვის «მარქსიზმისა»! — და კრინტსაც არ ძრავს ამ მანიფესტზე. რევოლუციისაგან კი ის თავს იძვრენს შემდეგნაირად:

«ტენდენციას, რომ ნაციონალიზმის დაძლევის ბერკეტად მიგვეჩნია მარტოოდენ და განსაკუთრებით მძაფრი რევოლუციური მასობრივი მოქმედებები ან აჯანყებანი, კიდევ ექნებოდა ერთგვარი გამართლება, ჩვენ რომ ვმდგარიყავით უშუალოდ სოციალური რევოლუციის წინ, იმის მსგავსად, მაგალითად, როგორც იყო საქმე რუსეთში სტუდენტთა 1901 წლის დემონსტრაციების დროიდან, რომლებიც აბსოლუტიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლების წინამორბედს წარმოადგენდნენ. მაგრამ ის ამხანაგებიც კი, რომლებიც მთელ თავის იმედებს მძაფრი რევოლუციური პერიოდის სწრაფად დადგომაზე ამყარებენ, ვერ ბედავენ დანამდვილებით ამტკიცონ, პროლეტარიატის გადამწყვეტი შეტაკება ბურჟუაზიასთან უშუალოდ მოგველისო. პირიქით, ისინიც ვარაუდობენ პერიოდს, რომელიც ათეული წლობით გრძელდება» (გვ. 41). და შემდეგ, რა თქმა უნდა, ჭექა-ქუხილი რუსეთის ემიგრაციაში «უტოპიისა» და «ბაკუნისტების» წინააღმდეგ.

მაგრამ აქსელროდის მიერ აღებული მაგალითი საუცხოოდ ამხილებს ჩვენს ოპორტუნისტს. შეეძლო თუ არა ვინმეს, თუ ჭკუაზე არ შეიშლებოდა, «დანამდვილებით ემტკიცებინა»,

* — მსგავსად. რ ე დ.

1901 წელს, რომ რუსეთში გადამწყვეტი ბრძოლა აბსოლუტიზმთან «უშუალოდ მოგველოდა»? არავის არ შეეძლო, არავინ არ ამტკიცებდა. არავის არ შეეძლო მაშინ სცოდნოდა, რომ **ოთხი წლის შემდეგ** მოხდებოდა ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა (1905 წლის დეკემბერი); ხოლო შემდეგი «გადამწყვეტი» ბრძოლა აბსოლუტიზმთან შეიძლება «მოხდეს» 1915 — 1916 წლებში და, ეგებ, უფრო გვიანაც.

თუ არავინ ამტკიცებდა, არათუ დანამდვილებით, არამედ საერთოდაც არ ამტკიცებდა 1901 წელს, გადამწყვეტი ბრძოლა «უშუალოდ» მოხდებაო, თუ ჩვენ მაშინ ვამტკიცებდით, რომ კრიჩევსკის, მარტინოვის და მათი კომპანიის «ისტერიული» ყვირილი «უშუალო» ბრძოლის შესახებ არასერიოზული იყო, სამაგიეროდ ჩვენ, რევოლუციური სოციალ-დემოკრატები, დანამდვილებით ვამტკიცებდით სხვა რამეს: ჩვენ მაშინ ვამტკიცებდით, რომ მხოლოდ უიმედო ოპორტუნისტებს შეეძლოთ 1901 წელს არ შეეგნოთ 1901 წლის რევოლუციური დემონსტრაციების უშუალო მხარდაჭერის, მათი წახალისების, განვითარების, მათთვის უაღრესად გაბედული რევოლუციური ლოზუნგების პროპაგანდის ამოცანა. და ისტორიამ გაგვამართლა ჩვენ, მხოლოდ ჩვენ, ამასთან დაგმო ოპორტუნისტები და დიდი ხნით გააგდო ისინი მუშათა მოძრაობიდან, თუმცა «უშუალოდ» გადამწყვეტი ბრძოლა არ იყო მოსალოდნელი, თუმცა პირველი გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ და მაინც აღმოჩნდა არაუკანასკნელი, მაშასადამე, არაგადამწყვეტი.

საკუთრებით ამასვე, პირდაპირ ამასვე განიცდის ახლა ევროპა. ოდნავი ეჭვიც კი არ შეიძლება, რომ 1915 წლის ევროპაში არის რევოლუციური სიტუაცია, როგორც იყო 1901 წლის რუსეთში. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, მოხდება თუ არა პროლეტარიატის პირველი «გადამწყვეტი» ბრძოლა ბურჟუაზიასთან ოთხი წლის შემდეგ თუ ორი წლის ან ათი და მეტი წლის შემდეგ, — მოჰყვება თუ არა ამას «მეორე» «გადამწყვეტი» ბრძოლა კიდევ ათი წლის შემდეგ. მაგრამ ჩვენ მტკი-

ცედ ვიცით და «დანამდვილებით» ვამტკიცებთ, რომ ახლა ჩვენი დაუყოვნებლივი და უშუალო მოვალეობაა მხარი დავუჭიროთ წარმოშობილ მღელვარებასა და დემონსტრაციებს, რომლებიც უ კ ვ ე დაიწყო. გერმანიაში ხალხი უსტვენდა შეიდემანს, ბევრ ქვეყანაში ხალხი დემონსტრაციებს აწყობდა სიძვირის წინააღმდეგ. ამ პირდაპირსა და უთუო მოვალეობას სოციალ-დემოკრატი აქსელროდი თავს არიდებს და მუშებს ჩაგონებს მას თავი აარიდონ. აქსელროდის მსჯელობის პოლიტიკური აზრი და შედეგი რომ ავიღოთ, დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: აქსელროდი სოციალ-პატრიოტიზმისა და სოციალ-შოვინიზმის ბელადებთან ე რ თ ა დ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ა რევოლუციური მოქმედების დაუყოვნებლივი პროპაგანდისა და მომზადებისა. ეს არის თავიდათავი. ყოველივე დანარჩენი სიტყვებია.

ჩვენ, უ ე ჭ ვ ე ლ ი ა, სოციალისტური რევოლუციის წინაშე ვიმყოფებით. ამას აღიარებდნენ «უფრთხილესი» თეორეტიკოსებიც, როგორც, მაგალითად, კაუცკი ჯერ კიდევ 1909 წელს («გზა ძალაუფლებისაკენ»), ეს აღიარა ერთხმად მიღებულმა ბაზელის 1912 წლის მანიფესტმაც. როგორც ჩვენ 1901 წელს არ ვიცოდით, გაგრძელდებოდა თუ არა ამ დროიდან რუსეთის პირველი რევოლუციის «წინადღე» ოთხ წელიწადს, ისე არ ვიცით ეს ჩვენ ახლაც. რევოლუცია შეიძლება შესდგებოდეს და, ალბათ, შესდგება მრავალი წლის ბრძოლებისაგან, შეტევის რამდენიმე პერიოდისაგან, რომელთა შუახანებში ადგილი ექნება ბურჟუაზიული წყობილების კონტრრევოლუციურ სულთმობრძავ კრუნჩხვებს. ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობის მთელი აზრი სავსებით ის არის, გამოვიყენოთ თუ არა რევოლუციური სიტუაცია, რომელიც უკვე არის, რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მოძრაობისათვის მხარდასაჭერად და მის განსავითარებლად. ჰო თუ არა. ამ საკითხის გამო იყოფიან ახლა, პოლიტიკურად, სოციალ-შოვინისტები და რევოლუციური ინტერნაციონალისტები. და ამ საკითხში კაუცკი, აქსელროდი და მარტოვი სოციალ-შოვინიზმის მხარეზე არიან, მიუხედავად ყველა მათი, ისევე როგორც ორგანიზაციული კომიტე-

ტის ხუთი საზღვარგარეთელი მდივნის, რევოლუციური ფრაზებისა.

აქსელროდი მის მიერ სოციალ-შოვინიზმის დაცვას ჩქმალავს არაჩვეულებრივად უხვი ფრაზეოლოგიით. მისი ბროშურა ნიმუშად გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, თუ რ ო გ ო რ ჩქმალავენ თავიანთ შეხედულებებს, რ ო გ ო რ იყენებენ ენასა და ბეჭდვით სიტყვას თავიანთი აზრების დასაფარავად. აქსელროდი უთვალავჯერ აბრუნებს სიტყვა ინტერნაციონალიზმს, გმობს სოციალ-პატრიოტებსაც და მათ მეგობრებს იმისათვის, რომ მათ არ სურთ მარცხნივ წაწევა, გადაკვრით ამბობს, კაუცკიზე «მემარცხენე» ვარო, ლაპარაკობს იმაზეც, რომ აუცილებელია III ინტერნაციონალი, რომელიც ისე ძლიერი უნდა იყოს, რომ ბურჟუაზიის მხრივ ომის მსოფლიო ხანძრის დანთების ცდებს უპასუხოს «არა მუქარით, არამედ რევოლუციური იერიშის გაღვივებით» (14) და ა. შ. და სხვ. მისთანანი დაუსრულებლივ. სიტყვით აქსელროდი მზად არის ცნოს ყველაფერი, რაც გნებავთ, რევოლუციური იერიშიც კი, საქმით კი მას სურს ერთიანობა კაუცკისთან და, მაშასადამე, შეიდემანთან გერმანიაში, შოვინისტურ და კონტრრევოლუციურ «ნაშე დელოსთან» და ჩხეიძის ფრაქციასთან რუსეთში, საქმით ის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ა იმისა, რომ ა ხ ლ ა მხარდაჭერილ იქნეს და განვითარდეს დ ა წ ყ ე ბ უ ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა. სიტყვით ყველაფერი, საქმით კი არაფერი. ფიცი და ძახილი, ჩვენ «ინტერნაციონალისტები» და რევოლუციონერები ვართო, საქმით კი მხარისდაჭერა მთელი მსოფლიოს სოციალ-შოვინისტებისა და ოპორტუნისტებისათვის მათ ბრძოლაში რევოლუციური ინტერნაციონალისტების წინააღმდეგ.

დაწერილია 1915 წ. 28 სექტემბერზე
(11 ოქტომბერზე) არა უადრეს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 3 (26)

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

რამდენიმე თეზი

რედაქციისაგან

ამ ნომერში მოყვანილი მასალა გვიჩვენებს, თუ რა დიდი მუშაობა გააჩაღა ჩვენი პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა. რუსეთისათვის და მთელი ინტერნაციონალისათვის ეს ჭეშმარიტად არის ნიმუში სოციალ-დემოკრატიული მუშაობისა რეაქციული ომის დროს, უაღრესად ძნელ პირობებში. პიტერისა და რუსეთის მუშები მთელი ძალით დაუჭერენ მხარს ამ მუშაობას და გაშლიან მას შემდგომ, უფრო ენერგიულად, უფრო ფართოდ, ძლიერად, იმავე გზით.

ჩვენ ვითვალისწინებთ რუსეთში მყოფი ამხანაგების მითითებებს და ვაყალიბებთ რამდენიმე თეზისს სოციალ-დემოკრატიული მუშაობის საჭირბოროტო საკითხებზე: 1) «დამფუძნებელი კრების» ლოზუნგი, როგორც დამოუკიდებელი ლოზუნგი, არ არის სწორი, ვინაიდან ა ხ ლ ა მთელი საკითხი ის არის, თუ ვინ მოიწვევს მას. ლიბერალები იღებდნენ ამ ლოზუნგს 1905 წელს, ვინაიდან შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ა იგი განემარტათ მეფის მიერ მოწვეული და მასთან შეთანხმებულად მოქმედი კრების აზრით. ყველაზე უფრო სწორია ლოზუნგები «სამი ვეშაპისა» (დემოკრატიული რესპუბლიკა, მემამულეთა მიწების კონფისკაცია და 8 საათის სამუშაო დღე), რასაც უნდა დაემატოს (შეად. № 9) მოწოდება მუშების საერთაშორისო სოლიდარობისაკენ სოციალიზმისათვის, მეომარ მთავრობათა რევოლუციური დამხობისათვის და ომის წინააღმდეგ

საბრძოლველად. — 2) ჩვენ წინააღმდეგი ვართ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში[133] მონაწილეობისა, რომლებიც ხელს უწყობენ იმპერიალისტური, რეაქციული ომის წარმოებას. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია საარჩევნო კამპანიის გამოყენება, მაგალითად, მონაწილეობა არჩევნების პირველ სტადიაში მ ხ ო ლ ო დ სააგიტაციო და ორგანიზაციული მიზნებისათვის. — სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ხელახალ არჩევნებში მონაწილეობა უ თ უ ო დ ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა. ვიდრე სახელმწიფო სათათბიროში არ არიან ჩვენი პარტიის დეპუტატები, საჭიროა გამოვიყენოთ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით ყოველივე ის, რაც ხდება სათათბიროში. — 3) ყველაზე მორიგ და საჭირბოროტო ამოცანებად ჩვენ მიგვაჩნია სოციალ-დემოკრატიული მუშაობის განმტკიცება და გაფართოება პროლეტარიატში, ხოლო შემდეგ მისი გავრცელება სოფლის პროლეტარიატში, სოფლის ღარიბ-ღატაკებში და ჯარში. — რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განავითაროს დაწყებული საგაფაცვო მოძრაობა და განახორციელოს ეს «სამი ვეშაპის» ლოზუნგით. აგიტაციაში საჭიროა ჯეროვანი ადგილი დაეთმოს ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნას. სხვა მოთხოვნებს შორის მუშებმა არ უნდა დაივიწყონ მოთხოვნა—დაუყოვნებლივ დაბრუნებულ იქნან მუშათა დეპუტატები, რსდმ ფრაქციის წევრები. — 4) მუშათა დეპუტატების საბჭოები და მისთანა დაწესებულებანი განხილულ უნდა იქნან, როგორც აჯანყების ორგანოები, როგორც რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები. მხოლოდ მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის განვითარებასთან დაკავშირებით და აჯანყებასთან დაკავშირებით მისი მომზადების, განვითარების, წარმატების კვალობაზე, შეუძლიათ ამ დაწესებულებებს მტკიცე სარგებლობა მოგვიტანონ. — 5) რუსეთის უახლოესი რევოლუციის სოციალური შინაარსი შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა. რევოლუცია ისე ვერ გაიმარჯვებს რუსეთში, თუ მან არ დაამხო მონარქია და მება-

ტონე-მემამულეები. მათი დამხობა კი შეუძლებელია ისე, თუ გლეხობამ მხარი არ დაუჭირა პროლეტარიატს. სოფლის ფენებად — «ხუტორელ-მემამულეებად» და სოფლის პროლეტარებად დაყოფის მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯს არ მოუსპია სოფლის ჩაგვრა მარკოვებისა და მათი კომპანიის მიერ. სოფლის პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ი ს ც ა ლ კ ე ორგანიზაციის აუცილებლობას ჩვენ ვიცავდით და ვიცავთ უთუოდ, ყველა და ყოველგვარ შემთხვევაში. — 6) რუსეთის პროლეტარიატის ამოცანაა ბოლომდე მიიყვანოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში, რ ა თ ა გააჩაღოს სოციალისტური რევოლუცია ევროპაში. ეს მეორე ამოცანა ახლა ძალიან მიუახლოვდა პირველს, მაგრამ იგი მაინც რჩება განსაკუთრებულ და მეორე ამოცანად, ვინაიდან საქმე ეხება ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კ ლ ა ს ს, რომლებიც თანამშრომლობენ რუსეთის პროლეტარიატთან: პირველი ამოცანისათვის თანამშრომელია რუსეთის წვრილბურჟუაზიული გლეხობა, მეორისათვის — სხვა ქვეყნების პროლეტარიატი. — 7) ჩვენ, წინანდებურად, დასაშვებად მიგვაჩნია სოციალ-დემოკრატების მონაწილეობა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასთან ერთად, ოღონდ **არა** რევოლუციონერ-შოვინისტებთან ერთად. — 8) რევოლუციონერ-შოვინისტებად ჩვენ მიგვაჩნია ისინი, ვისაც ცარიზმზე გამარჯვება სურს გერმანიის დასამარცხებლად, — სხვა ქვეყნების გასაძარცვავად, — რუსეთის სხვა ხალხებზე ველიკორუსების ბატონობის განსამტკიცებლად და ა.შ. რევოლუციური შოვინიზმის საფუძველია წვრილი ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობა. იგი ყოველთვის მერყეობს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. ახლა იგი მერყეობს შოვინიზმსა (რომელიც ხელს უშლის მას თანმიმდევრულად რევოლუციური იყოს დემოკრატიული რევოლუციის აზრითაც კი) და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს შორის. ამ წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკური გამომხატველნი რუსეთში ამჟამად არიან ტრუდოვიკები, სოციალ-რევოლუციონერები, «ნაშა ზარია», ჩხეიძის ფრაქცია, ორგანიზაციული კომიტეტი,

ბ-ნი პლეხანოვი და სხვა მისთანანი. — 9) რუსეთში რომ რევოლუციონერ-შოვინისტებს გაემარჯვნათ, ჩვენ წინააღმდეგი ვიქნებოდით მ ა თ ი «სამშობლოს» დაცვისა ამ ომში. ჩვენი ლოზუნგია — შოვინისტების წინააღმდეგ, თუნდაც ისინი რევოლუციონერები და რესპუბლიკელები იყვნენ, მათ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და სოციალისტური რევოლუციისათვის საერთაშორისო პროლეტარიატის კავშირის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ. — 10) კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა პროლეტარიატმა იკისროს ხელმძღვანელი როლი რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, ჩვენ ვუპასუხებთ: დიახ, შესაძლებელია, თ უ წვრილი ბურჟუაზია გადამწყვეტ მომენტებში მარცხნივ გადაიხრება, მას კი მარცხნივ ეწევა არა მარტო ჩვენი პროპაგანდა, არამედ მთელი რიგი ობიექტური ფაქტორებიც, ეკონომიური, ფინანსური (ომის სიმძიმე), სამხედრო, პოლიტიკური და სხვ. — 11) კითხვაზე, როგორ მოიქცეოდა პროლეტარიატის პარტია, რევოლუციას რომ ამ ომში ის ხელისუფლების სათავეში ჩაეყენებინა, ჩვენ ვუპასუხებთ: ჩვენ ზავს შევთავაზებდით ყ ვ ე ლ ა მეომარ მხარეს კოლონიებისა და ყ ვ ე ლ ა დამოკიდებული, დაჩაგრული და არასრულუფლებიანი ხალხის განთავისუფლების პირობით. არც გერმანია, არც ინგლისი და საფრანგეთი, მათი ახლანდელი მთავრობების დროს, არ მიიღებდნენ ამ პირობას. მაშინ ჩვენ მოვამზადებდით და გავაჩაღებდით რევოლუციურ ომს, ე. ი. ფრიად გადამწყვეტი ზომების მიღებით არათუ მთლიანად გავატარებდით მთელ ჩვენს პროგრამა-მინიმუმს, არამედ აგრეთვე სისტემატურად ავაჯანყებდით ველიკორუსების მიერ ამჟამად დაჩაგრულ ყველა ხალხს, აზიის ყველა კოლონიას და დამოკიდებულ ქვეყანას (ინდოეთს, ჩინეთს, სპარსეთს და სხვ.), აგრეთვე — და პირველ რიგში — ავაჯანყებდით ევროპის სოციალისტურ პროლეტარიატს მის მთავრობათა წინააღმდეგ, მიუხედავად მისი სოციალ-შოვინისტების მხრივ წინააღმდეგობის გაწევისა. სრულიად უეჭველია, რომ პროლეტარიატის გამარჯვება რუსეთში არაჩვეულებრივად ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა რევოლუციის განვითარებას აზიაშიც და ევროპაშიც. ეს 1905 წელ-

მაც კი დაამტკიცა. ხოლო რევოლუციური პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა ფ ა ქ ტ ი ა, მიუხედავად ოპორტუნიზმის და სოციალ-შოვინიზმის ჭუჭყიანი ქაფისა. — ვაყენებთ რა ამ თეზისებს ამხანაგებთან აზრთა ურთიერთგაზიარებისათვის, ჩვენ გავავითარებთ ჩვენს შეხედულებებს ცენტრალური ორგანოს შემდეგ ნომრებში.

«სოციალ-დემოკრატი» № 47,
1915 წ. 13 ოქტომბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

1626 24 Das revolutionäre Proletariat und das Selbstbestimmungsrecht der Nationen.

Das Zimmerwalder Manifest, wie auch die Mehrheit der Resolutionen der der taktischen Resolution der sozdem. Partei, proklamiert das Selbstbestimmungsrecht der Nationen. Gen. Parabellum in denk. 252-3 der „Bremer Tagwacht" erklärt für illusorisch den Kampf um das nicht existierende Selbstbestimmungsrecht der Nationen und stellt demselben den „revolutionären Massenkampf des Proletariats gegen den Kapitalismus" entgegen, indem er versichert, daß „wir gegen die Annexionen" sein (diese Versicherung ist für das Mal im Artikel des Gen. P. wiederholt worden) sowie auch gegen alle „nationale Gewaltakte".

Die Motivierung des Standpunktes des Gen. P. und.

Პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რევოლუციური პროლეტარიატი და ერების თვითგამორკვევის უფლება». — 1915 წ.
(გერმანულ ენაზე)
დაპატარავებულია

რევოლუციური პროლეტარიატი და ერების თვითგამორკვევის უფლება

ციმერვალდის მანიფესტი, ისევე როგორც სოციალ-დემოკრატიული პარტიების პროგრამების თუ ტაქტიკური რეზოლუციების უმრავლესობა, აცხადებს «ერების თვითგამორკვევის უფლებას». პარაბელუმი[134] «Berner Tagwacht»-ის* 252 — 253 ნომრებში «ილუზიად» თვლის «თვითგამორკვევის არარსებული უფლებისათვის ბრძოლას» და მას უპირისპირებს «პროლეტარიატის რევოლუციურ მასობრივ ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ», ამასთან ირწმუნება, «ჩვენ ანექსიების წინააღმდეგი» (ეს რწმუნება ხუთჯერ ძეორდება პარაბელუმის სტატიაში) და ერების მიმართ ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვართო.

პარაბელუმის პოზიციის მოტივირება ის არის, რომ ახლა ყველა ნაციონალური საკითხი, ელზას-ლორენის, სომხეთის და სხვ. არის იმპერიალიზმის საკითხები, — რომ კაპიტალი გასცილდა ნაციონალურ სახელმწიფოთა ჩარჩოებს, — რომ არ შეიძლება «ისტორიის ჩარხი შეაბრუნო უკან» ნაციონალურ სახელმწიფოთა დრომოჭმული იდეალისაკენო და ა. შ.

ვნახოთ, სწორია თუ არა პარაბელუმის მსჯელობა.

ჯერ ერთი, სწორედ, პარაბელუმი იხედება უკან, და არა წინ, როდესაც, ილაშქრებს რა მუშათა კლასის მიერ «ნაციონალური სახელმწიფოს იდეალის» მიღების წინააღმდეგ, თვა-

* — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

ლებს მიაპყრობს ინგლისს, საფრანგეთს, იტალიას, გერმანიას, ე. ი. იმ ქვეყნებს, სადაც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარსულის საქმეა, და არა აღმოსავლეთს, აზიას, აფრიკას, კოლონიებს, სადაც ეს მოძრაობა აწმყოს და მომავლის საქმეა. საკმარისია დავასახელოთ ინდოეთი, ჩინეთი, სპარსეთი, ეგვიპტე.

შემდეგ. იმპერიალიზმი ნიშნავს კაპიტალის მიერ ნაციონალურ სახელმწიფოთა ჩარჩოების გადაცილებას, ნიშნავს ნაციონალური ჩაგვრის გაფართოებასა და გამწვავებას ახალ ისტორიულ საფუძველზე. აქედან გამომდინარეობს, პარაბელუმის წინააღმდეგ, სწორედ ის, რომ ჩვენ რევოლუციური ბრძოლა სოციალიზმისათვის უნდა დ ა ვ უ კ ა ვ შ ი რ ო თ რევოლუციურ პროგრამას ნაციონალურ საკითხში.

პარაბელუმს ისე გამოუდის, რომ სოციალისტური რევოლუციის გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს ის ათვალწუნებით უკუაგდებს თანმიმდევრულად რევოლუციურ პროგრამას დემოკრატიულ სფეროში. ეს უმართებულოა. პროლეტარიატი ვერ გაიმარჯვებს სხვანაირად, თუ არა დემოკრატიის გზით, ე. ი. თუ არ განახორციელებს დემოკრატიას მთლიანად და თავისი ბრძოლის ყოველ ნაბიჯს არ დაუკავშირებს დემოკრატიულ მოთხოვნებს მათი უაღრესად გადაჭრილი ფორმულირებით. უაზრობაა დ ა უ პ ი რ ი ს პ ი რ ო სოციალისტური რევოლუცია და რევოლუციური ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ დემოკრატიის ე რ თ-ე რ თ საკითხს, ამ შემთხვევაში ნაციონალურ საკითხს. ჩვენ უნდა შ ე ვ ა ე რ თ ო თ რევოლუციური ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ პროგრამასა და ტაქტიკასთან ყ ვ ე ლ ა დემოკრატიული მოთხოვნის მიმართ: რესპუბლიკის, მილიციის, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევის, ქალთა თანასწორუფლებიანობის, ერების თვითგამორკვევის და სხვა მოთხოვნების მიმართ. ვიდრე კაპიტალიზმი არსებობს, ყველა ამ მოთხოვნის განხორციელება შეიძლება მხოლოდ გამონაკლისის სახით და ამასთან არასრული, დამახინჯებული სახით. ჩვენ ვემყარებით უკვე განხორციელებულ დემოკრატიზმს,

ვამხილებთ მის უსრულობას კაპიტალიზმის დროს და მოვითხოვთ კაპიტალიზმის დამხობას, ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას, როგორც აუცილებელ ბაზას მასების-სიღატაკის მოსპობისთვისაც და ყველა დემოკრატიული გარდაქმნის სრული და ყოველმხრივი განხორციელებისთვისაც. ზოგიერთი ამ გარდაქმნათაგანი დაიწყება ბურჟუაზიის დამხობამდე, სხვა გარდაქმნანი — ამ დამხობის მსვლელობაში, დანარჩენნი — მისი დამხობის შემდეგ. სოციალური რევოლუცია ერთი შეტაკება კი არ არის, არამედ ეპოქაა მთელი რიგი შეტაკებებისა იმ ეკონომიურ და დემოკრატიულ გარდაქმნათა ყველა და ყოველგვარი საკითხის გამო, რომლებიც მხოლოდ ბურჟუაზიის ექსპროპრიაციით მთავრდება. სწორედ ამ საბოლოო მიზნისათვის ჩვენ უნდა შევიმუშაოთ თვითეული ჩვენი დემოკრატიული მოთხოვნის თანმიმდევრულად რევოლუციური ფორმულირება. სავსებით შესაძლებელია, რომ რომელიმე გარკვეული ქვეყნის მუშები დაამხობენ ბურჟუაზიას მანამდე, სანამ მთლიანად განხორციელდებოდეს თუნდაც ერთი ძირითადი დემოკრატიული გარდაქმნა. მაგრამ სრულიად წარმოუდგენელია, რომ პროლეტარიატმა, როგორც ისტორიულმა კლასმა, შეძლოს ბურჟუაზიის დამარცხება, თუ ის ამისათვის მომზადებული არ იქნება უაღრესად თანმიმდევრული და რევოლუციურად-გადამწყვეტი დემოკრატიზმის სულისკვეთებით აღზრდით.

იმპერიალიზმი არის რამდენიმე დიდი სახელმწიფოს მიერ მსოფლიოს ერების უფრო და უფრო გაძლიერებული ჩაგვრა, არის ეპოქა მათ შორის ომებისა ერების ჩაგვრის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, ეპოქა ხალხის მასების მოტყუებისა თვალთმაქცი სოციალ-პატრიოტების, ე. ი. ისეთი ადამიანების მიერ, რომლებიც «ერთა თავისუფლების», «ერთა თვითგამორკვევის უფლების» და «სამშობლოს დაცვის» საბაბით ამართლებენ და იცავენ დიდ სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს ერთა უმრავლესობის ჩაგვრას.

ამიტომ სოციალ-დემოკრატების პროგრამაში ცენტრალური ადგილი უნდა ეკავოს ერების სწორედ იმ დაყოფას მჩაგვრელებად და ჩაგრულებად, რომელიც შეადგენს იმპერიალიზმის არსს და რომელსაც მოტყუებით გვერდს უვლიან სოციალ-შოვინისტები და კაუცკი. ეს დაყოფა არსებითი არ არის ბურჟუაზიული პაციფიზმის ან იმ მეშჩანური უტოპიის თვალსაზრისით, რომ დამოუკიდებელ ერებს შორის კაპიტალიზმის დროს მშვიდობიანი კონკურენცია წარმოებსო, მაგრამ იგი სწორედ არსებითია იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის თვალსაზრისით. ამ დაყოფიდან კი უნდა გამომდინარეობდეს «ერთა თვითგამორკვევის უფლების» ჩვენი, თანმიმდევრულად დემოკრატიული, რევოლუციური და სოციალიზმისათვის დაუყოვნებლივი ბრძოლის საერთო ამოცანის შესაბამისი განსაზღვრა. მჩაგვრელი ერების სოციალ-დემოკრატები უნდა იცავდნენ ამ უფლების პირუთვნელ აღიარებას და ამ უფლების გულისათვის უნდა მოითხოვდნენ ჩაგრულ ერთა გამოყოფის უფლებას, — ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ერთა თანასწორუფლებიანობის და მუშების საერთაშორისო სოლიდარობის აღიარება სინამდვილეში მხოლოდ ფუჭი სიტყვა, მხოლოდ პირმოთნეობა იქნებოდა. ხოლო ჩაგრული ერების სოციალ-დემოკრატები უმთავრეს ყურადღებას უნდა აქცევდნენ ჩაგრულ ერთა მუშების ერთიანობას და შეერთებას მჩაგვრელი ერების მუშებთან, — ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სოციალ-დემოკრატები უნებლიედ აღმოჩნდებიან მოკავშირენი ამა თუ იმ ნაციონალური ბურჟუაზიისა, რომელიც ყოველთვის ღალატობს ხალხის და დემოკრატიის ინტერესებს, ყოველთვის მზად არის, თავის მხრივ, მიმართოს სხვა ერების ანექსიასა და ჩაგვრას.

საგულისხმო მაგალითად გამოდგება ნაციონალური საკითხის დასმა გასული საუკუნის 60-იანი წლების დამლევს. წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, რომლებისა-

თვის უცხო იყო კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის ყოველი აზრი, ხატავდნენ უტოპიას, თითქოს კაპიტალიზმის დროს შესაძლებელი იყოს თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ერების მშვიდობიანი კონკურენცია. პრუდონისტები სრულიად «უარყოფდნენ» ნაციონალურ საკითხს და ერთა თვითგამორკვევის უფლებას, სოციალური რევოლუციის უშუალო ამოცანების თვალსაზრისით. მარქსი დასცინოდა ფრანგულ პრუდონიზმს, ცხადყოფდა მის ნათესაობას ფრანგულ შოვინიზმთან («მთელ ევროპას შეუძლია და უნდა იჯდეს თავის კუკზე ჩუმად და მორჩილად, ვიდრე ვაჟბატონები საფრანგეთში გააუქმებენ სიღატაკეს» ... «ეროვნებათა უარყოფად მათ, თავისდა შეუგნებლად, როგორც ეტყობა, ესმით მათი გადაყლაპვა სანიმუშო ფრანგი ერის მიერ»). მარქსი მოითხოვდა ირლანდიის გამოყოფას ინგლისისაგან, — «თუნდაც გამოყოფის შემდეგ საქმე ფედერაციით გათავებულიყო» — და მოითხოვდა ამას არა მშვიდობიანი კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიული უტოპიის თვალსაზრისით, არა «ირლანდიისადმი სამართლიანობის» გამო[135], არამედ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი, ე. ი. ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი, ერის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით. ა მ ერის თავისუფლებას ბოჭავდა და ამახინჯებდა ის, რომ იგი სხვა ერს ჩაგრავდა. ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმი თვალთმაქცურ ფრაზად დარჩებოდა, მ ა ს რომ ირლანდიის გამოყოფა არ მოეთხოვა. მარქსი არასოდეს არ ყოფილა არც პატარა სახელმწიფოების, არც საერთოდ სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების, არც ფედერაციის პრინციპის მომხრე, მაგრამ ჩაგრული ერის გამოყოფას იგი უყურებდა, როგორც ნაბიჯს ფედერაციისაკენ და, მაშასადამე, არა დაქუცმაცებისაკენ, არამედ როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური კონცენტრაციისაკენ, ოღონდ კონცენტრაციისაკენ დემოკრატიზმის ბაზაზე. პარაბელუმის თვალსაზრისით, მარქსი, ალბათ, «ილუზიურ

ბრძოლას» აწარმოებდა, როდესაც ირლანდიის გამოყოფის ამ მოთხოვნას აყენებდა. სინამდვილეში კი მ ხ ო ლ ო დ ასეთი მოთხოვნა იყო თანმიმდევრულად რევოლუციური პროგრამა, მხოლოდ იგი შეეფერებოდა ინტერნაციონალიზმს, მხოლოდ იგი იცავდა კონცენტრაციას ა რ ა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ა დ.

ჩვენი დროის იმპერიალიზმმა ის გამოიწვია, რომ დიდ სახელმწიფოთა მიერ ერების ჩაგვრა საერთო მოვლენა გახდა. სწორედ იმ დიდმპყრობელი ერების სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის თვალსაზრისი, რომლებიც ახლა ეწევიან იმპერიალისტურ ომს ერების ჩაგვრის განსამტკიცებლად და ჩაგრავენ მსოფლიოს ერთა უმრავლესობას და დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას, სწორედ ეს თვალსაზრისი უნდა იყოს გადამწყვეტი, მთავარი, ძირითადი სოციალ-დემოკრატიის ნაციონალურ პროგრამაში.

შეხედეთ ამ საკითხში სოციალ-დემოკრატიული აზრის ახლანდელ მიმართულებებს. წვრილბურჟუაზიულმა უტოპისტებმა, რომლებიც ოცნებობენ კაპიტალიზმის დროს ერების თანასწორობასა და მშვიდობაზე, ადგილი დაუთმეს სოციალ-იმპერიალისტებს. პირველებს რომ ეომება, პარაბელუმი ეომება ქარის წისქვილებს და უნებლიედ ხელს უწყობს მეორეებს. როგორია სოციალ-შოვინისტების პროგრამა ნაციონალურ საკითხში?

ისინი ან სავსებით უარყოფენ თვითგამორკვევის უფლებას, ამასთან იშველიებენ პარაბელუმისებურ საბუთებს (კუნოვი, პარვუსი, რუსი ოპორტუნისტები: სემკოვსკი, ლიბმანი და სხვ.). ან აშკარად თვალთმაქცურად აღიარებენ ამ უფლებას, სახელდობრ, არ უფარდებენ მას სწორედ იმ ერებს, რომლებიც დაჩაგრული არიან მათი საკუთარი ერის მიერ ან საკუთარი ერის სამხედრო მოკავშირის მიერ (პლეხანოვი, ჰაინდმანი, ყველა ფრანკოფილი პატრიოტი, შემდეგ შეიდემანი და სხვ.). სოციალ-შოვინისტური სიცრუის ყველაზე კეთილსახიერ, და ამიტომ პროლეტარიატისათვის ყველაზე სახიფათო, ფორმულირებას იძლევა კაუცკი.

სიტყვით ის ერების თვითგამორკვევის მ ო მ ხ რ ე ა, სიტყვით იმის მომხრეა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია **«die Selbständigkeit der Nationen allseitig (!!) und rückhaltlos (??) achtet und fordert»** * (**«Neue Zeit»**, 33, II S. 241; 21 V 1915). ს ა ქ მ ი თ კ ი ის ნაციონალურ პროგრამას უგუებს გაბატონებულ სოციალ-შოვინიზმს, ამახინჯებს და ჰკვეცავს ამ პროგრამას, ზუსტად არ განსაზღვრავს მჩაგვრელი ერების სოციალისტთა მოვალეობებს და პირდაპირაც კი აყალბებს დემოკრატიულ პრინციპს, როდესაც ამბობს, რომ თვითეული ერისათვის «სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის» (**staatliche Selbständigkeit**) მოთხოვნა «მეტისმეტის» (**«zu viel»**) მოთხოვნა იქნებოდაო (**«Neue Zeit»**, 33, II 77; 16 IV 1915). თურმე, საკმარისი ყოფილა «ნაციონალური ავტონომია»!! სწორედ იმ მთავარ საკითხს, რომლის დასმის ნებასაც არ იძლევა იმპერიალისტური ბურჟუაზია, — ერების ჩაგვრაზე აგებული ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ს საკითხს, კაუცკი გვერდს უვლის და ამ ბურჟუაზიის საამებლად ყველაზე არსებითს აგდებს პროგრამიდან. ბურჟუაზია მზად არის დაგპირდეთ როგორიც გნებავთ «ერების თანასწორუფლებიანობას» და როგორიც გნებავთ «ნაციონალურ ავტონომიას», ოღონდ პროლეტარიატი დარჩეს ლეგალობის ჩარჩოებში და «მშვიდად» დაემორჩილოს მას სახელმწიფოს ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ს საკითხში! სოციალ-დემოკრატიის ნაციონალურ პროგრამას კაუცკი არა რევოლუციურად, არამედ რეფორმისტულად აყალიბებს.

პარაბელუმის ნაციონალურ პროგრამას, უფრო სწორად — მის რ წ მ უ ნ ე ბ ა ს, რომ «ჩვენ ანექსიების წინააღმდეგი ვართო», **Parteivorstand** **, კაუცკი, პლეხანოვი და მათი კომპანია ხალისით აწერენ ხელს, სწორედ იმი-

---

* — «ყოველმხრივ (!!) და მიუკიბ-მოუკიბავად (??) პატივს სცემდეს და იცავდეს ერების დამოუკიდებლობას». რ ე დ.

** — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობა. რ ე დ.

ტომ, რომ ეს პროგრამა არ ამხილებს გაბატონებულ სოციალ-პატრიოტებს. ამ პროგრამას ხელს მოაწერენ ბურჟუა-პაციფისტებიც. პარაბელუმის საუცხოო ზ ო გ ა დ ი პროგ-რამა («რევოლუციური მასობრივი ბრძოლა კაპიტალი-ზმის წინააღმდეგ») მას სჭირდება, — ისევე როგორც სჭირ-დებოდათ 60-იანი წლების პრუდონისტებს, — არა იმისა-თვის, რომ მის შესაბამისად, მისი აზრის მიხედვით შეიმუ-შაოს შეურიგებელი, ასევე რევოლუციური პროგრამა ნაციონალურ საკითხში, არამედ იმისათვის, რომ ადგილი გაუწმინდოს სოციალ-პატრიოტებს. მსოფლიოს სოციალისტ-თა უმრავლესობა ჩვენს იმპერიალისტურ ეპოქაში ეკუთვ-ნის ისეთ ერებს, რომლებიც სხვა ერებს ჩაგრავენ და რომლებიც ისწრაფვიან გააფართოონ ეს ჩაგვრა. ამიტომ ჩვე-ნი «ბრძოლა ანექსიების წინააღმდეგ» უშინაარსო, სოციალ-პატრიოტებისათვის სრულიადაც არა საშიშ ბრძოლად დარჩება, თუ ჩვენ არ განვაცხადებთ: მჩაგვრელი ერის ის სოციალისტი, რომელიც მშვიდობიანობის დრო-საც და ომის დროსაც არ აწარმოებს ჩაგრულ ერთა გამო-ყოფის თავისუფლების პროპაგანდას, არის არა სოცია-ლისტი და ინტერნაციონალისტი, არამედ შოვინისტი! მჩაგვ-რელი ერის ის სოციალისტი, რომელიც ამ პროპაგანდას არ ეწევა მთავრობათა მხრივ აკრძალვის მიუხედავად, ე. ი. თავისუფალ, ე. ი. არალეგალურ პრესაში, ერების თანასწორუფლებიანობის თვალთმაქცურ მომხრედ რჩება!

რუსეთის შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმთავ-რებია თავისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, პარაბელუმმა მ ხ ო ლ ო დ ერთადერთი ფრაზა თქვა:

«Selbst das wirtschaftlich sehr zurückgebliebene Russland hat in der Haltung der Polnischen, Lettischen, Armenischen Bourgeoisie gezeigt, dass nicht nur die militärische Bewachung es ist, die die Völker in diesem «Zuchthaus der Völker» zusammenhält, sondern Bedürfnisse der kapi-

talistischen Expansion, für die das ungeheure Territorium ein glänzender Boden der Entwicklung ist» *.

ეს არის არა «სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისი», არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული, არა ინტერნაციონალისტური, არამედ ველიკორუსულ-შოვინისტური თვალსაზრისი. ეტყობა, ამ უკანასკნელ შოვინიზმს ძალიან ნაკლებად იცნობს პარაბელუმი, რომელიც ესოდენ ჩინებულად ებრძვის გერმანელ სოციალ-პატრიოტებს. პარაბელუმის ამ ფრაზიდან რომ გამოიყვანო სოციალ-დემოკრატიული დებულება და სოციალ-დემოკრატიული დასკვნები, იგი უნდა გადააკეთო და შეავსო შემდეგნაირად:

რუსეთი ხალხთა საპყრობილეა არა მარტო ცარიზმის სამხედრო-ფეოდალური ხასიათის გამო, არა მარტო იმიტომ, რომ ველიკორუსი ბურჟუაზია მხარს უჭერს ცარიზმს, არამედ იმიტომაც, რომ პოლონეთის და სხვა ბურჟუაზიამ კაპიტალისტური ექსპანსიის ინტერესებს მსხვერპლად შესწირა ერების თავისუფლება, ისევე როგორც დემოკრატიზმი საერთოდ. რუსეთის პროლეტარიატს არც ის შეუძლია, რომ სათავეში ედგეს ხალხს ძლევამოსილი დემოკრატიული რევოლუციის მოსახდენად (ეს მისი უახლოესი ამოცანაა), არც ის, რომ იბრძოლოს თავის მომმე ევროპელ პროლეტარებთან ერთად, სოციალისტური რევოლუციისათვის, თუ მან ახლავე, მთლიანად და **«rückhaltlos»** ** არ მოითხოვა ცარიზმის მიერ ჩაგრული ყველა ერის გამოყოფა რუსეთისაგან. ჩვენ ამას მოვითხოვთ სოციალიზმისათვის ჩვენი რევოლუციური ბრძოლისაგან დამოუკიდებლად კი არა, არამედ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ბრძოლა ფუჭ

---

* — «სამეურნეო მხრივ მეტად ჩამორჩენილმა რუსეთმაც კი გვიჩვენა პოლონელი, ლატვიელი და სომეხი ბურჟუაზიის მოქმედებით, რომ არა მარტო სამხედრო მცველები ამყოფებენ ხალხებს ამ «ხალხთა საპყრობილეში», არამედ კაპიტალისტური ექსპანსიის მოთხოვნილებაც, რომლისთვისაც უზარმაზარი ტერიტორია საუცხოო ნიადაგია განვითარებისათვის». რ ე დ.

** — «პირდაპირ». რ ე დ.

სიტყვად დარჩება, თუ იგი არ დავუკავშირეთ ერთ მთელად ყველა დემოკრატიული საკითხის, მათ შორის ნაციონალური საკითხის, რევოლუციურად დაყენებას. ჩვენ მოვითხოვთ ჩაგრული ერების თვითგამორკვევის თავისუფლებას, ე. ი. დამოუკიდებლობას, ე. ი. გამოყოფის თავისუფლებას არა იმიტომ, რომ ვოცნებობდეთ სამეურნეო დაქუცმაცებაზე ან პატარა სახელმწიფოთა იდეალზე, არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა დიდი სახელმწიფოები და ერების დაახლოება, შეერთებაც კი, ოღონდ ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტურ ბაზაზე, რაც წარმოუდგენელია გამოყოფის თავისუფლების გარეშე. როგორც მარქსი 1869 წელს მოითხოვდა ირლანდიის გამოყოფას არა დაქუცმაცებისათვის, არამედ ირლანდიის შემდგომი თავისუფალი კავშირისათვის ინგლისთან, არა «სამართლიანობისათვის ირლანდიისადმი», არამედ ინგლისელი პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ინტერესის გულისათვის, ისევე რუსეთის სოციალისტების უარისთქმა, ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული აზრით, ერების თვითგამორკვევის თავისუფლების მოთხოვნაზე ჩვენ მიგვაჩნია დემოკრატიის, ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის პირდაპირ ღალატად.

დაწერილია გერმანულ ენაზე
არა უადრეს 1915 წ. 16 (29) ოქტომბრისა

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს
ლენინის კრებულში VI

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას მიერ
გერმანულიდან თარგმნილი
და ვ. ი. ლენინის მიერ
შესწორებული ტექსტის მიხედვით

რევოლუციის ორი ხაზის შესახებ

«პრიზივში» [136], № 3, ბ-ნი პლეხანოვი ცდილობს დასვას ძირითადი თეორიული საკითხი — რუსეთის მომავალი რევოლუციის საკითხი. ის იღებს ერთ ციტატს მარქსიდან, სადაც ნათქვამია, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია აღმავალი ხაზით მიდიოდა, ხოლო 1848 წლის რევოლუცია დაღმავალი ხაზითო. პირველ შემთხვევაში ძალაუფლება თანდათან გადადიოდა უფრო ზომიერი პარტიიდან უფრო მემარცხენე პარტიის ხელში: კონსტიტუციონალისტები — ჟირონდისტები — იაკობინელები. მეორე შემთხვევაში — პირიქით (პროლეტარიატი — წვრილბურჟუაზიული დემოკრატები—ბურჟუაზიული რესპუბლიკელები—ნაპოლეონ III). «სასურველია», — დაასკვნის ჩვენი ავტორი, — «წარმართოთ რუსეთის რევოლუცია აღმავალი ხაზით», ე. ი. რომ ძალაუფლება ჯერ გადავიდეს კადეტებისა და ოქტიაბრისტების ხელში, შემდეგ ტრუდოვიკებისა, მერე კი სოციალისტების ხელში. ამ მსჯელობიდან, რა თქმა უნდა, ის დასკვნაა გამოყვანილი, რომ უგუნურნი არიან რუსეთის მემარცხენე ელემენტები, რომლებსაც არ სურთ მხარი დაუჭირონ კადეტებს და რომლებიც ნაადრევად სახელს უტეხენ მათ.

ბ-ნ პლეხანოვის ეს «თეორიული» მსჯელობა წარმოადგენს მარქსიზმის ლიბერალიზმით შეცვლის კიდევ და კიდევ ერთ ნიმუშს. ბ-ნ პლეხანოვისათვის მთელი საკითხი

ისაა, «სწორი» იყო თუ არასწორი მოწინავე ელემენტების «სტრატეგიული ცნებანი»? მარქსი სხვანაირად ამსჯელობდა. ის აღნიშნავდა ფაქტს: რევოლუცია ორივე შემთხვევაში სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა, ხოლო ამ განსხვავების ახსნას მარქსი არ ეძებდა «სტრატეგიულ ცნებებში». სასაცილოა, მარქსიზმის თვალსაზრისით, ამ განსხვავების ახსნა ცნებებში ვეძიოთ. იგი უნდა ვეძიოთ კ ლ ა ს ე ბ ი ს თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ი ს განსხვავებაში. იგივე მარქსი წერდა, რომ 1789 წელს ბურჟუაზია საფრანგეთში შეუერთდა გლეხობას და რომ 1848 წელს წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ უღალატა პროლეტარიატს. ბ-ნი პლეხანოვი იცნობს მარქსის ამ აზრს, მაგრამ ამაზე სდუმს, რათა მარქსი «სტრუვეს ყაიდაზე» გააყალბოს. საფრანგეთში 1789 წელს საქმე ეხებოდა აბსოლუტიზმისა და თავადაზნაურობის დამხობას. ბურჟუაზიას, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მაშინდელ საფეხურზე, სწამდა ინტერესთა ჰარმონია, არ ეშინოდა თავისი ბატონობის სიმტკიცისა და კავშირს ამყარებდა გლეხობასთან. ამ კავშირმა უზრუნველყო რევოლუციის სრული გამარჯვება. 1848 წელს საქმე ეხებოდა ბურჟუაზიის დამხობას პროლეტარიატის მიერ. ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო მიემხრო წვრილი ბურჟუაზია, და მისმა ღალატმა გამოიწვია რევოლუციის დამარცხება. აღმავალი ხაზი 1789 წელს იყო რევოლუციის ფორმა, რომლითაც ხალხის მასამ დასძლია აბსოლუტიზმი. დაღმავალი ხაზი 1848 წელს იყო რევოლუციის ფორმა, როდესაც წვრილი ბურჟუაზიის მასის მხრივ პროლეტარიატისადმი ღალატმა გამოიწვია რევოლუციის დამარცხება.

ბ-მა პლეხანოვმა მარქსიზმი შესცვალა ვულგარული იდეალიზმით, როცა საქმე «სტრატეგიულ ცნებებზე» დაიყვანა და არა კლასების თანაფარდობაზე.

რუსეთის 1905 წლის რევოლუციისა და მისი მომდევნო კონტრრევოლუციური ეპოქის გამოცდილება გვეუბნება, რომ ჩვენში იყო რევოლუციის ო რ ი ხაზი მასებზე ხელმძღვანელი გავლენისათვის ორი კლასის, პროლეტარია-

ტისა და ბურჟუაზიის, ბრძოლის აზრით. პროლეტარიატი რევოლუციურად გამოდიოდა და მიუძღოდა დემოკრატიულ გლეხობას მონარქიისა და მემამულეების დასამხობად. გლეხობა რომ იჩენდა რევოლუციურ მისწრაფებებს დემოკრატიული აზრით, ეს მასობრივი მასშტაბით დაამტკიცა ყველა დიდმა პოლიტიკურმა მოვლენამ: 1905 — 1906 წლების გლეხთა აჯანყებებმაც, იმავე წლების სამხედრო მღელვარებამაც, 1905 წლის «გლეხთა კავშირმაც», ორივე პირველმა სათათბირომაც, სადაც გლეხ-ტრუდოვიკები გამოდიოდნენ არათუ «კადეტებზე მარცხნივ», არამედ ინტელიგენტ-სოციალ-რევოლუციონერებზე და ტრუდოვიკებზე უფრო რევოლუციურადაც. ამას, სამწუხაროდ, ხშირად ივიწყებენ, მაგრამ ეს ფაქტია. როგორც III, ისე IV სათათბიროში გლეხმატრუდოვიკებმა ცხადყვეს, მთელი მათი სისუსტის მიუხედავად, რომ სოფლის მასები მემამულეთა წინააღმდეგ არიან განწყობილნი.

რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველი ხაზი, აღებული ფაქტებიდან, და არა «სტრატეგიული» ლაყბობიდან, ის იყო, რომ გაბედულად იბრძოდა პროლეტარიატი, გაუბედავად მიჰყვებოდა მას გლეხობა. ორივე ეს კლასი გამოდიოდა მონარქიის წინააღმდეგ და მემამულეთა წინააღმდეგ. ამ კლასების ძალისა და გაბედულობის ნაკლებობამ გამოიწვია დამარცხება (თუმცა თვითმპყრობელობის კედელი ნაწილობრივ მაინც იქნა შენგრეული).

მეორე ხაზი იყო ლიბერალური ბურჟუაზიის მოქმედება. ჩვენ, ბოლშევიკები, ყოველთვის ვამბობდით, მეტადრე 1906 წლის გაზაფხულიდან, რომ ამ ხაზს წარმოადგენენ კადეტები და ოქტიაბრისტები, როგორც ერთიანი ძალა. ათწლედმა — 1905 — 1915 — დაადასტურა ჩვენი შეხედულება. ბრძოლის გადამწყვეტ მომენტებში კადეტები ოქტიაბრისტებთან ერთად ღალატობდნენ დემოკრატიას და «მიდიოდნენ» მეფისა და მემამულეების დასახმარებლად. რუსეთის რევოლუციის «ლიბერალური» ხაზი ის იყო,

რომ მასების ბრძოლა «დაეშოშმინებინა» და დაექსაქსა, რათა ბურჟუაზია შერიგებოდა მონარქიას. რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო ვითარებაც, რუსეთის პროლეტარიატის ძალაც ლიბერალების ასეთ მოქმედებას გარდუვალს ხდიდა.

ბოლშევიკები შეგნებულად ეხმარებოდნენ პროლეტარიატს ევლო პირველი ხაზით, ებრძოლა უსაზღვრო გაბედულებით და გაეყოლიებინა გლეხობა. მენშევიკები მუდამ მეორე ხაზისაკენ ეშვებოდნენ, რყვნიდნენ პროლეტარიატს მისი მოძრაობის შეგუებით ლიბერალებისადმი, დაწყებული ბულიგინის სათათბიროში წასვლის მოწოდებით (1905 წლის აგვისტო) და გათავებული 1906 წლის კადეტური სამინისტროთი და კადეტებთან ბლოკით დემოკრატიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ 1907 წელს. (ბ-ნ პლეხანოვის თვალსაზრისით — შევნიშნავთ ფრჩხილებში — კადეტებისა და მენშევიკების «სწორმა სტრატეგიულმა ცნებებმა» მაშინ დამარცხება განიცადეს. რატომ? რატომ არ დაუჯერეს მასებმა ბრძენ ბ-ნ პლეხანოვს და კადეტების რჩევას, რომელიც ასჯერად უფრო ფართოდ ვრცელდებოდა, ვიდრე ბოლშევიკების რჩევა?).

მხოლოდ ამ მიმდინარეობებმა, ბოლშევიკურმა და მენშევიკურმა, მხოლოდ მათ გამოამეღავნეს თავი მ ა ს ე ბ ი ს პოლიტიკაში 1904 — 1908 წლებში, ისე როგორც შემდეგ, 1908 — 1914 წლებში. რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ ამ მიმდინარეობებს ჰქონდათ მტკიცე კლასობრივი ფესვები, პირველს — პროლეტარული, მეორეს — ლიბერალურ-ბურჟუაზიული.

ახლა ჩვენ კვლავ მივდივართ რევოლუციისაკენ. ამას ყველა ხედავს. თ ვ ი თ ხ ვ ო ს ტ ო ვ ი ლაპარაკობს გლეხთა ისეთ განწყობილებაზე, რომელიც 1905 — 1906 წლებს მოგვაგონებსო. და ჩვენს წინაშე ისევე არის რევოლუციის ი გ ი ვ ე ორი ხაზი, კლასების ი გ ი ვ ე თანაფარდობა, ოღონდ ახალი საერთაშორისო ვითარებით სახეშეცვლილი.

1905 წელს მთელი ევროპის ბურჟუაზია ცარიზმს უჭერდა მხარს და ეხმარებოდა მას — ზოგი მილიარდებით (ფრანგები), ზოგი — კონტრრევოლუციური არმიის მომზადებით (გერმანელები). 1914 წელს ევროპის ომი გაჩაღდა; ბურჟუაზიამ, დროებით, ყველგან დაამარცხა პროლეტარიატი, წალეკა იგი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის მღვრიე ნაკადით. რუსეთში ხალხის წვრილბურჟუაზიული მასები, უმთავრესად გლეხობა, წინანდებურად შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას. ისინი დაჩაგრული არიან უწინარეს ყოვლისა მემამულეების მიერ. მათ პოლიტიკურად ნაწილობრივ სძინავთ, ნაწილობრივ კი ისინი მერყეობენ შოვინიზმსა («გამარჯვება გერმანიაზე», «სამშობლოს დაცვა») და რევოლუციურობას შორის. ამ მასების — და ამ მერყეობათა — პოლიტიკური გამომხატველნი არიან, ერთი მხრივ, ნაროდნიკები (ტრუდოვიკები და სოციალ-რევოლუციონერები), მეორე მხრივ — ოპორტუნისტი სოციალ-დემოკრატები («ნაშე დელო», პლეხანოვი, ჩხეიძის ფრაქცია, ორგანიზაციული კომიტეტი), რომლებიც 1910 წლიდან გადაჭრით დაგორდნენ ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ბილიკით და 1915 წლისათვის მიგორდნენ ბბ. პოტრესოვის, ჩერევანინის, ლევიცკის, მასლოვის სოციალ-შოვინიზმამდე ან მათთან «ერთიანობის» მოთხოვნამდე.

ამ ფაქტიური მდგომარეობიდან აშკარად გამომდინარეობს პროლეტარიატის ამოცანა. უსაზღვროდ გაბედული რევოლუციური ბრძოლა მონარქიის წინააღმდეგ (1912 წლის იანვრის კონფერენციის ლოზუნგები, «სამი ვეშაპი»), — ბრძოლა, რომელიც გაიყოლიებს მთელ დემოკრატიულ მასებს, ე. ი., უმთავრესად, გლეხობას. და ამასთან ერთად ულმობელი ბრძოლა შოვინიზმთან, ბრძოლა ევროპის სოციალისტური რევოლუციისათვის ევროპის პროლეტარიატთან შეკავშირებით. წვრილი ბურჟუაზიის მერყეობა შემთხვევითი კი არ არის, არამედ გარდუვალია, იგი გამომდინარეობს ამ ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობიდან. სამხედრო კრიზისმა გააძლიერა ეკონო-

მიური და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც წვრილ ბურჟუაზიას — და მათ შორის გლეხობას — მარცხნივ უბიძგებენ. ეს შეადგენს რუსეთში დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების სრული შესაძლებლობის ობიექტურ საფუძველს. დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლუციის ობიექტური პირობები სავსებით რომ მომწიფდა, ამის მტკიცება აქ საჭირო არ არის; ამას აღიარებდა ომამდე ყველა გავლენიანი სოციალისტი ყველა მოწინავე ქვეყანაში.

მომავალ რევოლუციაში კლასების თანაფარდობის გამორკვევა რევოლუციური პარტიის მთავარი ამოცანაა. ამ ამოცანას თავს არიდებს ორგანიზაციული კომიტეტი, რომელიც რუსეთში «ნაშე დელოს» ერთგული რჩება, საზღვარგარეთ კი ისვრის არაფრისმთქმელ «მემარცხენე» ფრაზებს. ამ ამოცანას არასწორად წყვეტს «ნაშე სლოვოში» ტროცკი, რომელიც იმეორებს თავის 1905 წლის «ორიგინალურ» თეორიას და რომელსაც არ სურს დაფიქრდეს იმაზე, რა მიზეზით უვლიდა გვერდს ცხოვრება ამ საუცხოო თეორიას მთელი ათი წლის მანძილზე.

ტროცკის ორიგინალური თეორია ბოლშევიკებისაგან სესხულობს მოწოდებას პროლეტარიატის გაბედული რევოლუციური ბრძოლისაკენ და მის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისაკენ, ხოლო მენშევიკებისაგან — გლეხობის როლის «უარყოფას». გლეხობა ხომ ფენებად დაიყო, მოხდა მისი დიფერენციაცია; მისი შესაძლო რევოლუციური როლი კლებულობდა; რუსეთში შეუძლებელია «ნაციონალური» რევოლუცია: «ჩვენ იმპერიალიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ», ხოლო «იმპერიალიზმი ბურჟუაზიულ ერს კი არ უპირისპირებს ძველ რეჟიმს, არამედ პროლეტარიატს — ბურჟუაზიულ ერსო».

აი სასაცილო მაგალითი სიტყვა იმპერიალიზმით თამაშისა! თუ რუსეთში უკვე უპირისპირდება პროლეტარიატი «ბურჟუაზიულ ერს», მაშინ გამოდის, რომ რუსეთი პირდაპირ დგას სოციალისტური რევოლუციის წინაშე!! მაშინ სწორი არ არის «მემამულეთა

მიწების კონფისკაციის» ლოზუნგი (რასაც ტროცკი იმეორებს 1915 წელს 1912 წლის იანვრის კონფერენციის კვალობაზე), მაშინ უნდა ილაპარაკო არა «რევოლუციურ მუშათა» მთავრობაზე, არამედ «მუშათა სოციალისტურ» მთავრობაზე!! თუ სადამდე მიდის ტროცკის დომხალი, ჩანს მისი ფრაზიდან, რომ გამბედაობით პროლეტარიატი გაიყოლიებს «ხალხის არაპროლეტარულ (!) მასებსაცო» (№ 217)!! ტროცკი არ უფიქრდება იმას, რომ თუ პროლეტარიატი გაიყოლიებს სოფლის არაპროლეტარულ მასებს მემამულეთა მიწების საკონფისკაციოდ და დაამხობს მონარქიას, სწორედ ეს იქნება «ნაციონალური ბურჟუაზიული რევოლუციის» დამთავრება რუსეთში, სწორედ ეს იქნება პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა!

მთელმა ათწლედმა — დიადმა ათწლედმა — 1905 — 1915 წლებმა — დაამტკიცა, რომ არსებობს რუსეთის რევოლუციის ორი და მხოლოდ ორი კლასობრივი ხაზი. გლეხობის ფენებად დაყოფამ გააძლიერა კლასობრივი ბრძოლა მის შიგნით, გამოაღვიძა ძალიან ბევრი პოლიტიკურად მძინარე ელემენტი, ქალაქის პროლეტარიატს დაუახლოვა სოფლის პროლეტარიატი (მის ცალკე ორგანიზებას ბოლშევიკები დაჟინებით მოითხოვდნენ 1906 წლიდან და ეს მოთხოვნა მათ შეიტანეს სტოკჰოლმის, მენშევიკური, ყრილობის რეზოლუციაში). მაგრამ «გლეხობისა» და მარკოვ — რომანოვ — ხვოსტოვების ანტაგონიზმი გაძლიერდა, გაიზარდა, გამწვავდა. ეს ისეთი აშკარა ჭეშმარიტებაა, რომ ტროცკის მიერ პარიზში ათობით დაწერილი სტატიის ათასობით ფრაზაც კი ვერ «გააბათილებს» მას. ტროცკი სინამდვილეში ეხმარება რუსეთის ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებს, რომლებსაც გლეხობის როლის «უარყოფად» ესმით ის, რომ მათ არ სურთ აამხედრონ გლეხები რევოლუციის მოსახდენად!

ახლა კი სწორედ ეს არის თავიდათავი. პროლეტარიატი იბრძვის და თავგამოდებით იბრძოლებს ძალაუფ-

ლების დაპყრობისათვის, რესპუბლიკისათვის, მიწების კონ-ფისკაციისათვის, ესე იგი გლეხობის მიმხრობისათვის, მისი რევოლუციური ძალების ამოწურვისათვის, სამხედრო-ფეოდალური «იმპერიალიზმისაგან» (=ცარიზმისაგან) ბურჟუაზიული რუსეთის განთავისუფლებაში «ხალხის არაპროლეტარული მასების» მონაწილეობისათვის. და ბურჟუაზიული რუსეთის ამ განთავისუფლებით ცარიზმისაგან, მემამულეთა მიწებისა და ძალაუფლებისაგან პროლეტარიატი დაუყოვნებლივ ისარგებლებს არა იმისათვის, რომ დაეხმაროს შეძლებულ გლეხებს სოფლის მუშასთან ბრძოლაში, არამედ იმისათვის, რომ მოახდინოს სოციალისტური რევოლუცია ევროპის პროლეტარებთან კავშირში.

«სოციალ-დემოკრატი» № 48,
1915 წ. 20 ნოემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

უკანასკნელ მიჯნასთან

ცალკეულ პირთა გადაქცევა რადიკალური სოციალ-დემოკრატებიდან და რევოლუციური მარქსისტებიდან სოციალ-შოვინისტებად ყველა მეომარი ქვეყნისათვის საერთო მოვლენაა. შოვინიზმის ნიაღვარი ისე სწრაფი, მღელვარე და ძლიერია, რომ ყველგან მან გაიტაცა მთელი რიგი უხასიათო ან დრომოჭმული მემარცხენე სოციალ-დემოკრატები. პარვუსი, რომელმაც უკვე რუსეთის რევოლუციაში ცხადყო თავისი ავანტიურისტობა, ახლა მის მიერ გამოცემულ ბუბადრუკ ჟურნალ «Die Glocke»-ში («ზარი») [137] დაეშვა... უკანასკნელ საზღვრამდე. ის წარმოუდგენლად უტიფარი და თვითკმაყოფილი გამომეტყველებით იცავს გერმანელ ოპორტუნისტებს. მან ყველაფერი «დაწვა», რასაც ეთაყვანებოდა; მან «დაივიწყა» რევოლუციურ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა ბრძოლა და მათი ისტორია საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში. ბურჟუაზიის მხრივ მოწონებაში დარწმუნებული ფელეტონისტის აღვირახსნილობით ის მხარზე ხელს უტყაპუნებს მარქსს, «ასწორებს» მას ისე, რომ კეთილსინდისიერი და დაკვირვებული კრიტიკის ნასახსაც არ იჩენს. ხოლო ვიღაც ენგელსს პირდაპირ ზიზღით აბუჩად იგდებს. ის იცავს ინგლისის პაციფისტებსა და ინტერნაციონალისტებს, გერმანიის ნაციონალისტებსა და ურა-პატრიოტებს. ის ლანძღავს, შოვინისტებს და ბურჟუაზიის დამქაშებს უწოდებს ინგლისელ სოციალ-პატრიოტებს, აქებს და რევო-

ლუციურ სოციალ-დემოკრატებად ასაღებს გერმანელ სოციალ-პატრიოტებს და ეამბორება ლენჩს, გენიშს, გრუნვალდს. ის ჩექმებს ულოკავს ჰინდენბურგს და არწმუნებს მკითხველებს, «გერმანიის გენერალური შტაბი გამოვიდა რუსეთის რევოლუციისათვის მხარის დასაჭერადო», და ხეპრულ ხოტბას ბეჭდავს ამ «გერმანული ხალხური სულის განსაზიერებაზე», მის «ძლიერ რევოლუციურ გრძნობაზე». ის გერმანიას ჰპირდება უმტკივნეულო გადასვლას სოციალიზმზე სოციალისტთა ერთ ნაწილთან კონსერვატორების კავშირის მეშვეობით და «პურის ბარათების» მეშვეობით. როგორც გულნამცეცა ლაჩარი, ის მოწყალედ ნახევრად იწონებს ციმერვალდის კონფერენციას და ისე გვაჩვენებს თავს, თითქოს არ შეემჩნიოს მის მანიფესტში ადგილები, მიმართული სოციალ-შოვინიზმის ყველა ნაირსახეობის წინააღმდეგ, დაწყებული პარვუსისა და პლეხანოვის და გათავებული კოლბისა და კაუცკის სოციალ-შოვინიზმით.

მისი უბადრუკი ჟურნალის ექვს ნომერში არ არის არც ერთი პატიოსანი აზრი, არც ერთი სერიოზული საბუთი, **არც** ერთი გულწრფელი სტატია. სულ ერთიანად გერმანული შოვინიზმის სიბინძურე, დაფარული დარდიმანდულად დადღლაბნილი აბრით: ვითომდა რუსეთის რევოლუციის ინტერესებისათვისო! სავსებით ბუნებრივია, რომ ამ სიბინძურეს აქებენ ოპორტუნისტები: კოლბი და ხემნიცის «ხალხის ხმა» [138].

ბატონი პარვუსი იმდენად შუბლმაგარია, რომ საჯაროდ აცხადებს თავის «მისიას» «იყოს იდეური რგოლი შეიარაღებულ გერმანელ და რევოლუციურ რუს პროლეტარიატს შორის». ეს მასხრული ფრაზა საკმარისია გამოჰკიდო დასაცინებლად რუსი მუშების წინაშე. თუ ბბ. პლეხანოვის, ბუნაკოვის და მათი კომპანიის «პრიზივმა» სავსებით დაიმსახურა შოვინისტებისა და ხვოსტოვის მოწონება რუსეთში, მაშინ ბ-ნი პარვუსის «ზარი» რენეგატობისა და ბინძური ლაქიობის ორგანოა გერმანიაში.

არ შეიძლება ამის გამო არ აღინიშნოს ახლანდელი ომის კიდევ ერთი სასარგებლო მხარე. ეს ომი არათუ კლავს «სწრაფმსროლი ზარბაზნით» ოპორტუნიზმსა და ანარქიზმს, იგი ჩინებულად ამხილებს აგრეთვე ავანტიურისტებსა და სოციალიზმის გამცემლებს. პროლეტარიატისათვის ფრიად ხელსაყრელია, რომ მისი მოძრაობის წინასწარი გაწმენდა ისტორიამ დაიწყო სოციალისტური რევოლუციის წინახანებში და არა თვით მის მსვლელობაში.

«სოციალ-დემოკრატი» № 48,
1915 წ. 20 ნოემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

«სოციალისტური პროპაგანდის ლიგის» მდივანს [139]

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ ძალიან გაგვახარა თქვენი ფურცლის მიღებამ. თქვენი მიმართვა სოციალისტური პარტიის წევრებისადმი მოწოდებით — იბრძოლონ ახალი ინტერნაციონალისათვის, ნამდვილი რევოლუციური სოციალიზმისათვის, რომელსაც გვასწავლიდნენ მარქსი და ენგელსი, იბრძოლონ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმათ წინააღმდეგ, ვინც მხარს უჭერს მუშათა კლასის მონაწილეობას თავდაცვითს ომში, — სავსებით შეესაბამება იმ პოზიციას, რომელიც ჩვენმა პარტიამ (რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, ცენტრალურმა კომიტეტმა) დაიკავა ამ ომის დასაწყისიდანვე და რომელიც ყოველთვის ეკავა 10 წელზე მეტი ხნის მანძილზე.

გითვლით გულწრფელ სალამს და საუკეთესო სურვილებს, რომ წარმატებას მივაღწიოთ ჩვენს ბრძოლაში ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმისათვის.

ჩვენს ბეჭდვით სიტყვაში და ჩვენს პროპაგანდაში ჩვენ მთელ რიგ საკითხებზე სხვა პოზიცია გვიკავია, ვიდრე თქვენს პროგრამას. ჩვენ სავსებით აუცილებლად მიგვაჩნია მიგითითოთ მოკლედ ამ განსხვავებაზე, რათა დაუყოვნებლივ გადავდგათ სერიოზული ნაბიჯები იმ მიზნით, რომ შევათანხმოთ ყველა ქვეყნის კომპრომისის მოწი-

To the Secretary of the "Socialist Propaganda League"
Mr. C. W. Fitzgerald, 20 Baker St., Beverly, Mass.

Dear comrades!

We are extremely glad to get your leaflet. Your appeal to the members of the Socialist Party to struggle for the new International, for clear-cut revolutionary tactics as taught by Marx & Engels, and against the opportunists, especially against those who are in favor of working class participation in a war of defence, corresponds fully with the position our party (Social Democratic Labor Party of Russia, Central Committee) has taken from the beginning of this war & has always taken during more than ten years.

We send you our sincerest greetings

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის წერილისა «სოციალისტური პროპაგანდის ლიგის» მდივანს». — 1915 წ. ნოემბერი (ინგლისურ ენაზე)

დ. პატარავებულია

ნააღმდეგე · რევოლუციური სოციალისტების, განსაკუთრებით მარქსისტების საერთაშორისო ბრძოლა.

ჩვენ უაღრესად მკაცრად ვაკრიტიკებთ ძველ, მეორე (1889 — 1914) ინტერნაციონალს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ იგი მკვდარია და ღირსი არ არის იმისა, რომ აღდგენილ იქნას ძველ საფუძველზე. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვამბობთ ჩვენს პრესაში, რომ დღევანდლამდე ერთობ დიდი ადგილი ეთმობოდა ეგრეთწოდებულ «უშუალო მოთხოვნებს» და რომ ამან შეიძლება სოციალიზმის «გამოფიტვა» გამოიწვიოსო. ჩვენ ვამბობთ და ვამტკიცებთ, რომ ყველა ბურჟუაზიული პარტია, ყველა პარტია, გარდა მუშათა კლასის რევოლუციური პარტიისა, ცრუობს და თვალთმაქცობს, როდესაც რეფორმებზე ლაპარაკობს. ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ მუშათა კლასს — მიაღწიოს თავისი (ეკონომიური და პოლიტიკური) მდგომარეობის თუნდაც მეტად უმნიშვნელო, მაგრამ რეალურ გაუმჯობესებას, და ჩვენ ყოველთვის დავძენთ, რომ ა რ ა ვ ი თ ა რ ი რეფორმა არ შეიძლება იყოს მტკიცე, ნამდვილი და სერიოზული, თუ ის გამაგრებული არ არის მასების ბრძოლის რევოლუციური მეთოდებით. ჩვენ ყოველთვის ვასწავლით, რომ სოციალისტური პარტია, რომელიც ამ ბრძოლას რეფორმებისათვის არ აერთებს მუშათა მოძრაობის რევოლუციურ მეთოდებთან, შეიძლება გადაიქცეს სექტად, შეიძლება მოწყდეს მასებს და რომ ეს წარმოადგენს ყველაზე სერიოზულ საფრთხეს ნამდვილი რევოლუციური სოციალიზმის წარმატებისათვის.

ჩვენ ყოველთვის ვიცავთ ჩვენს პრესაში შინაპარტიულ დემოკრატიას. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გამოვდივართ პარტიის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ. ჩვენ დემოკრატიული ცენტრალიზმის მომხრენი ვართ. ჩვენ ვამბობთ, რომ გერმანიის მუშათა მოძრაობის ცენტრალიზაცია წარმოადგენს მის არა სუსტ, არამედ ძლიერსა და დადებით მხარეს. გერმანიის თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის მანკი არის არა ცენტრალიზაცია, არამედ სიჭარბე

ოპორტუნისტებისა, რომლებიც გარიცხულ უნდა იქნენ პარტიიდან, მეტადრე ახლა, ომის დროს მათი გამცემლური მოქმედების შემდეგ. ყოველი ამა თუ იმ კრიზისის დროს პატარა ჯგუფს (მაგალითად, ჩვენი ცენტრალური კომიტეტი პატარა ჯგუფია) რომ შეეძლოს წარმართოს ფართო მასები რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ა კ ე ნ, ეს ძალიან კარგი იქნებოდა. ყ ო ვ ე ლ ი კრიზისის დროს მასებს არ შეუძლიათ უშუალოდ იმოქმედონ, მასებს ესაჭიროებათ დახმარება პარტიების ცენტრალურ დაწესებულებათა პატარა ჯგუფების მხრივ. უკვე ამ ომის დასაწყისიდანვე, 1914 წლის სექტემბრიდან, ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ჩააგონებდა მასებს, რომ მათ არ ეწამათ ყალბი ფრაზები «თავდაცვითს ომზე» და რომ მათ კავშირი გაეწყვიტათ ოპორტუნისტებთან და ეგრეთწოდებულ «ჯინგო-სოციალისტებთან» (ასე ვუწოდებთ ჩვენ «სოციალისტებს», რომლებიც ა ხ ლ ა მხარს უჭერენ თავდაცვითს ომს). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ეს ცენტრალისტური ღონისძიებანი სასარგებლო და აუცილებელი იყო.

გეთანხმებით, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ამქრული კავშირების წინააღმდეგ და სამრეწველო კავშირების მომხრენი, ე. ი. მსხვილი, ცენტრალიზებული პროფკავშირებისა და პარტიის ყ ვ ე ლ ა წევრის უაღრესად აქტიური მონაწილეობის მომხრენი მუშათა კლასის ეკონომიურ ბრძოლაში და ყ ვ ე ლ ა მის პროფესიულ და კოოპერაციულ ორგანიზაციაში. მაგრამ ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ბ-ნი ლეგინი გერმანიაში და ბ-ნი გომპერსი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩვენ ბურჟუებად მიგვაჩნია, ხოლო მათი პოლიტიკა — არა სოციალისტურ პოლიტიკად, არამედ ნაციონალისტურ ბურჟუაზიულ პოლიტიკად. ბბ. ლეგინი, გომპერსი და მათი მსგავსი ადამიანები არ არიან მუშათა კლასის წარმომადგენლები: ისინი მუშათა კლასის მხოლოდ არისტოკრატიასა და ბიუროკრატიას წარმოადგენენ.

ჩვენ სავსებით გითანაგრძნობთ, როდესაც პოლიტიკური გამოსვლის დროს თქვენ მოითხოვთ მუშების «მასობრივ გამოსვლას». გერმანელი რევოლუციური ინტერნაციონალისტ-სოციალისტებიც ამას მოითხოვენ. ჩვენს პრესაში ჩვენ ვცდილობთ უფრო დაწვრილებით განვსაზღვროთ, სახელდობრ რა უნდა გვესმოდეს ისეთ პოლიტიკურ მასობრივ გამოსვლად, როგორიცაა, მაგალითად, პოლიტიკური გაფიცვები (რაც მეტად ჩვეულებრივია რუსეთში), ქუჩის დემონსტრაციები და სამოქალაქო ომი, რომელიც მზადდება ამ იმპერიალისტური ომით ერებს შორის.

ჩვენ არ ვქადაგებთ ერთიანობას ახლანდელი (II ინტერნაციონალში გაბატონებული) სოციალისტური პარტიების შიგნით. პირიქით, ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ კავშირის გაწყვეტას ოპორტუნისტებთან. ომი საუკეთესო თვალსაჩინო გაკვეთილია. ყველა ქვეყანაში ოპორტუნისტები, მათი ლიდერები, მათი ყველაზე გავლენიანი გაზეთები და ჟურნალები მხარს უჭერენ ომს, სხვანაირად რომ ითქვას, ისინი ნამდვილად გაერთიანდნენ «თავიანთ» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან (საშუალო კლასთან, კაპიტალისტებთან) პროლეტარული მასების წინააღმდეგ. თქვენ ამბობთ, რომ ამერიკაში არიან აგრეთვე სოციალისტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ თავდაცვითს ომს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ ადამიანებთან კავშირი დანაშაულია. ასეთი კავშირი არის კავშირი ნაციონალურ საშუალო კლასთან და კაპიტალისტებთან და კავშირის გაწყვეტა საერთაშორისო რევოლუციურ მუშათა კლასთან. ჩვენ კი მომხრე ვართ ნაციონალისტურ ოპორტუნისტებთან კავშირის გაწყვეტისა და ვიცავთ კავშირს საერთაშორისო რევოლუციონერ-მარქსისტებთან და მუშათა კლასის პარტიებთან.

ჩვენ არასოდეს არ ვილაშქრებთ ჩვენს პრესაში იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკაში სოციალისტური პარტია გაერთიანდეს სოციალისტურ მუშათა პარტიასთან[140] (**S. P. and S. L. P.**). ჩვენ ყოველთვის ვიმოწმებთ მარქსისა და

ენგელსის წერილებს (განსაკუთრებით ზორგესადმი, ამერიკის სოციალისტური მოძრაობის აქტიური წევრისადმი), სადაც ორივე გმობს ს. მ. პ-ის (S. L. P.) სექტანტურ ხასიათს [141].

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით თქვენ მიერ ძველი ინტერნაციონალის კრიტიკას. ჩვენ ვმონაწილეობდით ციმერვალდის კონფერენციაში (შვეიცარია, 1915 წ. 5 — 8 — IX). ჩვენ იქ შევქმენით მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ფ რ თ ა და შევიტანეთ ჩ ვ ე ნ ი რ ე ზ ო ლ უ ც ი ა და მანიფესტის პროექტი. ჩვენ ეს-ეს არის გამოვაქვეყნეთ ეს დოკუმენტები გერმანულ ენაზე, და გიგზავნით ამ დოკუმენტებს (ჩვენი ბროშურის «სოციალიზმისა და ომის» გერმანულ თარგმანთან ერთად) იმ იმედით, რომ თქვენს ლიგაში არიან გერმანული ენის მცოდნე ამხანაგები. თქვენ რომ შეძლებდეთ დაგვეხმაროთ ამ მასალების ინგლისურ ენაზე გამოცემაში (ეს შესაძლებელია მხოლოდ ამერიკაში, რის შემდეგ მათ გავგზავნიდით ინგლისში), ჩვენ ხალისით მივიღებდით თქვენს დახმარებას.

ჩვენს ბრძოლაში ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმისათვის და «ჯინგო-სოციალიზმის» წინააღმდეგ ჩვენ, ჩვენს პრესაში, ყოველთვის მივუთითებთ ამერიკის ს. პ. (S. P.) ოპორტუნისტ ბელადებზე, რომლებიც მხარს უჭერენ ჩინელი და იაპონელი მუშების იმიგრაციის შეზღუდვას (განსაკუთრებით შტუტგარტის 1907 წლის კონგრესის შემდეგ და მის გადაწყვეტილებათა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ). ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება ინტერნაციონალისტი იყო და ამავე დროს მხარს უჭერდე ამგვარ შეზღუდვებს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თუკი ამერიკელი და მეტადრე ინგლისელი სოციალისტები, რომლებიც მმართველ და მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ერებს ეკუთვნიან, წინააღმდეგი არ არიან იმიგრაციის რაიმე შეზღუდვისა და კოლონიების ფლობისა (ჰავაის კუნძულები), თუ ისინი მხარს არ უჭერენ კოლონიების სრულ დამოუკიდებლობას, მაშინ ასეთი სოციალისტები სინამდვილეში «ჯინგოები» არიან.

დასასრულ ერთხელ კიდევ გითვლით საუკეთესო სალამსა და სურვილებს თქვენი ლიგის მიმართ. ჩვენ ძალიან მოხარული ვიქნებოდით შემდგომაც მიგვეღო თქვენგან ინფორმაცია და შ ე გ ვ ე ე რ თ ე ბ ი ნ ა ჩვენი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმისათვის.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

NB: რუსეთში ო რ ი სოციალ-დემოკრატიული პარტიაა. ჩვენი პარტია («ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კომიტეტი») ოპორტუნიზმის წინააღმდეგია. მეორე პარტია («ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი კომიტეტი») ოპორტუნისტულია. ჩვენ მასთან კავშირის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვართ.

თქვენ შეგიძლიათ მოგვწეროთ ჩვენი ოფიციალური მისამართით (რუსული ბიბლიოთეკა. ცენტრალური კომიტეტისათვის — ჰიუგო დე სანჟეს ქუჩა, 7, ჟ ე ნ ე ვ ა, შვეიცარია). მაგრამ უკეთესია მოგვწეროთ ჩემი პირადი მისამართით: ვ ლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი. ზაიდენვეგი 4-ა. III. ბ ე რ ნ ი. შვეიცარია.

დაწერილია ინგლისურ ენაზე
1915 წ. 9 (22) ნოემბრამდე

ბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის კრებულში II

სოციალ-შოვინისტური პოლიტიკის მიჩქმალვა ინტერნაციონალისტური ფრაზებით

როგორია პოლიტიკური ფაქტების დამოკიდებულება პოლიტიკური ლიტერატურისადმი? პოლიტიკური მოვლენებისა — პოლიტიკური ლოზუნგებისადმი? პოლიტიკური სინამდვილისა — პოლიტიკური იდეოლოგიისადმი? ამ საკითხს ახლა უძირითადესი მნიშვნელობა აქვს ინტერნაციონალის მთელი კრიზისის გასაგებად, ვინაიდან ყოველი კრიზისი, ყოველი გარდატეხაც კი განვითარებაში, გარდუვალად იწვევს ძველი ფორმის შეუსაბამობას ახალი შინაარსისადმი. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება მუდამ ასაზრდოებს ისეთ პოლიტიკოსებს, რომლებსაც უყვართ კლასგარეშენი უწოდონ თავისთავს, და ისეთ ოპორტუნისტებს, რომლებსაც უყვართ სოციალისტები უწოდონ თავისთავს, რომლებიც განზრახ და სისტემატურად ატყუებენ მასებს მეტად მაღალფარდოვანი, მეტად «მემარცხენე» ფრაზებით. მაგრამ კრიზისის ეპოქაში ამ კრიზისის კეთილსინდისიერ მონაწილეთა სიტყვაც კი ძალიან ხშირად განსხვავდება მათი საქმისაგან. და დიდი პროგრესული მნიშვნელობა ყოველი კრიზისისა, მეტად მძიმე, ძნელი და მტკივნეული კრიზისებისაც კი, სხვათა შორის, სწორედ ის არის, რომ ისინი საოცარი სისწრაფით, სიძლიერითა და სიცხადით ამხილებენ და უკუაგდებენ დამპალ — თუნდაც კეთილსინდისიერ — სიტყვებს, დამპალ — თუნდაც საუკეთესო განზრახვების ბაზაზე აგებულ — დაწესებულებებს.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ცხოვრებაში ახლა ყველაზე დიდი ფაქტია პიტერელი მუშების არჩევნები სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში. ომის განმავლობაში პირველად და მხოლოდ ამ არჩევნებმა მიიზიდეს პროლეტართა მართლაც მ ა ს ე ბ ი თანამედროვე პოლიტიკის ძირითადი საკითხების განსახილველად და გადასაწყვეტად, გვიჩვენეს ნამდვილი სურათი ი მ ი ს ა, თუ რ ა ა რ ი ს სოციალ-დემოკრატიაში, როგორც მასობრივ პარტიაში. აღმოჩნდა, რომ არის ორი, მხოლოდ ორი მიმდინარეობა, ერთი — რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური, ნამდვილად პროლეტარული, ჩვენი პარტიის მიერ ორგანიზებული, იგი თ ა ვ დ ა ც ვ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყო. მეორე, «თავდაცვითი» ანუ სოციალ-შოვინისტური, იყო «ნაშედელოელების» (ე. ი. ლიკვიდატორების მთავარი ბირთვისა), პლეხანოველების, ნაროდნიკებისა და უპარტიოების ბლოკი, ამასთან მთელ ამ ბლოკს მხარს უჭერდა მთელი ბურჟუაზიული პრესა და ყველა შავრაზმელი რუსეთში, რითაც მან დაამტკიცა ამ ბლოკის პოლიტიკის ბურჟუაზიული, და არა პროლეტარული, არსი.

ასეთია ფაქტები. ასეთია სინამდვილე. ხოლო ლოზუნგები და იდეოლოგია? პიტერის «რაბოჩეე უტრო», № 2 (22/X) [142], «ოკისტების» კრებული («ინტერნაციონალ ი ვოინა», № 1, 1915 წ. 30/XI), «ნაშე სლოვოს» უკანასკნელი ნომრები გვაძლევენ პასუხს, რომელსაც უნდა ჩაუფიქრდეს და კიდევ და კიდევ ჩაუფიქრდეს ყველა, ვისაც აინტერესებს პოლიტიკა არა ისე, როგორც გოგოლის პეტრუშკას კითხვა აინტერესებდა.

მაშ გავეცნოთ ა მ იდეოლოგიის შინაარსსა და მნიშვნელობას.

პიტერის «რაბოჩეე უტრო» ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია. აქ სხედან ლიკვიდატორობისა და სოციალ-შოვინიზმის მეთაურები მაბეზღარ ბ-ნ გვოზდევთან ერთად. ამ ადამიანებმა ზედმიწევნით იციან ყველაფერი, რაც წინ უსწრებდა 27/IX არჩევნებს და რაც იყო ამ არჩევნებზე.

ამ ადამიანებს შეეძლოთ შეენიღბათ თავიანთი ბლოკი პლეხანოველებთან, ნაროდნიკებთან და უპარტიოებთან, და კიდევაც შენიღბეს, მათ კრინტიც არ დაუძრავთ არც ამ ბლოკის მნიშვნელობაზე, არც მისი სხვადასხვა ელემენტის რ ი ც ხ ო ბ რ ი ვ თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა ზ ე. მათთვის ხელსაყრელი იყო ასეთი «წვრილმანის» დამალვა (მონაცემები ამის შესახებ, უეჭველია, ჰქონდათ ბ-ნ გვოზდევს და მის მეგობრებს «რაბოჩეე უტროდან»), და კიდევაც დამალეს. მაგრამ მ ე ს ა მ ე ჯგუფის გამოგონება, გარდა 90-სა და 81-ის ჯგუფებისა, მათ არ შეეძლოთ; ტყუილის თქმა ადგილობრივ, პიტერში, მუშების წინაშე, შეთხზვა «მესამე» ჯგუფისა, რომელზეც ზღაპრებს მოგვითხრობს «კოპენჰაგენელი ანონიმი»[143] გერმანული პრესისა და «ნაშე სლოვოს» ფურცლებზე, — შეუძლებელია, ვინაიდან ჭკუათამყოფელი ადამიანები არ ცრუობენ, თუ იციან, რომ სიცრუე აუცილებლად მხილებულ იქნება იქვე და მაშინვე. ამიტომ «რაბოჩეე უტრო» ბეჭდავს კ. ორანსკის[144] (ძველი ნაცნობი!) სტატიას: «ორი პოზიცია», ფრიად დაწვრილებით არჩევს ორივე პოზიციას, 90-ს ჯგუფის და 81-ის ჯგუფისა, და ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს მე-3 პოზიციას. სხვათა შორის: ცენზურამ თითქმის მთლიანად დაამახინჯა «რაბოჩეე უტროს» № 2; თეთრი ზოლები თითქმის მეტია, ვიდრე გადარჩენილი, მაგრამ სტატიებიდან დაინდო სწორედ ის, მხოლოდ ის ორი სტატია, — «ორი პოზიცია» და ფელეტონი, ლიბერალურად რომ ამახინჯებს 1905 წლის ისტორიას, — რომლებშიც აგინებენ ბოლშევიკებს «ანარქიზმისა» და «ბოიკოტიზმისათვის». მეფის მთავრობისათვის ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ა, რათა ასეთი რამ იწერებოდეს და იბეჭდებოდეს. ასეთი სიტყვები შემთხვევით კი არ სარგებლობენ ლეგალობის მონოპოლიით ყველგან, დესპოტიური რუსეთიდან რესპუბლიკურ საფრანგეთამდე!

რა საბუთებით იცავს «რაბოჩეე უტრო» თავის «ობორონცობის» ან «სოციალ-შოვინიზმის» პოზიციას? მარტოოდენ გაძრომ-გამოძრომით, მარტოოდენ ინტერნაციონალისტური

ფრაზებით!! ჩვენი პოზიცია სრულიადაც არ არის «ნაციონალური», სრულიადაც არ არის «ობორონცული», ჩვენ მხოლოდ ნათქვამი გვაქვს «ის, რაც გამოხატული არ არის პირველ პოზიციაში» (ე. ი. 90-ის ჯგუფის პოზიციაში) — «არაგანურჩეველი» «დამოკიდებულება ქვეყნის მდგომარეობისადმი», მისი «ხსნისადმი» «განადგურებისა და დაღუპვისაგანო». ჩვენი პოზიცია «ნამდვილად საერთაშორისო» იყო, სახავდა ქვეყნის «განთავისუფლების» გზებსა და საშუალებებს, ჩვენ «ერთნაირად (!! პირველ პოზიციასთან) ვაფასებდით ომის წარმოშობას და მის სოციალ-პოლიტიკურ არსს», ჩვენ «ერთნაირად (!! პირველ პოზიციასთან) ვსახავდით პროლეტარიატისა» (ხუმრობა არ გეგონოთ!) «და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საერთაშორისო მუშაობის საერთო პროგრამას ომის დროს, მსოფლიო კონფლიქტის განვითარების ყველა პერიოდში უკლებლივო». ჩვენს განაწესში ვაცხადებდით, რომ «ახლანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში მუშათა კლასს არ შეუძლია რაიმე პასუხისმგებლობა იკისროს ქვეყნის თავდაცვისათვის», ჩვენ «გადაჭრით ვუერთდებოდით უწინარეს ყოვლისა დემოკრატიის საერთაშორისო ამოცანებს», «ჩვენი წვლილი შევიტანეთ იმ მისწრაფებათა ცოცხალ ნაკადში, რომელთა ეტაპებია კოპენჰაგენი და ციმერვალდიო» (აი რანი ვართ ჩვენ!). ჩვენ მხარს ვუჭერთ «უ ა ნ ე ქ ს ი ო ზავის» ლოზუნგსო (ხაზგასმა ეკუთვნის «რაბოჩეე უტროს»). ჩვენ «პირველი მიმდინარეობის აბსტრაქტულობასა და კოსმოპოლიტურ ანარქიზმს დავუპირისპირეთ ჩვენი პოზიციის, ჩვენი ტაქტიკის რეალიზმი და საერთაშორისობაო».

ხომ მართალია, ეს სულ ერთიანად მარგალიტებია! მაგრამ ამ მარგალიტებში, გარდა უმეცრებისა და რეპეტილოვისებური სიცრუისა,[145] არის, ბურჟუაზიის თვალსაზრისით, სავსებით ფხიზელი და ს წ ო რ ი დიპლომატია. მუშებზე რომ გავლენა მოახდინონ, ბურჟუებმა თავი უნდა მოირთონ სოციალისტებად, ესდეკებად, ინტერნაციონალისტებად და ა. შ., წინააღმდეგ შემთხვევაში გავლენის მოხდენა შეუძლებე-

ლია. და «რაბოჩეე უტრო» ირთვება, ფერადდება, ფერუმარილს იცხებს, თავს იკოხტავებს, თვალს უკრავს, არაფერს არ თაკილობს! ჩვენ მზად ვართ თუნდაც ასჯერ მოვაწეროთ ხელი ციმერვალდის მანიფესტსაც (სილის გაწნევა იმ ციმერვალდელებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ მანიფესტს მისი გაუბედაობისათვის ბრძოლის გამოუცხადებლად და უშენიშვნებოდ!), როგორიც გნებავთ რეზოლუციასაც ომის იმპერიალისტური არსის შესახებ, ყოველგვარ ფიცსაც ჩვენს «ინტერნაციონალიზმში» და ჩვენს «რევოლუციურობაში» («ქვეყნის განთავისუფლება» ცენზურის ქვეშ მყოფ პრესაში = რევოლუცია არალეგალურში), — ოღონდ... ოღონდ ჩვენ ხელი არ შეგვიშალონ მოვუწოდოთ მუშებს მონაწილეობა მიიღონ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში, ე. ი. ტ ა ქ ტ ი კ უ რ ი მონაწილეობა მიიღონ მძარცველურ, რეაქციულ («თავდაცვითს») ომშიო.

მხოლოდ ეს არის საქმე, ყოველივე დანარჩენი კი ფუჭი სიტყვებია. მხოლოდ ეს არის თავიდათავი, ყოველივე დანარჩენი კი ლათაიებია. მ ხ ო ლ ო დ ე ს ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა პოლიციას, მეფის მონარქიას, ხვოსტოვსა და ბურჟუაზიას. გონიერი ბურჟუები უფრო გონივრულ ქვეყნებში ითმენენ ინტერნაციონალისტურ და სოციალისტურ ფრაზას, ოღონდ კი მონაწილეობდნენ თავდაცვაში: გაიხსენეთ ფრანგული რეაქციული გაზეთების აზრი «სამთა შეთანხმების» სოციალისტთა ლონდონის კონფერენციის შესახებ. ეს ბატონ სოციალისტებს, მოგეხსენებათ, ერთგვარი «ტიკი» სჭირთ, — წერდა ერთი ამ გაზეთთაგანი, — ერთგვარი ნერვული ავადმყოფობა, — როდესაც ადამიანები უნებლიედ იმეორებენ ერთ ჟესტს, კუნთების ერთ მოძრაობას, ერთ სიტყვას. აი «ჩვენი» სოციალისტებიც ვერაფერს იტყვიან ისე, თუ არ გაიმეორეს სიტყვები: ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ, ჩვენ სოციალური რევოლუციის მომხრენი ვართო. ეს საშიში არ არის! ეს მხოლოდ «ტიკია», «ჩვენთვის» კი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ისინი სამშობლოს თ ა ვ დ ა ც ვ ი ს მ ო მ ხ რ ე ნ ი არიანო.

ასე მსჯელობდნენ გონიერი ფრანგი და ინგლისელი ბურჟუები: თუ მძარცველურ ომში მონაწილეობას იცავენ ფრაზებით დემოკრატიაზე, სოციალიზმზე და სხვ., განა ეს მართლაც ხელსაყრელი არ არის მტაცებელი მთავრობებისათვის, იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის? განა ბატონისათვის ხელსაყრელი არ არის ჰყავდეს ლაქია, რომელიც იფიცავს და ირწმუნება ხალხის წინაშე, რომ ბატონი მთელ თავის სიცოცხლეს ანდომებს ხალხისათვის ზრუნვას და მისდამი სიყვარულს?

«რაბოჩეე უტრო» ციმერვალდს იფიცავს. ს ი ტ ყ ვ ი თ ემიჯნება პლეხანოველებს და აცხადებს (№ 2), რომ იგი «ბევრ რამეში არ ეთანხმება» მათ, ს ა ქ მ ი თ კი ეთანხმება მათ ძ ი რ ი თ ა დ შ ი, საქმით მ ი დ ი ს მათთან ერთად, თავის ბურჟუაზიასთან ერთად, შოვინისტური ბურჟუაზიის «თავდაცვითს» დაწესებულებებში.

ორგანიზაციული კომიტეტი არათუ იფიცავს ციმერვალდს, არამედ «ხელსაც აწერს» როგორც წესი და რიგია, არათუ ემიჯნება პლეხანოველებს, არამედ უშვებს აგრეთვე ვიღაც ანონიმს ა. მ. [146]-ს, რომელიც, თავის ანონიმურობას, ვით ჭიქარს, ამოფარებული, წერს: «ჩვენ, აგვისტოს ბლოკის მომხრენი» (?იქნებ, ა. მ. — ეს მთელი ორი «მომხრეა»?), «საჭიროდ ვთვლით განვაცხადოთ: ორგანიზაცია «პრიზივმა» შორს გადააბიჯა ჩვენს პარტიაში მოსათმენ ფარგლებს, როგორც ჩვენ ეს გვესმის, და «პრიზივის» ხელშემწყობი ჯგუფების წევრებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ აგვისტოს ბლოკის ორგანიზაციების რიგებში». რა მამაცები არიან «ეს მომხრენი» ა. მ., პირდაპირ პირში გახლიან სიმართლეს!

იმ ხუთი პირისაგან, ვისგანაც შესდგება ორგანიზაციული კომიტეტის «საზღვარგარეთული სამდივნო», რომელმაც გამოსცა ციტირებული კრებული, არც ერთმა არ მოისურვა ესოდენ მამაცური რამ განეცხადებინა! გამოდის, რომ მდივნების ხუთეული პლეხანოვთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგია (არც ისე დიდი ხანია პ. აქსელროდი აცხადებდა, მენშევიკი პლეხანოვი ჩემთვის ბოლშევიკ ინტერნაციონალისტებზე

უფრო მახლობელიაო), მაგრამ, რადგან მათ მუშებისა ეშინიათ და არ სურთ გაიფუჭონ «რეპუტაცია», ისინი ამჯობინებენ ამაზე გაჩუმდნენ და ამავე დროს უშვებენ ერთ თუ ორ ანონიმურ მომხრეს, რათა მათ იაფფასიანი და უწყინარი ინტერნაციონალიზმი დაიტრაბახონ...

ერთი მხრივ, ცალკე მდივნები, ა. მარტინოვი, ლ. მარტოვი, ასტროვი, ეკამათებიან «ნაშე დელოს», ხოლო მარტოვი პირადად თავისი სახელით სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის წინააღმდეგაც კი ილაშქრებს. მეორე მხრივ, ბუნდელი იონოვი, რომელიც უფრო «მემარცხენედ» თვლის თავს, ვიდრე ბუნდის ნამდვილი პოლიტიკის გამომხატველი კოსოვსკი, და რომელსაც ამიტომ ხალისით წამოსწევენ ხოლმე ბუნდელები თავისი ნაციონალიზმის დასაფარავად, ქადაგებს «ძველი ტაქტიკის შემდგომ განვითარებას» (II ინტერნაციონალის ტაქტიკისა, რამაც მისი კრახი გამოიწვია), «მაგრამ სრულიად არა მის ლიკვიდაციას». რედაქცია ათავსებს ორაზროვან, არაფრისმთქმელ, დიპლომატიურად მიკიბულ-მოკიბულ შენიშვნას იონოვის სტატიის გამო და არ ილაშქრებს მისი დ ე დ ა ა ზ რ ი ს წინააღმდეგ, იმის დაცვის წინააღმდეგ, რაც დამპალი და ოპორტუნისტულია «ძველ ტაქტიკაში». ანონიმური ა. მ.-ები, რომლებიც «ემხრობიან» აგვისტოს ბლოკს, პირდაპირ ი ც ა ვ ე ნ «ნაშა ზარიას»: მან თუმცა «გადაუხვია» ინტერნაციონალისტურ პოზიციას, მაგრამ «უკუაგდო (?) **Burgfrieden**-ის პოლიტიკა რუსეთისათვის, აღიარა ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის დაუყოვნებლივ აღდგენის აუცილებლობა და, როგორც ჩვენ» («მომხრე» ანონიმურმა ა. მ.-ებმა) «ვიცით, მოიწონა მანკოვის გარიცხვა სათათბიროს ფრაქციიდანო». საუცხოო დაცვაა! წვრილბურჟუაზიული ნაროდნიკებიც კავშირის აღდგენის მომხრენი არიან, კერენსკიც მანკოვის წინააღმდეგია, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს «ომისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობას», სამოქალაქო ზავის (**Burgfrieden**) პოლიტიკის უარმყოფელნი რომ უწოდო, — ეს ნიშნავს მუშების მოტყუებას ფუჭი სიტყვებით.

ორგანიზაციული კომიტეტის კრებულის რედაქცია, როგორც ერთი მთლიანი, გამოდის სტატიით: «სახიფათო ტენდენციები». აი პოლიტიკური თაღლითობის ნიმუში! ერთი მხრივ, მყვირალა მემარცხენე ფრაზები ობორონცულ მოწოდებათა ავტორების (მოსკოველი და პეტროგრადელი სოციალ-შოვინისტების) წინააღმდეგ. მეორე მხრივ, «ძ ნ ე ლ ი ა ი თ ქ ვ ა ს, თ უ რ ო მ ე ლ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი წ რ ე ე ბ ი დ ა ნ გ ა მ ო ვ ი დ ა ო რ ი ვ ე დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა»!! ნამდვილად კი, ოდნავი ეჭვიც არ არის, რომ ეს დეკლარაციები გამოვიდა «ნაშე დელოს» «წ რ ე ე ბ ი დ ა ნ», თუმცა ამ ლეგალური ჟურნალის თანამშრომლებს, რა თქმა უნდა, ბრალი არ მიუძღვით არალეგალური დეკლარაციის შედგენაში... ოკისტებმა ამ დეკლარაციების იდეური ფესვების, ლიკვიდატორობის, სოციალ-შოვინიზმის, «ნაშედელოელობის» მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ს თ ა ნ ამ ფესვების სრული იგივეობის საკითხი შეცვალეს უაზრო, მიკიბულ-მოკიბული საკითხით, რომელიც, გარდა პოლიციისა, არავისთვის არ არის საჭირო, — ამა თუ იმ წ რ ი ს წ ევრთა პ ი რ ა დ ი ავტორობის საკითხით. ერთი მხრივ, რედაქცია ჰქუხს და იმუქრება: შევამჭიდროოთ რიგები, აგვისტოს ბლოკის ინტერნაციონალისტებო, «ობორონცული ტენდენციებისათვის ყველაზე ენერგიული წინააღმდეგობის გასაწევად» (129), «შეურიგებელი ბრძოლისათვისო» (126); ხოლო მეორე მხრივ, იქვე, გვერდით, თაღლითური ფრაზა: «ხაზი სათათბიროს ფრაქციისა, რომელსაც მხარს უჭერს ორგანიზაციული კომიტეტი, ვერ ხვდებოდა» (დღევანდლამდე) «აშკარა ოპოზიციასო» (129)!!

ეს ხაზი კი, როგორც ეს თვითონ ავტორებმა კარგად იციან, ხაზის უქონლობაში და «ნაშე დელოს» და «რაბოჩეე უტროს» ფარულ დაცვაში მდგომარეობს...

აიღეთ კრებულის ყველაზე «მემარცხენე» და ყველაზე «პრინციპული» სტატია, დაწერილი ლ. მარტოვის მიერ. საკმარისია მოვიყვანოთ ავტორის ერთი ფრაზა, რომელიც მთავარ აზრს გამოხატავს, რათა დავრწმუნდეთ, თუ რანაირია მისი პრინციპულობა. «თავისთავად იგულისხმება, ახლან-

დელ კრიზისს დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება, რესპუბლიკა რომ მოჰყოლოდა, ომის ხასიათი ძირეულად შეიცვლებოდა» (116). ეს მთლად აშკარა სიცრუეა. მარტოვს არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ დემოკრატიული რევოლუცია და რესპუბლიკა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და რესპუბლიკაა. ბურჟუაზიულ დ ა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ დიდ სახელმწიფოთა შორის ომის ხასიათი ო დ ნ ა ვ ა დ ა ც არ შეიცვლებოდა, ერთ ამ სახელმწიფოთაგანში სწრაფად რომ აღგვილიყო სამხედრო-აბსოლუტისტურ-ფეოდალური იმპერიალიზმი, რადგან ამით კი არ გაქრებოდა, არამედ მხოლოდ გ ა ძ ლ ი ე რ დ ე ბ ო დ ა წმინდა ბურჟუაზიული იმპერიალიზმი. სწორედ ამიტომ განაცხადა ჩვენმა გაზეთმა № 47-ში, თეზისი მე-9 *, რომ რუსეთის პროლეტარიატის პარტია ამ ომში არ დაიცავს რესპუბლიკელთა და რევოლუციონერთა სამშობლოსაც კი, ვიდრე ისინი შოვინისტები არიან, როგორც პლეხანოვი, ნაროდნიკები, კაუცკი, ნაშედელოელები, ჩხეიძე, ორგანიზაციული კომიტეტი და სხვ.

და სრულიად ვერ შველის მარტოვს მიკიბულ-მოკიბული ფრაზა 118-ე გვერდის შენიშვნაში, სადაც ის, 116-ე გვერდზე, მის მიერვე ნათქვამის წინააღმდეგ, «ეჭვობს», შეუძლია თუ არა ბურჟუაზიულ დემოკრატიას აწარმოოს ბრძოლა «საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ» (რა თქმა უნდა, არ შეუძლია); «ეჭვობს», ხომ არ გადააქცევს ბურჟუაზია 1793 წლის რესპუბლიკას გამბეტას და კლემანსოს რესპუბლიკად. ძირითადი თეორიული სიყალბე აქ რჩება: 1793 წელს საფრანგეთის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი რევოლუციის მოწინავე კლასი ეომებოდა ევროპის რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ დ ე ლ მონარქიებს. 1915 წლის რუსეთი კი ეომება არა უფრო ჩამორჩენილ, არამედ უფრო მოწინავე ქვეყნებს, რომლებიც ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი რევოლუციის წინაშე დგანან. მაშასადამე, 1793 წლის იაკობინელთა როლის შესრულება 1914 — 1915 წლების

* იხ. ეს ტომი, გვ. 493. რ ე დ.

ომში შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, რომელიც მოახდენს ძლევამოსილ სოციალისტურ რევოლუციას. მაშასადამე, რუსეთის პროლეტარიატს ახლანდელ ომში შეეძლო «დაეცვა სამშობლო», შეეძლო «ომის ხასიათი ძირფესვიანად შეცვლილად» მიეჩნია მარტოოდენ იმ შემთხვევაში, თუ რევოლუცია სწორედ პროლეტარიატის პარტიას დააყენებდა ხელისუფლების სათავეში, თუ სწორედ ამ პარტიას მისცემდა საშუალებას რევოლუციური აღტყინებისა და სახელმწიფო აპარატის მთელი ძალა წარემართა გერმანიისა და ევროპის სოციალისტურ პროლეტარიატთან კავშირის დაუყოვნებლივ და უშუალოდ განხორციელებისაკენ («სოციალ-დემოკრატი», № 47, თეზისი 11) *.

მარტოვი თავის, ეფექტური ფრაზების თამაშით აღსავსე, სტატიას ამთავრებს ფრიად ეფექტური მოწოდებით «რუსეთის სოციალ-დემოკრატიისადმი»—«პოლიტიკური კრიზისის დასაწყისშივე დაიკავოს ნათელი რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური პოზიცია». თუ მკითხველი მოისურვებს შეამოწმოს, დამპალი რამ ხომ არ იმალება ამ ეფექტური აბრის ქვეშ, დაე მან დაუსვას თავისთავს კითხვა: რას ნიშნავს საერთოდ პოზიციის დაკავება პოლიტიკაში? იმას, რომ (1) მისცე, ორგანიზაციის (თუნდაც მდივნების «ხუთეულის») სახელით, მომენტისა და ტაქტიკის გაფორმებული შეფასება, მთელი რიგი რეზოლუციები; (2) მისცე მომენტის საბრძოლო ლოზუნგი; (3) დაუკავშირო ერთიცა და მეორეც პროლეტარული მ ა ს ე ბ ი ს ა და მათი შეგნებული ავანგარდის მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს. მარტოვი და აქსელროდი, «ხუთეულის» იდეური ბელადები, არათუ არ იძლევიან არც პირველს, არც მეორეს და არც მესამეს, არამედ ფაქტიურად სამივე ამ დარგში მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ ე ნ ს ო ც ი ა ლ-შ ო ვ ი ნ ი ს ტ ე ბ ს, ფარავენ მათ! ომის 16 თვის განმავლობაში ხუთ საზღვარგარეთელ მდივანს არ დაუკავებია არც «ნათელი», არც საერთოდ არავითარი პროგრამულ-ტაქტიკური პოზიცია. მარტოვი ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ

* იხ. ეს ტომი, გვ. 493. რ ე დ.

ქანაობს, აქსელროდი მხოლოდ მარჯვნივ იხრება (იხ. განსაკუთრებით მისი გერმანული ბროშურა). არაფერი ნათელი, არაფერი გაფორმებული, არაფერი ორგანიზებული, არავითარი პოზიცია! «მომენტის ცენტრალურ საბრძოლო ლოზუნგად, — წერს მარტოვი თავისი სახელით, — რუსეთის პროლეტარიატისათვის უნდა გახდეს საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელი კრება ცარიზმისა და ომის სალიკვიდაციოდ». ეს სრულიად უვარგისი, არა ცენტრალური და არა საბრძოლო ლოზუნგია, ვინაიდან იგი არ შეიცავს მთავარს, ამ ორმაგი «ლიკვიდაციის» ცნების სოციალურ-კლასობრივ და პოლიტიკურად გარკვეულ შინაარსს. ეს არის ვულგარული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფრაზა და არა ცენტრალური, არა საბრძოლო, არა პროლეტარული ლოზუნგი.

დასასრულ, მთავარ საკითხში, რუსეთის მ ა ს ე ბ თ ა ნ კავშირის სფეროში მარტოვი და მისი კომპანია იძლევიან არა თუ ნოლს, არამედ მინუსს. ვინაიდან მათ არაფერი არ გააჩნიათ. არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ მასები ჰყავს მხოლოდ ბურჟუაზიისა და «რაბოჩეე უტროს» ბლოკს, ხოლო ორგანიზაციულ კომიტეტსა და ჩხეიძის ფრაქციაზე მითითება ამ ბურჟუაზიული ბლოკის მხოლოდ ყალბი დაფარვაა.

«სოციალ-დემოკრატი» № 49,
1915 წ. 21 დეკემბერი

იბეჭდება
გაზეთ «სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი

საგულისხმოა ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა კლასისა და პარტიის დამოკიდებულება ინტერნაციონალის კრახისადმი, რაც გამოამჟღავნა 1914 — 1915 წლების ომმა. ბურჟუაზია, ერთი მხრივ, ხოტბას ასხამს, ცამდე აიყვანს ხოლმე იმ სოციალისტებს, რომლებიც მხარს უჭერენ «სამშობლოს დაცვას», ე. ი. მხარს უჭერენ ომს და ბურჟუაზიისათვის დახმარების გაწევას. მეორე მხრივ, ბურჟუაზიის უფრო გულახდილი ან ნაკლებ დიპლომატიური წარმომადგენლები ბოროტად ხითხითებენ ინტერნაციონალის კრახის, სოციალიზმის «ილუზიების» კრახის გამო. «სამშობლოს დამცველ» სოციალისტთა შორის იგივე ორი ნაირსახეობაა: «უკიდურესნი», მაგალითად, გერმანელები ვ. კოლბი და ვ. ჰაინე, აღიარებენ ინტერნაციონალის კრახს, ამ კრახში ბრალს სდებენ «რევოლუციურ ილუზიებს» და ისწრაფვიან აღადგინონ კიდევ უფრო ოპორტუნისტული ინტერნაციონალი. მაგრამ პრაქტიკულად ისინი უერთდებიან «სამშობლოს» იმ ტიპის «ზომიერ» და ფრთხილ სოციალისტ «დამცველებს», როგორიც არიან კაუცკი, რენოდელი, ვანდერველდე, რომლებიც დაჟინებით უარყოფენ ინტერნაციონალის კრახს, თვლიან მას დროებით შეჩერებულად, იცავენ სწორედ II ინტერნაციონალის სიცოცხლისუნარიანობასა და არსებობის უფლებას. სხვადასხვა ქვეყნის რევოლუციური სოციალ-დემოკრატები აღიარებენ II ინტერნაციონალის კრახს და მესამე ინტერნაციონალის შექმნის აუცილებლობას.

რათა გადავწყვიტოთ, თუ ვინ არის მართალი, ავიღოთ ისტორიული დოკუმენტი, რომელიც სწორედ ამ ომს ეხება და ერთხმად არის ხელმოწერილი, ამასთან ოფიციალურად მსოფლიოს ყ ვ ე ლ ა სოციალისტური პარტიის მიერ. ეს დოკუმენტია ბაზელის 1912 წლის მანიფესტი. საგულისხმოა, რომ თეორიაში ვერც ერთი სოციალისტი ვერ გაბედავს უარყოს ცალკე თვითეული ომის კონკრეტულ-ისტორიული შეფასების აუცილებლობა. მაგრამ ახლა ვერავინ, გარდა მცირერიცხოვანი «მემარცხენე» სოციალ-დემოკრატებისა, ვერ ბედავს ვერც პირდაპირ, აშკარად, გარკვევით უარყოს ბაზელის მანიფესტი, მცდარად გამოაცხადოს იგი, ვერც იმას, რომ კეთილსინდისიერად გაუკეთოს მას ანალიზი, შეადაროს მისი დებულებანი სოციალისტების მოქმედებას ომის დაწყების შემდეგ.

რატომაა ეს? იმიტომ, რომ ბაზელის მანიფესტი ულმობლად ამხილებს ოფიციალური სოციალისტების უმრავლესობის მსჯელობისა და მოქმედების მთელ სიყალბეს. ეს მანიფესტი ე რ თ ს ი ტ ყ ვ ა ს ა ც არ ამბობს არც «სამშობლოს დაცვაზე», არც შეტევითი და თავდაცვითი ომის განსხვავებაზე!! კ რ ი ნ ტ ი ც ა რ ა რ ი ს დ ა ძ რ უ ლ ი იმაზე, რაზეც ყველაზე მეტად ლაპარაკობენ, ყვირიან და გოდებენ როგორც გერმანიის, ისე ოთხთა შეთანხმების სოციალ-დემოკრატიის ოფიციალური ბელადები. ბაზელის მანიფესტი სავსებით ზუსტად, ნათლად, გარკვეულად აფასებს ინტერესთა სწორედ იმ კონკრეტულ კონფლიქტებს, რომლებსაც მივყავდით ომისაკენ 1912 წელს და რომლებმაც მიგვიყვანეს ომამდე 1914 წელს. მანიფესტი ამბობს, რომ ეს არის კონფლიქტები «კაპიტალისტური იმპერიალიზმის» ნიადაგზე, კონფლიქტები ავსტრიისა და რუსეთისა «ბალკანეთში ბატონობისათვის», ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიისა «მცირე აზიაში» მათი (ყ ვ ე ლ ა მათი!) «დაპყრობითი პოლიტიკის» გამო, ავსტრიისა და იტალიისა იმ მისწრაფებათა გამო, რომ «ჩაითრიონ ალბანეთი თავიანთი გავლენის სფეროში», დაუმორჩილონ იგი თავიანთ «ბატონობას», ინგლისისა და გერმანიისა მათი საერთო «ანტა-

გონიზმის» გამო, შემდეგ «ცარიზმის მიერ სომხეთის, კონსტანტინეპოლის ხელყოფის გამო და სხვ.». ყველა ხედავს, რომ ეს მთლიანად ეხება სწორედ ახლანდელ ომს. ამ ომის წმინდა დაპყრობითი, იმპერიალისტური, რეაქციული, მონათმფლობელური ხასიათი ცხადზე უცხადესად აღიარებულია მანიფესტში, რომელმაც გარდუვალი დასკვნაც გააკეთა: ომი არ შეიძლება «გამართლებულ იქნას რაიმე სახალხო ინტერესის სულ მცირედი საბაბით», ომი მზადდება «კაპიტალისტთა მოგებისა და დინასტიების პატივმოყვარეობის გულისათვის»; მუშების მხრივ «დანაშაული» იქნება «ერთმანეთს დაუშინონ ტყვია».

ეს დებულებანი შეიცავენ ყოველივე არსებითს, რაც აუცილებელია ორი დიდი ისტორიული ეპოქის ძირეული განსხვავების გასაგებად. ერთია 1789 — 1871 წლების ეპოქა, როდესაც ომები ევროპაში მეტწილად, უეჭველია, დაკავშირებული იყო უ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს «სახალხო ინტერესთან», სახელდობრ: ძლიერ ბურჟუაზიულ-პროგრესულ, ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელიც მილიონებს ეხებოდა, ფეოდალიზმის, აბსოლუტიზმის, უცხოელთა უღლის დანგრევასთან. ამ და მხოლოდ ამ ნიადაგზე წარმოიშვა «სამშობლოს დაცვის» ცნება, განთავისუფლების გზაზე შემდგარი ბურჟუაზიული ერის დაცვა შუასაუკუნეობრიობის წინააღმდეგ. მხოლოდ ამ აზრით ცნობდნენ სოციალისტები «სამშობლოს დაცვას». და ახლაც არ შეიძლება ა მ ა ზ რ ი თ ი ა ვ ი ც ნ ო თ ი გ ი, მაგალითად, სპარსეთის ან ჩინეთის დაცვა რუსეთისა თუ ინგლისისაგან, თურქეთის დაცვა გერმანიისა თუ რუსეთისაგან, ალბანეთის დაცვა ავსტრიისა და იტალიისაგან და ა. შ.

1914 — 1915 წლების ომი, როგორც ეს ნათლად არის ნათქვამი ბაზელის მანიფესტში, სრულიად სხვა ისტორიულ ეპოქას ეკუთვნის, სრულიად სხვა ხასიათისაა. ეს არის ომი მტაცებლებს შორის ნადავლის გაყოფისათვის, სხვა ქვეყნების დამონებისათვის. რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის გამარჯვებას მოყვება სომხეთის, მცირე აზიის და სხვათა დახრჩობა — ეს ნ ა თ ქ ვ ა მ ი ა ბაზელის მანიფესტში.

ვერმანიის გამარჯვებას — მცირე აზიის, სერბიის, ალბანეთის და სხვათა დახრჩობა. ეს ნათქვამია იქვე, ეს აღიარა ყველა სოციალისტმა! ყალბი, უაზრო და თვალთმაქცურია ყოველი ფრაზა თავდაცვითს ომზე ან სამშობლოს დაცვაზე დიდი სახელმწიფოების (წაიკითხეთ: დიდი მტაცებლების) მხრივ, რომლებიც ომობენ მსოფლიოზე ბატონობისათვის, ბაზრებისა და «გავლენის სფეროებისათვის», ხალხთა დამონებისათვის! გასაკვირი არ არის, რომ «სოციალისტებს», რომლებიც აღიარებენ სამშობლოს დაცვას, ეშინიათ გაიხსენონ ბაზელის მანიფესტი და ზუსტად მოიყვანონ ციტატები იქიდან, რადგან ეს მანიფესტი ააშკარავებს მათს თვალთმაქცობას. ბაზელის მანიფესტი ამტკიცებს, რომ სოციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ აღიარონ «სამშობლოს დაცვა» 1914 — 1915 წლების ომში, მხოლოდ სიტყვით არიან სოციალისტები, საქმით კი შოვინისტები არიან. ისინი სოციალ-შოვინისტები არიან.

თუ ვაღიარებთ, რომ ომი ნაციონალური განთავისუფლების ინტერესებთან არის დაკავშირებული, აქედან გამომდინარეობს სოციალისტების ერთი ტაქტიკა. თუ ვაღიარებთ, რომ ომი იმპერიალისტური, დაპყრობითი, მტაცებლურია, აქედან გამომდინარეობს სხვა ტაქტიკა. და ბაზელის მანიფესტმა ნათლად მოხაზა ეს სხვა ტაქტიკა. ომი გამოიწვევს «ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს», — ამბობს ის. ეს კრიზისი უნდა «გამოვიყენოთ კაპიტალის ბატონობის დაცემის დასაჩქარებლად»: ამ სიტყვებით აღიარებულია, რომ სოციალური რევოლუცია მომწიფდა, რომ იგი შესაძლებელია, რომ იგი იფეთქებს ომთან დაკავშირებით. «გაბატონებულ კლასებს» ეშინიათ «პროლეტარული რევოლუციისა», — ამბობს მანიფესტი და პირდაპირ იმოწმებს კომუნისა და 1905 წლის მაგალითს, ე. ი. რევოლუციების, გაფიცვების, სამოქალაქო ომის მაგალითებს. ცრუობენ ისინი, ვინც ამბობს, სოციალისტებს «არ განუხილავთ», «არ გადაუწყვეტიათ» ომისადმი დამოკიდებულების საკითხიო. ბაზელის მანიფესტმა

გადაწყვიტა ეს ტაქტიკა: პროლეტარულ-რევოლუციური მოქმედებისა და სამოქალაქო ომის ტაქტიკა.

შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ბაზელის მანიფესტი ფუჭი დეკლამაციაა, კაზიონური ფრაზაა, არასერიოზული მუქარაა. ვისაც ეს მანიფესტი ამხილებს, ისინი მზად არიან ასე განაცხადონ! მაგრამ ეს მართალი არ არის! ბაზელის მანიფესტი არის II ინტერნაციონალის მთელი ეპოქის, 1889 — 1914 წლების ეპოქის, უზარმაზარი პროპაგანდისტული და სააგიტაციო მასალის შენაჯამი. ეს მანიფესტი აჯამებს, გაუზვიადებლად, ყველა ქვეყნის სოციალისტთა მილიონობითა და მილიონობით პროკლამაციებს, საგაზეთო სტატიებს, წიგნებს, სიტყვებს. ამ მანიფესტის შეცდომად გამოცხადება იმას ნიშნავს, რომ შეცდომად გამოაცხადო მთელი II ინტერნაციონალი, სოციალ-დემოკრატიული პარტიების მრავალი ათეული წლის მუშაობა. ბაზელის მანიფესტის უარყოფა სოციალიზმის მთელი ისტორიის უარყოფას ნიშნავს. ბაზელის მანიფესტი არაფერს ამბობს რაიმე განსაკუთრებულს, რაიმე ექსტრაორდინარულს. ის იძლევა იმას და მხოლოდ იმას, რითაც სოციალისტები მიუძღოდნენ მასებს: «მშვიდობიანი» მუშაობის აღიარებას პროლეტარული რევოლუციის მომზადებად. ბაზელის მანიფესტმა გაიმეორა ის, რასაც ამბობდა 1899 წლის კონგრესზე გედი, რომელიც დასცინოდა სოციალისტების მინისტერიალიზმს ბაზრებისათვის ომის, «brigandages capitalistes» * შემთხვევაში («En garde!», გვ. 175 — 176), ან კაუცკი 1909 წელს წიგნში «გზა ძალაუფლებისაკენ», როცა აღნიშნავდა «მშვიდობიანი ეპოქის» დასასრულს, ომებისა და რევოლუციების, ძალაუფლებისათვის პროლეტარიატის ბრძოლის ეპოქის დადგომას.

ბაზელის მანიფესტი აუცილებლად ამტკიცებს სოციალიზმისადმი სრულ ღალატს იმ სოციალისტების მხრივ, რომლებმაც ხმა მისცეს კრედიტებს, შევიდნენ სამინისტროში და აღიარებენ სამშობლოს დაცვას 1914 — 1915 წლებში.

* — «კაპიტალისტური აჩაღობა». რედ.

ღალატის ფაქტი უდავოა. ამის უარყოფა მხოლოდ თვალთმაქცებს შეუძლიათ. საკითხი მხოლოდ ის არის, თუ როგორ უნდა ა ი ხ ს ნ ა ს ეს ღალატი.

უაზრო, არამეცნიერული, სასაცილო იქნებოდა საქმე აგვეხსნა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ე ბ ი თ, დაგვემოწმებინა კაუცკი, გედი, პლეხანოვი (ასეთი ადამიანებიც «კი»!). ეს უბადრუკი ფანდია. სერიოზული ახსნა მოითხოვს მოცემული პოლიტიკის ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მნიშვნელობის განხილვას, შემდეგ მისი ძირითადი ი დ ე ე ბ ი ს ანალიზს, დასასრულ, სოციალიზმში არსებულ მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა თ ა ისტორიის შესწავლას.

რა შეადგენს 1914 — 1915 წლების ომში «სამშობლოს დაცვის» ე კ ო ნ ო მ ი უ რ დედაარსს? პასუხი უკვე მოცემულია ბაზელის მანიფესტში. ომს აწარმოებს ყ ვ ე ლ ა დიდი სახელმწიფო მსოფლიოს გაძარცვისა და გაყოფისათვის, ბაზრებისათვის, ხალხთა დამონებისათვის. ბურჟუაზიისათვის ეს ნიშნავს მოგების გადიდებას. მუშათა ბიუროკრატიისა და არისტოკრატიის მცირე ფენას, შემდეგ წვრილ ბურჟუაზიას (ინტელიგენცია და სხვ.), რომელიც «მიემხრო» მუშათა მოძრაობას, ეს პირდება ამ მოგების ნ ა მ ც ე ც ე ბ ს. «სოციალ-შოვინიზმისა» (ეს ტერმინი უფრო ზუსტია, ვიდრე სოციალ-პატრიოტიზმი, უკანასკნელი აფერადებს ბოროტებას) და ოპორტუნიზმის ეკონომიური საფუძველი ერთი და იგივეა: მუშათა მოძრაობის «ზედა წრეების» უმნიშვნელო ფენის კავშირი «თავის» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის მასის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ბურჟუაზიის მ ს ა ხ უ რ თ ა კავშირი ბურჟუაზიასთან იმ კ ლ ა ს ი ს წინააღმდეგ, რომლის ექსპლოატაციასაც ბურჟუაზია ეწევა. სოციალ-შოვინიზმი არის დასრულებული ოპორტუნიზმი.

სოციალ-შოვინიზმისა და ოპორტუნიზმის პოლიტიკური შინაარსი ერთი და იგივეა: კლასების თანამშრომლობა, პროლეტარიატის დიქტატურაზე ხელისაღება, რევოლუციური მოქმედების უარყოფა, ბურჟუაზიული ლეგალობის წინაშე ქედის მოხრა, უნდობლობა პროლეტარიატისადმი, ნდობა ბურჟუაზიისადმი. იგივე პოლიტიკური იდეები. ტაქტიკის

იგივე პოლიტიკური შინაარსი. სოციალ-შოვინიზმი არის მილიერანიზმის, ბერნშტეინელობის, ინგლისური ლიბერალური მუშათა პოლიტიკის პირდაპირი გაგრძელება და დამთავრება, მათი ჯამი, მათი დასკვნა, მათი შედეგი.

სოციალიზმში არსებულ ორ ძირითად მიმართულებას, ოპორტუნისტულსა და რევოლუციურს, ჩვენ ვხედავთ 1889—1914 წლების მთელი ეპოქის მანძილზე. ახლაც ორი მიმართულებაა სოციალიზმისადმი დამოკიდებულების საკითხში. უკუაგდეთ ბურჟუაზიული და ოპორტუნისტი მატყუარების მანერა, რომლებიც პ ი რ ო ვ ნ ე ბ ებ ს იმოწმებენ; აიღეთ მ ი მ ა რ თ უ ლ ებ ა ნ ი მთელ რიგ ქვეყნებში. ვიღებთ ევროპის 10 ქვეყანას: გერმანიას, ინგლისს, რუსეთს, იტალიას, ჰოლანდიას, შვეიცას, ბულგარეთს, შვეიცარიას, ბელგიასა და საფრანგეთს. პირველ 8 ქვეყანაში ოპორტუნისტულ და რევოლუციურ მ ი მ ა რ თ უ ლ ებ ებ ად დაყოფა შეესაბამება სოციალ-შოვინისტებად და რევოლუციურ ინტერნაციონალისტებად დაყოფას. სოციალ-შოვინიზმის ძირითად ბ ი რ თ ვ ს,— სოციალური, პოლიტიკური აზრით, — შეადგენენ «**Sozialistische Monatshefte**» * და მისი კომპანიაგერმანიაში, ფაბიანელები და მუშათა პარტია ინგლისში (დამოუკიდებელ მუშათა პარტიას მათთან ბ ლ ო კ ი ჰქონდა შეკრული, და ამ ბლოკში გაცილებით მეტია სოციალ-შოვინიზმის გავლენა, ვიდრე ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიაში, სადაც დაახლოებით 3/7 ინტერნაციონალისტები არიან: 66 და 84), «ნაშა ზარია» და ორგანიზაციული კომიტეტი (და «ნაშე დელო») რუსეთში, ბისოლატის პარტია იტალიაში, ტრულსტრის პარტია ჰოლანდიაში, ბრანტინგი და მისი კომპანია შვეიცაში, «შიროკიე» ბულგარეთში, გრეილიხი და «მისი» კაცები ** შვეიცარიაში. სწორედ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს შორის ყ ვ ე ლ ა ამ ქვეყანაში უკვე გაისმა მეტად თუ ნაკლებად მკვეთრი პროტესტი სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ. გამონაკლისია

* — «სოციალისტური ყოველთვიური». რ ე დ.

** ხელნაწერში სიტყვის «კაცების» ზევით ლენინს წარწერილი აქვს «ფრთა». რ ე დ.

2 ქვეყანა 10-დან, მაგრამ ამ ქვეყნებშიც არ შეიძლება ითქვას, რომ ინტერნაციონალისტები არ იყვნენ, მაგრამ ისინი ს უ ს ტ ნ ი არიან; აქ ჩვენ საქმე უფრო გვაქვს არა იმასთან, რომ ფაქტები არ არსებობდეს, არამედ იმასთან, რომ ძათ არ იცნობენ (ვალიანი აღიარებდა, მომდიოდა ინტერნაციონალისტების წერილები, მაგრამ არ ვბეჭდავდიო).

სოციალ-შოვინიზმი არის დასრულებული ოპორტუნიზმი. ეს უდავოა. კავშირი ბურჟუაზიასთან იდეური, ფარული იყო. იგი აშკარა, ტლანქი გახდა. სოციალ-შოვინიზმს ძალა მისცა სწორედ ბურჟუაზიასთან და გენერალურ შტაბებთან კავშირმა. ცრუობენ ისინი, ვინც ამბობს (**Kautsky** მათ შორის), პროლეტართა «მასები» შოვინიზმისაკენ შებრუნდნენო: მასები არსად ა რ ყ ო ფ ი ლ ა ნ დაკითხულნი (იქნებ, იტალიის გამოკლებით — 9 თვის დავა ომის გამოცხადებამდე! — იტალიაში კი მასები ბისოლატის პარტიის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი იყვნენ). მასები გააბრუა, დააბეჩავა, გააცალკევა, დათრგუნა სამხედრო მდგომარეობამ. თავისუფლად ხმას აძლევდნენ მ ხ ო ლ ო დ ბელადები — ხმას აძლევდნენ ბურჟუაზიის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ პროლეტარიატის წინააღმდეგ! სასაცილოა და უხიაკობაა ოპორტუნიზმის მიჩნევა შ ი ნ ა პარტიულ მოვლენად! ყველა მარქსისტი, გერმანიაშიც, საფრანგეთშიც და სხვ., ყოველთვის ამბობდა და ამტკიცებდა, რომ ოპორტუნიზმი არის პროლეტარიატზე ბურჟუაზიის გავლენის გამოხატულება, არის ბურჟუაზიული მუშათა პოლიტიკა, არის პროლეტარებთან ახლო მდგომი ელემენტების უმნიშვნელო ნაწილის კავშირი ბურჟუაზიასთან. და ოპორტუნიზმი, რომელიც ათეული წლობით მწიფდებოდა «მშვიდობიანი» კაპიტალიზმის პირობებში, მომწიფდა 1914 — 1915 წლებისათვის ისე, რომ ბურჟუაზიის აშკარა მოკავშირე გახდა. ოპორტუნიზმთან ერთიანობა ეს არის პროლეტარიატის ერთიანობა თავის ნაციონალურ ბურჟუაზიასთან, ე. ი. დამორჩილება მისდამი, ეს არის ინტერნაციონალური რევოლუციური მუშათა კლასის გათიშვა. ეს არ ნიშნავს, რომ სასურველი ან თუნდაც მხოლოდ შესაძლებელი იყოს დაუყოვნებლივი გათიშვა ოპორტუნის-

ტებთან ყველა ქვეყანაში: ეს ნიშნავს, რომ გათიშვა ისტორიულად მომწიფდა, გარდუვალი და პროგრესული, პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლისათვის აუცილებელი გახდა, რომ ისტორია, რომელიც შებრუნდა «მშვიდობიანი» კაპიტალიზმიდან იმპერიალიზმისაკენ, შებრუნდა ასეთი გათიშვისაკენ. **Volentem ducunt fata, nolentem trahunt** *.

ყველა ქვეყნის ბურჟუაზია, უწინარეს ყოვლისა კი მეომარი ქვეყნებისა, ომის დაწყებიდან სავსებით გაერთიანდა იმ სოციალისტების შექებაში, რომლებიც აღიარებენ «სამშობლოს დაცვას», ე. ი. ბურჟუაზიის მძარცველური ინტერესების დაცვას იმპერიალისტურ ომში პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. შეხედეთ, როგორ იკვლევს გზას საერთაშორისო ბურჟუაზიის ეს ძირითადი და ყველაზე არსებითი ინტერესი, როგორ პოულობს იგი გამოხატულებას სოციალისტური პარტიების შ ი გ ნ ი თ, მუშათა მოძრაობის შ ი გ ნ ი თ. გერმანიის მაგალითი აქ განსაკუთრებით საგულისხმოა, რადგან ამ ქვეყანაში II ინტერნაციონალის ეპოქამ შექმნა ყველაზე ძლიერი პარტია, მაგრამ სხვა ქვეყნებშიც ჩვენ ვხედავთ საკვსებით და მთლიანად ი მ ა ს ვ ე, რასაც გერმანიაში, ოღონდ ფორმის, სახის, გარეგნობის სულ უმნიშვნელო განსხვავებით.

1915 წლის აპრილში კონსერვატიულმა გერმანულმა ჟურნალმა «**Preussische Jahrbücher**»-მა** მოათავსა სტატია ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ს ა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრისა, რომელიც ამოეფარა **Monitor**-ის ფსევდონიმს. და ამ ოპორტუნისტმა წამოაყრანტალა სიმართლე, აშკარად თქვა ის, თუ რა არის დ ე დ ა ა რ ს ი მ თ ე ლ ი მსოფლიო ბურჟუაზიის პოლიტიკისა XX საუკუნის ეუშათა მოძრაობის მიმართ. ამ მოძრაობის უკვე აღარც თავიდან მოშორება შეიძლება, აღარც უხეში ძალით დათრგუნვა. იგი უნდა გახრწნა შიგნიდან, რისთვისაც უნდა მ ო ი ს ყ ი დ ო მისი ზედაფენა. სწორედ ასე იქცეოდა უკვე ათეული წლების

* ლათინური ანდაზა, სიტყვასიტყვით: ბედისწერას მიჰყავს ის, ვისაც სურს იაროს, და მიათრევს მას, ვინც ჯიუტობს. რ ე დ.

** — «პრუსიის წელიწდეული». რ ე დ.

განმავლობაში ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზია, რომელიც ყიდულობდა ტრედ-უნიონების ბელადებს, მილიერანებს, ბრიანებს და მათ კომპანიას. სწორედ ასე იქცევა ახლა გერმანიის ბურჟუაზიაც. სოციალ-დემოკრატიული პარტია, — ამბობს **Monitor**-ი ბურჟუაზიის თვალწინ (არსებითად კი — ბურჟუაზიის ს ა ხ ე ლ ი თ) — «ჩინებულად» იქცევა ომის დროს (ე. ი. ჩინებულად ე მ ს ა ხ ურ ე ბ ა ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ). სოციალ-დემოკრატიული პარტიის ნაციონალურ-ლიბერალურ მუშათა პარტიად «გადაგვარების პროცესი» დიდებულად მიდის წინ. **მაგრამ სახიფათო** იქნებოდა ბურჟუაზიისათვის, ეს პარტია რომ **გამემარჯვენებულიყო:** «მან უნდა შეინარჩუნოს სოციალისტური იდეალების მქონე მუშათა პარტიის ხასიათი. კინაიდან იმ დღეს, როდესაც იგი ამაზე უარს იტყვის, წარმოიშვება ახალი პარტია, რომელიც შეითვისებს იმ პროგრამას. რაც ძველმა, წინანდელმა პარტიამ უარყო, და კიდევ უფრო რადიკალურ ფორმულირებას მისცემს მას» (**«Pr. J.»** 1915 წ. № 4, 50 — 51).

ამ სიტყვებში აშკარად გამოთქმულია ის, რასაც ყოველთვის და ყველგან ფარულად აკეთებდა ბურჟუაზია. მასებს ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა თ «რადიკალური» ს ი ტ ყ ვ ე ბ ი, რათა მასებს სჯეროდეთ მათი. ოპორტუნისტები მზად არიან თვალთმაქცურად გაიმეორონ ასეთი სიტყვები. მათთვის სასარგებლოა, საჭიროა ი ს ე თ ი პარტიები, როგორიც იყვნენ II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიები, კინაიდან მათ წარმოშვეს ბურჟუაზიის დ ა ც ვ ა სოციალისტების მიერ 1914 — 1915 წლების კრიზისში! **სავსებით** იმავე პოლიტიკას, როგორც გერმანელი **Monitor**-ი, ეწევიან ფაბიანელები და ტრედ-უნიონთა ლიბერალური ბელადები ინგლისში, ოპორტუნისტები და ჟორესისტები საფრანგეთში. **Monitor**-ი გულახდილი ანუ ცინიკური ოპორტუნისტია. შეხედეთ მეორე ნაირსახეობას, შენიღბულ ანუ «პატიოსან» ოპორტუნისტს. (ენგელსმა სამართლიანად თქვა

ერთხელ, «პატიოსანი» ოპორტუნისტები ყველაზე საშიშნი არიან მუშათა მოძრაობისათვის). ასეთების ნიმუშია კაუცკი.

«N. Z.»-ის შე-9 ნომერში, 1915 წ. 26/XI ის წერს, რომ ოფიციალური პარტიის უმრავლესობა არღვევს პარტიის პროგრამას (თვითონ კაუცკი იცავდა ამ უმრავლესობის პოლიტიკას ომის დაწყებიდან მთელი წლის განმავლობაში და ამართლებდა სიცრუეს «სამშობლოს დაცვის» შესახებ!). «ოპოზიცია უმრავლესობის წინააღმდეგ იზრდება» (272). («Die Opposition gegen die Mehrheit im Wachsen ist»). მასები «ოპოზიციურად არიან განწყობილნი» («oppositionnel»). «Nach dem Kriege»... (nur n a c h dem Kriege?)... «werden die Klassengegensätze sich so verschärfen, dass der Radikalismus in den Massen die Oberhand gewinnt» (272)... Es «droht uns nach dem Kriege» (nur n a c h dem Kriege?) «die Flucht der radikalen Elemente aus der Partei u. ihr Zustrom zu einer Richtung antiparlamentarischen» (?? soll heissen: ausserparlamentarischen) «Massenaktionen»... «So zerfällt unsere Partei in zwei Extreme, die nichts Gemeinsames haben» *.

კაუცკის სურს წარმოადგენდეს ცენტრს. შეარიგოს ეს «2 უკიდურესობა», «რ ო მ ლ ე ბ ს ა ც **საერთო არაფერი აქვთ** ე რ თ მ ა ნ ე თ თ ა ნ»!! ის აღიარებს ახლა (ომის დაწყებიდან 16 თვის შემდეგ), რომ მასები რევოლუციურად არიან განწყობილნი. და, იქვე გმობს რა რევოლუციურ მოქმედებას, უწოდებს რა მას «Abenteuer» «in den Strassen» (S. 272) **, კაუცკის სურს «შეარიგოს» რევოლუ-

* — «ომის შემდეგ»... (მხოლოდ ომის შ ე მ დ ე გ?)... «კლასობრივი წინააღმდეგობანი ისე გამწვავდება, რომ მასებში უპირატესობა რადიკალიზმის მხარეზე აღმოჩნდება» (272)... «ჩვენ გვემუქრება ომის შემდეგ» (მხოლოდ ომის შ ე მ დ ე გ?) «რადიკალური ელემენტების გაქცევა პარტიიდან და მათი შეერთება პარლამენტსაწინააღმდეგო» (?? უნდა თქმულიყო: პარლამენტგარეშე) «მასობრივი მოქმედების მომხრეებთან»... «ამრიგად, ჩვენი პარტია იყოფა ორ უკიდურეს ბანაკად, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ერთმანეთთან». რ ე დ.

** — «ქუჩის ავანტიურებს». რ ე დ.

ციური მასები ოპორტუნისტ-წინამძღოლებთან, «რომლებსაც მათთან საერთო არაფერი აქვთ» — შეარიგოს **რით?** სიტყვებით! რაიხსტაგის «მემარცხენე» უმცირესობის «მემარცხენე» სიტყვებით!! დაე უმცირესობამ დაგმოს, როგორც კაუცკიმ, რევოლუციური მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, უწოდოს მას ა ვ ა ნ ტ ი უ რ ა, მაგრამ კვებოს მასები მემარცხენე ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ — და მაშინ პარტიაში ერთიანობა და მშვიდობა იქნება... ზიუდეკუმებთან, ლეგინებთან, დავიდებთან, Monitor-ებთან!!

ეს ხომ მთლიანად Monitor-ის პროგრამაა, ბურჟუაზიის პროგრამაა, ოღონდ «კეთილი ხმით», «მოშაქრული ფრაზებით» გამოთქმული!! და ამ პროგრამას ატარებდა აგრეთვე Wurm-ი, როდესაც რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 1915 წლის 18/III სხდომაზე er «warnte die Fraktion den Bogen zu überspannen; in den Arbeitermassen wachse die Opposition gegen die Fraktionstaktik; es gelte, beim marxistischen Zentrum zu verharren». (S. 67 «Klassenkampf gegen den Krieg! Material zum «Fall Liebknecht»». Als Manuskript gedruckt *.)

დაიხსომეთ რომ, აქ მთელი «მარქსისტული ცენტრის» (კაუცკისა მათ შორის) სახელით აღიარებულია, რომ მასები რევოლუციურად არიან განწყობილნი! და ეს 1915 წ. 18/III !!! 8½ **თ ვ ი ს შ ე მ დ ე გ,** 1915 წ. 26/XI კაუცკი ისევ იძლევა წინადადებას — დამშვიდებულ იქნენ რევოლუციური მასები მემარცხენე სიტყვებით!!

კაუცკის ოპორტუნიზმი Monitor-ის ოპორტუნიზმისაგან განსხვავდება მხოლოდ სიტყვებით, მხოლოდ ელფერით, მხოლოდ ხერხებით, რომლებითაც უნდა მიაღწიონ ე რ თ მიზანს: შ ე ი ნ ა რ ჩ უ ნ ო ნ ოპორტუნისტების (ე. ი. ბურჟუაზიის) გავლენა მასებზე, შეინარჩუნონ პროლეტარიატის დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა ოპორტუნისტებისადმი (ე. ი. ბურ-

* — ის «აფრთხილებდა ფრაქციას არ გადაეღუნა ჯოხი; მუშათა მასებში იზრდება ოპოზიცია ფრაქციის ტაქტიკის წინააღმდეგ; საჭიროა დავეყრდნოთ მარქსისტულ ცენტრს». (გვ. 67 «კლასობრივი ბრძოლა ომის წინააღმდეგ! მასალა «ლიბკნეხტის საქმისათვის»». ხელნაწერის უფლებით). რ ე დ.

ჟუაზიისადმი)!! პანეკუკმა და გორტერმა ძალიან მოსწრებულად უწოდეს კაუცკის პოზიციას «პასიური რადიკალიზმი» (**verbiage** *, როგორც იტყვიან ფრანგები, რომლებმაც ჩინებულად შეისწავლეს რევოლუციურობის **ეს** ნაირსახეობა თავისი «მშობლიური» ნიმუშებით!!). მაგრამ მე ვამჯობინებდი ამისათვის მეწოდებინა შენიღბული, გაუბედავი, თვალთმაქცური, მოთაფლული ოპორტუნიზმი.

არსებითად სოციალ-დემოკრატიის 2 მიმართულება ახლა ერთმანეთისაგან განსხვავდება სრულიადაც არა სიტყვებით და ფრაზებით. «სამშობლოს დაცვის» (ე. ი. ბურჟუაზიის მძარცველობის დაცვის) შეერთებაში ფრაზებთან სოციალიზმის, ინტერნაციონალიზმის, ხალხთა თავისუფლების და სხვათა შესახებ ვანდერველდე, რენოდელი, სამბა, ჰაინდმანი, ჰენდერსონი, ლოიდ-ჯორჯი არ ჩამოუვარდებიან ლეგინს, ზიუდეკუმს, კაუცკისა და ჰაზეს! ნამდვილი განსხვავება იწყება სწორედ ახლანდელ ომში სამშობლოს დაცვის სრული უარყოფიდან, ამ ომთან დაკავშირებით, მის დროს და მის შემდეგ რევოლუციური მოქმედების აღიარებიდან. და ამ, ერთადერთ სერიოზულ, ერთადერთ საქმიან საკითხში კაუცკი, კოლბი და ჰაინე ერთად არიან.

შეადარეთ ერთმანეთს ფაბიანელები ინგლისში და კაუცკიანელები გერმანიაში. პირველნი თითქმის ლიბერალები არიან, რომელნიც არასოდეს არ ცნობდნენ მარქსიზმს. ენგელსი ფაბიანელების შესახებ წერდა 1893 წ. 18 იანვარს: ...«ხროვა კარიერისტებისა, რომლებიც საკმაოდ გონიერნი არიან, რომ ესმოდეთ სოციალური გადატრიალების გარდუვალობა, მაგრამ რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ სურთ მიანდონ ეს უზარმაზარი სამუშაო მარტოოდენ მოუმწიფებელ პროლეტარიატს... მათი ძირითადი პრინციპია შიში რევოლუციის წინაშე»... და 1893 წ. 11 ნოემბერს: «ქედმაღალი ბურჟუები, რომლებიც მოწყალებით უყურებენ პროლეტარიატს, რომ ზემოდან გაათავისუფლონ იგი, თუ კი პროლეტარიატი მოისურვებდა იმის გაგებას, რომ ასეთ უფერულ, გაუნათლებელ

* — ყბედობა. რ ე დ.

მასას არ შეუძლია თავი გაითავისუფლოს და არ შეუძლია რაიმეს მიაღწიოს ამ ჭკვიანი ადვოკატების, ლიტერატორებისა და სენტიმენტალური დიაცების მოწყალების გარეშე»... [147] რა შორს არიან მათგან კაუცკიანელები თავისი «თეორიით»! პრაქტიკაში კი, ომისადმი დამოკიდებულებაში, ერთნიც და მეორენიც ს ა ვ ს ე ბ ი თ თ ა ნ ა ე მ თ ხ ვ ე ვ ი ა ნ! აი თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ როგორ გამოიფიტა მთელი მარქსიზმი კაუცკიანელებში, როგორ გადაიქცა იგი მკვდარ ასოდ, თვალთმაქცურ ფრაზად.

თუ რა აშკარა სოფიზმებით უარყოფდნენ კაუცკიანელები ომის დაწყების შემდეგ რევოლუციური პროლეტარული მოქმედების ტაქტიკას, რომელიც ერთხმად მიღებული იყო სოციალისტების მიერ ბაზელში, შეგვიძლია დავინახოთ შემდეგი **მაგალითებიდან**. კაუცკიმ წამოაყენა «ულტრა-იმპერიალიზმის» თეორია. ამაში ის გულისხმობდა «ნაციონალური ფინანსური კაპიტალების ურთიერთი ბრძოლის» შეცვლას «მსოფლიოს საერთო ექსპლოატაციით ინტერნაციონალურად გაერთიანებული ფინანსური კაპიტალის მიერ» (**«N. Z.» № 5, 1915 წ. 30/IV, S. 144**). ამასთან თვითონ კაუცკი დასძენდა: «შეიძლება თუ არა განხორციელდეს კაპიტალიზმის ამგვარი ახალი ფაზა, ამის გადასაწყვეტად ჯერ კიდევ არ მოიპოვება საკმაო წანამძღვრები»!! იმ საფუძველზე, რომ «შეიძლება წარმოიდგინო» ახალი ფაზა, რომლის «განხორციელების შესაძლებლობის» განცხადებასაც კი ვერ ბედავს თვით მისივე შემთხზველი, უარყოფენ პროლეტარიატის რევოლუციურ ამოცანებს ახლა, კრიზისისა და ომის **აშკარად** დამდგარი ფ ა ზ ი ს დროს! და რევოლუციურ მოქმედებას უარყოფს II ინტერნაციონალის სწორედ ის ავტორიტეტი, ვინც 1909 წელს დაწერა მთელი წიგნი «**გზა ძალაუფლებისაკენ**», რომელიც გადათარგმნილია თითქმის ყველა მთავარ ევროპულ ენაზე და რომელიც ამტკიცებდა მომავალი ომის კ ა ვ შ ი რ ს რევოლუციასთან, ამტკიცებდა, რომ «რევოლუცია **არ შეიძლება** იყოს ნაადრევი»!!

1909 წელს კაუცკი ამტკიცებს, განვლო «მშვიდობიანი» კაპიტალიზმის ეპოქამ, დგება ომებისა და რევოლუციების ეპოქაო. 1912 წელს ბაზელის მანიფესტი სწორედ ამ შეხედულებას უდებს საფუძვლად მსოფლიოს სოციალისტური პარტიების მთელ ტაქტიკას. 1914 წელს ატყდა ომი, დაიწყო «ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი», რაც გათვალისწინებული იყო შტუტგარტისა და ბაზელის მიერ. და კაუცკი აგონებს თეორიულ «ფანდებს» რევოლუციური ტაქტიკის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ!

პ. ბ. აქსელროდი იმავე იდეებს ატარებს ოდნავ უფრო «მეძარცხენე» ფრაზეოლოგიით: ის თავისუფალ შვეიცარიაში წერს და სურს გავლენა მოახდინოს რუს რევოლუციურ მუშებზე (**«Die Krise und die Aufgaben der internationalen Sozialdemokratie». Zürich,** 1915 წ. *). აქ ჩვენ ვკითხულობთ მთელი მსოფლიოს ოპორტუნისტებისა და ბურჟუებისათვის სასიამოვნო აღმოჩენას, რომ **«das Internationalisierungsproblem der Arbeiterbewegung ist mit der Frage der Revolutionisierung unserer Kampfesformen und Methoden nicht identisch»** (37) და რომ **«Der Schwerpunkt des Internationalisierungsproblems der proletarischen Befreiungsbewegung liegt in der weiteren Entwicklung u. Internationalisierung eben jener Alltagspraxis»** (40)... **«b e i s p i e l s w e i s e müssen die Arbeiterschutz- u. Versicherungsgesetzgebung... zum Objekt ihrer (der Arbeiter) i n t e r n a t i o n a l e n Aktionen u. Organisationen werden»** (39) **.

რასაკვირველია, არა მარტო ზიუდეკუმები, ლეგინები, ჰაინდმანები და ვანდერველდეები, არამედ ლოიდ-ჯორჯიც, ნაუმანებიცა და ბრიანებიც სავსებით იწონებენ ასეთ

---

* — «კრიზისი და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამოცანები». ციურიხი, 1915 წ. რ ე დ.

** — «მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალიზაციის პრობლემა ივივე არაა, რაც ჩვენი ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების გარევოლუციურების საკითხი» (37), და რომ «პროლეტარული განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერნაციონალიზაციის პრობლემის სიმძიმის ცენტრი დევს სწორედ ამ

«ინტერნაციონალიზმს»! აქსელროდი იცავს კაუცკის «ინტერ-ნაციონალიზმს», თუმცა არ მოჰყავს და არ არჩევს არც ერთ მის საბუთს სამშობლოს დასაცავად. აქსელროდს — ისევე როგორც ფრანკოფილ სოციალ-შოვინისტებს — იმის გახსენებისაც კი ეშინია, რომ ბაზელის მანიფესტი სწორედ რევოლუციურ ტაქტიკაზე ლაპარაკობს. მომავლისათვის, — გაურკვეველი, უცნობი მომავლისათვის, — აქსელროდი მზად არის წამოისროლოს მეტად მემარცხენე, რრრევოლუციური ფრაზები იმის შესახებ, რომ მომავალი ინტერნაციონალი გაძოვა — **entgegentreten wird (den Regierungen im Falle der Kriegsgefahr) «mit der Entfachung eines revolutionären Sturmes»... «Einleitung der sozialistischen Revolution»** (14) *. ხუმრობა არ გეგონოთ!! ხოლო როცა საქმე ეხება რევოლუციური ტაქტიკის სწორედ ახლა, ახლანდელი კრიზისის დროს გამოყენებას, აქსელროდი უპასუხებს **ganz á la Kautsky** **: **«revolutionäre Massenaktionen»**... ამ ტაქტიკას... **«hätte noch eine gewisse Berechtigung, wenn wir unmittelbar am Vorabend der sozialen Revolution ständen, ähnlich wie es etwa in Russland seit den Studentendemonstrationen des J. 1901 der Fall war, die das Herannahen entscheidender Kämpfe gegen den Absolutismus ankündigten»** ***... (40 — 41) და შემდეგ ჭექა-ქუხილი **«Utopien»** ****, **«Bakunismus»** *****

კო

წინააღმდეგ, სავსებით კოლბის, ჰაინეს, ზიუდეკუმის და ლეგინის ყაიდაზე!! მაგრამ რუსეთის მაგალითი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამხელს აქსელროდს. 1901-დან 1905 წლამდე 4 წელმა განვლო, და დანამდვილებით ვერავინ იტყოდა 1901 წელს, რომ რევოლუცია რუსეთში (პირველი რევოლუცია აბსოლუტიზმის წინააღმდეგ) 4 წლის შემდეგ მოხდებოდა. სავსებით ასეთივეა ევროპის მდგომარეობა სოციალისტური რევოლუციის წინ. ვერავინ იტყვის დანამდვილებით, მოხდება თუ არა პირველი ამგვარი რევოლუცია 4 წლის შემდეგ. მაგრამ რევოლუციური სიტუაცია რომ ა რ ს ე ბ ო ბ ს, ეს ფაქტია, რომელიც 1912 წელს იყო ნაწინასწარმეტყველები და 1914 წელს დაიწყო. მუშებისა და დამშეული ქალაქელების დემონსტრაციები რუსეთსა და გერმანიაში 1914 წელს აგრეთვე უეჭველად «**ankündigen des Herannahen entscheidender Kämpfe**» *. სოციალისტების პირდაპირი და უთუო მოვალეობაა მხარი დაუჭირონ და განავითარონ ე ს დემონსტრაციები და ყოველგვარი «რევოლუციური მასობრივი მოქმედება» (ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვები, მოძრაობა ჯარში თვით აჯანყებამდე და სამოქალაქო ომამდე), მისცენ მათ ნათელი ლოზუნგები, შექმნან არალეგალური ორგანიზაცია და ლიტერატურა, ურომლისოდაც ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მოუწოდო მასებს რევოლუციისაკენ, დაეხმარო მათ გაიგონ რევოლუციის აზრი, დაირაზმონ მისთვის. სწორედ ასე იქცეოდნენ სოციალ-დემოკრატები რუსეთში 1901 წელს ბურჟუაზიული რევოლუციის «**Am Vorabend**» ** (რომელიც დაიწყო 1905 წელს, მაგრამ არ დამთავრებულა 1915 წელსაც). სოციალ-დემოკრატები ვალდებული არიან სწორედ ასე მოიქცნენ ევროპაში 1914 — 1915 წლებში «**am Vorabend**» **der sozialistischen Revolution** ***. რევოლუციები არასოდეს არ იბადება მზამზარეულად, არ გამოდის იუპიტერის თავიდან, არ იფეთქებს ერთბაშად. მათ ყოველთვის წინ უსწრებს

* — «მოასწავებს გადამწყვეტი ბრძოლების მოახლოებას». რ ე დ.

** — «წინადღით». რ ე დ.

*** სოციალისტური რევოლუციის «წინადღით». რ ე დ.

დუღილის, კრიზისების, მოძრაობის, აღშფოთების, რევოლუციის დასაწყისის პროცესი, ამასთან ეს დასაწყისი ყოველთვის როდი ვითარდება ბოლომდე (მაგალითად, თუ რევოლუციური კლასი სუსტია). აქსელროდი იგონებს ფანდებს და აშორებს სოციალ-დემოკრატებს მათი პოვალეობისაგან — დაეხმარონ რევოლუციური მოძრაობის განვითარებას, რომელიც უკვე იწყება უკვე არსებული რევოლუციური სიტუაციის ნიადაგზე. აქსელროდი იცავს დავიდისა და ფაბიანელების ტაქტიკას, ოღონდ ჩქმალავს თავის ოპორტუნიზმს მემარცხენე ფრაზებით.

«Den Weltkrieg in einen Bürgerkrieg umwandeln zu wollen wäre Wahnsinn gewesen» *, წერს ოპორტუნისტების ბელადი ე. დავიდი (**«Die Sozial-demokratie im Weltkrieg», Brl.** 1915, S. 172) **, ილაშქრებს რა ჩვენი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1914 წ. 1/XI გამოქვეყნებული მანიფესტის წინააღმდეგ, რომელმაც გადმოისროლა ეს ლოზუნგი და დასძინა **«Wie gross die Schwierigkeiten dieser Umwandlung zur gegebenen Zeit auch sein mögen, — die Sozialisten wenden niemals ablehnen, die Vorarbeiten in der bezeichneten Richtung systematisch, unbeugsam und energisch auszuführen, falls der Krieg zur Tatsache geworden ist»*** (zitiert bei David. S. 171). შევნიშნავთ, რომ დავიდის წიგნის გამოსვლამდე ერთი თვით ადრე (1915 წ. 1/V) ჩვენმა პარტიამ გამოაქვეყნა («ს.-დ.», № 40, 29/III) რეზოლუციები ომის შესახებ: სისტემატური «ნაბიჯები იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის გზაზე» ამ რეზოლუციებში შემდეგნაირად აყო განი-

* — «სიგიჟე იქნებოდა მოგვენდომებინა მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა». რ ე დ.

** — «სოციალ-დემოკრატია მსოფლიო ომში», ბერლინი. 1915, გვ. 172. რ ე დ.

*** — «რაც უნდა დიდი ჩანდეს ასეთი გადაქცევის სიძნელენი ამა თუ იმ დროს, სოციალისტები ვერასოდეს ვერ იტყვიან უარს სისტემატურ, შეუპოვარ, განუხრელ მოსამზადებელ მუშაობაზე ამ მიმართულებით, რაკი ომი ფაქტი გახდა». რ ე დ.

საზღვრული: 1) უარისთქმა სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემაზე etc.; 2) «**Burgfrieden**» *-ის უარყოფა; 3) არალეგალური ორგანიზაციის შექმნა; 4) სანგრებში ჯარისკაცთა დაძმობილებისათვის მხარისდაჭერა; 5) საერთოდ პროლეტარიატის ყოველგვარი რევოლუციური მასობრივი გამოსვლებისათვის მხარისდაჭერა.

ოჰ, მამაცი დავიდი! 1912 წელს მას «გიჟურად» არ მიაჩნდა პარიზის კომუნის მაგალითის დამოწმება. 1914 წელს ის ბანს აძლევს ბურჟუაზიას: «სიგიჟეაო»!!

სავსებით დავიდისებური შეფასება მისცა რევოლუციურ ტაქტიკას პლეხანოვმა, «4-თა თანხმობის» სოციალ-შოვინისტების ტიპიურმა წარმომადგენელმა. მან უწოდა იმ აზრს, რომ... ** ...სწორედ სოციალური რევოლუციის «**Vorabend**» ***, რომლის დროიდან შეიძლება განვლოს 4 და მეტმა წელმა «**entscheidende Kämpfe**» ****-მდე. ეს არის სწორედ საწყისები, დაე სუსტი, მაგრამ მაინც საწყისები «პროლეტარული რევოლუციისა», რომელზეც ლაპარაკობდა ბაზელი და რომელიც ვ ე რ ა ს ო დ ე ს ვერ გახდება ერთბაშად ძლიერი, არამედ აუცილებლად გაივლის შედარებით ს უ ს ტ ი საწყისების სტადიებს.

რევოლუციური მასობრივი მოქმედებისა და რევოლუციური მოძრაობისათვის მხარისდაჭერა, განვითარება, გაფართოება, გამწვავება. არალეგალური ორგანიზაციის შექმნა პროპაგანდისა და აგიტაციისათვის ამ მიმართულებით, ძალების დასახმარებლად — გაიგონ მოძრაობის აზრი და მისი ამოცანები, მისი საშუალებანი, მისი მიზნები. ამ ორი პუნქტით გარდუვალად განისაზღვრება სოციალ-დემოკრატიის ყოველგვარი პრაქტიკული მოღვაწეობა ამ ომის დროს.

---

* — «სამოქალაქო ზავის». რ ე დ.

** ამით თავდება გვერდი. ხელნაწერის შემდეგი გვერდის დასაწყისს რამდენიმე სიტყვა აკლია. სტატიის გაგრძელება პირველად იბეჭდება. რ ე დ.

*** — «წინადღე». რ ე დ.

**** — «გადამწყვეტ ბრძოლებამდე». რ ე დ.

ყოველივე დანარჩენი ოპორტუნისტული, კონტრრევოლუციური ფრაზაა, რაც უნდა მემარცხენე, ცრუმარქსისტული, პაციფისტური თვალთმაქცობით შეალამაზონ იგი.

და თუ ჩვენ გვეტყვიან, როგორც ჩვეულებრივ გვეუბნებიან II ინტერნაციონალის რუტინერები: ოჰ! ეს «რუსული» ხერხებიო!! («Die russische Taktik» — Kap. VIII bei David) *, — ჩვენ ფაქტების უბრალო დამოწმებით ვუპასუხებთ. ბერლინში 1915 წ. 30 ოქტომბერს რამდენიმე ასეულმა (einige Hundert) ქალმა დემონსტრაცია გამართა Parteivorstand-ის წინ და თავისი დეპუტაციის მეშვეობით განუცხადა მას: «Die Verbreitung von unzensierten Flugblättern und Druckschriften und die Abhaltung nicht genehmigter Versammlungen wäre bei dem grossen Organisationsapparat heute leichter möglich als zur Zeit des Sozialistengesetzes. Es fehlt nicht an Mitteln und Wegen, sondern offensichtlich an dem Willen» ** (კურსივი ჩემია). («Berner Tagwacht» № 271) ***.

ალბათ, ეს ბერლინელი მუშა ქალები რუსული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1. XI «ბაკუნისტურ» და «ავანტიურისტულ», «სექტანტურ» (siehe Kolb & K° ****) და «გიჟურ» მანიფესტს შეუცდენია.

დაწერილია 1915 წ. დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5 (28)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — «რუსული ტაქტიკა» — თავი VIII დავიდის წიგნში. რ ე დ.

** — «**არალეგალური ფურცლებისა და ბროშურების** გავრცელება და **ნებადაურთველი კრებების** მოწყობა ახლა, დიდი ორგანიზაციული აპარატის არსებობისას, უფრო ადვილია, ვიდრე სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებული კანონის დროს. არ იგრძნობა საშუალებებისა და გზების ნაკლებობა, მაგრამ, ალბათ, არ არის საკმაო ნებისყოფა». რ ე დ.

*** — «ბერნის გუშაგი» № 271. რ ე დ.

**** — იხილეთ კოლბი და კომპ. რ ე დ.

შენიშვნები

1 «რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპის ომში» — თეზისები ომის შესახებ; დაწერილია ლენინის მიერ არა უგვიანეს 1914 წლის 24 აგვისტოსი (6 სექტემბრისა) პორონინიდან (გალიცია) ბერნში (შვეიცარია) ჩასვლის შემდეგ. თეზისები განხილული იყო ბოლშევიკების ჯგუფის თათბირზე ბერნში 24 — 26 აგვისტოს (6 — 8 სექტემბერს), მიღებულ იქნა და როგორც ჯგუფის რეზოლუცია დაეგზავნა ბოლშევიკების სხვა საზღვარგარეთულ სექციებს. კონსპირაციის მიზნით ასლში, რომელიც გადაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ, აღნიშნულია: «დანიაში გამოშვებული მოწოდების ასლი».

თეზისები არალეგალური გზით გაიგზავნა რუსეთში პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსული ნაწილის, პარტიული ორგანიზაციებისა და სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის განსახილველად. 1914 წლის დამლევს თეზისები მიიღო ი. ბ. სტალინმა, რომელიც მაშინ ტურუხანსკში იყო გადასახლებული.

შვეიცარიელი სოციალ-დემოკრატების საშუალებით თეზისები გადაეცა აგრეთვე იტალია-შვეიცარიის სოციალისტთა კონფერენციას, რომელიც მიმდინარეობდა 1914 წლის 27 სექტემბერს (ახ. სტ.) ლუგანოში (შვეიცარია). თეზისების ბევრი დებულება შეევიდა ამ კონფერენციის რეზოლუციაში.

როცა ლენინმა თეზისების მოწონების ცნობა მიიღო რუსეთიდან, გადაამუშავა ისინი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტად: «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» (იხ. ეს ტომი, გვ. 13 — 24).

თეზისების შესავალი სახელწოდებით «რუსეთის სოციალ-დემოკრატია ევროპის ომის შესახებ», დაწერილი ლენინის მიერ ცალკეულ ფურცელზე, უფრო გვიან არის ნაპოვნი და თხზულებებში პირველად იბეჭდება. — 1.

2 ბურჟუაზიულ სამინისტროებში შევიდნენ: ბელგიაში — ე. ვანდერველდე, საფრანგეთში — ჟ. გედი, მ. სამბა და ა. ტომა. — 2.

3 «სოციალისტური ყოველთვიური» («Sozialistische Monatshefte») — ჟურნალი; გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტთა მთავარი ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთ-ერთი ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) სოციალ-შოვინიზმის პოზიცია ეკავა; გამოდიოდა ბერლინში 1897-დან 1933 წლამდე. — 3.

4 იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» და ««სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შენიშვნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტისათვის ომის შესახებ» (ეს ტომი, გვ. 413 — 418, 419). — 5.

5 «Avanti!» («წინ!») — ყოველდღიური გაზეთი, იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1896 წლის დეკემბერში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთს ეკავა არათანმიმდევრულად-ინტერნაციონალისტური პოზიცია, კავშირი არ ჰქონდა გაწყვეტილი რეფორმისტებთან. გაზეთი ამჟამად გამოდის როგორც იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — 8.

6 ზიუდეკუმი, ალბერტი — გერმანელი სოციალ-დემოკრატი; მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) უკიდურესი სოციალ-შოვინისტი. სიტყვა «ზიუდეკუმი» საზოგადო სახელი გახდა სოციალ-შოვინისტების დასახასიათებლად. — 8.

7 «Volksrecht» («ხალხის უფლება») — ყოველდღიური გაზეთი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; გამოდის ციურიხში 1898 წლიდან. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთი ათავსებდა მემარცხენე ციმერვალდელთა სტატიებს. მასში დაიბეჭდა ლენინის სტატიები: «თორმეტი მოკლე თეზისი ბ-ნ გრეილიხის მიერ სამშობლოს დაცვის შესახებ», «რსდმპ ამოცანებზე რუსეთის რევოლუციაში», «რესპუბლიკელი შოვინისტების ოინები» და სხვ. გაზეთი დღევანდლამდე გამოდის; უკავია ანტიკომუნისტური და ანტიდემოკრატიული პოზიცია. — 8.

8 «Bremer Bürger-Zeitung» («ბრემენის სამოქალაქო გაზეთი») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანელი სოციალ-დემოკრატების ბრემენის ჯგუფის ორგანო. გაზეთი გამოდიოდა 1890-დან 1919 წლამდე; 1914 — 1915 წლებში ფაქტიურად იყო გერმანელი მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ორგანო; 1916 წელს გადავიდა კაუცკიანელების ხელში. — 8.

9 «Vorwärts» («წინ») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გაზეთი გამოდიოდა 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვების რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ეწეოდა ბრძოლას ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, გაზეთ «Vorwärts»-ში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ოპორტუნისტებისა, რომლებიც ბატონობდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში და II ინტერნაციონალში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) «Vorwärts» იდგა სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაზეთი «Vorwärts» ანტისაბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი ცენტრი გახდა; გამოდიოდა ბერლინში 1933 წლამდე. — 8.

10 Wiener «Arbeiter-Zeitung» (ვენის «მუშათა გაზეთი») — ყოველდღიური გაზეთი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ვენაში 1889 წლიდან; მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) ეკავა სოციალ-შოვინისტური პოზიცია. ლენინი მას უწოდებდა «სოციალიზმის ვენელი გამცემლების» გაზეთს.

1934 წელს გაზეთი დახურულ იქნა. გამოსვლა განაახლა 1945 წელს როგორც ავსტრიის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ. გაზეთი მკაფიოდ გამოხატული ანტიდემოკრატიული ხასიათისაა, ატარებს გათიშვის პოლიტიკას ავსტრიის მუშათა მოძრაობაში ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების ინტერესებისათვის. — 8.

11 «Hamburger Echo» («ჰამბურგის გამოძახილი») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1887 წლიდან; მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) ეკავა სოციალ-შოვინისტური პოზიცია. — 8.

12 «L'Humanité» («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, დაარსებული ჟ. ჟორესის მიერ 1904 წელს როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უკიდურესად მემარჯვენე ფრთის ხელში იყო და სოციალ-შოვინისტურ პოზიციაზე იდგა. მალე მას შემდეგ, რაც 1920 წლის დეკემბრის კონგრესზე მოხდა სოციალისტური პარტიის გათიშვა და შეიქმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, გაზეთი ამ უკანასკნელის ორგანო გახდა; ახლაც გამოდის პარიზში როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — 8.

13 ლენინს მხედველობაში აქვს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში მყოფი საფრანგეთისა და ბელგიის დელეგაციების მოწოდება გერმანელი ხალხისადმი. მოწოდება გამოქვეყნდა «L'Humanité»-ში 1914 წლის 6 სექტემბერს. მასში ბელგიელი და ფრანგი სოციალისტები გერმანიის მთავრობას ბრალად სდებდნენ დაპყრობითს მისწრაფებებს, ხოლო გერმანელ ჯარისკაცებს — მხეცობის ჩადენას ოკუპირებულ ტერიტორიაზე. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ 1914 წლის 10 სექტემბერს გამოაქვეყნა «Vorwärts»-ში პროტესტი ამ მოწოდების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით პრესაში გაიმართა პოლემიკა ფრანგ და გერმანელ სოციალ-შოვინისტებს შორის. — 9.

14 ლენინი აქ იმოწმებს ბოლშევიკების ჯგუფის რეზოლუციას, რომელიც მიღებულ იქნა ბერნში 1914 წლის 24 — 26 აგვისტოს (6 — 8 სექტემბრის) თათბირზე (იხ. ეს ტომი, გვ. 1 — 6). — 9.

15 «Die Neue Zeit» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი; გამოდიოდა შტუტგარტში 1883-დან 1923 წლამდე. 1885 — 1895 წლებში «Die Neue Zeit»-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ის ხშირად აძლევდა მითითებებს ჟურნალის რედაქციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმიდან გადახვევებისათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ჟურნალი იდგა ცენტრისტულ, კაუცკიანურ პოზიციაზე და მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — 12.

16 II ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესი მიმდინარეობდა 1907 წლის 18 — 24 აგვისტოს (იხ. სტ.). ამ კონგრესზე რსდმპ წარმოდგენილი იყო 37 დელეგატით. ბოლშევიკებისაგან ესწრებოდნენ ლენინი, ლუნაჩარსკი, ლიტვინოვი და სხვები.

კონგრესის ძირითადი მუშაობა წარმოებდა კომისიებში, სადაც ადგენდნენ რეზოლუციების პროექტებს პლენარული სხდომებისათვის. ლენინმა მონაწილეობა მიიღო იმ კომისიის მუშაობაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა რეზოლუციის შემუშავება საკითხზე «მილიტარიზმი და საერთაშორისო კონფლიქტები». როზა ლუქსემბურგთან ერთად ლენინმა ბებელის რეზოლუციის პროექტში შეიტანა ისტორიული შესწორება სოციალისტების მოვალეობაზე — გამოიყენონ ომით შექმნილი კრიზისი მასების ასაჯანყებლად და კაპიტალიზმის დასამხობად; შესწორება მიიღო კონგრესმა. (კონგრესის შესახებ იხ.

ვ. ი. ლენინის სტატიები «შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი», თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 13, გვ. 81 — 90; 91 — 105.) — 21.

17 II ინტერნაციონალის კოპენჰაგენის კონგრესი მიმდინარეობდა 1910 წლის 28 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე (ახ. სტ.). რსდმპ წარმომადგენლებად კონგრესზე იყვნენ ლენინი, პლეხანოვი. ლუნაჩარსკი, კოლონტაი, ი. პ. პოკროვსკი და სხვები. ცალკეულ საკითხებზე რეზოლუციების წინასწარ განსახილველად და შესამუშავებლად კონგრესის მიერ გამოყოფილი იყო რამდენიმე კომისია. ლენინი მუშაობდა კოოპერაციულ კომისიაში.

კონგრესის მიერ მიღებულმა რეზოლუციამ — «ბრძოლა მილიტარიზმისა და ომის წინააღმდეგ» — დაადასტურა შტუტგარტის კონგრესის რეზოლუცია — «მილიტარიზმი და საერთაშორისო კონფლიქტები» და დასახა მთელი რიგი მოთხოვნები, რომლებიც უნდა წამოაყენონ სოციალისტმა დეპუტატებმა პარლამენტებში ომის წინააღმდეგ საბრძოლველად: ა) სახელმწიფოთა შორის წამოჭრილი ყველა კონფლიქტის სავალდებულო წარდგენა საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოებისათვის გადასაწყვეტად, ბ) საყოველთაო განიარაღება, გ) საიდუმლო დიპლომატიის მოსპობა, დ) ყველა ხალხის ავტონომია და მათი დაცვა სამხედრო თავდასხმებისა და შევიწროებისაგან. — 21.

18 II ინტერნაციონალის ბაზელის კონგრესი შედგა 1912 წლის 24 — 25 ნოემბერს (ახ. სტ.). ის მოწვეული იყო როგორც საგანგებო კონგრესი ბალკანეთის ომთან და ევროპის მოახლოებულ ომთან დაკავშირებით. კონგრესმა მიიღო მანიფესტი, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა მომავალი მსოფლიო ომის იმპერიალისტური არსი და მოუწოდა ყველა ქვეყნის სოციალისტებს ომის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისაკენ. (ბაზელის მანიფესტის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 240 — 253 და 371 — 373.) — 21.

19 «ბრიტანეთის სოციალისტური პარტია» («British Socialist Party») დაარსდა 1911 წელს მანჩესტერში. მის ბირთვს წარმოადგენდა 1884 წელს შექმნილი სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია (რომლის სათავეში იდგნენ ჰაინდმანი, ჰარი კველჩი, ტომას მანი და სხვ.), რომელსაც შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტია ეწოდა. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ეწოდა მარქსისტულ პროპაგანდასა და აგიტაციას და იყო პარტია «არა ოპორტუნისტული, ლიბერალებისაგან ნამდვილად დამოუკიდებელი» (ლენინი). პარტიის მცირერიცხოვნობა და მასებისაგან მოწყვეტილობა მას ერთგვარ სექტანტურ ხასიათს აძლევდა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) პარტიაში დაისახა ორი მიმდინარეობა: ერთი — აშკარად სოციალ-შოვინისტური, ჰაინდმანის მეთაურობით, მეორე — ინტერნაციონალისტური, ა. ინ-კპინის, ფ. როტშტეინის და სხვათა მეთაურობით. 1916 წლის აპრილში პარტიაში მოხდა გათიშვა. ჰაინდმანი და მისი მომხრენი უმცირესობაში აღმოჩნდნენ და გავიდნენ პარტიიდან. ამ დროიდან ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის სათავეში ჩადგნენ ინტერნაციონალისტური ელემენტები, რომლებიც ეწეოდნენ ბრძოლას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ბრიტანეთის სოციალისტური პარტია ინიციატორი იყო ინგლისის კომუნისტური პარტიის შექმნისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1920 წელს, და მისი ორგანიზაციების უმრავლესობა კომპარტიაში შევიდა. — 26.

20 «ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია» («Independent Labour Party») დაარსდა 1893 წელს. პარტიის სათავეში იდგნენ ჯემს კეირ-ჰარდი, რ. მაკდონალდი და სხვ. თუმცა დამოუკიდებელი მუშათა პარტია ბურჟუაზიული პარტიებისაგან პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ჩემულობდა, მაგრამ ნამდვილად კი ის იყო «სოციალიზმისაგან დამოუკიდებელი, ხოლო ლიბერალიზმისაგან დამოკიდებული» (ლენინი). მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) დამოუკიდებელი მუშათა პარტია ჯერ გამოვიდა მანიფესტით ომის წინააღმდეგ (1914 წლის 13 აგვისტოს) (ან. სტ.). შემდეგ, 1915 წლის თებერვალში, ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენციაზე, დამოუკიდებელნი შეუერთდნენ კონფერენციაზე მიღებულ სოციალ-შოვინისტურ რეზოლუციას. ამ დროიდან დამოუკიდებელთა ლიდერები სოციალ-შოვინისტურ პოზიციაზე იდგნენ, თუმცა პაციფისტური ფრაზებით ინიღბებოდნენ. კომინტერნის დაარსების შემდეგ, 1919 წელს, გამემარცხენებული პარტიული მასების ზეგავლენით, დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ლიდერებმა მიიღეს გადაწყვეტილება II ინტერნაციონალიდან გამოსვლის შესახებ. 1921 წელს დამოუკიდებელნი შევიდნენ ეგრეთწოდებულ $2^1/_2$ ინტერნაციონალში, ხოლო მისი დაშლის შემდეგ კვლავ შეუერთდნენ II ინტერნაციონალს. — 26.

21 იტალიის სოციალისტური პარტია დაარსდა 1892 წელს როგორც «იტალიელი მუშების პარტია»; 1893 წელს რეჯიო-ემილიაში შემდგარ ყრილობაზე მან მიიღო «იტალიის სოციალისტური პარტიის» სახელწოდება. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) პირველ ნახევარში იტალიის სოციალისტურ პარტიას არათან-

მიმდევრული ინტერნაციონალისტური პოზიცია ეკავა. ის მონაწილეობას იღებდა ციმერვალდისა (1915 წ. სექტემბერი) და კინტალის (1916 წ. აპრილი) საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციებში, ემხრობოდა ცენტრისტულ უმრავლესობას. 1916 წლის დამლევს იტალიის სოციალისტური პარტია, რეფორმისტული ფრთის ზეგავლენით, სოციალ-პაციფიზმის გზას დაადგა.

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იტალიის სოციალისტური პარტიის რიგებში გაძლიერდა მემარცხენე ფრთა. ბოლონიაში შემდგარმა პარტიულმა ყრილობამ (1919 წლის ოქტომბერი) მხარი დაუჭირა იმას, რომ პროგრამაში შეეტანათ მუხლი პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის შესახებ და შეერთებოდნენ კომუნისტურ ინტერნაციონალს. მაგრამ პარტიის რიგებში შეინარჩუნა ოპორტუნისტები.

1921 წლის იანვარში პარტიის ყრილობაზე ლივორნოში მემარცხენეებმა კავშირი გაწყვიტეს სოციალისტურ პარტიასთან, მოაწყვეს თავიანთი ყრილობა და დააარსეს იტალიის კომუნისტური პარტია. იტალიის სოციალისტური პარტია 1921 წელს კომინტერნის III კონგრესზე გარიცხულ იქნა კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებიდან.

ფაშისტური დიქტატურის პერიოდში პარტიაში კვლავ შეიქმნა გავლენიანი მემარცხენე ფრთა. 1934 წელს იტალიის სოციალისტურმა პარტიამ იტალიის კომუნისტურ პარტიასთან დასდო შეთანხმება მოქმედების ერთიანობის შესახებ. ეს შეთანხმება ბაზა შეიქნა ორივე პარტიის თანამშრომლობისა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და ომისშემდგომ პერიოდში. 1947 წლის იანვარში იტალიის სოციალისტური პარტია გაითიშა. მისი რიგებიდან გავიდა მემარჯვენე სოციალისტების ჯგუფი ამერიკის იმპერიალიზმის აგენტის სარაგატის მეთაურობით და შექმნა ეგრეთწოდებული «იტალიელ მშრომელთა სოციალისტური პარტია». — 27.

22 «გ ო ლ ო ს» — ყოველდღიური მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1914 წლის სექტემბრიდან 1915 წლის იანვრამდე. გაზეთს ცენტრისტული პოზიცია ეკავა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) პირველ დღეებში «გოლოსში» დაიბეჭდა მარტოვის სტატიები სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ. მარტოვის მარჯვნივ შებრუნების შემდეგ, გაზეთი სულ უფრო და უფრო იცავდა სოციალ-შოვინისტებს და ამჯობინებდა «ერთიანობას სოციალ-შოვინისტებთან, ვიდრე დაახლოებას ისეთ ადამიანებთან, რომლებიც სოციალ-შოვინიზმს შეურიგებლად ეკიდებიან» (ლ ე ნ ი ნ ი).

1915 წლის იანვრიდან «გოლოსის» ნაცვლად გამოსვლა იწყო გაზეთმა «ნაშე სლოვომ». — 27.

23 შენიშვნები ლენინის რეფერატის შესახებ მოთავსებულია «Vorwärts»-ში («წინ») № 308, 1914 წ. 10 ნოემბერს და Wiener «Arbeiter-Zeitung»-ში (ვენის «მუშათა გაზეთი») № 309, 1914 წლის 7 ნოემბერს. ლენინის წერილთან დაკავშირებით «Vorwärts»-ის რედაქციამ 1914 წლის 22 ნოემბერს დაბეჭდა მოკლე შენიშვნა, რომელშიც იუწყებოდა, რომ ლენინმა თავის რეფერატში გააკრიტიკა გერმანიისა და ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის პოზიცია და დაახასიათა II ინტერნაციონალის კრახი. — 33.

24 ვ. ი. ლენინმა სტატიის «კ ა რ ლ მ ა რ ქ ს ი ს» წერა ძმების გრანატების ამხანაგობის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის დაიწყო 1914 წლის გაზაფხულზე პორონინში (გალიცია) და დაამთავრა იგი 1914 წლის ნოემბერში ბერნში (შვეიცარია). ამ, 1918 წელს ცალკე ბროშურად გამოცემული, სტატიის წინასიტყვაობაში. ლენინი სტატიის დაწერის თარიღად მახსოვრობით აღნიშნავს 1913 წელს.

სტატია დაიბეჭდა 1915 წელს ლექსიკონში ვ. ილინის ხელმოწერით, «მარქსიზმის ბიბლიოგრაფიის» დართვით. ცენზურული პირობების გამო რედაქციამ გამოტოვა ორი თავი — «სოციალიზმი» და «პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკა» და შეიტანა მთელი რიგი ცვლილებანი ტექსტში.

1918 წელს გამომცემლობა «პრიბოიმ» ეს ნაშრომი გამოუშვა ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობით ცალკე ბროშურად იმ სახით, როგორც იგი დაბეჭდილი იყო ლექსიკონში, მაგრამ «მარქსიზმის ბიბლიოგრაფიის» დაურთავად.

სტატიის სრული ტექსტი ხელნაწერის მიხედვით პირველად გამოქვეყნდა 1925 წელს კრებულში «მარქსი, ენგელსი, მარქსიზმი», რომელიც მოამზადა რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ლენინის ინსტიტუტმა. — 35.

25 ნაგულისხმევია მარქსის ნათქვამი მის ნაშრომში «ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. I, 1938, გვ. 392). — 40.

26 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 131 — 136 და 138 — 139. — 67.

27 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 144 — 145. — 76.

28 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXI, 1932, გვ. 144. — 77.

29 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXII, 1931, გვ. 271 და 360. — 77.

30 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIII, 1932, გვ. 142. 145 და 336. — 77.

31 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIV, 1931, გვ. 252 და 529. — 78.

32 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. VII, 1930, გვ. 56. — 79.

33 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 87. — 79.

34 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIII, 1932, გვ. 232, 239. — 80.

35 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIII, 1932, გვ. 152. 154 — 155, 166, 199, 225 — 226, 232, 237 — 238, 461, 482, 488. — 80.

36 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIV, 1931, გვ. 480 — 481, 488, 505 — 506, 513 და 515. — 81.

37 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 364. — 99.

38 მ ი ლ ი ე რ ა ნ ი ზ მ ი — ოპორტუნისტული მიმდინარეობა, წოდებული ფრანგი «სოციალისტის» მილიერანის სახელის მიხედვით, რომელიც 1899 წელს შევიდა საფრანგეთის რეაქციულ ბურჟუაზიულ მთავრობაში და ეხმარებოდა ბურჟუაზიას — გაეტარებინა მისი პოლიტიკა.

საკითხი, დასაშვებია თუ არა სოციალისტების მონაწილეობა ბურჟუაზიულ მთავრობაში, განხილულ იქნა 1900 წელს II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე. კონგრესმა მიიღო კაუცკის მიერ წარმოდგენილი შემრიგებლური ხასიათის რეზოლუცია, რომელიც გმობდა სოციალისტების მონაწილეობას ბურჟუაზიულ მთავრობაში, მაგრამ შესაძლებლად თვლიდა სოციალისტების შესვლას ბურჟუაზიულ მთავ-

რობებში «საგანგებო» შემთხვევებში. ეს შენიშვნა ფრანგმა სოციალისტებმა გამოიყენეს 1914 — 1918 წლების ომის დასაწყისს იმპერიალისტური ბურჟუაზიის ჩთავრობაში თავიანთი შესვლის გასამართლებლად. — **105.**

9 ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ი ა დ ა (ბერნშტეინელობა)—მარქსიზმისადმი მტრული მიმდინარეობა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში, მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა XIX საუკუნის დამლევს გერმანიაში და წოდებულ იქნა გერმანელი სოციალ-დემოკრატის ედუარდ ბერნშტეინის სახელის მიხედვით. ბერნშტეინი გამოვიდა მარქსის რევოლუციური ბრძოლვრების რევიზიით ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ყაიდაზე.

ბერნშტეინის მომხრენი რუსეთში იყვნენ «ლეგალური მარქსისტები», «ეკონომისტები», ბუნდელები, მენშევიკები. — **105.**

10 მ თ ა და ჟ ი რ ო ნ დ ა — სახელწოდება ბურჟუაზიის ორი პოლიტიკური დაჯგუფებისა საფრანგეთის XVIII საუკუნის დამლევის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში. მთას — იაკობინელებს — უწოდებდნენ მაშინდელი დროის რევოლუციური კლასის — ბურჟუაზიის ყველაზე გაბედულ წარმომადგენლებს, რომლებიც იცავდნენ აბსოლუტიზმისა და ფეოდალიზმის მოსპობის აუცილებლობას. ჟირონდისტები, იაკობინელებისაგან განსხვავებით, მერყეობდნენ რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის და მონარქიასთან მორიგების გზით მიდიოდნენ.

«სოციალისტურ ჟირონდას» ლენინი უწოდებდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას სოციალ-დემოკრატიაში; პროლეტარულ იაკობინელებს, «მთას» — რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს. მას შემდეგ, რაც რსდმპ გაიყოფა ბოლშევიკებად და მენშევიკებად, ლენინი ხშირად აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ მენშევიკები წარმოადგენენ ჟირონდისტულ მიმდინარეობას მუშათა მოძრაობაში. — **106.**

11 ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ბ ი უ რ ო (სსბ) — II ინტერნაციონალის აღმასრულებელი ორგანო; შეიქმნა პარიზის 1900 წლის კონგრესის გადაწყვეტილებით; 1905 წლიდან ლენინი შედიოდა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შემადგენლობაში რსდმპ წარმომადგენლად. — **108.**

12 ლენინს ციტატი მოჰყავს ჩერნიშევსკის რომანიდან «პროლოგი» (იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. «რჩეული თხზულებანი», ტ. V, 1932 გვ. 488). — **112.**

43 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 223. — **113.**

44 ლენინს მხედველობაში აქვს შემდეგი შემთხვევა: შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე სტოკჰოლმში 1914 წლის 23 ნოემბერს (ახ. სტ.) რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელიც მისალმებით გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის სახელით, მიუთითა გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და სხვა ევროპული პარტიების ლიდერთა სოციალ-შოვინიზმზე და მათ მიერ პროლეტარიატის საქმის ღალატზე. შვეციის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის ხელმძღვანელმა ბრანტინგმა წინადადება შეიტანა ყამოეთქვათ მწუხარება მისალმების იმ ადგილის გამო, სადაც შეფასებული იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მოქმედება. ბრანტინგის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა ჰეგლუნდი, რომელიც მაშინ შვეციის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელი იყო, მაგრამ ყრილობამ ბრანტინგის წინადადება მიიღო.

ყრილობის მუშაობის ანგარიში გამოქვეყნებულია გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 36, 1915 წლის 9 იანვარს. — **117.**

45 ოკ — ორგანიზაციული კომიტეტი მენშევიკების ხელმძღვანელი ცენტრი; შეიქმნა 1912 წელს მენშევიკ-ლიკვიდატორებისა და ყველა ანტიპარტიული ჯგუფისა და მიმდინარეობის აგვისტოს კონფერენციაზე; მოქმედებდა მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევნებამდე, რაც მოხდა 1917 წლის აგვისტოში.

ბ ე ლ ე ნ ი ნ ი — ა. გ. შლიაპნიკოვი. — **117.**

46 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი»—არალეგალური გაზეთი, რსდმპ ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1917 წლის იანვრამდე; გამოვიდა 58 ნომერი. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთში, შემდგომ გამოცემა ვადატანილ იქნა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, მერე ჟენევაში. ცენტრალური ორგანოს რედაქცია, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, შედგენილი იყო ბოლშევიკების, მენშევიკების და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებისაგან.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაბეჭდილია ლენინის 80-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. გაზეთის რედაქციის შიგნით ლენინი აწარმოებდა ბრძოლას თანმიმდევრული ბოლშევიკური ხაზისათვის. რედაქციის ნაწილი (კამენევი და ზინოვიევი) შემარიგებლურად ეპყრობოდა ლიკვიდატორებს, ცდილობდა ჩაეშალა ლენინური ხაზის განხორციელება. რედაქციის წევრები, მენშევიკები მარტოვი და დანი, საბოტაჟს

უწევდნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მუშაობას და ამავე დროს აშკარად იცავდნენ ლიკვიდატორობას თავის ფრაქციულ გაზეთში — «გოლოს სოციალ-დემოკრატაში».

ლენინის შეურიგებელ ბრძოლას ლიკვიდატორების წინააღმდეგ მოჰყვა მარტოვისა და დანის გასვლა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან 1911 წლის ივნისში. 1911 წლის დეკემბრიდან «სოციალ-დემოკრატს» რედაქტორობდა ვ. ი. ლენინი.

გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის მთელი რიგი სტატიები: «წერილები კავკასიიდან», «პეტერბურგელი მუშების განაწესი თავის მუშათა დეპუტატს», «არჩევნები პეტერბურგში» და სხვანი (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 185 — 208; 267 — 269; 290 — 305). — **117.**

47 «დ ო კ უ მ ე ნ ტ ს» ლენინი უწოდებს პეტერბურგელი ლიკვიდატორების (პოტრესოვის, მასლოვის, ჩერევანინის და სხვათა) პასუხს ვანდერველდეს დეპეშაზე, რომელშიც ის მოუწოდებდა რუს სოციალ-დემოკრატებს წინააღმდეგობა არ გაეწიათ ომისათვის. თავის პასუხში რუსმა ლიკვიდატორებმა მოიწონეს ბელგიელი, ფრანგი და ინგლისელი სოციალისტების შესვლა ბურჟუაზიულ მთავრობებში და განაცხადეს, რომ ისინი თავიანთი საქმიანობით რუსეთში წინააღმდეგობას არ უწევენ ომს. — **122.**

48 «**B e r n e r T a g w a c h t**» («ბერნელი გუშაგი») — ყოველდღიური გაზეთი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო; დაარსდა 1893 წელს ბერნში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში გაზეთში ქვეყნდებოდა კ. ლიბკნეხტის, ფ. მერინგისა და სხვა მემარცხენე სოციალ-დემოკრატების სტატიები. 1917 წლიდან გაზეთმა იწყო სოციალ-შოვინისტების აშკარად მხარდაჭერა; გაზეთი ახლაც გამოდის და ანტიკომუნისტურ და ანტიდემოკრატიულ პოზიციაზე დგას. — **123.**

49 მენშევიკების ორგანიზაციულმა კომიტეტმა (ოკ) გამოაცხადა თავისი ორგანოს «ოტკლიკის» გამოცემა, მაგრამ ეს გამოცემა არ ყოფილა განხორციელებული. — **124.**

50 «მ ი ს ლ ი» — ესერების პარტიის ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პარიზში 1914 წლის ნოემბრიდან 1915 წლის მარტამდე. — **124.**

51 ლენინს მხედველობაში აქვს მის მიერ დაწერილი რეზოლუცია «ნაროდნიკების შესახებ», რომელიც მიიღო რსდმპ ცენტრალური კომიტე-

რი მიმდინარეობდა 1913 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე (6-დან 14 ოქტომბრამდე) სოფელ პორონინში (კრაკოვის ახლოს). კონსპირაციული მოსაზრებებით თათბირს ეწოდებოდა «ზაფხულის» ან «აგვისტოს» თათბირი. რეზოლუცია დაბეჭდილია თხზულებებში, 4 გამოც., ტ. 19, გვ. 508 — 510. — **125.**

52 სტატია «რ ო გ ო რ ი «ე რ თ ი ა ნ ო ბ ა» გ ა მ ო ა ც ხ ა დ ა შ ვ ე დ ე ბ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე ლ ა რ ი ნ მ ა?» დაწერილია ლენინის მიერ შვეიცის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სტოკჰოლმის ყრილობაზე მენშევიკ ი. ლარინის 1914 წლის 23 ნოემბრის (ახ. სტ.) გამოსვლასთან დაკავშირებით.

ერთიანობის პირობათა 14 პუნქტი, მოყვანილი ლენინის მიერ, აღებულია მის მიერვე დაწერილი — «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებიდან და საინსტრუქციო მითითებებიდან ც. კ.-ის დელეგაციას ბრიუსელის თათბირზე» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 20, გვ. 613 — 666). — **126.**

53 «ს ა მ ი ი ვ ლ ი ს ი ს» ბ ლ ო კ ი (ბრიუსელის ბლოკი) დაიდო ბრიუსელის 1914 წლის 16 — 18 ივლისის (ახ. სტ.) «გამაერთიანებელი» თათბირის დროს, რომელიც მოწვეული იყო საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ რსდმ პარტიაში ერთიანობის აღდგენის შესაძლებლობის საკითხზე აზრთა ურთიერთგაზიარების მიზნით. თათბირზე წარმოდგენილი იყვნენ: რსდმპ ცენტრალური კომიტეტი (ბოლშევიკები); ორგანიზაციული კომიტეტი (მენშევიკები) და მისი მომხრე ორგანიზაციები — კავკასიის საოლქო კომიტეტი და ჯგუფი «ბორბა» (ტროცკისტები); სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია (მენშევიკები); პლეხანოვის ჯგუფი «ედინსტვო»; ჯგუფი «ვპერიოდი»; ბუნდი; ლატვიელთა მხარის სოციალ-დემოკრატები; ლიტვის სოციალ-დემოკრატები; პოლონელი სოციალ-დემოკრატები; პოლონელთა სოციალ-დემოკრატიული ოპოზიცია; პოლონელი სოციალისტების პარტია («ლევიცა»).

მიუხედავად იმისა, რომ თათბირი უნდა დასჯერებოდა მხოლოდ აზრთა ურთიერთგაზიარებას და არ უნდა ძიელო სავალდებულო გადაწყვეტილებანი, კენჭის საყრელად დასმულ იქნა კაუცკის რეზოლუცია რსდმპ გაერთიანების შესახებ. ბოლშევიკებმა და ლატვიელმა სოციალ-დემოკრატებმა უარი თქვეს ამ რეზოლუციისათვის კენჭისყრაში მონაწილეობაზე, მაგრამ ხმების უმრავლესობით რეზოლუცია მიღებულ იქნა.

«ლიკვიდატორებთან ბოლშევიკების «შერიგების» სახით, «პარტიაში მშვიდობის» დამყარების სახით II ინტერნაციონალმ-

მოთხოვა ბოლშევიკებს შეეწყვიტათ ლიკვიდატორთა შემთანხმებლური პოლიტიკის კრიტიკა. მაგრამ ბოლშევიკები შეურიგებელნი იყვნენ: მათ უარი თქვეს დამორჩილებოდნენ ოპორტუნისტულ II ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებს და არავითარ დათმობაზე არ წავიდნენ» («საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 195). — **126.**

54 «ლ ე ვ ი ც ა» — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პოლონური სოციალისტური პარტიის (პპს) მემარცხენე ფრთა, რომელიც გამოიყო დამოუკიდებელ ფრაქციად 1906 წელს, პპს-ის გათიშვის შემდეგ. თუმცა «ლევიცა» მთლიანად უარს არ ამბობდა ნაციონალიზმზე, მაგრამ მან უარყო პპს-ის მთელი რიგი ნაციონალისტური მოთხოვნები და ბრძოლის ტერორისტული მეთოდები. ტაქტიკურ საკითხებში იგი ახლოს იდგა რუს მენშევიკ-ლიკვიდატორებთან და მათთან ერთად ეწეოდა ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის წლებში «ლევიცის» მეტი ნაწილი დადგა ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე და დაუახლოვდა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას; მათ ერთად 1918 წლის დეკემბერში შექმნეს პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია. — **126.**

55 «ნ ა შ ა ზ ა რ ი ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა 1910 — 1914 წლებში პეტერბურგში. «ნაშა ზარიას» ირგვლივ ჩამოყალიბდა ლიკვიდატორების ცენტრი რუსეთში. — **127.**

56 «ნ ა შ ა რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — ყოველდღიური გაზეთი, მენშევიკ-ლიკვიდატორების ორგანო; გამოდიოდა ლეგალურად პეტერბურგში 1914 წლის მაისიდან ივლისამდე. — **127.**

57 ნაგულისხმევია მენშევიკ-ლიკვიდატორების გამოსვლა ლეგალურად არსებული სადაზღვევო საბჭოს წინააღმდეგ, რომელიც არჩეული იყო პეტერბურგელი მუშების მიერ 1914 წლის მარტში. სადაზღვევო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ მუშები ბოლშევიკების («პრავდისტების») მიერ წამოყენებული სიით. მენშევიკ-ლიკვიდატორები მოუწოდებდნენ მუშებს არ დამორჩილებოდნენ სადაზღვევო საბჭოს გადაწყვეტილებებს. — **127.**

58 «ს ტ რ ა ხ ო ვ ა ნ ი ე რ ა ბ ო ჩ ი ხ» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის დეკემბრიდან 1918 წლის ივნისამდე. — **127.**

59 «ს ა მ თ ა შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა», ანუ «ანტანტა», — ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც შეიქმნა 1907 წელს. — **130.**

60 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 261 — 265 — **130.**

61 ლენინს მხედველობაში აქვს ფ. ენგელსის ნაშრომი «პო და რაინი» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XI, ნაწ. II, 1934, გვ. 1 — 50). — **130.**

62 იხ. კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1941, გვ. 173. — **133.**

63 «ნ ა შ ე ს ლ ო ვ ო» — ყოველდღიური მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1915 წლის იანვრიდან 1916 წლის სექტემბრამდე; მან შესცვალა გაზეთი «გოლოსი».

ვ. ი. ლენინის წერილი პასუხია «ნაშე სლოვოს» რედაქციის წინადადებისა — მოეწყოთ ერთობლივად გამოსვლა სოციალ-პატრიოტიზმის წინააღმდეგ ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის მომავალ კონფერენციასთან დაკავშირებით. ლენინი დათანხმდა, მან ჩამოაყალიბა პროექტი დეკლარაციისა ლონდონის კონფერენციაზე გამოსაქვეყნებლად და გააკრიტიკა სოციალ-შოვინისტური პოზიცია მენშევიკური ორგანიზაციული კომიტეტისა და ბუნდისა, რომლებსაც «ნაშე სლოვოს» რედაქციამ აგრეთვე მიმართა ერთობლივი გამოსვლის წინადადებით. «ნაშე სლოვოს» რედაქცია არ დაეთანხმა ლენინის პროექტს და თავისი დეკლარაცია შეიმუშავა.

ლონდონის კონფერენციის შემდეგ «ნაშე სლოვოს» რედაქციამ ხელმეორედ მიმართა რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს წინადადებით — მოეწვიათ «ინტერნაციონალისტების» გაერთიანებული თათბირი ომისადმი და სოციალ-შოვინისტებისადმი დამოკიდებულების შესამუშავებლად. 1915 წლის 10 (23) მარტის საპასუხო წერილში «ნაშე სლოვოს» რედაქციისადმი (იხ. ეს ტომი, გვ. 188—192) ლენინმა წამოაყენა მთელი რიგი პრინციპული პირობები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იყო ნამდვილი ინტერნაციონალისტების დარაზმვა. იმის გამო, რომ «ნაშე სლოვოს» რედაქციამ თავს იდვა ორგანიზაციული კომიტეტისა და ბუნდის დაცვა, ლენინმა შეწყვიტა შემდგომი მოლაპარაკება.

«ნაშე სლოვოს» გამაერთიანებელი ცდები, რაც, ლენინის თქმით, «იდეურ-პოლიტიკური კრახით» დამთავრდა, გაშუქებულია ლენინის მიერ ამ ტომის ნაშრომებში: «ლონდონის კონფერენციის გამო»

(გვ. 203 — 206), «ინტერნაციონალისტების გაერთიანების საკითხი» (გვ. 215 — 220), «პლატონური ინტერნაციონალიზმის კრახი» (გვ. 224—230), «საქმეთა მდგომარეობაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში» (გვ. 338 — 345). «სოციალიზმი და ომი» (გვ. 409 — 411). — **138.**

64 «სამთა შეთანხმების» ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენცია შედგა 1915 წლის 14 თებერვალს (ახ. სტ.). კონფერენციას ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის სოციალისტური პარტიების სოციალ-შოვინისტებისა და პაციფისტური ჯგუფების წარმომადგენლები და რუსეთიდან — მენშევიკები და ესერები.

თუმცა ბოლშევიკები მოწვეული არ ყოფილან, მაგრამ ვ. ი. ლენინის დავალებით კონფერენციაზე გამოცხადდა ლიტვინოვი (მაქსიმოვიჩი) რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის გამოსაქვეყნებლად, რომელსაც საფუძვლად დაედო ლენინის მიერ დაწერილი პროექტი. დეკლარაცია მოითხოვდა სოციალისტების გასვლას ბურჟუაზიული მთავრობებიდან, იმპერიალისტებთან კავშირის სრულიად გაწყვეტას, მათთან თანამშრომლობაზე უარისთქმას, გადამწყვეტ ბრძოლას თავის იმპერიალისტურ მთავრობათა წინააღმდეგ და სამხედრო კრედიტებისათვის ხმის მიცემის დაგმობას. დეკლარაციის გამოქვეყნების დროს ლიტვინოვს ლაპარაკი შეაწყვეტინეს და სიტყვა წაართვეს, და მან, გადასცა რა პრეზიდიუმს დეკლარაციის ტექსტი, დატოვა კონფერენცია.

იხ. ლენინის სტატიები «ლონდონის კონფერენციის შესახებ» და «ლონდონის კონფერენციის გამო», ეს ტომი, გვ. 147 — 150; 203 — 206. — **138.**

65 ი. გარდენინი — ვ. ჩერნოვი, ესერების პარტიის ლიდერი. — **145.**

66 როპშინი — ესერი ბ. სავინკოვი. — **146.**

67 «სოვრემენნიკ» — ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 — 1915 წლებში. ჟურნალის ირგვლივ დაჯგუფებული იყვნენ მენშევიკ-ლიკვიდატორები, ესერები, სახალხო სოციალისტები და მემარცხენე ლიბერალები.

ჟურნალს არავითარი კავშირი არა ჰქონდა მუშათა მასებთან. ჟურნალის მიმართულებას ლენინი 1914 წელს განსაზღვრავდა როგორც ნაროდნიკობის ნარევს მარქსიზმთან. — **146.**

68 მაქსიმოვიჩი — მ. მ. ლიტვინოვი. — **148.**

69 «Labour Leader» («მუშათა ბელადი») — ყოველკვირეული გაზეთი; დაარსდა 1890 წელს; მას შემდეგ, რაც 1893 წელს შეიქმნა

ინგლისის ოპორტუნისტული დამოუკიდებელი მუშათა პარტია, გაზეთი მისი ორგანო გახდა. პირველი მსოფლიო ომის წლებში გაზეთს ცენტრისტული პოზიცია ეკავა. 1922 წლიდან გამოდის სახელწოდებით **«New Leader»** («ახალი ბელადი»), 1946 წლიდან — სახელწოდებით **«Socialist Leader»** («სოციალისტური ბელადი»). — **140.**

70 ლენინის სტატიაში «ს ხ ვ ი ს ი დ რ ო შ ი თ» ცვლილებანი შეიტანა «კრებულის» რედაქციამ; კრებულს სცემდა გამომცემლობა «პრილივი». კრებული გამოვიდა 1917 წლის მარტში. — **151.**

71 «ნ ა შ ე დ ე ლ ო» — ყოველთვიური მენშევიკური ჟურნალი. მთავარი ორგანო ლიკვიდატორებისა, სოციალ-შოვინისტებისა რუსეთში; გამოდიოდა 1915 წელს პეტროგრადში, 1914 წლის ოქტომბერში დახურული ჟურნალის «ნაშა ზარიას» ნაცვლად. — **153.**

72 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. წერილები, 1931, გვ. 139 — 140. — **156.**

73 «ო ბ შ ჩ ე დ ე ლ ო ე ლ ე ბ ი» — ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტული, სოციალ-შოვინისტური ნაწილი, რომელიც სცემდა ჟურნალ «ობშჩეე დელოს»; ცნობილნი არიან აგრეთვე «შიროკიე» სოციალისტების სახელწოდებით.

«ტ ე ს ნ ი ა კ ე ბ ი»—ბულგარეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, დაარსებული 1903 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის გათიშვის შემდეგ. «ტესნიაკების» დამაარსებელი და ბელადი იყო დ. ბლაგოევი, შემდეგ «ტესნიაკების» სათავეში იდგნენ ბლაგოევის მოწაფენი — გ. დიმიტროვი, ვ. კოლაროვი და სხვები. 1914 — 1918 წლებში «ტესნიაკები» გამოდიოდნენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. 1919 წელს «ტესნიაკები» შევიდნენ კომუნისტურ ინტერნაციონალში და შექმნეს ბულგარეთის კომუნისტური პარტია, რომელიც შემდეგ გარდაიქმნა ბულგარეთის მუშათა პარტიად (კომუნისტებისა). — **178.**

74 «ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე» (**«The Daily Citizen»**) — ყოველდღიური გაზეთი, ოპორტუნისტული ბლოკის — ინგლისის მუშათა პარტიის, ფაბიანელებისა და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ორგანო; გამოდიოდა ლონდონში 1912-დან 1915 წლამდე. — **178.**

75 «ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი მ ო ა მ ბ ე» (**«The Daily Herald»**) — ყოველდღიური გაზეთი, ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ორგანო; გამოდის ლონდონში 1912 წლიდან; ამჟამად წარმოადგენს ლეიბორისტების პარტიის ორგანოს. — **178.**

76 ფ ა ბ ი ა ნ ე ლ ე ბ ი — წევრები რეფორმისტული, უკიდურესად ოპორტუნისტული «ფაბიანელთა საზოგადოებისა», რომელიც დააარსა ბურჟუაზიული ინტელიგენციის ჯგუფმა ინგლისში 1884 წელს. ამ საზოგადოებას ეს სახელი დაარქვეს რომაელი სარდლის ფაბიუს კუნქტატორის («ზოზინას») სახელის მიხედვით, რომელიც ცნობილია დალოდების ტაქტიკით, გადამწყვეტი ბრძოლებისაგან თავის არიდებით. ფაბიანელთა საზოგადოება, ლენინის თქმით, წარმოადგენს «ოპორტუნიზმისა და ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ყველაზე დამთავრებულ გამოხატულებას». ფაბიანელები პროლეტარიატს ჩამოაშორებდნენ კლასობრივ ბრძოლას, ქადაგებდნენ წვრილმანი რეფორმების გზით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობას. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914 — 1918) ფაბიანელებს სოციალ-შოვინიზმის პოზიცია ეკავათ. ფაბიანელთა დახასიათება იხ. ლენინის ნაწარმოებებში: «წინასიტყვაობა რუსულად ნათარგმნი წიგნისა: «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსის და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი»» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 12, გვ. 451—452), «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის რევოლუციაში» (თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 15, გვ. 202 — 203), «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა» (იხ. ეს ტომი, გვ. 311 — 312) და სხვ. — 178.

77 ი ნ გ ლ ი ს ი ს მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა (**Labour Party**) დაარსდა 1900 წელს როგორც მუშათა ორგანიზაციების — პროფკავშირების, სოციალისტური პარტიებისა და ჯგუფების — გაერთიანება იმ მიზნით, რომ შეექმნათ პარლამენტში მუშათა წარმომადგენლობა («მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტი»). 1906 წელს კომიტეტმა სახელი გამოიცვალა, დაარქვა მუშათა (ლეიბორისტული) პარტია. ლეიბორისტული პარტია, რომელიც თავისი იდეოლოგიითა და ტაქტიკით წარმოადგენს ყველაზე ოპორტუნისტულ, «თავიდან ბოლომდე ბურჟუაზიულ» (ლ ე ნ ი ნ ი) — ორგანიზაციას, ატარებდა ბურჟუაზიასთან კლასობრივი თანამშრომლობის პოლიტიკას. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) ლეიბორისტული პარტიის ბელადები იდგნენ სოციალ-შოვინისტურ პოზიციაზე და, ლენინის თქმით, იყვნენ «იმპერიალისტური ბანდიტიზმის თ ა ნ ა მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი».

ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა 1924, 1929 და 1945 წლებში და შეადგინა თავისი მთავრობები, რომლებიც ურყევად ატარებდნენ ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკას. ლეიბორისტული მთავრობა, რომელიც 1945 წელს შეიქმნა, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ახორციელებს ინგლისელი იმპერიალისტების

რეაქციულ პროგრამას. ლეიბორისტთა მემარჯვენე ლიდერები, რომლებიც არსებითად ამერიკის იმპერიალიზმის აგენტურის როლს ასრულებენ, დგანან ანტისაბჭოთა პოზიციაზე და ეწევიან ბრძოლას დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ. — **178**.

78 რსდმპ საზღვარგარეთული სექციების კონფერენცია მიმდინარეობდა 1915 წლის 27 თებერვლიდან 4 მარტამდე (ახ. სტ.) ბერნში (შვეიცარია). კონფერენცია მოწვეული იყო ლენინის ინიციატივით და ჰქონდა საერთო-პარტიული ბოლშევიკური კონფერენციის მნიშვნელობა, რამდენადაც სრულიად-რუსეთის კონფერენციის შეკრება ომის დროს შეუძლებელი იყო. კონფერენციაზე იყვნენ პარიზის, ციურიხის, ჟენევის, ბერნის, ლოზანის ბოლშევიკური სექციების, აგრეთვე «ბოჟის» ჯგუფის წარმომადგენლები. ლენინი კონფერენციაზე იყო ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს («სოციალ-დემოკრატის») წარმომადგენელი, ხელმძღვანელობდა კონფერენციის მუშაობას, გამოვიდა მომხსენებლად დღის წესრიგის ძირითად საკითხზე — «ომი და პარტიის ამოცანები». კონფერენციამ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციები ომის შესახებ. — **180**.

79 «პ რ ა ვ დ ა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში; დაარსდა ვ. ი. ლენინის მითითებით და ი. ბ. სტალინის ინიციატივით; ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით შემუშავდა «პრავდის» პლატფორმა და დამზადდა პირველი ნომერი, რომელიც გამოვიდა 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს).

«პრავდა» გამოდიოდა მუშების სახსრებით: 1912 წელს მუშებმა ჩაატარეს შემოწირულებათა 620 ჯგუფური შეგროვება ბოლშევიკური პრესის სასარგებლოდ; 1913 წელს — 2 181, 1914 წლის იანვარ-მაისში — 2 873. მოწინავე მუშები იყვნენ «პრავდის» კორესპონდენტები. «პრავდის» ტირაჟი 40 — 60 ათას ცალს აღწევდა დღეში. თვითეულ ცალ გაზეთს ათობით მუშა კითხულობდა.

ბოლშევიკებს მაშინ «პრავდისტებს» უწოდებდნენ. «1912 წლის «პრავდა», — წერდა ი. ბ. სტალინი, — ეს საძირკვლის ჩაყრა იყო ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს».

ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პრავდას», თითქმის ყოველდღე წერდა გაზეთში, აძლევდა მითითებებს მის რედაქციას. 1912 წლის სექტემბერში ნარიმის გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ «პრავდაში» ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. 1913 წლის იანვარ-თებერვალში «პრავდის» რედაქტორი იყო ი. მ. სვერდლოვი. ლენინის მითითებებით 1913 წლის

თებერვალში ი. ბ. სტალინმა ი. მ. სვერდლოვთან ერთად ჩაატარა «პრავდის» რედაქციის რეორგანიზაცია. 1912 წლის მაისიდან ნოემბრამდე რედაქციის მდივნად და სარედაქციო კოლეგიის წევრად მუშაობდა ვ. მ. მოლოტოვი: 1913 წლის შემოდგომაზე ის, არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი, «პრავდაში» ხელმძღვანელობდა პროფესიული მოძრაობის განყოფილებას. რედაქციის მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, კ. ს. ერემეევი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ნ. სამოილოვა, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. გაზეთში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ IV სათათბიროს დეპუტატი-ბოლშევიკები. «პრავდაში» იბეჭდებოდა ა. მ. გორკის ნაწარმოებნი.

მეფის მთავრობამ რვაჯერ დახურა «პრავდა», მაგრამ გაზეთი განაგრძობდა გამოსვლას სხვა სახელწოდებებით: «რაბოჩაია პრავდა», «სევერნაია პრავდა», «პრავდა ტრუდა», «ზა პრავდუ», «პროლეტარსკაია პრავდა», «პუტ პრავდი», «რაბოჩიი», «ტრუდოვაია პრავდა».

«პრავდა» დახურულ იქნა იმპერიალისტური ომის წინ — 1914 წლის 8 (21) ივლისს: მისი გამოცემა განახლდა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 5 (18) მარტს: გაზეთმა იწყო გამოსვლა როგორც რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ოფიციალურმა ორგანომ. 15 (28) მარტს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე «პრავდის» რედაქციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ი. ბ. სტალინი. 1917 წლის აპრილში რუსეთში დაბრუნების შემდეგ ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა «პრავდის» ხელმძღვანელობას. ივლისის დღეების შემდეგ, ვ. ი. ლენინის არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელი რედაქტორი არის ი. ბ. სტალინი. 1917 წლის ივლის-ოქტომბერში «პრავდამ», რომელსაც დროებითი მთავრობა დევნიდა, ოთხჯერ გამოიცვალა თავისი სახელწოდება. ის გამოდიოდა სახელწოდებებით: «ლისტოკ «პრავდი»», «პროლეტარიი», «რაბოჩიი», «რაბოჩიი პუტ». 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) გაზეთმა იწყო გამოსვლა თავისი ძველი სახელწოდებით — «პრავდა». — 187.

80 დოკუმენტს სათაური არა აქვს. სათაური მისცა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — 188.

81 «ბუნდის საზღვარგარეთული ორგანიზაციის საინფორმაციო ფურცელი» გამოდიოდა ჟენევაში 1911 წლის ივნისიდან 1916 წლის ივნისამდე. სულ გამოვიდა 11 ნომერი. «საინფორმაციო ფურცლის» გაგრძელება იყო «ბუნდის საზღვარ-

გარეთული კომიტეტის ბიულეტენი». სულ გამოვიდა 2 ნომერი (1916 წლის სექტემბრისა და დეკემბრისა). — **189**.

82 ნეიტრალური ქვეყნების (შვეციის, ნორვეგიის, დანიისა და ჰოლანდიის) სოციალისტთა კოჰენჰაგენის კონფერენცია შედგა 1915 წლის 17—18 იანვარს (ახ. სტ.) II ინტერნაციონალის აღდგენის მიზნით. კონფერენციამ დაადგინა მიემართნა ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტური პარტიების საბრძოლველი წარმომადგენელთა მეშვეობით თავიანთი მთავრობებისათვის წინადადებით — გამოსულიყვნენ შუამავლებად მეომარ სახელმწიფოთა შორის და ცდილიყვნენ ომის შეწყვეტას. — **191**.

83 მეფის სასამართლოს მიერ IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის გასამართლება ხდებოდა 1915 წლის 10—13 (23—26) თებერვალს. ოზერკაში, პეტროგრადის ახლოს, 1914 წლის 2—4 (15—17) ნოემბერს შემდგარ კონფერენციას, რომელიც მოწვეული იყო ომისადმი დამოკიდებულების საკითხის განსახილველად, ესწრებოდნენ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები და პეტერბურგის, ივანოვო-ვოზნესენსკის, რიგის, ხარკოვის და სხვათა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დელეგატები. დეპუტატ-ბოლშევიკებს: ა. ე. ბადაევს, გ. ი. პეტროვსკის, მ. კ. მურანოვს, ფ. ნ. სამოილოვსა და ნ. რ. შაგოვს, რომლებიც დააპატიმრეს 5 (18) ნოემბერს, მეფის მთავრობა ბრალად სდებდა «სახელმწიფო ღალატს». საბრალდებო მასალას წარმოადგენდა დეპუტატებისათვის დაპატიმრების დროს ჩამორთმეული თეზისები ლენინისა «რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპის ომში» და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია», გამოქვეყნებული გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» № 33, 1914 წლის 1 ნოემბერს (იხ. ეს ტომი, გვ. 1—6 და 13—24).

სათათბიროს ფრაქციის საქმეზე პასუხისგებაში მიცემულმა კამენევმა (როზენფელდმა) გამცემლური პოზიცია დაიკავა. — უარი თქვა ბოლშევიკური პარტიის ლენინურ პოლიტიკაზე. გასამართლებაზე კამენევმა განაცხადა, რომ ის არ ეთანხმება ბოლშევიკებს ომის საკითხში, და ამის დასადასტურებლად ითხოვა გამოეწვიათ მოწმედ მენშევიკი იორდანსკი. — **195**.

84 «დენ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლიდან. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკ-ლიკვიდატორები, რომელთა ხელშიც

გაზეთი მთლიანად გადავიდა 1917 წლის თებერვლის შემდეგ. გაზეთი დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — **196.**

85 «**რ ე ჩ**» — ყოველდღიური გაზეთი. კადეტების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს); გამოდიოდა სხვა სახელწოდებებით 1918 წლის აგვისტომდე. — **196.**

86 «**ს ე ვ ე რ ნ ა ი ა რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა**» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1914 წლის იანვრიდან მაისამდე. — **199.**

87 «**L e T e m p s**» («**დრო**») — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1861-დან 1942 წლამდე. ლენინს მხედველობაში აქვს ამ გაზეთში 1915 წლის 15 და 16 თებერვალს მოთავსებული ორი სტატია ლონდონის კონფერენციის შესახებ.

«**L'E c h o d e P a r i s**» («**პარიზის გამოძახილი**») — ყოველდღიური ბურჟუაზიული, უკიდურესად რეაქციული გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1884-დან 1938 წლამდე. — **203.**

88 «**J o u r n a l d e s D é b a t s p o l i t i q u e s e t l i t t é r a i r e s**» («**პოლიტიკური და ლიტერატურული დებატების ჟურნალი**») — ყოველკვირეული ბურჟუაზიული ჟურნალი; გამოდიოდა პარიზში 1894-დან 1921 წლამდე. ლენინს მხედველობაში აქვს სტატია «სოციალისტების კონფერენცია ლონდონში», დაბეჭდილი ამ ჟურნალში 1915 წლის 19 თებერვალს. — **203.**

89 რსდმპ ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთული სამდივნოს «**ი ზ ვ ე ს ტ ი ა**» — სცემდა შვეიცარიაში მენშევიკური ორგანიზაციული კომიტეტი 1915 წლის თებერვლიდან 1917 წლის მარტამდე. — **205.**

90 «**T ä g l i c h e R u n d s c h a u**» («**ყოველდღიური მიმოხილვა**») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის დამოუკიდებელი სოციალისტების ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1881 წლიდან 1933 წლამდე. — **207.**

91 ლენინს მხედველობაში აქვს მენშევიკ-ლიკვიდატორების ჟურნალი «**ნაშა ზარია**». — **216.**

92 «ვოპროსი სტრახოვანია» — ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში დროგამოშვებით 1913 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის თებერვლამდე. ჟურნალს ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ჟურნალი ბრძოლას ეწეოდა არა მარტო მუშათა დაზღვევის განხორციელებისათვის, არამედ ბოლშევიკური «შეუკვეცელი ლოზუნგებისთვისაც».

მიესალმა რა ჟურნალ «ვოპროსი სტრახოვანიას» გამოცემის განახლებას ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ, გადასახლებულ ბოლშევიკთა ჯგუფი ი. ბ. სტალინის მეთაურობით 1916 წ. მარტში წერდა ტურუხანის გადასახლებიდან: «დაე «ვოპროსი სტრახოვანიამ» მთელი ძალღონე და მეცადინეობა მოანდომოს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის იდეურ დაზღვევასაც ბბ. პოტრესოვების, ლევიცკებისა და პლეხანოვების ქადაგებისაგან, რომელიც უაღრესად გამხრწნელია, ანტიპროლეტარულია და ძირეულად ეწინააღმდეგება საერთაშორისობის პრინციპებს». — 220.

93 «სევერნი გოლოს» — ყოველკვირეული მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტროგრადში 1915 წლის იანვრიდან მარტამდე. — 220.

94 «ეკონომისტი» («The Economist») — ყოველკვირეული ბურჟუაზიული ჟურნალი; გამოდის ლონდონში 1843 წლიდან. — 221.

95 იხ. ი. ს. ტურგენევი. თხზულებანი, ტ. IX, 1930, გვ. 394. — 225.

96 «Lichtstrahlen» («სინათლის სხივები») — ყოველთვიური ჟურნალი, გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ჯგუფის («გერმანიის ინტერნაციონალისტური სოციალისტების») ორგანო, რომელიც გამოდიოდა ი. ბორჰარდტის რედაქციით. ჟურნალი გამოდიოდა არარეგულარულად 1913 წლიდან 1921 წლამდე ბერლინში. — 226.

97 «Die Internationale» («ინტერნაციონალი») — ჟურნალი, დაარსებული რ. ლუქსემბურგისა და ფრ. მერინგის მიერ. გამოვიდა ერთადერთი ნომერი 1915 წლის აპრილში ბერლინში; ხელახლა იქნა გამოცემული მიუნხენში 1922 წელს გამომცემლობა «Futurus»-ის («მომავლის») მიერ. — 226.

98 ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია ომისადმი დამოკიდებულების საკითხზე შედგა 1915 წლის 26 — 28 მარტს (ახ. სტ.) ბერნში. კონფერენცია მოწვეული იყო რსდმპ

ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა ორგანიზაციების ინიციატივით, ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ხელმძღვანელის კლარა ცეტკინის მონაწილეობით. კონფერენციას ესწრებოდნენ ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, შვეიცარიის, იტალიის, რუსეთისა და პოლონეთის წარმომადგენლები — სულ 25 დელეგატი. რუსეთის დელეგატებს შორის იყვნენ ნ. კ. კრუპსკაია და ინესა არმანდი.

ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის ანგარიში დაბეჭდილია გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 42-ის 1915 წლის 1 ივნისის დამატებაში. — **231.**

99 «ე ი ზ ნ» — ესერების პარტიის გაზეთი; გამოდიოდა 1915 წლის მარტიდან 1916 წლის იანვრამდე, ჯერ პარიზში, ხოლო შემდეგ ჟენევაში. ნაცვლად გაზეთ «ძისლისა», რომელიც დაიხურა 1915 წლის მარტში. — **258.**

100 ეს გამოთქმა ეკუთვნის გოეთეს (იხ. **Goethe's Werke, B. 2, 6. Aufl., Berlin, 1893, S. 593**). — **271.**

101 «ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი» («**Le Socialisme**») — ჟურნალი: სცემდა და რედაქტორობდა ფრანგი სოციალისტი ჟ. გედი 1907 წლიდან 1914 წლის იგნისამდე პარიზში. — **281.**

102 «ა ხ ა ლ ი დ რ ო ე ბ ა» («**ნოვი ვრემე**») — ორკვირეული ჟურნალი, ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რევოლუციური ფრთის («**ტეესნიაკების**») თეორიული ორგანო; რედაქტორობდა დ. ბლაგოევი; დახურულ იქნა ბულგარეთის რეაქციული მთავრობის მიერ 1923 წელს. — **291.**

103 ლენინს მხედველობაში აქვს მოწოდება «მთავარი მტერი საკუთარ ქვეყანაშია», დაწერილი კ. ლიბკნეხტის მიერ. — **294.**

104 «პ რ უ ს ი ი ს წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი» («**Preussische Jahrbücher**») — ყოველთვიური კონსერვატიული ჟურნალი, გერმანელ კაპიტალისტთა და მიწათმფლობელთა ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1858 წლიდან 1935 წლამდე. — **294.**

105 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა ა ბ ი ს ლ» — «ეკონომისტების» გაზეთი; გამოდიოდა 1897 — 1902 წლებში. «რაბოჩაია მისლის» შეხედულებათა კრიტიკა, როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობისა, ლენინმა მოგვცა სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნდა გაზეთ «ისკრაში» და წიგნში «რა ვაკეთოთ?». — **308.**

106 «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — «ეკონომისტების» ჟურნალი, «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთული კავშირის» არაპერიოდული ორგანო; გამოდიოდა ჟენევაში 1899 — 1902 წლებში. «რაბოჩედელოელთა» შეხედულებების კრიტიკა ლენინმა მოგვცა გაზეთ «ისკრაში» გამოქვეყნებულ სტატიებში და წიგნში «რა ვაკეთოთ?». — 308.

107 ლენინს მხედველობაში აქვს ორი გამოცემა რუსულ ენაზე მარქსისა და ენგელსის მიწერმოწერისა ზორგესთან: 1) «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსის და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი». ნ. ლენინის წინასიტყვაობით, ს.-პეტერბურგი, გამოცემა პ. გ. დაუგესი, 1907; 2) «კ. მარქსის, ფრ. ენგელსის და სხვათა წერილები ფ. ზორგესა და სხვებისადმი». პ. აქსელროდის რედაქციითა და წინასიტყვაობით, ს.-პეტერბურგი, ბიბლიოთეკა «ობშჩესტვენნაია პოლზას» გამოცემა, 1908. — 311.

108 «T h e N e w S t a t e s m a n» («ახალი სახელმწიფო მოღვაწე») — ფაბიანელთა საზოგადოების ყოველკვირეული ჟურნალი; დაარსებულია 1913 წელს ლონდონში; 1931 წლიდან ჟურნალი გამოდის სახელწოდებით «New Stutesman and Nation» («ახალი სახელმწიფო მოღვაწე და ერი»). — 311.

109 ბ უ კ ვ ო ე დ ი — დ. რიაზანოვი. — 330.

110 ლენინს მხედველობაში ყავს მენშევიკები, რომლებიც განდევნილ იქნენ ბოლშევიკური პარტიიდან რსდმპ პრაღის კონფერენციაზე, რომელიც შედგა 1912 წლის იანვარში. — 339.

111 ვ ე ნ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა გერმანიის და ავსტრიის სოციალისტებისა შედგა 1915 წლის აპრილში. კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია იწონებდა გერმანელი და ავსტრიელი სოციალ-შოვინისტების პოზიციას. — 348.

112 ა. პ. — ანტონ პანეკუკი, მემარცხენე ჰოლანდიელი სოციალისტი. — 349.

113 ბროშურა «ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი დ ა ო მ ი» გამოიცა 1915 წლის სექტემბერში გერმანულ ენაზე და დაურიგდა სოციალისტების ციმერვალდის კონფერენციის დელეგატებს. 1916 წელს გამოიცა ფრანგულ ენაზე. — 357.

114 იხ. კლაუზევიცი. «ომის შესახებ», ტ. 1, გამოც. მე-5, 1941, გვ. 43. — **368.**

115 «ბ რ ე ნ ტ ა ნ ი ზ მ ი» — ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მოძღვრება, რომელიც «ცნობს «კაპიტალიზმის სკოლას», მავრამ უარყოფს რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სკოლას» (ლ ე ნ ი ნ ი). ლ. ბრენტანო — გერმანელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ეგრეთწოდებული «სახელმწიფო სოციალიზმის» მომხრე, ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს შესაძლებელია სოციალური თანასწორობის განხორციელება კაპიტალიზმის ფარგლებში რეფორმების გზით, კაპიტალისტებისა და მუშების ინტერესთა შერიგების გზით. ბრენტანო და მისი მიმდევრები ეფარებოდნენ მარქსისტულ ფრაზეოლოგიას და ცდილობდნენ დაემორჩილებინათ მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. — **378.**

116 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწ. II, 1936, გვ. **245.** — **381.**

117 «ნ ო ვ ო ს ტ ი» — ესერების პარტიის ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1914 წლის აგვისტოდან 1915 წლის მაისამდე. — **387.**

118 «პ ო ლ ე ტ ა რ ს კ ი ი გ ო ლ ო ს» — არალეგალური გაზეთი; რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა 1915 წლის თებერვლიდან 1916 წლის დეკემბრამდე. გამოვიდა ოთხი ნომერი. გაზეთის პირველ ნომერში გადაბეჭდილი იყო რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია». — **389.**

119 ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა ომისადმი დამოკიდებულების საკითხზე შედგა 1915 წლის 4 — 6 აპრილს (ახ. სტ.) ბერნში (შვეიცარია). კონფერენციას ესწრებოდნენ 10 ქვეყნის: რუსეთის, ნორვეგიის, ჰოლანდიის, შვეიცარიის, ბულგარეთის, გერმანიის, პოლონეთის, იტალიის, დანიისა და შვეციის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ყოველწლიურად ჩატარების შესახებ, აირჩია სოციალისტური ახალგაზრდობის საერთაშორისო ბიურო, რომელმაც, კონფერენციის გადაწყვეტილებათა თანახმად, დაიწყო ჟურნალ «Jugend-Internationale»-ს («ახალგაზრდობის ინტერნაციონალის») გამოცემა. ჟურნალში მონაწილეობას იღებდნენ ვ. ი. ლენინი და კ. ლიბკნეხტი. — **395.**

120 ტ რ ი ბ უ ნ ი ს ტ ე ბ ი — ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მემარცხენე ჯგუფი, რომელიც 1907 წლიდან სცემდა გაზეთ «ტრიბუნას». 1909 წელს ტრიბუნისტები გარიცხეს ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან, და მათ შექმნეს დამოუკიდებელი პარტია (ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტია). ტრიბუნისტები არ იყვნენ თანმიმდევრულად-რევოლუციური პარტია. მაგრამ წარმოადგენდნენ ჰოლანდიის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთას.

1918 წელს ტრიბუნისტებმა შექმნეს ჰოლანდიის კომუნისტური პარტია. გაზეთი «ტრიბუნა» 1909 წლიდან წარმოადგენდა ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს, ხოლო 1918 წლიდან — კომუნისტური პარტიის ორგანოს; ოცდაათიანი წლების დამდეგიდან 1940 წლამდე გაზეთი გამოდიოდა სახელწოდებით «ფოლკსდაგბლადი» — «სახალხო გაზეთი». — **400.**

121 «ლ უ ჩ» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის სექტემბრიდან 1913 წლის ივლისამდე; არსებობდა «ბურჟუაზიული წრის მდიდარი მეგობრების სახსრებით» (ლ ე ნ ი ნ ი). — **404.**

122 «მ ა რ ქ ს ი ზ მ ი და ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ა. კრებული სტატიების. თანამედროვე მუშათა მოძრაობის ძირითად საკითხებზე. ნაწილი II» გამოსცა პარტიულმა გამომცემლობამ «პრიბოიმ» 1914 წლის იელისში. კრებულში მოთავსებულია ლენინის მთელი რიგი სტატიები, მიმართული ლიკვიდატორების წინააღმდეგ. იმოწმებს რა ამ კრებულს, ლენინი გულისხმობს თავის სტატიებს: «მუშათა კლასი და მუშათა პრესა» და «მუშების გამოხმაურება სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნის გამო» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტ. 20, გვ. 444 — 457 და 666 — 676). — **407.**

123 «ლ ა ი ფ ც ი გ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი» («**Leipziger Volkszeitung**») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის ორგანო. გაზეთი გამოდიოდა ყოველდღიურად 1894 წლიდან 1933 წლამდე. ხანგრძლივი დროის მანძილზე გაზეთის რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ ფრ. მერინგი და რ. ლუქსემბურგი. 1917 წლიდან 1922 წლამდე «**Leipziger Volkszeitung**» იყო გერმანელ-«დამოუკიდებელთა» ორგანო. 1922 წლის შემდეგ — მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ორგანო. — **407.**

124 ა ნ — კავკასიელი მენშევიკების ლიდერი ნ. ნ. ჟორდანია. — **410.**

125 «Internationale Korrespondenz» («საერთაშორისო კორესპონდენცია») — ყოველკვირეული გერმანული სოციალ-შოვინისტური ჟურნალი საერთაშორისო პოლიტიკისა და მუშათა მოძრაობის საკითხებზე; გამოდიოდა 1914 წლიდან 1917 წლამდე ბერლინში. — 411.

126 «სოვრემენნი მირ» — ყოველთვიური სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლიდან 1918 წლამდე. ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები, მათ შორის გ. ვ. პლეხანოვი. მენშევიკ-პარტიელთა პლეხანოვის ჯგუფთან ბლოკის პერიოდში და 1914 წლის დამდეგს ჟურნალში თანამშრომლობდნენ ბოლშევიკები.

1914 წლის მარტს «სოვრემენნი მირში» დაიბეჭდა ლენინის სტატია «სოციალიზმის კიდევ ერთი მოსპობა» (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 20, გვ. 219 — 247). მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) ჟურნალი გახდა სოციალ-შოვინისტების ორგანო. — 411.

127 «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის რეზოლუციის პროექტს» ამზადებდა ლენინი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისათვის, რომელიც შედგა ციმერვალდში (შვეიცარია) 1915 წლის 5 — 8 სექტემბერს (ახ. სტ.) და იყო ინტერნაციონალისტების პირველი კონფერენცია ომის დროს. მას ესწრებოდა 38 დელეგატი ევროპის 11 ქვეყნიდან. კონფერენციის დღის წესრიგი შემდეგი იყო: 1) ცალკე ქვეყნების წარმომადგენელთა მოხსენებები, 2) გერმანიისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა ერთობლივი დეკლარაცია, 3) ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის წინადადება პრინციპული რეზოლუციის მიღების შესახებ, 4) მანიფესტის მიღება, 5) ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის (I. S. K.) არჩევნები, 6) ომის მსხვერპლთა და დევნილთადმი სიმპათიის რეზოლუციის მიღება.

კონფერენციაზე გაჩაღდა ბრძოლა ლენინის მეთაურობით მოქმედ რევოლუციურ ინტერნაციონალისტებსა და კაუცკიანურ უმრავლესობას შორის. ლენინმა ამ კონფერენციაზე შექმნა მემარცხენე ჯგუფი, რომელშიც ერთადერთი სწორი და ბოლომდე თანმიმდევრული ინტერნაციონალისტური პოზიცია ომის წინააღმდეგ ეკავა მხოლოდ ბოლშევიკების პარტიას. კონფერენციის შეფასება ლენინმა მოგვცა სტატიებში «პირველი ნაბიჯი» და «რევოლუციური მარქსისტები 1915 წლის 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» (იხ. ეს ტომი, გვ. 468 — 475 და 476 — 481). — 420.

128 პეტროვი — ინესა არმანდი. — 454.

129 «La Sentinelle» («გუშაგი») — გაზეთი, შვეიცარიის ნეუშატელის კანტონის (ფრანგული შვეიცარია) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ორგანო; დაარსდა შო-დე-ფონში 1884 წელს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) პირველ წლებში გაზეთს ინტერნაციონალისტური პოზიცია ეკავა. 1914 წლის 13 ნოემბერს გაზეთის № 265-ში დაიბეჭდა შემოკლებული სახით რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» (იხ. ეს ტომი, გვ. 13 — 24). გაზეთი ახლაც გამოდის. — 458.

130 ლენინს მხედველობაში აქვს კ. ლიბკნეხტის 1915 წლის 2 სექტემბრის წერილი, მიღებული ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის სახელზე. ამ წერილში ლიბკნეხტი მოუწოდებდა კონფერენციის დელეგატებს იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალ-შოვინისტებთან კავშირის გაწყვეტისაკენ. — 458.

131 ლენინს მხედველობაში აქვს ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის — ციმერვალდის გაერთიანების აღმასრულებელი ორგანოს «ბიულეტენი», რომელიც ბერნში გამოდიოდა («Bulletin» Internationale sozialistische Kommission zu Bern). «ბიულეტენი» გამოდიოდა 1915 წლის სექტემბრიდან 1917 წლის იანვრამდე ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. სულ გამოვიდა 6 ნომერი. — 461.

132 რუსეთის სახალხო სოციალისტებისა და სოციალ-რევოლუციონერების კონფერენცია მიმდინარეობდა 1915 წლის ივლისში პეტროგრადში. კონფერენციაზე განიხილავდნენ ომისადმი დამოკიდებულების საკითხს. კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია მოუწოდებდა ომში აქტიური მონაწილეობისაკენ ცარიზმის მხარეზე. — 474.

133 სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები შექმნა რუსეთში 1915 წელს მსხვილმა იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ. ბურჟუაზიამ, ცდილობდა რა დაემორჩილებინა მუშები თავისი გავლენისადმი და ჩაენერგა მათთვის ობორონცული განწყობილება, გამოიგონა «მუშათა ჯგუფების» მოწყობა ამ კომიტეტებთან. ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი იყო ჩაება ამ ჯგუფებში მუშათა წარმომადგენლები, რომლებიც აგიტაციას გასწევდნენ მუშებს შორის შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის სამხედრო ქარხნებში. მენშევიკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ ტრუპატრიოტულ საქმეში, რომელიც ბურჟუაზიამ წამოიწყო. ბოლშევიკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს სამხედრო-სამრეწველო

კომიტეტებს და წარმატებით გაატარეს ეს პოლიტიკა მუშათა უმრავლესობის მხარდაჭერით.

პეტროგრადის მუშების რწმუნებულთა კრებაზე 1915 წლის 27 სექტემბერს (10 ოქტომბერს) ბოლშევიკურ რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებდა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ბოიკოტისა და ომიდან რევოლუციური გამოსვლისაკენ, ხმა მისცა 90 კაცმა, მენშევიკების რეზოლუციას — 81 კაცმა. მხოლოდ ხელმეორე კრებაზე, იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლშევიკების მომხრე მუშები კრებიდან წავიდნენ, მენშევიკებმა გვოზდევისა და პროვოკატორ აბროსიმოვის მეთაურობით შეძლეს აერჩიათ 10 კაცი «მუშათა ჯგუფში».

ბოლშევიკების მიერ გაწეული ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად, საოლქო და ადგილობრივი სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების საერთო რიცხვიდან 239-დან არჩევნები ჩატარდა მხოლოდ 70 კომიტეტში, მუშათა წარმომადგენლები კი არჩეულ იქნენ მხოლოდ 36 კომიტეტში. — **491.**

434 პარაბელუმი — კ. რადეკი. — **497.**

435 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი. ტ. XXIII, 1932. გვ. 355, 359, 464. — **501.**

436 «პრიზივ» — ყოველკვირეული გაზეთი, მენშევიკების და ესერების ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1915 წლის ოქტომბრიდან 1917 წლის მარტამდე. ლაპარაკია პლეხანოვის სტატიაზე «რევოლუციის ორი ხაზი», რომელიც დაბეჭდილია ამ გაზეთში 1915 წლის 17 ოქტომბერს. — **507.**

437 «Die Glocke» («ზარი») — ორკვირეული ჟურნალი; სცემდა შიუნხენში, ხოლო შემდეგ ბერლინში 1915 — 1925 წლებში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სოციალ-შოვინისტი პარვუსი (გელფანდი), გერმანიის იმპერიალიზმის აგენტი. — **515.**

438 «ხალხისხმა» («Volksstimme») — გაზეთი; გამოდიოდა ხემნიცში 1890 წლის იანვრიდან 1933 წლის თებერვლამდე; მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914 — 1918) პერიოდში — სოციალ-შოვინისტების ორგანო. — **516.**

439 წერილი ««სოციალისტური პროპაგანდის ლიგის» მდივანს» პასუხია ამერიკის სოციალისტური პროპაგანდის ლიგის ფურცლისა, რომელიც ვ. ი. ლენინმა მიიღო 1915 წლის ნოემბერში. წერილი პირველად იბეჭდება მთლიანად. — **518.**

140 ამერიკის სოციალისტური პარტია — რეფორმისტული, ოპორტუნისტული პარტია; დაარსდა 1901 წელს. პირველი მსოფლიო ომის (1914 — 1918) წლებში პარტიის მემარჯვენე უმრავლესობა ამართლებდა იმპერიალისტურ ომს და მხარს უჭერდა ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკას. რევოლუციური უმცირესობა, რომელიც ინტერნაციონალისტურ პოზიციებზე იდგა, ომის წინააღმდეგ გამოდიოდა; ამ უმცირესობამ, რუსეთის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით, შექმნა მემარცხენე ფრთა, რომელიც 1921 წელს გახდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის შექმნის ინიციატორი და ძირითადი ბირთვი.

ამჟამად ამერიკის სოციალისტური პარტია არის მცირერიცხოვანი სექტანტური ორგანიზაცია, რომელიც შედგება მუშათა კლასის სოციალ-რეფორმისტული, ტროცკისტული და სხვა გამცემლებისაგან, და წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული იმპერიალისტური წრეების აგენტურას.

ამერიკის სოციალისტური მუშათა პარტია შეიქმნა 1876 წელს ზორგეს ხელმძღვანელობით არსებული I ინტერნაციონალის ჩრდილო ამერიკის სექციის, ამერიკის შეერთებული შტატების სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და მთელი რიგი სოციალისტური ჯგუფების შეერთების გზით. პარტიის წევრთა უმრავლესობას შეადგენდნენ ემიგრანტები. ამერიკის სოციალისტური მუშათა პარტია სექტანტური იყო თავისი ხასიათით, მას არასოდეს არა ჰქონია ფართო კავშირი პროლეტარულ მასებთან. პირველი მსოფლიო ომის წლებში სოციალისტური მუშათა პარტია ინტერნაციონალიზმისაკენ იხრებოდა. — **523.**

141 იხ. «ი. ფ. ბეკერის, ი. დიცგენის, ფ. ენგელსის, კ. მარქსის და სხვათა წერილები ფ. ა. ზორგესა და სხვებისადმი». ნ. ლენინის წინასიტყვაობით, ს.-პეტერბურგი, პ. გ. დაუგეს გამოცემა. 1907. ენგელსის წერილები: 1886 წლის 29 აპრილისა — ზორგესადმი; 1886 წლის 28 დეკემბრისა — ვიშნევეცკაიასადმი; 1889 წლის 7 დეკემბრისა — ზორგესადმი; 1890 წლის 11 იანვრისა — შლიუტერისადმი. — **524.**

142 «რაბოჩეე უტრო» — მენშევიკური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტროგრადში 1915 წლის ოქტომბერ-დეკემბერში. — **527.**

143 კოპენჰაგენელი ანონიმი — ტროცკი, რომელიც 1910 წელს გამოვიდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო «Vorwärts»-ში ანონიმური ცილისმწამებლური სტატიით საქმეთა მდგომარეობაზე რსდმპარტიაში. II ინტერნაციონალის კოპენჰაგენის კონგრესის დროს

ვ. ი. ლენინმა, გ. ვ. პლეხანოვმა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელმა სპეციალურ განცხადებაში ამხილეს და გააპროტესტეს ეს ცილისწამება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის წინაშე. — **528**.

144 ორანსკი, კ. — გ. დ. კუჩინი — მენშეკიკ-ლიკვიდატორი, «ნაშა ზარიას» თანამშრომელი. — **528**.

145 რეპეტილოვი — პერსონაჟი ა. ს. გრიბოედოვის კომედიისა «ვაი ჭკუისაგან». — **529**.

146 ა. მ. — ა. ს. მარტინოვი. — **531**.

147 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIX, 1946, გვ. 184 — 187, 265. — **550**.

ვ. ი. ლენინის
ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1914* წლის აგვისტო — *1915* წლის დეკემბერი)

1914

აგვისტო, 23 (სექტემბერი, 5).	ლენინი ჩადის პორონინიდან (გალიცია) ბერნში (შვეიცარია).
აგვისტო, 24 — 26 (სექტემბერი, 6 — 8).	ლენინი ბოლშევიკების თათბირზე ბერნში გამოდის მოხსენებით ომისადმი დამოკიდებულების შესახებ. თათბირი იღებს მის თეზისებს ომის შესახებ როგორც სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის რეზოლუციას.
აგვისტოს დამლევი — სექტემბერი.	ლენინი წერს მონახაზს სტატიისა — «ევროპის ომი და საერთაშორისო სოციალიზმი». სტატია დაუმთავრებელი დარჩა. ლენინი თეზისებს ომის შესახებ უგზავნის ბოლშევიკების ცალკეულ საზღვარგარეთულ სექციებს, გზავნის მათ რუსეთში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსული ნაწილის წევრების, პარტიული ორგანიზაციებისა და სათათბიროს ფრაქციის მიერ განსახილველად.
აგვისტო — 1 (14) ნოემბერი.	ლენინი განაგრძობს მუშაობას სტატიაზე «კარლ მარქსი» გრანატის ამხანაგობის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის.
სექტემბერი, 14 (27).	ლენინის თეზისებს ომის შესახებ განიხილავენ იტალია-შვეიცარიის სოციალისტთა კონფერენციაზე ლუგანოში (შვეიცარია). თეზისების ბევრი დებულება შევიდა კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში.
სექტემბერი, 27-მდე (ოქტომბერი, 10-მდე).	ლენინი ბერნში გამოდის რეფერატით ომის შესახებ.

სექტემბერი, 27 (ოქტომბერი, 10).	ლენინი ბერნში გამოდის კამათში ბუნდელის ვ. კოსოვსკის რეფერატის გამო — «ომი და სოციალ-დემოკრატია».
სექტემბერი, 28-მდე (ოქტომბერი, 11-მდე).	ლენინი წერს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტს «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» და ავალებს ბოლშევიკების ჟენევის სექციას გამოუშვას იგი ცალკე გამოცემად.
სექტემბერი, 28 (ოქტომბერი, 11).	ლენინი ლოზანაში გამოდის კამათში პლეხანოვის რეფერატის გამო «ომისადმი სოციალისტების დამოკიდებულების შესახებ» და აკრიტიკებს პლეხანოვის შოვინიზმს.
სექტემბერი — ოქტომბერი.	ლენინი მუშაობს ბროშურაზე «ევროპის ომი და ევროპის სოციალიზმი»; აგროვებს მასალას, აკეთებს ამონაწერებს წიგნებიდან, უცხოური და რუსული პრესის სტატიებიდან და შენიშვნებიდან, ურთავს მათ თავის შენიშვნებს, ადგენს ბროშურის კონსპექტსა და გეგმას. ბროშურა არ დაწერილა.
ოქტომბერი, 1 (14).	ლენინი ლოზანაში კითხულობს რეფერატს თემაზე «პროლეტარიატი და ომი».
ოქტომბერი, 2 (15).	ლენინი ჟენევაში გამოდის რეფერატით თემაზე «ევროპის ომი და სოციალიზმი».
ოქტომბერი, 3 (16).	ლენინი ბრუნდება ბერნში; იღებს ცნობას, რომ რსდმპ ც. კ-ის რუსული ნაწილი შეუერთდა მის თეზისებს ომის შესახებ.
ოქტომბერი, 4 (17).	ლენინი იღებს გადაწყვეტილებას განაახლოს რსდმპ ცენტრალური ორგანოს, გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» გამოცემა; პრაქტიკულ მითითებებს აძლევს ბოლშევიკების ჟენევის სექციას გაზეთის გამოსაცემად.
ოქტომბერი, 13 (26).	ლენინი კლარანში, მონტრეს ახლოს (შვეიცარია) გამოდის რეფერატით ომის შესახებ.
არა უადრეს 14 (27) ოქტომბრისა.	ლენინი ციურიხში გამოდის რეფერატით თემაზე «ომი და სოციალ-დემოკრატია».

ოქტომბერი, 19 (ნოემბერი, 1).	ლენინის რედაქციით ერთი წლის შეწყვეტის შემდეგ ახლდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» გამოცემა. «სოციალ-დემოკრატის» № 33-ში ქვეყნდება ლენინის მიერ დაწერილი მანიფესტი რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» და სტატია «სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები».
29 ოქტომბერს და 8 ნოემბერს (11—21 ნოემბერს) შუა.	ლენინი წერს წერილს გაზეთების «Vorwärts»-ის და ვენის «Arbeiter-Zeitung»-ის რედაქციებისადმი; ამ წერილში ლენინი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ დასახელებულმა გაზეთებმა დამახინჯებულად გადმოსცეს ომის შესახებ მის მიერ ციურიხში წაკითხული რეფერატი.
ოქტომბერი, 31 (ნოემბერი, 13).	რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» შემოკლებული სახით ქვეყნდება შვეიცარულ გაზეთ «La Sentinelle»-ში («გუშაგი»).
ნოემბერი, 4 (17).	ლენინი სტატიის «კარლ მარქსის» ხელნაწერს უგზავნის რუსეთში გრანატის ამხანაგობის ენციკლოპედიური ლექსიკონის გამომცემლობას.
არა უგვიანეს 5 (18) ნოემბრისა.	ლენინი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტს «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» უგზავნის ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებს.
ნოემბერი, 8 (21).	ლენინი ბოლშევიკების ჟენევის სექციას ავალებს მოაწყოს ინესა არმანდის რეფერატი ფრანგულად თემაზე «სხვადასხვა მიმდინარეობანი რუს სოციალისტებს შორის ომისადმი დამოკიდებულების საკითხზე».
ნოემბერი, 22 (დეკემბერი, 5).	ლენინის სტატია «ერთი გერმანული ხმა ომის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 34-ში.
23 ნოემბრის (5 დეკემბრის) შემდეგ.	ლენინი წერს პასუხს ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შეკითხვაზე ომისადმი და ზავის პროგრამისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულების შესახებ.

ნოემბერი, 29 (დეკემბერი, 12). ლენინის სტატიები «მკვდარი შოვინიზმი და ცოცხალი სოციალიზმი. (როგორ უნდა იქნას აღდგენილი ინტერნაციონალი?)» და «ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 35-ში.

დეკემბერი, 3 (16). ლენინი ბერნში გამოდის მარტოვის მოხსენების — «ომი და სოციალიზმის კრიზისის» კრიტიკით.

დეკემბერი, 25 (1915 წ. 7 იანვარი). ლენინი წერილში რსდმპ ც. კ-ის საზღვარგარეთული ბიუროს სახელით მკაცრად გმობს ბუხარინისა და პიატაკოვის ანტიპარტიული «ბოჟის» ჯგუფის სეპარატისტულ მოქმედებას, რომელმაც ც. კ-ის ნებადაურთველად განიზრახა თავისი გაზეთის გამოცემა.

დეკემბერი, 27 (1915 წ. 9 იანვარი). ლენინის სტატია «შემდეგ რა? (მუშათა პარტიების ამოცანებზე ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის მიმართ)» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 36-ში.

1914 წ. სექტემბერი — 1915 წ. მაისი. ლენინი მუშაობს ბერნის ბიბლიოთეკაში ფეიერბახის, ჰეგელის, არისტოტელეს და სხვა ფილოსოფოსთა შრომებზე: რვეულებში, რომლებიც მის მიერ დასათაურებულია «რვეულები ფილოსოფიაზე», აკეთებს ამონაწერებს, ადგენს კონსპექტებს, წერს მონახაზებს მატერიალისტური დიალექტიკის შესახებ.

1915

იანვარი, 19 (თებერვალი, 1). ლენინის სტატიები «როგორი «ერთიანობა» გამოაცხადა ლარინმა შვეიცის ყრილობაზე?» და «რუსი ზიუდეკუმები» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 37-ში.

იანვარი, 27 (თებერვალი, 9). ლენინი წერს წერილს «ნაშე სლოვოს» რედაქციას და პროექტს რსდმპ ც. კ-ის დეკლარაციისას ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა ლონდონის კონფერენციისათვის. დეკლარაციის პროექტის პირს უგზავნის ც. კ-ის წარმომადგენელს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში მ. მ. ლიტვინოვს კონფერენციაზე გამოსაქვეყნებლად.

თებერვალი, 10 (23).	ლენინი ბერნში გამოდის სოციალ-დემოკრატებისა და პროფკავშირთა წევრების გაერთიანებულ საპროტესტო მიტინგზე რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი-დეპუტატების დაპატიმრების წინააღმდეგ.
თებერვალი, 14 — 19 (თებერვალი, 27 — მარტი, 4).	ლენინი ხელმძღვანელობს რსდმპ საზღვარგარეთული სექციების ბერნის კონფერენციას; გამოდის მოხსენებით კონფერენციის დღის წესრიგის ძირითად საკითხზე — «ომი და პარტიის ამოცანები» და წერს რეზოლუციებს, რომლებსაც იღებს კონფერენცია.
თებერვალი, 18 (მარტი, 3).	ლენინის სტატიები «როგორ იცავენ პოლიცია და რეაქციონერები გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთიანობას» და «ლონდონის კონფერენციის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 39-ში.
თებერვალი, 27 (მარტი, 12).	ი. ბ. სტალინი ტურუხანის გადასახლებიდან ლენინს წერს წერილს, სადაც მკაცრად აკრიტიკებს პლეხანოვისა და მთელი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის სოციალ-შოვინისტურ პოზიციას.
არა უადრეს თებერვლისა.	ლენინი წერს სტატიას «სხვისი დროშით». პირველად დაიბეჭდა 1917 წელს წიგნის გამომცემლობა «პრილივის» «კრებულში». მოსკოვი.
მარტი, 10 (23).	ლენინი «ნაშე სლოვოს» რედაქციას წერს წერილს, რომელშიც ამხილებს მენშევიკური ორგანიზაციული კომიტეტისა და ბუნდის სოციალ-შოვინისტურ შეხედულებებს.
მარტი, 13 — 15 (26 — 28).	ლენინი ხელმძღვანელობს რსდმპ ც. კ.-ის დელეგაციის მუშაობას ქალთა საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე ბერნში.
მარტი, 16 (29).	გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 40-ში ქვეყნდება ლენინის სტატიები «რსდმპ საზღვარგარეთული სექციების კონფერენცია», «რა დაამტკიცა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ?», «ლონდონის კონფერენციის გამო» და «სამოქალაქო ომის ლოზუნგის ილუსტრაციისათვის».

მარტი, 22 — 24 (აპრილი, 4 — 6).	ლენინი ხელმძღვანელობს რსდმპ ც. კ.-ის დელეგაციის მუშაობას ახალგაზრდობის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე ბერნში.
აპრილი, არა უადრეს 14 (27).	ლენინი წერს კონსპექტს რეფერატისას — «პირველი მაისი და ომი».
აპრილი, 18 (მაისი, 1).	ლენინის სტატიები «სოციალ-შოვინისტების სოფიზმები», «ინტერნაციონალისტების გაერთიანების საკითხი» და «ბურჟუაზიული ფილანთროპები და რევოლუციური სოციალ-დემოკრატია» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 41-ში.
აპრილი, 19-მდე (მაისი, 2-მდე).	ლენინი დირექტივებს აძლევს ბოლშევიკების პარიზის სექციას სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სოციალ-დემოკრატ-ინტერნაციონალისტთა კლუბის ორგანიზაციის საკითხებზე.
აპრილი, 22 (მაისი, 5).	ლენინი იწონებს მემარცხენე ჰოლანდიელი სოციალისტების მიერ ინტერნაციონალური სოციალისტური ჟურნალის გამოცემის გეგმას; იძლევა პრაქტიკულ მითითებებს, რომ მოეწყოს საერთაშორისო სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ მიმართული ბროშურების გამოცემა უცხო ენებზე.
მაისი, 8 (21).	ლენინის სტატია «პლატონური ინტერნაციონალიზმის კრახი» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 42-ში.
მაისი, 9-მდე (22-მდე).	ლენინი მონაწილეობას იღებს ჟურნალ «კომმუნისტის» გამოცემის მომზადებაში.
მაისი, 12 (25).	ლენინი იღებს ლატვიელთა მხარის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული კომიტეტის მიწვევას იკისროს ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლობა ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტური პარტიების კონფერენციაზე.
მაისი, 19 (ივნისი, 1).	ლენინის სტატია «სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 42-ის დამატებაში.

მაისი, 24-მდე (ივნისი, 6-მდე).	ლენინი ბერნიდან ჩადის მთიან სოფელ ზიორენბერგში (შვეიცარია).
მაისის მეორე ნახევარი — ივნისის პირველი ნახევარი.	ლენინი წერს სტატიას «II ინტერნაციონალის კრახი».
ივნისი.	ლენინი წერს სტატიებს «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა» და «როგორ აერთებენ რეაქციის დამქაშობას დემოკრატიობის თამაშთან?».
ივნისი — ივლისი.	ლენინი წერს სტატიას «გერმანული ოპორტუნიზმის მთავარი შრომა ომის შესახებ».
ივლისი, 13 (26).	ლენინის სტატიები «თავისი მთავრობის დამარცხებაზე იმპერიალისტურ ომში» და «საქმეთა მდგომარეობაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 43-ში.
ივლისი — აგვისტო.	ლენინი მიწერ-მოწერის გზით აბამს კავშირს სხვადასხვა ქვეყნების მემარცხენე ინტერნაციონალისტებთან, სოციალ-დემოკრატებთან, რათა ისინი შეაკავშიროს მომავალი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისათვის; აძლევს ბოლშევიკურ სექციებს დავალებებს დაამყარონ კავშირი სხვადასხვა ქვეყნის ინტერნაციონალისტურ ელემენტებთან. ავალებს მოაწყონ თარგმნა და გამოცემა პარტიის ძირითადი დოკუმენტებისა: რსდმპ ც. კ.-ის მანიფესტისა ომის შესახებ, ბერნის კონფერენციის რეზოლუციებისა და სხვ. ლენინი გზავნის სკანდინავიაში «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის დეკლარაციის პროექტს» შვედურ და ნორვეგიულ ენებზე გადასათარგმნად და შვეიციისა და ნორვეგიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისათვის გადასაცემად. ლენინი წერს სტატიებს ««ზავის» ლოზუნგის შეფასებისათვის» და «ზავის საკითხი». ლენინი წერს ბროშურას «სოციალიზმი და ომი».
აგვისტო, 7 (20).	ლენინი იღებს მანდატს ციმერვალდის სოციალისტურ კონფერენციაზე ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან.

აგვისტო, 10 (23).	ლენინის სტატია «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 44-ში.
აგვისტო, 20-მდე (სექტემბერი, 2-მდე).	ლენინი აწყობს ბროშურის «სოციალიზმისა და ომის» გამოცემას გერმანულ ენაზე. ლენინი წერს «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის რეზოლუციის პროექტს».
აგვისტო, 20 — 22 (სექტემბერი, 2 — 4).	ლენინი ჩადის ციმერვალდში საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.
აგვისტო, 22 (სექტემბერი, 4).	ლენინი ხელმძღვანელობს მემარცხენე სოციალ-დემოკრატების — ციმერვალდის სოციალისტური კონფერენციის დელეგატების კერძო თათბირს, გამოდის თათბირზე მოხსენებით ომის ხასიათისა და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის შესახებ.
აგვისტო, 23 — 26 (სექტემბერი, 5 — 8).	ლენინი მონაწილეობას იღებს ციმერვალდის კონფერენციის მუშაობაში, აწყობს და რაზმავს მის მემარცხენე ფრთას.
აგვისტო, 23 — 26 შუა (სექტემბერი, 5 — 8 შუა).	გამოდის ლენინის ბროშურა «სოციალიზმი და ომი» გერმანულ ენაზე. ბროშურა ურიგდება ციმერვალდის კონფერენციის დელეგატებს.
აგვისტო, 29 — 30 (სექტემბერი, 11 — 12).	გამოდის ჟურნალ «კომმუნისტის» № 1 — 2, რომელშიც მოთავსებულია ლენინის სტატიები «II ინტერნაციონალის კრახი», «ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა», «იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში (შენიშვნა)».
აგვისტო.	ლენინი წერს «მოწოდებას ომის შესახებ».
ზაფხული.	ლენინი წერს სტატიას «გმადლობთ გულახდილობისათვის».
სექტემბერი, არა უადრეს 12 (25).	ლენინი წერს წერილს ინტერნაციონალურ სოციალისტურ კომისიას.

სექტემბრის მეორე ნახევარი.	ლენინი წერს სტატიას «რუსეთის დამარცხება და რევოლუციური კრიზისი».
18 — 23 სექტემბერს (1 — 6 ოქტომბერს) შუა.	ლენინი ბრუნდება ზიორენბერგიდან ბერნში.
სექტემბერი, 28 (ოქტომბერი, 11).	ლენინის სტატიები «პირველი ნაბიჯი» და «რევოლუციური მარქსისტები 1915 წ. 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 45 — 46-ში.
შემოდგომა; არა უადრეს 28 სექტემბრისა (11 ოქტომბრისა).	ლენინი წერს სტატიას «ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები: კაუცკი, აქსელროდი, მარტოვი».
სექტემბერი, 30 (ოქტომბერი, 13).	ლენინის სტატია «რამდენიმე თეზისი. რედაქციისაგან» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 47-ში.
სექტემბერი.	ლენინი ამუშავებს ომის საწინააღმდეგო ფურცლების სერიის გამოცემის გეგმას; რედაქტორობს ა. მ. კოლონტაის ბროშურას «ვის სჭირდება ომი», სკანდინავიაში ა. მ. კოლონტაის უგზავნის ბროშურის «სოციალიზმისა და ომის» გერმანული გამოცემის 500 ეგზემპლარს გასავრცელებლად და ავალებს მას მიიღოს ზომები ბროშურის გამოსაცემად ამერიკაში ინგლისურ ენაზე.
არა უადრეს 16 (29) ოქტომბრისა.	ლენინი წერს სტატიას «რევოლუციური პროლეტარიატი და ერთა თვითგამორკვევის უფლება».
ოქტომბრის დამლევი.	ლენინი აწყობს ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის რეზოლუციისა და მანიფესტის პროექტის ბროშურად გამოცემას გერმანულ და ფრანგულ ენებზე, ავალებს ა. მ. კოლონტაის გამოსცეს ეს ბროშურა ამერიკაში ინგლისურ ენაზე.
ნოემბერი, 2 (15).	ლენინს იწვევენ შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის 1915 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე.
ნოემბერი, 7 (20).	ლენინის სტატიები «რევოლუციის ორი ხაზის შესახებ» და «უკანასკნელ მიჯნასთან» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 48-ში.

ნოემბერი, 9 (22)-მდე.	ლენინი წერს წერილს ამერიკის «სოციალისტური პროპაგანდის ლიგის» მდივანს.
ნოემბერი, 10 (23).	ი. ბ. სტალინი ტურუხანის გადასახლებიდან წერს წერილს ვ. ი. ლენინს.
დეკემბერი, 8 (21).	ლენინის სტატია «სოციალ-შოვინისტური პოლიტიკის მიჩქმალვა ინტერნაციონალისტური ფრაზებით» ქვეყნდება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 49-ში.
1915 წელი.	ლენინი წერს წიგნს «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონების შესახებ. ნაკვეთი I. კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში».
1915 წ. დამლევი.	ლენინი წერს სტატიას «ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი».

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანები ევროპის ომში . . . . . 1 — 6

რუსეთის სოციალ-დემოკრატია ევროპის ომის შესახებ . 1

სოციალ-დემოკრატების ჯგუფის რეზოლუცია . . . 1

ევროპის ომი და საერთაშორისო სოციალიზმი . 7 — 12

ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია . . . 13 — 24

სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები . . . . . 25 — 32

წერილი «VORWÄRTS»-ს და WIENER «ARBEITER-ZEITUNG»-ს . . . . . 33 — 34

კარლ მარქსი (მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარქსიზმის გადმოცემითურთ) . . . . . 35 — 97

წინასიტყვაობა 37

მარქსის მოძღვრება 43

ფილოსოფიური მატერიალიზმი 44

დიალექტიკა 47

ისტორიის მატერიალისტური გაგება 49

კლასობრივი ბრძოლა 53

მარქსის ეკონომიური მოძღვრება 55

ღირებულება 56

ზედმეტი ღირებულება 58

კაპიტალის დაგროვება 61

კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენ-
ცია 62
მოგების საშუალო ნორმა 64
მიწის რენტის თეორია 65
მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის ევოლუცია . . 67
სოციალიზმი 70
პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკა . 75
ლიტერატურა 82

ერთი გერმანული ხმა ომის შესახებ . . . . . 98 — 99

მკვდარი შოვინიზმი და ცოცხალი სოციალიზმი
(როგორ აღვადგინოთ ინტერნაციონალი?) . 100 — 109

ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ . . 110 — 115

შემდეგ რა? (მუშათა პარტიების ამოცანებზე
ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის
მიმართ) . . . . . 116 — 125

როგორი «ერთიანობა» გამოაცხადა ლარინმა
შვეიცის ყრილობაზე? . . . . . 126 — 128

რუსი ზიუდეკუმეები . . . . . 129 — 137

«ნაშე სლოვოს» რედაქციას . . . . . 138 — 142

როგორ იცავენ პოლიცია და რეაქციონერები გერ-
მანიის სოციალ-დემოკრატიის ერთიანობას . . 143 — 146

ლონდონის კონფერენციის შესახებ . . . . . 147 — 150

სხვისი დროშით . . . . . 151 — 179

I 155
II 164
III 170

რსდმპ საზღვარგარეთული სექციების კონფერენ-
ცია . . . . . 180 — 187

კონფერენციის რეზოლუციები 180
ომის ხასიათის შესახებ 181

«სამშობლოს დაცვის» ლოზუნგის შესახებ . . 181
რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგები . 182
ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი . 184
III ინტერნაციონალი 185
პაციფიზმი და ზავის ლოზუნგი 185
მეფის მონარქიის დამარცხება 186
დამოკიდებულება სხვა პარტიებთან და ჯგუფებთან . 186

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წერილი — «ნაშე სლოვოს» რედაქციას . . . . . 188 — 192

რა დაამტკიცა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ? . 195 — 202

ლონდონის კონფერენციის გამო . . . . . 203 — 206

სამოქალაქო ომის ლოზუნგის ილუსტრაციისათვის . . . . . 207 — 208

სოციალ-შოვინისტების სოფიზმები . . . . 209 — 214

ინტერნაციონალისტების გაერთიანების საკითხი . 215 — 220

ბურჟუაზიული ფილანთროპები და რევოლუციური სოციალ-დემოკრატია . . . . . 221 — 223

პლატონური ინტერნაციონალიზმის კრახი . . . 224 — 230

სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ . . . 231 — 236

II ინტერნაციონალის კრახი . . . . . 237 — 309

I 240
II 246
III 253
IV 261
V 266
VI 274
VII 285
VIII 297
IX 305

ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა . . . . . 310 — 318

როგორ აერთებენ რეაქციის დამჭაშოგბას დემოკრატიგბიას თამაშთან? . . . . . 319 — 323

გერმანული ოპორტუნიზმის მთავარი შრომა ომის შესახებ . . . . . 324 — 329

თავისი მთავრობის დამარცხებაზე იმპერიალისტურ ომში . . . . . 330 — 337

საქმეთა მდგომარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში . . . . . 338 — 345

«ზავის» ლოზუნგის შეფასებისათვის . . . . 346 — 348

ზავის საკითხი . . . . . 349 — 355

სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი) . . . . . 357 — 412

წინასიტყვაობა 1-ლი (საზღვარგარეთული) გამოცემისათვის 359

წინასიტყვაობა მე-2 გამოცემისათვის . 361

თავი I. სოციალიზმის პრინციპები და 1914—1915 წ. ომი 362

სოციალისტების დამოკიდებულება ომებისადმი . . 362
ახალი დროის ომების ისტორიული ტიპები . . . 363
განსხვავება შეტევითსა და თავდაცვითს ომს შორის . 364
ახლანდელი ომი არის იმპერიალისტური ომი . . . 365
ომი უდიდეს მონათმფლობელთა შორის მონობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის 366
«ომი არის პოლიტიკის განგრძობა სხვა» (სახელდობრ: ძალდატანებითი) «საშუალებებით» 368
ბელგიის მაგალითი 369
რისთვის ომობს რუსეთი? 371
რა არის სოციალ-შოვინიზმი? 371
ბაზელის მანიფესტი 372
მარქსისა და ენგელსის ყალბად დამოწმება . . . 373
II ინტერნაციონალის კრახი 375
სოციალ-შოვინიზმი არის დასრულებული ოპორტუნიზმი . 375

ოპორტუნისტებთან ერთიანობა არის მუშების კავშირი «თავის» ნაციონალურ ბურჟუაზიასთან და ინტერნაციონალური რევოლუციური მუშათა კლასის გათიშვა . . 377
«კაუცკიანელობა» 378
მარქსისტების ლოზუნგი — რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგია 379
სანგრებში დაძმობილების მაგალითი 381
არალეგალური ორგანიზაციის მნიშვნელობა . . . 381
იმპერიალისტურ ომში «თავისი» მთავრობის დამარცხების შესახებ 382
პაციფიზმისა და ზავის ლოზუნგის შესახებ . . . 383
ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ . . . 383

თავი II. კლასები და პარტიები რუსეთში 385

ბურჟუაზია და ომი 385
მუშათა კლასი და ომი 387
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია სახელმწიფო სათათბიროში და ომი 389

თავი III. ინტერნაციონალის აღდგენა. 393

სოციალ-შოვინისტებისა და «ცენტრის» მეთოდი . . 393
საქმის ვითარება ოპოზიციაში 395
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და III ინტერნაციონალი 401

თავი IV. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გათიშვის ისტორია და ახლანდელი მდგომარეობა 403

«ეკონომისტები» და ძველი «ისკრა» (1894 — 1903) . . 404
მენშევიზმი და ბოლშევიზმი (1903 — 1908) . . . 405
მარქსიზმი და ლიკვიდატორობა (1908 — 1914) . . 405
მარქსიზმი და სოციალ-შოვინიზმი (1914 — 1915) . . 408
საქმის ახლანდელი ვითარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში 409
ჩვენი პარტიის ამოცანები 412

ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ . . . . . 413 — 418

ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შენიშვნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტისათვის ომის შესახებ . . 419

ციმერვალდის მემარცხენე ფრთის რეზოლუციის პროექტი . . . . . 420 — 423

ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა . . . 424 — 434

იმპერიალიზმი და სოციალიზმი იტალიაში (შენიშვნა) . . . . . 435 — 447

მოწოდება ომის შესახებ . . . . . 448 — 451

გმადლობთ გულახდილობისათვის . . . . 452 — 453

ინტერნაციონალურ სოციალისტურ კომისიას (I. S. K.) . . . . . 454 — 461

რუსეთის დამარცხება და რევოლუციური კრიზისი . 462 — 467

პირველი ნაბიჯი . . . . . 468 — 475

რევოლუციური მარქსისტები 1915 წ. 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე . . . . . 476 — 481

ბეშმარიტი ინტერნაციონალისტები: კაუცკი, აქსელროდი, მარტოვი . . . . . 482 — 489

რამდენიმე თეზისი. რედაქციისაგან . . . 490 — 494

რევოლუციური პროლეტარიატი და ერების თვითგამორკვევის უფლება . . . . . 497 — 506

რევოლუციის ორი ხაზის შესახებ . . . . . 507 — 514

უკანასკნელ მიჯნასთან . . . . . 515 — 517

«სოციალისტური პროპაგანდის ლიგის» მდივანს . 518 — 525

სოციალ-შოვინისტური პოლიტიკის მიჩქმალვა ინტერნაციონალისტური ფრაზებით . . . . 526 — 536

ოპორტუნიზმი და II ინტერნაციონალის კრახი . . 537 — 556

შენიშვნები . . . . . 557 — 590

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები 591

ილუსტრაციები

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «მარქსი კარლ». — 1914 წ. ივლისი — ნოემბერი . . . . . 38 — 39

პირველი გვერდი გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» 1915 წ. 29 მარტის № 40-სა, სადაც შეტანილია ვ. ი. ლენინის სტატიები «რა დაამტკიცა რუსმა ფრაქციის გასამართლებამ?» და «ლონდონის კონფერენციის გამო» 193

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რევოლუციური პროლეტარიატი და ერების თვითგამორკვევის უფლება». — 1915 წ. (გერმანულ ენაზე) 495

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის წერილისა «სოციალისტური პროპაგანდის ლიგის» მდივანს». — 1915 წ. ნოემბერი (ინგლისურ ენაზე) 519

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XI-1951.
უე 03619. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 38,75.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 1026.